დოკუმენტებში, ისტორიულ წყაროებსა და აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში საწინამძღვრო ჯვრის აღსანიშნავად სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული. „წინამძღლო ჯუარი“ [თ. უორდანია, 1897:506], „წინსამძღმი ჯუარი“ [ე. თაყაიშვილი, 1907:32], „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებაში“- „ჯუარი სალიტანიე ვერცხლისაი ოქრო-ცურვებული“, პეტრინონის მონასტრის ტიპიკონში – „ჯუარი ვერცხლისა, სასარდლო, წითელთვლებიანი“; იქვე გვხვდება „სხუა ჯუარი ვერცხლისაი სადროშაე წითლითა თუალებითა“, ასევე „საზოლავრო ჯუარი ერთი სხუაი ვერცხლისაი ოქროითა ცურვებული“ [ს. ყაუხჩიშვილი, 1963:240, 241, 297]. ვახტანგ VI ერთ შეწირულობის წიგნში- „წინ საძლოლი ჯუარი პატიოსანი და შემკული მართებულად“ [თ. უორდანია, III, 1967:45]. ქუთაისის მუზეუმის 1923 წ. შემოსულობათა წიგნში ამ ტიპის ჯვრების შესახებ გამოყენებულია ტერმინები: „წინ გასაძლოლი ჯვარი“, [1923:4, 10] „დროშა-ჯვარი“ [1923:184, 193, 198, 204].

არაერთგზის გვხვდება ამ ტიპის ჯვარი ქართველი მემატიანეების ისტორიულ თხზულებებში. ჯუანშერთან ვკითხულობთ: „არა ძალითა ჩუენითა... არამედ ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა წინამძღვრად და საჭურველად ჯუარი მისი პატიოსანი“ [ქართლის ცხოვრება, I:140]. „მატიანე ქართლისაის“ ავტორის გადმოცემით 1075 წ. გიორგი მეორემ „წარძლუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა“ ფარცხისთან სძლია თურქ-სელჩუკებს [იქვე, გვ.317]. უამთააღმწერელი: „აღვიმხედროთ განძასა ზედა.. შეწევნითა ღმრთისათა და წარძლუანებითა პატიოსნისა ჯუარისათა და სიქულითა თქუენითა ვსძლიოთ მტერთა“ [იქვე, II, 1959:152].

ბასილი ეზოსმოძღვრის გადმოცემით, ბასიანის ომში მიმავალ ლაშქარს თამარ მეფე ჯვრით ხელში წარუქვა: „მოიყვანნა წინაშე თვისისა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თვითონეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდისა ჯუარსა და თაყუანისცემდენ და შეემთხვეოდენ.. რამეთუ ერთითა ხელითა თუით მას ეპყრა ძელი ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოსმოძღვარსა

ბასილის და ჯუარისმტვირთველსა“ [იქვე, II:136]. ასევე, შამქორის ომის წინ თამარმა ჯვარი ანტონ ჭყონდიდელს გადასცა და იგი წინ გაუძლვა ლაშქარს: „...და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ.. და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით. ულოცა მათ და შეავედრა ღმერთსა. წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონ ჭყონდიდელი“ [იქვე, გვ.126].

როგორც ჩანს, საწინამძღვრო ჯვარი აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა ლაშქრობისას. იგი, პირველ რიგში, მებრძოლებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მძლავრი საშუალება იყო. რელიგიური რწმენით გამსჭვალულ ქრისტიანულ (ქართულ, ბიზანტიურ, ჯვაროსნულ) არმიებში საწინამძღვრო ჯვრები მოლაშქრეთა მორალურ სიმხენევეს განაპირობებდნენ. ქრისტიანულ სამყაროში საწინამძღვრო ჯვრის განსაკუთრებული სახე იყო „ძელი ჭეშმარიტი“, ანუ ჯვარი, რომელიც ქრისტეს ვნების ჯვრის ნაწილს შეიცავდა. ეს სიწმინდე, ქრისტიანთა რწმენით, მათ დიდ ძალას ანიჭებდა და მტერთან ბრძოლაში წარმატების მოტანა შეეძლო [მ. ხურწუმია, 2017:181]. ამას გარდა, ეს ჯვარი საერო და სასულიერო ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებში გამოიყენებოდა, როგორიცაა ლიტანია, კალმასობა, ნადირობა, მეფედ კურთხევა. ამიტომ, ჯვრის ტარება ჩამოთვლილი პროცესიების დროს ევალებოდა განსაკუთრებულ სამღვდელო პირს – ჯვარისმტვირთველს. დავით ალმაშენებლის დროს მეფის ჯვარისმტვირთველი სვიმონ ჭყონდიდელი იყო, თამარის მეფობაში – ანტონ გნოლისთავის ძე. [თ. უორდანია, 1967:563, 576].

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ალნიშნულია: „ან გაცხადება ვსთქვათ დიდი დღესასწაული და წესი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ და დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე ჯვრისმტვირთველი შემოსილი და ძელი ცხოვრებისა ხელითა“ [ქსძ, 1970: 33]. იქვე, სხვა ადგილას ვკითხულობთ: „და რა ჯვარისმტვირთველმან ძელი ცხოვრებისა წაასვენოს იგივე დგას და მაშინდა მისცემს [ბრძანებასა] რათა ტაბაკი დადგან სეფე“ [იქვე]. ჯვარისმტვირთველი, როგორც ვნახეთ, ბასილი ეზოსმოძღვარსაც ჰყავს მოხენებული თავის თხზულებაში.

ჯვარისმტვირთველი არაერთგზის გვხვდება ქართულ საეკლესიო საბუთებშიც. მაგ; ასეთია: 1440, 1464, 1610, 1669, 1761 წლებში სხვადასხვა მაღალი რანგის სასულიერო პირთა მიერ გაცემული წყალობის წიგნები [ქსძ, III, 1973: 187, 211, 390, 548, 553, 845]. ვახტანგ VI მიერ გარსევანიშვილებისათვის ბოძებულ წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „...მუნითგანვე განკუთვნილი იყავით ხელმწიფეთ ჯვარის და ოქონის ხატის მტვირთველად, ლაშქარსა და ნადირობასა წინამძღოლად..“ ანდა: „არა ვინ ჩნდა და ყოფილიყო ქართველ მეფის ჯვარის მტვირთველი თვინიერ თქვენისა და კვალად განგიახლეთ სიგელი ესე ძველადგანი, რიგი ასე რომე ოდეს ქართველთ მეფე ლაშქარსა და ნადირობასა წაბრძანდეს, ოქონის ხატი (ჯვარცმა) წინ უნდა უძღლდეს დროსა დადგომისასა ან მეფისა ან უფლისნულის სადგომს უნდა დაუსვენონ და რაუამს შინ მობრძანდებოდეს მეფისა და დედოფლის საწოლში უნდა დაუსვენებდე..“ [თ. უორდანია, 1967:26]. გელათის გულანის ერთ მინანერში ალნიშნულია: „...ცოდვანი მისნი შ-ს ლ-ნ.. მარკოზ ჯვარის მტვირთველის შვილსა.. სამოციქულო სახარებასა მე შევეწიე“ [იქვე, გვ. 047]. XVIII ს-ის II ნახევარში შედგენილი ხონის ტაძრის შენირულობის საბუთებში იხსენებიან: ჯვარისმტვირთველი იოვანე (1764წ.), მღვდელი ბასარიონ ჯვარისმტვირთველი (1769წ.), ჯვარისმტვირთველი მოსე (1782წ.), ჯვარისმტვირთველი ჩხერქელი ივანე (1790წ.) [ს. კაკაბაძე, 1921, II:21, 41, 77, 97].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, საწინამძღვრო ჯვარი ჩვეულებრივ ვერცხლისგან გამოჭედილი ან ჩამოსხმული, სიმაღლით 25-50 სმ და ფეხით ხის ტარზე დაგებული, გვირგვინთან, პორფირთან, სკიპტრასთან, მახვილთან, საყდარ-საჯდომთან და დროშასთან ერთად, მეფის ხელისუფლების ნიშნად

ითვლებოდა [ქართული სამართლის ისტორია, II, 1929: 205-206]. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით იგი იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა“ [ქართლის ცხოვრება, II:38]. ქართული საწინამძღვრო ჯვრები ძვირფასი ლითონით (ვერცხლით) მოჭედილი და გრძელ ტარზე დამაგრებული იყო. თავად ჯვრის სიმაღლე 40-50 სმ, ტარის სიგრძე კი 140-150 სმ. იყო და მთლიანობაში 2 მეტრამდე აღნევდა [ს. ბარნაველი, 1953:40].

მოხმობილი მასალა ცხადყოფს საწინამძღვრო ჯვრის მრავალფუნქციურობასა და დიდ მნიშვნელობას. სწორედ ამის გამო მას განსაკუთრებით ამკობდნენ და ამშვენებდნენ. ამ ტიპის ჯვრები ქართული ოქრომჭედლობის ადრეული ეპოქიდანვე იქმნებოდა, რისი ნათელი მაგალითიცაა იშხნის ჯვარი, ასევე ბრეთისა და ბრილის ჯვრები. XI ს-ის ყველაზე თვალსაჩინო ძეგლია მარტვილის საწინამძღვრო ჯვარი, რომელიც სავსებით დასრულებული რელიეფური სკულპტურით პლასტიკური ხელოვნების უმაღლეს საფეხურადაა მიჩნეული ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში [თ. საყვარელიძე, 1980:7].

ქუთაისის მუზეუმში არაერთი საწინამძღვრო ჯვარია დაცული. მათგან ყველაზე ადრეულია წმ. დავით და კონსტანტინეს მონასტრიდან შემოსული წარწერიანი ჯვარი საქართველოს მეფის – ბაგრატ IV-ის მოხსენიებით. აქვეა გვიანსაშუალო საუკუნეების ჯვრები ს. ლაილაშიდან, ს. მორონწმინდიდან, ჭელიშის უდაბნოს ეკლესიდან, ხონიდან, ქუთაისის საკათედრო ტაძრიდან, გელათის მონასტრიდან, ს. ზარათიდან. ისინი მუზეუმს ეკლესია-მონასტრების დახურვის შემდეგ გადაეცა. სხვა გზით მოხვდა მუზეუმში ს. გოდოგნის საწინამძღვრო ჯვარი (საინვ. №9836/1094; სურ. 1) იგი ამავე სოფელში, მიწის ფენაში იპოვა შემთხვევით იქაურმა მცხოვრებმა ალექსანდრე ხერხაძემ. მუზეუმმა ხსენებული პირისგან ჯვარი შეიძინა 1989 წელს. მუზეუმის შემფასებელი კომისიის ოქმში მოცემულია ნივთის დეტალური აღნერა, ფიზიკური მდგომარეობა, ზომა-წონა: „ჯვარი ვერცხლის, მოოქრული. შემკული ორი სერდოლიკის და სამი მინის თვალით. ჯვრის მარცხენა მკლავი მოტეხილია. ჯვარი დაკრულია რკინაზე, რომელიც დეფორმირებულია. ჯვრის მკლავებზე მედალიონებში გამოსახული არიან ღმრთისმშობელი, მთავარანგელოზი (სახე ამოტეხილია) და იოანე მახარებელი. შუა ნაწილში ჯვარცმული ქრისტე (სახე და ტანი ამოტეხილია). ჯვრის უკანა მხარეს დაკრულ ვერცხლის ფირფიტებზე (ერთი ამძვრალია) ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა: „ნ. ჯვარი ქრისტესო მშვიდობით დაიცევ სოფელი შენი გოდოგნი ყოვლისაგან ვნებისა ამინ“. (სურ. 2; 3) ჯვრის ზომაა 15,5×23,5 სმ; საერთო წონა 317 გრ.“ საფონდო კომისიის წინასწარ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ნივთი ძველი ხელოვნების ნაწარმოები და ეპიგრაფიკული ძეგლია, რომელიც შეჭედილი უნდა იყოს დაახლოებით XV ს-ში“.

ამ ნივთის პუბლიკაცია (მუზეუმში შემდეგ) ეკუთვნის პროფ. მ. ნიკოლეიშვილს. მკვლევარმა იგი, როგორც ძველი ქართული წარწერის მქონე ჯვარი, შეიტანა ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლებისადმი მიძღვნილ კრებულში (№13, 2001). ხსენებულ გამოცემაში ავტორი ჯვრის ახლებურ დათარიღებას გვთავაზობს: „დახელოვნებული ოსტატი ჯვრის წინა პირზე ქმნის ჭედური ხელოვნების დიდებულ კომპოზიციას. ჩვენი დაკვირვებით ასეთი მანერა დამახასიათებელი იყო XII-XIII სს. ქართული ოქრომჭედლობისათვის“ [ზ. ნიკოლეიშვილი, 2001:20]. წარწერის შესახებ კი აღნიშნავს: „ანალოგიური ხასიათის წარწერები ჩვენ გვხვდება X-XI სს-ის ძეგლებზეც“ [იქვე].

გოდოგნი ისტორიულ საბუთებსა და წყაროებში რამდენჯერმე გვხვდება. ვახუშიტი ბაგრატიონი ოკრიბას მხარის აღნერისას გოდოგნანსაც ახსენებს: „ცუცხვათის ხევზედ გოდოგნანს ზეით არს ცუცხვათის ციხე“ [ქართლის ცხოვრება, IV:753]. იმერეთის პოლიტიკური ისტორიის თხრობისას

ავტორი გოდოგანთან არჩილისა და ალექსანდრე მეფეების მომხრეთა შორის მომხდარი ბრძოლის შესახებ გადმოგვცემს: „შეიკრიბნენ და ეწყუნენ გოდოგანს ურთიერთს; იქმნა ბრძოლა ძლიერი, იძლია ალექსანდრე და ივლტოდა ქართლს“ [იქვე, 854].

ამავე ბრძოლის შესახებ ქუთაისის მუზეუმში დაცული ერთი გელათური გულანის მინაწერიც გვაუწყებს: „ამა ქორონიკონსა ტოთ, ქრისტეშობის თვესა, შამოება გოდოგანს მეფე არჩილს მეფე ალექსანდრე და გაემარჯვა არჩილ მეფეს“ [K-16:1162; თ.ჟორდანია, ქრონიკები, 1897:511-512].

გოდოგანი იხსენიება იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ერთ წყალობის წიგნში, რომლის მიხედვით მეფეს ვინმე ივანე ცირლილაძისათვის ს. გოდოგანში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხი უბოძებია **[მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1964:57]**. XVI ს-ის საბუთით გოდოგანში მცხოვრები 6 კომლი ეკლესიისთვის შეუწირავთ. იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის შენირულობის წიგნი გვაუწყებს გოდოგანში მცხოვრები რამდენიმე კომლი გლეხის გელათის მონასტრისათვის შენრივას **[ქართული დოკუმენტები, 1967:102, 170]**. ამავე მეფის მიერ არის ბოძებული შენირულობის წიგნი გოდოგანში მცხოვრები გიორგი და დავით კანდელაკებისათვის 1747 წელს **[ქსიმ, საბ.№866]**. 1815 წელსაა შედგენილი გენათელი მიტროპოლიტის ექვთიმე შარვაშიძის წიგნი საეკლესიო აზნაურის ნაყმევი, გოდოგნის მკვიდრი გაბრიჭიძებისათვის გელათის მონასტრის სასარგებლოდ გადასახადის დაწესების შესახებ **[იქვე, №1219]**.

გოდოგანში არის ორი ძველი ეკლესია. მათ შესახებ ისტორიულ საბუთებში ცნობებს ვერ ვხვდებით. არც რუსული მმართველობის დროინდელი დოკუმენტები მოგვეპოვება, სადაც შესაძლოა, სხვა ეკლესია-მონასტრების მსგავსად აღწერილობით ხასიათის მასალები ყოფილიყო. ერთი ეკლესია მაცხოვრისა, XIX ს-ში, 1873 წელსაა აგებული, მეორე კი მაცხოვრის ჯვარცმისა, შუა საუკუნეების ძეგლია. ეს ეკლესია, მისი ეპიგრაფიული მასალა და სიძველენი აღწერა მკვლევარმა გ. ბოჭორიძემ **[გ. ბოჭორიძე, 1995:120-124]**. მის ნაშრომი შეიცავს 5 წარწერას, საწინამდლვრო ჯვრის აღწერილობას და მოკლე ჩამონათვალს იმჟამად ეკლესიაში დაცული სიძველეებისა. ეს სიძველეებია:

1. რომაული მონეტა;
2. მაცხოვრის ფერწერული ხატი;
3. ღმრთისმშობლისა და იოანე მახარებლის ხის ქანდაკებები.

საწინამდლვრო ჯვარი და მაცხოვრის ხატი გ. ბოჭორიძის იქ ყოფნისას გადატანილი ყოფილა 1873 წ. აგებულ მაცხოვრის ეკლესიაში, ხის ქანდაკებები კი ძველ ეკლესიაში **[იქვე, 124]**.

გარდა ორი ეკლესიისა, გოდოგანში შუა საუკუნეების სასახლეც მდგარა. იგი სახელმწიფო აღრიცხვასა და დაცვაზე აყვანილი ძეგლების ნუსხაშია 1959 წელს **[ბარნაველი, 1959:113]**.

ამათგან ამჟამად სასახლე აღარ არსებობს, შუა საუკუნეების ეკლესია (დათარიღებული X ს-ით) გ. ბოჭორიძის იქ ყოფნისას საკმაოდ დაზიანებული ყოფილა. (ამჟამად ეს ძეგლი ძლიერ დაზიანებულია და მცენარეებით დაფარული) მკვლევარის მიერ აღწერილი საეკლესიო ნივთებიდან მხოლოდ ვერცხლის საწინამდლვრო ჯვარმა მოაღწია ჩვენამდე და ისიც ძლიერ დაზიანებული სახით. დანარჩენი ნივთების ბედი უცნობია.

ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია გოდოგნის თემის და მაცხოვრის ეკლესიის საკრებულოს განცხადება. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ ეკლესია ადგილობრივ ბოროტმოქმედს გაუძარცვას: „ჩვენ ახალ ეკლესიასთან არის ძველი ეკლესია, რომელშიც იყო ძველი ხელოვნური მხატვრობა აღმოსავლეთის კარებზედ, იკონოსტასზედ, ზევით ჯვარცმაზედ, მის მარჯვნივ და მარცხნივ მახარობლები და სხვა ... ეხლა ამას წინეთ შესულა ვინმე ბოროტ-მოქმედი, გამოუტანია ყოველივე, რაიცა ინახებოდა: ხატები, იკონოსტასი, აღსავლის კარები.. მხოლოდ ჩვენ შემთხვევით წავადექით რამდენიმე ფიცარს იკონოსტასისას და აღსავლის კარებს ერთს ცაცხვის ხის

ბოხროშიდ დამალულა“ [ქსიმ, საბ. №1920]. ეს ძარცვა მომხდარა 1929 წელს, მას შემდეგ, რაც გ. ბოჭორიძემ ეკლესიისა და მისი სიძველეების აღწერილობა შეადგინა. აღბათ ამ ძარცვას ემსხვერპლა ლმრთისმშობლისა და იოანე მახარებლის ხის ქანდაკებები, რომლებიც გ. ბოჭორიძეს აქვთ მოხსენებული თავის შრომაში. ტაძრის საკრებულოს განცხადებაში, რასაც ხელს მღვდელი და მნათე აწერენ, არის ინფორმაცია ეკლესიის ეზოს მცენარეების უნებართვოდ მოჭრის თაობაზეც. როგორც ჩანს, იმხანად ანტირელიგიურ მოძრაობას ფართო გასაქანი ჰქონდა იმერეთში და დაუსჯელობით გათამამებული ადამიანები საეკლესიო ქონებას ფარულად თუ ცხადად იტაცებდნენ.

ძველი ეკლესიის ბედი გაიზიარა მაცხოვრის ახალმა ეკლესიამაც. არ ვიცით როდის, მაგრამ მის გაძარცვასა თუ დარბევაზე მეტყველებს იქ დაცული სანინამძღვრო ჯვრის დიდი ხნის შემდეგ მიწის ფენაში ძლიერ ნაკლული და დაზიანებული სახით აღმოჩენა. ახლა მხოლოდ გ. ბოჭორიძის მიერ შედგენილ აღწერილობაზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ ნივთის თავდაპირველი მდგომარეობა.

ავტორის დახასიათებით ნივთი „წარმოადგენს რკინის ჯვარს, გაკეთებულს ჯოხზე, ჯვარი ირგვლივ დაბალი ვერცხლით არის შექედილი, შემკულია ჯვარცმის ხატით და 8 თვალით. ზომა ჯვრისა 27×24 სმ, (კიდობნამდე  $33\frac{3}{4}$  სმ); სიმაღლე მთელი დროშა-ჯვარისა 156 სმ.“ [გ. ბოჭორიძე, 1995:122]. აქედან ცხადია, რომ ნივთი შედგებოდა ჯვრის, კიდობნის და ტარისაგან, ანუ, იგი სანინამძღვრო ჯვრისათვის დამახასიათებელ ყველა ატრიბუტს შეიცავდა. ამასთან, შემკული ყოფილა თვლებით.

სკულპტურული გამოსახულებებიდან ჯვარს შერჩენილი აქვს წინამდგომთა და მთავარანგელოზის გამოსახულება, მაცხოვრის ხელები და თმები. მაცხოვრის სახე, ფიგურა მკერდს ქვემოთ (ჯვრის ქვედა ნაწილთან ერთად), ასევე მთავარანგელოზის სახე საგანგებოდაა წაბლალული. მაცხოვრის თავი ოდნავაა გვერდზე დახრილი, მკლავები ქვემოთ ჩამოზიდული და დაჭიმული კი არ არის, სრულიად ჰორიზონტალურ მდგომარეობაშია, რაც ნაკლებად ასახავს გარდაცვლილის სხეულის მდგომარეობას. სხვა წმინდანთა ფიგურები საკმაო რელიეფურობით გამოირჩევა, ისინი ზედაპირიდანაც ოსტატურადა დამუშავებული, განმარტებითი წარწერებიც ლამაზადაა ამოკვეთილი. ორი წყვილი თვალი მაცხოვრის მკლავებს ქვემოთა ჩასმული, ერთი – ჯვრის ზემოთ.

გარდა ზემოთ მოყვანილი წარწერისა, სადაც სოფელი გოდოგანი იხსენიება, გ. ბოჭორიძის მონაცემებით ჯვარი შეიცავდა სხვა წარწერებსაც. ორი მათგანი ამოყვანილი იყო ჯვრის ზურგზე ვერტიკალურად: 1. „ქ. ჯუარო ქრისტესაო, შეიწყალე ორთავე შინა ცხორებათა გენათელი დომენტი ჩხეტიძე“ 2. ღმერთო შეიწყალე იოანე მორშიძე, ამინ. იოანე ჭინჭრაქაძესა შეუნდოს ღმერთმან“. [გ. ბოჭორიძე, 1995:122-123]. მეოთხე წარწერა შესრულებული ყოფილა ჯვრის კიდობანზე (სიონზე): „ქ ესე ჯუარის კუბო მოვსჭედე დეკანოზმა მახარებელმა ჭიჭრაქაძემ სულისა ჩემის საოხად..“ [იქვე, 124]. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც გ. ბოჭორიძისეულმა აღწერამ შემოგვინახა, უნდა ეხებოდეს ჯვრის შემქმნელ ოსტატს: „დროშა- ჯვარზედ არის პირადი ბეჭედი წარწერით: მონა ღვთისა ელიზბარ“ [იქვე]. მაშასადამე, წარწერებში ისინი იყვნენ დასახელებული, ვინც პირადი წვლილი შეიტანა ჯვრის შექმნასა და გამშვენებაში. თუ რომელიმე მათგანის ცხოვრების დროს დავადგენთ, მაშინ შეგვეძლება ჯვრის შექმნის პერიოდიც განვსაზღვროთ.

აქ, ცხადია, უნდა ვცადოთ გენათელი დომენტი ჩხეტიძის მოღვაწეობის დროის განსაზღვრა. გელათის საეპისკოპოსო, როგორც ცნობილია, ბაგრატ III-მ დააარსა 1529 წ. და იქ პირველ ეპისკოპოსად კათოლიკოსმა მალაქია აბაშიძემ მელქისედეკ საყვარელიძე აკურთხა [ქართლის ცხოვრება, II:493]. 1543 წ-დან გელათის საეპისკოპოსოს სათავეში უდგება ევდემონ ჩხეტიძე.

მის სახელს უკავშირდება ფართო სარესტავრაციო სამუშაოების წარმოება გელათის ორივე ტაძარში, ასევე მოქვისა და ბიჭვინთის ტაძრების მოხატვა, მრავალი საეკლესიო წიგნის შექმნა, არაერთი გამორჩეული ჭედური ხატისა და ჯვრის დამზადება. [ნ. ჩიხლაძე, 2006:62; ქსძ, III:386]. ევდემონი 1557 წ-დან დას. საქართველოს კათოლიკოსი იყო, გენათელ ეპისკოპოსად კი ანტონ მანყვერელი აკურთხეს. [გ.მჭედლიძე, მ.კეზევაძე, 2008:167, 171] ანტონის ფრესკული გამოსახულება და ორი წარწერა „ანტონ მღვდელ მთავარ ეპისკოპოზის“ მოხსენიებით გელათის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ მინაშენშია [ბ.ლომინაძე, 1955:40]. ანტონი ფიგურირებს გიორგი II-ის მიერ გაცემულ სიგელში და ის ასევე ხელს აწერს „კათოლიკოსთა სამართალს“ [ქსძ, III: 605; თ.ჟორდანია, 1897:410]. ანტონის გარდაცვალების ზუსტი თარიღი დღემდე უცნობია. მკვლევარების ბ. გაფრინდაშვილისა და ი. კეკელიას მსჯელობით, რადგან ანტონი სოხოისტას ბრძოლის დროს, 1545 წ. მანყვერელი ეპისკოპოსი იყო, იგი 35 წელს გადაცილებული უნდა ყოფილიყო, რადგან ეპისკოპოსად კურთხევა 35 წელზე ადრე არ შეიძლებოდა. შესაბამისად, ეს პირი XVI ს-ის დასაწყისში გამოდის დაბადებული და ამ საუკუნის 80-იან წლებში 80 წელზე გადაცილებული იქნებოდა\* [ქსიმ, XVI:29].

ანტონ გენათელის შემდეგ 1603 წლამდე წერილობით წყაროებში გენათელი ეპისკოპოსი სახელობით არ სჩანს. მითითებულ წელს იმერეთის მეფე როსტომის შენირულობის წიგნით ს. სორმონში მცხოვრები სამი კომლი გლეხი გელათის მონასტრისთვის უბოძებია, სადაც მთავარეპისკოპოსად გენათელი ბატონიშვილი სვიმონი ყოფილა [თ. ჟორდანია, 1897:433]. სვიმონის შემდეგ გენათელ ეპისკოპოსთა რიგითობა და მოღვაწეობის წლები ზაქარია ქვარიანიდან ექვთიმე II შარვაშიძის ჩათვლით სხავდასხვა წყაროებსა, დოკუმენტურ ცნობებსა თუ მატერიალურ მასალებზე დაყრდნობით გარკვეულია [გ.მჭედლიძე, მ.კეზევაძე, 2008:173-206]. ასე, რომ გენათელი დომენტი ჩხეტიძის მოღვაწეობა ანტონ მანყვერელყოფილის და სვიმონ გენათელი ბატონიშვილის მმართველობის პერიოდს შორის ექვევა, დაახლოებით XVI ს-ის 70-80 იან წლებიდან პირობითად 1603 წ-მდე [იქვე, გვ. 186].

დომენტი ჩხეტიძე გელათის მონასტრის ინტერიერის წარწერებში არის დასახელებული. მწერალმა გ. წერეთელმა, რომელიც სპეციალურად სწავლობდა გელათის მონასტრის სიძველეებსა და ეპიგრაფიკას, მონასტერში მიაკვლია ორ უთარილო წარწერას, სადაც დომენტი ჩხეტიძე იხსენიება: 1. „წმინდაო ნათლის მცემელო ქრისტესო მფარველ და მეოს ექმენ წინაშე ღმრთისა გენათელ მღვდელმთავარ ეპისკოპოსა დომენტი ჩხეტიძეს“ 2. „გენათელ მღვდელმთავარ ეპისკოპოსი დომენტი ჩხეტიძე. საუკუნოდმცა არს ხსენება მათი“. [ცერეტელი, 1891:9]. მეორე წარწერასთან მღვდელმთავრის პორტრეტული გამოსახულებაც ყოფილა. გ. წერეთელს, დოკუმენტურ ცნობათა უქონლობის გამო ამ სასულიერო პირის მოღვაწეობის დრო ვერ დაუდგენია და წერს: „Документы Чхетидзе неизвестен“-ო [იქვე]. გვიანდელი პერიოდის მკვლევარი ბ. ლომინაძეც ანალოგიური პრობლემის წინაშე დამდგარა, რის თაობაზეც აღნიშნავს: „გენათელი ეპისკოპოსი დომენტი ჩხეტიძე ჯერჯერობით ნაკლებად არის ცნობილი“ [ბ.ლომინაძე, 1955:33].

დომენტი ჩხეტიძის გენათლობის დამადასტურებელი ამ ორი წარწერის და გოდოგნის საწინამძღვრო ჯვრის ზემოთმოყვანილი მონაცემების გარდა იყო ს. კურსების „ზედუბნის“ მაცხოვრის ეკლესიის საწინამძღვრო ჯვარი, რომლის აღწერილობა შეუდგენია გ. ბოჭორიძეს, თუმცა 1995 წ. გამოცემულ მის წარწომში ჯვრის აღწერილობა გამოტოვებულია და მხოლოდ წარწერებია მოყვანილი: „ქწ. ქრისტე შეიწყალე და დაიცევ მშვიდობით ორთავ შინა ცხოვრებათა გენათელი დომენტი ჩხეტიძე, ამინ. ქრისტე განაძლიერე ქუეყანა კურსები დაიცევ ყოვლისაგან ვნებისა“ [გ. ბოჭორიძე, 1995:117-118]. ჯვრის სფეროზე გ. ბოჭორიძეს ამოუკითხავს: „ნ. ჯუარო ქრისტესო შეინწყალე სული გენესი ნიშნიანისძესა

ამინ“. იქვე მეორე წარწერაც ყოფილა ფრაგმენტულად: „...კელარი მაკარე ჭალანგარიძე..“ [იქვე, გვ. 118]. ეს ჯვარი ეკლესიიდან გადაუტანიათ ტყიბულის მუზეუმში. სამწუხაროდ, XX ს-ის 80-იან წლებში ეს მუზეუმი გაძარცვეს და საწინამძღვრო ჯვარიც გაიტაცეს. იგი დღემდე დაკარგულად ითვლება. შემორჩა რამდენიმე მდარე ხარისხის ფოტო ჯვრისა და მოკლე აღნერილობა. არსებული მონაცემების მიხედვით კურსებისა და გოდოგნის ეკლესიების ჯვრები ბევრი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ რიგში, შემჯულობით: კურსების ჯვარზე არ იყო თვალსამკაული, ის არც ოქროთი ყოფილა დაფერილი. ამასთან, განსხვავებულია ჯვრის მთლიანი ფორმა და ფიგურათა ფორმები. გოდოგნის ჯვრის მკლავებს მომრგვალებული დაბოლოება აქვს, კურსებისას კი ნახევარმთვარისებური, ზედ მცირე ზომის ერთგვარი „ყუნწებით“. გოდოგნის ჯვარზე წინამდგომები და მთავარანგელოზი მედალიონებში არიან გამოსახული, კურსების ჯვარზე თავისუფალ ფონზე და უფრო მოცულობითი ზომებით. მაცხოვრის ფიგურას რაც შეეხება, გოდოგნის ჯვარზე, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ თავი და მკლავებია შერჩენილი. კურსების ჯვარზე მაცხოვრის სხეული გარდაცვლილი ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას ნაკლებად შეესაბამება. იგი რამდენადმე დაჭიმულია, თავიც სულ ოდნავ აქვს დახრილი. ფოტო ამ ჯვრის ზურგის გამოსახულებისა იმდენად მკრთალია, რომ წარწერის პალეოგრაფიული ანალიზის საშუალებას არ იძლევა. ცხადია, კურსების ეკლესის ჯვარიც დომენტი ჩერტიდის ეპისკოპოსობის დროსაა შექმნილი და ჩვენი აზრით, ეს და გოდოგნის ჯვარი სხვადასხვა ოსტატის ნახელავი უნდა იყოს.

გოდოგნის ჯვარის დათარიღებისას შეიძლება ვიხელმძღვანელოთ წარწერის პალეოგრაფიული მონაცემებითაც. წარწერა, როგორც გ. ბოჭორიძისეული აღნერილობიდან ჩანს, ჯვრის ზურგის მთელ სიგრძე-სიგანეზე იყო განაწილებული, ასევე სიონზეც. ზედა და ქვედა მკლავზე 9-9 სტრიქონად, გვერდით მკლავებზე – ორ სტრიქონად. განკვეთილობის ნიშანი გადარჩენილ წარწერაზე არის ერთი და ორი წერტილი, სხვებზე – გ. ბოჭორიძის მიხედვით ყოფილა ორი და სამი წერტილი. ქარაგმის ნიშანი არსებულ წარწერაში (კიდურრკალიანი ხაზი) გამოყენებულია მხოლოდ ერთ ადგილას, ბოლო სიტყვაში, დანარჩენ წარწერებში გ. ბოჭორიძე ქარაგმის ნიშანს წერს ხუთ ადგილას. [გ. ბოჭორიძე, 1995:123].

ცალკეული ასო-ნიშნების: ა, ე, ი, გ, დ, ვ, ც, წ-ს მოხაზულობის მხრივ გოდოგნის ჯვრის წარწერა ძლიერ მსგავსებას ავლენს პირველ რიგში ქელიშის უდაბნოს ეკლესიის ოდიგიტრიის ღმრთისმშობლის ხატის წარწერასთან, ასევე ფირან მხეციძის დაკვეთით დამზადებულ გელათის სოხასტერის ოდიგიტრიის ღმრთისმშობლის ხატის, ამავე ეკლესიიდან შემოსულ, ქაიხოსრო მხეციძისეულ ღმრთისმშობლის ხატის, ქელიშის დროშა-ჯვრის და ნიკორწმინდის ოთხთავის კიოტის ქვედა ფრთის წარწერებთან.

დასახელებული ნივთებიდან ყველაზე ადრეული არის გელათის სოხასტერის ხატები. ისინი ბაგრატ III-ის მოლარეთუხუცესის სარგის მხეციძის შვილების ფირანისა და ქაიხოსროს მიერა შეწირული. მათი წარწერები უთარილო, მაგრამ ისტორიული საბუთებით ცნობილია შემწირველთა მამის – სარგისის მოღვაწეობის პერიოდი. იგი 1488 წ. ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში მოლარეთუხუცესად იხსენიება [ს. კაკაბაძე, 1924:25]. 1505-1519 წწ. შორის შედგენილ საბუთში „პატრიონი სარგისი“ შვილებთან გიორგისთან, ქაიხოსროსთან, ჯანგაზთან, ზურაბსა და ფირანთან ერთად ჩანს [ს. კაკაბაძე, 1921:6]. ამათ გარდა, სარგისს ჰყოლია ვაჟი გარსევანი [თ. ჟორდანია, 1897:354]. სარგისი ბაგრატ მეფესთან ნათესაურ კავშირშიც იმყოფებოდა. მისი ცოლი, იმარინდო ამილახვარის ასული ელენე, მეფის დისტული იყო [იქვე]. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით,

სარგისი გარდაცვლილა 1531 წ. 11 ივნისს [ქართლის ცხოვრება, II:494]. ამის შემდეგ სარგისის მემკვიდრეების საქმე ცუდად წავიდა. ერთ მათგანს ბაგრატ მეფის „უპატიობა“დაედო, რის გამოც ს. ნავენახევი, მესხეთი და ფარცხანაყანევი ჩამოართვეს [ე. თაყაიშვილი, 1920:20-21]. გარდა ამისა, ჯანგამის შვილს ბიძის „სასისხარი საქმე“ შეხვდა, რის მიზეზითაც მრავალი ყმა-მამული გაყიდა [იქვე]. კიდევ ერთ მხეციძეს ვინმე ქელბაქიანის სისხლი დაედო და იძულებული გახდა, მისთვის მრავალი გლეხი დაეთმო [ო. სოსელია, 1973: 20; ს. კაკაბაძე, 1921: 29-30]. ერთი სიტყვით, მხეციძეთა საგვარეულო სარგისის გარდაცვალების შემდეგ თანდათან დაკინიდა და სამეფო ხელისუფლებასთანაც გაუფუჭდა ურთიერთობა. ამ მონაცემზე დაყრდნობით უნდა ვიფიქროთ, რომ სარგისის შვილების დაკვეთით ხატები XVI ს-ის შუა ხანებამდე, ამ საგვარეულოს ძლიერების პერიოდშია დამზადებული.

ჭელიშის უდაბნოს ეკლესიის ხატის და ჯვრის დათარიღება მარტივია მათივე ეპიგრაფიკული მონაცემებით. ორივე ნივთი დამზადებულია ფეშანგი ლაშხიშვილისა და მისი შეუღლის ულუნბიას დაკვეთით. ჯვრის ზურგის ნარწერა გვაუწყებს: „ნ. მიქელგაბრიელ მთავარანგელოზნო მეოს და მფარველ ექმენ მეფეთ-მეფესა გიორგის, ძეთა მათს ლეონს. მთავარანგელოზნო, უშველე ფეშანგის ლაშხიშვილსა, მეუღლესა მისსა ულუნპიას“ [შ. ნიკოლეიშვილი, 2001:38]. აქ დასახელებული მეფე გიორგი არის იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1583), ბაგრატ III-ის მემკვიდრე. ასე, რომ ორივე ნივთი XVI ს-ის II ნახევარშია დამზადებული.

ნიკორწმინდის ოთხთავის ბუდეს რაც შეეხება, მისი შემწირველი და შემამკობელი არიან დავით წულუკიძე და მისი მეუღლე ფარსანგიჯავარ ლაშხიშვილი. ხელნაწერ ოთხთავს ბოლოში დართული აქვს „ანდერძი“, სადაც მისი დაწერისა და მოჭედვის თარიღია დაფიქსირებული: „ღმერთო და საშინელო წმინდაო მლდელთმოძლუარო.. შემოგხუც წივართ დავით წულუკიძე და მეუღლე მათი ლაშხის შვილის ქალი თავითა და შვილითა.. ჩუჭნდა სადლეგრძელოდ და სულისა ჩუჭენისა საოხად აქა და საუკუნოსა მეოს გვეყვენით წინაშე ქრისტი ღმერთისა. დავანერინეთ და შემოგწირეთ ნიკოლოზს ესე წმიდაი ოთხთავნი და მოვაჭედინეთ ჩუჭნად სადლეგრძლოდ.. დაიწერა წმიდაი ესე ოთხთავი ინდიქტიონსა მეფეთ მეფისა გიორგის უამსა შინა ქორონიკონსა სხთ“ [იქვე, 36-37]. აღნიშნული ქორონიკონი უდრის (269+1312 წ.) 1581 წ. ამ დროს იმერეთის მეფე გიორგი II იყო. მაშასადამე, ოთხთავის ყდაც XVI ს-ის II ნახევარს ეკუთვნის. დავით წულუკიძე ის პირია, ვისაც გიორგი II-მ 1570 წ. ხონში „ხოსროსეული სასახლე და გლეხები თავიანთი მამულებით, ასევე გოგატაური სასახლე, მინდორი და ჭალა, საყანეები, სახასო სანადიროები და სასახუნდროები.. კონტორეთი შიგ მოსახლე გლეხებით“ უბოძა [შ. ბურჯანაძე, 1958: 18-19].

როგორც მოხმობილი მასალა გვაჩვენებს, გოდოგნის საწინამძღვრო ჯვარი და მასთან სტილისტურად თუ ეპიგრაფიკული მონაცემებით ახლოს მდგომი ჭედური ძეგლები ერთ პერიოდს განეკუთვნება – XVI ს-ეს. შესაბამისად, აქამდე მოღებული დათარიღება უნდა შეიცვალოს და გოდოგნის ჯვარი XII თუ XV სს-ების ნაცვლად XVI ს-ის II ნახევრით დათარიღდეს.

\* დოკუმენტური ცნობების გარეშე ამ საკითხზე მსჯელობა რთულია, მით უფრო, რომ დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა ბაგრატ III-ის გარდაცვალებისა და გიორგი II-ის გამეფების თარიღზეც. ვ. ბაგრატიონი, ე. თაყაიშვილი და შ. ბურჯანაძე ბაგრატ III-ის მეფობას 1510-1548 წლებით ათარიღებდნენ, ივ. ჯავახიშვილი – 1510-1565 წწ-ით. ერთადერთი თარიღიანი საბუთი, სადაც ანტონ გენათელია დასახელებული, არის ზემოთხსენებული გიორგი II-ის სიგელი, რომელიც შედგენილია „ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისა მეოთხესა“, ანუ, ან 1552 ან 1569 წელს. მკვლევარი ა. ფაილოძე

ბაგრატის გარდაცვალების და გიორგის აღსაყდრების თარიღის გარკვევისას ეყრდნობა გიორგი II-ის „წყალობის წიგნს“, რომელიც მან დავით წულუკიძეს უბოძა თავისი მეფობის 22-ე წელს. თუ გიორგი 1565 წ. გამეფდა და 1585 წ. გარდაიცვალა, 22-ე წელს, ანუ 1587 წელს, როცა ცოცხალი აღარ იყო, „წყალობის წიგნს“ ვერ გასცემდა. თუ ბაგრატის გარდაცვალების თარიღად მივიღებთ 1548 წელს, მაშინ გიორგის მეფობის 22-ე წელი 1570-ს უდრის. [ა. ფაილოძე, ნარკვევები, 2015: 40].

### **ლიტერატურა:**

1. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955; ტ. II, 1959; ტ. IV, 1973.
2. ქართული სამართლის ძეგლები, III, 1973.
3. ქართული სამართლის ძეგლები, II, 1970.
4. თ. უორდანია, ქრონიკები, II, 1897; III, 1967.
5. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, V, 1963.
6. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907.
7. ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, 1920.
8. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, 1921.
9. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, საისტორიო მოამბე, II, 1924.
10. ხელმწიფის კარის გარიგება, 1920.
11. ქართული სამართლის ისტორია, II, 1929.
12. შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროების, I, 1958.
13. თ. საყვარელიძე, XII ს. ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან, 1980.
14. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, 1964.
15. ქართული დოკუმენტები, 1967.
16. მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები, 2001.
17. გ. ბოჭორიძე, იმერეთი, 1995.
18. ს. ბარნაველი, ქართული დროშები, 1953.
19. თ. ბარნაველი, საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, 1959.
20. ბ. ლომინაძე, გელათი, 1955.
21. ნ. ჩიხლაძე, XVI-XVII სს მიჯნის იმერეთის სამეფო კარის ისტორიულ პირთა პორტრეტები გელათის მონასტერში, ქსიმ შრომები, კრ. XVI, 2006.
22. გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, ქუთაის-გაენათის ეპარქია, 2008.
23. მ. წურწუმია, შუა საუკუნეების ქართული ლაშქარი 900-1700, 2016.
24. ბ. გაფრინდაშვილი, ი. კეკელია, გენათელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის (ქსიმ) შრომები, კრ. XVI, 2006.
25. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, I, 1973.
26. ა. ფაილოძე, ნარკვევები, 2015.
27. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის (ქსიმ) ხელნაწერი საბუთები №866, 1219.

DAVIT SULABERIDZE  
*Kutaisi State Historical Museum, Doctor of History*

## PROCESSIONAL CROSS OF GODOGANI CHURCH

Kutaisi Historical Museum preserves the rich and diverse collection of old Georgian goldsmithery. They were created in the Christian epoch and have been the objects of worship in the churches and monasteries of Western Georgia for centuries. In this treasure the important place is given to crosses that are known in the literature of which in scientific literature are also known as "Processional" and "Flag-Crosses".

In Christian period different types of functional crosses were created: pre-altar, processional and priest's cross (hand and pendant). Crosses were decorated with the illustrations from the Holy Scripture, the scenes from the martyrs' life, and sometimes the individual saints.

In the documents, historical sources and hagiographical works it is seen that cross was the essential attribute of such events in secular or religious life as battles, hunting, litany and king blessing. Therefore, wearing the Cross during these processes was assigned to a special clergyman - a cross loader.

Processional cross, typically chased or molded, 25-50 cm. height, attached to wooden handle, together with crown, sword, scepter, throne and flag was a sign of the king's power. As the historian of King Tamar says "It was the defender of king's scepter".

The crosses were created from the earliest epoch of Georgian repoussé art, a clear examples are Ishkhani, Breti and Brili crosses. The most prominent monument of XI century is Martvili processional cross, which is considered to be the highest level of plastic art with a completed relief sculpture in Georgian art science.

Kutaisi Museum has a number of processional crosses. The earliest of them is one from the monastery of St. David and Constantine in Motsameta bearing inscriptions which mention king Bagrat IV. Here are the crosses of the last centuries from village Lailashi, vill. Mirontsminda, Khoni, monastery of Chelishi, Kutaisi Cathedral, Gelati Monastery. They were given to museum after the closure of these churches and Monasteries. The processional cross of Godogani appeared in Kutaisi museum other way - resident of village Godogani Alexander Kherkhadze occasionally found it in the ground. The museum bought a cross from the person in 1989. In the protocol of the administration of the museum is given a detailed description of the item, it notes that "the item is an old art work and an epigraphic monument that must be belonged to around XVc.". Prof. M. Nikoleishvili published the inscriptions of Godogani cross in his work - Epigraphic Monuments of Kutaisi Museum (№13, 2001). In the mentioned edition the author offers a new dating of the Cross and it is entitled as XII-XIII cc. work. Earlier, when traveling to study the antiquities in Imereti, this item was found in Godogani church of XIX c. by G. Bochoridze. It is possible to represent the original condition of the cross according to its description, because this cross was lost after Bochoridze's being there and was severely damaged after a long time being buried near the territory of the church.

G. Bochoridze describes the cross: "It is a metal cross, fastened to a wooden pole, the cross is chased with a low silver cover, it is decorated with crucifixion and 8 gems. The size of the cross is 27 × 24 cm, (with shrine up to 33. 3/4 cm); The height of the whole flag-cross is 156 cm." From this it is clear that the procession cross consisted of the cross with crucifix, shrine and the tire, that is, it contained all the attributes characteristic to the Georgian procession Crosses. In addition, it was adorned with gemstones.

From the sculptural images are survived the figures of Virgin Mary, St. John and archangel, also is seen the Savior's hands and the hair. The face of the Savior, his figure below the breast (along the lower part of the cross), as well as the face of the Archangel are damaged specially. The Savior's head is a bit bended down, the

arms are not pulled down but not they are completely horizontal and stretched out less reflecting the condition of the dead body. Other saints' figures are distinguished with relief, their surface are processed quite masterfully, explanatory notes are also made with beautiful calligraphy. From four inscriptions of the Cross, the most important is one that indicates the name of "Domenti Genateli" – bishop of Gelati Eparchy. The years of his activity as bishop will allow us to date the cross. Gelati episcopacy, as it is known, was founded by king of Imereti Bagrat III in 1529y. The first bishop Melkisedek Sakvarelidze was ordained by Catholicos Malakia Abashidze. Evdemon Chkhetidze is head of Gelati Episcopacy since 1543y., but from 1557y. he has become Catholicos of west Georgia, and Anton Matskvereli was blessed as Gelati bishop. After Anton Gaenateli, the Bishop of Gelati does not appear in written sources up to 1603y. In the following year, Sivimon is the leader of the diocese. After this year Gelati bishops' names and period of activity from Zaqaria Qvariani to Eqvtime II Sharvashidze are known on the base of different written sources, documentary or other materials. So we should suppose Domenti Chkhetidze's activity between the period of Anton Matskvereli and Sivimon Gaenateli's reign, about 70-80-ies of XVI c., conditionally till 1603 year. Domenti Chkhetidze was mentioned in the fresco of Gelati Monastery, also in the inscriptions of processional cross of village Kursebi church, but these inscriptions are given without the date. In the case of Godogani's cross, we can guide the paleographic data of the inscription. The individual letters: A, E, I, G, D, F, Ts, reveals great likeness at first with the inscriptions of Chelishi desert church icon of Theotokos, Gelati Sokhasteri icon of Mother of God donated by Firan Mkhetsisdze, Mother of God icon donated by Qaikhosro Mkhetsisdze, the flag-cross of Chelishi Udabno monastery and the lower wing inscriptions of Nikortsminda Gospel chased cover. The time of the activity of the Mtskhedze is known to us - this is the I half of XVI c. The rest of the items name "King George" in their inscriptions. This is the King of Imereti Giorgi II, who reigned in the second half of the XVI c.

As shown in the material, the Godogani procession cross after the stylistic peculiarities and epigraphic data of the similar monuments belong to one period - XVI c. Consequently, the period of creation of Godogani Cross known to this time - XII c. or XVII c., should be determined as II half of XVI c.



ირინა უზრეხელიძე, ელისო ჩუპინიძე, ნონა ძარციძე  
ანა დოღონაძე, მარგალიტა მსხილაძე  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## ოქროვანი ოლარი – „მე ვარ ვენახი“ ქუთაისის ისტორიული მუზეუმიდან

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღვთისმსახურები-სათვის საჭირო საეკლესიო ქსოვილებს, რომლებიც გამორჩეულად მაღალმხატვრული დეკორი-რებით, მართლაც ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენენ. თითოეული მათგანი ერთგვარი სარკეა, რომელშიც არეკლილია ქართველი ოსტატების შემოქმედებითი უნარი, გემოვნება, ფანტაზია, ინდი-ვიდუალობა და შესრულების უზადო სრულყოფილება. ამ ძეგლებიდან ესთეტიკური ლირსებით გან-საკუთრებულად გამორჩეულია უნატიფესი ოსტატობით შესრულებული ღვთისმსახურთა სამოსის შემადგენელი ელემენტი – ოლარი (ქიმ № 6658), რომელიც მუზეუმში შემოსულია 1926 წ. ტყაჩირის კვირიკეს და ივლიტას სახელობის ეკლესიიდან.

ოლარი „ყელზე ჩამოსაცმელი, გრძელი და ვიწრო, ოქრომკედით ნაქაგრი ქსოვილია“ **[ქეგლ 1960:]** ის მკერდზე დაეფინება და ორივე ბოლოთი სამოსის არშიამდე ეშვება. ოლარის პირველსახე – საწყ-ისი ფორმა, ჯერ კიდევ ძველი აღთქმის ეკლესიაში არსებობდა განსაკუთრებული საბურველის (ხელ-მანდილის) სახით, რომლითაც ებრაელთა სინაგოგაში, კანონებისა და წინასწარმეტყველთა კითხ-ვისას, ამაღლებული ადგილიდან მიანიშნებდნენ – როდის წარმოეთქვათ „ამინ“. ძველ ქრისტიანულ ეკლესიაში ოლარი წარმოადგენდა ხელსახოც ტილოს, რომელსაც ყველა ქრისტიანი, ებრაელთა ჩვე-ვის მსგავსად, ლოცვის დროს, მხარზე იფარებდა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ღვთისმეტყველი ოლარის ორ ბოლოს ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს.

ტერმინი „ოლარის“ ეტიმოლოგიის ერთმანეთისაგან განსხვავებული ვერსიები არსებობს – ერთერთის თანახმად ოლარი (ბერძნულად ბράριოν) ლათინური სიტყვისგან „ორარე“ – ლოცვა, ვლოცულობა, არის წარმომდგარი; პატრიარქ თეოდორე ბალსამონის<sup>1</sup> მიხედვით სახელწოდება წარ-მომდგარია ბერძნული ზმინსაგან – „ორო“, რაც ნიშნავს თვალყურს ვადევნებ, ვუფრთხილდები; სხვა ვერსიის თანახმად წარმომდგარია ლათინური სიტყვისგან „ორარიუმ“ რაც პირსახოცს (ხელ-სახოც ტილოს), ლენტიონს აღნიშნავს.

წერილობითი წყაროებში ოლარი პირველად ლუკა მახარებლის (I ს.) ღვთისმეტყველებაში – „საქმე წმიდათა მოციქულთა“ გვხვდება, ხოლო უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ლეონტი მროველისა **[ქართლის ცხოვრება 1955:]** და გიორგი მერჩულეს **[მერჩულე 1949:]** თხზულე-ბებში გვხვდება.

ოლარს, ისევე, როგორც ღვთისმსახურებისათვის საჭირო ყველა ნივთს, გარკვეული სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. იოანე ბატონიშვილის განმარტებით „ესე არს სახე თოკისა მის, რომელი-ცა უფალს ჩუენს იესო ქრისტეს მოსდეს კისერსა ზედა... ხოლო ჯუარინი, მაზედა დაკიდებული, არს მომასწავებელი ჯუარისა, რომელიც იტვირთა თვით უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან და გამოგვიხსნა მით“ **[იოანე ბატონიშვილი 1910:]**.

ერთმანეთისაგან განსხვავებულია სადიაკვნე ოლარი (იგივე გინგილა) და სამღვდლე ოლარი (იგივე ეპიტრაქილი).

სადიაკვნე ოლარი, იგივე გინგილა, გარკვეული იკონოგრაფიული პროგრამით შემკული გრძელი,

<sup>1</sup> თეოდორე ბალსამონი - XII ს. ბიზანტიელი საეკლესიო მოღვაწე, ანტიოქიის პატრიარქი 1185–91 წწ.

ვინრო ქსოვილია. ის მსახურის მარცხენა მხარზე ღილითა და ღილკილოთია დამაგრებული სტიქარზე, ისე, რომ მისი ბოლოები თავისუფლადაა დაშვებული ქვევით. გინგილას მრავალგვარი სიმბოლური არსი და დატვირთვა გააჩნია: წმიდა გერმანე კონსტანტინპოლელი<sup>2</sup> მის სიმბოლურ მნიშვნელობას ასე ახასიათებს: „არდაგი, რითაც ღვთისმსახურებას ასრულებენ დიაკვნები, ცხადყოფს ქრისტეს სიმდაბლეს, რაც მან ფეხთაბანვის დროს აჩვენა“<sup>3</sup> [გერმანე კონსტანტინპოლელი 2000:] სხვა სიმბოლური გააზრებით, (იოანე ოქროპირის, სვიმეონ თესალონიკელის და სხვა წმ. მამათა ახსნის მიხედვით) გინგილა განასახიერებს იმ სულიერი ფრთის (ანგელოზის ფრთის) სიძლიერეს, რომლის მეოხებით ადამიანი სულიერად განიწმინდება, თავისუფლდება ცოდვილი მისწრაფებებისაგან – უხორცო ხდება, განასახიერებს ღვთის ნების აღსასრულებლად მზადყოფნას. გინგილა, ამასთანავე, განასახიერებს ღვთაებრივ მადლს, რომელიც დიაკონმა კურთხევის საიდუმლოთი მიიღო და უღელს – ჯვრის ტვირთვას, მსგავსად უფლისა; დიაკონის მსახურების ორმაგ ხასიათს – ღვთისა და ხალხისადმი; ძველსა და ახალ აღთქმას, მათ განუყოფლობას ქრისტეში.

გინგილაზე შვიდი ჯვარია დაკერებული, ნიშნად იმისა, რომ დიაკონი მსახურებს ეკლესიის შვიდივე საიდუმლოს აღსრულებისას.

გინგილის შესამოსი ლოცვაა: „წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა შენითა, ოსანა მაღალთა შინა“ [კონდაკი: 90]. ღვთისმსახურების დროს დიაკონი მარჯვენა ხელით აღამაღლებს გინგილის წინა ბოლოს, წარმოთქვამს კვერექსს (შეგპნყალენი), ამ ბოლოთი გადაისახვს პირჯვარს. ლიტურგის მსვლელობისას „მამაო ჩვენოს“ დროს, წმინდა საიდუმლოს აღსრულებაში მონაწილეობისთვის მომზადებისას დიაკონი გინგილით განსხვავებულად – მკერდსა და ზურგზე გადაჯვარედინებულად იმოსება, ხოლო ზიარების შემდეგ კვლავ მარცხენა მხარზე ჩამოიდებს მას.

მღვდლის და მღვდელმთავრის ოლარს – ეპიტრაქილს სახელი ბერძნული έπιτραχήλιον მიხედვით ეწოდა, ზუსტი თარგმანით ნიშნავს – რაც კისერზეა<sup>4</sup> (შესამოსელი).

წერილობით ძეგლებში ოლარი ეპიტრაქილის სახელწოდებით VIII საუკუნიდან გერმანე კონსტანტინეპოლელის „ეკლესიის ისტორიაში“ გვხვდება.

სამღვდლო ეპიტრაქილი დიაკვნის გინგილისაგან იმით განსხვავდება, რომ ორმაგადაა მოკეცილი, კისერზე შემოხვეული და მისი ორი კალთა წინიდან, წინსაფრის მსგავსად ეშვება ქვემოთ. კალთები შეკრულია ღილებით, ან შეერთებულია ერთმანეთთან ნაკერით. კომფორტულად მორგებისათვის ეპიტრაქილს ზედა ნაწილი თაღოვანი ფორმის აქვს – კისერზე ჩამოსადები ადგილი დავიწროებულია და მომრგვალებულია. ზოგ შემთხვევაში ეპიტრაქილი მთლიანადაჭრილია, ცალ-ცალკე კალთებისაგან არ შედგება და მოხმარების გაიოლების მიზნით, თავზე ჩამოსაცმელად ყელის ოვალური ჭრილი აქვს დამუშავებული (ამ სახის ეპიტრაქილების გამოყენება XVII ს-დან დაიწყეს).

ეპიტრაქილის წარმოშობა გინგილადან მომდინარეობს და უშუალოდ მასთანაა დაკავშირებული. ადრეულ პერიოდში მღვდელმთავარი დიაკონის მღვდლად კურთხევისას გინგილის უკან დაშვებულ ბოლოს მარჯვენა მხრიდან კისერზე გადმოადებდა („ვითარცა უღელს“) და მკერდზე გადმოაფენდა, ისე, რომ მისი ბოლოები მკერდზე კალთების მსგავსად იყო დაშვებული.

<sup>2</sup> წმიდა გერმანე კონსტანტინეპოლი – VIII ს. პიზანეგიელი საკლებით მოღვაწე, პატრიარქი, შერაცხულია წმინდანად.

<sup>3</sup> საიდუმლო სერობისას ქრისტემ პირსახოცი წელზე შემოირტყა, მოწაფეებს უქის დაბანა და შეუძლიადა ამ პირსახოცით. ასეთი საქციელით ქრისტემ თავმდაბლიობის, მაღალთა მიერ მდაბლების მსახურების მაგალითი მისცა მოწაფეებს, დაანახა თავისი სახე და მსახურება ქაცობრიობის სულიერი განწმენდის საქმეში [Наастольная книга].

<sup>4</sup> Επί- ზე, τραχήλος-კისერი; ბერძნულ წყაროებში გვხვდება სახელწოდების სხვა ვარიანტებიც; περιτραχήλιον – კისრის ირგვლივ (შესამოსელი) და შემოკლებული – πετρაχήλιον

ნმ. გერმანე კონსტანტინეპოლელის ლიტურგიულ განმარტებაში პირველად არის ახსნილი მისი სიმბოლური მნიშვნელობა „ეპიტრაქელიონი არის სახე ფაკელისა<sup>5</sup>, რომელიც კისერზე შემოახვიეს ქრისტეს და რომლითაც სანამებლად მიმავალ უფალს წინ ეწეოდა მღვდელთმთავარი. ეპიტრაქელიონის მარჯვენა მხარე ის ლერნამია, რომელიც მოკიცხარებმა მარჯვენა ხელში ჩაუდეს ქრისტეს. მარცხენა მხარე გულისხმობს ბეჭებით ჯვრის ტვირთვას“ [გერმანე კონსტანტინოპოლელი 2000:] სვიმეონ თესალონიკელის<sup>6</sup> მიხედვით მღვდლად კურთხევის დროს ოლარის უკანა ნახევრის კისერზე გადმოდების რიტუალი სიმბოლურად უღლის დადგმის აღმნიშვნელია, რაც ნიშნავს – ეპიტრაქილით მოსილი მღვდელი ღვთისადმი მსახურების უღელში ებმება, ამასთანავე ეპიტრაქილი ზეციდან გარდამომავალი სულინმინდის და ღვთის სასწაულის მადლია [Симеон Солунский 2013:]. აქედან გამომდინარე, ეპიტრაქილი მღვდლისა და მღვდელმთავრის, როგორც ღვთისმსახურის მადლმოსილების სიმბოლურ გამოსახულებას წარმოადგენს. ის დიაკვნის გინგილაზე ორმაგად აღმატებულ მადლს და ორმაგ უღლელს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ მღვდელი, ხელდასმისას, დიაკვნის მადლმოსილების შენარჩუნებით დამატებით ღებულობს გაორმაგებულ მადლს, რომლის საშუალებით მას ეძლევა უფლება და ეკისრება მოვალეობა ეკლესის საიდუმლოებების აღსრულებისას იყოს არა მარტო მსახური, არამედ საიდუმლოებების შემსრულებელიც. ეს არა მარტო ორმაგი მადლია, არამედ ორმაგი უღლელიცა და ორმაგი სულიერი ჯვარიც. ის მღვდელმა მთელი ცხოვრება უნდა იტვირთოს, მსგავსად უფლისა, რომელმაც ჯვარი იტვირთა, ადამიანთა მოდგმის ცოდვათაგან გამოსახსნელად. ეპიტრაქილი სიმბოლურად უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული წოდების აღმნიშვნელიცაა, მის გარეშე სასულიერო პირებს ღვთისმსახურების აღსრულება არ შეუძლიათ.

ეპიტრაქილს, თითოეულ კალთაზე (უმეტეს შემთხვევაში), აქვს სამ-სამი ერთნაირი ჯვარი (დიაკვნის გინგილის კისერზე შემოტარების და უკანა ბოლოს წინ ჩამოშვების შედეგად, შუა ადგილზე გამოსახული ჯვარი კისერზე მოექცევა, ხოლო დანარჩენი ექვსი წინ, ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩნდება განლაგებული). სიმბოლურად ეს იმას ნიშნავს, რომ დიაკონისაგან განსხვავებით, რომელიც ეკლესის შვიდივე საიდუმლოს (ნათლისლება, მირონცხება, აღსარება, ზიარება, ზეთისკურთხევა, ჯვრისწერა, მღვდლად კურთხება) აღსრულებისას მსახურებს, მღვდელს შეუძლია შეასრულოს ექვსი საიდუმლო. ჯვარი, რომელიც ეპიტრაქილის ჩამოვიდებისას კისერზე მოხვდება, აღნიშნავს არა მარტო იმას, რომ მღვდელი თავის თავზე იტვირთავს უფლის მსახურების უღლელს (ჯვარს), არამედ იმასაც, რომ მღვდლობის საიდუმლო მან მიიღო ეპისკოპოსისაგან და ის ემორჩილება ეპისკოპოსს, ამასთან მას არ აქვს უფლება აღასრულოს მღვდლად კურთხევის საიდუმლო<sup>7</sup>.

ეპიტრაქილით შემოსვისას წარმოითქმის ლოცვა: „კურთხეულ არს ლმერთი, რომელი გარდა-მოავლენს მადლსა თვისისა მღვდელმთავართა თავსა ზედა, ვითარცა ნელსაცხებელსა თავსა ზედა, გარდამომავალსა წვერთა ზედა აარონისათა, რომელი გარდამოვალნ სამხართა ზედა სამოსლისა მისისათა“ [კონდაკი: 91].

ოლარ-ეპიტრაქილისათვის დროთა განმავლობაში იქმნებოდა და ყალიბდებოდა იკონოგრაფიული პროგრამები, რომლებშიც ასახული იყო ნივთის სიმბოლური არსი. მის იკონოგრაფიაში დოგმატური ჯვრების გარდა სახოვანი და ორნამენტული გამოსახულებებიც ფიგურირებს. სახოვან გამოსახულებებში ჩვეულებრივ მოციქულები, მახარებლები, მღვდელმთავრები არიან მოცემული, ხოლო ორნამენტული გამოსახულება ყვავილების, მცენარეთა რტოების და ნაყოფების სტილიზებულ წნუ-

<sup>5</sup> ფაქელი – ძვ. თაქს სახვევი (საბა); „ერთს ამბავში ფაქელი ეწერა, მეორეში – თდარი, სხვისა და სხვის ნათარგმშია“.

<sup>6</sup> სვიმეონ თესალონიკელი – კონსტანტინეპოლელი საეკლესიო მოღვაწე, სალონიკის არქიეპისკოპოსი XIV ს.

<sup>7</sup> მღვდლად კურთხევის საიდუმლოს აღსრულების უფლება შეოღოდ ეპისკოპოზეს აქვს.

ლებს და მათ რიტმულ განმეორებას წარმოადგენს. მრავალფეროვანი ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტი სამოთხისეული ბალ-წალკოტის ალეგორიულ გამოხატულებას წარმოქმნის და ეპიტრაქ-ილზე ზეციურისა და მიწიერის ერთობლიობას განასახიერებს, სადაც ზეციური სიმბოლო ჯვარია, მიწიერი – მცენარეული დეკორი.

ეპიტრაქილის უძველესი გამოსახულება ქართული ხელოვნების ძეგლებზე X საუკუნიდან გვხვდება. მათგან ყველაზე ადრეულია სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი X საუკუნის ქვის ფილის (კანკელის ფილი) რელიეფზე გამოსახული ოლარი, რომლითაც შემოსილია სასულიერო პირი (სურ. 1), ასევე ატენის სიონის (XI ს.), უშგულის ლამარიას (XIII ს.), გელათის მონასტრის (XIII ს.) და სხვა ფრესკებზე ასახული წმ. მამათა, მღვდელმთავართა და ბერების ოლარები<sup>8</sup>.

მონუმენტური და მინიატურული მხატვრობის ძეგლებზე აღბეჭდილი ეპიტრაქილები უმეტეს შემთხვევაში ოქროქსოვილისაა, უფრო იშვიათად გვხვდება თეთრი და შავი ატლასის ეპიტრაქილები, რომლებიც ჯვრებთან ერთად ხშირად უხვადაა შემკული ძვირფასი ქვებით, ან დეკორირებულია ორნამენტული და სახოვანი გამოსახულებებით.

ნივთიერი მასალის სახით ჩვენამდე მოღწეული უძველესი ეპიტრაქილი ათონის ბენაკის მუზეუმში დაცული VIII ს-ის კოპტური ეპიტრაქილია, მასზე ფერადი აბრეშუმის ძაფებით ქერუბიმებია ამოქარგული. ჩვენს ქვეყანაში უძველესად ითვლება 1312 წ. მესხი აზნაურის ასულის თამარ ხერხემლისძის მიერ ანჩის ხატისა და ტაძრისათვის შენირული, ანჩელი ეპისკოპოზის იოვანესათვის დამზადებული, ლურჯი აბრეშუმის ქსოვილზე შესრულებული ოლარი, რომელიც მოგვიანებით (1358-1360 წნ.) ნათელა ჯაყელს, სამცხის სპასარალის ყუარყუარეს ასულს ომფორად გადაუკეთებია<sup>9</sup>. ანჩის საუნჯეთა აღწერილობის თანახმად ოლარს ამშვენებდა წარწერა: „ანჩის ხატსა და საყდარსა მისსა მოვახსენე და შევსწირე წმიდაი ესე ოლარი. დაუდე ანჩელსა ეპისკოპოსა მე თამარ ხერხემლის ძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისათვის და რაოდენიცა ეპისკოპოსნი იქმარებდეთ, ლოცვასა მომისხენებდეთ. ლმერთო, ახმარე ესე ოლარი ანჩელს იოვანეს და შემდგომად ძმათა მისთა მღვდელთ-მოძღვართა სათნოდ შენდა მწყემსობასა შინა. ქრონიკონსა ფლბ-სა“<sup>10</sup> [კარბელაშვილი 1902:], [დავითიშვილი 197:]. იგი ერთადერთი და ძალზე საყურადღებო ნიმუშია ქართული ნაქარგობის კლასიკური პერიოდისა, მის წარწერებში აღნიშნულია თარიღები, მოხსენებულია მისი შემქმნელის, გადამკეთებლის და რესტავრატორის სახელები და, რაც მეტად საგულისხმოა, მოხსენებულია სახელი დედოფლისა, რომელიც ჩვენთვის ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ქუთაისის მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ოლარი, ზომით 148×29,5 (სმ.), შესრულებულია შავი ხავერდის ძვირფას ქსოვილზე (სურ. 2). საქარგავ მასალად გამოყენებულია ორი სხვადასხვა ელფერის ოქრომკედი, რომელთაგან ერთ-ერთი ვერცხლისფერს დაიკრავს. ნიმუში ნაქარგობის შესრულების ტექნიკური ხერხების მრავალგვარობითაა გამორჩეული: კილოური სითვი, რომბული, წინვურა, თევზიფხური, კალათური, ირიბული და სხვა. ოლარი მთლიანადაჭრილია და არ შეიცავს ღილებით ერთმანეთთან შეერთებულ ორ კალთას, რის გამოც მასზე წარმოდგენილი გამოსახულება ტრადიციული სიმეტრიულობით არ ხასიათდება. თავისი იკონოგრაფიული პროგრამა-შემადგენლობით ნივთი არაჩვეულებრივად მდიდარი და ტიპურად ქართულია, რადგანაც მის კომპოზიციაში – „მე ვარ ვენახი“, დომინირებული ვაზი არსად, არც ერთი ერის ყოფასა და აზროვნებაში არ არის ისეთი გაიდეალებული და მნიშვნელოვანი, როგორც ქართველთა ხასიათში, სულიერ ღილებებსა თუ მატერიალურ კულტურაში.

ნივთისგან მიღებული ესთეტიკური შთაბეჭდილება ძლიერდება გასაოცარი ოსტატობით შეს-

<sup>8</sup> დასახელებული ოლარების ფორმა თავდაპირველი სახისაა (ფორმაუცვლელი სადიაპვნე გინგილა), რომლის უკანა ნახვარს, მდვდლად ხელდასმისას, მდვდელმთავარი კისერზე შემოტარებით წინ გადმოაფენდა.

<sup>9</sup> ნივთი ამჟამად დაცულია შ. ამირანაშვილის ხელიფერების მუზეუმში.

<sup>10</sup> ნაქარგობას ამჟამად ეს წარწერა აღარ გააჩნია.

რულებული, უალრესად დახვეწილი ორნამენტული დეკორით. გარეგანი სილამაზით მთლიანად ასახულია ნივთის სულიერი შინაარსი. ნატიფი შემკულობით ლაკონურადაა გადმოცემული მისი კანონიკური დანიშნულება და სიმბოლური არსი. ოლარი დიდი რუდუნებითა და ვირტუოზული ოსტატობით შესრულებული ხელოვნების ნაწარმოებია, რომელიც თავადვე მეტყველად გვიამბობს შემსრულებლის გემოვნებასა და მის სილრმისეულ განათლებაზე – ქრისტიანული სიმბოლიზმის, სახარებისეული ისტორიებისა და დოგმატიკის საფუძვლიან ცოდნაზე.

კომპოზიცია ყურძნის მტევნების, ვაზის ფოთლების, ლერწებისა და დახვეული ულვაშებისგანაა შედგენილი. ვაზის ლერწების ოთხ რომბულ მედალიონში ვერცხლმკედით შესრულებული წყვილი ყურძნის მტევნებია განლაგებული. ტრადიციულად მიღებული შვიდი ჯვრის ნაცვლად ოლარზე მხოლოდ ოთხი ჯვარია გამოსახული. ერთი ჯვარი ქედზე – კისრის საკიდის ცენტრშია განლაგებული. კალთაზე ზედა ჯვარი მედალიონებს შორის, ოქრომკედით შესრულებულ, შედარებით პატარა მტევნების შუაშია ჩასმული. ცენტრალური ჯვარი ერთ-ერთ მედალიონში მტევნებს შორისაა გამოსახული. ხოლო ქვედა ჯვარი ოლარის ბოლოზე დატანებული ჰორიზონტალური ხაზების თავზე, მოზრდილ მტევნებს შორისაა მოთავსებული. თავისუფალი არე ვაზის ფოთლებითა და გრეხილი ულვაშებით არის შევსებული. ოლარი ბოლოვდება სიმბოლური შინაარსის მქონე განივი ხაზებით, რომელთა შორის შროშანის ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტია ჩასმული. მის ქვედა ნაპირს ლოტოსი ამშვენებს, რომლის ორთავ მხარეს ზამბახის ყვავილებია გამოსახული. კომპოზიციას დასრულებულ იერს ანიჭებს ნაპირებზე ჩარჩოდ შემოვლებული სუროს ღეროს ხვით შეკრული შროშანის ყვავილწნული. ფოთლოვანი წნულისგან შედგენილი ტალლოვანი მოჩარჩოება ამშვენებს ოლარის კისრის და ყელის ნაპირს.

შეუძლებელია ხაზი არ გავუსვათ სიმბოლოებსა და მინიშნებებს, რომლითაც დატვირთულია ნიმუშის კომპოზიცია. საზოგადოდ საეკლესიო ნაქარგობაში შემთხვევითი ორნამენტული დეკორი არ გვხვდება და ყველაფერი მჭიდროდაა დაკავშირებულია იმ დოგმატიკასთან, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოებაში დგევს. მცენარის ნაყოფის, ყვავილის ან ფოთლის სახეები კონკრეტული სიმბოლური ინფორმაციის მატარებელია. ნაყოფის, ყვავილის ან ფოთლის რაოდენობა ჩვეულებრივ დაკავშირებულია რიცხობრივ სიმბოლიკასთან.

ნიმუშის იკონოგრაფიაში დომინირებული ყურძნის მტევნების, ვაზის ფოთლებისა და ლერწის გამოსახულება ღრმად ქრისტიანული სახე-სიმბოლოა და უმნიშვნელოვანესი დატვირთვის მატარებელია. ის – ღმერთის და ადამიანის ერთიანობის სიმბოლოს წარმოადგენს. ყურძნის მტევნანი სულიერი სიცოცხლის, ხსნისა და აღორძინების მანიშნებელია, ის ერთდროულად განასახიერებს ნაყოფიერებას და მსხვერპლს – უფალი კაცობრიობის ხსნისათვის დაინურა ჯვარზე, როგორც მტევნანი. ვაზი ევქარისტიის საიდუმლოს სიმბოლოა და ყურძნის მტევნები ზიარებისა, ვინაიდან მისგან მზადდება სისხლისფერი ღვინო, რაც მანიშნებელია, ევქარისტის საიდუმლოს აღსრულებისას, ღვინის ქრისტეს სისხლად გარდაქმნისა. ვაზი ჭეშმარიტება და სიმართლეა და თავად მაცხოვრია: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, მამაჩემი კი მევენახეა“ (იოანე 15:1) – ამბობს იესო. ვაზის ყლორტები ქრისტეს მოციქულებია. გარდა ამისა, ვაზის ჯვარი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმნიმნიშვნელოვანეს სიმბოლოს წარმოადგენს, ის არის ხსნა ქართველი ერისა, რადგანაც წმ. ნინომ თავისივე თმით შეკრული ვაზის ჯვრით განახორციელა მოქცევა ქართლისა. ამასთან, ქრისტიანულ ღმრთისმ-ეტყველებაში ვაზი მხოლოდ მაცხოვრის სახე-სიმბოლო როდია, ასევე გვხვდება ღვისმშობელთან მიმართებაშიც. ერაერთ საგალობელში გვხვდება წმ. ქალწულისადმი მიმართვა: „მიმადლებულოვენახო“, „რქა ვენახისა საუფლოისა“, „შენ ხარ ვენახი ჭეშმარიტი“; დემეტრე მეფემაც (ბერობაში დამიანე) ხომ ღმრთისმშობელს უძღვნა უკვდავი საგალობელი:

„შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,  
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,  
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,  
ღმერთმა შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული  
და თავით თვისით მზე ხარ გაპრწყინებული“.

მარიამ ღვთისმშობელთან ასოცირდება, ასევე, შროშანის ყვავილები, რომლებიც ჩასმულია მედალიონების გარეთ – თავისუფალ არებში, ქვედა ჰორიზონტალურ ხაზებს შორის და ოლარის მოჩარჩოების ტალღოვან ორნამენტში. შროშანის თეთრი ყვავილები წმინდა ქალწულის სისპეტაკის, უბინოების და თავდამბლობის სიმბოლოა; მისი სურნელება – ღვთისმშობლის ღვთიურობას განასახიერებს. შროშანის თავდახრილი ყვავილები ამასთანავე მწუხარების სიმბოლოცაა, რადგანაც ღვთისმშობლის მიერ ჯვარცმული ძისათვის დაღვრილი ცრემლებიდან ამოსულია.

ქვედა ორ მედალიონში ორი ფესვმაგარი ხის გამოსახულებაც გვხვდება შეფარულად, რაც „სიცოცხლი ხესთან“ ასოცირდება. სიცოცხლის ხე სულიერ სიცოცხლეს წარმოადგენს და მისი ნაყოფი უკვდავებას ანიჭებს. მეორეს მხრივ, იგი აღდგომის სიმბოლოცაა, რადგან ქრისტეს, ხის ჯვარზე სიკვდილით, მოაქვს განახლება. ზოგადად, ხის სიმბოლიკა ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმთავრეს ნივთს – ჯვარს უკავშირდება და ორივე ცხონების მომასწავებელია. ეპიტრაქილზე ორგზის გამოსახული ხე მაცხოვრის ორბუნებოვანებაზე – ღვთაებრივსა და კაცობრივ ბუნებაზე მინიშნებაა.

კომპოზიციაში, ცენტალურ ღერძზე, ლოტოსის ყვავილის სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული სტილიზებული გამოსახულებებიც არის წარმოდგენილი. ქრისტიანულ ხელოვნებაში ლოტოსის, იგივე წყლის შროშანის სიმბოლურობა ძალზედ ვრცელია. ის სრულყოფილების სიმბოლოა, ადამიანის სულიერი ზრდის მიმანიშნებელია და ამიტომ გამოხატავს სულის უნარს, ერთგვარ ნიჭს – მიაღწიოს ღვთაებრივ სრულყოფას. სპეტაკი ლოტოსის ყვავილი უფლის უბინოდ შობის სიმბოლოცაა. ამავდროულად ის წყაროა კოსმიური სიცოცხლის, ყველა სულიერი შეწევნისა და აღორძინების, განსახიერებაა მზისა და სინათლის. ფორმის გამო ლოტოსი ბარძიმის სიმბოლოდაცაა მიჩნეული. ეპიტრაქილზე მისი სამგზის გამოსახვა წმინდა სამებაზე მინიშნებაა.

ეპიტრაქილის ქვედა ნაპირთან, ლოტოსის ორთავ მხარეს გამოსახული ზამბახის სტილიზებული ყვავილი თავისი მნიშვნელობითა და არსით გაიგივებულია შროშანთან, მაგრამ ამავდროულად მშვენიერების, ამაღლებულობისა და ოცნების სიმბოლური დატვირთვის მატარებელიც არიან.

ეპიტრაქილის საერთო კომპოზიციაში ჩართული სამყურა ფოთლები ერთიანობისა და ჰარმონიის ერთ-ერთი უძველეს სიმბოლოდაა მიჩნეული. ქრისტიანულ რელიგიაში ის წმინდა სამებას განასახიერებს. სამყურას ფოთლები იკონოგრაფიაში ხშირად გოლგოთის მთაზე, მაცხოვრის ჯვარცმის დროს ამოსულ სამფურცლოვან მცენარე მირტასთან არის გაიგივებული, მირტას იმედის, მარადიული სიცოცხლის, მაღალი სულიერებისა და სიმშვიდის სიმბოლური დატვირთვაც მიეწერება.

კომპოზიციაში აქა-იქ ჩართული განსხვავებული ფორმის ფოთლები მუხის ფოთლებს უნდა წარმოადგენდეს, რასაც შესაბამისი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ქრისტიანულ სიმბოლიზმში მუხა არის რწმენა და სათნოება; აღმნიშვნელია თავად ქრისტესი, როგორც ძალისა, რომელიც რწმენის სიმტკიცეში, განსაცდელსა და უბედურებაში გამოვლინდება.

სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, ასევე, ეპიტრაქილზე არშიად შემოვლებული სუროს ყლორტების ხვია, ისინი სულის მარადიული სიცოცხლის ალეგორიული გამოხატულებაა.

ყვავილებისა და მცენარეების ყველა ეს მრავალსახეობა ვაზის ლერწებიდანაა ამოზრდილი, ანუ ერთი მცენარის ნაყოფს წარმოადგენს, რაც უდავოდ ზეციურ სამოთხეში „სიცოცხლის წყა-

როსთან“ მდგარ მრავალთესლოვან მითოლოგიურ ხეზე – „ძელი ცხოვრებისაზე“ მინიშნებას წარმოადგენს.

ასეთი მრავალფეროვანი ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტი ძალზე ხშირად გვხვდება ზოგადად ქრისტიანულ ხელოვნებაში და კერძოდ, ნაქარგობის იკონოგრაფიულ პროგრამაში. ქრისტიანული თვალთახედვით უხვი მცენარეულ ორნამენტი სიმბოლოა სასუფევლის ბალისა და ასევე, ასოცირდება „სიცოცხლის ხესთან“. ეპიტრაქილის ორნამენტული დეკორის შეფარული, ღრმად გააზრებული ალეგორიები შინაარსობრივად ასახავს ბიბლიურ სიუჟეტებს, აქ შეფარვით ერთდროულად წარმოდგენილია სხვადასხვა სახარებისეული სიუჟეტები: „მე ვარ ვენახი“, „ზიარება“, „მსხვეპლშენირვა“, „შობა“, „აღდგომა“, მოცემულია ასევე სულის მარადიული სიცოცხლის იდეა და ყველაფერთან წმინდა სამებისა და ღვთისმშობლის თანადასწრება. ოლარზე მოცემული სიმბოლური წიშნები და თემები ეხმიანება მაცხოვრის ვნებებს, რითაც თავად წივთის კანონიკურ დანიშნულებასა და სულიერ შინაარსის ხაზგასმაზე მიუთითებს. ასეთი ალეგორიული მინიშნებებით დამატებით აღნიშნულია, რომ ოლარ-ეპიტრაქილი, სიმბოლურად, ქრისტეს ვნების მთავარი იარაღი – ჯვარია, რომელის მაცხოვრის დარად საკუთარ მხრებზე უნდა იტვირთოს ღვთისმსახურმა, მაგრამ ის ამავდროულად ზეციდან გადმომავალი სულიწმინდის და ღვთის სასწაულის უდიდესი მადლია, რომლის მეშვეობით ღვთისმსახურ ევქარისტიის საიდუმლოს აღასრულებს, მაღალი სულიერებით „სიცოცხლის ხის“ ნაყოფს იგემებს და სულის მარადიულ სიცოცხლეს მოიპოვებს.

#### ლიტერატურა:

- ქეგლ 1960:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ VI 1960.
- ქართლის ცხოვრება 1955:** ლეონტი მროველი „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და წეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955.
- მერჩულე 1949:** ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949
- იოანე ბატონიშვილი 1910:** იოანე ბატონიშვილი, „ხუმარსწავლა“ (კალმასობა), ტ.I თბ., 1990, ტ. II, თბ., 1991.
- გერმანე კონსტანტინოპოლელი 2000:** საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭვრეტა. გაზ. „საეკლესიო სიწმინდენი“, № 1, მაისი, 2000.
- Симеон Солунский 2013:** О священных обрядах и таинствах церкви. Изъяснение Божественной Литургии. Историческое, доктринальное и таинственное Благовест, 2013 г.
- კარბელაშვილი 1902:** ძველი ანჩისხატის ტაძარი. ტფილისი, 1902.
- დავითიშვილი 1970:** ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუშები „ძეგლის მეგობარი“, 1970, კრ. 22.

IRINA UGREKHELIDZE, ELISO CHUBINIDZE, NONA KARTSIDZE,  
ANA DOGHONADZE, MARGALITA MSKHILADZE  
*Kutaisi State Historical Museum*

## GOLDEN STOLE FROM THE KUTAISI HISTORICAL MUSEUM

There are about 900 examples in Textile fond in Kutaisi State Historical Museum. Impressive embroidery materials contain ecclesiastic items. Particularly important is the Golden Stole. It is an ecclesiastical vestment consisting of a narrow strip of silk or other material worn over the

shoulders or, by deacons, over the left shoulder only, and arranged to hang down in front to the knee or below. The embroidery is performed by hand with gold and silver threads.

There are two types of stoles: the deacon's stole (Gingila) and the priest's stole (Epitrachelion). The priest's epitrachelion consists of a long strip of cloth, hung around the neck with the two strips fastened together in front, either by buttons or by stitching. The epitrachelion comes down in front almost to the hem of his robes, and is symbolic of the priest's "anointing". Traditionally—though not necessarily—the epitrachelion will have seven crosses on it: six in the front (three on each side) and one on the back of the collar. A deacon wears an orarion which simply passes over the left shoulder, the two ends of which hang straight down, one in the front and one in the back, coming down almost to the hem of his sticharion.

The ancient pattern of the epitrachelion in Georgia is found in the area of Sokhumi(pic.1). It dates X c.

The size of the stole which is preserved in Kutaisi Historical Museum is 148×29,5 cm. It is made of black velvet precious fabric. The stole is decorated with vine and various flowers and plants ornaments (lily, iris, ivy). Each of them is symbolic.



სურ.1.



სურ.2.

ელისო ჩუპინიძე, ანა დოლონაძე  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## ოდიპეპი პრუშის მონასტრიდან

იმერეთის ისტორიული ძეგლების აღწერისას ჯრუჭის მონასტრის სიძველეთა ჩამონათვალში გ. ბოჭორიძე ასახელებს „ორ ცალ ოდიკს.“ აქვეა მოცემული ცნობა იმის შესახებ, თუ რომელ სიძველეთსაცავშია ჩაბარებული ეს ნივთი მისივე საინვენტარო ნომრით – ქ.14. ე.ი. ქუთაისის ისტორიული მუზეუმი №14. ნივთები ამჟამადაც დაცულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში. აქვს, როგორც შემოსულობათა ახალი 6705<sup>1</sup> და 6705<sup>2</sup>, ისე ძველი ი.14° და ი.14° ნომერი, რომელიც სრულიად ემთხვევა გ.ბოჭორიძის მიერ ჯრუჭის მონასტრის სიძველეთა ჩამონათვალში დაფიქსირებულს.

ოდიკი წარმოადგენს საეკლესიო დანიშნულების სელის, ბამბის ან აბრეშუმის მართვულხა ნაბეჭდ ქსოვილს, წმინდა ნივთს, რომელიც იხმარება ლიტურგიული მსახურებისას. მასზე გამოსახავენ „დატირების“ ან „კუბოთდების“ კომპოზიციების სხვადასხვა ვარიანტებს, ხოლო კუთხეებში – ოთხ მახარებელს მათეს, მარკოზს, ლუკას და იოანეს ან მათ სიმბოლურ გამოსახულებანს, ნიშნად იმისა, რაც ნათქვამია მახარებლებზე: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი“. ქვეშ წარწერა აქვს, რომელმა ეპისკოპოსმა როდის და რომელი ეკლესიისათვის აკურთხა იგი და რომელ მღვდელს გადასცა. ამით მღვდელმთავარი გადასცემს თავის ძალასა და კურთხევას თითოეულ ტაძარს. სიმბოლურად ოდიკი მაცხოვრის კუბოსა და წამებულთა სამარხებს გამოხატავს, რომლებზედაც აღესრულებოდა ლიტურგია | საუკუნეში.

ლიტურგიაში ოდიკი გააზრებულია როგორც არდაგი: „...წმინდა ტრაპეზი აღნიშნავს მტილსა, ოდიკი – თვით საფლავსა... ოდესცა გარდამოტანილნი ძლუენნი დაიღმიან წმინდასა ოდიკსა ზედა, მაშინ გამოიხატების დაფვლა ყოვლადწმინდისა გვამისა იესოსი“<sup>3</sup> სწორედ ამიტომაა ოდიკზე განპირობებული ტრადიციულად „დატირებისა“ და „კუბოთდების“ კომპოზიციების გამოსახვა. სულხან-საბას განმარტებით, ოდიკი არის „წმინდა ბარძიმის ქვესაფენი... წმიდის ზიარების ქვეშ საფენი, კურთხეული, თეთრი“. <sup>4</sup> დ. ჩუბინაშვილი ოდიკს „ტრაპეზზე გასაშლელ გარდამოხსნას უწოდებს, რომელზედაცა აღესრულების სალუთო ჟამის წირვა“<sup>5</sup>. კორნელი კეკელიძის აზრით, ოდიკი „არს საგზაური მიმოსალებელი საკურთხეველი“<sup>6</sup>.

ბერძნულად ოდიკს ანტიმინსი ჰქვია და ნიშნავს – ტრაპეზის ნაცვლად (ანტი – ნაცვლად, მინსიონ – მაგიდა, ტრაპეზი). იგი წმინდა ნივთია და ცვლის ტრაპეზს. ამიტომ მასზე შესრულებულ წარწერებში ტრაპეზად იწოდება: „ესე ოდიკი რომელ არს ტრაპეზი განწმენდილი შესანირავად უსისხლოსა მსხვერპლისა...“ ქართულში იხმარება ტერმინი ოდიკიც და ანტიმინსიც<sup>7</sup>.

ოდიკების შემოღება პირველი ქრისტიანების დევნის პერიოდს მიეკუთვნება, როდესაც იუდეველები და წარმართები სასტიკად დევნიდნენ მათ. ისინი განსაკუთრებული სიმაგრით ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ღვთის ტაძრებს. ვინაიდან ევქარისტიის საიდუმლოებათა შესრულება ტრაპეზის გარეშე არ შეიძლებოდა, შემოღებულ იქნა ტრაპეზის თავისებური შემცვლელი – ანტიმინსი, ოდიკი.

<sup>1</sup>. სცაცია მომზადდა შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის

„ჯრუჭის მონასტრის ისტორიის ფუნდამენტური კვლევა და მისი საგანძურის სამეცნიერო კატალოგიზაცია“ ფარგლებში ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით.

<sup>2</sup>. გ. ბოჭორიძე, „ომერეთის ისტორიის ძეგლები ქვები“. გვ.237.

<sup>3</sup> მოკლე განმარტება ლიტურგიის. შეკრებილი გრიგოლ მანსკეტოვის მიერ. გარდმოთარგმნილი არს ცფილისის საკათედრო სიონის სობორის მღვდლისა გრიგოლ ცამცევას მიერ. ოფ., ჩყნ (1852) წელსა, გვ.102.

<sup>4</sup>. სულხან-საბა თბებელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ.1. თბ., 1966.

<sup>5</sup>. დ.ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ. 1984.

<sup>6</sup>. კეკელიძე. კ. დ. დევნე-გაუზინის ახალი ისტორიული კატალოგიზაცია. თბ., 1912. გვ.84.

<sup>7</sup>. კ. სულხანიშვილი. „ფერადი ოდიკების შემნავლისათვის“. ნარკევები V, გვ.136-148;

ე. ი. ოდიკი იგივეა, რაც ტრაპეზი, ზოგიერთ შემთხვევაში ცვლის მას და ლიტურგიის დროს ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ოდიკი ტრაპეზის ნაცვლად წარმოადგენს უსისხლო სამსხვერპლოს, ვინაიდან მასზე შესრულებული ევქარისტია უსისხლო მსხვერპლია. მის მნიშვნელობაზე საუბრობს მოციქული პავლე ეპისტოლეებში<sup>8</sup>, როდესაც იგი ქრისტეანთა და ებრაელთა სამსხვერპლოებს ადარებს ერთმანეთს: „მაქვს ჩვენ საკურთხეველი, რომლისაგან ჭამად ვერ ხელ-ენიფების, რომელნი-იგი კარავსა მას მსახურებენ.“ რადგან ოდიკი სამსხვერპლოს – ტრაპეზს უტოლდება, მასში აუცილებლად უნდა იყოს წმინდა ნაწილები. ტრაპეზზე წმინდა ნაწილების არსებობაც სათავეს იღებს პირველი ქრისტიანების დევნის დროიდან, როდესაც კატაკომბებში წმინდანთა სამართები ლიტურგიის დროს ასრულებდნენ ტრაპეზის მოვალეობას. IV საუკუნიდან, როცა უკვე ქრისტეანებს საშუალება მიეცათ აეშენებინათ ტაძრები, ძველი წესის თანახმად იწყეს ახალტაძრებში წმინდა მოწამეთა ნაწილების გადატანა. რადგან ყველა ეკლესიას ვერ გასწვდებოდა წმინდანთა ნაწილები, მათ შეცვალეს ძველი ტრადიცია და დიდი ნაწილების ნაცვლად დაიწყეს ერთი პატარა ნაწილის გამოყენება. ოდიკებზე უკანა მხარეს, ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას მიკერებულ პატარა ჯიბაკში ერთ პატარა ნაწილს დებდნენ<sup>9</sup>.

მართალია ოდიკები ქრისტიანობის პირველივე წლებში არსებობდა, მაგრამ წერილობით წყაროებში მხოლოდ VIII საუკუნის დასასრულსა და IX ს.-ის დასაწყისიდან ჩანს. თეოფანე აღმსარებელი 762 წელს „ქრონოგრაფიაში“ ახსენებს ოდიკას: როდესაც რომის იმპერატორი ლეონი შვილთან, ახალგაზრდა კონსტანტინესა და პატრიარქთან ერთად გამოვიდა ხალხის წინაშე იპოდრომზე, კონსტანტინეს იმპერატორად გამოაცხადებს და იქვე გადაწყვეტს მის კურთხევას. მოიტანეს ანტიმინსი, პატრიარქმა ალავლინა ლოცვა და შემდგომ იმპერატორმა გვირგვინი დაადგა კონსტანტინეს<sup>10</sup>. ცხადია, რომ ანტიმინსნი იგულისხმება ბერძნების მოარული საკურთხეველი<sup>11</sup>.

ოდიკი თავსდება ტრაპეზზე. უოდიკოდ წირვის ჩატარება დაუშვებელია. იგი ნახევრად ისხნება მჩობლი კვერექსის, ხოლო სრულიად კათაკმეველთა კვერექსის დროს და იყეცება ზიარების შემდგომ სამადლობელი კვერექსისას. ოდიკის არსებობა ტრაპეზზე ნიშნავს, რომ „ტრაპეზზე უხილავად ესწრება მწყალობელი უფალი ღმერთი, რომელიც განუყოფელია თავისი შემოქმედისაგან და არ ერევა და არ ერწყმის მას“<sup>12</sup>. ამიტომ ოდიკს დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული. მას აფარებენ ტრაპეზზე და ლიტურგიის მეორე ნაწილში – ლიტურგია კათაკმეველთათვის, მსახურების დროს ხსნიან სამი მხრიდან. გასაშლელი რჩება მხოლოდ ზედა ნაწილი, რომელიც მოგვიანებით იხსნება. დაკეცვისას კი ჯერ ზედა ნაწილი იკეცება, შემდეგ ქვედა, მერე მარცხენა და ბოლოს, მარჯვენა მხარე. ასეთი ნაკეცები ამჟამადაც ეტყობა მუზეუმში დაცულ ოდიკებს, დაზიანებაც ძირითადად გადაკეცვის ადგილზეა. ოდიკი გახვეული იყო სხვა საგანგებო სელის ან აბრაშუმის ქსოვილში, რომელსაც „ილიტონს“ უწოდებდნენ. ილიტონი ბერძნული სიტყვაა და შემოსახვევს ნიშნავს. მასზე ნარწერა ან გამოსახულება არ არის. სვიმონ თესალონიკელის განმარტებით: „ილიტონი ნარმოადგენს იმ დასამარხი სუდარის სიმბოლოს, რომელშიც მაკხოვრის თავი იყო შესუტორული“<sup>13</sup>. ილიტონად იწოდება ასევე მაკხოვრის სამარხი სამოსიკ<sup>14</sup>.

ოდიკები, როგორც ტრაპეზი სჭირდებოდათ მოგზაურობისა და ლაშქრობების დროს: სპარსელებთან ომის დროს იმპერატორ კონსტანტინე დიდს (285-337 წ.) ჰქონდა მოაული ეკლესია, რათა მასში შესრულებულიყო გამარჯვების მომტანი ღმერთისადმი სადიდებელი ლოცვები და უსისხლო მსხვერპლშეწივა. კონსტანტინე ფიდის მიბაძვით ყოველ რომაელ ლეგიონს ჰქონდა მოაული

<sup>8</sup>. I. Հորսնութեալտա. X. 18-21; Ղծրսայլտա. XIII.10

<sup>9</sup> მუზეუმის კოლექციაში დაცულ ღია გვერდზე, სანაწილე ჯიბაპში სანთლის ცვარა მოთავსებული, მაგრამ ასეთი ძალიან მცირე როგორც იმით, რომ ის ათვის მასში წმინდა ნაწილების ნაკვლად მიწონში დასველებული იღუბელია.

<sup>10</sup>. Кекелидзе К.С. Древне-Грузинский архиератиконы. Тиф. 1912. с. 135.

<sup>11</sup> 2. სულხანიშვილი, „ფრთადი თოი გაბის შესწავლის უთვესი“, ა.3.137.

<sup>12</sup> Настольная книга священнослужителя. Т. IV. М. 1983 с. 46.

13. od32

14. odde

ეკლესია, მას კი სჭირდებოდა მოარული ტრაპეზი, სამსხვერპლო, რომელიც ოდიკს შეესაბამისებოდა<sup>15</sup>. მოგზაურობის დროს დასავლეთის ქვეყნებში იხმარებოდა მოარული ტრაპეზი, ხოლო აღმოსავლეთში – ანტიმინისი. მოარული ტრაპეზი მზადდებოდა ხის, ქვისა და ლითონისაგან ოთხკუთხედი ან ოვალური ფორმის, რომლის ზედაპირი იმ ზომისა უნდა ყოფილიყო, რომ მასზე დატეულიყო პარძიმი და ფეშუმი. მოარულ ტრაპეზზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო წმინდა ნაწილები. აღმოსავლეთის ქვეყნებში ოდიკი იყო ხის თხელი ფირფიტის ან სელის ქსოვილის. სვიმონ თესალონიკელის მიხედვით ისინი მზადდებოდა „სელის ქსოვილისაგან, რადგან ეს ქსოვილი გვაგონებს მაცხოვრის ტანჯვასა და კუბოთდებას, რომელიც განხორციელდა მინაზე და მიწისაგან, რადგანაც სელი მიწიდანაა, როგორც მაცხოვრის კუბი იყო მინაზე“<sup>16</sup>. ქვისა და ხის ოდიკი საბოლოოდ შეიცვალა ქსოვილის ოდიკით, რადგან ქსოვილი უფრო ტრანსპორტაბელურია. XVII-XVIII სს-დან სელისა და ბამბის გარდა ჩნდება აპრეშუმის ქსოვილის ოდიკებიც. რუსეთსა და შემდგომ საქართველოში ბეჭდვითი საქმის განვითარებასთან ერთად დამკვიდრდა ხეზე გრავირება და დაინტერიერირება ბეჭდვაც. XVII საუკუნიდან ჩნდება ქალალზე ნაბეჭდი ოდიკებიც. ამ ოდიკებზე კომპოზიცია ერთფერშია შესრულებული. საბეჭდავით ბეჭდვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა: მისი ზედაპირი იფარებოდა სალებავით, ზემოდან იდებოდა ქსოვილი, რომელიც წინასწარ შერჩეული და გამზადებული იყო დასაბეჭდად, შემდეგ კი მასზე გადაატარებდნენ საგორავს. საგორავის მოძრაობა უნდა მომხდარიყო ნელა, მონოტონურად, თავდაპრველად ერთი და იგივე მიმართულებით, რადგან ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ ქსოვილი ოდნავადაც არ დაძრულიყო ადგილიდან. ქსოვილის მოძრაობის შემთხვევაში ნაბეჭდიც უხარისხო გამოდიოდა.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხის ფონდში დაცულია ოდიკის ხის კლეშე (3225), 4,5X38,56; ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სამუზეუმო კოლექციაში იგი 1917 წელს ჯრუჭის მონასტრიდანაა შემოსული.

მუხის ხის ოთხკუთხა მოგრძო ფიცარი, რომლის ზედაპირზე ამოტვიფრულია „დატირების“ კომპოზიცია, ოთხივე მხარეზე შემოსდევს ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა. როგორც წარწერიდან ჩანს, ოდიკის კლიმები მოუჭრია მარკოზ მღვდელს ცხუკვეთში (ჭიათურის რაიონი) 1755 წელს, ანტონ I კათალიკოსობის დროს, თეიმურაზ II-ისა და მისი ძის ერეკლეს სახსენებლად, როცა იმერეთში სოლომონ I მეფობდა.

როგორც აღნიშნეთ, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ იდიკებს შორის აღსანიშნავია ორი ოდიკი, შემოტანილი ჯრუჭის მონასტრიდან 1925 წელს გიორგი ბოჭორიძის მიერ. მათზე გამოსახულია „დატირების“ კომპოზიციის სხვადასხვა ვარიანტი.

**ოდიკი ქიმ.6705,1 ძვ.№ ი.14ბ, 46 X 60 სმ,** ნაბეჭდია ბამბის ქსოვილზე, მთელი არე „დატირების“ კომპოზიციას აქვს დათმობილი, რომლის მოჩარჩოება ძირითად სიუჟეტთანაა შერწყმული. მოჩარჩოების კუთხეებთან წრიულ ფორმებში გრავირებულია მახარებლები მათ სიმბოლურ გამოსახულებებთან ერთად. მათ შარევანდებზე პიროვნებების აღმნიშვნელი წარწერებია: **მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე.** ცენტრალული ნაწილის ზედა რეგისტრში გოლგოთის ჯვარია ხის დაფით, რომელზედაც წარწერაა „იესო ქრისტე მეუფე ჰესუს“. ჯვრის ირგვლივ ბერძნული დაქარაგმებული წარწერაა: „იესო ქრისტე ძლევა“. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე მაცხოვრის ეკლის გვირგვინია ოთხ სამსჭავლთან ერთად, ხოლო ჯვრის მკლავებს ქვემოთ ანგელოზთა ფიგურებია. კომპოზიციის მარცხენა ნაწილში გამოსახულია ძელი (ბოძი), რომელზედაც მაცხოვარი საბელით მიაკრეს და გაშოლტეს. აქვე ვხედავთ სიმბოლური დეტალებს, რომლებიც მიანიშნებენ მაცხოვრის ვნებაზე – დაწყებული იმ პერიოდიდან, როცა ქრისტე სტუმრობს სვიმონ მოგვის სახლს და მასთან მიდის მარიამ მაგდალინელი ძვირფასი ნელსაცხებლებით (**მათე 26,12.**). სანელსაცხებლე სურა სწორედ ამ მომენტის აღსანიშნავად არის გამოსახული. ძელის თავზე მამლის ფიგურაა, პეტრეს მიერ მაცხოვრის სამგზის უარყოფის ნიშნად. ძელზე ჩამოკიდებულია ქისა, რომელზედაც ციფრით

<sup>15</sup> Никольский К.К. Ов антимснах православниой русской церкви. С. 6-7.

<sup>16</sup> Вениамин. Новая скрижалъ. с.368.

აღნიშნულია რიცხვი 30, ნიშნად იუდას მირ მაცხოვრის გაცემისა 30 ვერცხლად. ძელზე და მის მარჯვნივ ქსოვილის ნაწილებია, რაც ქრისტეს სამოსზე მიანიშნებს, რომელიც ჯარისკაცებმა ოთხ ნაწილად გაჰყენა და წილი იყარეს. ოდიკზე გამოსახულია ე.ნ. „ფასცია“ – წნელების კონა, მელიც იკვრებოდა წითელი ლენტებით და წნელებს შორის ჩატანებული იყო ნაჯახი, მისი პირი კი მოჩანდა ამ კონიდან. ეს გახლდათ სიმბოლური გამოხატულება რომაელი მაგისტრების საკანონმდებლო, სასჯელალსრულებითი ძალაუფლებისა.

ანალოგიური ქრისტეს წამების გამომხატველი სიმბოლური იარაღები გამოსახულია **დიდ დაფარნა** (ცაზე) (ქიმ №6609) და ქუთაისის მუზეუმის ძველნაბეჭდ წიგნთა ფონდში დაცული კონდაკის კვარცმის ხატზეც<sup>17</sup> (ლ.78/4688).

კონდაკი დაბეჭდილია 1710 წელს, დაფარნა მოუქარგავთ 1763 წელს, ოდიკი კი დაუბეჭდავთ 1822 წელს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სიმბოლური დეტალი „ფასცია“ ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში შემოვიდა XVII საუკუნის ბოლოდან და ის უკვე კარგად იყო ცნობილი XVIII-XIX საუკუნის ოსტატებისათვის.

გოლგოთის ჯვარის კვარცხბეკის მარცხნივ წარმოდგენილია ქრისტეს ვნების იარაღები: ლახვარი, ლერნაზზე დამაგრებული ღრუბელი, კიბე, კიბეზე გადაფენილია ქსოვილი, რაც ქრისტეს უკერველ კვართზე მიანიშნებს, რომელიც არ დაუნანილებიათ (იოანე 19; 23,24). კიბის ძირში კალათში მოთავსებული წერაქვი და ქალაფთინია<sup>18</sup>. კიბის ქვეშ გამოსახულია სამი პატარა კვადრატული ყუთი. ეს ყუთები მოგვაგონებს შობის კომპოზიციაში გამოსახული მოგვების ძლვებს. ვინაიდან „შობის“ სცენა სიმბოლურად ქრისტეს დაფვლასაც უკავშირდება, ამდენად ლოგიკურია, ოდიკზე მოცემული სამი ყუთი მოგვების მიერ ქრისტესათვის მირთმეულ ძლვნად მივიჩნიოთ, რადგან როგორც წმ. იოანე ოქროპირი განმარტავს – მოგვებმა მაცხოვარს მიართვეს გუნდრუკი, როგორც ღმერთს, ოქრო – როგორც მეფეს, და მური – როგორც ჩვენთვის განკაცებულს, რომელიც უნდა მომკვდარიყო და სამი დღე საფლავში გაეტარებია.

ოდიკის ცენტრში იოსებ არიმათიელი და ნიკოდიმოსი ჯვრიდან გარდამოხსნილ მაცხოვარს ასვენებენ შემაღლებულ არდაგზე. მაცხოვრის შარავანდზე გამოსახულია ჯვარის მკლავები, რომელზედაც „არსის“ გამომხატველი OWN გრაფემებია გამოსახული. რაც მაუწყებელია წინასწარ განცხადებული მაცხოვრის დაუსაბამო მეუფებისა ძველ და ახალ აღთქმაში: „მევარ რომელი ვარ“ (გამოსვლა; 3-14). მწუხარე დედა ღვთისა მაცხოვრის უსიცოცხლო სხეულისკენაა დახრილი. მაცხოვრის თავთან იოანე მახარებელია, ხოლო ღვთისმშობლის უკან მომტირალი დედები. ყველა პერსონაჟს აქვს შარავანდები პიროვნებათა აღმნიშვნელი წარწერით: „ანგელოზი“, „იოსებ“, „იოანე ღვთის მეტყველი“, „დედა ღვთისა“, მარიამ კლეოპასი“, „მარიამ მაგდალინელი“, „ნიკოდიმოს“.

იუდას მიერ ქრისტეს 30 ვერცხლად გაყიდვა, პეტრეს უარყოფა, განკიცხვა მღვდელმთავარ კაიაფასთან, განკიცხვა პილატესაგან, სერობა, რომლის დროსაც მაცხოვარმა დააწესა წმ. ევქარისტია, ჯვარცმა, სამოსის განყოფა, ჯვრიდან გარდამოხსნა, დატირება, წარგრაგნა-საფლავად დადება, სამი დღე საფლავად ყოფნა. ყველა ეს თემა სიმბოლური სახით, ზოგ შემთხვევაში კი მხოლოდ ცალკეული დეტალების მინიშნებით ასახულია ოდიკზე, ისევე, როგორც მქარგველი ოსტატის მიერ გელათის დიდ დაფარნაზე (ქიმ № 6609). არდაგის ქვეშ ვრცელი ხუცური წარწერაა:

„დროსა უკეთილ-მსახურესისა და უთვით-მპყრობელისასა დიდისა ხელმწიფისა იმპერატორისა ალექსანდრე პავლეს ძისა სრულიად რუსისაი და სხვათაი და სხვათასა. დაიბეჭდა წმიდა ესე ოდიკი საჩხერეს ნებითა და კურთხევითა ყოვლად უსამღვდელოესის საიმერეთოს არხიეპისკოპოსის და კავალერის სოფრონიოსის მიერ წელთა ჩყვდ (1822) იანვრის კ (20).

წარწერა გვაუწყებს, რომ ოდიკი დაბეჭდა 1822 წლის 22 იანვარს, რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პავლეს ძის მეფობის დროს საჩხერეში, ყოვლად უსამღვდელოესი იმერეთის ეპისკოპოსის სოფრონიოსის ნებით და კურთხევით.

ოდიკი ქიმ.6705,2 ძვ.№ 14ა, 45X 61 სმ, ქართული სტამბის მიერ დაბეჭდილი მოსკოვში. გრავირება

<sup>17.</sup> მასალა მოგვაწოდა ქ.ი.მ-ის ძველნაბეჭდ წიგნთა ფონდის თანამშრომელმა მ. ქ.ბულაძემ.

სელის ქსოვილზეა შესრულებული. რაც შეეხება კომპოზიციას, მასზე გამოხატული ფიგურათა გამომეტყველება და პოზა განსხვაბულია. მაგალითად, არდაგზე დასვენებულ მაცხოვრის უკან მწუხარე ღვთისმშობელს ხელები აქვს გაშლილი. მის გვერდით სხვა მოტირალი დედები და იოანე მახარებელია, მარჯვნივ ფრთოსანი ანგელოზები დგანან. იოსებ არიმათიელი, ნიკოდიმოსი და არდაგის წინ ორი ანგელოზი ემზადებიან მაცხოვრის სხეულის წარსაგრაგნად. ოდიკის ზედა რეგისტრში ჯვარია გამოსახული ეკლის გვირგვინით, ლახვარითა და ლერწამზე დამაგრებული ძმრიანი ღრუბელით. ჯვრის მკლავებს ქვეშ ოთხი ქერუბიმია, ჯვრის თავზე დამაგრებულია წარწერა „ძლევა“, ჯვრის მარჯვენა მკლავზე გასაღებების ასხმაა, ხოლო აქეთ-იქით ორი კანდელი. ოდიკის კუთხეებთან მახარებელთა გამოსახულებებია, მათივე სიმბოლოებთან ერთად წრიულ ფორმებში. ფონი შევსებულია სხვადასხვა სახარებისეული სიუჟეტებით: მარცხნივ სოლომონის ტაძარი და გოლგოთის მთა სამი ჯვრით, მარჯვნივ ქალაქ იერუსალიმის არქიტექტურული პეიზაჟი, მათ უკან მნათობთა – მზისა და მთვარის სიმბოლური გამოსახულებებია განკაცებული ლმერთის კაცთათვის ვნების კოსმიური მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

ჯვრის თავზე ოდიკს რკალისებურად შემოსდევს ლიტურლიული შინაარსის მქონე დაქარაგმებული ასომავრული წარწერა:

**„შვენიერმან იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწელი ხორცი შენი და არმენაკითა წარგრაგნა“**

ასომთავრული დაქარაგმებული წარწერები სამ რიგად სარეცელის ქვემოთ მახარებელთა და ანგელოზთა გამოსახულებებს შორისაცაა მოთავსებული. ჟამთა სვლით წარწერა გაცრეცილია და სავარაუდოდ ასე იკითხება:

**„ქ. მოიხსენე უფალო: მუშაკი: ამისი: მხატვარი: ნიკოლოზ:“**

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული იქნა ქუთაისის ისტორიულ მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ოდიკების კოლექციების ორი ნიმუში ჯრუჭის მონასტრიდან, რომელთა კომპოზიციები განსხვავებული და თავისებურია, როგორც გრავიურის შემსრულებლის მიერ ფიგურათა მოძრაობებისა და გამომეტყველებისადმი დამოკიდებულებით, ისე მოცემული კომპოზიციების იკონოგრაფიისადმი შემოქმედებითი მიდგომით და წარწერების არატრაფარეტული განთავსებით.

<sup>18</sup>. ქალაფთონი, ქალაფთანი, ყალიფთანი-ბრცყელბირიანი მარწუხი, რომლის ბრცყელი პირის მეშვეობით მეშვეობით შესაძლებელია ლურსმნის იოლად ამოღება. ქალაფთანი გამოსახულია გარდამოხსნათა და მაცხოვრის დაცირებათა კომპოზიციებში.

ELISO CHUBINIDZE, ANA DOGHONADZE

*Kutaisi State Historical Museum*

## THE TWO ANTIMINSES FROM JRYCHI MONASTERY

The Antimins is one of the most important furnishings of the altar in Eastern Christian liturgical traditions. It is a rectangular piece of cloth of either linen or silk, typically decorated with the various types of representations of the Descent of Christ from the Cross, the Four Evangelists in the corners, and inscriptions related to the Passion. A small relic of a martyr is sewn into it. The antimins is consecrated and signed by a bishop. The Antimins, together with the chrism remain the property of the bishop, and are the means by which a bishop indicates his permission for the Holy Mysteries to be celebrated in his absence. Symbolically it expresses the tomb of Christ and the martyrs where the Divine Liturgy was celebrated.


There are two most important antimins kept at Kutaisi state historical museum. They were brought to museum in 1925y. from Jruchi monastery. The Antimensions are decorated with various type of representations of the entombment of Christ.

The Antimension №67051, 46 X 60cm. is printed on the cotton cloth. The entire face is occupied by the “Entombment” scene. At the corners of framing the four Evangelists with their symbolic images are represented in medallions. In the center of upper register the Golgotha Cross is represented with the Greek inscriptions around it “Jesus Christ Nika”. Mother of God, full of sorrow bends over the Christ’s body, John the evangelist stands at the foot of dead Christ, Mourning mothers stay behind the Virgin Mary. All of them have holes with explanatory inscriptions. The antimension depicts some images of Christ’s passion either symbolically or by means of the special details. The old Georgian inscription claims that the antimension was printed in Sachkhere (upper Imereti) during the reign of Russian Emperor Alexander, Son of Paul in 1822y., under the benediction of Imeretian Archbishop Sophronius.

The Antimension № 67052, 45X 61cm.is printed in Moscow by a Georgian printhouse. Graphic image is made on a linen cloth. The expression and poses of the figures in the antimensions’s composition are different. It is framed with the liturgical inscriptions. The Old Georgian inscriptions are also placed beneath the slab of Christ. It is very hard to read, supposedly it names the painter executor “Nikoloz”.



სურ.1 ოდიკი ქიმ.67051



სურ.2. დიდი დაფარნა ქიმ №6609.



სურ.3. კონდაკი-17106.ქ.ი.გ.L78/4688



სურ.4 ოდიკი ქიმ.67052

ხათუნა დარსაველიძე, ნინო ღოლიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ეთნოკოლექციის შექმნის ეტაპები და ძირითადი პრიციპები

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებაში ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებას წარმოადგენს ეთნიკური თემა, რომლის შემოქმედების წყაროა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება, რომელიც მოიცავს აგრეთვე, ტრადიციულ კოსტუმსაც.

თანამედროვე მოდის ტენდენციები სწრაფად ცვლიან ერთმანეთს. ყოველ სეზონზე დიზაინერები მომხმარებლის შესანარჩუნებლად ახალს და საოცარს იგონებენ. შთაგონების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ტრადიციული სამოსი წარმოადგენს. თანამედროვე ტანსაცმლის შექმნისათვის ეთნიკური კოსტუმის გამოყენების იდეა არც ისე ახალია. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოდელიორები ტანსაცმლის დაგეგმარებისას ფართოდ იყენებდნენ ეროვნულ კოსტუმს, მის კონსტრუქციებს, ორნამენტს და ფერთა შეხამებას. გაჩნდა ფოლკლორული და ეთნიკური სტილი. ეროვნული კოსტუმი კი დაკვირვების ობიექტად იქცა. ტრადიციული სამოსისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა XXI საუკუნის დასაწყისში, სხვადასხვა ასორტიმენტის და ეროვნული სამოსის ელემენტებით ტანსაცმელზე საზოგადოების მოთხოვნის გაზრდის შედეგად.

დროთა განმავლობაში, თანამედროვე ტანსაცმელში ტრადიციული კოსტუმის ელემენტების გამოყენება ჩამოყალიბდა ეთნო სტილად. ამ სტილის პიონერად მიიჩნევენ ივ სენ-ლორენს, რომელიც 1976 წლიდან მოდური კოლექციების შექმნისას აქტიურად იყენებდა ხალხური კოსტუმის ელემენტებს. ივ სენ-ლორენის დეფილები გაჯერებული იყო ხან ჩინური აბრეშუმის ფუფუნებით, ხან ეგვიპტური სიმკვეთრით, ხან გლეხური რუსეთის სიმარტივით და გულწრფელობით [ სურ 1,2 ].

ეროვნული სამოსი მხატვრისათვის იდების უმდიდრესი საბადოა. სხვადასხვა ერის კოსტუმი ერთმანეთისაგან განსხვავდება თარგის განსაკუთრებულობით, კომპოზიციურ-პლასტიკური გადაწყვეტით, ქსოვილის ფაქტურით, დეკორის ხასიათით (ორნამენტული მოტივებით და შესრულების ტექნიკით), აგრეთვე კოსტუმის შემადგენელი ელემენტებით და მისი ტარების წესების მრავალფეროვნებით.

ახალგაზრდა დიზაინერები ხშირად უშვებენ შეცდომებს კოლექციის და მოდელის შექმნისას, რადგან არ ითვალისწინებენ კოსტუმისა სამომხმარებლო თვისებებს: მის დანიშნულებას, გამოყენების ხასიათს და ა.შ. ამის გამო, ხშირად ბევრი კოლექცია ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ძნელია ასეთი მოდელების მომხმარებლისათვის წარდგენა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ეთნიკურ სტილში შესრულებული თანამედროვე ტანსაცმლისადმი წაყენებული რიგი მოთხოვნები:

- ეროვნული კოსტუმის ელემენტების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს უცვლელად, კოპირებით. მოდელები უნდა სრულდებოდეს მხოლოდ ეროვნული კოსტუმის მოტივებზე;
- დიზაინერი სრულყოფილად უნდა ფლობდეს სტილიზაციის ხერხებს;
- თანამედროვე ადამიანისათვის შექმნილ მოდელებში მისაღებია აქტუალური ფორმების, დეტალების და ინოვაციური მასალების გამოყენება;
- მოდელებში გათვალისწინებული უნდა იყოს ტანსაცმლისადმი წაყენებული კონკრეტული მომხმარებლის მოთხოვნები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ; მოდელების ხასიათი და ხარისხი უნდა მიუთითებდეს „ვისთვის“ და „რისთვის“ არიან ისინი შექმნილი.

კოლექციის კონცეფციის შემუშავებისას დიზაინერმა ეროვნული კოსტუმის ელემენტებისაგან

უნდა შექმნას აქტუალური სამოსი, რომლის ტარებასაც ისურვებს არა მხოლოდ ხალხური სიმღერების შემსრულებელი, არამედ ნებისმიერი პროფესიის ქალბატონი. კოსტუმის ეროვნული თავისებურებების საფუძველზე შექმნისას საჭიროა მისი მიმართვა და ორიენტირება მომხმარებლისაკენ, ე.ი. ტანსაცმლის სწორი და მიზანმიმართული წარდგენა სამომხმარებლო ბაზარზე.

ტანსაცმლის ფორმა, თარგი, ფერისა და მასალების შერჩევა უნდა შეესაბამებოდეს კოსტუმის ხასიათს, ე.ი. პასუხობდეს კითხვას „რისთვის“, რომელზედაც დამოკიდებულია კოსტუმის უტილიტარული თვისებები. მნიშვნელოვანია ნამუშევრების მხატვრული იერი, მისი თემატიკა, რომელის „გახსნაც“ ხდება შექმნილი მოდელების მეშვეობით. კოლექციას უნდა აერთიანებდეს ფორმის, მოცულობის, ფერის და პერსონაჟის ხასიათისაგან შედგენილი და ჩამოყალიბებული ერთიანი მხატვრული სახე.

ეთნოსტილის მომზიდველი ძალა მდგომარეობს ნებისმიერი ერის ტრადიციული სამოსის ისეთ მახასიათებლებში, როგორიცაა აუცილებელ ისეთ თარგის და შესრულების ესთეტიკურობა, ფუნქციონალურობა, მიზანშეწონილობა, რაციონალურობა. ამასთან ერთად ეთნოსტილი არავითარ შემთხვევაში არ უარყოფს ექსპერიმენტის და სიახლის მუხტს, რომელთა გარეშე შეუძლებელია უახლეს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებზე, ტექნოლოგიებზე და მასალებზე, მომხმარებლის დახვენილ გემოვნებასა და მოთხოვნებზე და მოდის ყველაზე თანამედროვე მიმდინარეობებზე ორიენტირებული დიზაინის არსებობა.

ამრიგად, ეთნო კოლექციის შექმნისა და მისი პრეზენტაცელურობისათვის აუცილებელია გარკვეული მოთხოვნებისა და კრიტერიუმების დაკმაყოფილება როგორიცაა: სამოსის აქტუალობა, ერთიანი მხატვრული სახის შექმნა, კონკრეტული მომხმარებლის კონტინგენტის განსაზღვრა და უტილიტარული მახასიათებლების დაკმაყოფილება.

#### **ლიტერატურა:**

1. Козлова Т.В. Художественное проектирование костюма. – М.: Лёгкая и пищевая пром-сть, 1982.
2. Глазычев В. Л. Дизайн как он есть. – М.: «Европа», 2006.
3. [http://www.robiv.ru/art/Razrabitka\\_kollekzii](http://www.robiv.ru/art/Razrabitka_kollekzii)
4. <https://viktorianna.ru/teoriya-modi-i-stilja/etno-retro-v-odezde>
5. [http://taby27.ru/studentam\\_aspirantam/philos\\_design/referaty\\_philos\\_design/raboty-po-naibolee-redkim-i-interesnym-temam/kontseptsiya-proektirovanie-dizajn](http://taby27.ru/studentam_aspirantam/philos_design/referaty_philos_design/raboty-po-naibolee-redkim-i-interesnym-temam/kontseptsiya-proektirovanie-dizajn).

KHATUNA DARSAYELIDZE, NINO DOLIDZE

*Akaki Tsereteli State University*

## **STAGES AND BASIC PRINCIPLES OF CREATING ETHNO COLLECTION**

Ethnic topic represents one of the most perspective directions while planning contemporary clothing, whose source of creativity seems to be decorative-applied art and it involves traditional costumes as well.

Modern fashion trends keep changing. Every season designers invent new and amazing things to

attract customers. One of the main sources of inspiration comes from the traditional clothing. The idea of using ethnic costumes to create modern garments isn't new. Since the second half of the 20th century, designers have widely used national costume, its construction, ornaments and coloring and color combination for planning modern items. From time to time folklore and ethnic style was introduced. And national costume became the object of observation. Traditional clothing aroused strong interest especially in the beginning of the XXI century because of high demand for various assortments and elements of national clothing.

Young designers often make mistakes when creating and constructing a new collection as they didn't take consumer features into consideration: its purpose, character, etc. For this reason, many collections don't meet modern standards and consequently it's difficult to offer this kind of product to the customers. Hence, it is possible to form a range of requirements for modern clothes designed in ethnic style:

- The elements of the national costume should not be unchanged or copied. Design related samples should only be done on national motifs;
- Designer should have a full range of stylization techniques;
- It's expedient to use common forms, details and innovative materials in order to create costumes for modern people.
- Specific customer requirements for clothing must be stipulated and its nature and quality of the clothing must indicate «for whom» and for what they are created.

Thus, in order to create ethno collection and introduce it, it is advisable to satisfy specific requirements and criteria such as: ubiquitous clothing, artistic creation, contingent valuation, utilitarian needs.



სურ.1



Yves Saint Laurent 1976

სურ.2.

ციცინო მუმლაძე, ეპატერინო ჟელაურაძე, ნინო კუჩიანიძე  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## ქუთაისის მუზეუმი დაცული სოლომონ | სიგელები

(აღნერილობა – კატალოგი)

იმერეთის მეფის სოლომონ | სიგელები არაერთხელ მოქცეულა ქართველ მეცნიერთა კვლევის არეალში და ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველოს ისტორიის ნებისმიერი პერიოდის კვლევისას ყველაზე სანდო წყარო, ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, საკვლევ პერიოდში შექმნილი ისტორიული დოკუმენტებია: მეფეთა და მაღალი იერარქიის საერო თუ სასულიერო პირთა მიერ გაცემული წყალობის, სასისხლო, გარიგების, გაბჭობის და სხვა სახის ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიც ნათლადა გაცხადებული ყველა ის საჭირბოროტო საკითხი, რომელიც დოკუმენტების შექმნის პერიოდში იდგა ქვეყნის წინაშე. სხვა წყაროებთან ერთად, სწორედ მათზე დაყრდნობით ქმნის მკვლევარი ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურული განვითარების საერთო სურათს. ასეთივე ვითარება გვაქვს სოლომონ | სიგელებთან მიმართებაში: მათში მთელი თავისი სირთულეებით ნათლად წარმოჩნდება სოლომონის მეფობის პერიოდი, კერძოდ მისი ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, ამ ბრძოლის შედეგები, მისი დამოკიდებულება მომხრე, ერთგული, თუ მოღალატე დიდებულებისადმი, ეკლესიისადმი, ბრძოლა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და ამ მიმართებით გატარებული ღონისძიებები.

ცნობილია, რომ სოლომონ | სიგელები საქართველოს თითქმის ყველა სიძველეთსაცავებშია დაცული. გარკვეული რაოდენობა ამ სიგელებისა წარმოდგენილია კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებშიც. იმერეთის სამეფოს და ზოგადად საქართველოს ისტორიის კვლევისას არაერთ მკვლევარს მოხმობილი აქვს ციტატები სოლომონ | სიგელებიდან. ამ ნაშრომების ნუსხა საკმაოდ ვრცელია, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე მათგანს ჩამოვთვლით. კერძოდ: „სოლომონ I-ის მეფობის პირველი პერიოდი (1752-1768 წწ.)“, შ. ბურჯანაძე, „თსუ შრომები“; 1950, ტ. 41; „იმერეთის სამეფო 1768-1764 წწ.“, შ. ბურჯანაძე, „ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე“, 1961, ტ. 3; „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა“, შ. ბურჯანაძე, თბ., 1959; „დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში“, მ. რეხვიაშვილი, თბ. 1978; „იმერეთის სამეფო 1462-1810 წლებში“, მ. რეხვიაშვილი, თბ., 1989; «ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები),» ო. სოსელია, ტ. I, თბ., 1973; „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები),« ო. სოსელია, ტ. II, თბ. 1981.; „იმერეთის მეფე სოლომონ I – დიდი“, ლ.ტყვეშელაშვილი, ქუთაისი, 2016;... განსაკუთრებული, წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა ენიჭება საარგის კაკაბაძის ნაშრომს – „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები“, რომელიც 1921 წელს გამოიცა. წიგნში სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად წარმოდგენილია სოლომონ | რამდენიმე სიგელის აღნერილობა. ნაშრომის გამოცემა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის, თუმცა მას ჰქონდა ხარვეზები, რის შესახებაც თვით სარგის კაკაბაძე მიუთითებდა წიგნის შესავალ ნაწილში, კერძოდ: „წინამდებარე გამოცემის, როგორც პირველს ისე მეორე წიგნში მოთავსებული საბუთები დაცული ყოფილიყო ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამართველოში, სადაც მე ისინი განვიხილე 1909 წელს, მცირეოდენი ნაწილი აქ მოთავსებულ მასალისა გადმოწერილია კიდევ პეტერბურგის აზიურ მუზეუმში აკად. ბროსეს ქაღალდებში დაცულ სავადებისაგან (sic). საბუთების განხილვის დროს სახელმწიფო ქონებათა სამართველომი მე იძულებული ვიყავი დავკმაყოფილებულიყავი საბუთების არა სრული გადმოწერით,

ლვთისმეტყველურ წინა და ბოლო სიტყვაობათა გამოკლებით, რადგანაც მუშაობა სწარმოებდა არახელსაყრელ პირობებში და მე ვისწრაფოდი მოკლე ხანში რაც შეიძლება მეტი საბუთის გადაწერას. ამ გარემოებამ იქონია გავლენა წინამდებარე გამოცემის ხასიათზე. მასში მოთავსებული საბუთები დაბეჭდილია ისე, როგორც თავის დროზე გადმოწერილ იქმნა. შეჯერება დედნებთან და მითუმეტეს გადმოუწერელ ტექსტების შევსება, საბუთების გადატანის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში, ჯერ კიდევ 1915 წ., ამჟამად შეუძლებელი იყო. „.. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ს. კაკაბაძემ ივ. ჯავახიშვილის თანხმობითა და იმ მოსაზრებით, რომ დასავლეთ საქართველოს შესახებ ძალზედ მცირე საბუთები იყო გამოცემული, გადაწყვიტა ნაშრომის გამოცემა, რითაც დიდი სამსახური გაუწია დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ მკლევართ. აღსანიშნავია, რომ ს. კაკაბაძის – „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში“ ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I სიგელები ვერ მოხვდა.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერ და ძველნაბეჭდ წიგნთა კოლექციების განყოფილების ფონდში მრავლადაა დაცული ისტორიული დოკუმენტები, რომლებშიც სოლომონ I მოხსენიებული, მაგრამ უშუალოდ მის მიერ გამოცემული სიგელების რაოდენობა 27 ერთეულია. მათგან 26 იმერეთის სამეფოსა და კერძოდ სოლომონ I მეფობის პერიოდთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას, სხვა და სხვა კონტექსტში, თავიანთ ნაშრომებში დამოწმებული აქვთ ქართველ მეცნიერებს. კერძოდ: შ. ბურჯანაძეს ნაშრომში – „სოლომონ I“ (პოლიტიკური მიმოხილვა, 1948 წ., დაცულია ქუთაისის მუზეუმში. შიფრი სმ/77), გამოყენებული აქვს სოლომონის სიგელები №842, 913, 131, 706, 873; ოლია სოსელიას ნაშრომში – „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები),“ (ტ. I, თბ., 1973); გამოყენებული აქვს №873,946, 1764 ; ამავე ავტორს ნაშრომში – „ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები),“ (ტ. II, თბ. 1981.) გამოყენებული აქვს სიგელები №100, 128, 131, 334; რუსუდან აბესაძეს ნაშრომში – „იმერეთის მეფის მამულები ქუთაისის მუზეუმის საბუთების მიხედვით“ (ქუთ. მუზ. მასალების კრებული I, 1968.) მოყვანილი აქვს ციტატები სიგელებიდან №131, 334, 842, 913, 989, 994. ლევან ტყეშელაშვილს ნაშრომში – „იმერეთის მეფე სოლომონ I – დიდი“, ( ქუთაისი, 2016) დამოწმებული აქვს ციტატები სოლომონ I შემდეგი სიგელებიდან: №100, 118, 128, 131, 815, 842, 873, 913, 946, 989, 1834.; ...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნაშრომებში, ამა თუ იმ ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებით, სოლომონ I სიგელები ან უბრალოდ დამოწმებულია, ან მისი მცირე ამონარიდი და ასევე ზოგადი ხასიათის აღწერილობაა წარმოდგენილი. დღემდე არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I სიგელების სრული კოდიკოლოგიური აღწერილობა იქნებოდა წარმოდგენილი, რაც გულისხმობს ისტორიული დოკუმენტის წარმომავლობის, რაობის, მასალის, ზომის, ჭვირნიშნის, დაცულობის, შრიფტის, შემდგენლის, დათარილების, მტკიცებულებების, ბეჭდის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება – დაფიქსირებას. შეიძლება ითქვას რომ ამ მიმართებით, ქუთაისის მუზეუმში დაცულ სოლომონ I სიგელებზე, ჩვენს მიერ, ამ ტიპის აღწერილობა პირველად მომზადდა. სოლომონ I სიგელების აღწერილობაზე მუშაობის დროს გაირკა, რომ სიგელს შიფრით ქიმ E -13/2 დღემდე მკლევარის ხელი არ შეხებია. ამიტომ, ვიდრე სიგელების აღწერილობას წარმოვადგენთ, საჭიროდ ჩავთვალეთ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ სამეცნიერო წრეებისათვის დღემდე უცნობი ისტორიული დოკუმენტი – მეფე სოლომონისა და დედოფალ გულქანის ბოძების სიგელი მგალობელ ოქროპირ ცქიტიშვილისა და მისი ძმის სიმონისადმი – კითხიჯს ზაალ მხედისეული სასახლისა და მამულის მათვის ბოძების თაობაზე; სიგელი დაინერა ქრისტეს აქეთ ჩ ღ პ გ მაისის კ გ [1783წ. 23 მაისი].

### სოლომონ I სიგელი ქიმ E – 13/2:

r. ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა ღვთისა / მამისა ძისა და სულისა წმიდისათა წმიდისა ღვთის მ / შობელისა და მარადის ქალწულისა მარიამის / ათა ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა / წმიდათა უსხეულთა ზეცისა ძალთათა წმიდისა წინასწარმეტყველისა და ნათლისმცემელისა იოანესითა წმიდათა და ყოვლად / ქებულთა მოციქულთათა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქვე / ყანისათა ხორციელისა და უხორცოსათა ამათის მინდობ / ითა და შუამდგომელობითა ესე ამიერითგან უკუნისამდე სა / ბოლაოდ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგინერეთ და გიბო / ძეთ ჩვენ ღვთივ ამაღლებულმან და ღვთივ დამყარებულმა / 6 ძლიერმან და არვისგან ძლეულმან დავითიანმან მეფეთ მეფემ / ან სოლომონ და თანა ერთ ხორც ქმნილმან ჩემმან დედუფა / ლთ დედუფალმან წულიკიძის ასულმან გულქან - - - / თქვენ ჩვენს ერდგულს ყმას მგალობელს ცქიტიშვილს ოქროპ / ირს და შენს ძმას სიმონს ასე რომე დაგვეაჯეთ ვისმინეთ აჯა / და მოხსენება თქვენი. და გიბოძეთ კითხიჯს ზალ მხეიძის სოუ / ლი სასახლე. მისის შემავალი ალაგ მამულით, დღეს რაცა / ძეს ყოვლისფერიანათ. ზალ მხეიძე უშვილოთ გარდვიდა და უშვილ კა / ცის ალაგ მამული და ყოვლისფერი ხელმწიფის არის და ჩემი / იყო ახლა თქვენთვის მიბოძებია ის სასახლე და ორი მოსახლე / მოჯალაბენი ხახუჭა საითიძე, მისი შვილი დავითელა, ნასყიდა / და კიკოლა ეს[ე]ნი მათის ცოლშვილით სახლკარით საძებრი / თ და უძებრით მათის ყოვლისფერიანად საყდრით წილით საფ / ლავით ტყით და ველით მოგვიცემია და ღმერთმან მოგახმაროს / ჩვენს ერდგულებაში თუ შენ ჩვენი ერდგული და ბრძანების მორ / ჩილი იქმნე ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა არ მოგეშალოს არო / დეს ან რომელმანმე ძემან კაცისამან მეფემან ან დედუფალმან დი / დმან ანუ მცირემან ამ წყალობის შლად ხელ ყოს მასამც რ / ისხავს სამებით დიდებული ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი / ზეცისა და ქვეყანისანი ხორციელნი და უხორცონი წყეული და /

v. შეჩვენებულიმც იყოს წმიდათა ათ ორთა მოციქულთაგან შვიდთა მსო / ფლითა კრებათაგან ოთხა პატრიახთაგან და ყოველთა სამღვდელ / თა დასთაგან მასამც ედების კეთრი გეზისა შიშთვილი ივდასი / ზარ ტეხა დიოსკორესი არის ამისი მონამე და გამრიგე დიდებუ / ლი თავადი ჩვენი სარდალ მოურავი წულიკიძე ბერი და მისი მამა / გიორგი სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ მაჩაბელი ზურაბ / და სხვან ჩვენი დარბაზის ერნი სამღვდელნი და საერონი / ყოველნი. ქრისტეს აქეთ ჩ ღ პ გ მაისს კ გ / აღინერა ხელითა ულირსის მღვდლის სიმონ ავალიანისათა.

ისტორიული დოკუმენტის E – 13-ის მინაწერებს, მტკიცებულებებს და ბეჭდებს წარმოვადგენთ ქვემოთ, ქუთაისის მუზეუმში დაცულ სოლომონ I სიგელების აღწერილობაში, 27 -ე ნომრად.

### ქუთაისის მუზეუმში დაცული სოლომონ I სიგელების აღწერილობა:

1. ის №100 – შენირულების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა კაცხის მონასტრისადმი – მონასტრისათვის მორძგვეთს მცხოვრები 5 კომლის შენირვის თაობაზე: 4 კომლი კაპანაძე და 1 დავით ღვალაძე. დაინერა ქორონიკონს ჩ ღ ნ თ თვესა ივლისს კ ვ [1759წ. 26 ივლისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალადი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 45x29,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 34,5x23სმ; v – 32,5x23სმ; სტრიქონების რაოდენობა: r – 21, v – 15; მხედრული; შემდგენელი – დავით მდივანი; დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის ოთხუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე: „მონა ღვთისა, ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ – მხედრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე: „დედოფალი მარიამ“ – ასომთავრულით.

2. ის №118 – შენირულების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა კაცხის მონასტრისადმი – საზანოს დაბლა მცხოვრები შვიდი კომლი ნებიერიძეების, პავლე ხუცესის, დავით ხვედელიძე ხუცესის, ერთი სასახლის, მისი შესავალ-გასავლით, გოგიტი სამხარაძის და მისი

ძმისნულების ადგილ-მამულით მონასტრისათვის შეწირვის თაობაზე. 1775 წ. 4 დეკემბერი.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 44x32,5 სმ; დაწერილია r - v; ტექსტის ზომა: r - 37x20სმ; v - 18x22სმ; სტრიქონების რაოდენობა: r - 21; v - 9; მხედრული; დამტკიცებულია 2 ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭედი, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირითაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ – ასომთავრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „ქ. ხმალ შენთვის ვიჯმობ ტახტი ამით ვიპყრობ“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „დედოფალი მარიამ“ – ასომთავრულით; აქვს ხელრთვა: „მეფის ძე ალექსანდრე“; სიგელს აქვს ორი მინანქრი: 1. „ქ. მეფე იმერეთისა და ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი ნებითა ლვთისათა ვამტკიცებ ბიძისა ჩემისა აღწერილს შეწირულობისა ამის სიგელსა“; დამტკიცებულია სოლომონ II მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; 2. „ქ. ს-დ იმერთა დედოფალი დადიანის ასული მარიამ ნებითა ღისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას“. დამტკიცებულია დედოფალ მარიამის მცირე ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „დედოფალი მარიამ“ – მხედრულით.

**3. ის №128** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მღვდელ დავით წერეთლისადმი – მღვდლის თხოვნით, მისი ყმების „საურისა“ და „საუდიერო“ გადასახადისაგან გათავისუფლების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ღ ღ დ დ [1764 წ.].

შედგება 2 ფურცლისაგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 66x31 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r - 59x24 სმ; v - 33x24 სმ; სტრიქონების რაოდენობა r - 31, v - 19; მხედრული; შემდგენელი მეფის კარის მწირველი და მოძღვარი წერეთელი სვიმონი; დამტკიცებულია 2 ბეჭდით: 1. სოლომონ მეფის დიდი ზომის ზემოთ ამოზნექილი მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით. 2. სოლომონ მეფის მცირე ზომის მურის ბეჭედი – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; აქვს ხელრთვა: v – „მეფის ძე ალექსანდრე ვამტკიცებ“; აქვს მინანქრი: v: „ქ. ჩვენ აფხაზ იმერთა კათოლიკოსი მაქსიმე ვამტკიცებთ ესრეთ, ვითარმედ: მომშლელი წყეულ, კრულ და შეჩვენებულიმცა არს სულით და კორცით საუკუნოდ, ამინ!“ დამტკიცებულია კათალიკოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „აფხაზ იმერთა კათოლიკოსი“ – მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია: „მაქსიმე“ – ასომთავრულით;

**4. ის №131** – შეწირულების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა ეკლესია-მონასტრებისადმი. სიგელი მოგვითხრობს: 1. ყველა ეკლესია-მონასტერზე ომიანობის გამო საეკლესიო ყმანი და მამული საერო შეიქმნა და ოდეს დამშვიდდა ქვეყანა, ჩვენ გამოვიკვლიეთ, გამოვიძიეთ და ეკლესია-მონასტრებს დაგუბრუნეთ და ხელახლა შეწირეთ ადგილ-მამული და ყმებიო; 2. მღვიმის მონასტრის ადგილ-მამულებზე და გლეხებზე, რომელიც მეფეს დაუბრუნებია მონასტრისთვის და ხელახლა შეუწირავს, სიგელში ყველა ადგილი ჩამოთვლილია. ასევე მითითებულია გლეხები სოფლების ჩვენებით, სახელწოდებით და ბეგარით; ამ წყალობის გამო, მეფე ავალებს წინამძღვარს და კრებულს უწირონ მას სიცოცხლეში აღდგომას, შობას და ნათლისლებას, გარდაცვალების შემდგომ „სულთა ჩვენთათვის სწირონო აწ მყოფ კრებულმა და მომავალმა ორ დღეს, როცა საზოგადოდ მიცვალებულთა მოხსენების დღე არისო“. დაიწერა 1777 წ. 1 აპრილს.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ფურცლის ზომა: 60x44სმ; დაწერილია r; ტექსტის ზომა: 46x36,5სმ; სტრიქონების რაოდენობა 44; მხედრული; შემდგენელი – სახლთუხუცესი ოსებ გაბაონი; საბუთი შედგენილია – „პალატსა შინა სამეუფოსა ქუთაისს“; დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. მეფე სოლომონის ოთხკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა

ბეჭედზე გარშემო – „კეთილ ძირთაგან რტონი, მეფედ ვარ ბაგრატონი“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია „სოლომონ“ – ასომთავრულით; 2. დედოფალ მარიამის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „ქ. ხმალთ შენთვის ვიჯმობ ტახტი ამით ვიპყრობ“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია – „დედოფალი მარიამ“ – ასომთავრულით; მინაწერი: 1. „მეფე იმერთა მეორე, სოლომონ დავითიანი, მისის უმაღლესობის ბატონის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის აღწერილის შენირულობის სიგელს ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ და მომშლელსა ამისა ზეგარდამოთა რისხვითა მრჩობლით ცხოვრებათა შინა განკვეთილ ვყოფ. ივლისს გ, წელთა უფლისათა ჩდუზ“ – [3 ივლისი, 1797წ.]. მინაწერი დამტკიცებულია ორი ბეჭდით: 1. სოლომონ II-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; 2. დედოფალ მარიამის ოთხუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „იმერთა დედოფალი მარიამ“ – ასომთავრულით; მინაწერი – 2. „ქ. ჩვენ ყოვლისა საიმერეთოსა უფლისწული მეფის ძე კოსტანტინე ვამტკიცებ სიგელსა ამას შენირულობისასა ნებითა მლთისათა და მეფის სძალი აბაშიძის ასული ანასტასია“; დამტკიცებულია 3 ბეჭდით: მეფის ძე კოსტანტინეს ორი რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფის ძე კოსტანტინე“ – ასომთავრულით; მესამე ბეჭდის წარწერის წაკითხვა განხელებულია.

**5. ის №295** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა სიმონა ულერიასა და მისი შვილებისადმი – ბუჭუას და მისი სახლის კაცის ჯავნასასამვილების პარტახის მისთვის ბოძების თაობაზე. 1783 წ. 2 ოქტომბერი.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალალდი; დალაქავებული; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 31x13,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 23x9,5 სმ; v – 24,5x9,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r – 18; v – 18; მხედრული; შემდგენელი – მლვდელი იესე; დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა, ზედა ნაწილში გვირგვინიანი, მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

**6. ის №334** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა ნასყიდა ფალავას და მისი შვილის პეპუსადმი – ფარცხანაყანევს გლეხ ფხავაძეების, თავის მამულ-დედულით და ყოველივე ქონებით, ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ო ა [1771 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქალალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 34x16,5 სმ; დაწერილა r-v; ტექსტის ზომა r – 27x12 სმ; v – 22x12 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r – 18; v – 17; მხედრული; შემდგენელი – მლვდელი ავალიანი თომა; დამტკიცებულია სოლომონ I-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; აქვს მინაწერი r – „ეს მეფის წყალობის წერილიც, შენ თავადს წულუკიძეს დავითს მე მამაშენმა ნიუარაძემ მერაბმა მოგართვი და რომელსაც გლეხებს ეს ნიშნავს ესენი თავის საცხოვრებელით გყავდეს მკვიდრად საშვილიშვილოდ გაქუნდეს მტკიცედ დაეგოს წინა აღუდგომელად, რომელსაც ვამტკიცებ ჩემის ბეჭდით, რაითა სადაცა იპოვოს წერილი წინააღმდეგომი წერილმან ამან განაცრუოს“. დამტკიცებულია მერაბ ნიუარაძის ოთხუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: მერაბ ნიუარაძე – მხედრულით.

**7. ის №706** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა პატა, ბერ და გიორგი წულუკიძეებისადმი – მათთვის სრულიად საწულუკიძეოს ბოძების თაობაზე, რომელიც ძველად მათი მამა-პაპის ყოფილა, მაგრამ რაჭის ერისთავი როსტომი დაუფლებია და დაუსაკუთრებია. მეფეს გაულაშქრებია, წაურთმევია როსტომ ერისთავისთვის და ერთგულებისთვის ისევ წულუკიძეებისათვის დაუბრუნებია. დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩ ღ ო ბ, ქორონიკონს უ ღ თვესა აგვისტოსა რიცხვსა გ [1772 წ. 3 აგვისტო].

ერთი ფურცელი; შედგება 2 ერთმანეთზე გადაწებებული ფურცლისგან; მოყვითალო ფერის ქალალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 113x36 სმ; ტექსტის ზომა: r – 92x24; v – 37x24 სმ;

დაწერილია r-v; ტექსტის ზომა – r – 92x24სმ; v – 37x24სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 55; v – 23; მხედრული; შავი მელანი; საბუთი იწყება ფერად წრეში ჩასმული ასომთავრული წარწერით – „მეფე სოლომონ“; ტექსტის დასაწყისი ორი სტრიქონი დაწერილია ასომთავრულით, შესრულებულია სინგურით და მწვანე მელნით, გაფორმებულია მცენარეული ორნამენტებით; დასაწყისები სინგურით შესრულებული ასომთავრულით; შემდგენელი – მდივან – მწიგნობარი დავით კვინიხიძე; დამტკიცებულია მეფე სოლომონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია: „სოლომონ“ – ასომთავრულით; ტექსტს ერთვის მხატვრულად, მცენარეული ორნამენტებით გაფორმებული ხელრთვა მეფე სოლომონისა: „მეფე სოლომონ დავითიანი“ – მხედრული ხვეული კალიგრაფიით. ხელრთვაში სიტყვებს შორის ჩახატულია წყვილი თვალი;

საბუთს ერთვის ხელრთვა ბატონიშვილ ალექსანდრესი: „მეფის ძე ალექსანდრე“ – მხედრული ხვეული კალიგრაფიით და ალექსანდრეს მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭედი. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „ბატონიშვილი“ – მხედრულით, ცენტრში ჩაწერილია: „ალექსანდრე“ – ასომთავრულით.

მინაწერი სოლომონ II-ისა r: „ივერთა მეორისა აღმაშენებელისა, აგარიანთა სისხლთა მრღვნელისა, ტომებით დავითიანისა, უმაღლესისა მეფისა და მამებრ საწყურისა ჩემისა ბიძისა და ბატონისა სოლომონ ივერთა მპყრობელისა აღწერილსა სიგელსა ამას, ძე არჩილისა მეორე სოლომონ დავითიანი, ოჯახის ჩვენისათვის მრავალგზის ვიდრე სისხლთამდე ლვანლ დადებულს და ყოვლითა გონებითა ერთგულთა ოჯახისა ჩემისათა მეცა უმტკიცებ. თუმცა ვინმე შლად და დარღვევად იკადროს აღწერილთა სიგელთა ამას შინა, წყევათა და შეჩვენებათა ყოველთა სამღვდელოთა ჩემთა თანხმობითა იყოს შეკრულ სულით და ხორცით უკუნისამდე. ქრისტეს აქეთ ჩ ღ ჟ ბ აპრილსა კ ე [1792 წ. 25 აპრილი]. დამტკიცებულია სოლომონ II-ის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით.

**8. ის №746** – წყალობის სიგელი მეფე სოლომონ I-ისა, დედოფალ მარიამისა და მათი შვილის ალექსანდრესი ნინია გამყრელიძისა და მისი ძმის ქველისადმი – ქორეთს ცქიტიშვილისეული სასახლის, გლეხების და ადგილ-მამულის მათვის ბოძების თაობაზე. დაინტერა ქორონიკონს ჩ ღ ვ ბ [1762წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 45x16სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 37,5x11სმ; v – 17,5x14სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 20; v – 12; მხედრული; შემდგენელი დავით მდივანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა ზედა ნაწილში ამოზნექილი მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით; ცენტრში ჩაწერილია: „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

**9. ის №763 (ასლი)** – ფიცის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი – ქეშიკუხუცესისათვის, ერთგულების გამო, „საციხისთაოს“ ბოძების თაობაზე. „საციხისთაო“ მტერს წაურთმევია აგიაშვილისათვის. მტერი ვძლიერ, წერს მეფე და „საციხისთაო“ ისევ შენ დაგიპრუნეო. ამ ჩვენ ქვეყანაში ვინც და სადაც გყოლია აზნაურნი, მსახურნი, გლეხნი, ან მინა-წყალი ყველა შენ გიბოძეთო. დაწერილია ქორონიკონს უ მ ბ – [უ მ ბ – 452, ესეიგი 1754 წ.].

ორი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x21,5სმ; დაწერილია: r-v; ტექსტის ზომა: r – 30x15 სმ; v – 32,5x20,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 23; v – 26; მხედრული; შემდგენელი – დავით მდივანი; დამტკიცებული ყოფილა სოლომონ მეფის ბეჭდით; ამჟამად მითითებულია ბეჭდის ადგილი; მინაწერი r – „ბატონიშვილი მამუკა ძმითურთ, ჩემითა გიორგით, ვამტკიცებ სიგელსა ამას“; მითითებულია ორი ბეჭდის ადგილი.

**10. ის №812** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა იოვანე პატარიძის შვილებისადმი – პარტახისა და ყმების ბოძების თაობაზე. დაინტერა ქორონიკონს ჩ ღ ნ ე [1755წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 40x20სმ;

დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 37x16 სმ; v – 15x16 სმ; სტრიქონების რაოდენობა: r – 21; v – 10; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხეუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „მონა მღვიმე ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

**11. ის №815** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მღვდელ დავით იაშვილისა და მისი შვილებისადმი – მათი კაცების საურავისგან გათავისუფლების თაობაზე. დაიწერა 1772 წ. 15 იანვარს.

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x30,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 29x22,5 სმ; v – 22,5x26,5 სმ; სტრიქონის რაოდენობა: r – 19; v – 15; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი სვიმონ ავალიანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა, მცირე ზომის მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ – ასომთავრულით; აქვს მინაწერი r – „ქ. მე, ყოვლად სამღვდელო დადიანის კაციას ძე ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღვთისათა“; მინაწერი დამტკიცებულია მიტროპოლიტის დიდი ზომის ოთხეუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „ცაგერელი მიტროპოლიტი იოანე“ – წარწერა შესრულებულია მხედრული ხვეული კალიგრაფიით.

**12. ის №822** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა აზნაურ ბუჭუ უფლისაშვილის და მისი შვილებისადმი – მათთვის ხრეითში ერთი გლეხი ბახტურიძეს ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ვ. [1766 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 35x20 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 27x18 სმ; v – 31x19 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v – 19; მხედრული; მელანი შავი; შემდგენელი – მდივანი დათუნა; დამტკიცებულია რვაკუთხა ზედა ნაწილში ამოზნექილი მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია – „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით.

**13. ის №842** – მზითვის წიგნი მიცემული მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ თინათი შარვაშიძისაგან აბაშიძის ქალის თინათისადმი – მისთვის მზითვად ფარცხანაყანევში მცხოვრები ოთხი გლეხის, ხოლო მესხეთში ერთი მოსახლის ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ნ გ [1753 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 34,5x16,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 31x13 სმ; v – 24x11,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 21; v – 18; მხედრული; მელანი შავი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ზომის ოთხეუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მონა მღვიმე ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

**14. ის №873** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა მისი ერთგული ყმის პაპუჩა აბულაძისადმი – მისთვის ბალდათელი კოპაძის გლეხების ბოძების თაობაზე. როცა აგარიანებმა ბალდათის ციხე დაიკავეს, ერთი იმ ქვეყნის მოსახლე კოპაძე ქაიხოსრო თავისი ცოლშვილით გათათრდა. მტრების განდევნის შემდეგ ის კოპაძე კვლავ მოინათლა, მაგრამ ისევ უარყო სჯული. კოპაძე ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმა იყო, რადგანაც შენც ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმა ხარ, კოპაძისეული გლეხები შენთვის მიბოძებიაო, წერს სოლომონი. დაიწერა ჩ ღ პ ა აპრილის – კ [1781 წ. 20 აპრილი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 60,5x30,5 სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 41x21 სმ; v – 30,2x21,2 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 21; v – 24; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი ნიკოლოს ჭიჭინაძე; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხეუთხა დიდი მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით, ცენტრში ჩაწერილია – „სოლომონ“ – ასომთავრულით; აქვს მინაწერი r – „ქ. მეფე იმერთა მეორე სოლომონ და ძე არჩილისა, ნებითა ღვთისათა ვამტკიცებ ბატონის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის წყალობის სიგელს ამას“ – მხედრული; დამონმებულია სოლომონ

II-ის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით: წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; აქვს მინანერი 1. – v „ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ წიგნსა ა[მას]“ – ნუსხური; დამტკიცებულია ქუთათელ მიტროპოლიტის დოსითეოსის რვაკუთხა მურის ბეჭდით, რომლის ნახევარი დაკარგულია; მინანერი 2. v – „ქ: ჩვენ ყ“დ სამღვდელო გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ნებითა ღ“ისათა სიგელსა ამას და ვინცა შლად ჰელყოს შეჩვენებული იყოს“. დამტკიცებულია გაენათელი მიტროპოლიტის ეფთვიმეს რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „გაენათელი მიტროპოლიტი“ – მხედრულით, ცენტრში – „ეფთვიმე“ – ასომთავრულით; მინანერი 3. v – „ქ. ყოვლად სამღვდელო მთავარეპისკოპოსი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას. ვინც შეცვალოს შეჩვენებული იყოს“ – მხედრული. დამტკიცებულია მთავარეპისკოპოს ანტონის ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მთავარეპისკოპოსი ანტონი“ – ასომთავრულით.

**15. ის №913** – იმედის გაახლების წიგნი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ მარიამისა აზნაური და გლეხი იაშვილების, ერთობით გეგუთის აზნაურებისადმი – წინეთ იმედის წიგნი გქონდათ, შემოგვეხვეწერ და გაგიახლეთ, ისევ იმედის წიგნი გიბოძეთ, რომ თქვენ არ გაიყიდებითო. დაწერილია ჩ ღ 6 ვ [17566.]

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; მოხეული აქვს ტექსტის შესავალი ნაწილი; ზომა: 36x31სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x24,5სმ; v – 23x24,5 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 16; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით: წარწერა ბეჭედზე – „მონა მღლისა, ყმა ხონთქრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით; აქვს მინანერი r – „ჩვენ ბატონი უფლისწული მამუკა ვამტკიცებთ სიგელსა ამას“. დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით; 5 სტრიქონიანი წარწერა ბეჭედზე, სავარაუდოდ: „მიხმობენ მეფის ძეობით, უფლისწული ვარ ლიხთ იმერეთისა მამუკა“ – მხედრულით.

**16. ის №940** – წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა ზაალ კორძაიასათვის – ილორს გიორგელა თელიასა და მისი ქონების ბოძების თაობაზე. დაიწერა ქორონიკონს უ ვ ზ ლვინობისთვე ი ე [უ ვ ზ – 467 აქედან 1312+467=1779 წ. 15 ოქტომბერი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 32,5x20სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 27,5x17 სმ; v – 7x18 სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 16; v – 5; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანბეგი დავითი; დამოწმებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით.

**17. ის №945** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა მიქაბერიძეებისადმი – თქვენ გედავებოდნენ გლეხებს (ხაჭაპურიძეებს). ის გლეხები ჩვენ გიბოძეთ და თქვენ დაგრჩათო. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ვ ი ზ – აპრილს ვ ც [1777 წ. 28 აპრილი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; ზომა: 32,5x17,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 27x12,5სმ; v – 9x14,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 14; v – 5; მხედრული; ყავისფერი მელანი; შემდგენელი მდივანბეგი დავითი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრული; აქვს მინანერი r – „ქ. ბატონიშვილი ვამტკიცებ“. იქვე ხელრთვა მხედრული ხვეული კალიგრაფით – „ალექსანდრე“.

**18. ის №946** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა, დედოფალ მარიამისა და ბატონიშვილ ალექსანდრესი ნიკოლოზ იაშვილისა და მისი შვილებისადმი – საძმოს ბოძების თაობაზე – თუ ჩვენი ერთგული, სიტყვისა და ბრძანების მორჩილი იყო, ჩვენგან ეს წყალობა არ მოგემალოსო. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ვ თებერვლის ი – [1773წ. 10 თებერვალი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქვებული; ზომა: 37,5x17,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 34,5x13სმ; v – 17x16,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 18; v – 11; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დავით; დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა მცირე ზომის მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით.

**19. ის №970** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქეშიკუხუცეს ქაიხოსრო აგიაშვილისადმი – წყალობა გიყავით და გიბოძეთ გლეხებით. დაიწერა ქორონიკონს ჩ ღ ო, ივლისის ი ვ [1770 წ. 16 ივლისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; დაზიანებული; კიდეებშემოცვეთილი; დალაქვებული; ზომა: 43x26სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x18,5სმ; v – 25x23,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 17; v – 12; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანპეგი დავითი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა დიდი ზომის მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი, მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია – „სოლომონ“ – ასომთავრულით; აქვს მინაწერი v – „დიდი მეფე სოლომონის წყალობის წიგნი არის ჯვარისასა და გლეხებისა“ – მიწერილი აქვს ი – ინიციალი.

**20. ის №980** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ციხისთავ ქაიხოსრო აგიაშვილისადმი – შემოგვეხვენეთ, ვისმინეთ თქვენი ხვენნა და გიბოძეთ გლეხებით. დაიწერა ჩ ღ ო ზ [1777 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქვებული; ზომა: 34x26,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 23,5x19,5სმ; v – 8,5x19,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 17; v – 7; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი – მღვდელი დავით; დამტკიცებულია მეფე სოლომონის რვაკუთხა მცირე ზომის მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; მინაწერი v – „მეფის სოლომონის წყალობის წიგნი ყიფიანების“ – მხედრულით.

**21. ის №989** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი – დაგვეაჯენით, ვისმინეთ თქვენი და გიბოძეთ მამიშენის ნაქონი ადგილ-მამულით. დაწერილია ქორონიკონს ჩ ღ ნ გ [1753 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 43,5x32,5სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 36x22,5სმ; v – 43x22სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 16; v – 26; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი – ჯაფარიძე როსტომი; ტექსტის ნაწილი გადმოტანილია r – ზე და აქვე წარმოდგენილია მეფე სოლომონის მტკიცებულება – დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭედი წარწერით – „მონა მღვდელისა ყმა ხონქთრისა მეფე სოლომონ“ – მხედრულით; მინაწერი: „ვამტკიცებთ, ჩვენ ბატონისშვილი გიორგი, სიგელსა ამას. ჩვენით დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან დაამტკიცოს, ხოლო შეურაცხესმყოფელი ღმერთმან შეურაცხოს“. დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე არ იკითხება.

**22. ის №994** – შენირულების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა გელათის მონასტრისადმი – უამთა ვითარების გამო გელათის მონასტერს ყმები და ადგილები ჩამოშორდა, მაგრამ მე ისინი ისევ შევწირე მასო. დაიწერა ჩ ღ პ ბ მაისსა ათოთხმეტსა [1782 წ. 14 მაისი].

შედგება ორი ერთმანეთზე გადაწებული ფურცლისგან; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 116x21სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 108x18სმ; v – 66,5x18,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 74; v – 51; მხედრული; შავი მელანი; დასაწყისები გაფორმებულია ასომთავრულით, სინგურით; იწყება სტილიზებული დიდი ზომის ასომთავრული ე – თი; შემდგენელი ნიკოლაოზ გაბაონელი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე გარშემო: „კეთილ ძირთაგან რტოანი მეფე ვარ ბაგრატოანი“ – მხედრულით. ცენტრში ჩაწერილია – „სოლომონ“ – ასომთავრულით; ტექსტი დამტკიცებულია

ასევე დედოფალ გულქანის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო: „წულუკიძის ასული დედოფალი“ – მხედრულით, ცენტრში ჩანერილია – „გულქან“ – მხედრულით.

**23. ის №1471** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ერთგული ყმის დავით მესხისადმი – „ჩვენ თათრებთან ომი გვქონდა, შენც ჩვენთან იყავი, ჩვენ გავიმარჯვეთ და შენ წყალობა გიყავით და გიბოძეთ გლეხები“-ო. დაუთარიღებელი [სოლომონის ბეჭდისა და საბუთში აღნერილი ვითარების მიხედვით სიგელი გაცემული უნდა იყოს 1757-1758 წლებში].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დაზიანებული; ზომა: 42,5x16სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა: r – 36,5x12სმ; v – 42,5x12სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 26; v – 33; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი – მღვდლელი სვიმონ წერეთელი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის დიდი ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ – მხედრულით.

**24. ის №1764** – წყალობის წიგნი სოლომონ I-ისა ქაიხოსრო აგიაშვილისადმი – ივანა ბოჭორიშვილის ცოლ-შვილით, ადგილ-მამულით, ჭურ-მარნით და ყოვლის ქონებით მისთვის ბოძების თაობაზე..

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; დალაქავებული; ზომა: 44x15სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 37x12სმ; v – 38,5x12სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 18; v – 25; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; ადგილი, სადაც შესაძლოა თარიღი ყოფილიყო მითითებული, მოხეულია; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გადაშლილია და არ იკითხება.

**25. ის №1834** – ვალდებულების სიგელი სოლომონ I-ისა მიცემული დავით, გიორგი და თამაზია იმანჯერიშვილებისადმი – ალექსანდრე მეფის სულის საოხად საეკლესიო სამსახურის ვალდებულების შესახებ. დაწერილია ქორონიკონს ჩ ღ მ ი ც [1758წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; რესტავრირებული; ზომა: 33x31სმ; დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 28x25,5სმ; v – 26x25,5სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 13; v – 17; მხედრული; ყავისფერი მელანი; შემდგენელი მდივანი დათუნა; დამტკიცებულია სოლომონ მეფის ოთხკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „მონა მღთისა ყმა ხონთქრისა, მეფე სოლომონ“ – მხედრულით; მინანერი r – ზე: „ჩვენ, ქუთათელი მიტროპოლიტი მაქსიმე, ბატონის ჩვენის ბრძანებას ვამტკიცებ“ – ხელრთვა – „მაქსიმე“ – მხედრული ხვეული კალიგრაფიით.

**26. ის №2177** – შენირულების წიგნი სოლომონ I-ისა გოგნის ეკლესიისადმი – ეკლესიისათვის ზატიკის შენირვის თაობაზე. დაწერილია ოქტომბრის იდ, წელთა უფლისათა ჩ ღ პ [14 ოქტომბერი 1780 წ.].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; წარმოადგენს მეფე სოლომონის მიერ გოგნის ეკლესიისათვის შენირული ზატიკის ფორზაცს; ზომა: 19,5x15სმ; v – ზე დატანილია გოგნის ეკლესიისათვის მეფე სოლომონის შენირულობის ტექსტი; ტექსტის ზომა: 14x11,5სმ; სტრიქონების რაოდენობა 15 – მხედრული; შავი მელანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით, წარწერა ბეჭედზე: „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით;

r-ზე წარმოდგენილია მინანერები: 1. „ეს წიგნი გოგნის უდაბნოსი არის, ვინც გამოწიროს შეჩვენებული იყოს. ამინ და კირიალეისონ.“; 2. „უფალო იესო ქრისტე სწავლა კეთილათ მოუხდინე მონასა შენსა აბულაძეს სვიმონესა მღდელ მონაზონსა ამინ და კირიალეისონ“. r-ზე დატანილია ასევე ქართული ანბანის ასოები.

**27. E – 13/2** – ბოძების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა და დედოფალ გულქანისა ოქროპირ ცქიტიშვილისა და მისი ძმა სიმონისადმი – კითხიჯს ზაალ მხეიძისოული სასახლისა და მამულის მათთვის ბოძების თაობაზე; დაინერა ქრისტეს აქეთ ჩ ღ პ გ მაისის კ გ [1783 წ. 23 მაისი].

ერთი ფურცელი; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ჭვირნიშნიანი; დაუზიანებელი; ზომა: 62x27,5სმ;

დაწერილია r-v; ტექსტის ზომა r – 47x20სმ; v – 13x20სმ; სტრიქონების რაოდენობა r – 31 სტრიქონია, v – 9 სტრიქონი; მხედრული; შავი მელანი; შემდგენელი მღვდელი სიმონ ავალიანი; დამტკიცებულია სოლომონ მეფის რვაკუთხა, ზედა ნაწილში ამოზნექილი მურის ბეჭდით – ორჯერ; წარწერა ბეჭედზე გარშემო: „დავითის ნორჩი ჯვარით მტერს მოვრჩი“ – მხედრულით; ცენტრში ჩანსერილია: „მეფე სოლომონ“ – ასომთავრულით; სიგელს ამტკიცებს დედოფალი გულქანი რვაკუთხა მცირე ზომის მურის ბეჭდით; მხედრული წარწერა ბეჭედზე გარშემო: „წულუკიძის ასული დედოფალი“ და ცენტრში – „გულქან“; სიგელს ამტკიცებს ბატონიშვილი გიორგი ხელრთვით – „ქ. ალექსანდრეს ძე გიორგი ვამტკიცებ წიგნსა ამას“ და მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე: „ბატონიშვილი გიორგი“ – მხედრულით; მინაწერები r – ზე: 1. „ქ. ამ ბატონის წყალობა – დავთარში რაც სწერია, კაცის სულ გარდა, მოგვირთმევია და მოგახმაროს ღმერთმან ყოვლის კაცის უცილებლათ ჩვენ ცქიტიშვილს ივანეს, იესეს და მერაბს“ – ერთვის ხელრთვა, რომლის წაკითხვა გაძნელებულია, სავარაუდოდ ერთ-ერთი ძმის ივანეს ხელრთვა უნდა იყოს, იესეს და მერაბს ჯვრები აქვთ დასმული; 2. „ქ. მეფე სრულიად იმერთა სოლომონ ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა მღვითისათა“ – დამტკიცებულია მცირე ზომის რვაკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე – „მეფე იმერეთისა სოლომონ“ – ასომთავრულით; 3. „ქ. სრულიად იმერთა დედოფალი მარიამ ვამტკიცებ სიგელსა ამას ნებითა მღვითისათა“ – დამტკიცებულია მცირე ზომის ოთხკუთხა მურის ბეჭდით; წარწერა ბეჭედზე: „დედოფალი მარიამ“ – მხედრულით;

მინაწერები v – ზე: 1. „ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელო, ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ“ – დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი“ – მხედრულით; ცენტრში ჩანსერილია – „დოსითეოს“ – ასომთავრულით; 2. „ქ. ჩვენ, გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი, ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა სიგელსა ამას და ვინც გასტეხოს შეჩვენებული იყოს!“ – დამტკიცებულია რვაკუთხა მურის ბეჭდით. წარწერა ბეჭედზე გარშემო – „გენათელი მიტროპოლიტი“ – მხედრულით; ცენტრში ჩანსერილია – „ეფთვიმე“ – ასომთავრულით.

TSITSINO MUMLADZE, EKATERINE KELAURADZE, NINO KUKHIANIDZE  
Kutaisi State Historical Museum

## SOLOMON I'S DEEDS PRESERVED IN KUTAISI MUSEUM

*(Description-Catalogue)*

The Imereti King Solomon I diplomas have been many times in the field of research of Georgian scientists and it is natural, because the most reliable source of research in any period of Georgian history is the historical documents created during the study period: the documents of blood-money deeds, charters of grant and donation and other historical documents issued by the kings and high hierarchy, which clearly states all important matters standing before the country in relevant period. According to these deeds and other sources, the researcher creates a general picture of political, social, economic and cultural development of the country. We have the same situation with Solomon I deeds: in all its difficulties, Solomon's reign, in particular his struggle against the Ottoman Empire, the results of this struggle, his attitude to the faithful, the betrayer, the church, the struggle against the sale of the captives and the measures taken in this respect.


It is known that the Solomon I deeds are kept in almost all depositories of antiquities of Georgia. A certain number of these certificates are presented in the acts of the archaeological commission of the Caucasus. In research of the Kingdom of Imereti and the history of Georgia in general, many researchers use the citations from documents of King Solomon I. The list of these papers is quite extensive.

The Manuscript's and the Printed Books' fund of Kutaisi State Historical Museum possess the large collection of historical documents in which Solomon I is mentioned, but the number of deeds issued by him is - 27. Most of them, connected to the study of main matters of the Kingdom of Imereti and the reign of king Solomon I, in various contexts, have been certified by Georgian scholars in their works.

As mentioned above, in these works, in relation to the various historical facts, Solomon I deeds are simply certified, or quoted and also a description of the general character is performed. There is no work is issued where a complete kodikological description of Solomon I's deeds, kept in the Kutaisi Museum is issued, including an information on any document's origin, character, size, defense, fonts, compiler, drafts, evidence, stamp and other information of historical document. It can be said that this type of description of the Solomon I deeds was prepared for the first time in Kutaisi Museum. In the future we plan to publish the texts of documents in the full scientific form.



1. წყალობის წიგნი მეფე სოლომონ I-ისა პატა, ბერ და გიორგი წულუკიძებისადმი - 1772წ.



3. შენირულების სიგელი მეფე სოლომონ I-ისა გელათის მონასტრისადმი - 1782წ.



2. სოლომონ I-ის ხელრიცვა და ბეჭედი - 1772წ.

დავით იობიძე  
გელათის სასულიერო აკადემია და სემინარია

## აღცერილობა

K-14

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, სხვა ხელნაწერთა გვერდით, დაცული არის ერთი მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი, კერძოდ, წმინდა მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ-ეგზეგეტიკურ-პოლემიკური ხასიათის თხზულებათა შემცველი ხელნაწერი – K-14.

K-14 ხელნაწერის აღწერილობა პირველად 1953 წ. გამოქვეყნდა ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის პირველ ტომში, რომელიც შეადგინა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ევს. ნიკოლაძემ (იხ. ნიკოლაძე ევს., ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ტ. I, თბ. 1953). აღნიშნულ გამოცემაში ხელნაწერი XVII საუკუნით არის დათარიღებული.<sup>1</sup> მთარგმნელის შესახებ ზუსტი ცნობები დღეისათვის არ მოგვეპოვება. სამეცნიერო ლიტერატურაში ტექსტის სავარაუდო მთარგმნელად დასახელებულია კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერისძე (†1190).

დღეისათვის ხელნაწერის ახალი აღწერილობის შედგენა და გამოცემა განპირობებული არის შემდეგი ფაქტორებით, კერძოდ, 1990-1998 წწ. ხელნაწერი გადატანილი იყო კ. ე.ე.ელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, სადაც ხელახლა აინყო ტექსტების თანმიმდევრობის მიხედვით,<sup>2</sup> გაუკეთდა ახალი გადანომვრა, ჩაუტარდა რესტავრაცია (რესტავრატორი ლ. სიხარულიძე), ფურცლებზე ახლიდან დაისვა r-v-ები.<sup>3</sup> შედეგად, ხელნაწერის ფურცლების ამჟამინდელი წყობა-თანმიმდევრობა შეცვლილია და იგი უკვე არ შეესაბამება ხელნაწერის ევსევისეულ აღწერილობას.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოვადგენთ K-14 ხელნაწერის ახალ აღწერილობას, რომელიც სრულად შეესატყვისება ხელნაწერის ამჟამინდელ მდგომარეობას.

ქართული ხელნაწერის თითოეული ტექსტი შევუდარეთ მინეს პატროლოგის შესაბამის ტექსტებს (ბერძნული პატროლოგის სხვა, უახლესი გამოცემები ჩვენთვის ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი), და აღმოჩნდა, რომ ხელნაწერში გვაქვს არა სამოცი, როგორც მითითებულია ევსევისეულ აღწერილობაში, არამედ ოცდაექვსი თხზულება. საქმე იმაშია, რომ ხელნაწერში განთავსებული ზოგიერთი თხზულება შედგება რამდენიმე თავისაგან, რომლებსაც ევსევისეულ აღწერილობაში ცალკე ნუმერაციები ჰქონდათ მინიჭებული. წინამდებარე აღწერილობაში, დამოუკიდებელი თხზულებები დავნომრეთ არაბული ციფრებით, ხოლო თხზულებათა თავები გამოვიტანეთ ქართული ანბანის ასოებით.

1.

ა) მაქსიმე მონაზონისა სიტყვს-დაწყებავ პატივსა შინა გულდით-მდებარეთა სხოლიონთათვს. გუაკურთხენით წმიდანო. – ბუნებითად უკუც სიკეთედ სიტყვერთა მოუგიეს სიტყუად, ხოლო სიტყვსა სიკეთე სიტყვსებრი განმკაცრებული გულისხუმისყოფად არს სიტყვერთა... 1r - 2r;

ბ) მაქსიმე მონაზონისად თალასის მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა და წინამდლურისა, თითოსახეთა ულონოებათათვს წმიდისა წერილისათა. – ყოვლად ღირსისა მონასა ღმრთისასა, უფალსა თალასის ხუცისა და წინამდლურსა, მაქსიმე მდაბალი მარტოდ მცხოვნი გახარებ... 2v – 10r;

<sup>1</sup> სამეცნიერო წრეებში დღეისათვის გაფრცელებული მოსაზრების თანახმად, K-14 ხელნაწერი XII საუკუნეს განვეკოვნება.

<sup>2</sup> ხელნაწერის ფურცლების ხელახლი გადაწყობა, ვფიქრობთ, განპირობებული იყო თითოეული თხზულების შინარსობრივად გამართვა-სრულყოფის მიზანდასახულობით.

<sup>3</sup> ხელნაწერის ფურცელზე გარკვევით ჩანს, როგორც ძველი, ისე ახალი წემერაციები.

გ) ვინავთგან სახიერ-გყო შენ ღმერთმან ბრძანებად ჩემდა, რომელნი მაქუნდეს აღნიშნულად თავინი ულონოებულნი ჩემდამო, დაწერად და წარმოცემად შენდა, უსაჭიროესად აღჩენილნი ჩემდა დავაწესენ უპირატეს.

**კითხვაზ პირველი:** ვნებანი ესე თავით თვისით არიან ბოროტებ, ანუ წმარებისაებრ ბოროტ, ხოლო ვიტყვა გემოსა და წუხილსა, და გულისთქუმასა და შიშსა, და შემდგომთა მათთა?

**მიგებაზ:** ვნებანი ესე, ვითარ იგი სხუანიცა, არ პირველითგან თანა-აღეგნეს ბუნებასა კაცთასა... 10r – 165v {სულ არის 65 კითხვა - მიგება};

**შენიშვნა:** ეს არის წმინდა მაქსიმე აღმსარებელსა და ღირსი თალასის შორის გამართული კითხვა-მიგების შემცველი თხზულება (შემდგომში – „კითხვა-მიგება“), რომელიც ყველაზე დიდია წმინდა მაქსიმეს შრომებს შორის და ქრონოლოგიურად ერთ-ერთი გვიანდელია ღირსი მაქსიმეს შრომათაგან. წმინდა მაქსიმემ „კითხვა-მიგება“ დაწერა ღირსი თალასის თხოვნით, დაახლოებით 637-640 წწ. (იხ. С. Л. Епифанович, А. И. Сидоров. Творения преподобного Максима исповедника, Книга II, часть 1, „МАРТИС“ 1994, Ст. 14). ღირსი თალასი, იმ დროისათვის ცნობილი სასულიერო მოღვაწე, გახლდათ კართაგენთან ახლოს მდებარე ერთ-ერთი აფრიკული მონასტრის წინამდღვარი (რადგანაც მონასტერი მდებარეობდა ლიბიის უდაბნოში, თალასის ლიბიელსაც კი უწოდებდნენ), რომელთანაც წმინდა მაქსიმეს ახლო ურთიერთობა და ეპისტოლური მიმოწერაც კი ჰქონდა. ნაშრომში სულ არის 65 კითხვა-მიგება, რომლებშიც წმ. მაქსიმეს მიერ განმარტებულია ძველი და ახალი აღთქმის რიგი ადგილები.

წმინდა მაქსიმე აღმსარებელმა, ჩათვალა რა, რომ „კითხვა-მიგებაში“ რიგი საკითხები სრულად და ნათლად ვერ გადმოსცა, დაურთო მას სქოლიობი, რასაც სპეციალური წინასიტყვაობაც კი მიუძღვნა (იხ. С. Л. Епифанович, А. И. Сидоров. Творения преподобного Максима исповедника, Книга II, часть 1, „МАРТИС“ 1994, Ст. 11-15). აღნიშნული წინასიტყვაობა, როგორც ბერძნულ გამოცემაში, ასევე K-14 ხელნაწერშიც წინ უძლვის მთლიანად „კითხვა-მიგებას“.

K-14 ხელნაწერში პირველი ტექსტი (თალასისადმი კითხვა-მიგება) სამი ნაწილისაგან შედგება: а) სქოლიოთათვის წინასიტყვაობა; ბ) „კითხვა-მიგების“ წინასიტყვაობა; გ) „კითხვა-მიგება“.

ბერძნული ტექსტი იხ. PG90, col 244-773.

## 2.

მისივე, წმიდისა მაქსიმესი, ორთა ბუნებათათვს უფლისა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუმინისა იესუქრისტესთა, და ვითარმედ არიოზ უკუც და ნესტორიოს, ღმრთისმეტყუცლებისა და განგებულებისა სიტყუასა, ხოლო საბელიოს და ევტექიოს წინააღმდგომად მათსა შეჟრევენ. – არიოზ სამთა გუამთა აღიარებს, არამედ მხოლობასა უარპყოფს და არ იტყვს თანაარსად წმიდასა სამებასა... 165v – 167r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს წმ. მაქსიმეს XIII საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულებას. მასში წმ. მამას გადმოცემული აქვს მართლმადიდებლური ღმრთისმეტყველება ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. წმინდა მაქსიმე გმობს აღნიშნულ ქრისტოლოგიურ საკითხზე არიოზის, ნესტორის, საბელიოზისა და ევტიქის სწავლებებს.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 145-149.

## 3.

მისივე, წმიდისა მთავარეპისკოპოსისა იოვანეს მიმართ, ამისთვის, ვითარმედ უსხეულო არს სული. – პატიოსანი ნაწერი სათნოებითა სისრულისა თქუმინისად შევიწყნარე რად, ყოვლითა ცნობისზომიერებითა დიდბუნებაობით ჰაეროანი, მხიარულ ვიქმენ... 167r - 170r.

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინეს პატროლოგიოს მიხედვით VI ეპისტოლეს. წმ. მაქსიმე აღმსარებელი აღნიშნულ ეპისტოლეს უგზავნის იოანე მთავარეპისკოპოსს (კიზიკელი).

თამარ ოთხმეზური თავის ერთ-ერთ ნაშრომში – წმ. მაქსიმე აღმსარებლის „AMBIGUA AD IOHANNEM“

ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში — აღნიშნავს, რომ „წმ. მაქსიმე აღმსარებლის თხზულება („AMBIGUA AD IOHANNEM“) ჩაისახა 626-628 წლებში მაქსიმეს კიზიკოსში, წმ. გიორგის სახ. მონასტერში ყოფნისას მის მოძღვართან, კიზიკოსის არქიეპისკოპოს იოანესთან, საუბრებსა და დისკუსიებში. ხოლო დაიწერა მოგვიანებით, 628-630 წლებში, წმ. მაქსიმეს აფრიკაში მოღვაწეობის პერიოდში იმავე იოანეს მითითებითა და დავალებით“ (მრავალთავი XVIII, თბ., 1999, გვ. 237). აღნიშნულის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაშიც წმ. მაქსიმეს ადრესატი მისი მოძღვარი, კიზიკოსის მთავარეპისკოპოსი იოანეა. პ. შერვუდის მოსაზრებით, წმ. მაქსიმე აღნიშნულ ეპისტოლეს იოანე მთავარეპისკოპოსს უგზავნის წმ. გიორგის მონასტერში ჩასვლამდე, ანუ 624-625 წ.წ. (Sherwood P. An Annotated Date-List.. P. 25); თუმც, უ. კ. ლარშე თვლის, რომ ეპისტოლე გაგზავნილია წმ. მაქსიმეს აფრიკაში ჩასვლის პირველივე წლებში, ანუ 628-630 წ.წ. (Ж.-К. Ларше. о письмах святого Максима).

ეპისტოლეში წმინდა მაქსიმე ღმრთისმეტყველებს სულის უსხეულობის შესახებ და, ცდილობს, საკუთარი არგუმენტებით უკუაგდოს მოწინააღმდეგეთა მოსაზრებები.

ტექსტი გამოცემულია (იხ. ობიძე დ., გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, II, ქუთაისი 2016, გვ. 54-60); იგივე ტექსტი შენიშვნებითა და კომენტარებით, ამჟამად გამოცემის პროცესშია (იხ. ობიძე დ., ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 9/2016-2017).

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 424-433.

#### 4.

მისივე, იორდანის მიმართ ხუცისა, ვითარმედ შემდგომად სიკუდილისა აქს სულსა გონიერი მოქმედებად და არცერთისაგან განდგების ბუნებითისა ძალისა. – მეორესა წლეულისა ავლუსტოსისა თთვსა, აწინდელისა პირველისა ეპინემისეოვასასა, ზოგადმან მეგობარმან ჩუმნა... 170r - 172r;

**შენიშვნა:** მეოთხე ტექსტი წარმოადგენს მინეს პატროლოგიის მიხედვით VII ეპისტოლეს. ბერძნული ტექსტის მიხედვით, ეპისტოლის ადრესატია ვინმე იოანე ხუცესი, ხოლო ქართული ხელნაწერის მიხედვით – იორდანე ხუცესი. ეპისტოლის თემატიკა: а) სულის მდგომარეობა ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. ბ) მკვდრეთით აღდგომის შემდგომ სულისა და სული მყოფობის რაგვარობა.

ტექსტი გამოცემულია (იხ. ობიძე დ., გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, II, ქუთაისი 2016, გვ. 60-65); იგივე ტექსტი შენიშვნებითა და კომენტარებით, ამჟამად გამოცემის პროცესშია (იხ. ობიძე დ., ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 9/2016-2017).

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 433-440.

#### 5.

მისივე, იღუმენის მიმართ, ასკიტოიავსათვს, განსრულისა მონასტრით და შემნანებელისა. – ჭეშ-მარიტებისა ქადაგნი და საღმრთოვა მადლისა მსახურ-ქმნილი, რავდენთა დასაბამითგან, ვიდრე ჩუმნდამდე... 172r - 174r;

**შენიშვნა:** ტექსტი მინეს პატროლოგიაში XI ეპისტოლეა. ტექსტის მიხედვით, ადრესატის ვინაობა უცნობია. ეპისტოლის დასათაურებიდან ირკვევა, რომ ადრესატი არის ვინმე იღუმენი. ბერძნულ ტექსტში შესაბამის ადგილას ქართული იღუმენის შესატყვისი ლექსემა (hgoumh/nh h) მდედრობითი ფორმითაა წარმოდგენილი. ამასთან, ქართულ ხელნაწერში ეპისტოლის მიმღები ორგზის არის მოხსენებული როგორც მხევალი. შესაბამისად, ეპისტოლის ადრესატი ვინმე იღუმენია ყოფილა. როგორც სათაურიდანაც ჩანს, ეპისტოლეში საუბარია ვინმე მონაზონის შესახებ, რომელიც განმდგარა მონასტრის ერთობიდან, მაგრამ შემდგომში შეუნანებია.

აღნიშნული ეპისტოლის ადრესატის ვინაობა შეიძლება დავუკავშიროთ მინეს პატროლოგიის მიხედვით XII ეპისტოლეში, ხოლო ქართულ ხელნაწერის მე-12 ტექსტში (მე-12 ტექსტი იხ. ამავე აღნერილობაში), მოხსენებულ ვინმე ამმა იოვანიას (წმ. მაქსიმეს მიერ ალექსანდრიელად წოდებული), რომელიც ყოფილა ერთ-ერთი მონასტრის წინამდღვარი.

ეპისტოლის თემაზიკა შემდეგია: წმ. მაქსიმე იოვანიას სთხოვს, რომ მან კვლავ მიიღოს მონასტრის ერთობაში ის მონაზონი, რომელსაც დაუტოვებია მონასტერი, მაგრამ შემდგომ კვლავ მოქცეულა და შეუნანებია. ეპისტოლები წმ. მაქსიმე ხაზს უსვამს სინაულის აუცილებლობას და ლვთის გულმოწყალებას.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 453-457.

## 6.

**მისივე, ლოცვისათვს მამაო ჩუტნოვსა, ქრისტესმოყუარისა ვისმე მიმართ, თარგმანებავ შემოკლებული.** – თვით იგი შევიწყნარე ღმრთივდაცვული მეუფე ჩემი, ყოვლად ქებულთა ნაწერთა მისთა მიერ მოსრული... 174r - 188r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს წმ. მაქსიმე აღმსარებლის ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომს. მასში წმ. მამა განმარტავს საუფლო ლოცვას.

აღნიშნულ ტექსტზე სადისერტაციო წაშრომი დაწერა ნინო საყვარელიძემ; იმავე ავტორს „საუფლო ლოცვის“ ტექსტზე გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული გამოცემაში: Maximus the Confessor and Georgia, Iberica-Caucasica, vol. 3, London, 2009.

ბერძნული ტექსტი იხ. PG90 col. 872-909.

## 7.

**მისივე, ქრისტეს მიერისა მწუხარებისათვს.** – მიხარის და ვიშუმბ, ყოვლისა ეპისტოლისა მიერ საქებელითა წუხილითა შეწუხებულად მპოვნელი კურთხეულისა მეუფისად... 188r – 190v;

**შენიშვნა:** ეპისტოლის ადრესატია იოანე კუვიკულარი („კუვიკულარი“ საერო პირის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობა იყო), როგორც ტექსტიდან ჩანს, წმ. მაქსიმეს ახლო მეგობარი (იხ. Ж.-К. Ларшე. о письмах святого Максима (<http://predanie.ru/maksim-ispovednik-prepodobnyy/book/67926-tvoreniya/#toc>)).

წმ. მაქსიმე აღნიშნულ ეპისტოლები საუბრობს ერთ-ერთი ქრისტიანული სათნოების, კერძოდ, „ღმრთისამიერი მწუხარების“ შესახებ. წმ. მამა „ღმრთისამიერ მწუხარებას“ უწოდებს, ერთი მხრივ, ვნებათა მომაკვდინებელ დედოფალს, ხოლო, მეორე მხრივ, სათნოებათა დედას.

ტექსტი მინეს პატროლოგიაში IV ეპისტოლება. ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 413-420.

## 8.

**მისივე, ეპისტოლე სხუად.** – ჭორცთაებრსა სურვილსა დაჭნობად მოუგიეს ჟამითა თან-წარყოლილსა ადგილობით განყოფილთასა... 190v – 193v;

**შენიშვნა:** ტექსტი მინეს პატროლოგიაში VIII ეპისტოლება. ადრესატია იოანე, კიზიკის მთავარეპსკოპოსი (იხ. Ж.-К. Ларшე. о письмах святого Максима (<http://predanie.ru/maksim-ispovednik-prepodobnyy/book/67926-tvoreniya/#toc>)). ეპისტოლები წმ. მაქსიმე იოანეს მიმართავს, როგორც სულიერ მამას და გამოთქვამს მწუხარებას მასთან განშორების გამო.

აღნიშნულ ეპისტოლები წმ. მაქსიმე იოანეს ატყობინებს, იმპერატორის ბრძანებით, სულთმოფენობის დღეს, კართაგენში იუდეველთა და სამარიტელთა ძალდატანებითი ნათლობის შესახებ, რის გამოც წმ. მაქსიმე ფრიად შეწუხებული ჩანს.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 440-445. აღსანიშნავია, რომ ბერძნულ ტექსტში, იუდეველთა და სამარიტელთა ნათლობის შესახებ მსჯელობა არ დასტურდება. შესაბამისად, ქართული ტექსტი უფრო სრულია, ვიდრე ბერძნული.

## 9.

**მისივე, თალასსის მიმართ ხუცისა.** – საზღვარნი მყვანებელი კაცისანი არიან, ვითარცა იტყვან... 193v – 194v;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინე პატროლოგიის მიხედვით IX ეპისტოლეს.

ეპისტოლეში წმ. მაქსიმე ლირსი თალასის მიმართავს დამრიგლებრული ტონით, კერძოდ, თუ როგორ უნდა დაითმინოს მან ყოველგვარი დევნა და განსაცდელი. ეპისტოლის დასასრულს, წმ. მაქსიმე საკუთარ თავს უწოდებს ლირსი თალასის მონასა და მოწაფეს. წმ. მაქსიმეს მხრიდან ამგვარი თვითშეფასება განპირობებული იყო, საფიქრებელია, იმ გარემოებით, რომ იგი მიმართავს მონასტრის იღუმენს, მაშინ როდესაც თავად მხოლოდ უბრალო ბერია.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 445-449.

## 10.

**მისივე, გიორგის მიმართ ეპარქოსისა, რომელმან ალიცურვა კონსტანტინუპოლიდ მიმართ.** – არავინ, ესრეთ ვჰვინებ, რომლითავე გუარითა ნათლისაგან დაკლებულთაგანი... 194v – 205v;

**შენიშვნა:** ეს არის მინეს პატროლოგიის მიხედვით I ეპისტოლე. ეპისტოლეში წმ. მაქსიმე აქებს გიორგის, როგორც ჭეშმარიტ ქრიტიანს და მადლობს იმ კეთილგანწყობისათვის, რომელსაც გიორგი მისდამი ავლენს. წმ. მაქსიმე აღნიშნულ ეპისტოლეში წარმოგვიდგება, როგორც გიორგის სულიერი მოძღვარი. აღნიშნულ ეპისტოლეში ასევე გადმოცემულია სულიერ ცხოვრებაში ქრისტიანის მოვალეობების შესახებ.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 364-392.

## 11.

**მისივე, პირროვს მიმართ ყოვლად ლირსისა ხუცისა.** – წმიდისა ეპისტოლისა შენისა წარმვითხველმან, ღმრთივ პატიოსანო მამაო... 205v – 208v;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინეს პატროლოგიის მიხედვით XIX ეპისტოლეს. ეს არის ქრისტოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაშრომი, დაწერილი ეპისტოლის ფორმით. იგი წარმოადგენს წმ. მაქსიმეს პასუხს პიროსის მიერ გამოგზავნილ ეპისტოლეზე. მასში განხილულია ქრისტეში ნებათა და მოქმედებათა შესახებ საკითხი. წმ. მაქსიმე მტკიცედ იცავს ქრისტეში ორი ნებისა და ორი მოქმედების შესახებ სწავლებას.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 589-597.

## 12.

ა) **მისივე, იოვანეს მიმართ კუვიკულარისა, მართალთათვს ეკკლისიისა ღმრთისა რწმენათა, და ძრნად სევეროსისა.** – კეთილ-ყოფად შემრაცხელი, რამთა არავინ თქუცნებან ჩემდა მომართ მომავალთაგანი... 208v – 210v;

ბ) ...დაყენებულსა, კაც-ქმნად, რომელი არა იყო, დადგრომისა მიერ, რომელი იყო და არს ღმერთ.... 211r – 211v;

გ) განყოფილებისათვს, და ვითარ კეთილმსახურებით ჯერ-არს აღსაარებად ორთა ბუნებათავ ქრისტესა ზედა, შემდგომად შეერთებისა. – ამათსა ესრეთ სიბრძნით მრთელისაებრ გულისზრახვისა სამღდელოთაგან... 211v – 212r;

დ) **სხუად მათთვე.** – ხოლო ამათ ყოველთა თანა სიტყუცისა შემოკრებულთავსა დაცვულობასა მარადის ასწავებენ ყოველი მამანი... 212r – 213r;

ე) ვითარმედ რიცხვ არცა განსწვალებს, არცა განიწვალების, არცა განწვალებასა შემოილებს თვსისაებრ სიტყვსა რათურთით, რომელთა ზედა ითქუმის. – ხოლო უკუციუ ვიეთნიმე ჭეშმარიტებისასა თნებისა წინა პატივისმცემელი იტყვან... 213r – 214v;

ვ) ვითარ კეთილმსახურებით წარმოსაჩინებელად განყოფილებისა შემოილების რიცხვ. – ვინამცა არა რაოდენ ყოფასა რაოდენისასა ცხად ქმნად, ჰყოფს ანუ შემოიყვანებს განწვალებასა...“ 214v – 216v;

გ) ვითარ ჯერ-არს გულისხუმისყოფად, სუკენსონის მიმართსა შინა ეპისტოლესა, წმიდისა კვრილლესა მდებარესა მას სიტყუასა, და ვითარმედ არა პბრძავს ორთა-შორისი წმავ მეტყუცლთა ერთსა ბუნებასა სიტყვასასა განკორციელებულსა, თვინიერ საგონებელობისაებრ ნესტორისა ბოროტად მსახურებით შემოლებული. – ხოლო, უკუცთუ თქუან, ვითარმედ არა უდარეს პბრძავსო წინადადებად მათი... 216v – 218r;

თ) ვითარმედ საქმეთა, ესე იგი არს, არსებათად იყო ქრისტეს ზედა განყოფილება, და არა ვითარებათად, და ვითარმედ ყოველი განყოფილებავ საჭიროდ შემოიყვანებს თვისისა თვისისა თანა, რომელთად იყოს უეჭუცლად თქუმასა რაოდენობისასა. ხოლო რაოდენობავ დამნიშნველსა თვისისა რიცხვასასა, გინა შერწყუმული იყოს რაოდენობავ, გინა განწვალებული. – რამეთუ უკმდა მათ, არათუ ჭეშმარიტებით ესრეთ იყო, რომელ განყოფილებასაცა ლიტონითა და მხოლომთა წმოანითა... 218r – 219v;

ი) ვითარმედ, უთნოობა არს თქუმად ერთი შეზავებული ბუნებავ ქრისტეს, და მბრძოლ ჭეშმარიტებისა. – რამეთუ ყოველსა შეზავებულსა ბუნებასა, თავისაცა თვისისა და ურთიერთასთასა ყოფისა მიმართ... 219v – 220v;

კ) გუამისათ ს შეზავებულისა. – ხოლო დაღათუ ყოველი გუამი შეზავებული... 220v – 221v;

ლ) ზედ-მისლვავ შემოკლებითი სევირომს ულონოებისავ - „ორთა-შორისისათვს“ წმისა. – დაღათუ უფრომს უსიმტკიცომასა მის და ცუდისა სევერომს მონაპოვნისა მიმართ მიივლტიან დასასრულისა... 221v – 224r;

მ) განჩენავ შემოკლებული, კათოლიკე ეკკლისისისაებრ, - ქრისტეს ზედა აღსაარებულთა წმათა, - სარწმუნოებისა გარდმოცემასა. – ხოლო ჩუცნ, ღმრთისა თანა ითქუმოდედ, საღმრთომსა და განწედილისა საეკკლისიომსა მასწავლელობისა... 224r – 228v;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინეს პატროლოგის მიხედვით XII ეპისტოლეს. ადრესატია იოანე კუვიკულარი, რომლისთვისაც წმ. მაქსიმეს გაუგზავნია IV ეპისტოლეც (იხ. აღნერილობის მე-7 ტექსტის შენიშვნა).

ეპისტოლე წარმოადგენს ანტიმონფიზიტურ ტრაქტატს და მართლმდიდებლურ აღმსარებლობას, მიმართულს აღნიშნული მწვალებლობის წინააღმდეგ. მასში წმ. მაქსიმეს განხილული აქვს რიგი ქრისტოლოგიური საკითხები.

ქართული ხელნაწერი ტექსტი ნაკლულია. თხზულების პირველი თავი წყდება 210v-ზე, ხოლო 211r-დან წარმოადგენილია ბერძნული რედაქციის მეორე თავის მხოლოდ მცირე, დამასრულებელი ფრაგმენტი. ანუ, ბერძნული რედაქციის მეორე თავისი („3Ekqesiv o9rqh=v o9mologi/av“, PG91 col. 465-468) („გარდამოცემამართლისა სარწმუნოებისა“) მხოლოდ მცირე ფრაგმენტი აისახა ქართულ ხელნაწერში (211r – 211v). შესაბამისად, ქართული ხელნაწერის მიხედვით 11 თავი გვაქვს, ხოლო ბერძნულ რედაქციიაში 12 თავია წარმოადგენილი.

ტექსტი გამოცემის პროცესშია (იხ. იობიძე დ., გელათის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შრომები, III, ქუთაისი 2017).

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 460-509.

### 13.

ა) მისივე, პეტრეს მიმართ ილლუსტრიომსა სიტყუავ შემოკლებული დასამჯობელად სევირომს რწმენათა. – აჩუცნა, ვითარცა ჭეშმარიტ არს, კურთხეულმან მეუფემან ჩემმან, ვითარმედ ვერარავ ძალ-უც... 228v – 229v;

ბ) რიცხვსათვს უბუნებიერესი წარმოთქუმავ. – ხოლო ამას ივნებენ, ვითარ ჰეგავს უმეცარ-ყოფისა-აგან მათისა... 229v – 230r;

გ) განყოფილებისათვს და ღმრთებისა უგანმკაცრებულესობით, და კეთილმსახურისა აღსაარებისა მათისა. – ან უკუც, უკუცთუ, მამათაებრ, რიცხვ რაოდენობისა საქმეთავსა, და არა სქესისა არს... 230r – 231r;

დ) ვითარმედ გმობა არს ერთბუნებად თქუმავ ქრისტესი. – ესრეთ უკუც სიტყვასაებრ თუ ბუნებისავსა ერთსა ყოფად იტყვან მას... 231r – 231r;

ე) შეზავებულისა ბუნებისათვს უმკაცრესობითი, და მის ძლითისა სიტყვასა, და ვითარ უთნოობენ მეტყუცლნი, ვითარმედ ერთი შეზავებული ბუნებავ არს ქრისტე. – რამეთუ ყოველსა შეზავებულსა ბუნებასა, პირველად უკუც წინ-აღურჩეველ... 231r – 234r;

ვ) ვითარმედ, რომელი იტყოდის ლმრთად და კაცად ქრისტესა შემდგომად შეერთებისა, სახელთა თანა ბუნებათაცა აღიარებს საჭიროდ შემდგომად შეერთებისა, მართლიად რწმუნებად იძულებული. – რამეთუ, უკუცთუ ლმერთ და კაც არს ქრისტე შემდგომად შეერთებისა ზოგადისაებრ აღსაარებისა... 234r – 234v;

ზ) ორთა-შორისისა წმისათვს, და ერთისათვს ბუნებისა სიტყვასავსა განჯორციელებულისა, კეთილმ-სახური აღსაარებავ, მამათაებრ, და უარის-ყოფავ ერთისა შეზავებულისავ. – და კუალად ორთა ბუნე-ბათა შინა განუყოფელად გურნამს იგივე ყოფად... 234v – 235r;

თ) შეზავებულისა გუამისათვს უბუნებითესი შთამოთქუმავ, და გამოჩენავ ზედმინევნითი, ვითარმედ არა მათვე უადგილობათა შთავარდებიან აღმსაარებელნი ერთსა შეზავებულსა გუამსა ქრისტესა, ერ-თისა შეზავებულისა ბუნებისა მისისა მეტყუცლთასა. – ხოლო უკუცთუ, ვინამთგან ყოველსა შეზავე-ბულსა გუამსა ურთიერთას თან-მეუამედ მოუგიან კერძონი... 235r – 236v;

ი) ვითარმედ, მხოლოდსა მიღებისაებრი იქმნა შეერთებავ სიტყვასა კორცისა მიმართ, ვითარცა პირველ-მყოფისაგან და შეერთებისა მომართ კორცისალა დაცალიერებასა მნებებელისა. – რამეთუ, ვინამთგან საყოველთაოდ ყოველთა ბუნებით შეზავებულთად... 236v – 238r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინეს პატროლოგის მიხედვით XIII ეპისტოლეს. პეტრესადმი ეპისტოლე, თავისი შინაარსით არის ანტიმონფიზიტური ხასიათის ნაშრომი. ეპისტოლეში წმ. მაქსიმე ცდილობს გაამხ-ნევოს პეტრე თავისი სასულიერო ხასიათის მისის შესრულებაში, კერძოდ, რათა ლირსეულად დაიცვას მან მართლმადიდებლური აღმსაარებლობა.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 509-533.

#### 14.

ა) მისივე, ზოგადისათვს და განთვებულისა, ესე იგი არს არსებისა და გუამისა, კოზმას მიმართ მოყუარისა დიაკონისა ალექსანდრიელისა. – ვინამთგან უკუც მრავალი აღძრულ არს ჩუტნდა საღმრთომა განჯორციელებისა ძლითი სიტყუა... 238r – 240r;

ბ) დამზადებავ უბუნებითესი, წარმომადგინებელი, ვითარმედ არარავ მყოფთაგანი იგივე არს სხვა არსებისაებრ და გუამისა, არ-იგივეობისათვს ბუნებისა და გუამისა, არამედ არსებით ვიდრემე იგინივე სხუა არიან გუამებითა, ხოლო გუამოვნებით იგინივე – არსებით სხუაებ უეჭუცლად. – ხოლო, უკუცთუ იგივე სადმე არს არსებავ და ბუნებავ, და იგივე – პირი და გუამი... 240r – 242r;

გ) ვითარმედ ქრისტესა ვიდრემე არსებისებრითა თვსთა კერძოთა მწუცრვალთა მიმართითა ზიარე-ბითა ერთ-ქმნილსა, დაცვულად აქუს ურთიერთასი განყოფილებავ კერძოთავ, ხოლო თვთებათა მიერ კერძოთასა, გუამოვნებითი იგივეობავ იჩუტნების, ვითარცა სრულისა ზიარ-მყოფელისა ორთამსავე. – მასწავლელი ჩუტნი დაუფარავად, ვითარმედ ბუნებითა და არსებითა სრულად მყოფი ღმრთისა სიტყუა... 242r – 243v;

დ) ვითარმედ გუამოვნებისაებრ ვიდრემე ზიარნი კერძოთანი, სრულსა, ესე იგი არს, ქრისტესა განა-საზღვრებენ მწუცრვალთაგან, ხოლო არსებისაებრ მწუცრვალთა მიმართ ზიარნი კერძოთანი, ვითარცა სრულსა, შეაყოფენ მწუცრვალთა, არსებითად ქრისტესა. – რამეთუ არა თვთებათა, რომლითა სხუათა კაცთა განეყოფვოდა გორცი, მათ მიერვე სცვიდა... 243v – 245r;

ე) ვითარმედ ლმრთად სრულად მყოფი ქრისტე და კაცად სრულად იგივე, რომელებ იყო, აქუნდა ზი-

არიცა და განთვისებული, რომელთა მწუმრვალებისასა თავისა მიმართ თვისისა ჰყოფდა შეერთებასა და განკიდებასა თავისა უკუც თვისისა მიმართ შეერთებითა მწუმრვალთავთა, სარწმუნო მყოფელი მის შორის დაცვულთა, რომელთაგან თან-დაიდვა ორთა ბუნებათა, ხოლო თავისა მიერ თვისისა განკიდებითა მწუმრვალთავთა მხოლობითობასა თვისისა გუამისასა წარმომადგინებელი. – რამეთუ, უკუცთუ ბუნებით ღმრთად მყოფი სიტყუად მიღებითა წორცისა გონიერად სულიერ ქმნილისავთა... 245r - 245v;

ვ) განყოფილებისათვს შთამოთქუმავ შემოკლებული, რომლისა მიერ იჩუმნების დაცვად არსებითსა რაოდენობასა შეერთებულთასა. – ან უკუც იცვების თუ, შემდგომად შეერთებისა ქრისტეს შორის, რომელთაგან თან-დაიდვა... 245v;

ზ) შემზადებად უბრცელესი-რე და უბუნებითესი განყოფილებისათვს და ვითარებისა, და ცხად-მყოფელისა მათისა რიცხვსა. – ან სადმე ვინამთგან განყოფილებასა ვიტყვთ ქრისტეს ზედა შემდგომად შეერთებისა... 245v - 248r;

თ) ვითარმედ, არა იგივედ მეტყუცლი ბუნებასა და გუამსა, კეთილმსახურებით იტყვს ქრისტეს ზედა შეერთებასა და განყოფილებასა, ერთსა უკუც გუამოვნებისაებრ მრნმუნებელი ყოფად, ხოლო სხუასა მას - ბუნებისაებრ. – ამის აღსაარებისა მქონებელნი ჩუცნ, არცა ბუნებათა განყოფილებასა უარ-ვჰყოფთ შემდგომად შეერთებისა... 248r - 248v;

ი) ვითარმედ სევიროს, იგივე ყოფად მეტყუცლი ბუნებასა და გუამსა, შერევნა ჰყოფს შეერთებასა, და განწვალება – განყოფილებასა, რომლითა იჩუმნების ოთხებისა მიმართ პირთავსა განმარჩეველად სიტყუასა სამებისასა, და ორობისა მიმართ ღმრთებათავსა განმკუცლელად საიდუმლოსა ერთობისასა, და მგმობრობით განმკდელ ყოვლისავე არსებითისა მყოფობისა ქრისტესისა. – ხოლო სევიროს, სა-კუთრად იგივედ არსებისა და გუამისა, ბუნებისა და პირისა მეტყუცლმან... 248v - 250r;

კ) გამოთქუმავ შემოკლებული, შემდგომად მართლისა თან-მოსაჯულობისა, ჭეშმარიტისა მამათა აღსაარებისავსა. – ხოლო ჩუცნ არ ესრეთ ვზრახავთ, არ ესრეთ ვირწმუნებთ, არცა ესე არს ნაწილი იაკობისი... 250r - 251v;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მინე პატროლოგის მიხედვით XV ეპისტოლეს. როგორც ტექსტის სათაურიდან ჩანს, ეპისტოლის ადრესატია კოზმა, ალექსანდრიელი დიაკონი. კოზმას მიმართ წმ. მაქსიმეს სხვა ეპისტოლეც მიუწერია (იხ. PG91 col. 576-580), რომლის ქართული თარგმანი დღეისათვის არ მოგვეპოვება.

კოზმასადმი ეპისტოლე, თავისი შინაარსით არის ანტისევერიანული ხასიათის ტრაქტატი, რომელშიც გადმოცემულია ქრისტოლოგიური საღმრთისმეტყველო განსჯანი.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 544-576.

## 15.

აღნიშნვად ქმნილისა მის ძიებისად აღძრულთა მათ საეკლისიოთა რწმენათა ძლით, მუნ ყოფასა გრიგოლი კეთილმსახურისა პატრიკისასა, და მის თანა პოვნილთა ყოვლად ღირსთა ეპისკოპოსთა, და სხუათა ღმრთისმოყუარეთა და დიდებულთა კაცთასა, პკრროვს მიერ, პატრიარქ-ქმნილისა კონსტანტინუპოლის, და მეგისტე კეთილმსახურისა მონაზონისა, თთუცსა იულისსა, ინდიკტიონსა სამსა. პკრროს რად უკუც თანამბრძოლ ექმნებოდა შემოლებულსა მის მიერ, და უპირველესისა მისისა ბიზინ-ტიას შინა ახალ-მკუცლელობასა, ესე იგიარს, ერთისა ნებისასა. ხოლო თან-მოსაჯულედ ზემომთგან მოცემულისა ჩუცნდა მამეულისა და მოციქულებრისა მასწავლელობისად, მოქსენებული ესე საკვრველი მამაკაცი, ვიტყვ უკუც გრიგოლის უფროვს პატივცემულსა პატრიკსა, გამოჩნდებოდა, ურთიერთას შემოკრებითა ზემო თქმულთა მათ მამაკაცთავთა, პკრროს ვიტყვ და მეგისტეს, წინა რად დაიწყო მეგისტეს მიმართსა პატრიარქისა პკრროს. – რად ძვრი ვყავთ შენდამი, უფალ[ო] მამაო მეგისტე, მე და უპირველესმან ჩემმან... 252r - 275r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს დოგმატურ-პოლემიკური ხასიათის ტრაქტატს, რომელიც, თავის მხრივ, არის ზედმინევნითი წესით ჩანერილი დისპუტი, რომელიც გაიმართა წმ. მაქსიმესა და კონსტანტინოპოლის ყოფილ პატრიარქ, პიროს შორის. აღნიშნულ საღმრთოსმეტყველო სიტყვისგებაში წმ. მაქსიმე წარმოაჩენს მართლმადიდებლურ ქრისტოლოგიას, კერძოდ, იცავს ქრისტეში ორი ნების შესახებ სწავლებას.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 288-353.

## 16.

ა) **მისივე, მარინოვს მიმართ ყოვლად ღირსისა ხუცისა.** – იჭუად თავისა თვისისა დამდებელი ყოვლადსაგალობელსა მას ღმრთისა მიმართისა სიყუარულისა ზავსა, ღმრთის მიმსგავსებულო მამაო... 275r – 275v;

ბ) **ბუნებითისა ნებისა, ესე იგი არს, ნებებისათვს.** – ნებად ბუნებითად იტყვან ყოფად, ესე იგი არს, ნებებად... 275v – 276r;

გ) **განზრახვისათვს.** – გარნა არცა განზრახვა არს წინააღმრჩევად, რამეთუ განზრახვა უკუც არს... 276r – 276v;

დ) **განმზრახველობითისათვს, რომელ არს განმზრახველობა.** – განმზრახველობითსა, რომელ არს განმზრახველობა, ყოფად იტყვან, ვითარმედ წადიერებად არსო... 276v – 277r;

ე) **წინააღმრჩევისათვს.** – წინააღმრჩევად არსო იტყვან, წადიერებად განმზრახველობითი ჩუცნ ქუც-შეთა საქმართავ... 277r;

ვ) **თუ რომელთათვს განვიზრახავთ.** – ხოლო განვიზრახავთ ჩუცნ ქუც-შეთათვს და ჩუცნ მიერ ქმნად შესაძლებელთა... 277r – 278r;

ზ) **ჯერ-ჩინებისათვს.** – არამედ არცა ჯერჩინებად რამე არს წინააღმრჩევად, დაღათუ მრავალნი კელის-წინად ჰერნებენ ამას... 278r;

თ) **კელმწიფებისათვს.** – გარნა არცა კელმწიფებად არს წინააღმრჩევად, რამეთუ წინააღმრჩევად ვიდრემე, ვითარცა მრავალ-გზის მითქუამს... 278r;

ი) **თნებისათვს.** – არამედ არცა თნებად რამე არს წინააღმრჩევად, რამეთუ თნებად უკუც მრჩობლი არს – სიტყვერი და უსიტყვ... 278r – 279r;

კ) **ცნობისათვს, ესე იგი არს, ცნობიერებისა.** – არამედ არცა ცნობა, ესე იგი არს, ცნობიერება არს წინააღმრჩევად... 279r – 279v;

ლ) **ვითარმედ ყოვლითა გუარითა არა იყოს შემდგომად აღდგომისა ერთი ნებად წმიდათად ურთიერთას მიმართ და ღმრთისა, და ერთი ნებებული ყოველთამ, ვითარცა ვიეთნიმე იტყვან.** – ან უკუც პირველმოქსენებული წინააღმრჩევად, ჩუცნ ქუც-შეთა ზედავსა მიმართებისა... 279v – 281v;

მ) **ვითარმედ ერთი ნებად არ-შესაძლებელ არს თქუმად ქრისტესა ზედა, გინა ბუნებითი ითქუას, გინა წინააღმრჩევითი, ვითარ იგი ვიეთმე სთნდა.** – ან სადმე ვინადთგან ამათ შინა სიტყუად მათი მოუძლეურ-და... 281v – 285r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს წმ. მაქსიმეს მიერ მარინუსისადმი მიწერილ I-ელ საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ ტრაქტატს. მარინუსი იყო კვიპროსის ეკლესიის კონსტანტიის ეპარქიის ეკონომოსი. წმ. მაქსიმესა და მარინუსს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ. წმ. მაქსიმეს თავისი საღმრთისმეტყველო-პოლემიკური თხზლებათაგან მარინუსისათვის მიუწერია I, II, III, VII, X, XVII და XVIII.

აღნიშნულ საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ ტრაქტატში, წმ. მაქსიმე აანალიზებს რიგ ქრისტოლოგიურ ტერმინებს, რაც ხშირად იყო მონოფიზიტებთან და მონოენერგისტებთან კამათის საგანი. ყველა ტერმინი წმ. მაქსიმეს განხილული აქვს ქრისტოლოგიური შინაარსით.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 9-37.

## 17.

მისივე, მოქმედებათა და ნებათა ძლითისა მოფარდულობისაგან, მეერგასისა თავისა.

ვითარმედ სევიროს ძრის-მოქმედებით იტყვს იგივე ყოფასა ბუნებისა და გუამისასა, რათა შერევაც განამტკიცოს ერთისა ბუნებისა მიერ, და განერეს მხილებასა გუამად მეტყუცლი გაგონებასა ბუნებისასა. და კუალად განწვალებავ შემოილოს, გუამთაგან აღმსაარებელმან შეერთებისამან, და სთნდეს შეცილებავ, ნაცვალად ბუნებათასა მეტყუცლისა გუამთა შეწყნარებისასა. და კუალად უმყოფობისა ბუნებათავსა, ლიტონისა განყოფილებისა მიერ მოსაკულმან, პოოს მისალტოლველად სიტყვს გებისად, ვითარების-შორისი ლიტონი განყოფილებავ ბუნებითი. და ვითარმედ, ვითარ იგი ნისტორ ლიტონისა მეტყუცლი შეერთებისავ, საქმითსა შემოილებდა განწვალებასა, ეგრეთ სევიროსცა ლიტონსა მეტყუცლი განყოფილებასა ბუნებითსა, საქმითსა ჰყოფს შერევნასა. – მრავლად შეიწრებული სიტყუათა ამათ მიერ სევიროს, და ვერ თავს-მდებელი მტანჯველობასა ჭეშმარიტებისასა... 285r – 287r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს მარინუსისადმი გაგზავნილ წმ. მაქსიმეს II საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულებას. იგი სევერუსის თეოლოგიის წინააღმდეგაა მიმართული. ნაშრომი, თავის მხრივ, წარმოადგენს წმ. მაქსიმეს ენერგიათა და ნებათა შესახებ სწავლებიდან 50-ე თავს.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 40-45.

## 18.

მისივე, მისვე მოფარდულობისაგან ორმეოცდამეათერთმეტისა თავისა.

ვითარმედ მეტყუცლთა ორთა ნებათასა ქრისტეს ზედა მამათა, ბუნებითნი დანიშნენს არა ჯერ-ჩინებანი. – არამედ ნუ ვინ აბრალობს სიტყუასა, ჯერ-ჩინებითთა ნებათა ორობისა უკუმსიტყუველსა...” 287r – 291r;

**შენიშვნა:** მარინუსის მიმართ გაგზავნილი III საღმრთისმეტყველო-პოლემიკური თხზულება, რომელიც წარმოადგენს იმავე ენერგიათა და ნებათა შესახებ სწავლებიდან გამოღებულ 51-ე თავს (იხ. წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციების მასალები, I, აღმსარებელი 2015, გვ. 321-323).

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 45-56.

## 19.

მისივე, გიორგის მიმართ ყოვლად ლირისისა ხუცისა და წინამძღურისა, რომელსა ეკითხა ეპისტოლისა მიერ ქრისტეს ძლითისა საიდუმლოვათვს. – გონებისა უკუც თვისისა საღმრთოვთა სურვილითა ფრთოვან-მქმნელსა...” 291r – 293r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს წმ. მაქსიმეს IV საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულებას, გაგზავნილს გიორგი ხუცესისადმი. მასში წმ. მაქსიმე გადმოსცემს, რომ ქრისტემ პიპოსტასურად (გუამოვნებითად) მიღლო სრული კაცობრივი ბუნება.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 56-61.

## 20.

ა) მისივე, მეტყუცლთა მიმართ, ვითარმედ ერთსა ჯერ-არს თქუმავ მოქმედებასა ქრისტესსა ზედ-მპერობელობითა საღმრთოვსა მისისა, ვითარცა უსაქმიერესისამთა, რომელი ზედ-მპერობელ იყო კაცობრივისა, რომელთავ ესრეთ საკმარ არს სიტყვს-გებამ. – პირველად უკუც თქუმცა აღიარებთ ორსა მოქმედებასა, ერთსა ზედ-მპერობელსა, საღმრთოსა ვიტყვ... 293r – 293v;

ბ) მეტყუცლთა მიმართ, ვითარმედ ვითარცა ორლანოვსა და მძრველისავ ერთი არს მოქმედებამ,

ეგრეთვე ღმრთებისაცა და კაცებისა ერთი მოქმედება. – უკუმა ბუნებითსა ვიდრემე იტყვთ ორ-ლანისა, თან-მოჟამე ჭორცისა იყოს, თქუმნებრ, სიტყუა... 293v – 294r;

**გ) მეტყუცლთა მიმართ, ერთსა შეზავებულსა მოქმედებასა ქრისტესა.** – შეზავებული მოქმედება, შეზავებულისა ბუნებისად არს უეჭუცლად... 294r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს წმ. მაქსიმეს V საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ ტრაქტატს. თხზულების ადრესატი უცნობია. წმ. მაქსიმე პოლემიკური სიტყვით მიმართავს მათ, ვინც ქრისტეში მხოლოდ ერთ მოქმედებას ხედავს.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 64-65.

## 21.

**მისივე, გრაგნილი რწმენითი, წარცემული კვპრედ მარინოვს მიმართ დიაკონისა.** – არა უფრომა განვცბრდი მრავლისათვეს კრძალულებითისა სამკაულისა შენისა... 294r — 302r;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს დიაკონ მარინუსისადმი გაგზავნილ დოგმატურ ტრაქტატს (VII საღმრთისმეტყველო-პოლემიკური თხზულება), რომელიც ანტიმონოთელიტური ხასიათისაა. მასში წმ. მაქსიმეს გადმოცემული აქვს სწავლება ქრისტეში ორი ნებისა და ორი მოქმედების შესახებ.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 69-89.

## 22.

**მისივე, ამისთვეს, ვითარმედ: „მამაო, უკუმა შესაძლებელ არს, წარმქედინ ჩემგან სასუმელი“.** – უკუმა ამას, ვითარმედ: „მამაო, შესაძლებელ თუ არს, წარმქედინ ჩემგან სასუმელი“, გამოჩინების-მქონებელად მიიღებ კაცისა, არა მაცხოვრისებრისად გულისხუმა-ქმნილისა... 302r – 303r;

**შენიშვნა:** VI საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულება. მასში წმ. მაქსიმე განმარტავს მათეს სახარებიდან ერთ პასაუს (მთ. 26, 39). სახარების აღნიშნული ადგილის განმარტებაში, წმ. მაქსიმე ღმრთისმეტყველებს, რომ ქრისტე ფლობდა ორ ნებას, – ღმრთაებრივსა და კაცობრივს, – რომელთაგან კაცობრივი სრულად ეთანხმებოდა ღმრთაებრივს.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 65-68.

## 23.

**საზღვარი თითოსახენი.** – არსებად და ბუნებად იგივე, რამეთუ ორნივე ზიარ და საყოველთაო არიან, ვითარცა მრავალთა და რიცხვთა განყოფილთათვეს შესმენილი... 303r – 304v;

**შენიშვნა:** ტექსტი წარმოადგენს XIV საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულებას. მასში წმ. მაქსიმეს გადმოცემული აქვს ძირითადი საღმრთისმეტყველო ტერმინები მისეული განმარტებებითურთ. ძირისი მამა განმარტება შემდეგ ტერმინებს: „არსება და ბუნება“, „თანაარსი“, „არსებითი შეერთება“, „არსებითი განყოფილება“, „გუამი და პირი“, „თან-მეგუამე“, „გუამოვნებითი შეერთება“, „გუამოვნებითი განყოფილება“, „სქესობითი შეერთება“, „სქესობითი განყოფილება“, „შერევნითი შეერთება“, „განწვალება“, „ძალი“, „მოქმედება“, „ბუნებითი ნება“, „ჯერ-ჩინებითი ნება“.

ქართული ხელნაწერი ტექსტი ნაკლულია, კერძოდ, მას აკლია ბერძნული ტექსტის ბოლო ორი აბზაცი, რომელშიც წმ. მაქსიმეს განმარტებული აქვს ორი ტერმინი, ესენია: „განყოფილება“ და „იგივეობა“.

ბერძნული ტექსტი იხ. PG91 col. 149-153.

## 24.

**სწორი, ეპისტოლისა ქმნილისავ წმიდისა მიმართ ეპისკოპოსისა უფლისა ნიკანდროვსა, წმიდათა-განისა მაქსიმეს მიერ.** – შენ, ღმრთივ პატივცემულო და ყოვლად ნეტარო მამაო, სახელ-შემსგავსებულად მქონებელი ახოვნებისა თანა, ყოველთა მიმართ უჩინოდ... 304v – 305v;

**შენიშვნა:** VIII საღმრთისმეტყველო-პოლემიკურ თხზულება. როგორც ტექსტის სათაურიდან ჩანს, მისი ად-

რესატია ეპისკოპოსი ნიკანდრო. მოცემულ ტრაქტატის თემატიკაა ქრისტეში ორი ენერგიის შესახებ სწავლება.

ქართული ხელნაწერი ტექსტი ნაკლულია, იგი 305v-ზე წყდება და 306v-დან სხვა ტექსტით გრძელდება. ბერძნული ტექსტი სრულად იხ. PG91 col. 89-112 (ქართული ტექსტი ბერძნულს 93-ე სვეტის მე-18 სტრიქონამდე მიჰყვება).

25.

...ნებითთა ვიტყვ თვთებათა ურთიერთასითა თან-შეყოფითა, ყოვლითურთ შემაერთებელ არს კუალად, და არცა სხვა თვნიერ სხვა... 306r – 312v.

**შენიშვნა:** ტექსტი ფრაგმენტული სახით არის შემორჩენილი. იგი თავნაკლულ-ბოლონაკლულია. ამის გამო ტექსტის იდენტიფიკაცია ამჟამად ვერ მოხერხდა.

### ლიტერატურა:

1. K-14 ხელნაწერი.
1. კეკელიძე კ., ძვ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1980.
1. კოჭლამაზაშვილი ე., წმ. მაქსიმე აღმსარებლის „საუფლო ლოცვის განმარტების“ ეფთვიმე მთაწმიდელისეული თარგმანი, ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, თბ. 2012.
2. ნიკოლაძე ევ., ხელნაწერთა აღწერილობა, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ტ. I, თბილისი, 1953.
3. ოთხმეზური თ., წმ. მაქსიმე აღმსარებლის „AMBIGUA AD IOHANNEM“ ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში, მრავალთავი XVIII, თბ., 1999.
4. წმ. მაქსიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საღვთისმეტყველო კონფერენციების მასალები, I, აღმსარებელი 2015.
5. Patrologia Greace, t. 91.
6. Patrologia Greace, t. 90.
7. Собрание творений преп. Максима Исповедника. «Избранные творения» - собрание разных творений Максима из разных источников в Сети (<http://predanie.ru/maksim-ispovednik-prepodobnyy/book/67926-tvoreniya/#toc1>)
8. С. Л. Епифанович, А. И. Сидоров. Творения преподобного Максима исповедника, Книга II, часть 1, „МАРТИС“ 1994.

DAVID IOBIDZE  
Theological Academy and Seminary of Gelati

## DESCRIPTION

### K-14


In the Kutaisi Historical museum, beside the other manuscripts, there is the most important handwriting by Maximus the Confessor, that contains doctrinal-egzegetic-polemic character writings\_K14 .

Description of the manuscript K-14 was published in 1953 (see Nikoladze E., Description of Manuscripts, Kutaisi National Historical Museum, T I, Tbilisi, 1953).

During 1990-1998 years the manuscript was moved to National Center of Manuscript of Georgia by K.

Kekelidze, where it was rearranged by the sequence of texts. As a result, current state of the manuscript does not much to its published description, as stated above.

In this publication we present the new description of the Manuscript K-14, that is fully compatible with the manuscript's current condition.



მაია საჩქოვი  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, მეცნიერებათა კანდიდატი

## ოქროს დაცვილებანების მეთოდები ვახტანგ VI-ის „ქიმიაში“

ძველი ქართველი კალიგრაფების ერთ-ერთ ძირითად საწერ საშუალებას „ოქრომელანი“ წარმოადგენდა, რომელსაც ინტენსიურად იყენებდნენ როგორც საზედაო ასოების ჩასაწერად, ისე მინიატურების დასახატავად. ოქროს მელანს ამზადებდნენ წვრილდისპერსიული ოქროს ფხვნილის წყალში შერევისას. მელნის ქალალდთან შეჭიდულობის უზრუნველყოფის მიზნით ამ წყალსნარს თხევადი წებო ემატებოდა.

ოქროს მელნის დამზადებისას მთავარი ყურადღება წვრილდისპერსიული ოქროს ფხვნილის მიღებას ექცეოდა. ასეთი ოქროს მისაღებად კი არსებობდა რამდენიმე წესი, რომელიც ოქროს დაწვრილმანების მეთოდის მიხედვით განეკუთვნებოდა მექანიკურ, ქიმიურ-მექანიკურ და ქიმიურ წესებს. აღსანიშნავია, რომ ვახტანგის ცნობილ სახელმძღვანელოში „ნიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ სამივე წესი დაწვრილებით ან ზოგადი სახით არის მოხსენებული. (ზოგადად მოხსენიება მექანიკური წესები, ვინაიდან ისინი რაიმე საგანგებო განმარტებას არ საჭიროებენ).

აღნიშნული მეთოდების განხილვას ვიწყებთ მექანიკური მეთოდით, რომელიც როგორც ავლიშ-ნეთ „ქიმიაში“ ზოგადად არის მოხსენებული. კერძოდ, §105-ის ტექსტს ავტორი ასე იწყებს: „მოიტანე 20 მისხალი ოქრო და დაქლიბე წმინდად და ოქროს ვარაყი, რომელიც იქნება კარგია“. [ჩაგუნავა, შაქარაშვილიჩგვ. 112]. აქ, როგორც ვხედავთ ოქროს მექანიკური დაწვრილმანების ორი მეთოდია მოყვანილი, მათგან პირველი ოქროს ნაჭრის გაქლიბვას ითვალისწინებს. მეორე კი ოქროს ვარაყის დაწვრილმანებას, რის განხორციელებაც თხელი ოქროს ფურცლის ნაყვითა და გაქნით შეიძლებოდა. ფურცლის სითხელის გამო ის დაწვრილმანებას ადვილად ექვემდებარებოდა და მიიღებოდა ძალზე წვრილდისპერსიული ფხვნილი.

მეორე წესი, რომელიც ოქროს დაწვრილმანებას ქიმიური დამუშავებითა და მექანიკური ზემოქმედების საშუალებით ითვალისწინებდა, პირობით შეიძლება ქიმიურ-მექანიკური წესი ენოდოს. ამ მეთოდს ეძღვნება §62, სათაური – „გაფოლადება ოქროსი“, ამ შემთხვევაში ოქროს გამყიფებას გულისხმობს. პარაგრაფში აღნერილი წესის თანახმად საოქრომჭედლო კოჭობს კედლებზე ყვითელი მურდასანგი (PbO) ესმევა, რის შემდეგაც მასში გამდნარი ოქრო ისხმება.

გაცივებისას ვახტანგის მტკიცებით ოქრო „ისე გაფოლადდება, კვერი რომ დაჰკრა, დაიფშვნიტება [ჩაგუნავა, შაქარაშვილი გვ. 79 ].

გამდნარი ოქროს მურდასანგთან შეხებისას ამ უკანასკნელის ნაწილი მეტალში გადადის და ამ გზით მას სიმყიფეს ანიჭებს (ცნობილია, რომ ოქროს გასამყიფებლად საკმარისია მასში 15%-ის რაოდენობით ტყვიის შეტანა.) [Плаксин, გვ.42]. ოქროს გამყიფების ამ წესის ეფექტურობა კარგად ჩანს იმ შედეგებიდან, რომელიც ასეთ ოქროზე ჩაქუჩის („კვერით“) დაკვრას მოსდევს. ოქრო ადვილად „დაიფშვნიტება“ და მასზე ჩაქუჩის დარტყმით ან გალესვის საშუალებით ასევე ადვილად მიიღება მელნის დასამზადებლად საჭირო წვრილდისპერსიული ოქრო.

აღსანიშნავია, რომ „ქიმიაში“ ვახტანგს ტყვიის შერევით ოქროს გაყიფების მეორე წესიც მოყავს. §124-ში აღნერილი ეს მეთოდი ორი სტადიისაგან შედგება. პირველ სტადიაზე ტყვიას ადნობენ და წყალში ასხამენ. ამ ოპერაციის სამჯერ გამეორების შემდეგ დნობის და წყალში ჩაქრობის ოპერაციებს ოქროსათვისაც იმეორებენ. ასე დამუშავებული გალესვისას ისე ფხვიერდება, რომ ვახტანგის სიტყვებით „მინასავით შეიქმნება“ [ჩაგუნავა, შაქარაშვილი გვ. 30].

რეცეპტში აღნერილი ოქროს დაწვრილმანების მეთოდი პრაქტიკულად განხორციელების თვალ-

საზრისით სრულ ნდობას იმსახურებს. გამდნარი ტყვიის წყალში ჩაქრობისას, გამდნარი ტყვიის ნაწილი წყალში იხსნება. გამდნარი ოქრო კი ჩაქრობისას ამ ტყვიის მინარევს შთანთქავს, რის შედეგადც ის მყიფე და ადვილად გასალესი ხდება.

ოქროს დაწვრილმანების ქიმიური მეთოდი §180-ში არის აღწერილი. მელნისათვის საჭირო წვრილდესპერსიული ოქროს ფხვნილის დასამზადებლად რეცეპტი ოქროს ვერცხლისწყალში გახსნას და მიღებულ ამალგამაში გოგირდის გაქნას ითვალისწინებს. შემდეგ ნარევს ცეცხლზე ახურებენ, ისე რომ ნარევში გოგირდს ცეცხლი მოეკიდოს და წვა დაიწყოს.

ბოლომდე გამოწვის შემდეგ, როდესაც ცეცხლი ქრება, ქოთანში რჩება ყვითელი მასა. მისი ქოთნიდან გამოფხევისა და წყალში გარეცხვით მიიღება წვრილდესპერსიული „ნაძირალი“, რომელიც ოქრომელნის დასამზადებლად გამოიყენება [ჩაგუნავა, შაქარაშვილი გვ. გვ. 180].

აღწერილი მეთოდი ერთდროულად ოქროს ამალგამისა და სინგურის მიღებას (უკანასკნელი წარმოიქმნება ვერცხლისწყლის გოგირდთან ურთიერთქმედებით) ითვალისწინებს. ცეცხლზე გახურებისას როგორც ვერცხლისწყალი, ისე სინგური აქროლებას განიცდის, რის შედეგადაც ვერცხლისწყალში გახსნილი ოქრო ჭურჭელში გამოიყოფა ოქროს ფხვნილის სახით, რომელიც მაღალი დისპერსიულობის გამო მექანიკურ დაწვრილმანებას აღარ საჭიროებს.

ქიმიური წესით ოქროს დასაწვრილმანებლად ვახტანგს თავის „ქიმიაში“ მეორე მეთოდიც აქვს აღწერილი. „§260-ში, ამ მიზნით ჯერ ოქრო იხსნება სამეფო არაყში („ოქროს გამდნობს თეზაბში ოქრო ჩააგდე. რა შეჭამოს...“), რის შემდგომ ამ ხსნარით ქსოვილი (დოლბანდი) იქლინთება. მომდევნო ოპერაციებად გათვალისწინებულია ამ ქსოვილის „ცივს ადგილას“ გამოშრობა და დაწვა. წვის შემდგომ მორჩენილი ნამწვავი, რომელიც ხსნარის აორთქლების შემდგად გამოყოფილი ოქროს ნაწილაკების მინარევს შეიცავს, წყალში იყრება ამ ნაწილაკების ნამწვავისაგან გამოსაცალევებლად. წყალში რეცეპტის თანახმად „ნამწვავი დოლბანდი ზემოთ ამოვა“, ხოლო „ოქრო ძირს წავა“ და ჭურჭლის ფსკერზე გამოილექება ფხვნილის სახით. გამოლექილი ოქროს ფხვნილი რეცეპტში მეტალების ცივი წესით („უცეცხლოდ“) მოსაოქროებლად არის რეკომენდირებული, რაც ამ მეტალების ზედაპირზე ფხვნილის ნაწილაკების ჩაზელვით ხორციელდებოდა. მაგრამ ვინაიდან ამ შემთხვევაშიც ძალზე დისპერსიული ოქრო მიიღებოდა (ისევე, როგორც §180-ში ვერცხლისწყლის გამოყენებისას) ის შეიძლება ოქრომელნის დასამზადებლადაც გამოსადეგი ყოფილიყო.

ვახტანგის მიერ აღწერილი ოქროს დაწვრილმანების ზოგიერთი მეთოდი შესაძლოა ქართული პრაქტიკიდან იყოს აღებული. არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი მეცნიერ მეფეს სხვა ქვეყნების (სპარსეთის, რუსეთის, იტალიის) წერილობითი წყაროებიდანაც ჰქონდეს აღებული.

თუ გავითვალისწინებთ ვახტანგის დამოკიდებულებას წიგნებისადმი ეჭვს არ იწვევს, რომ ამ მეთოდებს ის პრაქტიკულად მოახმარს წიგნების გადამწერებს და მხატვრებს.

„ქიმიაში“ აღწერილი ყველა რეცეპტი ყურადღებას იქცევს და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა მრავალფეროვანი იყო ვახტანგის, როგორც მეცნიერი ქიმიკოსის მოღვაწეობა.

### ლიტერატურა:

- რ. ჩაგუნავა, ე. შაქარაშვილი, ვახტანგ VI, „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“, 2013 წ.
- И.Н. Плаксин, Металлургия благородных металлов, Москва, 1943.

MAIA SACHKOVI

Kutaisi State Historical Museum, Doctor of Chemistry

## METHODS OF GOLD FRAGMENTATION IN VAKHTANG VI'S "CHEMISTRY"

One of the main writing utensils of old Georgian calligraphers was the "Goldenink" (Ink made of gold) which was intensively used as a source of recording capitals, as well as for making miniatures. The "Goldenink" was prepared by mixing the powdery golden powder with water and liquid glue was added to the produced golden chem solution.

While making the golden ink, special attention was paid to getting golden flowers. In order to get golden flowers, there were several rules, that were mechanical, chemical-mechanical and chemical according to the methods of gold fragmentation. It is noteworthy that all those three rules detailed or generalized are mentioned in the well-known textbook of Vakhtang VI (1675-1737) "Book about oil mixing and chemistry making". In the book the following paragraphs are devoted to the gold fragmentation methods: § 105, 62, 124, 180, 260.

Some methods of gold fragmentation described by Vakhtang VI may be taken from Georgian practice. It's not ruled out that scientist king has taken some of them from the written sources of other countries (Persian, Russian, Italian).

Considering Vakhtang's relationships with books, there is no doubt that these methods will be practically used by bookmakers and artists.

The recipes described in "Chemistry" attract attention and once again show how diverse the activities and interests of Vakhtang were, as a scientist chemist.

მზის ზარნაძი  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## საუკუნის ფოტოსურათის თავგადასავალი

(ნაწილი I)

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფოტოფონდში დაცულია ნიკოლოზ სალარაძის მიერ გადაღებული, თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფოტოსურათის ორი ასლი, რომლებზეც გამოსახულია: აკაკი წერეთლი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, იროდიონ ევდომევილი და სხვები. აღნიშნული სურათები განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, რადგან ერთ-ერთ მათგანზე შავი და ლურჯი საღებავით ამოშლილია ორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე-ისიდორე კვიცარიძე და ტიციან ტაბიძე. გარდა ამისა, ერთი ფოტოსურათის გადაღების თარიღად სახელდება 1912 (ფოტო ქიმ. 4036/34) წელი, ხოლო მეორეს გადაღების თარიღად 1914 (ფოტო ქიმ. 4036/25) წელი.

აღსანიშნავია, რომ ორივე სურათი მუზეუმის ფოტოფონდის შემოსულობათა წიგნში რეგისტრირებულია ერთ ნომერზე და ორივეს რეგისტრაციის თარიღი უცნობია, რადგან 1962 წლამდე ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფოტოფონდში შემოსულ ფოტოსურათებს, როგორც ირკვევა, ეძლეოდა მხოლოდ სარეგისტრაციო ნომერი და არ აღინიშნებოდა შემოსვლის კონკრეტული თარიღი, რაც ამ საინტერესო ფოტოსურათების ირგვლივ არსებულ გაუგებრობას კიდევ უფრო ართულებს.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან, ჩვენი სახელოვანი მწერლები და მეცნიერები, ინტერესდებიან ამ სურათით. ისინი პერიოდულად იწყებენ კვლევას თუ როდის, ქუთაისის რომელ უბანში, რა საზოგადოებრივ მოვლენასთან დაკავშირებით არის გადაღებული იგი. ამიტომ სურათის შესახებ თანდათანობით ყალიბდება ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებები, რამაც საზოგადოების ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავა, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, სურათის შესახებ დასმული კოხვების ირგვლივ საბოლოო პასუხი დღესაც არ გვაქვს. გამომდინარე აქედან, დასაზუსტებელია, რომელ წელს და რა მოვლენის აღსანიშნავად არის გადაღებული ეს ისტორიული ფოტოსურათი, რაზედაც ნაშრომის მეორე ნაწილში შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ამჯერად, კი საუბარი გვექნება, თუ რა ცვლილებები განიცადა სურათმა XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან, XXI საუკუნის პირველ მეოთხედამდე. ამიტომ, ყურადღებას მივაპყრობ 1914 წლის 1 ივნისის გაზეთ „იმერეთში“, რედაქციის მიერ გამოქვეყნებულ პატარა განცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ „შურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგე ისიდორე კვიცარიძემ ახალგაზრდა მგოსან გელას მიერ 29 მაისს გამართულ სალიტერატურო საღამოს გამო 30 მაისს, ნაშუადღევს „საოჯახო ბაღში“ გადაიღო სურათი მგოსან აკაკისთან ერთად. 15-ტი ქუთათურ და სტუმრად ჩამოსულ ქართველ ძველ და ახალ პოეტების და ბელეტრისტებისა. შუაში ზის აკაკი, რომლის გარშემო სხედან შემდეგი მწერლები: დ. კლდიაშვილი, ი. ეკალაძე, ირ. ევდომევილი, ჯავაჟ ჯორჯიევა, ვარლამ რუხაძე, ლადო დარჩიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიტე ტაბიძე, აკაკი სვანი, ცვარ-ნამი და სხვა.“ [„იმერეთი“, 1914:2]

აღსანიშნავია, რომ იმ პეროდის პრესაში საკვლევი ფოტოსურათის შესახებ, სხვა რაიმე სახის მასალა არ მოიპოვება. აღნიშნული განცხადებიდან კი ვგებულობთ, რომ იგი გადაღებულია ქუთაისში, „საოჯახო ბაღში“, 30 მაისს, ნაშუადღევს, მწიგნობრისა და საზოგადო მოღვანის ისიდორე კვიცარიძის თაოსნობით, რომლის გადაღება უკავშირდება 1914 წლის 29 მაისს ახალგაზრდა მგოსნის გელას მიერ გამართულ სალიტერატურო საღამოს. აქ, ამ განცხადებაში, თითქოს ყველაფერი გარკვეულია და გასარკვევი აღარაფერი რჩება, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, სურათის ირგვლივ გამუდმებული კვლევისა და მსჯელობის მიუხედავად, დღეისათვის რიგი საკითხებისა გაურკვეველია.

შევნიშნავთ, რომ 1914 წლიდან 1935 წლამდე, პრესა, აღნიშნული ფოტოსურათის შესახებ დუმს. დუმილს, 1935 წელს, არღვევს ისიდორე კვიცარიძე, მწიგნობარი, რომლის ინიციატივითაც მოხდა ამ სურათის გადაღება 21 წლის წინ. ამრიგად, 1935 წელს ისიდორე კვიცარიძე აქვეყნებს ამ ისტორიულ სურათს გაზეთ „სიტყვა და საქმეში“, სახელწოდებით: „აკაკი ქართველი მწერლების ერთ ჯგუფთან“. გაზეთი ადასტურებს, რომ სურათის გადაღება მოხდა „ქუთაისის საოჯახო ბაღში უურნალ-გაზეთების გამგე ისიდორე კვიცარიძის ინიციატივით, აკაკის მონაწილეობით გამართულ სალიტერატურო სალამოზე 1914 წლის მაისში. ...ისიდორე კვიცარიძე სურათზე აღბეჭდილ 20 კაციდან მხოლოდ 18 კაცის ვინაობას ასახელებს“. [„ერი“, 1993].

როგორც გავარკვიეთ მწიგნობარი ოცი კაცის ჩამოთვლის დროს არ ასახელებს აკაკი მარგიანსა და ლონისძიების მომწყობ ორგანიზატორის გელა გელაზანიას გვარებს. ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ ასახელებს ისიდორე კვიცარიძე ოცი კაციდან თვრამეტს და რატომ არ ასახელებს დანარჩენ ორს, აღნიშნულ კითხვას, ცოტა მოგვიანებით გავცემთ პასუხს. ამჯერად კი გავყვებით მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ 1957 წლის 16 ნოემბერს, ფოტოსურათის გადაღებიდან 43 წლის გასვლის შემდეგ, ხოლო ისიდორე კვიცარიძის მიერ გაზეთ „სიტყვა და საქმეში“ ამ ფოტოსურათის გამოქვეყნებიდან 22 წლისთავზე, სურათი კვლავ ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამჯერად, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ილია ბახტაძე „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში: „მრავლის მნახველი და აღმნუსხველი“, [„ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957] ესება რა ქვეყნის წინაშე ფოტოგრაფ ნიკოლოზ სალარაძის ღვაწლს და ამაგს, ათავსებს სალარაძის მიერ 1914 წელს გადაღებულ სურათს, რომელიც ერთი შეხედვით, ჩვეულებრივია, მაგრამ მასზე კვლავ აღარ ჩანს ორი საზოგადო მოღვაწე – ბარნაბა (გელა) გელაზანია და ისიდორე კვიცარიძე, რაც ერთგვარ გაკვირვებას იწვევს, თუმცა, გასაკვირიც არაფერია, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამ ფოტოსურათს გამოვლილი აქვს გასული საუკუნის 30-იანი წლები და ბუნებრივია, ისიდორე კვიცარიძესა და გელა გელაზანიას ამოიღებდნენ სურათიდან, როგორც საბჭოთა მთავრობის მიერ რეპრესირებულ პირებს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გავერკვეთ, სურათმა სტამბაში გაიარა ცენტურა და იქ განიცადა ცვლილებები, თუ მკლევარმა ილია ბახტაძემ წარადგინა არასრულფასოვანი სურათი. ჩვენი აზრით, აქ, პასუხი მხოლოდ ცალსახაა, 18 გამოსახულებიანი სურათი რედაქციაში წარდგენილია ილია ბახტაძის მიერ, რადგან გაზეთში გამოქვეყნებული სურათიდან ამოღებული არ არის საბჭოთა მთავრობის მიერ მესამე რეპრესირებული პირი-ტიციან ტაბიძე, რომელსაც, რა თქმა უნდა ამოიღებდნენ, თუ კი სტამბა პოლიტიკურ ცვლილებებს შეიტანდა მასში. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: სურათის წარდგენისას, იცოდა თუ არა ილია ბახტაძემ, რომ მან სტამბაში წარადგინა სურათი, რომლიდანაც ამოღებული იყო ორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე – ისიდორე კვიცარიძე და გელა გელაზანია. აქაც პასუხი ცალსახაა... საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ისე ოსტატურად არის შესრულებული ამ მოღვაწეთა ფოტოსურათიდან ამოღების აქტი, რომ ილია ბახტაძეს, ისე, როგორც მთელ მის გარემოცვას, შეუძლებელია შეენიშნა რეალურიდან განსხვავებული 18 გამოსახულებიანი სურათის არსებობა. მით უფრო, თუ მათ ნახული არ ქონდათ, ჩვეულებრივი, 20-გამოსახულებიანი სურათი.

ილია ბახტაძის მიერ წერილის პრესაში გამოქვეყნებიდან ოთხი დღის გასვლის შემდეგ, კერძოდ, 1957 წლის 20 ნოემბერს, სურათით ინტერესდება გალაკტიონ ტაბიძე. 1970 წელს, სურათის შესახებ მოსაზრებას გამოთქვამს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერთანამშრომელი სირა ჭიჭინაძე, 1989 წელს – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი მიხეილ ალავიძე. 1991 წელს – საქართველოს რესპუბლიკის კინოფოტოფონო დოკუმენტების არქივის თანამშრომელი მზია ქუცნიაშვილი, ხოლო სულ ბოლოს, 1993 წელს, მკვლევარი ჯემალ ლეჟავა.

ალსანიშნავია, რომ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს და საზოგადო მოღვაწეებს, ზოგ შემთხვევაში 18, ხოლო ზოგ შემთხვევაში 20 გამოსახულებიანი სურათი აქვთ ხელში და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ერთ ნაწილს მიაჩნია რომ არსებობს მხოლოდ ოც გამოსახულებიანი სურათი, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ თვრამეტ გამოსახულებიანი სურათია ერთადერთი ვარიანტი. ამიტომ მათ, რომლებსაც თვრამეტ გამოსახულებიანი სურათი უჭირავთ ხელთ, ბუნებრივია, ვერ ამჩნევენ ორი მოღვაწის-ისიდორე კვიცარიძისა და გელა გელაზანიას უკვალოდ გაუჩინარებას. მკლევართა შორის განსხვავებულია გალაკტიონ ტაბიძე, რომელიც, რატომღაც ყურადღებას ამახვილებს საზოგადო მოღვაწეთა რაოდენობაზე, ის სათითაოდ ახასიათებს სურათზე გამოსახულ პიროვნებებს და გამოყავს ჯამი. გალაკტიონთან, ისე როგორც ილია ბახტაძესთან, ეს ჯამი 18-ია და როგორც უკვე ვთქვით, არც ერთმა და არც მეორემ არ იცის, თუ რამდენი საზოგადო მოღვაწე უნდა იყოს სურათზე გამოსახული.

ალსანიშნავია, რომ 18 გამოსახულებით საზოგადო მოღვაწეთა სურათი პირველად ქართულ პრესაში გამოჩნდა 1957 წელს, მაგრამ იგი ამ პერიოდიდან არ შეიძლება მომდინარეობდეს, რადგან სურათს XX-საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიების პოლიტიკური დაღი უნდა აჩნდეს. სამწუხაროა, რომ საზოგადობაშიც და პრესაშიც, ერთმანეთის იდენტური და თანაც განსხვავებული სურათების პარალერული თანაარსებობა დღემდე არავის შეუნიშნავს. სამწუხაროა ისიც, რომ ამ კურიოზულ მოღვაწენაზე ქართულ პრესაში რაიმე ტიპის გამოხმაურება არც სამოციან წლებში და არც შემდეგ პერიოდში არ მომხდარა.

გალაკტიონს, როგორც ვარკვევთ, ხელთ აქვს, არა საღარაძის მიერ გადაღებული სურათის ორიგინალი, არამედ გაზით „ახალგაზრდა კომუნისტი“, რომელშიც მოთავსებულია ილია ბახტაძის მიერ გამოქვეყნებული ქართველ საზოგადო მოღვაწეთა 18 კაციანი ფოტო. გალაკტიონი დასცექერის მას და იგონებს: „1914 წელს აკაკი წერეთლის მონანილეობით ქუთაისში გაიმართა ლიტერატურული სალამო, რაც ნიკოლოზ საღარაძემ ფოტოზე აღბეჭდა ... საინტერესოა, რომ აქ არის ევდომშვილი. ის ჩამოვიდა ქუთაისში საღამოს გასამართავად და აღბათ, ეს ფოტოც იმ დროისაა. როდის გაიმართა ევდომშვილის საღამო ქუთაისში? საჭიროა აღვადგინოთ... ყველა ამათგან ამჟამად ცოცხალია 4 კაცი.“

თვრამეტი კაციდან ოთხი II ცეი ნივუდი უ ვლის კას. აი სია იმ თოთხმეტისა: აკაკი სვანი, ია ეკალაძე, მიხაკო ჯანოევი (ნემო), თეოფილე ხუსკივაძე, ჯაჯუ ჯორჯივია, ლელი ჯაფარიძე, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ ვეშაპიძე, იროდიონ ევდომშვილი, ვარლამ რუხაძე, დავით კლდიაშვილი, ლადო დარჩიაშვილი, იასონ ნიკოლაიშვილი. (აქ ცამეტია), აკაკი. ეხლა ხომ თოთხმეტია?

ცოცხალი ვართ: გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დათიკო მებუკე, თვით საღარაძე 80 წლისაა.

ეტყობა ზაფხულია: ან არა და გაზაფხული. (ზაფხულობით მოწაფეები დათხოვნილი არიან და გადიან ქალაქიდან. აქ კი ლელიკო ჯაფარიძე და დათიკო მებუკე თეთრ ბლუზებში არიან სამოსწავლო ქამრებით, ფოლაქებით...) ყველას ერთნაირი სახელოები აქვთ, გარდა ორი კაცისა: ილია ბახტაძეს და ვარლამ რუხაძეს, რომელთაც გახამებული მაღლა დაყენებული საყელოები აქვთ.

საზაფხულო პიჯაკებითაა მხოლოდ ორი კაცი: თეოფილე ხუსკივაძე და ილია ბახტაძე (ია ეკალაძეს მხოლოდ უილეტი აქვს თეთრი. დავით კლდიაშვილი სამხედრო ტანსაცმელშია).

საინტერესოა სად არის გადაღებული ეს სურათი ე.ი. ქუთაისის რომელ ადგილას. არ ჩანს, რომ კვიცარიძის კანტორა იყოს, ვინაიდან წიგნები არა ჩანს.

დგამი სულ უბრალოა: მაგიდაც, სკამებიც.

მაგიდის გარშემო მჯდომარეთა სკამები სულ უბრალონი არიან: ევდომშვილი, ნიკოლაიშვილი, დარჩიაშვილი სხედან. ქუდი სკამზე, ვისი უნდა იყოს იგი? ხომ არ არის მეორე ქუდიც?“ [გ. ტაბიძე თხ. ტ. 12. 1975]

აღსანიშნავია, რომ აქ, მსჯელობის ამ ეპიზოდში პოეტი დააფიქრა სკამზე ქუდის არსებობამ, რომელსაც მან პატრონი ვერ მოუძებნა... ის შთაგონებით კითხულობს თუ „ვისი უნდა იყოს იგი?“ მაგრამ კითხვას პასუხს ვერ სცემს, რადგან სურათზე არ ჩანს ქუდის პატრონი, არადა ეს ქუდი სწორედ ისიდორე კვიცარიძის ქუდი უნდა იყოს, რადგან ჩვეულებრივ სურათში ქუდი ისიდორე კვიცარიძის გვერდში დევს. როგორც ჩანს, ისიდორე კვიცარიძის გამოსახულების მომშლელმა, ისიდორე კი მოშალა, მაგრამ მისი ქუდის მოშლა ზედმეტ თავისტკივილად ჩათვალა, საჭიროდ არ მიიჩნია. გარდა ამ ფაქტისა პოეტი ეჭვობს იქვე მეორე ქუდის არსებობას, იგი თითქოს ხედავს და ვერც ხედავს მას და გაკვირვებით კითხულობს: „ხომ არ არის მეორე?“ გალაკტიონი აქაც არ ცდება, მართლაც დევს ჩვეულებრივ ფოტოსურათში მეორე „კეპკიანი“ ქუდი, რომელიც ლელიკო ჯაფარიძის ან დავით მებუკის უნდა იყოს, რადგან მათ გიმნაზიელის ფორმა აცვიათ და რა თქმა უნდა კეპკიანი ქუდი ერთ-ერთი იმათგანისაა. ამ ეპიზოდის შემდეგ პოეტი ჩვეულებრივ აგრძელებს სურათზე გამოსახული პირების დახასიათებას:

„ვარლამი სწორედ ისე ზის, როგორც თაგუნას ახსოვს... იქაც, აქაც. ტიციანს ახალი შეკერილი კოსტიუმი აცვია. გიმნაზია ეს-ესაა დაამთავრა. მეორე მის ამხანაგს ლელიკო ჯაფარიძეს ჯერ ისევ სამოსწავლო ბლუზა აცვია. ვერ მოუსწრია კოსტიუმის შეკერვა და სდგას დ. მებუკის გვერდით.

ევდოშვილს და ნიკოლაიშვილს მუხლი მუხლი აქვს გადადებული (მგონი ევდოშვილსაც საზაფხულო ტანისამოსი აცვია). ია ეკალაძეს და ევდოშვილს ერთნაირად აქვს შუბლზე ხელი შემოდებული (ეს, ალბად ფოტოგრაფის რჩევით). აკაკი ჯობზეა დაყრდნობილი,. სახე დიდებულად აქვს, გამოირჩევა ყვალასგან.

ნემოს არტისტული პოზა დაუჭერია. ყველაზე უბრალოდ აქ მე ვარ მხოლოდ.

თავმოტვლეპილები მხოლოდ ნემო და ხუსკივაძეა. გამსახურდიასაც მოუსწრია კოსტიუმის შეკერვა. ალბად, თუ ახლა დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია. ასე? ასეა!

აკაკი წერეთლის გარდა ღრმა მოხუცებულობა აქ არავის ეტყობა“. [„ახ. ივერიელი“ 1991:6]

ზემოთ აღნიშნულ ციტატაში გალაკტიონიც უშვებს მცირე უზუსტობას, კერძოდ, სურათის ნახვის მომენტში ცოცხლად მყოფ მოღვაწებს შორის, ნაცვლად ილია ბახტაძისა, მოხსენიებს ნიკოლოზ საღარაძეს, რომელიც სურათზე საერთოდ არ არის გამოსახული, თუმცა, შემდეგი მსჯელობისას აზუსტებს ილია ბახტაძის სურათზე არსებობას. მიუხედავად ამისა, გალაკტიონი დაწვრილებით ახასიათებს ფოტოსურათზე აღბეჭდილ თითოეულ პიროვნებას. დახასიათებისას იგი ზედმინევნით პუნქტუალობას იჩენს, მსჯელობს ლოგიკურად და აკეთებს შესაბამის დასკვნებს. ასეთი ხედვით კარგად ჩანს დიდი შემოქმედის ხასიათი, ამ ხასიათით იგი ამომწურავად გვიზუსტებს სურათზე გამოსახული თითოეული პიროვნების ვინაობას, გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ, თუ ვინ არის ფოტოსურათზე გამოსახული და გვაცნობს, რომ სურათზე აღბეჭდილ 18 პიროვნებას შორის, 1957 წლის 20 ნოემბრისათვის, მხოლოდ ოთხია ცოცხალი.

შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ისიდორე კვიცარიძე, რომლის ხელძღვანელობითაც 1914 წელს მოხდა ცნობილი სურათის გადაღება, 1935 წელს კვლავ აქვეყნებს იგივე სურათს, ამჯერად, აკაკი წერეთლის გარდაცვალების 20 წლისთვის აღსანიშნავად და განმარტებებს იძლევა სურათზე გამოსახული პიროვნების შესახებ, რადგან ჩანს მან უკვე იცოდა, რომ 1935 წლიდან ქვეყანაში დაწყებული იყო სურათებისა და ისტორიული ფაქტების დამახინჯება.

შევნიშნავთ, რომ თვალსაჩინო ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ეს ისტორიული ფოტოსურათი დაიბეჭდა: 1914 წელს – გაზეთ „იმერეთში“, 1935 წელს – გაზეთ „სიტყვა და საქმეში“, 1957 წელს – „ახალგაზრდა კომუნისტში“, 1964 წელს – „საბჭოთა ხელოვნებაში“, 1991 წელს – გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“, 1993 წელს – გაზეთ „ერში“.

... და დღემდე, ორი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ისიდორე კვიცარიძისა და გელა

გელაზანიას სურათიდან უკვალოდ გაქრობას, ქართულ პრესაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაიმე გამოხმაურება არ მოყოლია, რადგან მკლევარებსა და საზოგადო მოღვაწეებს ყოველთვის ის ფოტოსურათი მიაჩნდათ ორიგინალად, რომელიც ხელთ ეჭირათ. ასე იყო იღია ბახტაძესთან, ასე იყო გალაკტიონთან და ასე არის 90-იან წლებში-ჯემალ ლეჟავასთან. ეს უკანასკნელი თავის ნაშრომში გულისტკივილით ამბობს, რომ საკვლევ ფოტოსურათში „იღია ბახტაძეც და გალაკტიონ ტაბიძეც 18 კაცის ვინაობის ახსნა-განმარტებას იძლევა,“ [„ერი“, 1993]. რომ თითქოს ისინი შეგნებულად უვლიან გვერდს ამ საღამოს მომწყობი ორგანიზაციონის, „გელას“ პიროვნებას, რომელიც სურათზე გამოსახულია მეორე რიგში მარცხნიდან მესამე და დღეს „უკვე მრავალი ისტორიული მოვლენისა და დოკუმენტის ღირებულებათა“ გადაფასების ფონზე მაინც უნდა ითქვას სიმართლეო.

მკვლევარი ჯემალ ლეჟავა ისიდორე კვიცარიძის შემთხვევაში ნამდვილად არ ცდება. ვადას-ტურებთ, რომ ისიდორე შეგნებულად უვლის გვერდს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ჩამოთვლისას გელა გელაზანიას პიროვნებას, რადგან გელა გელაზანია სურათის გამოქვეყნების პერიოდში უკვე სამშობლოდან დევნილი, ემიგრაციაში იმყოფებოდა და ბუნებრივია, მის გვარს რეპრესიების პირობებში ისიდორე კვიცარიძე ვერ აღნიშნავდა, მაგრამ საზოგადო მოღვაწეთა ჩამოთვლისას, არც მარტო მისი გვარის ამოღება იქნებოდა მართებული. როგორც ირკვევა მწიგნობარმა იპოვა გამოსავალი და 18 მოღვაწეზე შეწყვიტა ათვლა შემდეგი სიტყვებით „და სხვა“, ხოლო ამ ორი სიტყვით რეალური სიიდან ამოაგდო ორი ადამიანი, გელა გელაზანია და რატომღაც აკაკი მარგიანი.

შევნიშნავთ, რომ 1935 წელს, ისიდორე კვიცარიძის მხრიდან ამ სურათის გაზეთში დაბეჭდვაც კი დიდი გამძედაობა იყო. მან შთამომავლობას შეგნებულად შეახსენა სასახელო მამულიშვილების სრულფასოვანი ფოტოს არსებობა და მოგვაწოდა თითოეული მათგანის ვინაობის განმარტება. მართალია მწიგნობარმა ვერ გაგვიმარტა გელა გელაზანიას და აკაკი მარგიანის ვინაობა, მაგრამ სურათის სახით შემოგვინახა მათი ნათელი სახეები. აღსანიშნავია, რომ ისიდორე კვიცარიძე შესანიშნავად იცნობდა გელა გელაზანიას და მასთან საქმიანი მიმოწერაც ქონდა გერმანიაში, რაც მისი დახვრეტის ერთ-ერთი საფუძველი გახდა 1937 წელს. რაც შეეხება გალაკტიონ ტაბიძეს და იღია ბახტაძის შემთხვევას, აქ მკვლევარი ლეჟავა აშკარად ცდება... ჩანს, რომ მას ხელთ აქვს 20-გამოსახულებიანი სრულყოფილი სურათი და არ იცის, რომ ბუნებაში არის მის ხელთ არსებული სურათისაგან განსხვავებულიც, რომ გალაკტიონი და იღია ბახტაძე საზოგადობას ესაუბრება ამ განსხვებული, სპეციალისახურების მიერ დამუშავებული 18-გამოსახულებიანი სურათით, სადაც გელა გელაზანია და ისიდორე კვიცარიძე საერთოდ არ არსებობენ.

საყურადღებოა, რომ დღეს, ინტერნეტ სივრცის საშუალებით, ჩვენამდე აღწევს საკვლევი ფოტოს განსხვავებული კიდევ ახალი ვარიანტი, ანუ ასლი იმ „გადაღებილი“ სურათისა (ქიმ.4036/34) რომელიც, როგორც ორიგინალი, დაცულია ქუთაისის მუზეუმის ფოტოფონდში, მათ შორის განსხვავება მხოლოდ ერთია, კერძოდ, მუზეუმში დაცულ სურათში ტიციანი გადაშლილია ლურჯი საღაბავით, ხოლო ისიდორე შავით(რაც ადასტურებს მათ ორიგინალობას და იმას, რომ ისინი სხვადასხვა პერიოდში არიან მოშლილი), ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ სურათში კი ორივე გამოსახულება მუქი, შავი ტონალობით არის დაფარული, ბუნებრივიცაა, ტიციანის გამოსახულების ლურჯი საფარველი, ასლის გადაღების დროს აღქმული არის შავ ფერად, საღებავით დაფარული გამოსახულებების კონტურები კი იდენტურია ქუთაისის მუზეუმში დაცული შავად და ლურჯად გადაღებილი სურათის, რაც ეჭვსგარეშე ადასტურებს იმას, რომ ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ე.ნ. „დაღაქული“ სურათი, ასლია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმის ფოტოფონდში დაცული გადაღებილი სურათისა.

საკვლევი ფოტოსურათის უცნობი ახალი ვარიანტი ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილი აქვს უურნალისტ ეკა ლომიძეს, სათაურით: „ამოჩხაპნილი და გადარჩენილი ისტორია“, ავტორი წარ-

მოგვიდგენს რა ამ ისტორიულ სურათს, აღნიშნავს: „მას შემდეგ, რაც ტიციანი და ცნობილი გამომცემელი ისიდორე კვიცარიძე ბოლშევიკების რეპრესიებს ემსხვერპლნენ, ისტორიულმა ფოტომ „სახე იცვალა“, კადრიდან „გაქრენენ“ ტიციანი და ისიდორე... ფოტოზე მათი ადგილი ლაქამ დაიკავა. როგორც ცნობილია, კომუნისტები ფოტოზე შლიდნენ „ხალხის მტრებს“, ან პოზიტივს აზიანებდნენ. ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, პოზიტივი უნდა იყოს დაზიანებული. როგორც ჩანს, კა-გე-ბემ არ იცოდა, რომ ფოტოორიგინალი ავტორთან, ნიკოლოზ საღარაძესთან ინახებოდა.“ საკითხის ბოლო ნაწილში ვერ ვეთანხმებით ავტორს, რადგან ცნობილი ფაქტია, რომ რამე აქტის განხორციელებისას საბჭოთა სპეცსამსახურები კვალს იშვიათად ტოვებდნენ (თუ ტოვებდნენ, ტოვებდნენ შეგნებულად), ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თვალში საცემად „დალაქულ“ სურათზე არა საბჭოთა კაბ-ს, არამედ მე-20 საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებით შევიწროებული ქართული საზოგადოების შიშის და თვითგადარჩენის კვალია ასახული, რადგანაც ამ პერიოდში იდევნებოდა ყველა, ვისაც ბინაზე „ხალხის მტრების“ რამე ტიპის დოკუმენტს აღმოუჩენდნენ, ამიტომ მოსახლეობა იძულებული იყო გაენადგურებინა ხელისუფლებიდან დევნილი ადამიანების, მით უფრო საზოგადო მოღვაწეების არსებობის ამსახველი საბუთები.

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ამ სანტერესო ფოტოორიგინალში ტიციან ტაბიძე ამოშლილია ლურჯი საღებავით (მელნით), ხოლო ისიდორე კვიცარიძე კი შავი საღებავით („ტუშით“), რაც უტყუარი დასტურია იმისა, რომ ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში არიან მოშლილი, აღნიშნული ფაქტი კი მეტყველებს იმაზე, რომ ისიდორე კვიცარიძის დახვრეტასა და ტიციანის რეპრესირებას შორის არსებობდა გარკვეული პაუზა, რომ ისინი სხვადასხვა დროს არიან რეპრესირებული, რაც ჩვენს საკვლევ ისტორიულ ფოტოსურათზე განსხვავებული ფერებით გამოიხატა.

გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფოტოსურათის მიხედვით, ინტერესმოვლებული არ უნდა იყოს გავარკვიოთ თუ ვინ იყო საბჭოთა რეჟიმის პირველი მსხვერპლი?.. ისიდორე კვიცარიძე, ტიციან ტაბიძე, თუ გელა გელაზანია. ჩვენი ვარაუდით რეჟიმის პირველი მსხერპლი უნდა ყოფილიყო გელა გელაზანია, რომელიც ფიზიკურად მხოლოდ იმიტომ გადარჩა, რომ საზღვარგარეთს შეაფარა თავი, სამწუხაროდ, მნირი მასალების გამო, ვერ მოხერხდა დაგვედგინა თუ რომელ წელს გაემგზავრა იგი საზღვარგარეთს, მაგრამ დადგინდა, რომ გელაზანია ემიგრაციაში იმყოფებოდა გერმანიაში და იგი სხვა ქართველ ემიგრანტ მასულიშვილთა შორის აქტიურად იყო ჩართული საზოგადო პოლიტიკურ საქმიანობაში. გელა გელაზანიას სახელს ვხვდებით 1928 წლის 17 ოქტომბერს პარიზში ექვთიმე თაყაიშვილის, სიმონ ფირცხალავას, დავით შარაძის, შალვა ამირეჯიბის, იოსებ რამიშვილის გვერდით, სადაც იგი სხვა მომხსენებლებთან ერთად მოგონებებით გამოდის ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების ოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. გელა გელაზანიას სახელს ვხდებით აგრეთვე 1932 წლის 30 აგვისტოს გერმანიაში, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის აღსანიშნავად ქართული სათვისტომოს მიერ გამართულ საღამოზე, სადაც იგი სიტყვით გამოდის გრიგოლ დიასამიძის, ვახტანგ ლამბაშიძის, ტიტე მარგველაშვილის, მიხეილ წულუკიძესა და ნიკო ნაკაშიძესთან ერთად. [WWW. nplg. gov.ge]

საბჭოური რეჟიმის რიგით მეორე მსხვერპლი უნდა ყოფილიყო ცნობილი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე ისიდორე კვიცარიძე, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ქუთაისში სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდასა“ და პრესის კანტორა „იმერეთის“ დამფუძნებელი გახლდათ. მან მისი სამენარმეო საქმიანობით საგულისხმო წვლილი შეიტანა იმდროინდელი საზოგადოების განვითარებაში. მკვლევარები მის საქმიანობას საგანმანათლებლო მნიშვნელობას აძლევენ და მიუთითებენ, რომ პრესის კანტორა „იმერეთის“ საქმიანობამ, რომელმაც მოიცვა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო, ქართული საზოგადოების პოლიტიკური შეგნების ამაღლებას და დემოკრატიული პრო-

ცესების განვითარებას შეუწყო ხელი. ისიდორე კვიცარიძე პირველად დააპატიმრეს 1934 წლის 17 ივნისს, მეორედ 1937 წელს, 1902 წლიდან მენშევიკების პარტიის წევრობის ბრალდებით. ჩხრეკის დროს მას ბინაში უპოვეს ქართველ ემიგრანტებთან საფრანგეთში მცხოვრებ ზაქრო ჩაჩუასთან და გერმანიაში მცხოვრებ გელაზანიასთან მიმოწერის დოკუმენტაციური მასალები, რის გამოც 1937 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა კომისარიატმა დახვრეტისა და ქონების კონფისკაციის განაჩენი გამოუტანა, რაც სისრულეში მაღევე იქნა მოყვანილი. [<https://www.google.ge>].

როგორც ჩანს საბჭოთა სპეცსამსახურებმა გელა გელაზანიასა და ისიდორე კვიცარიძის გამოსახულება 1937 წელს ერთდროულად ამოიღეს ფოტოორიგინალიდან, ყოველ შემთხვევაში ჩვენამდე მოღწეულია დოკუმენტური ფაქტი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის მათი გამოსახულების სურათიდან ერთდროულად ამოღების შესახებ, აშკარაა, რომ ამ დროს ე.ი. 1937 წლის დეკემბერში, ანუ ისიდორე კვიცარიძის დახვრეტის კონკრეტულ დღეს (ისიდორე კვიცარიძის დახვრეტის კონკრეტული დღე უცნობია), სურათის მესამე „გმირი“, საბჭოთა რეჟიმის მომდევნო მსხვერპლი ტიციანი, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო... „1937 წელს ის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს (დახვრეტის თვე და რიცხვი უცნობია). სხვა ვერსიით, გადასახლებამისჯილი პოეტი ციმბირის ტრამალზე ჩამოსვეს და თოვლიან ქარბუქები მიატოვეს. არსებობს მესამე ვერსიაც, რომ იგი რუსთავის გზაზე სხვა პატიმრებთან ერთად დახვრიტეს. მისი საფლავი არ არსებობს. [<https://www.google.ge>].

რაკი ჩვენთვის ცნობილია, რომ ისიდორე კვიცარიძე დახვრიტეს 1937 წლის დეკემბერში და გავარკვიეთ, რომ მისი დახვრეტის დღეს ტიციანი ცოცხალი იყო, გამომდინარე აქედან ისიდორე კვიცარიძე უნდა დაეხვრიტათ დეკემბრის პირველ რიცხვებში, ხოლო ტიციანი მას შემდეგ, ყველა შემთხვევაში 1937 წლის დეკემბრის თვეში, რადგან მისი მხოლოდ „განადგურების“ წელია ცნობილი. თუ ეს ვარაუდი არასწორია, მაშინ არასწორია ვერსია ტიციან ტაბიძის 1937 წელს დახვრეტისა.

ასეთია ამ ისტორიული ფოტოსურათის თავგადასავალი, რომელსაც თავის არსებობის დღიდან გამუდმებით ებრძოდა ადგილობრივი თუ უცხოელი დამპყრობლების სპეც სამსახურეები, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას გზადაგზა სვრიდნენ, ღებავდნენ, შლიდენ და წარმოუდგენელ ზიანს აყენებდნენ. ჩვენამდე ჭეშმარიტი მამულიშვილების ძალისხმევით, მაინც უცვლელად, პირვანდელი სახით მოაღწია. ამიტომ ეს უნიკალური სურათი ჩვენი, ქართველი ხალხის ფასდაუდებელი საგანძურია, რადგან მასზე გამოსახულია საქართველოს სახელოვანი მამულიშვილები, ადამიანები, რომლებიც ეროვნულ-პატრიოტულ კლიმატს ქმნიდნენ საბჭოთა საქართველოში და რეჟიმის არსებობის მიუხედავად, მხრებით მოჰქონდათ მე-20 საუკუნის საქართველო.

### **ლიტერატურა:**

1. გაზ. „იმერეთი“, 1914, 1 ივნისი, №68.
2. გაზ. „ერი“, 1993, 1-7 აპრილი, ჯ. ლეჟავა, „ერთი ფოტოსურათის ისტორია“.
3. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957, 16 ნოემბერი, №137, ი. ბახტაძე „მრავლის მნახველი და აღმნუსხველი“.
4. გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1991, 19 მარტი, №32, მ. ქუცნიაშვილი, „დაუვიწყარ დღეთა თილისმა“.
5. გაზ. ერი, 1993, 1-7 აპრილი, ჯემალ ლეჟავა „ერთი ფოტოსურათის ისტორია“.
6. გ. ტაბიძე, თხზ.ტ.12, 1975, თბ. გამომც. საბჭ. საქ.
7. WWW. nplg. gov.ge – ქართველ მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა ემიგრაციაში, (XX ს.20-30-იანი წელები).
8. <https://www.google.ge/>.

## ADVENTURE OF THE CENTURY PHOTOGRAPH

The photography fund of Kutaisi Historical Museum preserves the two copies of photographs of eminent public figures such as Akaki Tsereteli, Galaktion Tabidze, Titsian Tabidze, Konstantine Gamsakhurdia, Irodion Evdoshvili and others. These photographs were shot by Nikoloz Sagharadze and they attract the attention with the fact that, the public figures – Isidore Kvitsaridze and Titsian Tabidze are erased from the one of the photohraphs by using the blue and black paints. Except of this, the date of shooting this photograph is considered 1912 year (Photograph 4036/34), and the others' date of shooting is 1914 (Photograph 4036/25).

Our prominent writers and scientists have been interested in this photograph since 30s of 20<sup>th</sup> century, they periodically researched to find out where and in which district this photograph was taken and what was the public event that was in relation with shooting of this photo.

In the statement published in the newspaper “Imereti” in June 1, 1914 it is said that Chairman of the Journal-Newspaper Office “Imereti” – Isidore Kvitsaridze took the photo with Akaki, 15 Kutaisians, young and accomplished poets, also with fiction writers through the literature evening held by young Gela on May 29. Akaki sits in the middle surrounding by the following writers: D.Kldiashvili, Galaktion Tabidze, Tite Tabidze, Akaki Svani, Tsvar-Nami and others.

It is noteworthy, that during that period of time there is no any other material regarding the photograph to be researched except of this little statement. We learn from the statement that the photograph was taken in “Family Garden” of Kutaisi in the afternoon of May 30, the photo shooting was led by the public figure Isidore Kvitsaridze and was connected with the literature evening organized on May 29, 1914 by the young poet Gela. It seems that everything is obvious and there is nothing to make it clear, but as we mentioned above, despite the continuous research and discussion on this photograph, nowadays, there are some obscure issues.

We notice that from 1914 till 1935 year, the press remained silent regarding the mentioned above photograph. In 1935, the silent was broken by Isidore Kvitsaridze, bibliophile, who initiated to shoot this photograph 21 years before. Therefore, in 1935 Isidore Kvitsaridze published this historical photograph in the newspaper “Sitkva da Sakme” (Word and Business) and gave the identity of 18 persons from 20. In 1957 it still attracted the society. At this time, the prominent public figure Ilia Bakhtadze published the photoghraph depicts 18 persons shot by Sagharadze in 1914 in the newspaper “Akhalgazrda Komunisti” (Young Communist). It seems from the newspaper that the photograph is ordinary, but two public figures – Barnaba (Gela) Gelazania and Isidore Kvitsaridze are no more visible there.


It is not devoid of interest to know that, whether the picture went through the censorship and changes or the researcher – Ilia Bakhtadze presented incomplete picture. In our opinion, the answer is unequivocal, the photograph with 18 depictions is presented in the edition by Ilia Bakhtadze, because the third repressed person – Titsian Tabidze is not taken out from the photograph, but in case printing-house made the political changes they would take out Titsian Tabidze from the photograph. According to this, there is a question: Did Ilia Bakhtadze know that the picture he presented in the printing-house missed the portrayal of two public figures – Isidore Kvitsaridze and Gela Gelazania, the answer to this question is also equivocal: the act of taking out this public figures from the photograph was performed by Soviet securities, that Ilia Bakhtadze and also his surroundings would not be aware of the existence of incomplete, distorted picture. It also seems that, he should not have known the number of persons supposed to be in the picture, but Bakhtadze knew

who was depicted in the picture taken by him to the printed-house, therefore he named the surnames of all the persons printed in the newspaper without mistakes.

Four days after the letter was released in the press by Ilia Bakhtadze, Galaktion Tabidze got interested in the picture. In 1970, Sira Tchitchinadze – Chief Scientist of Giorgi Leonidze literature Museum expressed the opinion regarding the picture, and in 1989 – The Professor of Georgian literature and language at Kutaisi Pedagogical Institute, Mikheil Alavidze. In 1991 – Archivist of Filmphoto documents of Georgian Republic, Mzia Kutsniashvili, and the last in 1993 – researcher Jemal Lezhava.

It is noteworthy, that the researchers and public figures have the photograph with 18 persons and some of them have with 20 persons and no matter how surprising is no each of them notices the traceless disappearance of Isidore Kvitsaridze and Gela Gelazania from the picture. As it seems, Soviet securities took out the depictions of Gela Gelazania and Isidore Kvitsaeidze from the picture in 1937, by the way we have the documental fact regarding the disappearance of them from the picture of Georgian public figures. It is obvious, that in December of 1937, the next “hero” of the picture, the next victim of Soviet regime Titsiani was still alive... “in 1937 he was arrested on charges of Ant-Soviet activities and was executed (the date of execution is not known). According to another version, exiled poet was forced to get off the train in Siberia and was left in snow-storm. There is also the third version implies that Titsiani was shot on the road to Rustavi with other prisoners. There is no grave of him.

From the day of the existence of this historic photograph, the local or foreign invaders were fighting against it, but despite that this photograph was painted, erased and damaged, it reached to us with its unchanged and original form with the help of true patriots. Therefore this unique photograph is invaluable treasure of Georgian people, cause on this photograph there are depicted Georgian famous patriots, people that created national-patriotic climate in Soviet Georgia and although the existence of Soviet regime they carried Georgia of 20<sup>th</sup> century on their shoulders to the 21<sup>th</sup> century.



გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1957 წ. №137



გურამ გაპუნია  
ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი  
ლია გაპუნია  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ასოც. პროფესორი

## ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობა მისი ეთნიკური შემადგენლობა და კუთვნილება

ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მოსახლეობა, რა თქმა უნდა, ქართული იყო [H. Mapp, История термина „абхаз“ крёбუлში: „О языке и истории абхазов“, М.-Л., З. ингромропуза 1938, 44-52]. აქ უხსოვარი დროიდან ძირითადად „ეგრები“ (ზანები), სვანები და ქართები ცხოვრობდნენ. საკუთრივ აფხაზეთი ყველა ისტორიულ ეპოქაში სრულიად ეგრისის დიდი ქვეყნის განუყოფელი ნაწილი იყო. იგი დასავლურ-ქართული სამყაროს განაპირა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. [გიორგი მერჩულე, თ.პ. 1954, გვ.114-295].

ასევე ითქმის ისტორიული აფხაზეთის უძველესი ხანის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის, მისი წარმომავლობისა და კუთვნილების შესახებაც. ყველაფერი ეს კარგად ჩანს კავკასიელ ხალხთა წარმომავლობის შესახებ ლეონტი მროველის ცნობილ კონცეფციაშიც, რომლითაც იწყება საერთოდ „ქართლის ცხოვრება“ „მამამთავრების“ ეპოქაში ეგრისის ქვეყანა აღწევდა ამიერკავკასიის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ პუნქტებამდე – „სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა“ (ე.ი. ტამანამდე), ხოლო ისტორიულ ეპოქაში – ეგრისის, აფხაზეთის, ლიხთ-იმერეთის (საერთოდ – საქართველოს) სახელმწიფო-პოლიტიკური საზღვარი იწყებოდა ნიკოფილიდან. [H. Mapp, История термина „абхаз“ крёбუлში: „О языке и истории абхазов“, М.-Л., З. ингромропуза.]

აფხაზეთი ყოველთვის იყო სრულიად საქართველოს ერთ-ერთი ძირეული ქართული ქვეყანა, ხოლო მისი მოსახლეობა – ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილი.

რაც შეეხება ათასი წლის წინათ, ე. ი. X საუკუნეში, საკუთრივ აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებს („აფხაზი“, „აპხაზი“), ისინი ისეთივე ქართველური ტომი იყო, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ზემოჩამოთვლილი – ქართები, ეგრები, სვანები.

აქედანვე არაორაზროვნად და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის არც მაშინდელ, არც უფრო ადრინდელ და არც უფრო გვიანდელ (ვიდრე XVII საუკუნის დასაწყისამდე) მოსახლეობას ახლანდელ აფხაზებთან, [დ. ლეთოლიანი, 140-166 და მ. ნიკოლეეშვილი, 1993, №-№ 207-111.]გარდა ტერიტორიისა და სახელწიფებისა, თითქმის არავითარი სხვა საერთო არა აქვს.

**ამ უკანსკნელთა, ე. ი. აფხაზების წინაპრები არიან ადილელები (ჩერქეზები), კერძოდ – აბაზები („აბაზა“, „აბაზინი“).** ისინი უძველესი ხანიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, ძირითადად ყუბანის აუზში ბინადრობდნენ. ქვემო და შუა ყუბანისპირეთი ადილეური მოდგმის ხალხებისა და ტომების საერთო წინარე-საშობლოა. „პირიქეთა აფსუა-აფხაზების“ დედა-ტომი აბაზები (XIX საუკუნემდე ორივე ტომის – აბაზებისა და აფსუების საერთო-კრებსითი სახელი „აბაზა“ იყო), ახლაც თავიანთ ძველ მიწა-წყალზე, იმერკავკასიაში, მდინარე ყუბანისნაუზში ცხოვრობენ კომპაქტურად.

ტერმინებს „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ – სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჰქონდა როგორც ვიწრო, ასევე ფართო მნიშვნელობა. თავდაპირველად „აფხაზეთად“ (ძველი, გვიანანტიკური ხანის „აბაზეთია“) იწოდებოდა მდინარეების ბზიფის, აგრეთვე ფსოუსა და მზიმთის ხეობათა მთიანი ნაწილი. სწორედ ესაა საკუთრივ აფხაზეთი.

VI საუკუნიდან აფხაზეთის საერთოსთავოებს (სამთავროს) გაძლიერების პარალელურად სახელწიფება „აფხაზები“ და „აფხაზეთი“ აქედან მთელ შემდეგდროინდელ ისტორიული აფხაზეთის (ნიკოფ-

სიიდან ვიდრე კილისურამდე) ტერიტორიაზე გავრცელდა.[დ. ლეთოდიანი, 1991, 140-166 და მ. ნიკოლეიშვილი, „, 1993, №-№ 207-111.]

**აფხაზეთის თავდაპირველ მოსახლეობას, უძველესი და სახელოვანი კოლხები და მათი შთამომავალი, ქართველური მოდგმის ტომები (ეგრები, სვანები და ქართები) შეადგენდნენ.** გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე (დაახლოებით ახ. წ. VI საუკუნიდან) მათი საერთო-კრებსითი სახელი გახდა „აფხაზები“, რომელიც საკუთრივ აფხაზეთში (მდინარეების – ბზიფისა და ფსოუ-მზიმთის ხეობათა მთიან ნაწილში) მცხოვრები ძველი ქართველური ტომის („აფხაზ-აბხაზ-აბასხ-აბაზგ“-ი) სახელწოდებიდან მომდინარეობს რომელიც პირველად მოიხსენიება ახ. წელთაღრიცხვით || საუკუნეში. [ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, თარგმანი და გამოცემა, ნ. კეჭაყაძის, თბ, 1961 წელი].

VIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის სამთავროს ხელისუფალთა ინიციატივით, ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორიის ხელახლი პოლიტიკური გაერთიანებისა და დასავლეთ საქართველოში მეფობის შემდეგ, სახელწოდება „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ განივრცო მთელ დასავლეთ საქართველოზე (ნიკოფილიდან-დარუბანდამდე), ვინაიდან საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენას სათავეში ედგა თვისებრივად და მასშტაბურად სულ სხვა აფხაზეთის უფრო სწორად – ეგრის-აფხაზეთის დასავლურ-ქართული სამეფო („ქუთათისის ტახტი“). ასეთ შემთხვევაში (განსაკუთრებით, უცხოუროვან წყაროებში) სახელწოდებები: „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, ფართო გაგებით, საზოგადოდ – „ქართველს“ და „საქართველოს“ აღნიშნავდა. ე. ი. ეს ტერმინები ერთხანს ერთმანეთის სინონიმებად, ერთმანეთის ტოლ სიდიდეებად გვევლინებიან.

**ცხადია, ამავე პერიოდში იგივე ტერმინები – „აფხაზები“ და „აფხაზეთი“ პარალელურად გამოიყენდნდა თავისი ვიწრო მნიშვნელობითაც და აღნიშნავდა მხოლოდ ადრინდელ, ე. ი. საკუთრივ აფხაზებსა და ისტორიულ აფხაზეთს (ნიკოფილიდან კლისურამდე, ზოგჯერ – ფსოუ-მზიმთიდან ვიდრე ანაკოფიის წყლამდე).**

ხაზგასმით ვიმეორებ – ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში იმდროინდელ აფხაზს (ამ სახელწოდების როგორც ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით) თავისი წრმომავლობითა და ეთნიკური კუთვნილებით, ენითა და კულტურით, სარწმუნოებითა და ყოფაცხოვრების წესით და ხასიათით ანინდელ აფსუებთან თითქმის არავითარი საერთო არ გააჩნიათ.

აკად. თ. გამყრელიძე ეთნონიმის „აფხაზ-აბაზგ“ მრავალმხრივი ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად, შემდეგ დასკვნამდე მივიდა.

– ანტიკური „აბაზგ“ მეორადი ფორმაა და მომდინარეობს ქართული სახელწოდებიდან – „აფხაზ-აბხაზ“. [ხელოვნების ისტორიის სერია №2, 1991, გვ. 7-16;]

– სატომო სახელწოდება „აფხაზ“ – „აბაზგ“-ი არავითარ კავშირში არ არის ერთი შეხედვით მის მსგავს „აბაზგ“ სახელთან, რომელიც თანამედროვე აფსუა-აბაზების საერთო ადილეურ-ჩერქეზულ ტომობრივ სახელწოდებას წარმოადგენს;

– „აფხაზ“ – „აბაზგ“-ები ერთ-ერთი საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომია;

– VII-X საუკუნეებში, სწორედ ქართველური წარმომავლობის „აფხაზ“ – „აბაზგ“-ები ხდებიან უძველეს ეგრის-კოლხეთში იმთავითვე „მობინადრე სხვა მრავალრიცხვან ქართველურ ტომთა გამაერთიანებელნი საერთო დასავლურ-ქართულ სახელმწიფოდ...“ „ხოლო ტერმინი „აფხაზეთი“ მთელი დასავლეთ საქართველოს სამეფოს სახელწოდება ხდება“;

– ბერძნული საისტორიო ტრადიციის მიხედვით, უძველესი კოლხებისა და კოლხეთის (ეგრის-კოლხეთი) მემკვიდრედ ჯერ – „ლაზიკის“ სამეფო (ქართული წყაროების „ეგრისი“, ანუ ეგრის-ლაზეთი) გამოდის, ხოლო VIII საუკუნის დასასრულიდან – „აბაზგია“ (ქართული წყაროების „აფხაზეთი“, „აფხაზთა სამეფო“, ანუ ეგრის-აფხაზეთი).

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში (ვიდრე XVII საუკუნე-ემდე) მცხოვრებ ტომთაგან ერთადერთია „აფსილები“ (ქართული წყაროებით: „აფშილები“, „აფშილეთი“), რომლებიც ჰიპოთეზურ დონეზე მაინც, ჯერ კიდევ აღძრავენ ერთგვარ ეჭვს მათი ადილეურ-ჩერქეზული წარმომავლობის შესახებ.

ისინი ყველაზე ადრე მოხსენიებულია რომაელ მწერალთან და სახელმწიფო მოღვაწესთან პლინიუს უფროსთან [ახ. ნ. I ს.] ისტორიული აფხაზეთის ერთ-ერთ ცენტრალურ ნაწილში ქართველური ტომების აქტიურ გარემოცვაში ხანგრძლივად ყოფნის შედეგად, VIII საუკუნიდან „აფსილითა“ თვით სახელიც კი ქრება. თუ ზემოთ გამოთქმული ეჭვი სინამდვილეს შეესაბამება, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებული სამთავროს (სულ მალე – სამეფოს) შექმნისთანავე აფსილები საბოლოოდ [პავლე ინგორიშვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 131]. შეერწყმნენ ქართულ მოსახლეობას – სრულიად ქართველ ხალხს...

როგორც ცნობილია, ძირითადად დიდი კავკასიონის წყალგამყოფ ქედზე გადის საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარი. თუმცა, კავკასიონი არასოდეს ყოფილა „ჩინური კედელი“ საქართველო-ამიერკავკასიისა და იმიერკავკასიის ხალხებსა და ქვეყნებს შორის. ქართველთა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიები დიდი ქედის გადაღმა, ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადადიოდა („პირიქეთა საქართველო“). ამ ტერიტორიებიდან ანინდელ საქართველოს სამი ძირძველი ქართული ქვეყანა შემორჩა: ხევი, პირიქეთა ხევსურეთი და თუშეთი. ისტორიულ წარსულში ასეთი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნებოდა აგრეთვე – ისტორიული დვალეთი და პირიქეთა სვანეთი („სონთა ქვეყანა“).

დროდადრო, განსაკუთრებით ქართველობისათვის თავდატეხილ ძნელბედობათა ხანებში, მიმდინარეობდა სხვა, ერთი შეხედვით მსგავსი, მაგრამ მთიელი მოსახლეობის ცალკეული ნაკადების საქართველოს მინა-წყალბერ შემოღწევა და დასახლება.

XVI საუკუნემდე ქართული სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლება (მშვიდობიანი საშუალებებით, ან ზოგჯერ – სამხედრო აქციით), ასე თუ ისე, ძირითადად მაინც ახერხებდა ამ ჩვეულებრივ ბუნებრივი, მაგრამ უაღრესად მტკიცნეული და საშიში პროცესის გაკონტროლებასა და დარეგულირებას: მთიელთა ეთნიკური ჯგუფები ან ისევ უკან – სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ანდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ქვეშევრდომაში შემოდიოდნენ და შემდეგ, თანდათან, ქართველთა მიერ მათი ასიმილაციის შედეგად – ქართველი ხალხის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ხდებოდნენ...

საისტორიო წერილობითი წყაროები საშუალებას იძლევა ჩრდილოკავკასიური მოსახლეობის ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაკადების ქედს გადმოღმა ინფილტრაციის (თუ ექსპანსიის) მთელ ისტორიულ პროცესს თვალი გავადევნოთ ძვ. ნ. ალრიცხვის | საუკუნიდან ვიდრე დღემდე. [სტრაბონი, ძვ. ნ. ალრიცხვით | საუკუნეში].

საუკუნეების გრძელ მანძილზე ამ მხრივ მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები ნელ-ნელა თვისებრივი ცვლილებების ხასიათს იღებდა და ასე თანდათან (ძირითადად XVI-XVII საუკუნეებიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის დასუსტება-დაცემის ფონზე, საქართველოს უძველეს (უმთავრესად – „სანაპირო ქვეყნების“) მინა-წყალბერ უცხო ეთნიკური ელემენტის მომძლავრების შედეგად, ერთიმეორის მიყოლებით ჩნდებოდა არაქართული წარმომავლობის მოსახლეობის ცალკეული კომპაქტური ჯგუფები: ადილეურ-ჩერქეზული მოდგმის ჯიქები (გვიანდელი უბისები) და აბაზა-აფსუები – ისტორიული აფხაზეთის ნაწილში, ირანულენოვანი ალან-ოსები – დვალეთსა და ჩრდილოეთ შიდა ქართლში, ჩეჩენურ-ინგუშური მოდგმის ქისტები – კახეთის მთიულეთში, დაღესტნური წარმომავლობის მოსახლეობა (კრებსითი სახელწოდებით – „ლეკები“) – აღმოსავლეთ ჰერეთში...

როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული სახელმწიფო XV საუკუნის ბოლოს (საბოლოოდ – 1490 წელს) დაეცა. გაერთიანებული სრულიად საქართველო ცალკეულ „საქართველოებად“ დაიშალა.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორია იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში დარჩა, თუმცა მას ფაქტობრივად სულ მაღლე (XVI საუკუნის შუასანები) გამოეყო სამეგრელოსა (ოდიშის) და გურიის სამთავროები. რასაკვირველია, პოლიტიკურად დაქუცმაცებულმა საქართველომ სათანადო წინააღმდეგომა ვერ გაუწია ჩრდილოკავკასიელ მთიელთა ახალ დიდ მოძალებას, რაც XVI საუკუნიდან განსაკუთრებით გაძლიერდა და, მაღლე მოსახდენიც მოხდა!..

**XVII საუკუნის დასაწყისში ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე ცალკე აფხაზეთის სამთავრო (პოლიტიკური ცენტრი – ლიხნი, შერვაშიძეთა დინასტიით სათავეში) ჩამოყალიბდა. ახლადწარმოქმნილი სამთავროს ცხოვრებაში ჩრდილოეთ კავკასიიდან სულ ახლახან მასობრივად გადმოსახლებულმა ადილეური წარმომავლობის მომთაბარე-მეჯოგე და წარმართული სარწმუნოების მქონე აბაზას (აფსუა) ტომებმა გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს. თურქ-დამპურობთა წყალობით აფხაზეთში თანდათან ფეხი მოიკიდა ახალმა რელიგიამ – ისლამმა.**

ძველი, ადგილობრივი, მაღალი კულტურის მქონე მიწათმოქმედი და ქრისტიანული ქართველური მოსახლეობის (ე. ი. ძირძველი აფხაზების) აფსუიზაციის პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. საბოლოოდ იგი საკმაოდ ჭრელი ეთნიკური შემადგენლობის, ანინდელი ადილეურენოვანი აფხაზი ხალხის ჩამოყალიბებებით დამთავრდა.

თანამედროვე აფხაზი ხალხის ეთნოგრაფიული და ხანგრძლივი პროცესი მთლიანად აწინდელი აფხაზეთის (ფსოუ-მზიმთიდან ვიდრე ლალიძგამდე) ტერიტორიაზე მიმდინარეობდა. ამიტომ ეს მიწა-წყალი, აქ თავიდანვე მცხოვრებ ქართველებთან ერთად, თანდათან ადილეურენოვანი აფსუა-აფხაზების სამშობლოდაც იქცა.

ძველი ტერმინები – „აფხაზი“ და „აფხაზეთი“, ამ ტერიტორიაზე ახალი ეთნიკური ერთობის გაჩენის პირობებში, ხელახლა და უკვე საბოლოოდ დავიწროვდა და ამიერიდან მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთის, უპირველეს ყოვლისა, მის ახალ, არაქართულ მოსახლეობას და ქვეყანას („აფსუა“ და „აფსნი“) გულისხმობდა.

ისტორიული აფხაზეთის მიწა-წყალზე ძირითადი (აღნიშნული ქვეყნისათვის სახელის მიმნიჭებელი!) ქართველური ტომის აფხაზების გარდა, რასაკვირველია, ძველთაგავე ბინადრობდა სხვა ქართველური ტომებიც, რომელთა შთამომავალნი დღესაც აქ (და სხვაგან) განაგრძობენ არსებობას. როგორც ირკვევა, პირველ რიგში სწორედ აფხაზეთში დარჩენილმა ქართველობამ და მათ კვალდა-კვალ სხვა, დანარჩენი საქართველოს მოსახლეობამ „არ დააყოვნა“ და აქ, ადრე მცხოვრები ძირძველი, ძირითადად უკვე ასიმილირებული ქართულენოვანი აფხაზების გამო, მათ ადგილას იმჟამად უკვე დამკვიდრებულ არაქართულ, ადილეურენოვან მოსახლეობასაც „აფხაზები“ უწოდა (როგორც ზემოთ აღინიშნა, თანამედროვე აფხაზების თვითსახელია „აფსუა“).

ასევე ამგვარად, ახლადჩამოყალიბებულ ეთნოსზე ადგილობრივი უკვე ასიმილირებული ერთერთი უძველესი ქართველური ტომის (ძველი აფხაზეთის) სატომო სახელი გადავიდა. როგორვ ჩანს, ქართველების მიერ ადილეურენოვანი აფსუების „აფხაზებად“ გადანათვლის შემდეგ და შედეგად ეს სახელი სწორედ აქედან, საკუთრივ ქართულენოვანი სამყაროდან, გავრცელდა მთელს თანამედროვე მსოფლიოშიც.

ამგვარად, სახელწოდებების „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ გამოყენებისას ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ და განგვასხვავოთ:

1. მისი როგორც ვიწრო და ფართო მნიშვნელობა; 2. ისე მისი ეთნიკური შემადგენლობისა და ვინაობის მთელი ისტორიული თავგადასავალი დინამიკაში.

პირველ შემთხვევაში სახეზეა: ჯერ – საკუთრივ აფხაზეთი (ბზიფის აუზი და ფსოუ-მზიმთის ხეობათა მთიანი ნაწილი) და ისტორიული აფხაზეთი (ნიკოფილიდან ვიდრე კლისურამდე, ზოგჯერ ფსოუ-მზიმთიდან – ანაკოფის წყალმდე, ე. ი. ახლანდელ მდ. ფსირცხამდე), ხოლო შემდეგ – მთე-

ლი დასავლეთ საქართველო, ანუ ეგრის-აფხაზეთი (ნიკოფილი ვიდრე დარუბანდამდე). აღნიშნული ტერმინის ესოდენ დიდი აღზევება VIII საუკუნიდან დაიწყო და გრძელდებოდა XII საუკუნის 20-იან წლებამდე. თუმცა იგი, დროდადრო, ახალი და ძირითადი სახელწოდების – „საქართველოს“ პარალელურად გამოიყენებოდა შემდეგ ხანებშიც ვიდრე XV საუკუნის დასასრულამდე, ერთიანი ქართული სახელმწიფოს საბოლოოდ დაცემამდე (და „ინერციით“ – XVI საუკუნეშიაც).

მეორე შემთხვევაში:

ა) ახ. ნ. II-XVI საუკუნეებში სახელები „აფხაზი“ და „აფხაზეთი“ ეთნიკურ-კულტურული კუთვნილების თვალსაზრისით, ყველა შემთხვევაში ქართველ შინაარსს ატარებდა.

ბ) ხოლო XVII საუკუნის დასაწყისიდან ამ ტერმინებმა, მის ხელახალ და საბოლოოდ დავიწროებას-თან ერთად, თვისებრივად სულ სხვა შინაარსი შეუძინა. ამიერიდან ამ სახელწოდებებით („აფხაზი“ და „აფხაზეთი“) აღინიშნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ძველი ისტორიული აფხაზეთის ტერიტორია (ფსოუ-მზიმთიდან ვიდრე ლალიძგამდე) და აქ მოსახლე, უკვე არაქართული, კერძოდ, ადილეურ-ენოვანი მოსახლეობა.

რაც შეეხება ახ. ნ. I-II საუკუნეების უწინარეს ხანას (ე. ი. უძველესი „ეგრის-კოლხური ეპოქა“), მაშინ აქ, ისტორიული აფხაზეთის მინა-წყალზე ქართველური ტომების, – როგორც ამ ტერიტორიების თავდაპირველი მსახლეობის, – ცხვორების უტყუარი ფაქტი, მითუმეტეს არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამგვარად, ისტორიული აფხაზეთის მინა-წყალზე მცხოვრები ძირძველი აფხაზები ერთ-ერთი საკუთრივ ქართველური (დასავლურ-ქართველური) წარმომავლობის ტომია. მათ შეიძლება პირობითად – „ძველი აფხაზები“, ანუ „ქართველი აფხაზობა“ ვუწოდოთ. აღნიშნულ სატომო სახელებს, შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ხანაში, გააჩნდა თავისი როგორც ვიწრო, ისე ფართო მნიშვნელობა. XVII საუკუნის დასაწყისიდან კი ძველი, ქართულენოვანი აფხაზების ადგილას ჩნდება ადილეურ-ჩერქეზული მოდგმის „ახლანდელი აფხაზები“, ანუ „აფსუა-აფხაზები“ (ახლად გააფსუა-ბული ძირძველი აფხაზობა). და ამიერიდან „აფხაზებად“ მხოლოდ ისტორიული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები (და აქედან გადასახლებული) ადილეურენოვანი მოსახლეობა აღინიშნება...

და XVII საუკუნის დასაწყისიდან დაახლოებით 400 წელზე მეტია ისტორიული აფხაზეთის მრავალჭირნანას მინა-წყალზე (ფსოუ-მზიმთიდან ვიდრე ლალიძგამდე) ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობს ორი მონათესავე ხალხი – ქართველები და აფხაზები (აფსუები). ამ ხალხების მრავალ-საუკუნოვანი ურთიერთობებისა და თანაცხოვრების უნიკალური წესი, დროდადრო წარმოქმნილი გარკვეული სიძნელეების მიუხედევად, თითქმის ყოველთვის სანიმუშო რაინდულ და ურთიერთპატივისცემის მაღალზნეობრივ მაგალითად იყო მიჩნეული! ალბათ, მსოფლიოში იშვიათად მოიძებნება ორი სხვა ხალხი, რომელთა შორის ასე მაღალი იყოს შერეულ ქორწინებათა ესოდენ დიდი ხვედრითი წილი. ამიტომ ასეთი ოჯახებისა და ასეთი ხალხების ხანგრძლივად დაცილებაც წარმოუდგენელია...

**ასეთია მოკლედ ისტორიული სინამდვილე და სიმართლე.** ჩვენის აზრით, ამ ურთულესი და დელიკატური საკითხის დედაარსის სხვაგვარი (მითუმეტეს – „არძინბა-ვორონოვისეული“, ე. ი. გაუკულმართებული) ინტერპრეტაცია მეცნიერულად – არასწორი და ყალბი, ხოლო პოლიტიკურად – მავნე და საშიშია...

მსოფლიო ისტორიამ იცის ერთი, ადგილობრივი, მკვდარი, უკვე ასიმილირებლი ეთნოსის სახელწოდების მეორეზე – მოსულ და გამარჯვებულ ეთნიკურ ჯგუფზე გადატანა-გავრცელების არაერთი ფაქტი და შემთხვევა. ასე, მაგალითად: არაბმა დამპყრობლებმა მიითვისეს – უძველესი ეგვიპტელების, სირიელების, პალესტინელების, ლიბანელების, ასევე შემდეგ სლავებმა – ძველი მაკედონიელების, თურქულენოვანი ბულგარების, გერმანელებმა ერთ-ერთი ლიტვური ტომის – პრუსების სახელები.

სამწუხაროდ დაახლოებით ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება

თვით საქართველოს მიწა-წყალზეც. ერთზე, – აფხაზებზე, უკვე ვისაუბრეთ, – როცა ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ადილეურენოვანი ანაზები (აფსუები) „აფხაზებად“ გადავნათლეთ. ახლა მსოფლიოს თვალწინ ისევ ბევრი ჩვენგანის გაუთვალისწინებელი „ინიციატივითა“ თუ მონაწილეობით, ქართვული ცივილიზაციის ერთ-ერთი მებარაღტრეთ, საყოველთაოდ აღიარებულ სახელოვან და უშიშარ ქართველ „ნინამბრძოლნთ“, უკვე გამაპმადიანებულ მესხებს – „თურქ მესხებად“, ხოლო გასულ საუკუნეში ძირეულ ქართულ ქვეყანაში ისტორიულ ჯავახეთში შემოხიზნულ სომხებს – „ჯავახებად“ მოვიხსენიებთ ხოლმე. სამარცხვინო და უზნეო ფაქტად მიგვაჩნია, როცა ეს გაუგებარი ცნობები და ტერმინები პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით მთელ მსოფლიოში ვრცელდება და, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ისინი თანდათან სამეცნიერო ლიტერატურაშიც მკვიდრდებიან.

ჩვენი ერთიანი ქართული ცნობიერების მოშლის, ეროვნული მეობისა და სიფხიზლის საშიში დაქვეითების ასეთივე მეტყველი მაგალითია ზოგიერთი ჩვენგანის უკადრისი საქციელი, როდესაც მაპმადიან ქართველს – „თათარს“, კათოლიკე თანამემამულეს – „ფრანგს“, ხოლო მონოფიზიტ (გრიგორიან) ქართველს – „სომეხს“ ვეძახით.

კიდევ ერთიც: ისტორიული ჰერეთის გამაპმადიანებულ ძირძველ ქართულ მოსახლეობას ნაცვლად ძველისძველი სატომო სახელწოდებისა (ჰერები, ან კახელები) დამამცირებელ სახელს – „ინგილოებს“ ვუნიდებთ, რაც თურქულად „ახალმოქცეულს“, ახლად გამაპმადიანებულს, ე. ი. „რჯულშეცვლილს“ ნიმნავს. ასე უღვთოდ ჩავაბარეთ ისტორიას უძველესი და მშვენიერი სახელები – „ჰერები“ და „ჰერეთი“.

და ბოლოს, ქართულ სინამდვილეში ერთი საინტერესო მაგალითი გვაქვს: ქართველ ებრაელობას დღევანდელ ისრაელში... „აქართველებს“ ეძახიან...

თანამედროვე აფსუა-აფხაზი ხალხი ანთროპოლოგიური და ისტორიულ კულტურული თვალსაზრისით, პირველ რიგში ადგილობრივი – ქართული (ძირითადად – კოლხურ-მეგრული) და მოსული – ადილეური (განსაკუთრებით აბაზურ-აფსური) მოსახლეობის ერთმანეთთან თანდათანობით შერევა-შერწყმის შედეგად წარმოიშვა. ე. ი. გაიმარჯვა ადგილობრივმა, დამხვდურთა ანთროპოლოგიურმა (ფიზიკურმა) ტიპმა და მოსულთა ენამ.

აფხაზი (აფსუა) ხალხის ფორმირება რამდენადმე განსხვავებულ, უფრო სწორად გაუკულმართებულ ნიადაგზე დღესაც გრძელდება. არსებითად, ჩვენს თვალწინ იქმნება ისტორიულ „ხსოვნა-დაკარგული“ დენაციონალიზებული, ისლამური და რუსულენოვანი, საოცრად პრივილეგირებული და ნომენკლატურულ-კრიმინალური „სოციალური ეთნოსი“, რომლის რუსული სახელონდებაა – „ანხავეც“ (ე. ი. აფხაზეთში მცხოვრები). გაზ. სახალხო განათლება, 1989 წ. 18. X, გვ. II. M.G. 24.]

თანამედროვე აფხაზთა არანაკლები ორი მესამედი ქართველური წარმომავლობისაა, რასაც თვალ-ნათლივ ადასტურებს მათი გვარ-სახელებიც, მათი სადაურობა; აფხაზეთის უძველესი და ძველი ტოპონიმიკა თითქმის მთლიანად ქართველურია; ქვეყნის ეპიგრაფიაც ძირითადად ქართულია; აფხაზეთის ისტორიისა და კულტურის განსაკუთრებით ხუროთმოძღვრული ძეგლები ასევე უმთავრესად ქართული (მასთან ერთად გვხვდება აგრეთვე, ძველი – ბერძნულ-რომაული და გვიანდელი – იტალიური, თურქული და რუსული ხელოვნებისა და ეპიგრაფიკის ნიმუშები). შეუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე გიორგი მთაწმიდელი აფხაზეთს, სრულიად სამართლიანად – „ქუეყანას ჩუენსას“ უწოდებდა...

ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, ქართველთა ყველა თაობას ყოველთვის უნდა ახსოვდეს და სათანადოდ აცნობიერებდეს, რომ აფხაზური ენა დღეს სრულყოფილად მხოლოდ აფხაზეთის მიწა-წყალზე, საქართველოს განუყოფელ ნაწილში გაისმის. ეს ქართველ ხალხს მსოფლიო თანამეგობრობის, ცივილიზებულ კაცობრიობის ნინაშე სერიოზულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ამ დიდ

პასუხისმგებლობას თავისი შემწყნარებლობითა და მიმტევებლობით ასე გამორჩეული ქართველი ერი არასოდეს გაქცევია და არც მომავალში გაექცევა...

მკითხველს ვთხოვთ, მოგვიტევოს და დიდსულოვნად შეგვინდოს საკვლევი საკითხისაგან გადახვევა და მისი ქრონოლოგიური სამანების ესოდენ „უხეში დარღვევა“. ავტორის მცირე „ურეგლა-მენტო წიაღსვლები“ რაც აფხაზეთის საკითხის აქტუალობამ და ყოველგვარი ქართულის მიმართ პათოლოგიური სიძულვილით შეცყრობილი აფსუა ფაშისტი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების, მათი უცხოელი პატრონების მიერ ისტორიული ჭეშმარიტების გაუგონარმა გაყალბებამ განაპირობა. (რასაკვირველია, სხვა საკითხია – თუ რამდენად დამაჯერებელია აქ წარმოდგენილი არგუმენტაცია და საერთოდ, ავტორისეული „წიაღსვლები“). აფხაზეთი ხომ ჩვენი მოუშუშებელი ღია ჭრილობაა, ის ქართველთა ახლანდელი თაობებისათვის ყველაზე დიდი ეროვნული სატკივარია.

#### **ლიტერატურა:**

1. H. Mapp, История термина „абхаз“ კრებულში: „О языке и истории абхазов“, М.-Л., З. ин-гомропуза. 1938, 44-52.
2. გიორგი მერჩულე, თბ., 1954 წ. გვ. 114-295; 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები (6. VIII), მე-2 გამოცემა, თბ., 1990, გვ. 561-621;
3. პავლე ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 131.
4. დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის 140-166
5. მ. ნიკოლეიშვილი, აფხაზები და „აფხაზობა“, „ქუთაისი“, 1993, №-№ 207-111.
6. ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, თარგმანი და გამოცემა, ნ. კეჭაყმაძის, თბ., 1961 წელი
7. პავლე ინგოროვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 131.
8. ელდარ მამისთვალაშვილი, საქართველოს შავი ზღვისპირეთის ისტორიიდან, გაზ. სახალხო განათლება, 1989 წ. 18. X, გვ. II. М.Г. 24. Абдушелишвили. Антропология древнего и современного населения Грузии, Тб., 1964.
9. თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ-აბაზგ“ და „აბაზა-აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობებისათვის): უუნრ. „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია №2, 1991, გვ. 7-16; და სხვ.
10. თ. გამყრელიძე, დასახ. წერილი, გვ. 10-14.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 157..
12. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 785.
13. О.М. Джапаридзе. Западногрузинская культура, იხ. Очерки истории Грузии, I, т.б., 1989. с. 119-140
14. О.М. Джапаридзе. Западногрузинская культура, იხ. Очерки истории Грузии, I, т.б., 1989. с. 119-140.
15. Г.М. Меликишвили. К. вопросу об этнической принадлежности населения древней Грузии, მთ. Очерки, с. 182-183.
16. Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Идоевропейский язык и индоевропейцы, II, тб., с. 907-909.
17. მ. ლორთქიფანიძე, ფერდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 78.
18. მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.
19. დ.ლ. Мусхелишвили. Историческая география Грузии IV- X вв. Очерки истории Грузии, II Т.б., 1988, с. 383-386.
20. ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 796.

21. მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 422-428.
22. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 227-228.
23. გეორგია 5, გვ. 46. 6, გვ. 235.
24. И.Г. Антелава. Социально-экономические отношения в Абхазии в XVI – XVII вв., в книге: Очерки истории Абхазской АССР, I, Сухуми, 1960. с 100.
25. ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთის შესახებ, იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ.125.

**ინტერნერ-რესურსი:**

1. amsi.ge>istoria/div/m.lordkiPaniZe\_afx.html
2. dspace.nplg.gov.ge>handle/1234/68686
3. abkhazia.gov.ge>index.php...
4. interpressnews.ge>ge/msflio/455605-leonid-...
5. yandex.ru/images>

GURAM GABUNIA

Ak. Tsereteli State University, Professor

LIA GABUNIA

Kutaisi State Historical Museum, Assoc. Professor

## THE POPULATION OF HISTORIC ABKHAZIA. ITS ETHNIC COMPOSITION, ORIGIN AND BACKGROUND

The population of Egrisi-Abkhazia was definitely Georgian. From times immemorial this territory was inhabited by "Egris" (Zans), Svans and Karts.

The same can be pointed out about the ethnic composition, origin and background of the ancient population of historic Abkhazia. This is confirmed by the famous conception of Leonti Mroveli about the origin of the Caucasian peoples. Abkhazia has always been one of the integral parts of Georgia and its population was inseparable from the Georgian people.

As for the Abkhazs ("Apkhaz", "Abkhaz") residing in Abkhazia 1000 years ago, i.e. in X century, they were a Georgian tribe like all the aforementioned Karts, Egris and Svans.

It should be unambiguously noted that the present-day Abkhazians have almost nothing in common with historic Abkhazians residing in Abkhazia until the beginning of XVII century except for the territory and ethnonym.



The ancestors of the present-day Abkhazians, i.e. Apsuas, were Adigeans (Circassians), more specifically, Abazs ("Abaza", "Abazin"). They resided in North Caucasus, predominantly in the Kuban

area, from ancient times. The terms “Abkhazian” and “Abkhazia had narrow as well as wide sense in different historical epochs.

The original population of Abkhazia consisted of famous ancient Colchis and their descendants - the Georgian tribes (Egris, Svans and Karts). Since a certain historical stage (approx. VI century AD) all of them have been referred to as "Abkhazians".

Among the tribes residing on the territory of present-day Abkhazia throughout different historical epochs (until XVII century) "Apsils" ("Apshils", "Apshileti" according to Georgian sources) are the only ones who still raise a certain suspicion (at least at the level of a hypothesis) in terms of their Adigean- Circassian origin.

The earliest reference to them was made by the Roman author and statesman Pliny the Elder (I century AD). In VIII century even the name of “Apsils” disappeared after being surrounded by the Georgian tribes for a long time in one of the central parts of historical Abkhazia. If the suspicion mentioned above turns out true, it should be suggested that as soon as the united principality of Egris-Abkhazia (which soon became a kingdom) was established, the “Apsils” had ultimately assimilated into the Georgian people...



სალომე ჭალიციანი  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## ქუთაისის ისტორიულ გუზუმში დაცული იან პავლეს კიბერის ნამუშევრი

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის, სახვითი ხელოვნების ფონდში, წარმოდგენილია პოლონელი მხატვრის იან პავლეს კიბერის თვრამეტი (18) ნამუშევრარი. აქედან, უანრობრივი დიფერენციაციის მიხედვით, ორი (2) გრაფიკული ჩანახატების ალბომია, ხოლო თექვსმეტი (16) ფერწერული სურათი: ხუთი (5) პორტრეტი, ორი (2) პეიზაჟი, ხოლო ცხრა (9), ყოფითი ხასიათის ნაწარმოები. ეს ნამუშევრები მხატვრის საკმაოდ მნიშვნელოვან კოლექციას წარმოადგენს და ამგვარი მასშტაბით მხოლოდ ქუთაისის მუზეუმშია დაცული. თუმცა, როგორც ცნობილია, რამოდენიმე ნამუშევრარი თბილისის გალერეაში, ხოლო ერთი სურათი, „სასაფლაო“, ქუთაისის ფალიაშვილის სახელობის მუზეუმშიც ინახება. ეს უკანასკნელი, კი ქუთაისის ისტორიულმა მუზეუმმა გადასცა საჩუქრად.

ზოგადად, მხატვარი იან (ივან) პავლეს კიბერი და მისი შემოქმედება ნაკლებადაა ცნობილი და შესაბამისად, შესწავლილიც. ის აქტიური შემოქმედი იყო და ერთ-ერთი პირველი, ვინც პერსონალური გამოფენები გამართა ქუთაისში (1908 და 1914 წლებში). უნდა აღინიშნოს, რომ პავლეს კი ზრუნავდა სამხატვრო ხელოვნების გავრცელება – პოპულარიზაციისათვის. აქტიურად მუშაობდა, როგორც პედაგოგი, ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში (დღევანდელი მე-3 საჯარო სკოლა). ასევე, მის სახელთანაა დაკავშირებული ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიასთან (მე-2 საჯარო სკოლა) ხატვისა და ფერწერის კურსების გახსნა. 1917 წლიდან პედაგოგიურ მოღვაწეობას პავლეს კი ასევე ეწეოდა სოხუმშიც. აქ ის ხატვას ასწავლიდა სემინარიაში, დაწყებითი კლასის მასწავლებლებს. იან პავლეს კი იყო 1905 წლის შექმნილი, კავკასიის მხატვართა ურთიერთდახმარების საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. [1, 14]

ბიოგრაფიული ცნობების სიმცირიდან გამომდინარე, პავლეს კი ცხოვრებისა და მისი პიროვნების შესახებ საუბარი, მისივე ნამუშევრების საფუძველზეა შესაძლებელი.

იან პავლეს კი, უპირველეს ყოვლისა, რეალისტი მხატვარი იყო, რომელიც ზუსტად აღწერდა თავის დროს, ამიტომ მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ყოფითი უანრის სურათებს უჭირავს. პოლონელი მხატვარი თავის ნაწარმოებებში, გვიჩვენებს არაქართველი მოქალაქის თვალით დანახულ საქართველოს. მას აინტერესებს ადამიანის ყოფა, წეს-ჩვეულებები, ბუნება, არქიტექტურა, ყველაფერი რაც დამახასიათებელია ამ ქვეყნისათვის. კერძოდ კი, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული, პავლეს კი ყოფითი უანრის სურათების უმეტესობა, იმდროინდელი ქუთაისის რეალობას ასახავს, სადაც მხატვარმა, მისი შემოქმედებითი ცხოვრების საკმაოდ მნიშვნელოვანი პერიოდი გაატარა. ესენია: „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, სადილობის დროს“ ქიმ.5362/d-32, „ქუთაისის ყაფანი შუადღისას“ ქიმ.5331/d-1, „ქუთაისის ბალი ზაფხულში“ ქიმ.5332/დ-2, „ცხაკაიას ქუჩაზე მდებარე სახლი“ ქიმ.5333/d-3, „ყვავილების გამყიდველი“ ქიმ.3430/d-166 და სხვები.

ეს ნამუშევრები წარმოადგენენ უბრალო, თითქოს შემთხვევით დანახულ ყოფიერების სცენებს, რომლებშიც მხატვარი ცდილობს ასახოს პოეტური განწყობა. მათი კოლორიტი მსუბუქია, აგებულია ოქროსფერ, ყვითელ, ყავისფერ ტონებზე. ხშირად კომპოზიცია არ იკეტება სურათის ფარგლებში, რაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს, მისი რეალობიდან ამოღების, გამოკვეთის მცდელობას და ამით მისი ცხოველმყოფელობის გაძლიერებას.

სწორედ ყოფიერების ამსახველია, 1928 წელს, პავლეს კი მიერ დაწერილი სურათი, „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, სადილობის დროს“ ქიმ.5362/d-32 (ფანერა, ზეთი, 66x85,5სმ.). ნამუშევრის

ზურგზე, თავად მხატვრის მინაწერი იკითხება: „Кутаис. Страж вечного покоя у Багратских развалин за обедом“. (სურ.1)

სურათის თემას წარმოადგენს ბაგრატის ტაძრის მცველის სადილობის ეპიზოდი. მხატვრის მიზანია, მშვიდი გარემოს ფონზე გადმოსცეს ქვაზე ჩამომჯდარი მოხუცის სიკეთე, რომელიც თავისი სადილის ლუკმას, იქვე, მის ნინ მჯდომ ძალლს უზიარებს.

მართკუთხა ფორმის სასურათე სიბრტყეზე, თანმიმდევრულად წარმოდგენილია ბაგრატის ტაძრის კუთხე, მოჩუქურთმებული ქვის ფრაგმენტები, ასევე ძველი საფლავის ორი ქვა, ღობე, მის უკან გამოსახული სახლით, ორი გოგონას საუბარი მაღალი ნაძვის ჩრდილში, ბატყანი სურათის მარცხენა მხარეს, ხოლო ცენტრში ღია ცეცხლზე მზადდება სადილი ქვაბში. სადილის გამზადების მოლოდინში, ჩუქურთმებიან ქვაზე ჩამომჯდარა მოხუცი, ლუკმა-პურით ხელში და სიტყვიერად მიმართავს ძალლს, რომელიც თვალებში შესციცინებს მას.

სურათის სიბრტყე მთლიანად ათვისებულია გამოსახული საგნებით, მაგრამ ნათლად იკითხება მოხუცისა და ცხოველის ურთიერთობის მომენტი.

მხატვარი ირჩევს ხედვის ფრონტალურობას, რაც შეესაბამება კომპიზიციის თხრობით ხასიათს. საგნებისა და ფიგურების განაწილება სურათის ცენტრის მიმართ, გათანასწორებულია და ეს თანასწორობა დაცულია სურათის ყველა ნაწილში. ნახატი, რეალისტური საშუალებებით შესრულებული, გამოირჩევა რბილი პლასტიკურობით, რასაც შეესაბამება სურათის თბილი კოლორიტი, აგებული ოქროსფერ, ყვითელ, მწვანე და ყავისფერი ტონების სიჭარბით. წერის მანერა საკმაოდ თავისუფალი და ემოციურია, მოკლე-მოკლე, წყვეტილი მონასმები, მსუბუქად ძერწავენ ფორმებს, ხოლო ტონალური გადასვლების სიმდიდრე, აძლევს მათ მოცულობითი ფორმების რეალურ შეგრძნებას. სურათის ფაქტურა მოიცავს გლუვ და რელიეფურ ნაწილებს, რაც ნაწარმოების ცოცხალ ზედაპირს ქმნის. მხატვარმა შეძლო, ზემოთ აღნიშნული ხერხების გამოყენებით გადმოეცა, მოხუცი მცველის ყოფიერების ერთ-ერთი ლირიული მომენტი.

პაევსკი, ფერწერულ სურათზე „წისქვილში“ ქიმ.5334/d-4 (ფანერა, ზეთი, 21,5x34,6სმ), წარმოგვიდგენს ჩვეულებრივ სამუშაო გარემოს, იმერეთის სოფლის წისქვილში. (სურ.2) მოცემულია წისქვილის ინტერიერის ერთი კუთხე, მბრუნავი დოლაბით და ყველა აუცილებელი ატრიბუტით. იქვეა მენისქვილე, სიმინდით და ფქვილით სავსე ტომრებიც.

ეს არის ლამაზი ფერწერული ჩანახატი, სახასიათო იმერული ცხოვრებისათვის. ჩანს რომ, მხატვარს აინტერესებს თვით წისქვილის ფორმა, მისი კონსტრუქცია. სურათი ძალიან მთლიანია თავისი ფერადოვანი გამის თვალსაზრისით, რომელიც აგებულია პაევსკისათვის დამახასიათებელი, ოქროსფერი, ყვითელი, ყავისფერი და თეთრი ფერების გამოყენებაზე. წერის ცოცხალი მანერა, სურათს ფერწერული ჩანახატის სიქორფეს ანიჭებს.

ფერწერულ ტილოზე, „ყვავილების გამყიდველი“ ქიმ.3430/d-166 (ფანერა, ზეთი, 95x75სმ.), პაევსკიმ გამოსახა რამდენიმე ფიქურა დახლის გარშემო, ორი მჯომარე ქალბატონი სურათის მარცხენა ნაწილში და მოსაუბრე წყვილი დახლთან, რომელზეც ჭიქით წყალი დგას. მთავარ აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს ლურჯ კაბიანი ქალბატონი, თეთრი ქუდით, რომელიც ყვავილებს ჰქონის. (სურ.3)

ვერტიკალური ფორმატის სურათის სიბრტყეზე, კომპოზიცია არ იკეტება სურათის ფარგლებში, ყველა ფიგურა პროფილშია ნაჩვენები, რაც ქმნის ცოცხალ, ბუნებრივ განწყობილებას, მხატვარს თითქოს შემთხვევით დანახული ყოფიერების სცენა აქვს წარმოდგენილი.

ნამუშევრის კოლორიტი აგებულია ოქროსფერ, ყვითელ, ყავისფერ ტონებზე. სურათზე წარმოდგენილი ყვავილების თაიგულები, ნამდვილ გაზაფხულს ქმნიან, მაგრამ, მიუხედევად ამგვარი ფერადოვნებისა, გამყიდველის პოზაც და გამომეტყველებაც სევდიანია, მასში პირადი ტკივილი და განცდა გამოხატული.

საინტერესოა აღნიშნული ექსპონატების ქუთაისის მუზეუმში მოხვედრის ისტორია. სურათები „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან, სადილობის დროს“ და „წისქვილში“ 1934 წელს მუზეუმმა პაევსკის მეუღლისგან შეიძინა, მოგვიანებით კი, 1972 წელს, ფერწერული სურათი „ყვავილების გამყიდველი“, ქუთაისში მცხოვრებ დარეჯან დავითის ასულ ბრეგაძისაგან.

ზემოთ ხსენებულ ნამუშევრებში, იგრძნობა მხატვრის ინდივიდუალური მიდგომა და ამავე დროს, ზოგადად მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნებიც, შემოქმედებისთვის, რომელიც, ჯერ კიდევ სათანადო შესწავლას მოითხოვს, რათა სრულყოფილად იქნეს გაანალიზებული იან პაევსკის როლი ქართულ მხატვრობაში.

#### **ლიტერატურა:**

1. ზალიშვილი ნ., 2007 წ. „მხატვართა ქუთაისის ორგანიზაცია: ისტორია, პერსონები, ტენდენციები“, სახვითი ხელოვნების ქრონიკები. საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია. ქუთაისი.
2. იუსტინსკაია ჰ., 2004 წ. „პოლონელი მხატვრები საქართველოში“, თბილისი.
3. კვასხვაძე ლ., 1989 წ. ფერწერის ტექნიკა და ფერწერულ მასალათა ტექნოლოგია. თბილისი.
4. ჯიყაშვილი ლ., 2011 წ. დიდი მხატვრები – „ფიროსმანი“. თბილისი.
5. Buc-hholz E., 2005J. Leonardo da Vinci. Königswinter.

SALOME SHALIKIANI  
Kutaisi State Historical Museum

## **SOME OF JAN PAEVSKY'S WORKS PRESERVED IN KUTAISI STATE MUSEUM**

From the end of the 19<sup>th</sup> century a lot of Polish citizens start to live and work in Georgia who were forced to leave their homeland due to the existing political situation. Several representatives of Polish artists worked in Kutaisi. Among which J. Paevsky deserve special attention.

There are 18 works that are stored in Fine Arts Foundation have entered Kutaisi State Museum at various times. The collection is thematically diverse. Various paintings as well as graphic works can be found. Some part of the materials that are stored in the museum were donated by the author. The last work entered the museum in 1933 and another work was purchased from his widow and is dated 1934. The interest towards the works of the author was conditioned by the diversity of his creative work. He is equally mastered in drawing landscapes, portraits as well as creating graphical works. Along with the works by Paevsky stored in the state historical museum there are some exhibits that belong to Paevsky and are kept in the Galleries of Tbilisi and painting that is stored in Kutaisi Paliashvili State Museum. Most of his canvases are performed in oil-paint techniques characteristic to easel painting. However, he also possesses an excellent technique of working on the veneer and cardboard.

Jan Paevsky was the author of the first personal exhibition in Kutaisi history. The exhibition was held in 1908. Supposedly, it might cause great public interest otherwise the artist would not care of holding the other exhibition several years later (1914).

Kutaisi occupies an important place in his creative work. His famous canvases ‘Kutaisi in the Afternoon’ K.H.M. 5331/d-1, ‘Kutaisi's Garden in Spring’ K.H.M. 5332/d-2. ‘The House on Tskhakaya Street’ K.H.M.

5333/d-3, ‘The Tunnel of Tskaltsitela’ K.H.M. 5337/d-7, ‘At the Ruins of Bagrati Cathedral’ ‘During Dinner-time K.H.M. 5362/d-32 and others. He was actively involved in the cultural life of Kutaisi and was one of the organizers of Caucasian Mutual Aid Society for Artists. Opening the courses of painting and drawing in Kutaisi Nobility Gymnasium in 1911 is closely connected with his name where young people willing to apply for Technical Institute were taught drawing and painting. From 1913 he taught painting in the Women’s Gymnasium and many other educational institutions.

The other painting ‘Flower Seller’ K.H.M. 3430-d-166 realistically represents the fate of the people, their pain and romanticism. Despite the fact, that it is spring the seller’s posture and expression shows great personal pain and grief.

Paevsky’s art used the reality as the nourishment but it was not the reality in its simple connotation. He tried to understand complex psychological layers through simple pieces. But first of all, he was a realist painter who precisely described his contemporary life and by means of almost every piece of his work tried to invest a little grain of hope that would give future faith to all of us.



სურ. 1 ბაგრატის ცაძრის ნანგრევებთან სადილობის დროს



სურ. 3 ყვავილების გამყიდველი



სურ. 2 წისქვილში

რაულ ჩაგუნავა  
ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი

## რას გულისხმობს „ზედადაპურვა“ გელეისედეკ კათალიკოსის „დაწერილები“

კათალიკოს მელქისედეკის „დაწერილს“ (XII.), როგორც ერთ-ერთ ადრეულ საბუთს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული დიპლომატიკის ისტორიაში. ქრონოლოგიურ ფაქტორებთან ერთად ამ საბუთს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ მისი საშუალებით შეიძლება გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლის აშენების საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამის შესახებ ეს საბუთი ერთმნიშვნელოვან პასუხს არ იძლევა, ვინაიდან მან ჩვენამდე არა დედნის, არამედ XII და XIII საუკუნეების პირების სახით მოაღწია. თანაც პირველ და გაცილებით სანდოდ მიჩნეულ პირს საწყისი ნაწილი აკლია, რომელშიც საბუთის მკვლევართა უმტესობის აზრით, გარკვეული ცნობები უნდა ყოფილიყო მოყვანილი სვეტიცხოვლის აშენების შესახებ. მეორე, საგრძნობლად, გვიანდელ პირს თუმცა ეს შესავალი არ აკლია, მაგრამ მის სანდობას მკვლევარები ეჭვქვეშ აყენებენ, ვინაიდან მას არასრულად და დამახინჯებით გადაწერილად მიიჩნევენ.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება XVII-XVIII ს. პირის შესავალში მოყვანილ ერთ წინადადებას, რომელიც მშენებლობის შესახებ გარკვეულ მინიშნებას შეიცავს. ამ შესავლის სრულად თუ ნაკლულად ჩათვლის მიუხედავად, აღნიშნულ წინადადებას, „დაწერილის“ ძირითად ტექსტში მოყვანილ ზოგიერთ ცნობასთან ურთიერთშეჯერებით, შეუძლია პასუხი გასცეს კითხვას – შეიცავდა თუ არა ეს საბუთი რაიმე ცნობებს სვეტიცხოვლის აშენების შესახებ.

განსახილველი წინადადება ტექსტში ასეთი სახით არის მოყვანილი: „შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა“ [1, გვ.22]. ციტირებული ტექსტის თანახმად მელქისედეკს სვეტიცხოვლი შეუმკია „ყოვლითავე სამკაულობითა“ და ისეთი დამატებითი სათავსოების მშენებლობით, როგორიცაა ბჭე და სტოა. მათგან განსხვავებით გამოკვეთილად არ ჩანს თუ რას უნდა ნიშნავდეს „ზედადაბურვა“ და კონკრეტულად რის დაბურვას გულისხმობს ის – ბჭის, სტოას თუ საკუთრივ საყდრის. ამ გაურკვევლობის გამო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერაც არ შემუშავებულა ერთიანი შეხედულება, რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა გაზიარებული.

ტერმინ „ზედადაბურვის“ შესაძლო მნიშვნელობაზე თავიანთი აზრი გამოთქვეს ს. კაკაბაძემ (1928- 1929), ნ. ბერძენიშვილმა (1930-1931) და ლ. მუსხელიშვილმა (1942).

ს. კაკაბაძის პირველ გამოკვლევაში, რომელიც 1928 წელს გამოქვეყნდა, ავტორმა ორჭოფული პოზიცია დაიკავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ერთი მხრივ, „ზედადაბურვის“ ობიექტად ის ბჭეს მიიჩნევდა („ბჭე გარეშემო სტოითა მოუქმნია და ზედა დაბურვავს“). მეორე მხრივ კი მკვლევარი დასაშვებად თვლიდა, რომ „სტოითა მოქმნა“ და „ზედა დაბურვა“ შეიძლება სვეტიცხოვლის ტაძარს ეხებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მისი აზრით, „შეიძლება მელქისედეკის მიერ სვეტიცხოველის ტაძრის გადახურვაზე და არა თვით ტაძრის აღშენებაზე ლაპარაკი“. ამ მეორე მოსაზრებას, ს. კაკაბაძე, როგორც ეტყობა, უფრო ანიჭებდა უპირატესობას, ვინაიდან თავისი საბოლოო დასკვნა აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე ასე ჩამოყალიბდა: „მელქისედეკ კათალიკოზს XII-ის პირველ მეოთხედში მცხეთაში აუშენებია მხოლოდ „გარეთი ბჭე“ და შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სვეტიცხოვლის სახურავის შეკეთება“ [2, გვ.104].

მეორე გამოკვლევაში (1929წ.) ს. კაკაბაძე ფაქტობრივად გაკვრით შეეხო „ზედადაბურვის“ საკითხს, მან სტატიის სქოლიოში მოიყვანა ამ სიტყვის შემცველი წინადადება „დაწერილიდან“ („შევამკევ“) ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედა დაბურვითა“) და მას ასეთი მოკლე კომენტარი გაუკეთა – „საყდრის ხელმეორედ აშენებაზე და გუმბათის დადგმაზე აქ ლაპარაკი არ არის“ [3, გვ.114]. ამით მკვლევარმა ფაქტობრივად გაიმეორა პირველ გამოკვლევაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ამ წინადადებაში „თვით ტაძრის აღშენებაზე ლაპარაკი“ არ არის. ამავე დროს, როგორც ეტყობა, მან ძალაში დატოვა პირვანდელი ვარაუდი, რომ მელქისედეკმა მხოლოდ „გარეთი ბჭე“ აღაშენა და „შესაძლებელია მასვე ეკუთვნოდეს სვეტი-ცხოვლის სახურავის შეკეთება“ [2, გვ.104].

ს. კაკაბაძისაგან განსხვავებით, ნ. ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ „დაწერილის“ ციტირებულ წინადადებაში ჩამოთვლილი მშენებლობები უშუალოდ ტაძარს ეხებოდა. ამ მოსაზრებას ის ს. კაკაბაძის მისამართით გამოთქმულ შენიშვნაში ასე აყალიბებს: „ვერ გაგვიგია, რად არის მკვლევარისათვის საეჭვო, რომ როგორც „სტოითა მოქმნა“, ისე „ზედა დაბურვა“ სწორედ სვეტი-ცხოვლის შეეხება და არა „გარეთი ბჭეს““. ვინაიდან მისი აზრით ტექსტიდან მხოლოდ ასე ჩანს და მისი გაგება სხვაგვარად არ შეიძლება. ის მელქისედეკს აკუთვნებს: 1. სვეტიცხოვლის დაბურვას (და არა „სახურავის შეკეთებას“) და 2. მისი სტოითა მოქმნას და „გარეთი ბჭის“ აგებას [4, გვ.255]. ამავე დროს ნ. ბერძენიშვილმაც ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ „დაწერილში“ არაფერია ნათქვამი სვეტიცხოველის აშენების შესახებ. ეს მკვლევარის აზრით, შეიძლება იმით იყოს განპირობებული, რომ ტექსტის ის ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ტაძრის შენებაზე ლაპარაკი, XIIს. პირს აკლია, ხოლო XVII-XVIIIს. პირში გადამნერის უგულისყურობით ეს ცნობა გამოტოვებული უნდა იყოს. ამის გამო კი ამ პირს მისი სიტყვებით „შეცდომა-დამახინჯების გზით კვლავ ახალი ნაბიჯები წარუდგამს წინ“ [4, 250-251].

კონკრეტულად ნ. ბერძენიშვილი ნაკლულევანად მიიჩნევს ადგილს: „მას უამსა ოდეს ულირსი ესე ღირს ვიქმენ საჭის პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა“ და ვარაუდობს რომ გამოთქმა „შევამკევ“-ის წინ გამოტოვებული უნდა ყოფილიყო სიტყვა ან მთელი სტრიქონი, სადაც მოყვანილი იყო ცნობა ტაძრის „აშენების“, „მეორედ აშენების“ თუ „ახლად განშენებისა და განვირცობის შესახებ“. აქვე მკვლევარი ასევე ვარაუდის ფარგლებში არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ „შევამკევ“-ის ნაცვლად დედანში ენერა „აღვაშენე“ ან „???აღვაშენე“ თუ სხვა ამის შესატყვისი სიტყვები, მაგრამ გადამწერმა უგულისყურობით მათ ადგილზე ქვემო სტრიქონის „შევამკევ“ დაწერა [4, გვ.278-279].

ლ. მუსხელიშვილი სავსებით იზიარებდა ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ „დაწერილის“ XVII-XVIIIს. პირში გამოტოვებული უნდა იყოს ცნობა მელქისედეკის მიერ სვეტიცხოვლის აშენების შესახებ [5, გვ.139]. მისი ვარაუდით, საბუთის დედანში ციტირებული წინადადების წინა წინადადებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ჩართული სიტყვები „ვიწყე შენებად“, რის შედეგადაც ამ წინადადებას ასეთ სახე უნდა მიეღო: „მას უამსა, ოდეს ულირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა, [ვიწყე შენებად] სალხინებლად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა“. აღდგენილი ტექსტი ლ. მუსხელიშვილის სიტყვებით „ააზრი-ანებს მის უშუალოდ მომდევნო წინადაებასაც, რომელიც ახლა ამ „[ვიწყე შენებად]“-ის კონკრეტიზაციად და განმარტებად გვევლინება: სახელდობრ, მელქისედეკი გვიხსნის, თუ რაში გამოიხატა მიერ წარმოებული მშენებლობა“. ეს ყოფილა: „1. დეკორატიული მორთვა ტაძრის ფასადებისა, 2. გარეთი ბჭის აშენება, 3. ტაძრის მოქმნა სტოითა და 4. მისი ზედადაბურვა“. ამასთან ერთად არ არის გამორიცხული რომ ციტირებულ ტექსტს შეიძლება აკლდეს „გუმბათით გადახურვა ახალი შენობისა“, თუ აღნიშნულ პროცესს მელქისედეკი „ზედადაბურვაში“, ლ. მუსხელიშვილის მიხედვით „ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვანი გამოთქმის ქვეშ არ გულისხმობს“ [5, გვ. 141].

მელქისედეკ კათალიკოსის „დაწერილის“ ბოლო გამოცემებში, რომელიც რუსულ ენაზე 1982 წელს საურმაგ კაკაბაძემ და 1986 წელს ქართულ ენაზე თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ და ნ. შოშიაშვილმა განახორციელეს, თუმცა „ზედადაბურვის“ შესახებ რაიმე განმარტება არ არის მოყვანილი, მაგრამ მის რაობაზე გარკვეული მინიშნება ორივე გამოცემაში გვხვდება. კერძოდ, საურმაგ კაკაბაძე, რომ ამ სიტყვას ტაძარს უკავშირებს, ეს გარკვევით ჩანს მის მიერ რუსული თარგმანის ტექსტში შეტანილი დამატებიდან: „ზედადაბურვას“ შესატყვის „პერეკრის“-ს ის უმატებს „საყდრის“ რუსულ შესატყვის „xram“-ს, ასე რომ სიტყვები „პერეკრის (xrama)“ ნათლად გამოხატავს „ზედადაბურვის“ უშუალო მიმართებას ტაძართან [6, გვ. 16]. რაც შეეხება ქართულ გამოცემას, აქ ტერმინთა და საგანთა საძიებელში მელქისედეკის „დაწერილიდან“ ჩვენთვის სანტერესო ტერმინი გატანილია შემდეგი დამატებით – „ზედადაბურვა ეკლესიისა“ [1, გვ. 225], რაც არავითარ კომენტარს არ მოითხოვს.

მელქისედეკის „დაწერილის“ შესახებ გამოქვეყნებული სამუშაოების მიმოხილვიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა ავტორი „ზედადაბურვას“ ერთხმად უშუალოდ სვეტიცხოველს უკავშირებს. მიუხედავად ამისა, მათ დასაბუთებებში შემჩნეული უზუსტობები, ამ ტერმინის შემცველი წინადადების განსხვავებულად წაკითხვის შესაძლებლობა და ზოგიერთი დამატებითი მონაცემები, საფუძველს გვაძლევს ეჭვი შევიტანოთ საყოველთაოდ აღიარებული კონცეფციის მართებულობაში და მის ნაცვლად ჩვენებული ხედვა წამოვაყენოთ.

„ზედადაბურვის“ შემცველი წინადადების სწორად წაკითხვამ ჩვენი აზრით, უნდა გამორიცხოს მისი უშუალოდ ტაძრის მშენებლობასთან კავშირი. ამ წინადაებაში მოხსენებული „გარეთი ბჭის“ აგება და „გარშემო სტოითა მოქმნა“ თუმცა სამშენებლო ღონისძიებას განეკუთვნება, მაგრამ ისინი, როგორც დამხმარე სათავსოების და არა უშუალოდ ტაძრის მშენებლობა, მელქისედეკს შემკობის რანგში აყავს. ამიტომაც, „ზედადაბურვის“ გაიგივება სვეტიცხოვლის სახურავის შეკეთებასთან (ს. კაკაბაძე) თუ ახალაშენებული ტაძრის გადახურვასთან (ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი და სხვ.) თავისთავად უნდა გამოირიცხოს.

ამასთან ერთად გასათვალისწინებელია „ზედადაბურვის“ კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელიც ამ სიტყვის წინადადების ბოლოში მოქცევას სავსებით ამართლებს. იმ შემთხვევაში, თუ „ზედადაბურვას“ წინადადებაში მის წინ მოხსენებული ერთ-ერთი სამშენებლო ობიექტის გადახურვად ვიგულისხმებთ, მაშინ ისიც შემკობის ღონისძიებად ჩაითვლება და მისი ბოლოში დასახელება სავსებით ბუნებრივი იქნება.

ს. კაკაბაძის ერთ-ერთი ვარაუდით (1928 წ.) „ზედადაბურვა“ „გარეთი ბჭის“ გადახურვას უნდა აღნიშნავდეს, რაც საეჭვო ჩანს ორი მიზეზის გამო: ა) „გარეთი ბჭის“ სახურავის ფართი იმდენად მნიშვნელოვანი არ არის (ამის შესახებ იხ. – [7, გვ. 6-7]), რომ მის გადახურვაზე მელქისედეკს ყურადღება გაემახვილებინა, და ბ) ასეც რომ ყოფილიყო, მაშინ წინადადებაში გადამწერს „ზედადაბურვა“ „გარეთი ბჭის“ შემდეგ უნდა გადაეტანა.

„გარეთი ბჭის“ ნაცვლად „ზედადაბურვის“ სტოასთან დაკავშირებისას ყოველგვარი დაბრკოლება იხსნება და ტექსტი უკვე ცვლილებას არ მოითხოვს. სვეტიცხოვლის პერიმეტრის „გარეშემო“ მოქმნილი სტოას სახურავი „გარეთი ბჭის“ სახურავზე გაცილებით დიდი ფართისაა და სწორედ მისი გადახურვა უნდა ყოფილიყო საგანგებო აღნიშვნის ღირსი. „ზედადაბურვის“ სტოასთან ურთიერთკავშირის მართებულობა წინადადების წყობიდანაც ჩანს, სადაც ასეთ ურთიერთმიმართებაზე დამატებით „და“ კავშირიც მიუთითებს („მოქმნითა და ზედადაბურვითა“).

„დაწერილში“ „ზედადაბურვა“ რომ სტოას გადახურვას გულისხმობს, ეს კიდევ უფრო დამაჯერებლად შეიძლება წარმოვადგინოთ საბუთის ტექსტის სხვა მონაცემებითაც. ამ მონაცემებში იგულისხმება ცნობები ტაძრის შიგთავსის მოწყობისა და მოკაზმვის სამუშაოების შესახებ, რომლე-

ბიც ტაძრის დაბურვის ანუ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ნაგებობის შავად დამთავრების შემდგომ სრულდება. ამ სამუშაოების ეტაპობრივი მომდინარეობა და აუცილებელი მსვლელობა ნათლად ჩანს სხვა მთელ რიგ წერილობით საბუთებში და სხვადასხვა ჩანანერებში.

აღნიშნულ წყაროებში მოწყობა-მოკაზმვითი სამუშაოების საწყის ეტაპად სისტემატურად მოიხსენება ტაძრის შიგა კედლების მოლესვა და მოხატვა. 1123/1124წწ. ანდერძში დავით აღმაშენებელი მდვიმის ახალაგებულ ეკლესის შესახებ ბრძანებს, რათა ის „მოლესონ, მოხატონ“ და შემდგომ „აკურთხონ“ [1, გვ.55]. სვეტიცხოველისადმი გაცემულ 1687 წლის „დაწერილში“ კათალიკოსი ნიკოლოზი აცხადებს „ქალაქს საყდარი ლორფინით გარდავსჭედე და შიგნით გავლესე და მოვახატვინე“ [8, გვ.589]. ლაპეჭინის ოთხთავის (XIIIს.) მინანერის თანახმად ხელმეორედ აგებული ეკლესიაში ჯერ კედლები მოულესავთ, შემდეგ კანკელი დაუდგამთ და ბოლოს მთლიანად მოუხატავთ: „სრულ იქნა ეკლესია და მოვგლისე შიგან და დავდევ კანკელნი ქვისანი... და მოვახატვინე სრულიად [9, გვ.78].

აღნიშნული წყაროებისაგან განსხვავებით მელქისედეკის „დაწერილში“ არც კედლების მოლესვა და არც მოხატვა არ არის მოხსენიებული. თუმცა ამავე დროს დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მელქისედეკის მოღვაწეობის პერიოდში სვეტიცხოველის კედლები მოხატული იყო (ამ მოხატულობის ნაკვალევი ქართველმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ XXს. 60-იან წლებში გამოავლინეს – იხ. [10, გვ.3]).

Dükkancı	30	Kezâ	Serkis Artin
Tacir	26	Kezâ	Ohannes Karabet
Kezâ	25	Kezâ	Abraham Atam

Bakircı	22	Kezâ	Yabican Bedros?
Tacir	36	Kezâ	Vartan Agob
Kezâ	25	Kezâ	Sahak Ohannes
Kezâ	22	Kezâ	Gabriel Arakil
Kezâ	22	Kezâ	Ohannes Yabican?
Kezâ	25	Kezâ	Bedros Bogos
Kezâ	28	Kezâ	Vahan Bogos
Kezâ	?	Kezâ	Bedros Karabed
Kezâ	40	Kezâ	Agop Bedros
Sabun Taciri	40	Kezâ	Asador Manok

დავით დვალიშვილი  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## რაჭის ეტიმოლოგიისათვის

რაჭა, საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე, შრომისმოყვარე ხალხით უამრავ ძველ წესა და ტრადიციას ინახავს და ამდენად ეს მხარე ცოცხალ მუზეუმად წარმოგვიდგება, სადაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ ხალხის ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიულად რაჭა საკმაოდ კარგადაა აღწერილი მრავალი მკლევარის მიერ, თავად სახელის ეტიმოლოგია ჯერჯერობით დაუდგენელია და მასზე, მხოლოდ რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

ვახუშტი ბატონიშვილი ნაშრომში „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“ წერს: „ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ: იხილე რა ჭა ადგილი ესე“. ეს ხალხური გადმოცემა რაჭაში დღემდე პოპულარულია სხვადასხვა ფორმით და ვახუშტის გადმოცემა უფრო იმ მხრივ იმსახურებს ყურადღებას, რომ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ თანამედროვე ლეგენდის დინამიკას საუკუნეების განმავლობაში.

აკაკი შანიძის თქმით ადგილი აქვს სვანეთის გავლენას რატიში-რატშა-რაჭა, რაც სარატიანოს ნიშნავს.

არსებობს მოსაზრება, რომ რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლიევის მოხსენიებული რაჭა ნიკორწმინდა და ამ აზრით შესაძლებელია რაჭა ნიკორწმინდის ძველი სახელი იყოს.

ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებით რაჭა თავდაპირველად ციხეს (რეზიდენცია) ენოდებოდა და შემდეგ მთელი მხარის სახელად განზოგადდა.

გიორგი ახვლედიანის მოსაზრებით რაჭა სვანეთის გავლენის შედეგია და „რაჭუ“, „რაჭ“ (სვანუ-რად კურდლელი) სიტყვიდან მოდის.

ლ. ფრუიძის აზრით ეს უძველესი ტერმინია და წარმომდგარია სატომო სახელიდან „ჭანი“.

პროფ. თეიმურაზ მიბჩუანის აზრით სვანური „ლაჭა“ ქართულ მეტყველებაში დამკვიდრდა რაჭის ფორმით.

თ. ბერაძე არ გამორიცხავს, რომ რაჭა ნიკორწმინდის ძველი სახელი შეიძლება იყოს.

რაჭა პირველად წერილობითად მოხსენიებულია მე-11 საუკუნის ძეგლზე. კაცხის ჯვრის წარწერა „რატი რაჭის ერისთავი ძითურთ“ სახელის ჩვენამდე მოღწეული უძველესი მოხსენიებაა.

ცალკე უნდა ითქვას რაჭის დაკავშირებაზე „ჭანთან“. ლევან ფრუიძე და თეიმურაზ მიბჩუანი იზიარებენ ამ აზრს და ფიქრობენ სახელის ძირი არის ჭანი, რომელიც სვანური „ლა“ ან „სა“ პრეფიქსით ნანარმოები სახელი უნდა იყოს და ნიშნავს საჭანოს (მაგ: საზანო იმერეთში და სხვ). თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ისმის კითხვა – არის კი ზანური ტოპინიმიკა რაჭაში? ქვემო რაჭაში მაინც, თუკი აქ ჭანთა განსახლება იმდენად კომპაქტური და ძლიერი იყო, რომ მხარეს მათი სახელი შეერქვა, ხომ უნდა იყოს მრავალი ტერმინი შემორჩენილი, რომელიც ზანური ენით აიხსნება? ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ არაერთი სახელი, რომელიც თანაბრად შეიძლება აიხსნას სხვადასხვა ქართველურ ენაზე, მაგრამ ზანიზმები რაჭაში არ გვხვდება.

ვფიქრობთ, აქ უნდა გვქონდეს საერთოქართველური ძირის სიტყვა, რომელიც ყველა შემთხვევაში განთიად უკავშირდება –

სვანური – **რგვი** (-იშ-, -ალ ბზ., -აშ-, -არ ბქ.) -- ნათელი, გათენებული, განთიადი, სინათლე, სინათლიანი, განათებული. (სვანური ლექსიკონი ვარლამ თოფურია, მაქსიმე ქალდანი თბილისი 2000)

ზანური – **როჟო** – ნითური, გიუმაჟი, ხელი. **რიჟა** – თვალებბრიალა, თვალანთებული, გაცეცელებული – იგივე **რიჟალი**.

**რაჭალა, რაჭალი** – გახელება, წითური, აქეთ-იქეთ სირბილი. („მეგრული ლექსიკონი“, ალიო ქობალია, თბ. 2010 წ.)

ქართული – **რიუ-რაჟი** – გაცისკრება, მზის ამოსვლა.

ეს ყველა სიტყვა პროცესზე მიუთითებს- მზის ამოსვლას, განათებას, გაწითლებას, გაცისკროვნებას.

განთიადის, მზის ამოსვლის, განათების აღმნიშვნელი საერთოქართველური **რგვი** ძირი, მანარ-მოებელი „ა“ სუფიქსის დართვისას (კვაის-ა, ხელედულ-ა, ლასკადურ-ა) **რგვა** ფორმას მიიღებდა (**რამა, რემა, რიმა, რომა**) და ჩამოყალიბდებოდა სიბილანტ „ჟა“ „ჩა“ „ჭა“ „ჭა“ -დ.

ის რომ, ზემოთქმული სიბილანტები განათებას უკავშირდება, კარგად ჩანს სიტყვებში „ჭა-ლი“ და „ჭითა – ნითელი“ და ასევე სიტყვაში „ჩენა“-ჩანს, ნათელი, განათებული.

რაჭა დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი კიდეა. სწორედ, რაჭის მხრიდან ამოდის მზე და პირველად რაჭის მთებს ადგება. განსაკუთრებით, ზემო რაჭა და კუდაროს მხარე. მზის კულტის არსებობის პირობებში, ამას შეუძლებელია არ ჰქონოდა დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოს მითო-რიტუალური წრისათვის. მაშასადამე, რაჭა უნდა იყოს მზის ამოსვლის მხარე, მზის მხარე, მხარე საიდანაც მზე ამოდის. კონკრეტული მნიშვნელობით კი შესაძლოა, აღმოსავლეთსაც ნიშნავდა.

უნდა ითქვას, რაჭის სახელის დაკავშირება მზესთან, კიდევ უფრო მეტ დამაჯერებლობას შეიძენს იმ შემთხვევაში, თუკი გამოწვლილვით შევისწავლით მზის თაყვანისცემასთან დაკავშირებულ ოდინდელი პრაქტიკის ონომასტიკურ რელიქტს, ხალხურ დღესასწაულებს განსაკუთრებით ბარბარობას და მჭედლობის კულტს.

DAVIT DVALISHVILI

Kutaisi State Historical Museum

## FOR RACHA ETYMOLOGY

Despite the fact that ethnographical Racha is well written by many researchers, the etymology of their own name is not yet clear and there are only a few ideas on it. I think here should have the word of the common Georgian root Ra, which in every case is related to the sun rise.

Therefore, Racha should be the sunrise side, the sun's side, the side from which the sun rises.

ოთარ გოგოლიშვილი  
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი, პროფესორი

## ფრანგი მოგზაურები აჭარის შესახებ

ცნობებს საქართველოში ფრანგთა ჩამოსვლაზე ვხვდებით თამარ მეფის ეპოქიდან, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში, ტრაპიზონის კეისართან ალექსი კომნენოსთან მიმართვებში, აგრეთვე თამარის შექება-ხოტბასთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

მომდევნო ცნობა ეკუთვნის ჟამთააღმწერელს, როცა იგი ეხება ასევე ტრაპიზონის საკეისროს, კერძოდ თემურ ლენგის მიერ კეისრის შვილის შეპყრობას. მის გამოსახსნელად ჩამოსულა საფრანგეთის ელჩი, რომელსაც გაუთავისუფლებია კეისრის შვილი. თემურ ლენგს მისთვის უბოძებია სამეფო სამოსელი და სხვა საჩუქრები და გაუსტუმრებია. ჩვენთვის არაა ცნობილი ამ ელჩის ვინაობა<sup>2</sup>.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით ფრანგები ესწრებოდნენ ქეთევან დედოფლის წამებას, რომელთაც „აიღეს წმინდანი ნაწილი წმინდისა ქეთევანისნი ფრანგთა და წარიღეს თვისთა თანა ნაწილად, ხოლო ხელი და მკლავი ბატონს თეიმურაზს გამოუგზავნეს“<sup>3</sup>.

1614 წელს საქართველოს ეწვია იეზუიტების ორდენის წარმომადგენელი ლუი გრანჟე (1552-1615). მისი ანგარიშები გამოქვეყნდა 1915 წ. თბილისში. აქ ნათქვამია: „ჩვენ გაგვაფრთხილეს, რომ გაზაფხულის დასაწყისში, ოზენ-ფაშასთან ერთად გავემგზავრებოდით ტრაპეზუნტში, ხოლო სემდეგ სამეგრელოში ფაშას სულთანისაგან დავალებული ჰქონდა სამეგრელოს და გურიის მთავრებთან მოლაპარაკება“.

მისიონერი პირველად კონსტანტინოპოლში ჩავიდა, საიდანაც გაემგზავრა სამეგრელოში. მას თან ახლდა დამხმარე მორჩილი ძმა ეტიენ ვიო და ახალგაზრდა სომეხი თარჯიმანი.

მოგზაურები ერთი თვე ტრაპიზონში შეჩერდნენ, ხოლო აქედან რიზეში ჩავიდნენ: „სოფელი რიზე ჩვენი ფაშას სამშობლოა (ე.ი. ფაშა ლაზია, რ.ს). აქ ცხოვრობს მისი მთელი ოჯახი. ეს სოფელი, სხვა ბევრ სოფელთან ერთად შედის ლაზების ქვეყანაში. სოფლის ტრაპეზუნტის მხარეს ბერძნულად ლაპარაკობენ, ხოლო საქართველოს მხარეს მეგრულად“ (ლაზურად, რ.ს). ლუი გრანჟე ერთ-ერთი პირველთაგანი კარგად აღწერს გამუსლიმანების პროცესს და ამ საქმეში ეკონომიკურ სანქციებს, მძიმე გადასახადებს მათზე, ვინც მაჰმადიანობაზე უარს ამბობდა.

გრანჟემ მოითხოვა გემიდან ნაპირზე გადასვლა, მაგრამ ამის უფლება ფაშამ არ მისცა იმის შიშით, რომ ის მოსახლეობაში ანტიმუსლიმანურ მუშაობას გააჩადებდა. ასე გაგრძელდა აგვისტო-დან ნოემბრამდე. 7 ნოემბერს საშინელი ქარიშხალი ამოვარდა და ათამდე სავაჭრო გალერა ნაპირებზე მიამსხვრია, მრავალი ადამიანი დაიღუპა. გრანჟეს გემი, რომელზედაც ფაშა იყო, მეჩეთზე შეჯდა. ამით ისარგებლა მოგზაურმა, ნაპირზე გადავიდა და ქრისტიანული ქადაგება გააჩადა.

ამ დროს ფორმალურად აჭარაც ოსმალების ხელში იყო, მაგრამ მათი წეს-წყობილება ჯერ კიდევ არ იყო დამყარებული, ალბათ ამიტომ ამბობს გრანჟე, რომ „ბათუმი ქართული ნავსადგურიან“.  
სწორედ ა ქალაქში ფაშას დესპანმა და გურიის მთავარმა 1614 წლის 13 დეკემბერს ხელი მოაწერეს ზავს, რომლითაც გურიელი ხარკის გადახდას კისრულობდა. ამის შემდეგ გრანჟეს უფლება მიეცა სამეგრელოსაკენ განეგრძო გზა

---

გონიოდან ლ. გრანჟე გურიაში გადასულა და სოფელ ბაილეთში გურიელის რეზიდენციაში მთავარს\* სწვევია. აქვე შეხვდა ლაზეთის არქიეპისკოპოსს. ამ ფაქტს ე. თაყაიშვილი მაღალ ისტორიულ შეფასებას აძლევს და ამბობს: „ლაზეთის ეპისკოპოსმა ადგილსამყოფელად ბათუმი,

ქობულეთი ან აჭარის სხვა ადგილი კი არ ისურვა, არამედ უფრო დაცული გურია აირჩია“. გრანუ სამეგრელოსაკენ გაემგზავრა, სადაც შეხვდა მეფე თეიმურაზ პირველს.

გურიიდან ლუ გრანუ სამეგრელოში გადავიდა, აქ ქოლერით გარდაიცვალა მისი მორჩილი ეტიენ ვიო. ქოლერით დასწულდა გრანუც, მან სამკურნალოდ კონსტანტინეპოლს მიაშურა, მაგრამ ჩასვლისთანავე, 1615 წლის 22 მაისს გარდაიცვალა<sup>4</sup>.

1847 წლის 31 აგვისტოს თბილისში ჩამოვიდა მეცნიერული ქართველოლოგის ფუძემდებელი და ქართველთა დიდი მეგობარი მარი ბროსე (1802-1880). თითქმის 30 წელი ეცნობოდა ისტორიკოსი საქართველოს სხვადასხვა მხარეს, მაგრამ აჭარაში შემოსვლა ვერ შეძლო. ამის მიზეზი ის იყო, რომ მ. ბროსეს მოღვაწეობა მთლიანად დაემთხვა ოსმალთა ბატონობას, როცა უცხოელთათვის აჭარაში შემოსვლა თითქმის შეუძლებელი იყო.

ამ მდგომარეობამ ისტორიკოსებს საპაპი მისცა ეთქვათ, რომ მ. ბროსე აჭარის თემით არ დაინტერესებულა.

ეს არაა სწორი. მისი ჩამოუსვლელობა სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ საქართველოს, ძველი კოლხეთის და ლაზეთის შესწავლა არ იყო დიდი მეცნიერის სამუშაო გეგმებში. 1856 წლის 16 მარტს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე ბროსემ წამოაყენა იბერიის, მესხეთის, კოლხეთის და ლაზეთის გეოგრაფია შეესწავლათ უძველესი დროიდან სტრაბონისა და არიანეს დრომდე: საქართველოს ურთიერთობა ევროპასთან მონღოლთა შემოსევიდან (XIII ს) შავ ზღვაზე გამოჩენამდე<sup>5</sup>.

ე.წ. „სამუსლიმანო საქართველო“ საგანგებოდ აისახა მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაში“. ავტორი არ დალატობს ძველ მნიგნობარ-ისტორიკოსების ტრადიციას და ანდრია პირველწოდებულის ქადაგებიდან საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე აჭარას მიუჩინეს. ავტორმა ცალკე თავად გამოყო „სამცხე-საათაბაგოს ისტორია“, სადაც აჭარას ასევე თავისი ადგილი აქვს.

მთავარი მაინც ისაა, რომ მ. ბროსეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან, ვინც აჭარის თემაზე მუშაობდა და ამ მხარეში მოგზაურობდა (დ. ბაქრაძე, გ. ყაზბეგი, რ. ერისთავი და სხვა)<sup>7</sup>.

მამია II გურიელი (?-1628); \*\*\* ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ჩოფის (ლაზეთის) ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრიდან (სატყეპელადან) გადმოყვანილი ბერი გერმანე.

---

შეიძლება ყველამ არც კი იცოდეს, რომ ჯერ კიდევ 1849 წელს მ. ბროსემ დიმიტრი მელვინეთუხუცესს შეუდგინა პროგრამა და არქეოლოგიური კვლევის ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობდა დ. ბაქრაძე თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს და რომელმაც ასახვა პოვა ავტორის ფუნდამეტურ ნაშრომში<sup>8</sup>. ამიტომ გასაკვირი არაა, ნაშრომის შესავალში გაკეთებული ავტორისეული მიძღვნა-მინანერი. „ამ ნაშრომს ვუძღვნი საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორდინალურ აკადემიკოსს მარი ივანეს ძე ბროსეს, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართული ლიტერატურის უცნობი და ნაკლებად ცნობილი წყაროების შესწავლას“. თვით დ. ბაქრაძის წიგნის ტექსტში მრავალგზისაა მითითებული ბროსეს „საქართველოს ისტორია“, რაც ამ ორი მეცნიერის მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს.

გიორგი ყაზბეგი სამუსლიმანო საქართველოში ფარულად ჩამოვიდა (1874 წ), როგორც გრიგოლ გურიელის მსახური, ამიტომ ის თავისი მოგზაურობის დამგეგმავებზე, აგრეთვე მოგზაურობის მთავარ შედეგებზე არ საუბრობდა. ამას, როგორც ჩანს, არც საიმპერატორო აკადემიის წევრთა შორისაც ახმაურებდა, მაგრამ მათთან კერძოდ მარი ბროსესთან კავშირი ჰქონდა დიმიტრი ბაქრაძის მეშვეობით. დ. ბაქრაძეს გიორგი ყაზბეგმა გადასცა 6 უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი, რომლებიც დიდხანს სამეცნიერო წრეებისათვის უცნობი იყო. ერთი მათგანი „ტბეთის სულთა მატიანე“ 1979 წ. გამოაქვეყნა თინათინ ენუქიძემ, ხოლო დანარჩენი 1982 წელს რუსულ ენაზე საურმაგ კაკა-

ბაძემ, თუმცა ამ დოკუმენტების მომპოვებლის ვინაობა მეცნიერთათვის ნაკლებად ცნობილი იყო. ამ ნაკლის შევსებას მიეძღვნა ჩვენი წიგნი.<sup>9</sup>

ფრანგი მოგზაური ედუარდ ლიოზენი ორჯერ, 1904 წლის აგვისტოში და 1905 წლის ნოემბერში ეწვია აჭარას. თავისი შთაბეჭდილებები მან თბილისში გამოაქვეყნა<sup>10</sup>. მოგზაურმა მოინახულა ბათუმი, კახაბერი, სარფი და ლიმანი, გაეცნო აჭარელთა და აფხაზთა ცხოვრებას, სოფლის მეურნეობას (სიმინდი), მეცხოველეობას, ჭორობზე ნავით მოგზაურობას, ჭოროხის წყალმარჩებზე (ცხენებით გადასვლას. მოგზაურმა დაათვალიერა აგრეთვე გონიოს ციხე და ჩაიწერა, რომ ციხის დასავლეთ კოშკთან იყო წარწერიანი ლითონის დაფა, რომელიც 1877-78 წე. ომის დროს ოსმალებმა გაიტაცეს. სხვების მსგავსად ე.ლიოზენიც მოექცა არასწორი ინფორმაციის გავლენის ქვეშ და თქვა, რომ ლაზები ციხის აშენებას სულტან სულეიმანს მიაწერენ, სინამდვილეში გენუელების აშენებული უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ორივე მოსაზრება მცდარია და არაერთგზის შესწორდა.

ამის მიუხედავად ე. ლიოზენმა ბევრი საინტერესო მოვლენა აღწერა, რაც დღესაც არ კარგავდა მნიშვნელობას. იგი ამბობს, რომ 1904 წ. სარფსა და ლიმანში რუსებს ყაზარმა ჰქონდა, აღწერს ამ ადგილებში აგებულ ლაზურ სახლებს, პატარა ბაზარს, საყავეებს. ხანდაზმულებს მისთვოს უთქვამთ, რომ სარფს ადრე აჭყვა ერქვა, სარფი კი ოსმალებმა შეარქვეს, რაც უსუფთაო ადგილს უნდა ნიშნავდეს.

სარფის თავში ე. ლიოზენმა ნახა ეკლესის ნანგრევი, რომელიც ასევე გენუელების აგებული ეგონა, მაგრამ წააწყდა ქვას, რომელზეც აღმოაჩინა წარწერა „იქსო“ რითაც ივარაუდა, რომ ეკლესია კოლონიზატორი ბერძნების აგებული უნდა იყოს.<sup>\*</sup>

სოფლებს დიდ ზიანს აყენებდნენ მახლობელ ტყეებში მობინადრე დათვები და ტახები, რის გამოც დიდი ზარი ჩამოუკიდიათ, რომელიც მცირე ნიავის დროსაც ხმას გამოსცემდა და ნადირს აფრთხობდა. ე.ლიოზენი აღწერს ფორთოხლის ბალებს, მაღლარ ყურძენს (იზაბელას).

ლაზებში განსაკუთრებით ფართოდ იყო განვითარებული მეთევზეობა, ვაჭრობა, ნაოსნობა. მათ ბათუმში გასაყიდად ჩამოჰქონდათ: ბრინჯი, ფორთოხალი, ვაშლი, თევზი. ლაზების დახასიათებისას ე. ლიოზენი აკრიტიკებს ოსმან ბეის (კალფოლლუ?), რომელიც აუგად იხსენებს ამ უძველეს ქართულ ტომს. ტავდ ლიოზენი კი ამბობს, რომ ლაზებს სკოლები არ აქვთ, მაგრამ მშვენივრად აზროვნებენ. ლაზი ქალები უცხოელებს ერიდებიან, ბევრს შრომობენ, იცვამენ სუფთად და მოხდენილადო. ლაზურ ოჯახებში ნაკლებად შეგხვდებათ გაჭირვებული, რადგანაც ისინი ხარჯვაში თავშეკავებულნი არიან.

ე. ლიოზენი მიუთითებს ლაზეთის საზღვრის მდებარეობას (სუ. სარფი), განსხვავებით სხვა ავტორებისგან, რომლებიც საზღვრად ჭოროხს მიიჩნევდნენ.

აჭარლებზე მოგზაური ამბობს, რომ ისინი სტუმართმოყვარე და შრომისმოყვარენი არიან, ისინი ლაპარაკობენ სუფთა ქართულ ენაზე, ახლახან ხულოში, ქედასა და მანახელაში სკოლებიც გახსნეს, სადაც რუსულად ასწავლიდნენ. ეს კი მოგზაურს მიულებლად მიაჩინა და აუცილებლად თვლის ამ მხარეში ქართული წერა-კითხვიდა და წიგნების გავრცელებას. უურნალისტ მ. მერჯანოვთან საუბრისას ცნობულმა ფრანგმა მწერალმა უორუ სიმენონმა (1903-1904) განაცხადა, რომ იგი პირველად ბათუმში ჩამოვიდა 1923 წ. როგორც მეზღვაური. ახალგაზრდა შემოქმედზე მისთვის უცნობ ქალაქს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. იმ დროს ზღვაზე მრავალი უცხოური გემი იდგა. ამიტომ პორტში და საკუთრივ ქალაქში განსაკუთრებული მოძრაობა იგრძნობოდა. მეზღვაურებსა და ადგილობრივ მცხოვრებთ ვაჭრობა გაეჩაღებით. ნახა ადგილობრივთა ცეკვები. დამახასიათებელი იყო ხალხის გარეგანოი სიჭრელე და სხვადასხვა ენაზე საუბარი. აქ ყოფნისას სახედრები და აქლემებიც ვნახეო. ამბობს უ. სიმენონი.

მწერალი მეორედ 1967 წელსაც გვესტურმა, ამჯერად მეუღლესთან შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად<sup>11</sup>.

ფრანგი ხალხის სახელოვანი შვილი მწერალი და სახელოვანი მოღვაწე ანრი ბარბიუსი წერდა;

„ამ ადგილებში ბოლო დრომდე სამი ეკლესია იდგა. მათგან ორი ბლინდაჟების გაყვანის დროს მესაზღვრეებმა დაანგრიეს. მესამე, ოკანდელეს ეკლესია ახლაც დგას. შესაძლოა ლიოზენმაც ეს საყდარი ნახა.“

**ბარბიუსი (1878-193).** აჭარაში 1927 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. როგორც ჩანს, ოქტომბრის რევოლუციის 10 წლისთავთან დაკავშირებით იგი მოსკოვში მიიწვიეს აქედან კი კავკასიაში ჩამოსვლა ისურვა. 7 ოქტომბერს იგი თბილისში იყო. მას თან ახლდა ალექსანდრე დიუმას (მამა) შვილიშვილი ს. დიუმა.

ანრი ბარბიუსმა საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად მოიარა მესხეთი და აჭარა, დაათვალიერა ისტორიული ადგილები, მატერიალური კულტურის ძეგლები, დეტალურად გაეცნო საქართველოს ისტორიას და იგი თანამედროვეობას შეადარა. სტუმარმა მესხეთიდან გოდერძის უღელტეხილი გადმოიარა და ხულოში გადმოვიდა, გაეცნო მაშინდელ სამზრო საავადმყოფოს (გაიხსნა 1925წ), ტაბახმელას სახერს ქარხანას, დაათვალიერა ახალი გზები და ხიდები, ქოხ-სამკითხველოები, სკოლები. აქედან იგი აჭარისწყლის ხეობით წამოვიდა ბათუმისაკენ. ნახა ახალი ხიდები შუახევსა და ქედაში(აშენდა 1924-1925წწ, რომლებიც დღესაც მოქმედებს), გაეცნო ან ჰესის მშენებლობის მიმდინარეობას<sup>12</sup>.

გაზეთ „ფუხარას“ ცნობით სტუმარი მიესალმა აჭარის ცაკის სესიის მონაწილეებს. ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია ზღვისპირა აჭარაც, ჩაის პლანტაციები და ციტრუსოვანთა ბაღები.

1929წ გამოვიდა 5 თავისაგან შედგენილი ანრი ბარბიუსის წიგნი „აი რა უყვეს საქართველოს“; იგი 1930 წ. თბილისში ქართულ ენაზეც გამოსცეს. ერთ-ერთ თავში („საღამოები“) არის ქვეთავი „ბათუმი“, რომელშიც ავტორი ბათუმს რივიერას ადარებს და ამბობს, რომ წარსულში „აჭარისტანი, თუ სინამდვილეს ვიტყვით, ერთი დიდ ქვაბი იყო სადაც ეროვნული და სარწმუნოებრივი შუღლი დუღდა“, ახლა კი ეს არის მრავალფეროვანია, ას კაცში 61 ქართველია, 14 – რუსი, 11 – სომეხი, 8 – ბერძენი, 3 – ებრაელი, რომლებიც ძმურად და ბედნიერად ცხოვრობენ.

ა. ბარბიუსის, როგორც კომუნისტის ჩანანერებში, ბუნებრივია, იგრძნობა საბჭოთა წყობილების აპოლოგია, რასაც საფრანგეთში ემიგრირებული საქართველოს მთავრობის წევრთა უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა, თუმცა მნერალს იქაც გამოუჩნდნენ მომხრეები (კოლერი, უორდენი, ლუი და სხვა). მიუხედავად ამისა, ანრი ბარბიუსის ჩანანერებს იმდროინდელუი აჭარის ცხოვრებაზე უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.<sup>13</sup>

1930 წელს საქართველოში ჩამოვიდა ფრანგი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ლუი არაგონი. (1897-1982). მან ორ წიგნად გამოაქვენა „საბჭოთა ლიტერატურები“, რომელშიც განხილულია გრ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, შ. დადიანის, ნ. ლორთქიფანიძის, ს. სანშიაშვილის, ა. აბაშელის და სხვ. შემოქმედება. მან ტარგმანა ნ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“. ლ. არაგონის რომანში „ბაზელის ზარები“, ერთ-ერთ პერსონაჟს, მშვენიერ ქროველ ქალს კატერინა სიმონიძე ქვია<sup>14</sup>, რომელშიც, ჩვენი აზრით, ბათუმში იმ დროს მცხოვრები ლამაზი ქალბატონი და ქირურგებზე არანაკლებ სახელგანთქმული საოპერაციო და მელანია სიმონიძე უნდა იგულისხმებოდეს.

სხვადასხვა დროს აჭარას სტუმრობდნენ ფრანგი ხალხის სხვა გამოჩენილი შვილები: მარსელ კაშენი (1869-1958), რენე ლაფონი (1899-1974), მეუღლესთან ალბერტინასთან ერთად, როლან ლერუა (1969წ), ბოტანიკოსი და ეთნოგრაფი ანდრე ოდრიუკერი (1975წ) და სხვა.<sup>15</sup>

ფრანგი ხალხის ლირსეული შვილების საქართველოში ჩამოსვლა სხვადასხვა კუთხის, მათ შორის აჭარის დეტალური გაცნობა და ობიექტური შეფასება მნიშვნელოვანი ფურცელია საქართველოს წარსულის შესწავლის, აგრეთვე ფრანგი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიაში..

**ლიტერატურა:**

1. ქართლის ცხოვრება. ტ. II. თბ. 1959, გვ. 142,146
2. იქვე, გვ. 334, 465.
3. იქვე, გვ. 402.
4. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа. Вып. 44 Тифлис, 1915, с. 41-45. ილია ტაბალუა. საქართველო ევროპის არქივებსა და ნიგნსაცავებში. ტ. 2. თბილისი. 1986. გვ. 5-56.
5. რუსდან დოდაშვილი, მარი ბროსე, თბ. 1962. გვ.116.
6. მარი ბროსე, საქართველოს ისტორია. ბათუმი. 1998. გვ.32, 99, 223-272.
7. შოთა ხანთაძე. მარი ბროსე. თბილისი. 1966. გვ. 74, 165, 166.
8. დმ. ბაკრაძე. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. С. Петербург. 1878 г. დიმიტრი ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და ჭარაში. თარგმანი არჩილ ტოტორავასი. ბათ.1987.
9. რამაზ სურმანიძე. გიორგი ყაზბეგის მოგზაურობისას ტბეთში მოპოვებული დოკუმენტები. ბათ. 2008<>
10. Известия Кавказского отдела императорского Российского географического общества (ИКОИРГО) . т. 18. Вып. 3. Тифлис. 19056 1906. С 147.
11. Газ. „Советская Аджария.“ 27 января 1971 г. Ж. „Неделя“ №2. 1973 с 13.
12. გაზ. „ფახურა“, 18 ოქტომბერი 1927 წ.
13. ანრი ბარბიუსი. აი რა უყვეს საქართველოს. თბ. 1930 წ
14. ენციკლოპედია. საქართველო. ტ.1. თბ. 1997 წ. გვ.182
15. იოსებ ბექირიშვილი. აჭარა მეგობრების თვალით. ბათ.1975. მისივე, რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ. ბათ. 1973.

OTAR GOGOLISHVILI  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum, Professor

## FRENCH TRAVELERS ABOUT ADJARA

The arrival of the French arrives in Georgia comes from the Queen Tamar, in a work of Basil overseer ,in connection with Trapizon's Caesar to Alex Kommeno, as well as the Tamar's concubine.

The next message belongs to the occasion when he also touches the cousins of the Trabzon Caterer, namely Temur Leng's capture of Caesar's son. The ambassador of France arrived to escape him and the son of Caesar was released. Temur Lang gave him a royal garment and some other gifts. We do not know the identity of this ambassador.

According to Beri Egnatashvili, the French people attended the torture of the Queen of Ketevan. They took the saint's portion of the Holy of Ketevan to the French, hand and arm was sent to Teimuraz.

ნანა ძორიძე

აჭარის ხარითონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

## ქართული საღვითი ფურზელი

ვაზის კულტურისა და მელვინეობის განვითარების ისტორია უშუალოდ დაკავშირებულია კაცობრიობის განვითარების ისტორიასთან. პირველი ადამიანი ვაზისა და მის ნაყოფს კარგად იცნობდა, რასაც ამტკიცებს ვაზის ნაშთები, ფოთლების, კლერტისა და წიპნის ნამარხი ანაბეჭდების სახით, დაახლოებით ძვ.წ. VI ათასწლეულში. თუ რამდენად პატივს სცემდნენ ძველად ვაზის კულტურას, იქიდან ჩანს, რომ ღმერთადაც კი აღიარებდნენ იმ პირს, ვინც ხალხის წამოადგენით პირველად ვაზი გააშენა და ადამიანს ვაზის კულტურა შეასწავლა. ასეთი იყო ბახუსი საბერძნეთში, ოზირისი ეგვიპტეში და სხვა.

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის წარსულზე, მიღებული პროდუქციის ღირსებებზე და კულტურული ვაზის წარმოშობის კერაზე მიგვითითებს მრავალი ისტორიული თუ არქეოლოგიური მასალა, მატერიალური კულტურის ძეგლები.

იმის საჩვენებლად, რომ მელვინეობა უძველესი დარგია. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესთან დაკავშირებულ სამეურნეო ცხოვრებას. მარანი – „ღვთის სახლი“, წარმოადგენს მთელ კომპლექსს, სადაც ღვინის წარმოების პროცესი, ყურძნის დაწურვიდან – მისი მოსახმარი ფუნქციის მინიჭებამდე მიმდინარეობს. ხშირად იგი ქართველი კაცის საკარმიდამო კომპლექტში შედიოდა. ამ პროცესთან აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს საწნახელი, სადაც მიმდინარეობს ყურძნის დაჭყლეტა-დამუშავება, ხოლო შემდგომი პროცესი – ღვინის დადუღებისა და შენახვის პრაქტიკაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თიხის ქვევრებს და ჭურებს, რომლებიც შეუცვლელი ჭურჭელი იყო ყველა ეპოქის მელვინეებისათვის.

მევენახეობა-მელვინეობის განვითარების უძველესი საფეხურის გაცნობისათვის ცნობები ჩვენს ხელთარსებული არქეოლოგიური მასალა გვაწვდის. ფაქტია, რომ მელვინეობაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა თიხის ჭურჭელს. სწორედ განათხარი მასალებით მიღებულია მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი. მათ შორისაა კოხტა და მოჭიქული, რომლებმაც ადგილი დაიდეს საქართველოს თითქმის ყველა მუზეუმში.

აჭარის ხარითონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდსაცავებში თავმოყრილია როგორც არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული სხვადასხვა სასმისები, ასევე სხვადასხვა დროს მუზეუმისათვის გადმოცემული ნივთები. ღვინის სასმისები ნაპოვნია აჭარის თითქმის მთელ ტერიტორიაზე: თასები, ფიალები, კილიკები, სკიფოსები, კანთაროსები, კრატერი, ონოხოი, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლიდა ფორმებს, სისქეს, შემადგენლობას, ფერს, რომელთა შესწავლამაც წინ წამონია ძველი კოლხეთის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების კვლევა.

მეტად საინტერესოა მევენახეობა-მელვინეობის და სასმისების არსებობასთან აჭარის შუა საუკუნეების მასალები. არქეოლოგიურმა მასალებმა გვიჩვენა, რომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში მევენახეობა-მელვინეობის დაწინაურებაზე მიუთითებს შემთხვევით აღმოჩენილი მარანთა სიმრავლე, რომლებისთვისაც შერჩეულია შედარებით გრილი ნიადაგები, რათა ღვინის ხარისხზე უარყოფითი გავლენა არ მოხვდინა. ასევე აჭარისწყლის ხეობაში მელვინეობის განვითარებასთან უნდა იყოს დაკავშირებული შუა საუკუნეების პერიოდის ისეთი ჭურჭლეულის აღმოჩენა, როგორიცაა: დოქები, ჩაფები, კოკები, სასმისები, ჯამები, ფიალები და სხვა, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი. ღვინის ამოსალები ძირითადი ჭურჭელი აქაც უმთავრესად კოპე უნდა ყოფილიყო, რომლის ერთ-ერთი მეტად საინტერესო ნიმუში ქვევრებთან ერთად აღმოჩენილი

იქნა ხელვაჩაურის რაიონის სოფ.ახალშენში (შ. მამულაძე „აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები“ 1993 წ. გვ.158).

მევენახეობა – მევენახეობასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვისას განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მუზეუმში 1912, 1963 წლებში შემოსული ძვირფასი ქვები და ვერცხლის სალტეებით გაფორმებულ კულასა და ვერცხლის კოპეზე, რადგან მუზეუმში მოხვე-დროილი ეს ჭურჭელი მრავლად არ არის შემორჩენილი.

ზოგადად ადამიანის ესთეტიკურ მოთხოვნილებებს თუ გავითვალისწინებთ, ჭურჭელი ყოველთვის გამოხატავდა მისი სამომხმარებლო და სამშვენისის დანიშნულებას. აქედან იღებს სათავეს მეთუნეობის, ფაიფურის ხელოვნების და ოქრომჭედლობის დარგები, რომელთა შემოქმედნი მუდამ ყურადღებითა და პატივით სარგებლობდნენ.

უდაოა, რომ საღვინე ჭურჭელთა შორის დიდი ადგილი ეჭირა თიხისაგან დამზადებულ სასმისებს, რომელთა მომხმარებლები დღესაც მრავლად არიან, მაგრამ ლვინის მოყვარული და დამფასებელი ადამიანი მხოლოდ თიხის ჭურჭლით როდი კმაყოფილდება, იგი ეძებდა ფორმებს მოსახმარად ვარგის აღმატებულ სასმისებს, რომელიც უფრო მრავალფეროვანს, მშვენიერს გახდიდა ლვინის მოხმარების პროცესს.

ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით სამეფო საჭურჭლეში სხვა ძვირფასეულობასთან ერთად ინახებოდა ლვინის მოსახმარი ჭურჭელი. არაერთი უცხოელი მოგზაური, რომელიც დასწრებია ქართულ სუფრას და ტრადიციებს, აღტაცებას ვერ ფარავს სუფრაზე მოტანილი ოქროვერცხლის საღვინე ჭურჭლის ღირსების ხილვით (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, „ვაზი სიცოცხლის ხე“ კრებული 2010 წ). ლვინის უფაქიზესი ბუნება, ადამიანის განწყობა და თვით ბუნებრივი პირობებიც კი (სიცხე, სიცივე) განაპირობებენ ლვინის დალევის ესთეტიკას (ელდერ ნადირაძე, ეთნოგრაფიული მიმოხილვა, გვ.45).

დასაჭაშნიკებელ ლვინოში, არომატი და ბუკეტი (სუნი) უკეთ რომ შეამჩნიონ განსაკუთრებულ, თავშევინროებულ უფერო ჭიქებს ხმარობენ. ასეთ ჭიქაში ცოტაოდენ ლვინის ჩასხამენ და ფრთხილად შეანჯღრევენ. ჭიქის გვერდების შესველების გამო ლვინის აორთქლების ზედაპირი გაიზრდება და ამით არომატს ან ბუკეტს მკაფიოდ შეიგრძნობს, რაც უფრო გრილია სარდაფი, მით უფრო ნელა მიმდინარეობს ბუკეტის წარმოქმნის პროცესი. ბუკეტი ზოგ ლვინოს ძლიერ გვიან უვითარდება, ზოგს კი შედარებით მაღე. შინაარსისა და სიძლიერის მხრივაც ბუკეტში ხშირად დიდ სხვაობას ვამჩნევთ: „ზოგჯერ ნაზია, თითქოს საძებარიც არის, ზოგჯერ კი მკაფიოდ, ნაზი გვეჩვენება“ (ნ.გელაშვილი – „მეღვინეობა“ ნაწილი II თბ. 1961 წ. გვ. 424).

საღვინე ჭურჭელთა მრავალფეროვნება განაპირობა ლვინოსადმი განსაკუთრებულმა პატივისცემამ. ლვინო თავად ირჩევს სასმისს და ადამიანის არსი ამ მოთხოვნილებას საიმოვნებით ემორჩილება. ლექსიკოგრაფ საბა ორბელიანის განმარტება, რომ ყარყარა არის „სარწყული სმაში ხმის მიმცემელი“, კიდევ უფრო ასურათხატებს ამ სასმისის ფიზიკურ იერსახეს.

ყარყარას ტიპის ჭურჭლებს მიეკუთვნებიან აგრეთვე კულა და ჭინჭილა. დასავლეთ საქართველოს მეღვინეობის მონაპოვარი გახლავთ მწარე კვახის კულები. ჭინჭილა, ყარყარა, კულა სანადიმო ჭურჭელი არ არის. ისინი უფრო სანიადაგოდ გამოიყენება, მაგრამ ძირითადად გაზაფხულსა და ზაფხულში, როცა ზვარში სიცხითა და შრომით დაღლილი მევენახ ძალების აღდგენას საჭიროებს.

კულა – ლვინის გრძელყელიანი სასმისი, უმთავრესად ხის, აგრეთვე აყორის (გოგრა) და ლითონისაგან (ვერცხლი, სპილენძი) მზადდებოდა. კულის ხვრელი პირისაგან თანდათან ვიწროვდება და სმის დროს რაკრაკა ხმას გამოსცემს. ხმიანი სასმისი ქართულ სუფრაზე სალალობოდ იხმარებოდა. ამასთან ყელიდან ლვინო გადმოდის „ძუნნად“, რაკრაკით, რაც ახანგრძლივებს ლვინის დალევის პროცესს და მსმელს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. კულას შუალედური ადგილი უჭირავს ჭინჭილასა

და ყარყარას შორის. მას დასავლეთ საქართველოში მნარე კვახისაგან ამზადებდნენ, აღმოსავლეთში კი ხისაგან და არც თუ იშვიათად ასევადებენ ვერცხლის ელემენტებით.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცულია კულა, დამზადებული ნიგვზის ხისაგან, ვერცხლის ჭედური ფირფიტებით განყობილი, გაფორმებული 10 ც. ფერადი იაშმის თვლებით. კულაზე ვერცხლის სარტყელზე ამოტვიფრულია ინიციალები „მთ.ლ.დ“, იგი ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს. კულა მუზეუმის მიერ შესყიდული იყო 1922 წელს ვინმე მოქ. ვ.ტ.ყიფიანისაგან, (აჭარის მუზეუმის საინვენტარო წიგნი №1. 1942 წ). მაშინ როდესაც მუზეუმი მოთავსებული იყო ქ. ბათუმის თვითმმართველობსი შენობაში. მთლიანი სიგრძე 27 სმ. ტანის დმ. 10 სმ.

მსგავსი კულები დაცულია ზუგდიდის დადიანების სახლ-მუზეუმში, რომელიც დაუმზადებია სარდიონ ასათიანს და სავარაუდოდ გასული საუკუნის კულებს წარმოადგენენ.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ასევე დაცულია ვერცხლისაგან დამზადებული კოპე (ხირკე), რომელიც შემოსულია 1963 წელს (საინვენტარო წიგნი №8. 1961 წ.)

ჭურიდან ლვინის ამოსალებად ტრადიციულად იყენებდნენ და დღესაც იყენებენ მნარე კვახისაგან გაკეთებულ კოპეს (ორშიმოს). რომელსაც საგანგებოდ თესავენ, შემოდგომაზე წყვეტენ, ახმობენ ყელს უმოკლებენ, შუაგულს ამოასუფთავებენ, ხარშავენ სიმწარე რომ დაკარგოს და ტარს უკეთებენ. ჭურიდან ლვინის ამოსალებად უფრო მოხერხებული და ბუნებრივი ჭურჭელი არ არსებობს. ორშიმოს (კოპეს), გურიაში ლვინის ამოსალებად ხმარობენ, რომელთაც ტარი გვერდიდან აქვს გაყრილი.

სამეგრელოში ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში ხდებოდა ოჯახში კოპეს დამზადება მნარე კვახისაგან, იგი ცნობილია ხირკეს სახელწოდებით.

კოპე (ხირკე), რომელიც დაცულია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში აქვს წარწერა: „მთავრის ლევან დადიანის ძე გრიგოლ“ დამზადებულია მთლიანად ვერცხლისაგან, გარედან ამოკვეთილია ქართული ორნამენტირები და წარმოადგენს ნაკანრი ხელოვნების ნიმუშს. იგი სავარაუდოდ მე-19 ს. დასაწყისს მიეკუთვნება. სიგრძე 32 სმ. ტარის 23 სმ. ტანის გარშემოწერილობა 29 სმ. შემოტანილია 1963 წ. მოქ. დ. კ. ჩაჩავასაგან. საინ. №18696. მსგავსი კულა და კოპე, რომლებიც დაცულია აჭარის მუზეუმში, ანალოგური ჯერჯერობით არ მოგვეპოვება თუ ვინმეს გააჩნია ინფორმაცია გთხოვთ გამოხმაურებას (ავტ. ნ. ქორიძე). ამ უცნაური ჭურჭლების მიმოხილვით ვფიქრობთ, რომ ქართველების დამოკიდებულება ვაზისადმი – ესაა სავსებით არაორდინატური მოვლენა, სადაც ნათლად ჩანს ქართველი კაცის სამეურნეო ცხოვრების იდუმალებით მოცული სამყარო და ნამდვილად დაიმსახურა ქართული თუ არა ქართველი პოეტებისა და მწერლების გულიდან ამოსული სტრიქონები:

„...ვითარცა ლვინო –  
ქვევრიდან ხაპში  
ხაპიდან დოქში –  
დოქიდან ჯამში  
ქართული სისხლი,  
ქართული სული,  
ქართული სიტყვა,  
ქართული გული  
გადადიოდა  
კაციდან კაცში“.

**გუსრან მაჟავარიანი („ვითარცა მტკვარი“)**

### **ლიტერატურა:**

1. აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის  
საინვენტარო წიგნები: №1 1942 წ. №VIII – 1961 წ.
2. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
„ვაზი სიცოცხლის ხე“ კრებული, 2010 წ.
3. 6. გელაშვილი – „მევენახეობა“ ნაწ. II თბ. 1961 წ.
4. შ. მამულაძე „აჭარისნელის ხეობის შუა საუკუნეების  
არქეოლოგიური ძეგლები“. 1993 წ.

NANA KORIDZE  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum

## **GEORGIAN WINE DISH**



1. Vessels for drinking made of clay held great place among wine dishes from ancient times, but a wine drinker and connoisseur of wines was not satisfied only with a crockery, he was seeking for forms suitable for vessels for drinking, that would make the process of wine drinking diverse and delightful.

Diversity of wine dishes conditioned special respect to wine. Wine chooses its vessel for drinking itself and the essence of human subordinates to this requirement with pleasure.

2. The acquisition of western Georgian wine-making is bitter pumpkin kulas. The slipper, skhaking, kula are not feast dishes; they are used to be put into the ground, mainly in spring and summer, when a viticulturist, tired by heat and work in vineyard needs restoration of forces.

Kula is a wine long-necked vessel for drinking. The hole of kula is gradually narrowed to the mouth and makes glugging sound at the time of drinking. Noisy cup was used for feast. Kula kept at the museum is made of walnut tree, decorated by silver blacksmith's flakelets, ornamented by 10 unit coloured jaspers. It presumably belonged to Levan Dadiani, the chief of Samegrelo; - the initials "Mt. L.D." are engraved on it.

3. Wine vessels were kept among the royal dishes together with jewelry according to the Georgian historic sources. Foreign travelers cannot keep admiring at seeing the dignity of gold-silver wine cups brought to the table. Silver cope with inscription "of chief, Levan Dadiani patronymic Grigol" - with ornaments on it presents a sample of scratched arts kept at the museum.



ლამარა გულორდავა  
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

## აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული ზოგიერთი რუკის შესახებ

ყოველი ქვეყნის სამხედრო დაცვის, სამეურნეო და კულტურული განვითარების საწინდარია წესიერი რუკები. რუკის საშუალებით ხდება ობიექტური რეალობის, საგნებისა და მოვლენების სივრცითი ურთიერთობების ასახვა.

რუკამ და გეგმამ, ვიდრე მიიღებდა თანამედროვე სახეს, საუკუნეების მანძილზე გაიარა ხან-გრძლივი და რთული განვითარების გზა.

ადამიანი რუკებს უძველესი დროიდან ქმნიდა, რითაც თვალსაჩინო წარმოდგენა ეძლეოდა გეო-გრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგებაზე.

ძველ სამყაროში რუკების არსებობის შესახებ პირველ წერილობით ცნობას გვაწვდის აპოლონიოს როდოსელი. „არგონავტების“ მეოთხე წიგნში ფრიქსეს უფროსი ვაჟი არგოსი არგონავტებს ეუბნება, რომ კოლხებს შენახული აქვთ თავიანთი მამების მიერ ნაწერი კვირბები, რომლებზედაც დედამიწის ირგვლივ სამოგზაუროდ, ზღვის და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარია ნაჩვენები. როგორც ჩანს, კოლხეთში არსებული ეს „ნაწერი“ რუკები, ძალიან ძველი იყო, რადგან კოლხები მათ წინაპართა დანატოვარ რელიქვიებად მიიჩნევდნენ და საგანგებოდ ინახავდნენ. ეს ცნობა ფასეულია იმით, რომ ავტორი დიდი ხნის მანძილზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და შესაბამისად უძველეს იშვიათ არქივებზე მიუწვდებოდა ხელი.

ნაწერი კვირბები კოლხეთის გარდა კრეტაზე და საბერძნეთშიც ყოფილა ცნობილი, ძველ ავტორებთან შემონახული ცნობების თანახმად ისინი საკმაოდ საინტერესო ძეგლებს წარმოადგენდა. ზოგი ცნობით ისინი პირამიდული სვეტები იყო, ზოგი ცნობით სამკუთხა დაფები.

კარტოგრაფიულ გამოსახულებათა არსებობა უძველეს ხანაში, ბევრად უფრო ადრე დამწერლობის წარმოშობამდე, მტკიცდება არქეოლოგიური გათხრებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების მასალებიდან. ამაზე მეტყველებს აზის, აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის პირველყოფილი ხალხების მიერ შექმნილი მარტივი კარტოგრაფიული ჩანახატები. ამ ჩანახატებს პრაქტიკული ხასიათი ჰქონდათ. მასზე გამოსახავდნენ გზებს, თევზჭერისა და ნადირობის ადგილებს და აგრეთვე მათ სამხედრო მიზნების განხორციელებისათვის იყენებდნენ.

მესოპოტამიაში აღმოჩენილი, ჯერ კიდევ ძვ. წ.-მდე მე-8 მე-7 სს-ში შექმნილი თიხის ფირფიტა მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს რუკად ითვლება. ბაბილონურ რუკა-სქემაზე მონიშნულია ძველი სახელმწიფოები: ურარტუ, ასურეთი, ბაბილონი, რომლებიც გარშემორტყმულია ზღვებითა და ოკეანეებით.

უძველეს დროში რუკები შეიქმნა აგრეთვე ეგვიპტეში, მოგვიანებით ჩინეთში. მაგრამ მეცნიერულად რამდენადმე დასაბუთებული რუკები შეიქმნა ანტიკურ საბერძნეთსა და ძველ რომში. უკვე მეხუთე საუკუნეში ჩვ. წ.-მდე ანტიკურ საბერძნეთში ჩვეულებრივი ამბავი იყო გეოგრაფიული რუკებით სარგებლობა.

ცნობილმა ბერძენმა მეცნიერმა არისტოტელემ ჩვ. წ.-მდე მე-4 ს-ში პირველმა დაამტკიცა დედამიწის სფეროსებურება. პირველი რუკა, რომელიც დედამიწის სფეროსებური ფორმის გათვალისწინებით შეიქმნა, ერატოსთენეს ეკუთვნის (ჩვ.წ.-მდე მე-3 ს.) მან პირველმა დახაზა მსოფლიოს რუკა მერიდიანებისა და პარალელების გამოყენებით.

ძველი ბერძენი მეცნიერის პტოლომეოსის მიერ ჩვ.წ.-მდე 150 წლით ადრე შექმნილი მსოფლიოს

რუკა მრავალი საუკუნის განმავლობაში ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლებოდა. ეს რუკა ერთვოდა რვატომიან ტრაქტატს, „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“. პტოლემეოსის რუკის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ მოაღწია მისმა რამდენიმე გვიანდელმა ვარიანტმა. სწორედ პტოლომეოსის რუკებით ცდილობდა ქრისტოფორე კოლუმბი ინდოეთამდე მიღწევას.

შეა საუკუნეებში ნაოსნობისა და კოლონიზაციის განვითარებას მოჰყვა რუკების, გლობუსებისა და ატლასების შექმნის ინტენსიური პროცესი. მაშინ „კარტოგრაფიის“ ცნება არ არსებობდა. გეოგრაფიასა და ასტრონომიასთან ერთად იგი კოსმოგრაფიად მიიჩნეოდა. ამ ხანის კარტოგრაფიამ თავის კულმინაციურ განვითარებას გ. მერკატორის (მე-16 ს.) ნაშრომებში მიაღწია.

პროგრესული მოვლენა იყო მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ევროპისათვის ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი რუკები. 1735 წ. ქართველმა მეცნიერმა შეადგინა თავისი პირველი, ხოლო 1742-1745 წწ. მეორე ატლასი. თითოეული მათგანი შედგება მიმოხილვითი რუკისაგან, რომელიც მოიცავს თითქმის მთელ კავკასიის ყელს, საქართველოს და მის ცალკეულ ნაწილებს. რუკების შინაარსში შედის: კარტოგრაფიული ბადე, ხაზობრივი მასშტაბი, რელიეფი („თხუნელას ზვინულების“, ე. ი. პროფილში გამოსახული, ცალმხრივ დაჩრდილული ბორცვების სახით), პიდროგრაფია (ზღვები, ტბები, მდინარეები), პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დაყოფა (საზღვრებითა და შეფერადებით), დასახლებული პუნქტები: სამხედრო, საეკლესიო და საერო ნაგებობანი, აგრეთვე მუდმივი თოვლითა და ტყით დაფარული ადგილები.

ვახუშტის რუკები თავიანთი განვრცობილობით, მასშტაბებითა და ტოპოგრაფიული დეტალურობით გაცილებით აღემატებოდა კავკასიის ყველა იმ კარტოგრაფიულ გამოსახულებებს, რომლებიც კი შეუდგენიათ კავკასიის მკვლევარებს მანამადე და ნაწილობრივ შემდგომაც მე-19 საუკუნემდე. ისინი ემყარებიან თვალზომიერი (კომპასისა და საათის დახმარებით შესრულებული) მარშრუტული აგეგმვის სვლათა ხშირ ქსელს, რაც განხორციელდა საქართველოს სამი სამეფოს ფარგლებში მე-18 ს. დასაწყისში და აგრეთვე სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა ეპოქაში შედგენილ, საქართველოს მოსაზღვრე მხარეთა რუკებს.

ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიულმა ნაშრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიის შესწავლაში. თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ქართველი მეცნიერის ატლასებს ეყრდნობოდა კავკასიისათვის შედგენილი ყველა რუკა. ვახუშტის მემკვიდრეობა შესულია მსოფლიო გეოგრაფიული მეცნიერების საგანძურში როგორც ერთ-ერთი უადრევესი ცდა რთული ბუნებრივი პირობებისა და მჭიდრო მოსახლეობის მქონე ქვეყნის დეტალური აღწერისა (ვერტიკალური ზონალობის კანონის გათვალისწინებით) და კარტოგრაფიულად ასახვისა.

1860 წლიდან იწყება კავკასიის მსხვილმასშტაბიანი ტოპოგრაფიული აგეგმვა. მთელი რიგი სამეცნიერო დაწესებულებები და მკვლევარები ინტენსიურად მუშაობდნენ კავკასიის ტრიანგულაციისა და ტოპოგრაფიული აგეგმვის მიმართულებით.

კავკასიის გეოდეზიურ-ტოპოგრაფიულ შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამხედრო და სამოქალაქო ტოპოგრაფებმა. კავკასიის ბუნებრივი პირობები, კერძოდ კი მთიანი რელიეფი, ბობოქარი მდინარეები, მაღალი მთიანეთის მკაცრი ჰავა, უღრანი ტყეები აბრკოლებდნენ მუშაობას, მოითხოვდნენ მონაწილეობაგან გამძლეობას, ნებისყოფას, სიმტკიცეს და ზოგჯერ გმირობასაც. ასეთ მძიმე პირობებში მუშაობა წარმატებით შეეძლოთ მხოლოდ ენთუზიასტებს, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ საამისო მორალური და ფიზიკური ღირსებებით. ბევრი მათგანი აწარმოებდა გეოგრაფიულ დაკვირვებასაც. ზოგჯერ, ომიანობის პერიოდში მკვლევარი ჯარების დამცველობით ახდენდა უნივერსალური ინსტრუმენტებით გაზიომვებს.

კავკასიის აგეგმვაში რელიეფის ახალი, დაზუსტებული ხერხების გამოყენებამ მნიშვნელოვნად აამაღლა რუკების ღირსება.

ტოპოგრაფიული რუკები წარმოადგენენ იმ პირველ წყაროს, რომლის საფუძველზენარმოებს გეოგრაფიული რუკების შედგენა.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა რუკათა შინაარსი. თავდაპირველად რუკაზე გამოსახავდნენ ადგილის ობიექტს – მდინარე, ტბა, მთა და ა.შ. შემდეგ დაიწყეს მოსახლეობის გამოსახვა, მათი მეურნეობის გამოხატვა. შინაარსის მიხედვით განასხვავებენ ზოგადგეოგრაფიულ და თემატურ რუკებს. ზოგადგეოგრაფიული რუკა გამოსახავს დედამიწის ზოგად სახეს. მასზე აღნიშნულია მდინარეები, ქალაქები, გზები და ა.შ. თემატური რუკა უფრო დეტალურია და გამოსახვას კონკრეტულ მოვლენას. მაგ: მიწისძვრას, კლიმატს, ნიადაგებს და ა.შ. მოგვიანებით შეიქმნა რუკები, რომლებიც გამოსახავდნენ ბუნების მოვლენებს, მაგ: ამინდს, ქარის მიმართულებას და ა.შ.

ლეგენდა რუკის თავისებური ენაა, რომლის დახმარებით რუკის შინაარსის წაკითხვაა შესაძლებელი. რუკაზე ან გეგმაზე სხვადასხვა ობიექტი ან მოვლენა პირობითი აღნიშვნით გამოისახება, რომელთა მნიშვნელობა რუკის რომელიმე კუთხეში ლეგენდის სახითაა განმარტებული. სხვადასხვა ტიპის რუკაზე განსხვავებულ პირობით აღნიშვნებს გამოიყენებენ. ისინი შეიძლება იყოს ფართობლივი, ხაზობრივი და მასშტაბგარეშე. კარტოგრაფიული ნიშნები გარეგნობით სხვადასხვა სტრუქტურისა და ზომის, ფერადი ან ტონალური გაფორმების გრაფიკულ გამოსახულებებს – წერტილებს, ხაზებს, გეომეტრიულ ნაკვთებს, ანბანურ სახეებს წარმოადგენენ.

კარტოგრაფიის შინაარსებულ საგანძურს დაუსრულებლივ ავსებს ახალ-ახალი თემატიკის რუკა.

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული რუკებიდან უძველესია სულხან-საბა-ორბელიანის რუკის საფუძველზე შედგენილი და 1723 წელს გილიომ-დელილის მიერ პარიზში გამოშვებული „კავკასიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა“.

აჭარის მუზეუმის ფონდებში დაცულია სხვადასხვა პერიოდის, მნიშვნელობის, შინაარსისა და ზომის ათეულობით რუკა და გეგმა. მათ შორისაა: ისტორიული, სამხედრო, გეოლოგიური, ეთნოგრაფიული და სხვა თემატიკის რუკები.

გეოგრაფიული არეალის მიხედვით რუკებზე წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხე, კავკასია, ახლო თუ შორეული აღმოსავლეთი, ევროპა და სხვ. რუკების გარდა წარმოდგენილია ფოთის, ბათუმის, ქობულეთის გეგმები.

მუზეუმში აღრიცხული რუკებიდან უძველესია 1836 წელს მოსკოვში გამოცემული რუსეთის მფლობელობაში მყოფი კავკასიის რუკა – კარტა რასიისკის ვლადნი ზა კავკაზომ (საინვ. №23410/12 ხ.ფ. 593), შედგენილი კარტოგრაფ ტოპოგრაფ პორუჩიკ კოლოკოლოვის მიერ 1836 წელს. მასშტაბი 1:1 000 000. ზომა 70X50 სმ. რუკა შავ-თეთრ ფერშია შედგენილი. მასზე მოცემულია ქედები, მდინარეები, ქალაქები, სოფლები, ეკლესია-მონასტრები, გზები. მოცემულია სახელმწიფო საზღვრები, კავკასიის ხალხთა შორის საზღვრები.

კავკასიის რუკა – კარტა კავკაზსკოგო კრაია (აჭმ. №17893 ხ. ფ. 637) გამოცემულია კავკასიის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების მიერ 1868 წელს. ზომა 60X70 სმ. შედგენილია და დაბეჭდილია კავკასიის სამხედრო ოკრუგის ტოპოგრაფიული განყოფილების მიერ, მხატვრობა კურაკინის, გრავირება ა.შვანინის. რუკაზე მოცემულია პირობითი ნიშნები, კავკასიის მხარის ადმინისტრაციული და გუბერნიის საზღვრები.

1901 წელს, სანკ-პეტერბურგში დაიბეჭდა ევროპის რუკა. ავტორი ა. შევცოვი (საინ. №23410/41).

ასევე ძველ რუკებს მიეკუთვნება ბათუმის ოლქის სქემატური ბოტანიკური რუკა – სქემატიჩესკაია ბოტანიჩესკაია კარტა ბატუმსკოი ობლასტი, შედგენილი ვორონოვის მიერ 1911 წელს. კავკასიის რუკა – კარტა კავკაზსკოგო კრაია, შედგენილი 1903 წელს, დაბეჭდილია 1912 წელს, რუსულად. ბათუმის ოლქის რუკა-კარტა ბატუმსკოი ობლასტი, შედგენილია ლ. მ. სანდეცკის მიერ.

რუკა-კარტა კავკაზა, აზიატსკოი ტურციი (აჭმ. №23410/38 ხ. ფ. 61) შედგენილი კავკასიის სამხარეო სამხედრო ტოპოგრაფიულ განყოფილებაში. დაბეჭდილია 1916 წ.

საქართველოს ისტორიული რუკა (აჭმ. №23410/1 ხ. ფ. 1525) შედგენილი ტოპოგრაფ ევ. ბარამიძის და პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, გამოცემულია 1923 წ. ზომა 2X1 მ.

აჭარისტანის სექტატური რუკა, (აჭმ .N23410/3, 1587). შესრულებულია ხელით ქართულ და რუსულ ენებზე გ. ცუკანოვის მიერ 1923 წელს. რუკაზე დატანებულია ადმინისტრაციული და სოფლის ცენტრები. აგრეთვე მწვერვალები, მდინარეები.

აჭარის სასკოლო ქსელის რუკა 1921 წ. (აჭმ.№23410/72 ხ. ფ. 15998) ერთ-ერთი ძველი რუკაა. იგი შედგენილია ხელით. რუკაზე გამოსახულია აჭარის ტერიტორიის კონტური, პირობითი ნიშნები-დან ძირითადად გამოყენებულია წრეები, რომელიც გვამცნობს, რომ ხულოს რაიონში | დაწყებითი სკოლა ყოფილა, ქედის რაიონში – 2 დაწყებითი სკოლა, ქობულეთში – 11 დაწყებითი სკოლა და 1 არასრული საშუალო სკოლა, ხოლო ბათუმში – 8 დაწყებითი სლოკა, 1 არასრული საშუალო სკოლა, 1 საშუალო სკოლა და 1 სპეციალური სასწავლებელი.

აჭარის ადმინისტრაციული რუკა. 1939 წ. (23410/2 ხ. ფ. 1585) გვამცნობს, რომ აჭარაში შედიოდა 4 რაიონი: ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოს. პირობით ნიშნებში შედის დასახლებული პუნქტები, საზღვრები, როგორც სახელმწიფო, ისე ავტონომიის და სარაიონო. ნაჩვენებია სამიმოსვლო გზები, კურორტები დასხვ.

აჭარის ასსრ სასკოლო ქსელის რუკა 1940 წლის 1 იანვრისათვის (აჭმ. №16306/913 ხ. ფ. 1596) შეადგინა დ. მამფორიამ. რუკაზე მოცემულია პირობითი ნიშნები, სხვადასხვა ფერის წრეებით აღნიშნულია დაწყებითი სკოლა, არასრული საშუალო სკოლა, საშუალო სკოლა, პედსასწავლებელი, საუნივერსიტეტო, მოზრდილთა საშუალო სკოლა, მუშფავი, საბავშვო ბალი, სამასწავლებლო ინსტიტუტი, მოზრდილთა დაწყებითი სკოლა. ცალკე კვადრატში ჩანერილია 1921 წელს არსებული სკოლის მონაცემები. რუკა მასშტაბგარეშეა.

საინტერესოა ხელით შედგენილი აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაწესებულებების რუკა, ზომა 60X95 სმ, 1941 წ. (აჭმ. №16313, 920/71), ასევე, აჭარის სასკოლო ქსელის რუკა, 1940 წ. (აჭმ.№23410/72) შედგენილი მამფორიას მიერ, ზომა 65X95 სმ.

შინაარსობრივად მრავალფეროვანია აჭარისტანის ოვალსაჩინო რუკა. (აჭმ.№23410/5 ხ. ფ. 591/5) ზომა 170X120 სმ. შედგენილია აჭარისტანის სამეცნიერო-მხარეთმცოდნეობის ბიუროში: აზიზ აცამბას, ახმედ აცამბას, მემედ ბაბუჩიოლისა და ახმედ აბაშიძის მიერ ნიკოლოზ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. აჭარისტანის სახელმწიფო გამომცემლობა. 1932 წ. მასშტაბი 1:71 400 მ. რუკა მხატვრულადაა გაფორმებული. მას მარჯვნივ და მარცხნივ, ზემოდან ქვემოთ მიუყვება ნახატები რომელიც ასახავს აჭარის ძველ და ახალ ყოფას, ეთნოგრაფიულ ეტიუდებს, როგორიცაა: ქალაქის ბულვარი; „კაიუკი“ მდ. ჭოროხზე; მდ.ჭოროხის ხეობა ს. მარადიდთან; ციხისძირი, სახელმწიფო უნივერსიტეტის დასასვენებელი სახლი; ბოტანიკური ბალი; ჩაქვი, ჩაის პლანტაცია; მწვანე კონცხი, გვირაბი; ს. ქედა. ახლად აგებული ხიდი; დანდალო, ხიდი; ხულო. ავადმყოფის გადაზიდვა საავადმყოფოში საზაფხულო მარხილით; აჭარელი ქალები, აჭარული წისქვილი; აჭარლები. მედოლე და მეჭიბონე; აჭარელი ქალები კლუბში; აჭარელის ოჯახი; შინამრეწველობა; კანაფის გრეხა.

რუკის პირობითი ნიშნების ახსნაში ნაჩვენებია პოლიტიკური და ადმინისტრაციული საზღვრები, გზები, სადგურები, ხიდები, დასახლებული ადგილები (სარაიონო ქალაქების და სასოფლო ცენტრები).

მოსახლეობის საქმიანობა ახსნილია ნახატებით, როგორიცაა წინდების ქსოვა, მეაბრეშუმეობა, ადგილობრივი მეფუტკრეობა, რაციონალური მეფუტკრეობა, კარაქის დამზადება, რაციონალური მეკარაქეობა, თოკების წვნა, შალის ქსოვა, თიხის დამუშავება, ნავების კეთება.

პირობით ნიშნებში მოცემულია მადნეულობის გავრცელება, როგორიცაა: სპილენძი, თუთია, გო-

გირდის ალმადანი, უანგმინა და სურინჯი, ვერცხლი-ტყვია, ალუმინი, ცეცხლგამძლე თიხა.

მებაღეობის და მარცვლეული კულტურების გავრცელების ადგილების ნახვა შესაძლებელია პირობით ნიშნებში მოცემული ნაყოფის ნახატებით, როგორიცაა ვაშლი, მსხალი, ბალი, ვაზი, კაკალი, ქლიავი, ატამი, ხურმა, კომში, ლელვი, ბრონეული, თხილი, მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი, ნარინჯი. რუკაზე ამის საშუალებით იკითხება, რომ იმ პერიოდში სოფლის მუშაკებს მოჰყავდათ სიმინდი, ქერი, პური, ბრინჯი, ჭვავი, ღომი, თამბაქო, ჩაი, კანაფი.

აჭარისტანის თვალსაჩინო რუკაზე პირობითი ნიშნებით მოცემულია ფლორისა და ფაუნის დომინანტური სახეობები: ნაძვი, ფიჭვი, სოჭი, მურა დათვი, მელა.

რუკაზე მოცემული ნახატებით იკითხება მოსახლეობის საქმიანობა ამა თუ იმ კუთხეში, როგორიცაა პურის მკა, ცხვრის მწყემსვა, შეშის დამზადება, ყანის თოხნა, ტრაქტორით თუ გუთნით მიწის დახვნა. უნდა აღინიშნოს, რომ ჩაცმულობაც კი განსხვავებულია, მაგალითად, ქობულეთში მეგუთნეთა ჩაცმულობა და თვითი გუთანი განსხვავებულია ქედის, ხელვაჩაურის და ხულოს მეგუთნეთა ფორმისაგან.

აჭარისტანის თვალსაჩინო რუკა მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, თავისი შინაარსობრივი მრავალფეროვნებით და ლამაზი ფერებით დღესაც ინტერესით იკითხება.

#### **ლიტერატურა:**

1. ასლანიკაშვილი ალ.კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები. თბილისი, 1968 წ.
2. ცხაკაია ს. რუკათმცოდნეობა ტოპოგრაფიის საფუძვლებით. თბილისი, 1968 წ.
3. სამადბევოვი ა. კარტოგრაფიის საფუძვლები. თბილისი, 1977 წ.
4. აჭარის ხარისხონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. რუკები.
5. [www.archives.gov.lgei/kartografia](http://www.archives.gov.lgei/kartografia)

LAMARA GULORDAVA  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum

## **ON SOME KEPT MAPS**

Man was making maps from ancient times. Apollonius Rodosel gives references that the Colchis had “written” maps- the so called quirks in the “Argonaut”. The first map, which was created by foreseeing globular shape of the Earth, belongs to Eratosthenes (the 3rd century BC).

The process of creation of maps, globes and atlases was followed by the development of navigation and colonization.


Maps made by Vakhushti Batonishvili for Europe in the first part of the 18th century was a progressive event. Heredity of Vakhushti is entered in the geographical scientific treasury of the World.

There are dozens of maps and plans of different period, importance, content and size kept in the funds of Ajara museum. Historical, military, geological, botanical, ethnographic and other are among them. Various regions of Georgia, the Caucasus, Near or Far East, Europe, etc., are presented on the maps according to geographic areal. The maps are drawn up in Georgian, Russian, Ottoman, Turkish languages.

The oldest map kept at the Museum is the map of the Caucasus (inv. N23410/12 Kh.P. 593) issued in 1836 in the city of Moscow existing in the property of Russia, drawn up by Kolokolov, the topographer. The map of the Caucasus issued in 1868 by the Caucasus Imperial Geographic Society is also one of the oldest maps.

The map of Turkey (end of the 19th century) drawn up in the Ottoman language is very important. Schematic botanical map (1911) of Batumi district belongs to the old maps, historical map of Georgia (1923), map of Ajara school net (1921), schematic map of Ajara (1925), and others belong to old maps.

Eminent map of Ajaristan (Atchm. N23410/5 Kh.P. 591/5) is diverse in contents, size 170x120. Created by colours, with interesting legends, artistically designed it is interesting for reading even today.



აჭარისტანის ასარ სქემატიური რუკა  
(სასკოლო ქსელის) 1940წ



აჭარისტანის თვალსაჩინო რუკა. 1932




კვრიპის რუკა 1901წ



კავკასიის რუკა 1836 წ.



კავკასიის რუკა. 1868 წ.



ოსმალეთის რუკა. მე-19 ს-ის ბოლო.

ნათელა შერვაშიძე  
აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

## თამპაქოს თარმოების განვითარების ისტორიიდან გათუმში (ლაზარე ბინიათ-ოლეი)

თამპაქოს სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, რასაც მოწმობს ის, რომ იქ არსებული 43 სახეობიდან 39 ენდემური ფორმაა. ევროპისათვის თამპაქო ცნობილი გახდა კოლუმბის პირველი ექსპედიციის დროს, 1492 წელს ანტალიის კუნძულებზე, კერძოდ კუნძულ კუბაზე, იქაური მოსახლეობა თამპაქოს დახვეულ ფოთლებს ეწეოდა და მას „ტაბაგოს“ უწოდებდა. ერთი წლის შემდეგ მოგზაურმა ესპანელმა ბერმა რომინე პანერ ასეთივე მცენარე იპოვა სანტ-დომინგოში, ხოლო ბრაზილიაში თამპაქოს არსებობა ანდრე-ტევერ აღნიერა 1555 წელს მოგზაურობის დროს.

თამპაქოს თესლი ევროპაში პირველად ესპანელებმა შეიტანეს 1519 წელს. ევროპაში თამპაქოს გავრცელებას საფუძველი ჩაუყარა საფრანგეთის ელჩმა პორტუგალიაში ჟან ნიკომ (პროფესიით ექიმმა).

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, საქართველოში თამპაქო მე-17 საუკუნის დამლევსა და მე-18 ს. დასაწყისში შემოვიდა. ვახუშტი „საქართველოს გეოგრაფიაში“ ბორჩალოს აღნერისას სხვა კულტურებთან ერთად თამპაქოსაც იხსენიებს. როგორც ჩანს, ჩვენში პირველად შემოტანილი ყოფილა დაბალი ხარისხის თამპაქო – წეკო. მე-19 საუკუნეში კი უკვე მაღალხარისხოვანი საპაპიროსე თამპაქო შემოჰკინდათ.

მეთამპაქოების გავრცელებას ჩვენში ხელი მოჰკიდეს კერძო პირებმა. მათ შორის იყო ლაზარე ბინიათოლლი.

ლაზარე ბინიათოლლი იყო კესარიიდან. ეს იყო თურქეთის ტერიტორია, რომელიც ბერძნებით იყო დასახლებული. მისი ნამდვილი გვარი იყო ბინიატიდი, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ქალაქის მცხოვრები, იძულებული იყო ბერძნული გვარი შეეცვალა თურქულით, მაგრამ ლაზარე იყო მართლმადიდებლური რელიგიის მიმდევარი. ის ბოლომდე დარჩა „საიდუმლო ბერძნად“ ბათუმში ის დადიოდა ბერძნულ ეკლესიაში.

ლაზარე ბინიათოლლი გარდაიცვალა მის სამშობლოში 1907 წელს. დასაფლავებულია ქალაქ კესარიაში, მას პანაშვიდი გადაუხადეს ბათუმში, მის საცხოვრებელ სახლში.

ფაბრიკის ყოფილი მუშა მარიამ ხანთიძე იგონებს:

„ლაზარე ბინიათოლლის პანაშვიდზე ვიყავი, მუშებს გვაინტერესებდა მისი ბინის მოწყობილობა. თვალები დაგვიბნენლა იმ მდიდრულმა მორთულობამ, რაც იქ ვნახეთ. ხალიჩებით იყო მოფენილი ოთახების კედლები და იატაკი. ყველაფერი ბრწყინვადა. გაგვაკვირვა იმ მოვლენამ, რომ ოთახის ერთ კედელზე გაკრული იყო ქაღალდის ფულები, პანაშვიდს უამრავი ხალხი ესწრებოდა“.

ფაბრიკის გახსნაში მონაწილეობა მიიღო სამმა ლაზარე, პაკი და მიხეილ ბინიათ-ოლლებმა. ამ საქმეში მათ დახარჯეს 80 თათრული ოქრო. ფაბრიკა პირველად იყო ახმად ფაშას ქუჩაზე (ახლანდელი ხულოს ქუჩა). თავდაპირველად ბინიათ-ოლლის მუშაობა დაუწყია ოთხი საამქროთი, სადაც ხდებოდა თამპაქოს გარჩევა, მისი დაჭრა, გილზებში ჩატენვა, ყუთებში ჩაწყობა. წარმოების გაფართოების მიზნით 1899 წელს ფაბრიკა გადავიდა კალიევის ქუჩაზე, ორსართულიან სახლში თათრის ბაზართან.

ორი წლის შემდეგ 1901-1902 წნ. ქარხანა გადავიდა შაუმიანის ქუჩაზე, სადაც ბინიათ-ოლლიმ შეიტანა ახალი დანადგარი 1904 წლისათვის ბინიათ-ოლლიმ გახსნა 10 განყოფილება. აქ, დღის

განმავლობაში ფაბრიკა უშვებდა 1000000 ცალ პაპიროსს. ამ დროისათვის ბათუმში იყო თამბაქოს ფაბრიკა კანდილი „თამარა“. 1911 წელს ფაბრიკა გახსნეს დანილოვებმა, 1919 წელს გაიხსნა ფაბრიკა „ვოსტოკი“...

ბინიათ-ოლლიმ წარმოება თანდათან გააფართოვა. თამბაქო შემოჰქონდა სოხუმიდან, სოჩიდან, რუსეთიდან, ართვინიდან, იალტიდან, ხოლო პაპიროსის ქაღალდი შემოდიოდა რუსეთიდან, ხოლო მუდმტუკები როსტოკიდან. თამბაქოს ნაწარმი იგზავნებოდა რუსეთში, კავკასიაში, თბილისში, ბაქოში, კურსკში და სხვა ქაღაქებში. სამუშაო იწყებოდა დილის 7 საათიდან, საღამოს 8 საათამდე. შესვენება 1 საათი, ხოლო ახალი წლის წინა დღეებში მუშაობდნენ 24 საათის განმავლობაში.

ლაზარე იყო ძალიან მკაცრი ადამიანი. ფაბრიკაში არ არსებობდა სამუშაო პირობები, არ იყო სამედიცინო დახმარება, აფთიაქი, ბიბლიოთეკა, კულტურული მომსახურება. 1904 წელს მუშებმა მოაწყეს გაფიცვა მეპატრონის წინააღმდეგ, ამის შემდეგ ბინიათ-ოლლი წავიდა გარკვეულ დათმობაზე.

ლაზარე ბინიათ-ოლლიმ შეიძინა თამბაქოს პლანტაციები: ოჩამჩირეში, სოჩაში, არტანუჯში. მის მიერ გამოშვებული თამბაქო იყო კარგი ხარისხის. ის უწევდა კონკურენციას დანილოვის თამბაქოს ფაბრიკას, რადგან მას ჰყავდა კარგი სპეციალისტები. ლაზარე ძალიან მაღე გამდიდრდა, როგორც მენარმე იყო მოხერხებული, ხშირად მუშტრის შეძენის მიზნით საქონელს უტოვებდა „ფეშქეშად“, (საქონელს უტოვებდა ნისიად), რაც ხელს უწყობდა მისი ბაზრის გაფართოებას. მას მაღაზიები ჰქონდა გახსნილი თბილისში, ერევანში, სოხუმში, კრასნოდარში, სოჭში, მაიკოპში, ვარშავაში, ნიკოლაევში, მოსკოვში, კიევში, რიგაში, ასტრახანში, ხარკოვში და ბათუმში.

ლაზარე ცხოვრობდა 9 მარტის ქუჩაზე, ხოლო შემდეგ ააშენა 2 სართულიანი კაპიტალური სახლი ლიბკნებტის ქუჩაზე. მისი სიკვდილის შემდეგ ფაბრიკა გადავიდა მისი შვილის მურად ბინიათ-ოლლის ხელში. ის იყო უხეში, ვიდრე მისი მამა. ასეთივე უხეში იყო მისი ბიძაშვილი – იოსებ ბინიათ-ოლლი, მურად ბინიათ-ოლლიმ კიდევ უფრო გააფართოვა წარმოება. მან პირველმა ჩამოიყვანა ბათუმში ავტომანქანა „ფორდი“.

1917 წელს მურად ბინიათ-ოლლის ამერიკულმა ფირმამ შესთავაზა 5 მილიონი მანეთი ფაბრიკის აქციების შესაძენად, მაგრამ მიიღო უარი. 1918 წელს მურად ბინიათ-ოლლიმ დატოვა ფაბრიკა და წავიდა საზღვარგარეთ. 1918 წელს დანილოვის, ბინიათ-ოლლის ფაბრიკა და „ვოსტოკი“ გაერთიანდა და ეწოდა მიქონანის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა.

აჭარის ხარისხონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება ლაზარე ბინიათ-ოლლის თამბაქოს ფაბრიკის მიერ გამოშვებული პაპიროსის ეტიკეტები.

### ლიტერატურა:

1. ა.ჯაფარიძე – „ტექნიკური კულტურები“ გამომც. „განათლება“ თბ. 1971 წ.
2. Материалы по истории Батумской Табачной фабрики. 1895-1918 г. Р,ф 237
3. Материалы по истории Батумской Табачной фабрики. Воспоминания рабочих.

Р,ф 239.

NATELA SHERVASHIDZE  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum

## THE CATALOGUER OF KHARITON AKHVLEDIANI ADJARA STATE MUSEUM GEORGIA

From the history of tobacco production development in Batumi - Lazare Binat-Oghli

1. South America is the motherland of tobacco. This plant was known to Europe from the first expedition of Columbus.

2. According to literature sources tobacco was brought to Georgia at the end of the XVII and the beginning of the XVIII.

3. Individual people began the popularization of tobacco-cultivation in our country, Lazare Binat-Oghli, a Greek, born in the city of Kesaria among them. At first he began working with four workshops for which he paid 80 Turkish gold coins. In 1901-1902 he widened his workshop and in 1904 he opened 10 divisions of it. Tobacco plantation in Ochamchire, Sochi, Artanuji belonged to him. Cigarettes produced by him were of good quality.

4. Lazare Binat-Oghli died in 1907, after his death his son Murad Binat-Oghli managed his factory. He left Georgia in 1917 and set off abroad.

5. Labels of cigarettes produced by L. Binat-Oghli's factory at the end of the XIX c. and the beginning of the XX c. are kept in the fund of manuscripts of Khariton Akhvlediani Adjara State Museum.



ნატო ცეცხლაძე

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

## მუზეუმის ფონდები დაცული კოლექციები (უთოები, სასწორები, ჯაჭვები)

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ფონდებში, რომელიც არსებობის საუკუნე-ზე მეტს ითვლის, დაცულია სხვადასხვა სახის კოლექცია, რომლებიც მუზეუმში გასული საუკუნის 70-იან წლებში სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად იქნა შეგროვებული. აჭარის სხვადასხვა სოფლებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეძენით თუ საჩუქრის სახით. მუზეუმში შემოსულია სამუზეუმო მნიშვნელობის ბევრი კოლექცია. მათ შორისაა უთოების, სასწორების და ჯაჭვების კოლექციები.

ცნობილია, რომ აჭარაში 1923-1940 წლებში არსებობდა ლითონის გადამამუშავებელი ქარხანა და თუკის ჩამოსასხმელი რამოდენიმე საწარმო, სადაც მზადდებოდა სასოფლო-სამეურნეო იარაღები. სხვადასხვა სამრეწველო საქონელი და სავარაუდოდ თუკის უთოები და ჯაჭვებიც.

(ტარნოვსკი „აჭარის ასსრ მრეწველობის წარსული“ აჭმ. ხელნაწერთა ფონდი №310/382).

მუზეუმის ფონდებში დაცული უთოები XVIII-XIX საუკუნეშია დამზადებული. საინტერესოა რუსული წარმოების ნახშირის უთოები, რომლებიც ნაკვერჩხალით ცხელდებოდა, გვერდებზე და სახურავზე აქვს სავენტილაციო ხვრელი, საიდანაც ნაკვერჩხალი ცვივდებოდა და ქსოვილი ზიანდებოდა. ასეთი ტიპის უთოების წარმოება რუსეთში მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე გაგრძელდა.

უთო საყოფაცხოვრებო ტექნიკის უმნიშვნელოვანესი საგანია რომელიც, დიდ დახმარებას უწევდა და უწევს დიასახლისებს. საკვალი დიდი და საინტერესო გზა განვლო ნახშირის უთოდან თანამედროვე ელექტრონულ უთოებამდე.

ძვ. წ. IV საუკუნეში ძველმა ბერძნებმა შექმნეს ტანისამოსის და სხვა სახის ქსოვილების ნაკეცების გასასწორებელი მეტალის მოწყობილობა, ასევე იყენებდნენ მეტალის ტაფას, ჩაქუჩის და სხვა.

წერილობით წყაროებში რუსეთში პირველად უთო მოიხსენიება დედოფლის წერილში მეფისადმი (მიხეილ ფეოდორეს ძე რომანოვისადმი) რომელიც 1836 წლით თარიღდება.

ჩვენს კოლექციაში დაცულია დახურული ტიპის თუკის უთოები, რომლებიც ცეცხლზე ან ღუმელზე ცხელდებოდა. მაგრამ მოსახმარად არაკომფორტული იყო, რადგანაც იყო მძიმე და გადაცხელების შემთხვევაში ქსოვილი ზიანდებოდა, ასეთი ტიპის უთოები გვაქვს, როგორც რუსული წარმოების ასევე სავარაუდოდ ადგილობრივი წარმოების (აკად. ბერძნების მეცნიერება ასსრ სტალინური ხუთწლედების მანძილზე“ აჭმ ხელნაწერთა ფონდი №363/516).

XIX-ე საუკუნეში დაიწყო გაზის უთოების წარმოება, რომელიც ლითონის მილით გაზის ბალონს უერთდებოდა, ბალონიდან გაზი ტუმბოს საშუალებით იტუმბებოდა უთოს კორპუსში, სადაც მისი წვა მიმდინარეობდა და უთოს თხელი ძირი ცხელდებოდა, მაგრამ ძნელი იყო უსაფრთხოების დაცვა. ამავე პერიოდში ხმარებაში შემოვიდა სპირტის უთოები, მაგრამ მათი წარმოება დიდხანს არ გაგრძელდა. სპირტის სიძვირის გამო.

პირველი ელექტრონული უთო გამოჩნდა 1882 წელს. 1903 წელს ამერიკელმა გამომგონებელმა ჰენრი რიჩარდსონმა ახალი ტიპის ელექტრონული უთო გამოიგონა. უთოს კონსტრუქციაში გაჩნდა მნიშვნელოვანი ელემენტი თერმოსტატი, რომელიც აკონტროლებდა ტემპერატურას და თიშავდა გამაცხელებელ სპირალს. შეიცვალა უთოს ზედაპირიც. გახდა მინა-კერამიკული, რომელიც ქსოვილზე სრიალებს და აადვილებს გაუთოების პროცესს. უთოებზე მოეწყო დამნამავებელიც.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს უთოს განვითარების ამსახველი მუზეუმები. მათგან

ყველაზე ცნობილია საფრანგეთის ქალაქ რუბის მუზეუმი. უთოების განვითარების ისტორიის მუზეუმი არსებობს რუსეთის ქალაქ პერესლავში, რომელიც დაარსეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა 2002 წელს. მუზეუმში 100-მდე სხვადასხვა სახეობის უთოა წარმოდგენილი. მუზეუმში დაცულია უთოები და გასაუთოებელი მოწყობილობები, რომელებიც წარმოებულია არა მარტო რუსეთში, არამედ პოლონეთში, ბელორუსიაში და გერმანიაში. მათ შორისაა უნიკალური უთოები როგორიცაა: ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ლომის ფორმის უთო, რომელიც იმპერატრიცა პეტრეს ასულის (ელიზაბეტ დედოფლის) მოსამსახურეთა განკარგულებაში იყო არსებული. მინიატურული ათგრამიანი უთო სპილოს ძვლის სახელურით. სსრკ 60-იან წლებში წარმოებული ნახშირის და სხვადასხვა ტიპის უთოები.

მუზეუმის ფონდსაცავში ასევე საინტერესო კოლექციას შეადგენს სასწორების კოლექცია. დღეს პრაქტიკაში გამოიყენება მრავალი სახის სასწორი, როგორიცაა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამრეწველო, სააფთიაქო, საიუველირო და სხვა.

პირველი უმარტივესი სასწორი თანაბარმხარიანი ძელაკის სახით, რომელზეც ჩამოკიდებული იყო თეფშები, გამოჩნდა ძველ ბაბილონში ჩვენს ერამდე ორი ათასეუთასი წლის წინ. ამ სასწორების გამოყენება დაინტერეს ძველ საბერძნეთშიც გაცვლითი ვაჭრობის დროს. ერთ თეფში იდებოდა სხვადასხვა სახის საქონელი, ხოლო მეორეზე მეორე სახის საქონელი. შემდეგ გამოიგონეს გირები, რომელიც მისაღები გახდა ვაჭრებისათვის ძველ ბაბილონში. ისტორიაში პირველი წონის ერთეულთა სისტემას საფუძვლად დაედო არა ოქროს, ვერცხლის, პლატინის ან სხვა ძვირფასი ლითონის ფირფიტის წონა, არამედ ერთი ცალი ხორბლის მარცვლის წონა. გირები მზადდებოდა სხვადასხვა წონისა და ფორმის მასალისაგან. ამზადებდნენ ქვისა და ბრინჯაოსაგან. მსხლის, იხვის, ლომის და სხვა გამოსახულებით. სხვადასხვა ფორმის გირები ჩვენს კოლექციებშიც გვხვდება.

ასევე საინტერესო კოლექციაში დახლის სასწორი, რომელიც სავაჭრო დანიშნულებისაა. აქვს ორი თეფში და ორივე მხარე ორნამენტირებულია. ჩვენს ფონდებში დაცულია ათეულობით არათანაბარმხრიანი სასწორები, წარმოადგენენ ლითონის ძელაკს მუდმივი ტვირთით. ერთ მხარეს თეფშით ან გირით. მეორე მხარეს, სასწორის განონასწორება (საგნების ანონვა) ხდება ლითონის ძელაკის გასწვრივ გადასაადგილებელი გირის გადაადგილებით. ამავე ძალაკზე დატანილია სკალა, რომლის მიხედვითაც ხდება საგნის წონის გაანგარიშება.

სასწორი – მინიატურული, საიუველირიო (შესყიდულია მუზეუმის საფონდო შემსყიდველი კომისიის მიერ) 14 სმ. სიმაღლის. დამზადებულია ლატუნისაგან (სავარაუდოდ კუსტარული) ღერძზე ჩამოკიდებულია წვრილი ცეპებით 2 ცალი ქვაბისებრი თასი. წარწერები და ინიციალები არ აქვს.

რუსეთში XV საუკუნემდე წონისა და ზომის ხელსაწყოების მოვლა, შენახვასა და მათ გამართულობაზე პასუხისმგებლობა აღებული ჰქონდა ეკლესიას.

1842 წელს პეტერბურგში დაფუძნდა ზომისა და წონის ეტალონების დეპო, სადაც 1892 წელს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე დაინიშნა დიმიტრი მენდელეევი. დღეს ეს ორგანიზაცია იწოდება რუსეთის მეტროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად და ატარებს მენდელეევის სახელს. ჩვენი მუზეუმის ფონდსაცავში დაცული სასწორები და სხვადასხვა სახის გირებიც რუსული წარმოებისაა. (მუზეუმის ძირითადი საინვენტარო წიგნები №1,2,7,8 და 1972-1980 წწ. ექსპედიციების მასალები).

ისტორიულად ქართველი კაცი დაკავშირებულია ლითონის მოპოვებასა და წარმოებასთან. ლითონისაგან მზადდებოდა როგორც სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ასევე საბრძოლო ჯაჭვის პერანგები, ჩაფესუტები და სხვა მნიშვნელოვანი ნაკეთობები.

მუზეუმის კოლექციებიდან მნიშვნელოვანია ჯაჭვების კოლექცია. ჩვენს საცავში ინახება ბუხრის ათეულობით ჯაჭვი, რომლებიც ძირითადად რუსული წარმოებისაა. ასხმულია რკინის სეგმენტებით. აქვს ჩამოსაკიდი და ქვაბის საკიდი კაუჭი. ბუხრის ჯაჭვი XVIII საუკუნის მე-2 ნახევრიდან იხმარებოდა საქართველოს ყველა კუთხეში ბუხარში და კერაზე ჩამოსაკიდად. ჯაჭვები ასევე გამოიყენებოდა ჭაზე, ჭახრაკზე ჩამოსაცმელად, შეშის გამოსათრევად, გემებზე და სხვაგან (გაზეთი “ფუხარა” 1923. №20).

**ლიტერატურა:**

1. ტარნოვსკი – „აჭარის ასსრ მრეწველობის წარსული“  
აჭმ. ხელნაწერთა ფონდი №310/382
2. ხ. ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ძირითადი საინვენტარო  
წიგნები 1972-1975 წ.სამეცნიერო ექსპედიციის მასალები. (უთოები, ჯაჭვები და სასწორები).
3. გაზეთი „ფუხარა“ 1923 წ. №20
4. დ. ბეროშვილი – „მრეწველობის განვითარება აჭარის ასსრ სტალინური  
ხუთწლედების მანძილზე“ აჭმ.ხელნაწერთა ფონდი 363/516 გვ. 6-8

NATO TSETSKHLADZE,  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum

## MUSEUM COLLECTIONS: (IRONS, SCALES, CHAINS)

Collections of a museum importance – including irons, scales and chains are brought to the museum as a result of scientific ethnographic expeditions and collected from local population of various villages from 70's of the last century.

Coal irons of Russian production which were heated by embers are kept in the museum fund among irons made in the XVIII-XIX centuries. They were produced up to 60's of the 20<sup>th</sup> century. Production of gas and spiritus irons began at the beginning of the XIX century.

The first electric iron appeared in 1882. The collection of scales is also interesting. Nowadays round scales such as: domestic, trade, industrial, pharmaceutical and other types are used.

Historically Georgians are associated with getting and producing metal, agricultural weapons and battle shirts, helms and other important workmanships were made of metal.

From the 2<sup>nd</sup> half of the 18<sup>th</sup> century a chain for hanging over the fireplace was used in Ajara as in all regions of Georgia. Chains were used also for putting on a well winch, for wood pulling, on board the ships, etc.




ბუხრის ჯაჭვი



გაზის უთო



დახურული ტიპის უთო



დახლის სასწორი




მუზეუმი-რუსეთის ქალაქ პერესლავში




ნახშირის უთო



ნახშირის უთო



ხელის სასწორი



სპირტის უთო



უთო რუსული წარმოების



საიუველირო სასწორი



სამზითვო უთო



ფონდებში დაცული ჯაჭვები

რუსულან კოპრაცი

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი

## ქველი პათუმის სასტუმროები

ბათუმის რუსეთთან შეერთების, განსაკუთრებით კი პორტო-ფრანკოს (1878 წ.) გამოცხადების შემდეგ დაიწყო მისი ეკონომიკის გიგანტური ზრდა. ქალაქის ტერიტორია სწრაფად იზრდებოდა სილრმეში კახაბრის დაბლობზე. 1883 წ. გაყვანილი იქნა სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზი, რომლითაც ბათუმი დაუკავშირდა თბილისა და ბაქოს, ხოლო შემდეგ დერბენტისა და ჰეტროვსკის გზის გაყვანით-კავკასიასა და მთელს რუსეთს. ბათუმის პორტმა შეიძინა მსოფლიო მნიშვნელობა თავისი ტვირთბრუნვით. 1888 წლის 1 ოქტომბერს ბათუმში შემოღებული იქნა საქალაქო მდგომარეობა და ახალმა საზოგადოებრივმა თვითმმართველობამ მთელი საქმიანობა მიმართა ქალაქის ტერიტორიის გაფართოებისაკენ, ცხოვრების სანიტარული პირობების გაუმჯობესებისა და ქალაქის მორთვა-გალამაზებისაკენ. ქ. ბათუმის ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად გამოცხადებისთანავე დაიწყო მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რომლის რაოდენობა 1878 წელს 3 ათასიდან 1882 წლისთვის გაიზარდა 8670 კაცამდე. 1890 წ. აღნერით ქალაქში უკვე ირიცხებოდა 18113 კაცი, 1897 წელს- 28156, 1907 წელს კი 33543. ამ პერიოდში ბათუმში გამოჩნდნენ პიონერები მიწის ნაკვეთების დამუშავების საქმეში. სანაპიროზე დაიწყო ახალი მეურნეობების შექმნა.

ბათუმის მთავარი მნიშვნელობა რუს მფლობელებთან შეერთების მომენტისათვის უპირველესად განპირობებული იყო მისი მსოფლიო მნიშვნელობის პორტით. პორტში სცემდა ყოველთვის მისი ცხოვრების პულსი. ის იყო წყარო მოსახლეობის გამდიდრებისა და ქალაქის ასეთი ინტენსიური ზრდისა. მართლაც, მოხერხებულმა ბუნებრივმა ყურემ, მომგებიანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ მთელი ამიერკავკასიის შესასვლელთან, უმოკლესმა ტრანზიტმა სპარსეთსა და შუა აზიაში მტკიცე რეპუტაცია შეუქმნეს ბათუმის პორტს. ბათუმის გავლით გავიდა მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ტვირთი, რომელიც შეადგენდა მთელი ექსპორტის 80%-ს, ასევე მარგანეცი და სხვა ნედლეული. არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდებოდა საზღვარგარეთის მსხვილი ფირმების ქარხნების რიცხვი და უმთავრესად ეს იყო ნავთობის გასაგზავნი ტარის (ბიდონების) დამამზადებელი ქარხნები.

რამდენიმე წელს ასეთი ციებ-ცხელებით შემოსული კაპიტალი თითქმის მთლიანად ხმარდებოდა ქალაქის კეთილმოწყობას. საუკეთესო საზოგადოებრივი შენობებისა და სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა, საავადმყოფოების, ელექტროსადგურისა და ქალაქის განათების მოწყობა, ჭაობების ამოშრობა, წყალგაყვანილობის გაყვანა, ქუჩების გამწვანება-ყოველივე ეს გაკეთდა ბათუმის და უფრო სწორად მისი პორტის აყვავების პერიოდში (C. Соловкин. 1913. 20-210).

ბათუმის წყნარ ყურეში შემოდიოდნენ როგორც შინა, ისე საზღავრგარეთ ნაოსნობის გეგმები და ჩერდებოდნენ ქალაქის ცენტრში მდებარე ნავმისადგომებთან. რუსული სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებების გარდა, ბათუმში ბევრი იყო ევროპის ქვეყნების საზოგადოებები, რომელიც ხელს უწყობდნენ სწრაფ საფოსტო ოპერაციებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის პორტებს შორის. ესენი იყვნენ: რუსეთ-დუნაის ორგანიზაცია, ფრანგული სანაოსნო ორგანიზაცია „პაკე“, „მესსაუერი-მარიტიმი“, ჩრდილო-გერმანული „ლოიდა“, ავსტრიის „ლოიდა“,

იტალიის ნაციონალური საზოგადოება და სხვა. აქვე სანაპიროზე მდებარეობდა საპაფო, საპორტო სამმართველო, საზღვაო სანაოსნოს კანტორა და საწყობები, სამხედრო გუბერნატორის კანცელარია და სხვა. გემების ნავმისადგომიდან ყურისაკენ ერთი მხრივ და რკინიგზის სადგურიდან მეორე მხრივ იწყებოდა ქალაქის საუკეთესო კვარტალები საუკეთესო ქუჩებით. ამ ცენტრალურ ქუჩებზე მდებარეობდა ქალაქის პრესტიული სასტუმროები. სამწუხაროდ ქალაქში არ იყო სპე-

ციალური პანსიონები ავადმყოფთათვის და მათი არ არსებობა იყო ბათუმის სუსტი ადგილი. საკვირველი ის იყო, რომ კერძო პირები დიდი გაუფრთხილებლობით აქირავებდნენ თავიანთ ბინებს დროებით ჩამოსულებზე.

საერთოდ საბინაო საკითხი ბათუმში იყო მეტად მწვავე. ბინები არ იყო საკმარისი, კარგი ბინები იყო დასწრებაზე და გადადიოდა ხელიდან ხელში, ფასები იყო მაღალი, სახლები ცოტა.

სასტუმროებში საუკეთესო ნომრები არ ღირდა 2 მანეთზე ნაკლები, ფასების სეზონური ზრდა არ ხდებოდა. ყველა საუკეთესო სასტუმროსთან იყო რესტორანი (Соловкин: 38) უნდა ალინიშნოს, რომ ბათუმში ცხოვრება არ იყო ძვირი კავკასიისა და ყირიმის სხვა კურორტებთან შედარებით. კარგი ავეჯიანი ოთახის შოვნა შეიძლებოდა 25-40 მანეთად. მაღაზიებში შეიძლებოდა ყველაფრის შოვნა რაც საჭირო იყო ოჯახში მოხმარებისათვის. საბაზრო ფასები პროდუქტებზე არ იყო მაღალი. ძვირი იყო ბაყალეა და განსაკუთრებით მანიფაქტურული საქონელი, ფეხსაცმელი, ავეჯი, იმიტომ რომ ყველაფერი ეს იყო შემოტანილი.

სწორად დაგეგმილი ქუჩები გამწვანებული სუბტროპიკული ფლორის ხეებით, სამთავრობო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებების ლამაზი შენობები, კარგი მაღაზიები, ელექტრონული განათების ფანრები, მოასფალტებული ტროტუარები – ყოველივე ეს ბათუმს აძლევდა ევროპული ქალაქის იერს. მაგრამ ამ საუკეთესო ქუჩების – ბულვარის, სმეკალოვის, მარინსკი პროსპექტის, დონდოვუკო-კორსაკოვის, შეპელოვის, ზღვის ქუჩების რიგში იყო ღარიბი და უსუფთაო აზიური კვარტლები, სადაც იდგა ძველი სახლები. ეს კვარტლები ვიწრო და ბევრი მოსახვევებით სანაპიროს აკავშირებდა თურქულ ბაზართან. ქალაქის მოსახლეობის ჭარბ ნაწილს შეადგენდნენ ქართველები-გურულები, შემდეგ მოდი-ოდნენ სომხები-ბერძნები, თურქები, სპარსელები, აჭარლები (მუსლიმანი ქართველები), ებრაელები. გარეუბნებში დახეტიალობდნენ ქურთები-მშვიდობიანი და შრომისმოყვარე ხალხი, იყვნენ ჩამოსახლებული აფხაზები, ზანგების შთამომავლების რამდენიმე ოჯახი. რუსი მოსახლეობა არ იყო მრავალრიცხოვანი. ესენი იყვნენ სამხედროები, სანაპიროზე მიწის ნაკვეთების მფლობელები, ჩინოვნიკები, რომლებიც მსახურობდნენ რუსულ სანაოსნო ორგანიზაციებში. ხელოსნები, დურგლები, მღებავები, მოახლეები. ბათუმში იყო თითქმის ყველა ევროპული და აზიური სახელმწიფოს 15 საკონსულო. ქალაქი დაყოფილი იყო 4 საპოლიციო უბნად, რომლებიც ატარებდნენ ძველ თურქულ სახელებს: აზიზიე, აბმედიე, ნურიე და მუფთიე. ყოველ მათგანს ჰქონდა თავისი საყოფაცხოვრებო ფიზიონომია (Соловкин: 40-41).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა I და II უბანი, ქალაქის სავაჭრო ნაწილი – აქ გახსნილი უამრავი წვრილი სავაჭრო დუქნებით. აქ სახლების პირველ სართულებში განთავსებული იყო მაღაზიები და დუქნები. ამ სავაჭრო ნაწილის უპირატესობა ის იყო, რომ ის გადაჭიმული იყო სანაპიროზე, სადაც ყველაზე მეტად შესამჩნევად სცემდა ბათუმის ცხოვრების პულსი. სანაპიროზე მიმოსვლა არ წყდებოდა არც დღისით და არც ღამით. აქ მაღაზიებს ევროპული გემოვნების ადგილობრივი მკვიდრი – ქართველი მუსლიმანები გაურბოდნენ. აქ შეხვდებოდით ალმოსავლელ ქალებს, რომლებიც თავიდან ფეხებამდე შემოსილი იყვნენ მუქი ფერის ბალახონებით და მჭიდროდ ჰქონდათ პირი აკრული (Анисимов. 1911. 131-133). აქ პირდაპირ ტროტუარებზე იყო გახსნილი მრავალრიცხოვანი საყავეები, სადაც ათეულობით ეროვნების ადამიანთა ნახვა შეიძლებოდა, განსაკუთრებით თურქების და ბერძნების, რომლებიც ჩაფიქრებით სვამდნენ ყავას ან თამაშობდნენ ნარდს. სანაპიროზე ასევე შეხვდებოდით რუსული და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების გემების მატრისებს, რომლებიც ჩამოდიოდნენ ბათუმის ყურეში მსოფლიოს ყველა კუთხიდან. აქვე სანაპიროს ნაწილი ეკავა ნავებს მეთევზეებთან ერთად. მეთევზეები აქვე ყიდნენ თავიანთ საქონელს. სანაპიროსთან ახლოს მდებარეობდა ქალაქის სიამაყე – თურქული ბაზარი. აქ განლაგებულ ასობით სავაჭრო დუქნში იყიდებოდა ყველაფერი, რასაც იცვამდა და რითაც იკვებებოდა ადგილობრივი მკვიდრი. ასევე რაც შეიძლება მოეთხოვა ნაპირზე ჩამოსულ მატროსს. მრავლად იყო სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი და

საიუველირო დუქნები, სადაც იყიდებოდა ალმოსავლური სტილის სამკაულები, იყო ყაბალახებისა და ბამბის საბნების დამამზადებელი დუქნები, რომლებშიც იქვე მაყურებლების თვალწინ ამზა-დებდნენ ნივთებს. (გვ.5) აქვე ნახავდით ლამაზ თურქულ სკივრებსა და მკვეთრ ფერებად შეღებილ საბავშვო აკვნებს, ადგილობრივ ფეხსაცმელს – წულებს, ტანსაცმელს, რუსულ მანიფაქტურულ ნაწარმს, ნოხებს, ფარდაგებს, აპრეშუმს – შუა აზიურს, თუნუქის ნაწარმს და სხვა. ქალაქის ეს ძველი თურქული ნაწილი იყო ადგილობრივი მკვიდრების ყველაზე საყვარელი ადგილი, სადაც წას-ვლა შეიძლებოდა როგორც საქმეზე, ასევე უსაქმოდაც.

სწორედ ქალაქის ამ ხალხმრავალ, ხმაურიან ადგილებში იყო განთავსებული საუკეთესო სასტუმ-როები, რომლებიც ყოველთვის გადატვირთული იყო სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრე-ბით .თითქმის ყველა სასტუმრო აშენებული იყო ქალაქში მიმდინარე სამშენებლო ბუმის პერიოდში XIX საუკუნის 80-90-იან წლებში.

სანაპიროზე ყველაზე ლამაზი სანახავი იყო ორი ერთმანეთის გვერდი-გვერდ მდგომი შენო-ბა, რომლებშიც განთავსებული იყო სასტუმროები „ბელ-ვიუ“ და „ორიენტალი“. ეს სასტუმროები მოიცავდა მთელ კვარტალს და გადიოდა 4 ქუჩაზე ლორის მელიქოვის (ამჟ.ნ. უორდანიას), სომხის შესახვევის, ელიავასა და ქუთაისის ქუჩაზე.

სასტუმრო „ბელ-ვიუ“ მდებარეობდა ქ.ბათუმში გოგებაშვილის ქ. №8. წყაროების მიხედვით ეკუთვნოდა კურტ-ოლოის, ხოლო შემდეგ ჩალინგარიანს. სასტუმროს ჰერინდა ზღვისა და ქალაქის გარეუბნების საუკეთესო ხედი. ნომერი ღირდა 1 მანეთი. იყო განუმეორებელი სისუფთავე და სიხალვათე (Державин. 1902: 96.Н.Веру 1910: 71) საბჭოთა პერიოდში ამ შენობაში განთავსებული იყო აჭარის არ შინაგან საქმეთა სამმართველო. 2006 წელს შენობა დაანგრიეს. ამჟამად ამ ადგილზე მიმდინარეობს იმავე ტიპის სასტუმროს მშენებლობა.

სასტუმრო „ორიენტალიც“ გოგებაშვილის ქ.№8 მდებარეობდა. ეს იყო პირველი კლასის სას-ტუმრო ქალაქის საუკეთესო ნაწილში პორტისა და სავაჭრო კანტორების ახლოს, ზღვის ხედით. სასტუმროს ჰერინდა მშრალი და ნათელი ნომრები, რომლებიც ღირდა 1 მანეთი და უფრო ძვირი. ფუნქციონირებდა პირველი კლასის რესტორანი, ზღვისა და მტკნარი წყლის აბაზანა. სასტუმროს ჰერინდა ელექტრონული განათება. იყო უურნალები და გაზეთები ადგილობრივ, რუსულ და საზღ-ვარგარეთულ ენებზე, იყო ტელეფონი, ჰელიკონი. შენობა იყო კურტ-ოლოის, სასტუმროს მფლობელი კი იყო ე.ს.ბერძენიშვილი. (Веру : 73)საბჭოთა პერიოდში ამ შენობაშიც განთავსებული იყო აჭარის არ შინაგან საქმეთა სამინისტრო.2004 წელს სამინისტრო გაუქმდა და იგი ფედერალურ დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო შენობა აუქციონის წესით ინვესტორმა შეიძინა. ამჟამად აქაც შენდება პირვანდელი სახით ახალი სასტუმრო-კომპლექსი.

იმ პერიოდისათვის საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა სასტუმრო „ფრანცია“, რომელიც მდე-ბარეობდა მიხეილისა და სვიატოპოლქ-მირსკის ქუჩების კვეთაში (ამჟ.ზ.გამსახურდიას 6, მელაშ-ვილის 10) – ქალაქის სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციების, სამთავრებო დაწესებულებების, ნავმისადგომის, ზღვისპირა ბულვარის ახლოს. სასტუმროში იყო სრული კომფორტი. ნომრების ფასი იწყებოდა 1 მანეთიდან. სასტუმროს ჰერინდა ტელეფონი, აბაზანა და რესტორანი საუკეთესო ევროპული და აზიური კერძებით. ჰელიკონი და კომისიონერი. სასტუმროს მესკუთრე იყო ბახმეტიევი, ხოლო შემნახველი – რ.კაზიანი. სასტუმროს I სართულზე მოთავსებული იყო კაზიანის თამბაქოს მაღაზია, სადაც იყიდებოდა სხვადასხვა ფირმის თამბაქოს ფაბრიკების სიგარეტები და პაპიროსები, ასევე საგალანტერიო საქონელი (Державин: 97.Веру74) 1922 წ. მოხდა შენობის ნა-ციონალიზაცია. საბჭოთა პერიოდში შენობის I სართულზე ფუნქციონირებდა რესტორანი „ბათუმი“. ამჟამად აქ სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია, ხოლო II სართულზე მცხოვრებლები.

ძველ ბათუმში მიხეილისა და ოკლობურინსკის (ამჟ.ზ.გამსახურდიას 13. მ. კოსტავას 5) ქუჩების

კვეთაში სანაოსნოების ნავმისადგომებთან ახლოს და სავაჭრო-სამრეწველო მაღაზიების ცენტრში განთავსაებული იყო სასტუმრო „ლონდონი“. სასტუმრო აღჭურვილი იყო სრული კომფორტით. აქ ფუნქციონირებდა რესტორანი ევროპული და აზიური სამზარეულოთი, სადაც კერძებს გამოცდილი კულინარები ამზადებდნენ. სასტუმროს ჰერნდა შესანიშნავი ბალი „ვერანდა.“ ნომრები ღირდა 75 კაპიკიდან 3 მანეთამდე. სასტუმროს მესაკუთრები იყვნენ კეჭეყმაძე, ღლონტი და ბიუკლი ზადე. ხოლო შემნახველები და ვ. ბ. გაბელია. (Bepy 72) 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია და აქ „ბათუმმრეწვაჭრობის“ კანტორა განათავსეს, რომელიც XX ს. 90-იანი წლებამდე ფუნქციონირებდა. შემდევ შენობა გასხვისდა და 2012 წ. 26 ივლისს ყოფილი სასტუმრო „ლონდონის“ ტერიტორიაზე ახალი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი, რომლის მშენებლობისათვის 10 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო აზერბაიჯანულმა კომპანია „დივან სუიტ ჯგუფმა“. ბათუმის მერიისა და ნახიჭევანის მხარის შეთანხმებით, სასტუმრო „ლონდონი“ უნდა აღდგენილიყო პირვანდელი სახით. (გაზ. „აჭარა“ 28-30 VII 2012). მართლაც 2014 წ. 14 მაისს აქ ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „დივანი“ გაიხსნა. სასტუმრო მოიცავს 65 ნომერს, ორ საკონფერენციო დარბაზს, გამაჯანსარებელ სპა ცენტრს. გამოირჩევა კეთილმოწყობითა შთამბეჭდავი არქიტექტურით. ნომრების ფასი 100-დან 250 დოლარამდეა. (adjara. Gov. ge.)

I კლასის სასტუმრო „ევროპა“ მდებარეობდა ქალაქის ცენტრში 3 ქუჩაზე – ლორის მელიქოვის, ქუთაისის და სავაჭრო (ამჟ. უორდანიას 5, ქუთაისის 9 და ელიავას 1). სავაჭრო კანტორების, სანაოსნოების, ნავმისადგომების და მთავარი მაღაზიების ახლოს. სასტუმროს ჰერნდა მშრალი და ნათელი ოთახები ზღვისა და ქალაქის შემოგარენის ხედით. ყველა ოთახში იყო ელექტრონული განათება. ფასები მერყეობდა 75 კაპიკიდან 5 მანეთამდე დღე-ლამეში. სასტუმროს ჰერნდა ტელეფონი. შენობა იყო კუცურის, ხოლო შემნახველი იყო ნ. გ. სიხარულიძე (Державин: 97.Bepy71). ამ სასტუმროში ბათუმში ყოფინის დროს 1883- 1886 წლებში ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია და აქ მცხოვრებლები შეასახლეს. ამჟამად ამ სახლში რამდენიმე ოჯახი ცხოვრობს. შენობის ერთ კედელზე გაკრულია მემორიალური დაფა წარწერით: „ამ სახლში 1883-1886 წლებში ცხოვრობდა დიდი ქართველი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგი“.

ასევე I კლასის სასტუმრო იყო სასტუმრო „იმპერიალი“, რომელიც მდებარეობდა ქალაქის ცენტრში ქუთაისის, ოკლობუინსკისა და ლორის მელიქოვის ქუჩებზე (ამჟ. ქუთაისის 8, კოსტავას 5, უორდანიას 6) მდებარე ტაიროვის სახლის II სართულზე. სასტუმროს ჰერნდა სუფთა და მოხერხებული ოთახები ელექტრონული განათებით, აბაზანა, ბუფეტი და რესტორანი ევროპული და აზიური კერძებით, ადგილობრივი, კახური და რეგიონული ღვინით, ლუდით. სადილი 2-3 იჯარისაგან შემდგარი ღირდა 60-80 კაპიკი. სასტუმროში იყო საბანკეტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და პიანინო. სასტუმროს შემნახველი იყო არშაკ მუშელოვი. (Bepy72) 1918-1921 წწ. სასტუმროს ერქვა „ნოე“. ამ პერიოდში აქ რამდენიმე დღით ცხოვრობდა პოეტი სერგეი ესენინი. 1922 წ. განხორციელდა შენობის ნაციონალიზაცია. საბჭოთა რეჟიმის დროს სასტუმროს ერქვა „ინტერნაციონალი“ და შედიოდა „ინტურისტის“ გაერთიანებაში. ამჟამად ამ შენობაში მცხოვრებლები და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებია.

სასტუმრო „პეტერბურგსკაია“ მდებარეობდა დონდუკოვო-კორსაკოვისა და სკობოლევის (ამჟ. კ. გამსახურდიას 20 და 6. იმანძის 2) ქუჩების კვეთაში მარინსკი პროსპექტის, ბულვარის და კომერციული ცენტრის ახლოს. ნომრები ღირდა 75 კაპიკიდან დღე-ლამეში. სასტუმროს ჰერნდა ტელეფონი, აბაზანა. ყველა ნომერი იყო ნათელი, მაღალი ჭერით, კომფორტული, სუფთა. ჰერნდა პირველი კლასის რესტორანი საუკეთესო ფირმების საზღვარგარეთული სასმელებით. რესტორანთან იყო ფრებერის ფირმის სამი ბილიარდი. სასტუმროს შემნახველი იყო ათანაძე თავდიშვილი, ხოლო შენობა ეკუთვნოდა ვიტუშინსკის. (Державин: 97.Bepy73). ამჟამად შენობის II სართულზე მცხოვრებლებია, I სართულზე სხვადასხვა ფირმების მაღაზიები.

სასტუმრო „სევერნი პოლუსი“ მდებარეობდა შეპელოვისა და ვლადიკავკაზის ქუჩეში (ამჟ. ვაჟა-ფშაველას 35, ფარნავაზ მეფის 74) სასტუმროს მეპატრონე იყო ეკატერინე მავროპულო. შენობა იყო ორსართულიანი 17 ოთახით. | სართულზე განთავსებული იყო აფთიაქი (Bepy.57) 1922 წ. მოხდა შენობის მუნიციპალიტაცია. და აქ მცხოვრებლები შეასახლეს ამჟამად სახლი სამსართულიანია და საცხოვრებელი ფუნქცია აქვს.

ხულოს ქ. №8 განთავსებული იყო სასტუმრო „მასკვა“. ამ სასტუმროში 1894 წ. გაზაფხულზე რამდენიმე დღე ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი. როცა იგი უკვე მძიმედ იყო ავად. თვითონ ე. ნინოშვილი ასე აღწერდა ბათუმში ჩამოსვლას „20 მარტს, როგორც იყო, გამოვემგზავრე ბათუმისაკენ. ვესტუმრე ბათუმს, მაგრამ ვაი ამ სტუმრობას! სახლები ბლომად არის ბათუმში, რომ გვეგონა, სულ მთელ ბათუმში ოთხი აღმოჩნდა ცალკე გასაქირავებელი, ისიც ჩვენი გემოვნების არა, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ მე ავადმყოფი ვარ უარი თქვეს. მივმართეთ „გასტინიცას“ ღამე იყო, რომ მივედით და მიგვიღეს, მაგრამ მეორე დღეს, როცა მიტკლისფრად თეთრს ჩემს „სახე-სკელეტს“ შეხედეს, გამოგვხედეს: მიბრძანდით, ავადმყოფს ნომერს ვერ მივაქირავებთო, რადგან სხვა პასაჟირები დაგვიფრთხებაო. რაღა გვექნა, მოვიცადეთ დაღამებამდის (ვითომდა კარგად ვერ დაგვინახავენ სახესო) და დაღამებულში შევატყუეთ თავი ერთ სასტუმროს პატრონს“. ამ სასტუმროს ერთ პატარა ოთახში მოათავსეს სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭული სახელოვანი მწერალი. მან აქ რამდენიმე დღე დაჲყო. ოთახს პატარა სარქმელი ჰქონდა. შიგ იდგა ერთი საწლი, პატარა მაგიდა, სკამი და ლამპა. ოთახი ნესტიანი იყო. საჭმელ-სასმელი მეგობრებს მოჰქონდათ. ბათუმის ჰავამ უარყოფითად იმოქმედა ავადმყოფზე. მისი ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ეგნატემ მშობლიურ სოფელში დაბრუნება ითხოვა და 1894 წ. 30 აპრილს გარდაიცვალა მშობლიურ სახლში. ამჟამად ამ სახლს, სადაც ბათუმში ყოფნისას ბოლო დღეები გაატარა ე. ნინოშვილმა, მემორიალური დაფა აქვს წარწერით: „ამ სახლში 1894 წლის მარტში ცხოვრობდა ქართული ლიტერატურას კლასიკოსი ეგნატე ნინოშვილი“ (ბათუმის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, 1970. 13)

სასტუმრო „დვორცოვოე“ მდებარეობდა თბილისისა და სკობოლევის (ამჟ. ბარათაშვილის 25, იმნაძის 6) მდებარე შენობაში. ეკუთვნოდა ტეროგანოვს. 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია და იქ ოჯახები შეასახლეს. ამჟამად სახლს მრავალფუნქციური დანიშნულება აქვს.

სასტუმრო „ნეაპოლი“ მდებარეობდა სანაპიროს, თათრისა და ქუთაისის ქუჩების კუთხეში (ამჟ. გოგებაშვილის 22, ხულოს 2, ქუთაისის 2) მდებარე შენობაში. ეკუთვნოდა მემლი ზადე სანდას და საბლე ეფენდის. 1922 წ. მოხდა შენობის ნაციონალიზაცია. შენობის I სართულზე 1948 წ. გაიხსნა ბავშვთა სამხატვრო სკოლა, რომლის დირექტორად წლების მანძილზე მუშაობდა აჭარის დამსახურებული მხატვარი შოთა ზამთარაძე. სასწავლებელი ამჟამად ფუნქციონირებს, ხოლო სახლის II სართულზე მცხოვრებლებია. შენობაზე გაკრულია ორი მემორიალური დაფა, რომელიც გვამცნობს, რომ ამ სახლში 1905-1908 წ. ცხოვრობდა პოლონელი მხატვარი ზიგმუნდ ვალიშევსკი, ხოლო 1950-1979 წ. აჭარის დამსახურებული მხატვარი გრაჩ სეჩენიანი.

სასტუმრო „არმენია“ მდებარეობდა მიხაილოვის და ოკლობუნისკის (ამჟ. ზ. გამსახურდიას და 6. კოსტავას 12) ეკუთვნოდა გევორქიანს. ამჟამად ამ შენობაში მცხოვრებლებია.

სასტუმრო „თეატრალური“ მდებარეობდა თეატრალურის ჩიხში №2 ცირკის უკან, ეკუთვნოდა ნეიმანს. ამჟამად აქ მცხოვრებლებია.

სასტუმროებთან ერთად ქალაქში იყო ე. წ. „მებლირებული ნომრები“ – ავეჯიანი ოთახები, რომებიც ასევე კარგად ქირავდებოდა. ასეთი იყო „ბორჯომი“ | კლასის ნომრებით. მდებარეობდა მიხაილოვის (ახლ. ზ. გამსახურდიას ქ. №34) შემნახველი იყო ს. დ. ტერტერიანი. აქ იყო გარემონტებული მშრალი და სუფთა ნომრები, რომელთა ფასი მერყეობდა 50 კაპკიდან 2 მანეთამდე (H. Bepy. 71).

„გერმანია“ ავეჯიანი ნომრები -მდებარეობდა კათოლიკეს (ახლ. ვ. გორგასალის) ქუჩაზე ბე-ჟანიძის სახლში.

„კომერციული“ – მდებარეობდა კომაროვის (ამჟ. დ. თავდადებულის) ქუჩაზე იანოვსკის სახლში.

„თბილისი“ – მდებარეობდა ერისთავის (ამჟ. მაზნიაშვილის) ქუჩაზე საბაევის სახლში, შემნახ-ველი იყო დიასამიძე.

„იალტა“ – განთავსებული იყო სვიატოპოლკ-მირსკის (ამჟ. ახმედ მელაშვილის) ქუჩაზე ხაჯი ეფენდის სახლში.

ამრიგად, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ბათუმში საქართველოს კუთხეებიდან და საზ-ლგარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული აუარებელი ხალხი ირეოდა, ბინებზე და სასტუმროებზე დიდი მოთხოვნილება იყო. სწორედ ამ ეკონომიკური აღმავლობისა და სამშენებლო ბუმის პერიოდში აშენდა ქალაქის საუკეთესო სასტუმროები. სასტუმროები ყოველთვის გადატვირთული იყო ხალხით. ნომ-რების ფასი მერყეობდა 1-დან 5 მანეთამდე. ყველა სასტუმრო აღჭურვილი იყო სრული კომფორტით.

#### **ლიტერატურა:**

1. С.С. Соловкин. Батумское побережье. Южная колхида. краткий практический путеводитель. Батумъ 1913.
2. Батумское побережье.” Русские тропики” сборникъ статей подъ ред. С.А. Анисимова. Батумъ. 1911
3. Всеобщий Адресъ Эжегодникъ г. Батума на 1902 годъ Н. С. Державина Батумъ. 1902 г
4. Батумъ и его окрестности въ описании Н. А. Веру. Батумъ 1910 г
5. 6. აბულაძე. ძველ ბათუმს სასტუმრო „ლონდონი“ დაუბრუნდება. გაზეთი „აჭარა“ 2012 წ. 28-30 ივლისი №86 გვ.1
6. Список муниципализированных домов. согласно декрета АССР за №4 Дополнение декрету №4. газета “Известия” 15 апреля 1922 г
7. ბათუმის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები. გზამკვლევი. ბათუმი 1970. გვ. 13.

**RUSUDAN KOBRAVA**  
Khariton Akhvlediani Adjara State Museum

#### **NOTELS OLD BATUMI**

After of joining Batumi with Russia, and especially after the announcement Porto Franco (1878), the giant growth of Batumi economy began, which further contributed to the withdrawal of the railway line in 1883 and also in 1900 the withdrawal of Batumi-Baku oil pipeline. On October 1 the city self-governance was introduced and expansion of city areas began. Batumi Port has acquired the first importance. The ships of the internal navigation and the ships of the abroad entered the Batumi Gulf. In addition to the Russian trade and navigational societies, there were many societies of European countries that facilitated rapid postal flights between the ports of all countries of the world. Batumi soon became the city of factory-factories and involved in the rhythm of trade and industrial life. The number of population has increased. The uninhabited people were in the city who came from different regions of Georgia and abroad. So it was a great demand for apartments and hotels. In the period of this economic resurgence and construction boom, In the 80s and 90s of the 19th century, the best hotels of the city were built: «Bellevue», «Oriental», «Europe», «France», «London», «Imperial», «Peterburgskaia», «Mosku», «Napole» and others. Hotels were always busy with the guests. The price of the rooms was from 1 to 5 manat. All the hotel was equipped with full comfort. All of them were electronic lighting, telephone, bathroom, bar and restaurant.



ყოფილი სასცუმრო (დვორცოვო) ბარათაშვილის  
25-იმნაბის 6



ყოფილი სასცუმრო (ევროპა) ქუთაისის 9 –  
უორდანიას 5



ყოფილი სასცუმრო (მასკვა) ხულოს 8



ყოფილი სასცუმრო (წეაბოლი) გოგებაშვილის 22  
– ხულოს 2



ყოფილი სასცუმრო (პეტერბურგსკია) 3.  
გამსახურდიას 20-იმნაბის 2



ყოფილი სასცუმრო (სევერნი პოლუსი) ვაჟა-  
ფშაველას 35-ფარნავაზ მეფის 74



ყოფილი სასცუმრო (ფრანგია) №.  
გამსახურდიას 6-მელაშვილის 10



ყოფილი საცუმრო  
(იმპერიალი) ქუთაისის  
8 – კოსტავას 5



ყოფილი სასცუმროები (ბელვიუ და ორიენტალი)  
გოგებაშვილის ქუჩა #8

### თამილა კოშორიძე

გორის მუნიციპალიტეტის სერგი მაკალათიას სახელობის  
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ეთნოლოგიის დოქტორი

## „ქადაგის“ სოციალური ფუნქციის საკითხების შიდა ერთობის ხალხურ დღესასწაულები

ქართული ხალხური დღესასწაული მეტად რთული შინაარსისაა. მასში წარმოდგენილია ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურის რწმენის და წესების ერთგვარი ნაერთი. მათი გარკვეული ნანილი უნივერსალურია მთლიანად საქართველოსთვის, ხოლო გარკვეულ ნანილში შეიმჩნევა ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტები.

ხალხური დღეობების კვლევისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს მისი ცენტრალური ფიგურის-ქადაგის ადგილი და როლი დღესასწაულის წარმართვაში.

შიდა ქართლში ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: დიდ ხატებსა და სალოცავებში მოსახლეობა უკვე დადგენილი წესის – საეკლესიო კალენდრის მიხედვით მიდიოდა. მათ აქ აუცილებლად ხვდებოდა „ნათე“ ან „ქადაგი“, რომელთაც გარკვეული როლი ეკის-რებოდათ დღესასწაულის სწორად წარმართვაში. „ტერმინი ქადაგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. ეს სიტყვა იმ პიროვნების აღსანიშნავად იხმარება, რომელიც ხალხის წარმოდგენით ღვთაების ნება-სურვილს აუწყებს მათ, მისი პირით ლაპარაკობს, ხალხსა და ღვთაებას შორის მოციქულობს“ [ოჩიაური 1954: 4]. ქადაგის ასეთი გაგება მხოლოდ ხალხშია დამოწმებული. ქართული ლიტერატურული ძეგლები ქადაგად თვლიან ზოგადად ვინმეს მაგივრად მოლაპარაკეს.

სულხან საბა ორბელიანის განმარტებით ქადაგი არის „მაღალი მძახებელი სწავლისა“ [ორბელიანი 1928: 123]. ესეც ტერმინის ზოგადი განმარტებაა.

ხალხური გაგებით ქადაგს პირველად ვახუშტი ბატონიშვილი ეხება. მართალია ის ფშაველი ქადაგის შესახებ საუბრობს, მაგრამ წარმოგვიდგენს ისეთ სურათს, რომელიც თითქმის უნივერსალურია მთელი საქართველოსთვის: „და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წამოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელქმნილი და ღალადებს მრავალსა მაგიერად წმიდისა გიორგისა, და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ბჯერ იჩენენ უმეტეს ჭეშ-მარიტებასასა“ [ბატონიშვილი 1941: 92].

სამეცნიერო ლიტერატურაში როდესაც ქადაგობის ინსტიტუტზე საუბრობენ, აუცილებლად გულისხმობენ საქართველოს მთის რეგიონებს. ცნობები ბარში ქადაგთა შესახებ გაბნეულია მხოლოდ ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში და განისაზღვრება რამოდენიმე კორესპონდენციით [კავკა 1853. №58, სახალხო გაზეთი 1871:№3' დროება 1872: №8, ცნობის ფურცელი 1899: № 808 და სხვ].

ჩვენ მიერ მოძიებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, შიდა ქართლში ქადაგები იყვნენ: არბოს წმინდა გიორგიში, სარკეში, ატოცში, ძელიცხოველში, ატენის ბარბარეში და საერთოდ, სოფლებში ხშირი ოყო რომელიმე ადამიანის „ქადაგად დაცემა. აქვე დასტურდება „ნათეც“ (მნათე).

ქართლის ბარისა და მთისწინა ზოლის ქადაგის ფუნქციაში, მთასთან შედარებით, თავისებურებებს ვხედავთ: „განსაკუთრებით თვალში საცემია ის გარემოება, რომ აქ ხატში ქადაგის საგანებოდ დასმა საზოგადო საქმის გულისათვის არ ხდებოდა. ქადაგი-მონა მიდიოდა ხატის კარზე, ეცემოდა ქადაგად და საკუთარ ცოდვათა მონანიების, ხატის წინაშედ შემცოდეთა მხილებისა და ხატის შელახული უფლებების აღდგენის შესახებ ქადაგობდა“ [ოჩიაური 1954: 92]. თუმცა, ერთაწმინდაში „ნათეს“ ირჩევდნენ აქაური გვარის უფროსებს და მისი ფუნქცია იყო მლოცველის დამწყალობება.

შიდა ქართლში (გერში) ქადაგის ფუნქციასა და მის ქცევებზე დეტალურ ინფორმაციას გვაწვდის სერგი მაკალათია. როგორც ჩანს, XX ს-ის 20-იან წლებში მეცნიერი თვითონ ესწრებოდა ერთ-ერთ დღესასწაულს და აქედან გამომდინარე, ზედმინევნით ზუსტად აღწერს გერის ქადაგს. მასალა მეტად საინტერესოდ მიგვაჩინია და ვფიქრობთ მისი სრულად ციტირება შექმნის ბარში ქადაგად გახდომის ნათელ სურათს: „დაღამდა, ეკლესიაში სანთლები აანთეს და გაისმა ქადაგის ვედრება. ქადაგი გიორგი ხადურის სოფელ ნიქოზიდან. იგი 45 წლის მამაკაცია, საშუალო ტანის და შავგვრემანი. ხადური ფეხშიშველია, გულზე ეკიდა ხატი, ხელში ეჭირა ჯოხი, რომელსაც თავზე გარჭობილი ჰქონდა ჯვარედინი თეთრი ფრთა. ხადურის თქმით, იგი 1932 წელს ხატს დაუჭერია ძელიცხოველში ამაღლება დღეს და ამის შემდეგ დაავადმყოფებულა: – ეშმაკები და ავსულები მოსვენებას არ მაძლევენ, – ამბობდა ხადური, – ყველგან იგინი მელანდებოდნენ, ძილში ვბოდავდი და ხატებიც მაწუხებდნენო. ბოლოს ძელიცხოველს შეუთქვი: შენ კარზე მოვალ ლამის თევითა. 15 მაისს ამაღლებას ძელიცხოველს ლამე უთიე, დილას მას სანთლები დაუნთე. ამ დროს ტრაპეზიდან ქალი მომეჩვენა და მითხრა:– გიორგი, სად იყავ დაკარგულიო, გეძებდიო. ტრაპეზი გაიხსნა და ქალმა უჩინმაჩინად ხელი შემავლო, ტრაპეზში შემაგდო და მცემა: შე კერპო, შენა, ემსახურე გიორგი ძელიცხოველსაო. აპა, აპა, ახლა ხო ხელში ჩაგიგდეო, მოგიყვანთ ჩვენს ჭკუაზეო. ის გარეთ გამოვიდა და დუდუკი დაუკრა. ბევრი ხატები დამეცნენ და მცემეს, უნდა მოხვიდე წლის თავზე უნიშნო ცხვრითა (თეთრი), თეთრი ტანისამოსით, ფეხშიშველი და თავშიშველიო. თუ ამას შეასრულებ, მაშინ კარგად გაგხდიო, თუ არა და დაგადნობთ, როგორც ქონის სანთელსო. ამწონეს და სიმართლემ ჩემმა დასძლია: ჰაი დედასა, ჰაი დედასა სიმართლე ჰქონია, თორემ შენი სული ეშმაკებს. დარჩებოდაო. სახლში წამოვედი. სამი თვე გალახული ვიწექი, ვტიროდი, ტავზე ხელებს ვიცემდი და დედამინას ვასკდებოდი. ხატებმა მიბრძანეს: შენ როგორც ხატისგან დაჭერილმა, უნდა გვემსახურო თავშიშველა და ფეხშიშველიო, რომ ყველამ გიუ დაგიძახოს“ [გიემ 5942: 11-12].

გიორგი ხადურის გადმოცემით, ხატებმა ის 15 აგვისტოს სარკის წმინდა გიორგიში დაიბარეს, სადაც განუცხადეს, რომ გულთმისანი უნდა გამხდარიყო და რაც დედამინაზე სამკურნალო ბალახი იყო ყველაფერს გამოიცნობდა. მისივე თქმით, სწორედ სარკეში განუცხდებია გერის წმინდა გიორგის, რომ მის კარზე მოხდებოდა ხადურის გულთმისანად ალიარება. იმ ლამეს ელოდა ქადაგი ამ დანაპირების აღსრულებას. ქადაგს თან ჰქონია ლითონის ორი მილი, რომლებსაც ხატის დუდუკებად მოიხსენიებდა – ერთი მომცა სამებამ და მეორე კი ბრეთის მამა კვირიამო. მას ჯერ დუდუკები აუხმიანებია და მერე დაუწყია ქადაგება. ხატების შესახებ საუბრობდა. ეშმაკებსა და ბოროტ სულებს არ ივიწყებდა: „ჭვავთხელმწიფე და მისი მნირია ეშმაკების უფროსია. 1913 წლის კუდიან ვარსკვლავს წილი აქვთ ბოროტ ხალხშიო. მან ააღელვა ხალხი და ომი გამიოწვიაო. თეთრიწმინდა გიორგი ეუბნება ეშმაკებს-ვინც ჩემთან გულით მოვიდეს სამღვთო-საწირით, ის ჩემი იყოს, ვინც არა და შენი იყოსო და სხვ. ხადური ამწყალობებდა მლოცველს; აძლევდა ხატის სახელით ყველას რჩევა-დარიგებას. თუ რაიმე საეკლესიო ნივთს ხელს ახლებდა მაშინვე წაილუდლუდებდა: მ ა ლ ა ლი – ხ ა ლ ა ლ ი ლ ა“ [გიემ 5942 : 12 ].

აქ შემოდის საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ამბავთა შესახებ ქადაგობა, როგორც ჩანს შიდა ქართლის ხატებში ეს მაინც ხდებოდა, თუმცა არა საგანგებოდ, მაგალითად როგორც ხევსურეთში. ცნობილია, რომ „პარში დამოწმებული ხატის მონობის ინსტიტუტი საგრძნობლად განსხვავდება ხევსურული ქადაგობისაგან, თუმცა, გარკვეულ მომენტებში მსგავსება გამორიცხული არ არის. მთის, განსაკუთრებით ხევსურეთის ჯვარის მსახურები სოციალურად და ეკონომიკურად ძლიერი, პრივილიგირებული ჯგუფია, რომელიც თავის უფლებებს უმეტეს შემთხვევაში მემკვიდრეობითად აქცევს და ქმნის ისეთ წრეს, რომელიც ბოლოს ხევსურული თემის მმართველობის მთავარ ორგანოს წარმოადგენდა. აღნიშნული ინსტიტუტები საზოგადოების განვითარების სხვადასხვა

საფეხურის შესატყვისი ჩანს, რომელთაგან ხატის მონობა გვიანი ხანის წარმონაქმნად ისახება. ბარის ქადაგი გენეტიურად ხევსურული ქადაგობის შესატყვის ინსტიტუტს უნდა უკავშირდებოდეს, რომელიც ოდესალაც პარშიც უნდა არსებულიყო და შემდეგ გამაპირობებელი საზოგადოებრივი ვითარების დაშლასთან ერთად დაიშალა“ [ოჩიაური 1955: 96]. ქართლის ბარში ქადაგი ხშირად მკითხავის ფუნქციასაც ასრულებდა.

ქადაგად ქალის „დაცემის“ საინტერესო შემთხვევა დაუდასტურებია მარებ ხუციშვილს (გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელი) ფრონეს ხეობის სოფელ ავნევში: „ერთმა ამბავი მოგვიტანა მტილიანელი ოსის ქალი ქადაგად დაეცა და ღვთისმშობელთან არისო. შემთხვევა მოგვეცა უშუალო დაკვირვება გვენარმოებინა ხალხზედ და ქადაგზეც. ეკლესიაში წამოგვყარენი ნაცნობი მასნავლებელი ქალი ქსენია გელუტაშვილი. ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთ ფერდობზე, პატარა, გვიანი ხანის გუმბათიანი ეკლესიაა, ძველი ბარელიეფით. ეკლესის ეზოში ვნახეთ გულშემზარავი სურათი. თმაგაშლილ ქადაგს გარს ეხვეოდა ხუთიოდე ოსის ქალი. ორ მათგანს მკლავები ეჭირათ მისი. მის მოქმედებას წინააღმდეგობას არ უწევდნენ (რადგან მათი რწმენით, ხატის მიერ იყო გამოწვეული) და მხოლოდ უმსუბუქებდნენ მდგომარეობას დაცემის შემთხვევაში. ქადაგის მხარეს იდგნენ ოსები, მოპირდაპირე მხარეს კი – ქართველები. თავმოყრილი იყვნენ ავნევის და მტილიანას მაცხოვრებელნი. ქადაგი ოსურად ლაპარაკობდა და ხალხს უსაყვედურებდა რწმენის დაკარგვას. ხალხს დიდი წივილ-კივილით აუწყებდა ყველაფერს, რასაც, ვითომც ხატი არიგებდა. საშინელი კივილი აუტყდებოდა როცა დაინახავდა გზად მიმავალს ქუდიანს კაცს ან შავთავშლიან დედაკაცს. თითოეულის ასეთის გამოჩენაზე ოთხივ კუთხივ მირბოდნენ ბავშვები და ქუდს ახდევინებდნენ, რომ ქადაგი როგორმე დამშვიდებულიყო.

მისივე კარნახით ეწყობოდა ღამის თევა და ლოცვები სამი კვირის განმავლობაში კვირაძალზე. სოფლის გოგონებს შეაგროვებინა ფქვილი, გამოაცხობინა ლავაში და სეფისკვერი და დაურიგა ყველა მლოცველს. ის ხალხს უამბობდა ტავის მოგზაურობის შესახებ ცაში და ხალხს უსაყვედურებდა, თქვენი ურნმუნობის გამო ღმერთი მე მანამებსო. ხალხიც დიდის სიბრალულით შეყურებდა“ [გიემ 4629 : 8].

სოფელ ნულში მცხოვრები დარო ტაბატაძის გადმოცემით, მისი დედამთილი ეკლესიას ისე ელაპარაკებოდა როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს: „ჩემ დედამთილს წაიყვანდნენ ხოლმე ვისაც რამე სათქმელი ჰქონდა წმინდანტანა. წმინდა სამება ტაბატზების აშენებული ყოფილა. ამ ეკლესიასი ქალები არ შედიოდნენ- სეტყვა წამოვაო. მარტო ჩემი დედამთილი შედიოდა“ [გიემ 4629, 73]. იმისათვის, რომ გაამყაროს თავისი დედამთილის განსაკუთრებულობა-მთხობელი ყვება, თუ როგორ მოარჩინა სამებამ მისი ავადმყოფი შვილი. მისი თქმით, ავადმყოფ ბავშვს თვითონ მოუთხოვია სამებაში წაყვანა, ბებიასაც შუსრულებია. თან წაუღიასააჭმელი და ხატის წინ გაუშლია. ბებიას მხურვალე ლოცვის სემდეგ დავრდომილ ბავშვს თვითონ მიუყრია სამჯერ მუხლი ხატის წინ. მერე სამებას ბებიასტვის უთქვაშს მოხრილმა ხელუკულმა მიწა აიღო, ჩაყარე ჭიქაში, დაასხი უსმელი წყალი ბავშვს მტკივან ადგილზე და ქოჩორზე წაუსვიო, სამი კოვზი კი დაალევინეო. ბავშვი სრულებით განიკურნა. მასალის ჩაწერის დროს (1944 წ.) ის 12-13 წლის იყო [გიემ 4629: 73]. მონათხობის შინაარსიდან გამომდინარე, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს ხატის რჩეულობას.

ქადაგი გამოჩენდებოდა ხოლმე ატენის ბარბარეშიც. ს. მაკალათიას მიხედვით – „ამ დღეს (ბარბარობას) აქ იყო ქადაგიც(ოსი), ორმოცდახუთი წლის მამაკაცი. მას ბნედა მოსდიოდა, თავპირში იცემდა და გაყვირდა ბარბარეს მონა ვარ რამდენიმე წელიწადია, შესთხოვდა ახსნა-გათავისუფლებას. შემდეგ გულშეწუხებული ქადაგი იქვე გაიშხლართა. ბოლოს გონს მოვიდა, ბურტყუნით ადგა და ლოცვა დაიწყო“ [გიემ 5179: 6].

მოყვანილი მასალიდან ირკვევა, რომ შიდა ქართლის ხატის ქადაგები ძირითადად დაჭერილნი არიან გარკვეული დანაშაულის გამო. ღვთაება შემცოდე პირს ადებდა სასჯელს და არა გარკვეუ-

ლი სიმპათიების გამო. ბარში ეს სიმპათია გამორიცხულია, ნაშლილია ქადაგის დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი როლიც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძირითადად დამიზეზების სიმპტომები ერთნაირია მთაშიც და ბარშიც.

ნუნუ მინდაძის დაკვირვებით ხატის რჩეულობის ინსტიტუტი – „ეს არის ერთ-ერთი უძველესი და უნივერსალური ინსტიტუტი, გულისხმობს ურთიერთობის დამყარებას ღვთაებასა და ადამიანებს შორის.

არსი ამ ინსტიტუტისა ყველა რელიგიურ სისიტემაში ერთი და იგივეა-ადამიანის კავშირი ზეციურ ძალებთან, მათთან ურთიერთობის დამყარება ღმერთის, ღვთაების, რჩეულის მიერ. მაგრამ სხვადასხვა ეპოქასა და საზოგადოებაში იგი განსხვავებული ფორმით იყო წარმოდგენილი“ [მინდაძე 2013:200].

დაჭერილობის სიმპტომები ძირითადად ნერვული ხასიათის დაავადებაში ვლინდება. ამის ნათელი დასტურია გერში გიორგი ხადურის საუბრები და ქცევები. ის დარბის ხატის ეზოში ხან ანთებული ფანრით, „უკრავს დუდუკზე“, ხტება გალავნიდან და გაიძახის: „ეშმაკებმა მიმტრეს და გამლახესო“, ბრუნდება ეზოში და კვლავ იწყებს ერთგვარ მისტერიას თუ ისტერიას.

მისი ეს ქცევები დამადასტურებელია იმისა, რომ ხადური „დაჭერილია“ მას სასჯელი ადევს. მისი გათავისუფლება თითქმის შეუძლებელია, თუმცა მისი ქცევები მიმართულია იქით, რომ ხატის ყველა ბრძანება შეასრულოს და მისი გული მოიგოს. შლის სუფრას და იწვევს ყველა მლოცველს. ასრულებს უცნაურ, მხოლოდ მისთვის გასაგებ რიტუალებს კვლავ „უკრავს დუდუკზე“, ამზადებს ეშმაკების საკვებს, რაც შეიძლება საზიზლარს. ბოლოს: „გაიქცა და ეკლესის გალავანზე შესტა. პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, დუდუკი დაუკრა, ფანარი აათამაშა, გალობდა და ქადაგებდა. ბოლოს დამშვიდდა, გალავნიდან ჩამოვიდა და სთქვა: გერის განკარგულებით ახსნილი ვარ და მას უნდა ვემსახურო“ [გიერ 5942: 14].

მასალის ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ შიდა ქართლის მთისწინა ზოლისა და ბარის ხატებში პერიოდულად ჩნდებოდნენ ქადაგები. ისინი თავის ფუნქციაზე თვითონ საუბრობდნენ, რითაც ხაზს უსვავდნენ საკუთარ რთულ, ფსიქიურ მდგომარეობას. მათ ხატში გამოჩენას არ გააჩნდა არანაირი სოციალური როლი, რითაც საერთოდ ცნობილია ქადაგის ინსტიტუტი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შიდა ქართლის ხატებში დადასტურებული ქადაგი მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიურად დაავადებული ადამიანია, და რომ მისი ფუნქციები არსებითად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის ქადაგის ფუნქციებისგან.

TAMILA KOSHORIDZE

Gori Museum of history and ethnology named after Sergi Makalatia,

Doctor in Ethnology

## “QADAGI’S” SOCIAL FUNCTION MATTER IN SHIDA QARTLI’S FOLK HOLIDAYS

According to our research conducted in Shida Qartli the following situation has been observed: population used to go to the house of prayers according to church calendar, where the religious days were already written. In church they would always see “Nate” or “Qadagi”, who had some roles leading the holidays accordingly. We can see the term “Qadagi” in every single part of Georgia. This word describes a person who according to the people is the teller of God’s wishes, he speaks in God’s voice and is the bridge between people and God. The understanding of “Qadagi” is only known across people. In Georgian literature “Qadagi” is someone who speaks instead of someone.

With our research in ethnological works we found out that in Shida Qartli Qadagebi were in: Arbo's saint George, Sarke, Atoci, Dzelickhoveli, Ateni's Barbare and generally in Shida Qartli it wasn't unusual for someone in any village to become "Qadagi" (Mnate).

Sergi Makalatia gives us detailed information about the functions and behaviors of a "Qadagi" in Shida Kartli (Geri). Looks like in the twenties on the 20th century the scientist personally took part in one of the holidays, according to this we have very detailed explanations of Geris "Qadagi".

Unlike Shida Kartli, the mountainous especially Khevsureti's cross servants were socially and economically powerful, privileged group, whose rules most likely would become hereditary and creates such circle, which is becoming the major branch of the Khevsureti community's governing. In the plains "Qadagis" function was commonly being a fortune teller.

Through the works from different expeditions we can conclude that Shida Kartlis cross "qadagebi" were mainly caught because of a crime. We are also going to say that the meaning of this institute in every religious system is the same. A connection of a human and something heavenly, making a connection to god with the help of the chosen one. But in different times and societies it was presented with different kinds of forms.

Through the analysis of the material it is clear that in the lowlands and the plains of Shida Kartli we can periodically see "qadagis". They spoke about their functions themselves and underline their complicated physical mental state. They didn't have any roles in Khati which made "Qadagis" institute well known. We can conclude that in Shida Kartli's Khatebi's confirmed "qadagis" were only mentally ill people and that their functions in essence were completely different than the "qadagis" functions in the east Georgia's mountainous region.

#### **ლიტერატურა:**

1. ბატონიშვილი 1941: „ბატონიშვილი ვახუშტი,“ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი. 1941 წ.
2. გიემ 4629; გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე №4628-29. ფრონეს ხეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები მ. ხუციშვილისა და ყიფშიძის მიერ.
3. გიემ 5942: გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე №5942. ს. მაკალათია, „ცრუ-მორნმუნოების გადმონაშები ქართლში“;
4. გიემ 5179: გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, საქმე №5179. 5179/6. მასალები ატენის ხეობის შესახებ.
5. მინდაძე 2013: მინდაძე ნ. პიროვნების შინაგანი კონფლიქტი და რჩეულობის ტრადიციული ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ვერა ბარდაველიძის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბილისი 2013.
6. ორბელიანი 1928: ორბელიანი სულხან-საბა, ქართული ლექსიკონი, ტფილისი 1928.
7. ოჩიაური 1954: 4 ოჩიაური თ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბილისი 1954.
8. კავკა 1853. №58, სახალხო გაზეთი 1871:№3' დროება 1872: №8, ცნობის ფურცელი 1899: № 808 და სხვ.

რუსულან მიძაუტაძე

აკ. წერეთლის სახ. უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი

## ქართული დომინაციური კულტურის და ქართველ ეპრაცელთა სუპერიურის ურთიერთობისართების საკითხისათვის მე-20 ს-ის 10-იან ცლებში /ქუთაისის პრეზენტაციის მიხედვით/

დომინანტური კულტურის ჩამოყალიბებას განაპირობებენ პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, ეთნიკური, ენობრივი და ა.შ. ფაქტორები. მასში განსაზღვრული წილი სუპერიურებსაც უჭირავთ, რომლებიც ამდიდრებენ დომინანტურ კულტურას და ზოგ შემთხვევაში გავლენის მოხდენაც კი შეუძლიათ მის განვითარებაზე.

სუპერიურა ჩაკეტილია, ჰერმეტულია. ის ვერ ახერხებს ფართო მასებზე ზემოქმედებას. მისი მიზანია შემოინახოს გარკვეული სოციალურ-კულტურული ფორმები, დაიცვას ისინი სხვა ფორმების გავლენისაგან, უზრუნველყოს მათი მემკვიდრეობითობა. მიუხედავად გარკვეული ჩაკეტილობისა, სუპერიურები ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას, რადგან ეფუძნებიან ამა თუ იმ ჯგუფის კულტურულ ტრადიციებს, თუმცა თაობათა ცვლა მოქმედებს სუპერიურებზე, კერძოდ, იგი „ახალი სისხლის“ ფუნქციას ასრულებს. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართველ ებრაელთა სუპერიურა, რომლის გარდაქმნისათვის ბრძოლა დაიწყო მე-20 ს-ის 10-იანი წლებიდან და რომლის ერთერთი მოთავე გახლდათ ონის რაბინი დავით ბააზოვი.

დავით ბააზოვი ცხინვალში დაიბადა და იქვე დაამთავრა დაწყებითი სასწავლებელი, შემდეგ კი სიონისტური განათლება მიიღო სლუცკსა და ვილნიუსში, სადაც დაეუფლა ებრაულ ფილოსოფიას. 1903 წელს ის დაბრუნდა საქართველოში და 1904 წელს დაინიშნა ონის რაბინად. ეს არის პერიოდი, როცა იწყება ევროპელ ებრაელთა გადმოსვლა და დასახლება საქართველოს სწრაფადგანვითარებად ქალაქებში – თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ფოთში. ეს აშკენაზი ებრაელები ძირითადად ფლობდნენ თავისუფალ პროფესიებს – ექიმების, ფარმაცევტების, ფოტოგრაფების, მკერავების, მესაათეების, იუველირების, ინჟინრების. მათ და ქართველ ებრელებს შორის ურთიერთობა საკმად დაძაბული იყო. აშკენაზები ამ უკანასკნელთ პრიმიტიულ ადამიანებად განიხილავდნენ და ქართველი ხალხის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ. ათეული საუკუნეების განმავლობაში ერთად ცხოვრებამ განაპირობა ქართველი ებრაელების ყოფა-ცხოვრების და ყოველდღიური ტრადიციების მსგავსება ქართულთან, ქართული ენის მშობლიურ ენად აღქმა, უფრო მეტიც, ზოგჯერ ისინი უფრო მეტად იცავდნენ ქართულ ნარმართულ ტრადიციებს, ვიდრე ქართველები. ალბათ ეს იყო ერთერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ გამოავლინა ებრაელობამ საქართველოში მისი ეროვნული პოტენციალი. საქართველოში მათ საკუთრებაში ჰქონდათ მიწები, ქართველი მეფეები ოდითგანვე იცავდნენ მათ. (მაგ. 1783 წლის ტრაქტატი). ასეთმა დამოკიდებულებამ მოადუნა მათი ეროვნული თვითშეგნება და თავის წარმოჩენის სურვილი, შეასუსტა თავდაცვის ინსტინქტი.

როგორც ცნობილია, სუპერიურებს გამოხატვის მეთოდები და საშუალებები სხვადასხვაგვარი აქვთ. დავით ბააზოვმა და მისმა მომხრეებმა ამ მიზნით დაიწყეს ადგილობრივი პრესის გამოყენება, რომელიც იმხანად ყველაზე მასშტაბური პროპაგანდის საშუალება იყო საქართველოში. ამ პერიოდის ქართული პრესა მოგვევლინა ებრაული სუპერიურის გააქტიურების პროცესის წარმართველად, იგი ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას, ფაქტიურად კანონმდებლის როლს ასრულებდა. გაზეთმა „სამშობლომ“ თავისი ფურცლები დაუთმო ებრაელ მოღვაწეებს ქალაქის ებრაელობის გამოცოცხლების მიზნით. იმხანად, რუსეთის იმპერიის შავრაზმული პოლი-

ტიკა დიდად ავიწროებდა ებრაელობას, ხშირი იყო პოლონეთის, ლიტვის, გალიციის, სტამბოლის ებრაელთა აწიოკება-გადასახლება. ეს პრობლემა გამოიყენა დავით ბაზოვმა და თავდაპირველად წინა პლანზე წამოსწინია საქველმოქმედო საკითხები, კერძოდ, მათ სთხოვა ქართველ ებრაელებს დამარტინდნენ გაჭირვებულ ებრაელებს ევროპასა და რუსეთში ფულით, ტანსაცმლით, სანოვა-გით<sup>1</sup> /გაზ. სამშობლო“ № 87/ თავდაპირველ მოწოდებებს შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ რამდენიმე თვეში, სათანადო აგიტაციის შედეგად დასავლეთ საქართველოს ებრაელობამ ლიტვა-პოლონეთის ებრაელების დასახმარებლად შეკრიბა 364 მან და გაუგზავნა პეტროგრადში ებრაელთა კომიტეტს ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით.<sup>2</sup> /გაზ. „სამშობლო“ № 159/. ამ ქმედებით ებრაელთა სუბ-კულტურამ თავი გამოავლინა გარკვეულ სოციალურ ქცევაში.

დავით ბააზოვს დიდი როლი მიუძღვის ქართველი ებრაელების საზოგადოებრივ ასპარეზზე გააქტიურებაში და ებრაული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. მას და მის მომხრეებს კარგად ესმოდათ ებრაელ რაბინთა როლი ამ საქმეში. ქართველი ებრაელების რაბინები, განსაკუთრებით ქუთაისის რაბინი, თითქმის არაფერს აკეთებდა ქუთაისის ებრაელების განათლებისა და კულტურის განვითარებისათვის, არადა ქუთაისის ებრაელობა რიცხოვნობით აღემატებოდა სხვა ქალაქების ებრაელობას. გაზ. „სამშობლოს“ კორესპონდენტი შენიშნავს, რომ იგი არ ზრუნავდა ებრაელი ბავშვებისათვის გაეხსნა სკოლა, ახლგაზრდებისათვის სამკითხველო, არ ცდილობდა ესწავლებინა მათ-თვის ებრაული ენა ან წაეკითხებინა ებრაული გაზეთი<sup>3</sup> / გაზ. სამშობლო“ № 101/. იმავე გაზეთში დავით აჯიამვილი შეუფარავად ამხელდა ქართველ ებრაელთა რაბინებს, მათ მექრთამეობას, უმოქმედობას „თანამედროვე რაბინების ხელში როგორც აწმყოში ვერ ვიხეირეთ, ვერც მომავალში ვერ ვხედავთ ნუგეშსო“. იგი ქართველ რაბინებს ბრალს დებდა ქართველი ისრაელების ჩამორჩენილობა-ში, მათ გონებრივ დაქვეითებაში, მათში ეროვნული სულის და კულტურის უფსკრულის წყვდიადში ჩახრჩობაში.<sup>4</sup> /გაზ. სამშობლო“ № 116 /. ეს მწვავე წერილები სწორედ იმ მიზნით იწერებოდა, რომ ებრაელი რაბინები გაეაქტიურებინათ, რომ მათ საღად შეეხედათ მსოფლიოში ებრაელი ხალხის გამოღვიძებისათვის და სათანადოდ შეეფასებინათ სიტუაცია ქართველი ებრაელების ეროვნული სულისკვეთების გასაღვიძებლად.

როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთის „სამშობლოს“ კორესპონდენტი, დავით ბააზოვი, ებრაელ ხალხს მოუწოდებდა დაესახათ მთავარი მიზანი: ებრაელთა შეერთება და ამ საყოველთაოდ დაჩაგრული ერის დაღუპვისაგან გადარჩენა. დავით ბააზოვის გამოჩენამდე, ქართულ გაზეთებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, თითქმის არ გვხვდება არცერთი სტატია, რომელიც შეეხებოდა ქართველ ებრელთა ყოფას, მათ ჭირ-ვარამს და ა.შ. აქა-იქ თუ გაიელვებდა ებრაელთა ხსენება სარედაქციო ახალი ამბების რუბრიკებში მოკლე ინფორმაციული მასალის სახით. ებრაელები შემოფარგლულნი იყვნენ მხოლოდ თავიანთი რაბინების ქადაგებების მოსმენით და გულხელდკრეფილნი მინდობილნი თავინთ ბედს. სამწუხაროდ, რაბინები ნაკლებად ზრუნავდნენ გაეცნოთ მათთვის ის დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო ძვრები, რაც ხდებოდა რუსეთის და ევროპის ებრაელობაში მათი პოლიტიკური უფლებების დასაცავად სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ბეჭდური მედიის შექმნით. საქართველოში ამას აფერხებდნენ რაბინები, რადგან მათი ნაწილი თავს ქართველებად და მხოლოდ „რჯულით ებრაელებად“ მოიაზრებდნენ. რაბინების წინააღმდეგ პრძოლა ხანგრძლივი და მტკიცნეული პროცესი აღმოჩნდა. კიდევაც წერდა ერთ წერილში: „11 წელიწადია ვსტირი და თანამგრძნობი ვერ მიპოვია, რომ ხმა ამოილოს ჩვენი ერის სულიერი საჭიროებისათვის“<sup>5</sup> /გაზ. სამშობლო“ № 134/.

ქართველი საზოგადო მოღვაწეები გვერდში ამოუდგნენ ებრაელთა მოწინვე ნაწილს და მათთან ერთად გააჩაღეს აქტიური კამპანია ქართველი ებრაელების განათლების, კულტურის და თვითშეგნების ამაღლებისათვის. რაბინი ბააზოვი, „ნორა“, ნათან ელიაშვილი, მ. ფიჩხაძე, დ. შიმშილაშვილი,

და სხვები პირველი მერცხლები იყვნენ ქართველ ეპრაელთა გამოცოცხლებისა და მათი კულტურული კრიზისიდან გამოყვანისა. გაზ. „სამშობლოში“ გამოქვეყნებული მათი წერილები უყურადღებოდ არ დარჩენილა და ეპრაელთა ოჯახებში შეაღწია. როგორც ია ეკალაძე წერდა, „ნავსი გატყდა და ქართველმა ეპრაელობამ დაიწყო ფიქრი საკუთარ თავზე, წარსულზე, განათლების აუცილებლობაზე, დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ეპრაელთა გამოლვიძებისათვის პირველი ჩაქუჩი ბააზოვმა დაჰკრა“<sup>6</sup> / გაზ. სამშობლო“ №240/.

ეპრაელთა გამოსაფხიზებლად დავით ბააზოვმა ფართო აგიტაცია გაშალა ეპრაელებით კომპაქტურად დასახლებულ დაბებსა და სოფლებში. ატარებდა შეხვედრებს და ლექციებს, სადაც აცნობდა მათ თავიანთ ისტორიას, ეპრაელთა შევიწროებას, რუსეთის და პოლონეთის მთვრობების დამოკიდებულებას ეპრაელთა მიმართ, მათ სეგრეგაციას, ამავდროულად იგი დიდი მადლიერებით მოიხსენიებდა ქართველ ხალხს, რომელთაც ეპრაელები როგორც ძმები ისე შეიფარეს თავისი „ღვთაებრივი კეთილი ზნეობით და კეთილი ხასიათით“. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ 1903 წელს ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსული ერთერთი რუსული პროვინციული თეატრი ვ. კრილოვის სპექტაკლით „კონტრაპანდისტები“, სადაც ქართველი მაყურებელი აღამფოთა სპექტაკლის ანტისემიტურმა შინაარსმა და მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი. 1904 წელს ქუთაისში ისევ გაიმართა ერთერთი რუსული თეატრის პიესა „უიდი“, რომელსაც სერიოზული არეულობა მოჰყვა. პიესის ანტისემიტური ხასიათი ხალხმა თეატრის წინ გააპროტესტა და პოლიციასთან შეხლა-შემოხლის გამო დააკავეს ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ლორთქიფანიძე და მსახიობი და რეჟისორი ლადო მესხიშვილი.<sup>7</sup> /tamrikosha.blogspot./

დავით ბააზოვი მოუწოდებდა ეპრაელებს უსწავლელობის დაძლევის აუცილებლობისაკენ, ადგილობრივი სასწავლებლების დაარსებისაკენ, საურთიერთო და დამხმარე კასების, სამეურნეო და სახელოსნო სკოლების შექმნისაკენ, რათა ეპრაელობას დაეძლია ჩამორჩენილობა და არ ყოფილიყო „ქართველების ხელით სათრევი“<sup>8</sup> / გაზ. „სამშობლო“ №169/. მანვე ჩამოაყალიბა პროგრამა თუ როგორ უნდა გაუმჯობესებულიყო ეპრაელების მდგომარეობა საქართველოში. იგი ითვალისწინებდა რაბინთა წრის დაარსებას, რომელსაც უნდა განხეხილა როგორც რელიგიური, ისე საგანმანათლებლო საკითხები. პირველ რიგში ყველა რაბინს თავის ქალაქში უნდა გაეხსნა დაწყებითი კლასები – თალმუდთორა, სადაც მშობლიურ, ეპრაულ ენასთან ერთად უნდა ესწავლათ ქართული და რუსული. პროგრამა ითვალისწინებდა ცენტრალური იეშიბას /სასწავლებლის/ დაარსებას იმ ყმაწვილთათვის, რომლებსაც თალმუდთორა ექნებოდათ დასრულებული. იგი მოითხოვდა 8 კლასიანი სასწავლებლის შექმნას გიმნაზიის სრული კურსით, რომლის დამთავრების შემდეგ ეპრაელები შეძლებდნენ უნივერსიტეტში შესვლას. პროგრამა ითვალისწინებდა კერძო გიმნაზიების დაარსებას, როგორიც იყო ვილნოში, მინსკსა და ხარკოვში, სახელოსნო სასწავლებლების შექმნას იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც არ ექნებოდათ უნარი ან სხვადასხვა მიზეზთა გამოვერ გააგრძელებდნენ სწავლას იეშიბაში. მისი აზრით, ამისათვის უნდა დაარსებულიყო ფონდი, რომელიც დაფუძნდებოდა ქუთაისში. დ. ბააზოვი მოუწოდებდა რაბინებს, თავი დაენებებინათ ურთიერთსიძულვილისა და შურისათვის და შედგომოდნენ ქართველ ეპრაელთა აღორძინებას, მათ სულიერ შველას, „რათა ყველამ დაინახოს, რომ თქვენც ეკუთვნით იმ დიდ რაბინებს, რომელიც დღეს დაუღალავად შრომობენ ჩვენი ერის საშველად“<sup>9</sup> /გაზ. „სამშობლო“ №135/

რაბინთა კრება 1915 წლის 5 ოქტომბერს დაინიშნა. ამის შესახებ თითქმის ყველა ქართული გაზეთი იუნიკებოდა. გაზეთებში გავრცელდა ცხინვალის რაბინის ხვალესის მოწოდება ეპრაელი რაბინებისადმი, რომ აუცილებლად დასწრებოდნენ კრებას ქუთაისში, რათა ემსჯელათ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ ქართველ ეპრაელთა ზნეობრივ და კულტურულ აღორძინებას. სამწუხაროდ, რაბინთა კრება ჯერ 13 ოქტომბრისათვის, შემდეგ 10 ნოემბრისათვის გადაიდო,

საბოლოოდ კი საერთოდ ჩაიშალა ქუთაისის რაბინის ელუაშვილის მიზეზით, რომელმაც კერძო წერილები გაუგზავნა პროვინციების რაბინებს არ დასწრებოდნენ კრებას, პარალელურად, გაზ. „მეგობარში“ /1915. № 52/ მოიყვანა ამის მიზეზები და აღნიშნა, რომ „ბააზოვს სურს ქართველი ებრაელობა ჩამოაშოროს ქართველ ერსო“.

საქმე ეხებოდა იმას, რომ ქართველი ინტელიგენციის და ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილი ქართველ ებრაელებს განიხილავდნენ როგორც ქართველი ერის განუყოფელ ნაწილს. რუსეთის ადმინისტრაციაც, თავდაპირველად, ქართველ ებრაელებს ქართველებისაგან არ განასხვავებდა და მათ „იუდაისტური რჯულის“ ქართველებად განიხილავდა, რომლებზეც არ უნდა გავრცელებულიყო რუსეთის მიერ აშკენაზ ებრაელებზე დაწესებული შეზღუდვები. მაგ. 1915 წელს გაზ. „სამშობლოს“ 22 სექტემბრის ნომერში გავრცელდა წერილი, სადაც ქალაქის საქმეთა საკრებულო ატყობინებდა ქალაქის გამგეობას, რომ „მეფის მოადგილემ სასურველად ცნო მიეცეს უფლება ქართველ ებრაელებს ქალაქის არჩევნებში მონაწილეობისა, რადგან ისინი მკვიდრი მცხოვრები არიან საქართველოსი, მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებიან ქართველებისაგან და დიდად განირჩევიან რუსი ებრაელებისაგანო. მათვე ნება დაერთოთ ყოლოდათ საბჭოში მთელი შემადგენლობის 1/10. თუმცა მოგვიანებით, მათ, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან ერთად დაიწყეს ანტისემიტური საკანონმდებლო შეზღუდვების და ანტისემიტური იდეოლოგიის გავრცელება, რათა დაენერგათ რელიგიური შეუწყნარებლობის და ანტიაგონიზმის ფონი ქართველი ებრელების მიმართ.

ზოგადად, ქართველი ებრაელები მკვეთრად გამოყოფდნენ თავიანთ თავს არამარტო ქართველებისაგან (რელიგიური ნიშნის მიხედვით), არამედ სხვა არაქართველი ებრაელებისაგან (ეთნიკური ნიშნით). სოციალურად ისინი დახურულ კასტას ნარმოადგენდნენ და თავს განიხილავდნენ როგორც „ჩვენებურები“. ისინი საუკუნეების მანძილზე ერთგული იყვნენ საქართველოს სამეფო კარისა და ქართული სახელმწიფოსი. საქართველოს პერიფერიულ რაიონებში ისინი ქართული სახელმწიფოებრიობის და ქართული ენის ძირითად საყრდენებადაც გვევლინებოდნენ (მაგ. ცხინვალის და ახალციხის მოსახლეობის თითქმის ნახევარს ქართველი ებრაელები შეადგენდნენ). ქართველ ებრაელთა ეთნოპოლიტიკური ინტეგრაციის ხარისხი ქართულ სახელმწიფოში იმდენად დიდი იყო, რომ ისინი შესაძლოა ქართველი ხალხის განუყოფელ ეთნორელიგიურ ნაწილადაც განხილულიყო.

მე-20 ს-ის დასაწყისში, გარკვეული ნაწილი ქართველი ებრაელებისა /ხახანაშვილების ჯგუფი/ ამტკიცებდა, რომ ისინი იყვნენ ტომით ქართველები და სარწმუნოებით ებრაელები, დ.ბააზოვი და მისი მომხრეები /სიონისტები/ კი მიიჩნევდნენ, რომ ისინი იყვნენ იერუსალიმიდან მოსული ებრაელები. გ. ხახანაშვილი ბააზოვს ბრალს დებდა სიონიზმის პროპაგანდაში ქართველ ებრელებს შორის და მოუწოდებდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ხმა ამოელოთ ყოველივე ამაზე, რადგან რუსეთიდან ჩამოსული ხახმები და სხვა სასულიერო პირები ქართველ ებრელებში ეწევიან სიონისტურ პროპაგანდასო. კამათმა ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ ი. და გ. ხახანაშვილებს მოწინააღმდეგენი ფიზიკური დასჯითაც კი ემუქრებოდნენ. მიუხედავად ამისა, ი. ხახანაშვილმა მოახერხა და თბილისის დეპუტატთა საკრებულოში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა თანდასწრებით წაიკითხა მოხსენება ქართველი ებრაელების შესახებ, სადაც მოიტანა მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ „ისრაელი ქართველები არამარტო ენით და ზნე-ჩვეულებებით, არამედ შთამომავლობითაც ქართველები არიან. აღნიშნულთ დაკავშირებით კამათში მონაწილეობდნენ დ. კარიჭაშვილი, ე. თაყაიშვილი, მიხ. ხახანაშვილი, რატიშვილი, გორგაძე, რომლებიც დაეთანხმნენ მომხსენებლის აზრს<sup>10</sup> /გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, №57/.

თუმცა დღეისათვის, ხახანაშვილების ფრთის ეს პოლიტიკა ასიმილატორულად არის მიჩნეული და მან დამარცხება განიცადა პოლიტიკური სიონიზმის ნინაშე. დ. ბააზოვი გამოეხმაურა

ი.ხახანაშვილის გამოთქმულ შეხედულებას და კატეგორიულად უარყო რაიმე კავშირი სიონიზმთან, რომ „მას არსად სიონიზმი არ უქადაგნია და თვითონ ამის წინააღმდეგია“<sup>11</sup>/ გაზ. „სამშობლო, №427/, რომ მან მ. ხახანაშვილს გაუგზავნა დოკუმენტები და მტკიცებულებები ქართველი ეპრაელებისა იერუსალიმიდან მოსვლის შესახებ, სამწუხაროდ, ეს მასალები არ გამოქვეყნებულა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის დ. ბააზოვი მიჩნეულია საქართველოში სიონიზმის გავრცელების ერთერთ თავკაცად<sup>12</sup> / [www.nplg.gov.ge/bios/ka/00009337/](http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009337/)

სიონისტური ჯგუფები საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოდან ჩნდება, მაგრამ ფეხი ქართველ ეპრაელებს შორის მე-20 ს-ის 10-იან წლებში მოიკიდა. ამ პროცესებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქნია საქართველოში ლიტველი და იერუსალიმელი ეპრაელების სექტების მისაონერულმა საქმიანობამ (რაბინი ხვალესი ცხინვალში, რაბინი ელიაშვილი ქუთაისში). სიონისტური იდეების გამავრცელებლები ძირითადად აშკენაზები იყვნენ. სიონისტური წრეების შეიქმნა თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში. ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის დროს შეიქმნა ეპრაელთა ეროვნული კომიტეტი, რომელმაც 1919 წელს თავი საქართველოს ეპრაელთა სიონისტურ კომიტეტად გამოაცხადა. აგვისტოში კი პირველი სიონისტური კონფერენცია მოიწვია. უნდა შევნიშნოთ, რომ 1918 წელს სიონისტები ქუთაისში დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობდნენ. ამის დასტურია სრულიად რუსეთის ეპრაელთა ყრილობაზე გასაგზავნ ეპრაელთა ორი სიის არსებობა, №6 სიონისტური და №9 ქართველ ეპრაელთა სარწმუნოებრივი ორგანიზაციისა „იგუდათ ისრაელ“. ამ უკანასკნელმა მიიღო 1613 ხმა, სიონისტებმა კი 172 13/ გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №5/. გაზეთი შენიშნავს, რომ ძირითადად რუსმა ეპრაელებმა მისცეს ხმაო.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1919 წლის ივნისში მათ ვერ მოახერხეს ყრილობის მოწვევა და კონფერენციით შემოიფარგლნენ, სავარაუდებელია, რომ სიონისტთა რიცხვი მაინცდამაინც დიდი არ იყო საქართველოში. ქართველ ეპრაელთა უმეტესობა რომ თავს ქართველებად განიხილავდა ამის მაგალითად კიდევ შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა: კერძოდ, ცნობილია, რომ ქუთაისის ეპრაელმა ახალგაზრდებმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნეს: „შევიგენით თუ რა საფრთხე მოელის ჩვენს ერთადერთ სამშობლოს – ძვირფას საქართველოს, ჩვენ, ქართველ ისრაელთა მთელმა ახალგაზრდობამ შევადგინეთ საგანგებო რაზმი „სამშობლოს დამცველ ქართველ ისრაელთა რაზმის“ სახელწოდებით. ის წინასწარ გაწვრთნას საჭიროებს და ამისათვის თავს გენ. გაბაშვილის განკარგულებაში აცხადებს. გაუმარჯოს ქართველთა ერთობას – განურჩევლად სარწმუნოებისა. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს. რაზმის სახელით დათიკო მოშიაშვილი“<sup>14</sup> / გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №64/

მიუხედავად ამ ორი ეპრაული თემის ურთიერთდაპირისპირებისა და შეუთავსებლობისა, მათმა თანაცხოვრებამ განაპირობა სიონისტური იდეების გავრცელება ქართველ ეპრაელებს შორის, რომელსაც თავდაპირველად რელიგიურ-მესიანური საფუძველი ჰქონდა და არა პოლიტიკური. მათი გავლენით ჯერ კიდევ 1880-იან წლებში ასობით ქუთაისელი ქართველი ეპრაელი ოჯახი გადასახლდა იერუსალიმში, სადაც მათ „გურჯების“ უბანი შექმნეს და მაშინდელი იერუსალიმის ეპრაული მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ.

სიონიზმი საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლოდან შეიძლება შეფასებულ იქნას ძლიერ კონტრკულტურულ მოვლენად, რომელმაც შემდგომში მოახერხა გაბატონებული ადგილი დაეჭირა ქართველი ეპრაელების მსოფლმხედველობაში.

ეპრაული სუბკულტურის გამოცოცხლების პროპაგანდისტები სილრმისეულ ვიზუალურ მეთოდებსაც მიმართავდნენ. ამ მიზნით ისინი აქტიურად იყენებდნენ ქუთაისში ახლადგახსნილ კინოთეატრებს, მეტადრე „რადიუმს“ რომლის მფლობელები ტიხონ ასათიანი და პავლე ანტონის ძე მეფისაშვილი კინოსეანსების ჩასატარებლად ხშირად ფასდაკლებით და ზოგჯერ უფასოდ უთმობდნენ

სხვადასხვა ორგანიზაციებს კინოთეატრის შენობას. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ როცა რუსეთის იმპერიაში ებრაელთა საწინააღმდეგო კანპანიები იყო გაჩაღებული და მასიური პოგრომები ეწყობოდა მათი განადგურების მიზნით, „რადიუმში“ აჩვენებდნენ ფილმებს ებრაელი ხალხის ცხოვრებიდან. მაგ. 1914 წლის აპრილში მათ აჩვენეს სურათი „სიონისტთა მე-11 კონგრესი“, 1915 წლის ივლისში 6 ნაწილიანი სურათი „ებრაელების ცხოვრება ამერიკაში“, 1917 წელს კი ფილმი „ებრაელები“, რომელშიც ნათლად იყო გადმოცემული ებრაელი ხალხის ტანჯვა-წვალება საუკუნეების მანძილზე. ეს უკანასკნელი ფილმი აკრძალული იყო მეფის რუსეთის მთავრობის მიერ.<sup>15</sup> / გაზ. „იმერეთი, №15, 1914; გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №, 62, 1917. ავ. ნიკოლეიშვილი. დავით და გერცელ ბააზოვები ქუ., 1996, გვ. 65/

ქართველი ებრაელების რიგი რაპინების და სხვა აქტივისტების პროპაგანდამ ებრაელთა შორის ნაყოფი გამოიღო. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ქართველ ებრაელებს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყოთ. ახალგარდების მიერ შეიქმნა წრე, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ენის. ისტორიის, ლიტერატურის შესწავლით მიეღწიათ თვითგანათლებისათვის. წრეში განვითარება შეეძლო ორივე სქესის ახალგაზრდებს. მას ყავდა 5 კაციანი გამგეობა, რომლის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა სტუდენტი ისრაელ რიჟინაშვილი, მდივნად სამსონ რიჟინაშვილი, მოლარედ სოლომონ ციციაშვილი. ქალაქის თვითმმართველობაში არჩეული იქნენ სდ პარტიიდან ილია გოლდმანი, იაკობ აბრაამის ძე ენუქაშვილი (გამგეობის თავ-რე), გაბრიელ მორდეხის ძე ციციაშვილი, მოშე აარონის ძე ელიგულაშვილი, ძებუ მორდეხის ძე ფიჩხაძე, სრ პარტიიდან რაფაელ ილოს ძე ელუაშვილი.<sup>16</sup> /გაზ. ჩვენი ქვეყანა, №98/

1918 წლის დასაწყისისათვის უკვე ქუთაისში არსებობდა ორი თალმუდთორა, ქვედა და ზედა სინაგოგებთან და ლარიბ ისრაელთა დამხმარე საზოგადოება.

1918 წლის 14 (26) მარტს ქუთაისში გამოვიდა ორკვირეული შურნალი „ხმა ქართველი ებრაელი-სა“, რომელიც გახდა მთავარი შტაბი ქართველ ებრაელთა პალესტინაში დაბრუნების გეგმების შემუშავებისა.

ებრაული სუბკულტურის გამოცოცხლებას ქუთაისში და საერთოდ საქართველოში ხელი შეუწყო როგორც ებრაელი, ისე ქართველი საზოგადო მოღვაწეების აქტიურმა ურთიერთთანამშრომლობამ. იმ მიზნით, რომ მომხდარიყო მათი თვითგამორკვევა და კულტურული აღმავლობა, ორივე მხარე არ იშურებდა ძალას და ენერგიას, არ უშინდებოდა კრიტიკას. ისინი ააშკარავებდნენ ქართველი ებრაელების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს და ცდილობდნენ ერთობლივად გადაეწყვიტათ სხვადასხვა საჭიროობო საკითხი, რათა ქართველ ებრაელთა სუბკულტურას შეენარჩუნებინა სიცოცხლისუნარიანობა, არ დაეკარგა თავისი ენა, კულტურული ტრადიციები და ზნე-ჩვეულებები. ქართველ ებრაელებში არსებულმა გაუნათლებლობამ, ეროვნული ძარღვის სისუსტემა და კულტურულმა კრიზისმა განაპირობა ის, რომ მათ აქ ვერ შექმნეს ისეთი სუბკულტურა, რომელიც გვერდით დაუდგებოდა ქართულ დომინანტურ კულტურას.

#### ლიტერატურა:

1. გაზ. სამშობლო“ № 87. 26.05.1915
2. გაზ. სამშობლო“ №159, 23.08.1915
3. გაზ. სამშობლო“ №101. 11.06.1915
4. გაზ. სამშობლო“ №116, 27.06.1915
5. გაზ. სამშობლო“ №134, 21.07.1915
6. გაზ. სამშობლო“ №240, 4.12.1915
7. tamrikosha.blogspot.

8. გაზ., „სამშობლო“ №169, 28.08.1915
9. გაზ. „სამშობლო“ №135, 22.07.1915
10. გაზ. „ჩვენი ქვეყანა, № 57, 18.06.1017
11. გაზ. „სამშობლო, №427, 13.08.1916
12. [www.nplg.gov.ge/bios/ka/00009337](http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00009337)
13. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №5, 11.01.1918
14. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №64, 31(13) 03.1918
15. გაზ. „იმერეთი, №15, 1914; გაზ. „ჩვენი ქვეყანა“ №, 62, 1917. აკ. ნიკოლეიშვილი. დავით და გერცელ ბააზოვები ქუთ., 1996, გვ. 65
16. გაზ. ჩვენი ქვეყანა, №98, 09.08.1017

RUSUDAN MIKAUTADZE  
Akaki Tsereteli State University, Assoc. Professor

## **For the Issue of Interaction between Georgian Dominant Culture and Sub-culture of Georgian Jews in the First Decade of the 20 th Century** **/ According to Kutaisi Press Materials /**

The establishment of dominant culture is stipulated by political, economic, religious, ethnic, linguistic, etc. factors. Subcultures also have their definite portion in it, they enrich the dominant culture and in some cases can even influence on its development.

Subculture is locked, it is hermetic. It can not affect on wide masses. Its aim is to preserve certain socio-cultural forms, protect them from other forms of influence to maintain its descendibility. Despite some locking, the subcultures retain their viability because they are based on the cultural traditions of a group, but the generational shift affects the subcultures, they particularly play the “new blood” role. For that we can exemplify the subculture of the Georgian Jews, the fight for the transformation of which began from the first decade of 20-th century with the leadership of Oni Rabbi David Baazov.

David Baazov was born in Tskhinvali and graduated from elementary school, and then received Zionist education in Slutsk and Vilnius where he acquired Hebrew philosophy. In 1903 he returned to Georgia and was appointed as Oni Rabbi in 1904. This is the period when the European Jews start to settle in the fast-growing cities of Georgia - Tbilisi, Kutaisi, Batumi, Poti. The relationship between these Ashkenazi Jews and Georgian Jews was quite tense. They considered the latter as primitive humans and as part of the Georgian people. It is obvious, that living together with Georgians for centuries has resulted on the similar daily traditions, considering Georgian as their native language, sometimes they even more thoroughly protected Georgian pagan traditions than natives. Such attitudes weakened their national self-consciousness and the willingness to show themselves. Perhaps this was one of the reasons why the Israeli failed to show its national potential in Georgia.

As it is known, subcultures have different methods of expression. David Baazov and his supporters started using the local press for awakening the Jews. The Georgian press of this period has led the process of activating the Jewish subculture, promoted formation of public opinion, in fact played a role of legislature. David Baazov played the great role in activating Georgian Jews in the public arena and formulating their worldview. He and his supporters understood the role of Jewish Rabbis in this case. Rabbis of Georgian Jews, especially the Kutaisi Rabbi, did nothing for the development of Kutaisi Jews' education and culture, though the Kutaisi

Jewish community was quantitatively exceeded the Jews from other cities. Acute letters about the Georgian Jews were aimed to activate the Jewish Rabbis, to give them chance to assess properly the situation and awake Georgian Jews' national spirit.

However, In Georgia, majority of Rabbis considered themselves to be Georgians and only "Jews in the faith." The fight against rabbis was a long and painful process.

The Georgian public figures together with D. Baazov and his supporters began active campaign for the increase of education, culture and self-consciousness among Georgian Jews. Rabin Baazov, "Nora", Nathan Eliashvili, M. Pichkhadze, D., Shimshilashvili and others were the first swallows to revitalize Georgian Jews and bring them out of their cultural crisis. As Ia Ekaladze wrote, "A jinx was overcome and Georgian Jews started to think about themselves, about their past, necessity of education and exchange of opinions began. The first hammer was swatted by Baazov".

In order to wake up the Jews, David Baazov launched a massive agitation in the compact settlements and villages of the Jewish communities. In his lectures he told them about their history, the harassment of the Jews, the attitude of the Russian and Polish governments towards the Jews, their segregation, and at the same time he was very grateful to the Georgian people who saved the Jews with their "divine goodness and kindness." We can cite one example: in 1903 one of the Russian provincial theater arrived in Kutaisi and played V. Krillov's performance "smugglers". Georgian spectators were resentful by the anti-Semitic contents of the performance and left the hall in protest. In 1904, the play "Jid" was played in Kutaisi, People protested anti-Semitic character of the play in front of the theater which was followed by serious disorders. Police arrested Georgian public figure Niko Lortkipanidze and the famous actor and director Lado Mesklishvili.

David Baazov urged the Jews to find a way to become literate, to establish local institutions, to create workshops, in order to overcome their backwardness. He also created a program on how to improve the situation of Jews in Georgia. It envisioned the establishment of the Rabin circle, which should be considered as religious and educational organization. First of all, every Rabbi in his city had to open the primary classes - Talmudtora, where they could learn Georgian and Russian together with Hebrew language. The program envisaged the central Yeshiba / institution for the young people who had completed Talmudaura/. He insisted on founding the 8 class gymnasium, after which the Jews could enter the universities. The program envisioned establishment of private gymnasiums, such as in Vilno, Minsk and Kharkiv, create workshops for those children who could not have the ability or could not continue studying in Yeshiba for various reasons. He wanted to found a special foundation for these reasons in Kutaisi. D. Baazov urged the Rabbis to put away their hatred, envy and hostility among them and to revive Georgian Jews, their spirituality. "to see everyone that you belong to those big Rabbis who work tirelessly for our nation."

At last, the Rabbi Meeting was appointed on 5 October 1915. Almost all Georgian newspapers reported about it. The newspapers printed the call of Tskhinvali Rabbi Khvaless to the Jewish Rabbis to attend the meeting in Kutaisi for discussing issues that would promote the moral and cultural revival of Georgian Jews. Unfortunately, the Rabbis' Assembly was postponed to October 13, then until November 10, and it was finally canceled due to the Rabbi Eluashvili of Kutaisi who sent private letters to the provincial Rabbis not to attend the meeting. In parallel in the newspaper "Megobari" (Friend) / 1915. # 52 / he brought the reasons for it and noted that "Baazov wants to remove Georgian Jews from the Georgian nation".

It was about the fact that a large number of Georgian public figures and Georgian Jews assigned Georgian Jews as an integral part of Georgian nation. The Russian administration, initially, did not distinguish Georgian Jews from Georgians and discussed them as Georgians with "Judaic faith", with no restrictions imposed on

Russian Ashkenazi Jews. But later, with the help of Russian Orthodox Church, they began to disseminate antisemitic legislative restrictions and anti-semitic ideologies among Georgian Jews in order to develop cultural and religious intolerance and antagonism against them in Georgia.

At the beginning of the 20th century, a group of Georgian Jews / Khakhanashvili group/ asserted that they were Georgians and Jews with faith, D.Baazov and his supporters / Zionists / considered themselves as the Jews who came from Jerusalem. G. Khakhanashvili accused Baazov of promoting Zionism among Georgians and urged Georgian public figures to pay attention to this, because clergymen coming from Russia and other countries propagated Zionist propaganda. The controversy has become very intense. Many Georgian public figures agreed them. Though, nowadays, this policy of Khakhanashvilis' wing is considered to be assimilative and it was defeated against political Zionism. It should be noted here that today D. Baazov is recognized as one of the leaders of the spread of Zionism in Georgia

Zionistic groups emerge from the end of the 19th century in Georgia. At the time of the 1905 Revolution, the Jewish National Committee was created, which in 1919 declared himself to be the Zionist Committee of the Jews of Georgia. In August, the first Zionist conference was convened. It should be noted that in 1918, the Zionists were not very popular in Kutaisi. It proves the existence of two Jewish lists of deputies who should be sent to the Russian Jewish Congress, # 6 Zionist and # 9 Jewish leaders of "Jewish people". The latter received 1613 votes, and Zionists scored 172. If we take into consideration that in June 1919 they could not convene a congress and were limited only by the conference, it is assumed that the number of Zionists was not great in Georgia. As we mentioned above, the majority of Georgian Jews consider themselves to be Georgians. In spite of mutual confrontation and incompatibility between these two Jewish communities, their coexistence later, has led to the spread of Zionist ideas among Georgian Jews, originally based on religious and messianic basis, not political.

Zionism can be judged from the end of the 19th century in Georgia as a strongly countercultural phenomenon that subsequently managed to hold a predominant place in the worldview of the Jews.

The propagandists of the revival of the Hebrew subculture used visual methods too. For this purpose they were actively using the new cinemas in Kutaisi, mostly "Radium". For example In April 1914, they were shown a picture of the 11th Zionist Congress, in 1915, a 6-part picture "Jewish Life in America", and in 1917, the film "Jews", which clearly illustrated the suffering of the Jewish people over the centuries.

The propaganda of Rabbis and other activists of Georgian Jews appeared fruitful. After the Revolution of 1917, Georgian Jews had a chance to revive. Some of the young Jews established a new circle for both sexes to study Georgian history, language and literature for self-education. Ilia Goldman, Jakob Abraam Enukashvili (head of the board of the city council), Gabriel Mordekhai Tsitsiashvili, Moshe Aaron Eligulashvili, Dzebu Mordekhai Pichkhadze became the members of the City council from Social-Democrat Party, and Rafael Illo Eluashvili was elected from the Social-revolutionary Party. By the beginning of 1918 there were already two Talmudtoras in Kutaisi, and the community for supporting poor Jews. On March 14, 1918, a two-week magazine "Voice of Georgian Jew" was released in Kutaisi /editor D. Baazov/, which became the main headquarters for elaboration of plans for returning Georgian Jews to Palestine.

The revitalization of the Jewish subculture in Kutaisi was the result of active cooperation of both Jewish and Georgian public figures in order to ensure their self-determination and cultural rise. They exposed the hindering factors in the development of the Georgian Jews and tried to jointly resolve the various issues in order to maintain their viability to survive, not to lose their language, cultural traditions and morals. The illiteracy of the Georgian Jews, the weakness of the national vein, and the cultural crisis led to the fact that they did not create such a subculture that would stand aside the Georgian dominant culture.

ვლადიმერ წვერავა  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
პროფესორი

## ნითელი ხიდის ისტორიიდან

მსოფლიოს ქალაქთა უმეტესი ნაწილი მდინარეთა ნაპირებზეა გაშენებული, ხშირად კი ბევრ ქალაქს შეუაზე ჰყოფს მდინარე და სწორედ ხიდების საშუალებით აღიქმება ის ერთ მთლიანობაში. ხიდები არა მარტო კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ქალაქის იერსახეს ქმნიან. ასევეა ჩვენი საყვარელი ქალაქი ქუთაისი, რომელსაც უხდება ხიდები პოეტური უძერადობის სახელებით: „ჯაჭვის ხიდი“, „თეთრი ხიდი“, „წითელი ხიდი“, „ოლასკურას ხიდი“ და ა.შ.

ხიდი ადამიანს ჩამოგავს, გააჩნია დაბადების თარიღი, საკუთარი სახელი და გამოკვეთილი ინდივიდუალობა, ცოცხალ არსებასავით ხანში შედის, მუდმივად შრომობს და ბერდება კიდევაც. ხიდი ადამიანივით კეთილია, ერთგულად ემსახურება ყველას, ვინ მოთვლის რამდენ ადამიანს გაუვლია მის ზურგზე (დ. ჩხატარაიშვილი, სიყვარული გზად და ხიდად. გაზ. „იმერეთის მოამბე“, 1995, 23 აგვისტო).

როგორც აღვნიშნეთ, ხიდები ბერდებან, განუწყვეტელი დატვირთვის შედეგად მზიდი კონსტრუქციები „იღლება“, რეინის კოჭები კოროზიას განიცდიან (იუანგებიან) და საჭიროა დროულად შეკეთება – აღდგენა, ან სრულად განახლება.

საქართველოში გზებსა და ხიდებს ადგილობრივი მოსახლეობისათვის ძველთაგანვე არსებითი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მართლაც, მრავალრიცხოვანი ფაქტიური მასალისა და ზოგიერთი შემონახული, განსაკუთრებით დამახასიათებელი, ნიმუშების გაშუქებით ჩვენს თვალწინ იშლება ნათელი სურათი იმ მძლავრი და მოწესრიგებული საგზაო–სახიდე მეურნეობისა, რომელიც ფართოდ იყო განვითარებული საქართველოს ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე.

ჩვენს მდინარეების უმრავლესობას ახასიათებს სწრაფი დინება. განსაზღვრულ პირობებში ისინი გაცოფებულ ნიაღვრებად გადაიქცევიან ხოლმე. ეს გარემოება მუდამ ანელებდა და ართულებდა ხიდების მშენებლობას და მათს შემდგომ მოვლას. ამას ადასტურებს საქართველოს ყოველ კუთხეში ჩვენს დრომდე შემორჩენილი რამდენიმე ათეული ქვის სახიდე ნაგებობები, რომლებსაც ლამაზი გარეგნობა და მტკიცე კონსტრუქცია აქვთ. გარდა ამისა, საქართველოს თითქმის ყველა მდინარეზე გეხდება წინათ მოქმედი მრავალი ქვის ხიდის ნანგრევები და ნარჩენები.

წარსულში საქართველოში არსებულ ფართოდ განვითარებულ სახიდე მეურნეობაზე, მატერიალური ნაშთების გარდა, მოგვითხრობენ წერილობითი წყაროები.

ზოგ ხიდს დიდი სამსახური გაუწევია ქართველი ერისათვის მის ისტორიულ ცხოვრებაში, მაგრამ შემდეგ, დროთა განმავლობაში, ისინი აღვილან პირისაგან მიწისა.

„ხიდები საქართველოში მრავლად არის გადარჩენილი, – წერს აკად. ნიკო ბერძენიშვილი, – სხვადასხვა სახისანია ეს ხიდები: ვიწრო და ფართო, ცალთაღიანი და მრავალთაღიანი. ადრინდელი და გვიანი, სამწუხაროდ. დღემდეც კი ეს ძეგლები სრულიად შეუსწავლელია. ამავე დროს მათი შედარებითი, ისტორიულ–არქეოლოგიური შესწავლა მნიშვნელოვან შუქს შეიტანდა ჩვენს წარსულის ცოდნაში (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. I, თბ., 1964, გვ. 293).“

ძველ ისტორიულ საბუთებში ჩვენ არა გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ქუთასში სახიდე გადასასვლელი ყოფილიყო, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქის არსებობის მანძილზე აქ უთუოდ იქნებოდა ხიდი.

ქუთასის ძველი ხიდის ხანას ადგენს მკვლევარი ვლ. ჩაკვეტაძე, ავტორი წიგნისა „ქუთასის

ისტორიიდან”. იგი წერს: „ქუთაისში მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედის საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაგებობას მდ. რიონზე აგებული ხიდი ეკუთვნის [ვ. ჩაკვეტაძე, 1960: 85-86]. მკვლევარის აზრით ირკვევა, რომ ქვის საფუძველზე პირველი ხიდი ქუთაისში VIII საუკუნის 20-იან წლებში იქნა აგებული.

XIX საუკუნის 60-იან წლებში, კავკასიაში მიმოსვლის განვითარებასთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ე. წ. სამხედრო-იმერეთის გზას, რომელიც თბილისს, ფოთან აკავშირებდა. ამიტომ იყო, რომ ამ გზაზე გარკვეული სამუშაოები ტარდებოდა მისი რეკონსტრუქციის მიზნით. როგორც უცხოელები აღნიშნავდნენ სურამის უღელტეხილზე გამავალი გზა არ ჩამორჩებოდა იმდროინდელ საუკეთესო გზას ევროპაში.

და რასაკვირველია, XIX საუკუნის შუა ხანებისათვის ყურადღება მიექცა თვით ქუთაისში მდ. რიონზე არსებულ ხიდს, რომელიც 1848 წელს აიგო და უკვე საიმედო აღარ იყო, მიუხედავად იმისა, რომ მისდამი დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ქუთაისელები. 1848 წლამდე რიონზე გადებული იყო ასევე ხის კონსტრუქციის ხიდი (არხიერების ხიდი) [ა. კარბელაშვილი, 1987:4]. ჩგადანყდა, ახალი ხიდი გაედოთ მდინარე რიონის ვიწრო ადგილას ქალაქის ცენტრის პირდაპირ, რადგან ამ ადგილას მდინარე სწრაფი და ღრმა იყო, ქვის ხიდის ნაცვლად, საჭიროდ მიიჩნიეს 18 საუკუნის სიგრძის რკინის ხიდის აგება შუალედი საყრდენის გარეშე.

ქუთაისის რკინის ხიდის პროექტი გააცნეს, კავკასიის ჯარების სარდალ, პოეტ გრიგოლ ორბელიანს. მას განმარტებებს აძლევდა გზათა მიმოსვლის VIII ოლქის უფროსი ინჟინერი, გენერალ-მაიორი პეტრე ალბრანდი, როგორც მან გრ. ორბელიანს უთხრა, რკინის ხიდი ძალზე ხელსაყრელი იქნებოდა და მის დამონტაჟებას მხარს უჭერდა. [იქვე].

გრ. ორბელიანმა პ. ალბრანდს მითითება მისცა პეტერბურგში გაეგზავნა ახალგაზრდა ინჟინერ-პორუჩიკი ნ. პოსტელნიკოვი და მისთვის გაეტანებინა ქუთაისის ხიდის პროექტი. მით უმეტეს ნ. პოსტელნიკოვის გამგზავრება, პეტერბურგში აუცილებელი იყო საქართველოში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობასთან დაკავშირებით.

პეტერბურგში ჩასულმა ნ. პოსტელნიკოვმა ქუთაისის რკინის ხიდის პროექტი პეტერბურგში ჩაიტანა ინჟინერ-პოლკოვნიკ პ. სობკოსთან.

პ. სობკომ ქუთაისის ხიდის პროექტი ყურადღებით განიხილა, ზოგიერთი შესწორება შეიტანა და ურჩია ნ. პოსტელნიკოვს ხიდის დამზადებაზე კონტრაქტი დაედო საფრანგეთის ფირმა „კაილ დაკანა“. კონტრაქტში გათვალისწინებული იყო ხიდის პარიზიდან ოდესაში ჩამოტანა. აქედან ხიდი ფოთში უნდა ჩამოეტანა რუსეთის გემთმიმოსვლისა და ვაჭრობის საზოგადოებას. ხოლო ფოთიდან ორპირში აეტანათ და მერე ურმებით ქუთაისში გადაეზიდათ.

ასე შორეული გზით უნდა „ემოგზაურა“ რკინის ხიდს პარიზიდან ქუთაისამდე.

როცა პარიზში ხიდის ნაწილებს აკეთებდნენ, ქუთაისში უკვე შეუდგნენ რიონთან მისასვლელი გზების და ხიდის საყრდენის მზადებას. ეს სამუშაოები წარმატებით დამთავრდა სექტემბრისათვის, მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთიდან საქართველოში გამოგზავნილი ხიდი იგვიანებდა. ამიტომ, ქუთაისიდან პარიზში დეპეშები გაიგზავნა. კაილი იტყობინებოდა, რომ მარსელიდან სავაჭრო გემმა „წმინდა ელენემ“ ხიდის ნაწილები კონსტანტინეპოლში ჩაიტანა, მაგრამ გემმა აქ სამი თვე დაჰყო შეიძერის ავადმყოფობის და შემდეგ გარდაცვალების გამო. ამჟამად, გემი ოდესისკენ მოემართება ა. კარბელაშვილი, 1983: 3].

როგორც 1861 წლის დამდეგს ქუთაისში შეიტყვეს, ხიდის ნაწილები ოდესაში მართლაც ჩაიტანეს და გადატვირთეს გემ „ცერორაზე“ და ფოთისაკენ გამოემგზავრა. მართლაც ბედი არ სწავლობდა ქუთაისის ხიდს! როცა „ცერორა“ ფოთს მიუახლოვდა, ქარიშხალი ამოიჭრა და გემი ნავსადგურში ვერ შევიდა, ბათუმისაკენ აიღო გეზი. ხიდის ნაწილები ბათუმის ნავსადგურში გადმოცალეს.

აქედან, როცა ზღვა დაწყნარდა, ხიდის ნაწილების გადატვირთვა დაიწყეს პატარა გემ „გოლუბ-ჩიკით“, მერე ფოთიდან ნაწილები ორპირამდე (პატარა სანავსადგურო ქალაქი მდ. რიონზე – ვ. წ.) აიტანეს ტივებით და აქედან ურმებით გადაზიდეს ქუთაისში [ა. კარბელაშვილი, 1983: 14].

როგორც იქნა, საფრანგეთიდან გამოგზავნილი ტვირთი რიონის ნაპირებზე დააწყეს ქუთაისში... და ახლა მათი ამწყობი არავინ აღმოჩნდა. საქმე ის იყო, რომ პარიზიდან. აქ ადრე ჩამოსულმა ქარხანა „კაილის“ მექანიკოსებმა, ბერნარდესმა და გომრესმა, გადაწყვიტეს, ალბათ გემი ზღვაში დაიღუპა. ფული შემოეხარჯათ ქალაქის დუქნებში და უკან პარიზში გაემგზავრნენ ხიდის ნაწილების ჩამოტანამდე.

რუსეთის ხელისუფლებამ. როცა ეს ამბავი შეიტყო, გადაწყვიტა ხიდის მონტაჟი მიენდო თბილისში ბულატოვის ორთქლის წისქვილის მექანიკოს ბრანტისათვის. მართლაც. როცა ბრანტი გაეცნო ნახაზებსა და ხიდის ნაწილები დაათვალიერა, მან შეამჩნია, რომ ნახაზის მიხედვით ზოგიერთი წვრილი ნაწილი გზაში დაკარგულიყო. მაშინ ბრანტმა რიონის პირას პატარა სამჭედლო გამართა და რკინის ეს ნაწილები გამოჭედა.

ქუთაისის რკინის ხიდის მონტაჟი 15 იანვრიდან დაიწყო და 4 მაისამდე გაგრძელდა. როგორც გაზეთი „კავკაზი“ იტყობინებოდა, „ლამაზი, მტკიცე და საკმაო დიდი ზომის რკინის ხიდი გაიდო რიონზე და მის სწრაფ დენას და შფოთვას თავმომწონეთ გადაჰყურებს. მითუმეტეს, მედიდურად გადაიტანა მოძრავი და უძრავი ტვირთების დატვირთვა“ [გაზ. „კავკაზი“, 1862, №47]. გაზეთი ძალზე დაწვრილებით აღწერდა ხიდის კონსტრუქციის გამოცდას და აღნიშნავდა, რომ „17 მაისს ახალი ხიდი გახსნილი იქნა, დამშვენა ქალაქი და გაახარა მაცხოვრებლები, როგორც მოხერხებულობით, ასევე საიმედო მიმოსვლით რიონზე საფოსტო და სავაჭრო გზის მიმართულებით“.

მართლაც 1862 წლის 17 მაისს რკინის ხიდი ექსპლუატაციაში გადაეცა ქალაქს. ამ დღეს ქალაქის მოსახლეობა გვიან ღამემდე ზეიმობდა მნიშვნელოვან მოვლენას. ქუთაისელები გულითად მადლობას უხდიდნენ ინჟინერ-მექანიკოს ბრანტს. ასევე მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ქუთაისიდან გრ. ორბელიანს [გაზ. „იმერეთის მოამბე“, 1996წ. 19 მარტი].

რაც შეეხება ხიდის სახელწოდებას. ხიდი აღდგენილი იქნა ლითონის გისოსებიან ფერმებზე, ხოლო ზემოთ გააყოლეს ლითონისავე ნაჭედი ლამაზი მოაჯირი, როგორც მზიდავი კონსტრუქცია ლითონის ფერმების სახით. ასევე ლითონის მოაჯირებიც შეღებილ იქნა წითლად. იმ დროიდან დაწყებული, ამ წითელმა საღებავებმა წითელმა ფერმა განსაზღვრა თვით ხიდის სახელწოდებაც და მას დაერქვა წითელი ხიდი. რომელ სახელსაც იგი დღემდე ატარებს. შემდგომ პერიოდშიც მისი აღდგენა-შეკეთება სამუშაოების ჩატარების შემდეგ სიმბოლურად წითლად იღებებოდა და იღებებოდა უკანასკნელ დრომდე [შ. ლომთაძე, გაზ. „ქუთაისი“, 1969 წელი 19/09].

მდინარე რიონზე რკინის ხიდის აგება მარტო ქუთაისისათვის როდი იყო მნიშვნელოვანი. საქმე ის არის, რომ ქუთაისზე გადიოდა ე.წ. იმერეთის სამხედრო გზა, რომლებიც აკავშირებდა კავკასიას მთავარ ქალაქ თბილისს შავი ზღვის პორტან-ფოთთან, ფოთი კი ევროპიდან აზიაში (ამიერკავკა-სიაზე გავლით) სატრანსპორტო ვაჭრობის „ჭიშკარი იყო“.

#### ლიტერატურა:

- დ. ჩხატარაიშვილი, სიყვარული გზად და ხიდად, გაზ. „იმერეთის მოამბე“, 1995 წ. 29 აგვისტო
6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. I, თბ., 1964
- ვ. ჩაკვეტაძე. ქუთაისის ისტორიიდან, თბ., 1960
- ა. კარბელაშვილი, წითელი ხიდი, გაზ., „ქუთაისი“, 1987, 16 მაისი

5. ა. კარბელაშვილი. თანამეგობრობა: ქუთაისის და თბილისის პირველი რკინის ხიდები, გაზ., ქუთ., 1983, 19 მაისი
6. ა. კარბელაშვილი, ამბავი პირველი რკინის ხიდისა, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1983, 19 აგვ.
7. ა. კარბელაშვილი, რკინის ხიდის ოდისეა, გაზ. „იმერეთის მოამბე“, 1996, 19 მარტი
8. შ. ლომთაძე, წითელი ხიდი, გაზ. „ქუთაისი“, 1969 წელი 19 სექტ.
9. გაზ. „კავკაზი“, 1862 წელი № 47

VLADIMER TSVERAVA

Akaki Tsereteli State University, Professor

## FROM THE HISTORY OF “RED BRIDGE”

Most parts of the world cities are situated along the river. Lots of cities are often divided by the river. Bridges are not only the means of communication, they also make the view of the city, and so is our favourite town Kutaisi, which has bridges with poetic sounds. They are: “Chain Bridge”, “Red Bridge”, “Oghaskura Bridge” and so on.

Most of our rivers flow fast. In special conditions they turn into terrible torrent. This circumstance continually slowed down and complicated the construction of bridges and their further maintenance. This is confirmed by several tens of stone buildings that have been survived in every part of Georgia, which have beautiful appearance and strong construction. Besides, we see ruins of old stone buildings over all of Georgia rivers.

There is also some information in written sources about widely developed bridge economy in the past in Georgia.

In old historical documents, we do not come to know that there was a bridge in Kutaisi, but we should think that there would be a bridge here.

Researcher El. Chakvetadze the author of the book “From the History of Kutaisi” tells us about the old bridge epoch in Kutaisi,. He writes about one of the most important buildings of the universal popularity built in the last quarter of the 8th century in Kutaisi on the river Rioni. According to the researcher it is clear that the first bridge on the stone base was constructed in Kutaisi in the twenties of the 8th century.

In the middle of the XIX century, the attention was paid to the bridge over the river Rioni, which was constructed in 1848 and wasn’t reliable, even though the people in Kutaisi were looking for great care for it.

There also was a wooden bridge over the river Rioni until 1848.

It was decided to construct a new bridge in the narrow place of the river Rioni directly in the centre of the city, as the river was quick and deep, instead of stone bridge, it was necessary to construct an iron bridge without interlocking.

The Kutaisi Iron Bridge project was introduced to a Commander of the Caucasus Forces, poet Grigol Orbeliani. He was given the explanations by the chief engineer of the 8th district, general – major Peter Albrandi, as he told Grigol Orbeliani, the iron bridge would be very profitable and supported its installation.

Grigol Orbeliani told P. Albrand to send a young engineer N. Postelnikov to Petersburg and let him take the project of Kutaisi Bridge. It was necessary to travel N. Postelnikov to Petersburg to build telegraph lines in Georgia.

When Postelnikov arrived in Petersburg, he showed the project of the iron bridge to engineer P. Sobkos.

P. Sobkos discussed the project carefully, made some correction and advised N. Postelnikov before making the bridge make a contract with French firm “Kyle Dak”.

The contract included the bridge to be brought from Paris to Odessa. From here the bridge should be brought to Poti by Russian shipping and Trade Community. Then, took it to Orpiri and then transported to Kutaisi.

When the parts of the bridge were making in Paris, they already began in Kutaisi to build roads and making a pillar. These works were successfully completed by September, but the bridge was delayed. Therefore, telegrams from Kutaisi to Paris were sent, Kyle reported that the ship “Saint Ellene” brought the parts of the bridge to Constantinopole, but the ship had been here for three months because of Schickper’s illness and then death.

As early as 1861 they found out in Kutaisi, that the parts of the bridge were really brought to Odessa and overloaded on the ship “Tserora” and left for Poti. The fate of Kutaisi Bridge was not good! When the “Tserora” approached Poti, the storm began and the ship was not able to enter the port and went to Batumi. The parts of the bridge were transferred to Batumi port.

When the sea was calmed down, the Parts of the bridge were loaded on the ship “Golubchiki”, they were brought to Orpiri by a raft, and then took them to Kutaisi.

As a result, the cargo sent from France was taken to the banks of the Rioni in Kutaisi... and now there is no one to built them. The fact is that the mechanics from the factory “Kyle”, Bernardes and Gomres decided, probably, the ship was sunk in the sea. They spent their money in pubs and left for Paris until the parts of the ship would be brought.

When the Russian Government learned this story, decided to install the bridge stream-milling mechanic Brandt in Tbilisi. Indeed, when Brandt were acquainted with the drawings and saw the parts of the bridge, he noticed that some of them had been lost in the way. Then, Brandt opened a small factory on the bank of the Rioni and made these parts there.

Installation of Kutaisi Iron Bridge lasted from January 15 to May 4, And as the newspaper “Kavkazi” informs us, the beautiful, firm and long iron bridge was built on the Rioni.

The newspaper described the bridge in details and notes that the new bridge was opened on the 17th of May, became the town much more beautiful and enjoy the residents as convenient and reliable traffic in the direction of the postal and trading road.

On May 17, 1862 the bridge was given in exploitation to Kutaisi. The population of the town celebrated this important event till the late night. People thanked engineer Brandt. Also, they sent a greeting card to Gr. Orbeliani.

As for the name of the bridge, the bridge was reinforced with metal granting farms, and above there was beautiful metal banisters, as lifting construction as metal ferries.

Also, metal rods were painted in red. From this time, the red paintings have identified the name of the bridge itself, and the bridge maintains the name even today. Later, when the bridge was repaired, symbolically it was also painted in red and it's painted so even today in the latter time.

Building the Iron Bridge on the Rioni was important not only for Kutaisi. There was an Imereti military road, which connected the Caucasus with the Black sea port-Poti, and Poti from Europe to Asia.

ელდარ თავპერიძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი

## ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებზე

XX საუკუნის დასაწყისში ქართული პოლიტიკური აზროვნება სამ ნაწილად გაიყო: სოციალ-დემოკრატიულად, სოციალ-ფედერალისტურად და ეროვნულ-დემოკრატიულად. ერისათვის ყველაზე უფრო მისაღები და პროგრესული დემოკრატიული დასის მრჩამსი იყო. სოციალ-დემოკრატთა პროგრამას მხოლოდ პოლიტიკურ-სოციალური ხასიათი ჰქონდა და არა ეროვნული. სოციალ-ფედერალისტური პარტია კი, რომელიც ერთადერთ ოფიციალურ პატრიოტულ პარტიას წარმოადგენდა, ერის ავტონომიას ეთნოგრაფიული პრინციპით მოითხოვდა და მიაჩნდა, რომ საქართველოს ავტონომია არის ავტონომია პოლიტიკური და არა ადმინისტრაციული. სოციალ-დემოკრატებმა და სოციალ-ფედერალისტებმა ანტიეროვნულ ძალად დასახეს ქართული ბურჟუაზია. ანომალიის წყაროდ აღიარეს კერძო საკუთრება. ამ რთულ და გადამწყვეტ პერიოდში უდიდესი პოლიტიკური მისია დაეკისრა მცირერიცხოვან დემოკრატიულ დას, რომელიც გამოდიოდა საქართველოს სრული ავტონომიის, მშობლიური ენით ეროვნული თვითმმართველობის, სახალხო საყოველთაო სწავლებისა და კლასთა შერიგების მოთხოვნით.

პოლიტიკური პარტიების დაფუძნებას მათი იდეების გამოშატველი ახალი პერიოდული ორგანოების აღმოცენება მოჰყვა თან.

იმერეთში პრესის გავრცელება განსაკუთრებული ინტენსივობით 1900-იან წლებში დაიწყო. ამას განაპირობებდა იმხანად იმპერიაში დამკვიდრებული სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაცია და შესაბამისი პოლიგრაფიული სიმძლავრეების არსებობა. აღნიშნულმა გარემოებებმა დიდად შეუწყო ხელი ყოველდღიური პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთების „კოლხიდას“ (1910) და „იმერეთის“ (1912) დაარსებას და ფუნქციონირებას.

ქუთაისში XX საუკუნის 10-იან წლებში თავი მოიყარეს ქართული ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა: აკაკი წერეთელმა, ნ. ლორთქიფანიძემ, დ. კლდიაშვილმა, გ. ტაბიძემ, კ. აბაშიძემ, ტ. ტაბიძემ, კ. გამსახურდიამ, შ. დადიანმა, ი. ეკალაძემ, გ. ქიქოძემ, ი. მეუნარგიამ, ს. ქვარიანმა და სხვებმა. მათ განიზრახეს ყოველდღიური გაზეთის დაარსება და მათი წაქეზებით და მხარდაჭერით ა. ჭუმბაძემ 1910 წელს საქმე აღძრა საცენზურო კომიტეტში გაზეთ „კოლხიდას“ გამოცემის თაობაზე. თბილისის ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მასალებიდან ჩანს (საქმე №54), რომ ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიას თბილისის კომიტეტისათვის გაუგზავნია წარდგინება, რომელშიც ვაითხულობთ: ქუთაისში მცხოვრებ არტემ მაქსიმეს ძე ჭუმბაძეს ნება დაერთოს გამოსცეს ყოველდღიური გაზეთი „კოლხიდა“. წარდგინებას ხელს აწერს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი (სცსია. ფონდი № 480, საქმე 472). აღნიშნულის საფუძველზე ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს დაუდგენია: „ნება მიეცეს ა. ჭუმბაძეს ქუთაისში ყოველდღიური გაზეთის „კოლხიდას“ გამოცემისა. გაზეთის პირველი ნომერი 1910 წლის 26 აგვისტოს გამოვიდა, ხოლო მისი შეჩერების შემდეგ 1912 წლის 26 სექტემბრიდან ქუთაისის ინტელიგენციამ გამოუშვა გაზეთი „იმერეთი“, რომელიც „კოლხიდას“ გზას აგრძელებდა და 1915 წლამდე იარსება. გაზეთ „იმერეთის“ თანამშრომელთა ძირითადი ბირთვი დემოკრატიული დასის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

„იმერეთი“ აგრძელებდა რა „კოლხიდას“ მიმართულებას, გამოირჩეოდა კარდინალურ პრობლემათა გაშუქება-გადაწყვეტით, მიმდინარე მოვლენების ანალიზით, პირდაპირობით, კონკრეტული

კვლევა-ძიებით და ფაქტების მიმოხილვა-განზოგადებით. „იმერეთის“ რედაქცია და პუბლიცისტები აკვირდებოდნენ რა ქართულ სინამდვილეს, საქართველოში მიმდინარე პროცესებს, ცდილობდნენ თავისი ადგილი მოენახათ ხალხის სულიერ ცხოვრებაში, ფეხი აეწყოთ დროის მოთხოვნილებისათვის, გამოეხატათ და დაეცვათ მოსახლეობის ინტერესები.

„იმერეთი“ იდგა რა საერთო დემოკრატიულ პრინციპებზე, თავისი პირველივე ნორმებიდან აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში და მკითხველს განუმარტა საქართველოში არსებულ პარტიათა მოსაზრებები და პარტიული ბრძოლის საკითხები. რა თქმა უნდა ამ პუბლიკაციათა შორის განსაკუთრებული ადგილი დაიჭირა სოციალ-დემოკრატთა სტრატეგიის და ტაქტიკის ანალიზმა. მათი ბრძოლა სოციალ-დემოკრატებთან უფრო სასტიკა გახდა მოახლოებულ სათათბიროს არჩევნებთან დაკავშირებით, და ეს კარგად ჩანს გაზეთის პირველსავე ნომერში დაბეჭდილ სტატიაში, სადაც ვკითხულობთ: „... მართლაც ძალიან ცუდ დროს და პირობებში გვიხდება გაზეთის გამოცემა, პრესის საერთო ამხანაგობა საზოგადოდ რუსეთში ვიწრო და შეზღუდულია, კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში იგი უფრო შევიწროებულია, მაგრამ დღეს ჩვენს წინაშე იმდენი მწვავე საკითხია წამოყენებული და მთელ ევროპასაც ისეთი სახითათო დადგომია მოსალოდნელი ომის გამო, რომ არ შეგვიძლია მკითხველი საზოგადოება ყოველდღიური გაზეთის გარეშე დავტოვოთ, მით უფრო, რომ დასავლეთ საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი, რომელსაც დღემდე ორი გაზეთი ქონდა, ამჟამად უგაზეთოდ დარჩა. რასაკვირველია ჩვენ გაზეთებს ვერ უწოდებთ იმ ფურცლებს „არჩევანიო“ და სხვა ამგვარ გამოცემებს, სადაც პირდაპირი ბიზნესის სუნის წერილები ისტამბება. ასეთი გამოცემები მკითხველ საზოგადოებას რყვნის, ყოვლად მცდარს და შეუწყნარებელ აზრებს აწოდებს და სამწუხაროდ ჩვენი გაზეთის პირველსავე ნომერში დიდი ადგილი ეთმობა ამ ქუჩური ფურცლების წერილებზე პასუხს. მაშ ასე გამარჯვება მკითხველო და გამარჯვება გვისურვე ჩვენც“ (ი. ეკალაძე, მოწინავე, გაზ. „იმერეთი“, 1912, №1).

სწორედ აღნიშნულმა საკითხმა და გამწვავებულმა წინასაარჩევნო ბრძოლამ განაპირობა გაზეთ „იმერთის“ ნაჩერევად გამოსვლა. ის, რომ გაზეთის რედაქციასა და მესამე დასს შორის პოლემიკა სხვადასხვა თემას შეეხებოდა, ახალი არ იყო. ეს დავა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს დაიწყო და კულმინაციურ წერტილს 1912 წელს მიაღწია და თავისთავად შესაბამისი ასახვა პპოვა გაზეთის ფურცლებზე. გაზეთ „იმერეთს“ დიდი და რთული მისია დაეკისრა. გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი დემოკრატიული დასის წევრები გაზეთში ხედავდნენ საკუთარი იდეოლოგიის გატარების საუკეთესო საშუალებას და „კოლხიდას“ დახურვის შემდეგ „იმერეთის“ ფურცლებიდან გააგრძელეს ბრძოლა ქართველი ერის ინტერესების დასაცავად. 1912 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაზეთის უმთავრეს მიზანს წინასაარჩევნო კამპანია და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში დემოკრატიული დასის კანდიდატის კიტა აბაშიძის პოლიტიკური იდეების პროპაგანდა და სოციალ-დემოკრატთა საძრახისი საქმიანობის წარმოჩენა წარმოადგენდა. ამ დროს კონფლიქტმა დემოკრატიულ დასა და სოციალ-დემოკრატებს შორის კულმინაციას მიაღწია. ქართველი ნაციონალისტები ვერ ურიგდებოდნენ მარქსისტებს, რომლებმაც უარი თქვეს საქართველოს ავტონომიაზე, რამაც დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ქართველ ნაციონალისტებსა და მარქსისტებს შორის. „ამით კი ერის მთლიანობა ისპობოდა, იშლებოდა ის კავშირები, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში აერთებდა ქართველი ერის ნაწილსა და რომელმაც შეინახა იგი ათასი წელთა დროის სივრცეზედ, ათასი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში (მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1990, გვ. 224).

ქართველი მარქსისტები ავტონომიაზე უარს მეტად ორიგინალური და უცნაური მიზეზის გამო ამბობდნენ. მიაჩინდათ თუ ამ დიდ უფლებას ხელში ჩაიგდებდნენ, „სომხებს, ებრაელებს და სხვა ერებს, რომლებიც ჩვენ პატარა ქვეყანაში ცხოვრობენ დაჩაგრავდენენ, შეავიწროვებდენ და გაანადგურებდენ“ (ვ. წერეთელი, კიდევ არ გვინდა ავტონომიის პარტიის შესახებ, გაზ. „იმერეთი“, 1912, № 53).

ნაციონალისტები ცდილობდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ისეთი დეპუტატი გაეყვანათ, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესების დაცვას დაისახავდა მიზნად და „ყოველნაირი მოქალაქეობრივი ჩაგვრისაგან დაიცავდა ქართველ გლეხს, ქართველ მუშას, ქართველ ვაჭარს, ქართველ ინტელიგენტს, ქართველ მღვდელს, ქართველ მემამულეს“ (ვ. წერეთელი, არჩევნები, 1912, №1). ასეთ კაცად დემოკრატიულ დასს ქართველ სოციალ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი კიტა აბაშიძე მიაჩნდათ. „იმერეთის“ ფურცლებზე სისტემატიურად იბეჭდებოდა მოწოდებები კიტა აბაშიძის მხარდასაჭერად

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და განსაკუთრებით მისმა ბოლშევიკურმა ფრთამ, სძულდათ რა ყოველგვარი ნაციონალური, მკაცრად გაილაშქრეს კიტა აბაშიძის წინააღმდეგ, მათ ცილი დასწამეს მთელს დემოკრატიულ დასს, რომელიც კიტა აბაშიძეს თითქოს თავადიშვილობის გამო უჭიერდა მხარს. მარქსისტებს არ ესმოდათ, რომ არისატოკრატია წოდება არ არის, „არამედ შემქმნელი ერის კულტურისა, მისი დიდებისა, თავსდამდები აღურაცხელ მოვალეობათა დასაცავად, სახელმძღვანელოდ და მარადისყოფად“ (მ. წერეთელი. დასახ. ნაშრომი, გვ. 292).

გაზეთმა „იმერეთმა“ წარმატებით დაასრულა წინასაარჩევნო კამპანია, მართალია, კიტა აბაშიძის კანდიდატურა დასელებმა ჩააგდეს, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთის მე-4 სახელმწიფო სათათბიროში გასული სამი დეპუტატიდან ერთი, ვარლამ გელოვანი, სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი და საქართველოს ავტონომიის მომხრე იყო. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა გაზეთ „იმერეთის“ ფურცლებიდან წარმართულმა წინასაარჩევნო კამპანიამ, გაზეთის რედაქცია სახელმწიფო სათათბიროში ვ, გელოვანის დეპუტატად ყოფნას ახალ ერად მიიჩნევდა. 1912 წლის 18 დეკემბრის გაზეთში ვ. წერეთელი წერდა: „მისი სიტყვა ქართველი დეპუტატების საპარლამენტო ტაქტიკის ახალ ხანას მოასწავებს და იმავე დროს პირველი ცდაა ქართული ეროვნული იდეის გავრცელებისა რუსთა შორის“ (ვ. წერეთელი, წერა-კითხვის საზოგადოება და სოციალ-დემოკრატია, გაზ. „იმერეთი“, 1914, № 76). ვ. გელოვანს სახელმწიფო სათათბიროში თავიდანვე მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა. მასთან ერთად გასული ორივე დეპუტატი კ. ჩხეიძე და კ. ჩხერიელი მისი იდეური მოწინააღმდეგენი იყვნენ. ამიტომ გაზეთ „იმერეთის რედაქცია და მისი თანამშრომლები ცდილობდნენ დაეცვათ ვ. გელოვანი მარქსისტების შემოტევისა და ცილისწამებისაგან. რედაქცია დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში „ვ. გელოვანის მდგომარეობა ერთობ უხერხული იქნებოდა, მას მოუხდებოდა ბრძოლა, როგორც ქართველ ამხანაგებთან, აგრეთვე მემარჯვენე შოვინისტ დეპუტატებთან (ვ. წერეთელი, ვარლამ გელოვანის გამოსვლა, „იმერეთი“, 1912, №69).

რუსულ სათათბიროში საქართველოს ავტონომიის საკითხი ქართველი მარქსისტების წყალობით ვერ გადაიქცა დიდ და მწვავე საკითხად. მაგრამ ვ. გელოვანის იდეამ დააფრთხო სათათბიროს არა მარტო ქართველი მარქსისტები, არამედ რუსი დეპუტატებიც.

ვ. წერეთელის და წაწილობრივ გაზეთის რედაქციის აზრით, ვ. გელოვანის, როგორც დეპუტატის, პატრიოტული მოღვაწეობა სათათბიროს კათედრიდან საქართველოს ავტონომიის უშედეგო მოთხოვნით დამთავრდა. მას აღარ გაუგრძელებია ბრძოლა ქართული ეროვნული ენერგიის გადარჩენისათვის, არც ჩვენი ისტორიული უფლება დაუცავს, არც პრაქტიკული კანონმდებლობითი პოლიტიკის წარმოება დაუწია, არც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის უზრუნია და არც საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებზე ფიქრით შეუწიებებია სახელმწიფო სათათბირო. იგი როგორც ვ. წერეთელი წერდა: „უარყოფდა დადებით პარლამენტალურ მუშაობას და მარტო საპროპაგანდო საშუალებად აღიარებდა და ხმარობდა სათათბიროს კათედრას (ვ. წერეთელი, ჩვენი დეპუტატების საპარლამენტო პოლიტიკა, „იმერეთი“, 1912, №18).

ვ. წერეთელი ბუნებით რადიკალი იყო, იგი მოჭრით და პირდაპირ ამბობდა ყოველთვის თავის სათქმეს „რაც ბევრჯერ მითქვამს ახლაც გავიმეორებ, – ამბობდა იგი, – საქართველოს სათათ-

ბიროში დეპუტატი არ ჰყავს“ (ვ. წერეთელი, სამი კანდიდატი, „იმერეთი“, 1912, № 3). ვფიქრობთ, ვ. წერეთლის შეფასებები ვ. გელოვანის, როგორც სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, მიმართ გადაჭარბებულია და ობიექტურობას მოკლებული.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში ქართველი დეპუტატების არჩევასთან დაკავშირებით საინტერესოა გაზეთ „იმერეთის“ რედაქციის პოზიცია აკაკი წერეთლის მიმართ. 1912 წელს მგოსანმა სათათბიროს არჩევნებში შავი კენჭი მისცა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის კანდიდატს კიტა აბაშიძეს. პოეტის ამ გადაწყვეტილებას პირადი საბაბიც ჰქონდა და პოლიტიკურიც. ყველასათვის ცნობილია, რომ კიტა აბაშიძეს და აკაკის შორის დაძაბული ურთიერთობა არსებობდა და ძირითადად ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი მგოსნის გადაწყვეტილებისა. მაგრამ სილოვან ხუნდაძემ მხოლოდ პოლიტიკური სარჩული დაუდო საფუძვლად პოეტის გადაწყვეტილებას და წერდა: „რა გინდ საპირადო ანგარიშიც არ უნდა ჰქონდა აკაკის, ეს არ უნდა ექნა. მასთან შედარებით ბევრ პატარა კაცებს ვხედავთ დღეს, რომელთაც ბევრ საქმეში შეტაკება ქონიათ კიტა აბაშიძესთან, მაგრამ მოისროლეს ეს ანგარიშები და დღეს თავგამოდებით იბრძვიან, რომ კიტა აბაშიძე ქვეყნის სასარგებლოდ სათათბიროში გაგზავნონ“ (ს. ხუნდაძე, სიტყვა და საქმე, „იმერეთი“, 1912, №34).

სილოვან ხუნდაძე დაუნდობელი და მკაცრი იყო აკაკის მიმართ. თავად „იმერეთიც“ აღნიშნავდა: „ჩვენი აზრით სილოვანით წერილის კილო ვერ იყო საკმაოდ თავდაჭრილი, მაგრამ არსებითად, რაცა სთქვა აკაკის შესახებ, სრული ჭეშმარიტებაა (სარედაქციო წერილი, „იმერეთი“, 1912, №29).

ინციდენტმა აკაკის გამო კულმინაციას მიაღწია. სილოვანის და „იმერეთის“ პოზიციის წინააღმდეგ გაილაშქრეს დასელთა ალმანახმა „არჩევანმა“ და გაზეთმა „თემმა“. მოწინააღმდეგენი ნაცადი, ჩვეული ხერხებით, ლანძღვა-გინებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და სილოვანს „ყოვლად უმნიშვნელო მნერალს“, „უმნეო მატლს“, „ენის გამათახსირებელს“ ეძახდნენ. მაგრამ სილოვანმა არგუმენტირებული მსჯელობით შეძლო დაერწმუნებინა მკითხველი დასელთა და აკაკის პოლიტიკურ შეცდომაში, რასაც ლოგიკური შედეგი მოჰყვა. ხალხმა აკაკი წერეთელს რწმუნებულთა არჩევნებში ხმა არ მისცა. სოციალ-დემოკრატებმა დემოკრატიული დასი და სოციალ-ფედერალისტები დაადანაშაულეს აკაკის გაშავებაში. „შეგვარცხვინეს, თავი მოგვჭრეს, დიდებული მგოსანი გააშავეს და მით პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს“, – წერდა „თემი“. „იმერეთის“ რედაქცია აკაკის გაშავებას საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფით ხსნიდა და არა სიბეცით, და ამხელდა „თემელებს“, რომლებიც ქართველ მკითხველთა უმრავლესობას მონურ მორჩილებას, ბრმა გაღმერთებას და კერპთაყვანისცემას ასწავლიდნენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა სოციალ-ფედერალისტთა ლიდერის არჩილ ჯორჯაძის მოსაზრება. იგი თვლიდა, რომ აკაკი პირადი საზომით ზომიავდა საზოგადოებრივ მოვლენებს მხოლოდ და ამით ცრუ იმედებს უღვიძებდა იმ ბანაკს (იგულისხმება სოციალ-დემოკრატიული პარტია), რომელთანაც საერთო არა ჰქონდა რა. ა. ჯორჯაძის მტკიცებით, „წერეთელი არასდროს არ თანაუგრძნობდა იმ ტიპის მოღვაწეებს, როგორიც ბ-ნი გეგეჭკორი იყო“ (ა. ჯორჯაძე, ქართული პრესა. გაზ. „იმერეთი“, 1912, № 26) და ამის დასტურად პოეტის ლექსი „ვაშა დეპუტატს“ მოჰყავდა. ეს გახლდათ მწარე სატირა, რომელიც სოციალ-დემოკრატ ევგენი გეგეჭკორს ამათრახებდა.

საყურადღებოა გაზეთ „იმერეთის“ რედაქციის დაინტერესება ქართული ენის საკითხებით, რაც შემთხვევითი არ ყოფილა იმ პერიოდის საქართველოში. ქართული ენა, ფაქტიურად უკვე უგულვებელყოფილი იყო, რაც უმთავრესი მიზეზი გახლდათ ქართული ცნობიერების კვდომისა. რუსეთთან საბოლოო შეერთების შემდეგ საქართველოში რუსულენოვანი გახდა სასამართლო, სკოლა თუ ეკლესია. ყველაზე დიდი ტრაგედია კი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველი ბავშვი ნელ-ნელა დაშორდა ქართულ ენას, ანუ დაშორდა ქართულ სულს და ქართულ ცნობიერებას. ვ. წერეთელი აღნიშნავდა: „ჩვენმა დეპუტატებმა ამ დიდი საკითხის შესახებ კრინტი არ დასძრეს. მათი ორი დიდი დანაშაული ჩაიდინეს: ერთი ის, რომ ქართული ენის უმაღლესი განვითარება და ისტორიული

მნიშვნელობა არ აღნიშნეს. და მეორე, საშუალოსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლის საჭიროებაზე ენა დაიდუმეს, ხმა არ ამოიღეს, თავის თავს კი დემოკრატებს ეძახიან“ (ვ. წერეთელი, ვინ უნდა ავირჩიოთ დეპუტატად, გაზ. „იმერეთი“, 1912, № 13).

ენის დაცვის საკითხებს ეძღვნება მ. ფარცხანელის წერილი „ჩვენს შორის“, სადაც აღნიშნულია, რომ „ქართველი ერის საჭიროებისათვის საჭიროა ენის, ტერიტორიის, სახელის და გვარის შენარჩუნება. რასაც სამი უმთავრესი მტერი ჰყავს: გარეშე უხეში ძალა, ნაციონალების შეუგნებლობა და მამულის უსიყვარულობა და თუ მთავრობის შეკოლებში ენას სათანადო ადგილი არ უჭირავს, ჩვენ ჩვენი მოქმედებით ოჯახშიც, სადაც არავინ შემოგვხტომია და არ აუკრძალავს ლაპარაკი ქართულად. ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობა რუსულად უდურტულებს თავის ცოლ-შვილში. იტყვიან ეს აღზრდის ბრალიაო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ ჩვენსავე შვილებს ისე არ ვზრდით, როგორც ნაციონალური შეგნება მოითხოვს“ (მ. ფარცხანელი, ჩვენს შორის, გაზ. „იმერეთი“, 1913, № 17).

გაზეთ „იმერეთის“ რედაქციის ეროვნულ საკითხს სოციალურთან კავშირში განხილავდა და თავს ილია ჭავჭავაძის მემკვიდრედ თვლიდა, მას მიაჩნდა, რომ ეკონომიკა ეროვნული უნდა ყოფილიყო და ქართული მრეწველობა თუ ვაჭრობა ქართველს უნდა ეწარმოებინა. ვასილ წერეთლის აზრით, ეკონომიკისათვის ეროვნული ხასიათის შენარჩუნების მიზნით, საჭირო იყო მრეწველობასა და ვაჭრობაში ქართველი ელემენტების დომინირების მიღწევა და მათი მშობლიურ ნიადაგზე აყვავება. ინტერნაციონალიზმის ნიღაბს ამოფარებული სოციალ-დემოკრატები კი დაუშვებლად თვლიდნენ, საქართველოში მხოლოდ ქართველებს ქონდათ მრეწველობის და მეურნეობის სადავები ხელში.

ვასილ წერეთელმა ხმა აიმაღლა სოციალ-დემოკრატთა ამ ტენდენციის წინააღმდეგ და დემოკრატიული დასის სახელით აცხადებდა – „ჩვენ გვირჩევნია ქართველი მეურნე და კაპიტალისტი სომხის მეურნესა და კაპიტალისტს, რად? იმიტომ, რომ ქართველი კაპიტალისტი ქართული ეროვნული ორგანიზმის განმტკიცება იქნება, სომხის კაპიტალისტი კი დამღუპველი, გამანადგურებელი.“

ქართველი კაპიტალისტი დაიქირავებს თავის ქარხანაში ქართველ მუშებს, სომეხი სომხებს, მაშასადამე, ქართველ პროლეტარიატსაც ქართველი კაპიტალისტი უნდა ერჩიოს.

ქართველი კაპიტალისტები ასაზრდოებენ ქართულ ლიტერატურას, ქართულ საკრედიტო, კომპ-ერაციულ დაწესებულებებს და საკუთარ დემოკრატიულ პოლიტიკას“ (ვ. წერეთელი, ეროვნული ბრძოლა და სომხე ქართველთა ურთიერთობა“, „იმერეთი“, 1914, № 36).

გაზეთ „იმერეთში“ დაბეჭდილი წერილებიდან განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია ია ეკალაძის პუბლიცისტური სტატია „ეროვნული დემოკრატია“. წერილი დემოკრატიული დასისა და მაშასადამე, მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბების ერთ-ერთი წარმატებული ცდა და აქედან გამომდინარე, სათანადო ყურადღებასაც მოითხოვს. თუ გადავხედავთ ეროვნულ-დემოკრატთა პროგრამას, რომელიც პარტიის დამფუძნებელმა კონფერენციამ 1917 წლის 4 ივნისს დაამტკიცა, დავრწმუნდებით, რომ იგი ია ეკალაძის პოლიტიკური პლატფორმის მრავალ დებულებას შეიცავს.

იაკობ ცინცაძის მტკიცებით, ეროვნული დემოკრატია ეროვნული ერთობის პარტიას წარმოადგნდა და აქედან გამომდინარეობდა მისი ჰუმანური, დემოკრატიული ხასიათიც, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ეროვნული დემოკრატია ერთადერთ პატრიოტულ ძალას წარმოადგნდა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოში. საერთო ეროვნული ინტერესების გარშემო აკავშირებდა ერთმანეთთან ყველა კლასს და წოდებას, გლეხსა და მემამულეს, ვაჭარს და პროლეტარს; მაშასადამე, დემოკრატიული დასი, წინააღმდეგ სოციალისტური პარტიებისა, კლასთა შორის თანამშრომლობის და ერთობის უპირატესობას აღიარებდა, ცდილობდა, „ერის სხვდასხვა კლასი და ნაწილი საერთო ეროვნული ინტერესების გარშემო შეეკრიბა“ (ი. ცინცაძე, ეროვნული დემოკრატია, გაზ. „იმერეთი“, 1914, № 109).

ავტორის აზრით, ეროვნული დემოკრატია, უპირველეს ყოვლისა, უნდა უარყოფდეს პარტიულ ფანატიზმს, ე. ი. აღიარებდეს ყველა სხვა პარტიის ღვაწლს, ხელიხელჩაკიდებული უნდა მოქმედებდეს მათთან საერთო დემოკრატიის და ეროვნული მიზნის განსახორციელებლად. უნდა უარყოფდეს კლასთა შორის უკიდურესად გამწვავებულ ბრძოლას და აღიარებდეს მათ შორის ერთობას. უნდა ცდილობდეს შეკრიბოს ყველა კლასი, პარტია და წილება, საერთო ინტერესების გარშემო, რომ „შექმნას ერთი მუდმივი ეროვნული ორგანიზმი, უნდა ემყარებოდეს თავისი მოღვაწეობისას ერის უმეტესობას. თავის მოქმედებას საფუძვლად უნდა დაუდოს არა ტლანქი ძალადობა, არამედ პირიქით, ზნეობრივი, მორალური ზემოქმედება, უნდა ქადაგებდეს არა სოციალ-დემოკრატიულ გაპროლეტარებას, არამედ გამამხნევებელი იმედის და ინიციატივის, შემქმნელის ენერგიულ მუშაობას, საკუთარი თავის სიყვარულს და კერძო საკუთრების შექმნის სურვილს“ (ი. ცინცაძე, დასახელებული ნაშრომი, გაზეთი „იმერეთი“, 1914, № 109).

გაზეთ „იმერეთის“ ეროვნული მიმართულება მკაფიოდ არის გამოკვეთილი სარედაქციო წერილში „ჯურნალ-გაზეთები“, სადაც აღნიშნულია, რომ „ქართველი ხალხის ხსნა ქართველთა კარგ თვისებათა განმტკიცებასა და ქართველი ხალხის მიწა-წყლის შენახვაშია. ამიტომაც დღეს ჩვენ თამამად ვლაპარაკობთ ქართველებზე და მოვითხოვთ ქართველი ერის აყვავების დაცვას. ქართველი ერის მიწა-წყლის და ერთიანობის აღდგენას“ (სარედაქციო წერილი, მონინავე, გაზ. „იმერეთი“, 1912, №4).

„იმერეთის“ პუბლიკაციებიდან, სადაც ეროვნულ საკითხებზეა საუბარი, აღსანიშნავია ტრიფონ ჯაფარიძის პუბლიკაციათა სერიალი „ჩვენი ავ კარგი“, რომელიც გაზეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ერთიან მძლავრ ნაკადს ერწყმოდა და კიდევ უფრო გამოკვეთდა რედაქციის თავისუფლებისმოყვარე მისწრაფებებს.

საქართველოს დეგრადაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს ავტორი თაობებად და დასებად დაყოფილ ქართველთა ეროვნული ინტერესების შეუგნებლობაში ხედავდა. ის თვლიდა, რომ ქართველებმა უმთავრესი რამ, სამშობლოს სიყვარულის ნიჭი დაკარგეს, რასაც ერისათვის უდიდეს ტრაგედიად მიიჩნევდა. მისი აზრით, საქართველო დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებდა მანამ, სანამ ამ ნიჭის უნარს არ აღიდგენდნენ ქართველები. სამშობლოს სიყვარული წარმოედგინა იმ ძლიერ ბიძგად, რომელსაც ფიზიკურ და სულიერ თავისუფლებამდე უნდა მიეყვანა ქვეყანა. „სამშობლოს სიყვარული რწმენათ უნდა ექცეს კაცს, და ამ რწმენამ უნდა განსაზღვროს მისი მოქმედების მიმართულებაც“ (ტრ. ჯაფარიძე, ჩვენი ავ კარგი, გაზ. „იმერეთი“, 1912, №28).

ტრიფონ ჯაფარიძე ერის ცხოვრებისათვის თვალსაჩინო და საზიანო ნაკლად სწორედ იმას მიიჩნევდა, რომ ნამდვილი სამშობლოს სიყვარული, საიმედო ნიადაგზე დამყარებული გონიერი და ფართო პატრიოტიზმი, ჩვენში თითქმის არ არსებობდა. ავტორი სტატიაში ყურადღებას ამახვილებდა სამშობლოს სიყვარულის ერთგვარ ფორმაზეც, რომელიც გამოიხატებოდა ცარიელ სიტყვებში, უშინაარსო სიმღერებში და ისეთ უაზრო ჩვეულებებში, როგორიც ყანწებით ღვინის სმა და ხმალ-ხანჯლის ტარება გახლავთ. ყოველივე აქედან გამომდინარე, პუბლიცისტი ასკვნიდა: „ქართველი ერი, რომელშიც სამშობლოს სიყვარულის ნიჭის კვდომა იყო დაწყებული, მასიურად მიდიოდა გადაგვარებისაკენ“ (ტრ. ჯაფარიძე, დასახელებული ნაშრომი).

ტრ. ჯაფარიძე ცდილობდა ეჩვენებინა ქართველთა ის თანდაყოლილი თუ შეძენილი თვისებანი, რომელიც საზოგადო ცხოვრებასაც აფერხებდნენ და ერის კულტურულ განვითარებასაც უშლიდნენ ხელს. ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალური თუ სულიერი პრობლემების უმთავრეს მიზეზს პუბლიცისტი მაინც სამშობლოს სიყვარულს ნიჭის დაკარგვაში ხედავდა და ქართველთ-ქართველობისაკენ, სამშობლოს სიყვარულისაკენ, ეროვნული თავისუფლების ბრძოლისაკენ მოუნოდებდა.

ამრიგად, „იმერეთმა“, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთმა და მასში დაბეჭდილმა სტატიებმა დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და ქართული ნაციონალური ინტერესების დაცვა-განვითარების საქმეში. მათი შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს მძაფრი პოლიტიკური ცხოვრების რეალურად, ობიექტურად შესწავლის საქმეს.

#### **ლიტერატურა:**

1. სცსია. ფონდი № 480, საქმე 472
2. ეკალაძე ი., მონინავე, გაზ. „იმერეთი“, 1912, №1
3. ფარცხანელი მ., ჩვენს შორის, გაზ. „იმერეთი“, 1913, №17
4. ცინცაძე ი., ეროვნული დემოკრატია, გაზ. „იმერეთი“, 1914, №109
5. ხუნდაძე ს., სიტყვა და საქმე, გაზ. „იმერეთი“, 1912, №34
6. წერეთელი მ., ერი და კაცობრიობა, თბ., 1990
7. წერეთელი ვ., კიდევ არ გვინდა ავტონომიის პარტიის შესახებ, გაზ. „იმერეთი“, 1912, №53
8. წერეთელი ვ., არჩევნები, გაზ. „იმერეთი“, 1912, №1
9. წერეთელი ვ., წერა-კითხვის საზოგადოება და სოციალ-დემოკრატია, გაზ. „იმერეთი“, 1914, №76
10. წერეთელი ვ., ვარლამ გელოვანის გამოსვლა, „იმერეთი“, 1912, №69
11. წერეთელი ვ., ჩვენი დეპუტატობის საპარლამენტო პოლიტიკა, „იმერეთი“, 1912, №18
12. წერეთელი ვ., სამი კანდიდატი, „იმერეთი“, 1912, №3
13. წერეთელი ვ., ვინ უნდა ავირჩიოთ დეპუტატად, გაზ. „იმერეთი“, 1912, №13
14. წერეთელი ვ., ეროვნული ბრძოლა და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა“, „იმერეთი“, 1914, №36
15. ჯორჯაძე ა., ქართული პრესა, გაზ. „იმერეთი“, 1912, № 26
16. ჯაფარიძე ტრ., ჩვენი ავ კარგი, გაზ. „იმერეთი“, 1912, № 28

ELDAR TAVBERIDZE

Ak. Tsereteli State University, Assoc. Professor

### **NATIONAL AND SOCIAL-POLITICAL ISSUES ON THE PAGES OF THE “IMERETI” NEWSPAPER**

In the beginning of the XX century, Georgian political opinions divided into three parts: Social-Democratic, Social-Federalist and National-Democratic. The most appropriate and progressive for the nation was the democratic belief.

The establishment of the political parties was followed the foundation of the new periodic bodies expressing their ideas.

In 1912-1915, the daily newspaper “Imereti” was published in Kutaisi, which main part of staffs consisted of representatives democratic group.

“The Imereti”, as the national-democratic newspaper and the articles printed in it played a big role in the formation of public opinion and in the development of the Georgian national interests. Studying them will greatly contribute that Georgia political life in the beginning of the XX century be studied more objectively.

კახაბერ ქეპულაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოც. პროფესორი

## ასი ცლის რიცათ 1917 წელი ქუთაისში

1917 წლის თებერვალში რუსეთში გაიმარჯვა ბურუუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. იმპერატორი ნიკოლოზ II რომანოვი ტახიდან გადადგა. შეიქმნა დროებითი მთავრობა თავად ლვოვის ხელმძღვანელობით. 3 მარტს ქუთაისის ქალაქის თავმა ილია ჩიქოვანმა (მნერლობაში – ი. პონტელი) დროებითი მთავრობის თავმჯდომარისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიღლ: „მეფის მთავრობა დაეცა, გთხოვთ მოახდინოთ ძველი სახელმწიფო დაწესებულებათა ლიკვიდაცია და მოაწყო ახლები, ყველა თქვენი პოლიტიკური პარტიის მონაწილეობით“ [ი. ჩიქოვანი, 1959: 85].

ეს მოულოდნელი და სასიხარულო ამბავი მალე გავრცელებულა ხალხში და მთავარ ქუჩაზე დემონსტრაცია ჩატარებულმა. აღფრთოვანებული მოქალაქები გეგუთის ქუჩისაკენ (ეხლანდელი გ. ტაბიძის ქუჩა) გაემართნენ და ეს სასიხარულო ამბავი მოულოცეს მხცოვან რევოლუციონერს გიორგი მაიაშვილს (ზდანოვიჩს), რომელიც იმ დროს ავადმყოფობის გამო ლოგინად იყო ჩავარდნილი. მოხუცი წამოაყენეს და მისი სახლის წინ დროშებით მისული ხალხი დაანახეს, სიხარულისაგან იგი თურმე ბავშვივით ატირდა [იხ. პ. ვაჭრიძე, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10].

აქედან დემონსტრანტები შავი ქვის მრეწველთა საბჭოს შენობასთან მისულან. შენობის აივანზე, მეგობრების თხოვნით ცნობილი საზოგადო მოღვაწე კიტა აპაშიძე გამოსულა. იგი ხალხს მიესალმა და რევოლუციის გამარჯვება მიულოცა. მან მიტინგზე თქვა: „ქრისტე აღსდგა, დევნილო საყვარელი ჩემი ამხანაგებო!... დაემხო მტარვალი, რომელმაც აწამა ერი თავისი, რომელმაც თვალუწვდენელ რუსეთის სამეფო გაუბედურებულ დედათა ცრემლისა და მამულისათვის თავდადებულ გმირთა სისხლის ოკეანე დააყენა, სიბინძურისა და ბინიერების მორევში ჩაიხრჩო. დაისახა სამაგალითოდ ის, ვინც თავის ტლანქი ქუსლებით გათელა წამებული საქართველოს დიდებული წარსულის ანდერძი (იგულისხმება 1783 წელს გეორგიევსკის ტრაქტატი – პ. ქ.), ვინც ნაფლეთ ქალალდად აქცია ერის ცრემლითა და სისხლით ნაწერი საბუთი ერის მომავალი განმამტკიცებელი, და აი, დღეს უნდა მოისპოს საუკუნის განმავლობაში ჩადენილი ბოროტმოქმედება და ძალმომრეობა. დღეს უნდა აღდგენილ იქმნეს ჩვენ ვაჟკაცთა სისხლში განბანილი, შელახული უფლება ჩვენი...“ [მსჯელობისათვის იხ. ს. გერსამია, 1982: 54-55].

დროებითმა მთავრობამ მეფისნაცვლის მაგივრად რეგიონის მართვა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომს“) დაავალა. იგი შეიქმნა 1917 წლის 8 მარტს. მის შემადგენლობაში შევიდნენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ამიერკავკასიიდან: ბ. ხარლამოვი (თავ-რე), გ. პაპაჯანოვი, მ. ჯაფაროვი, ა. ჩხერიძელი და კ. აბაშიძე (გარდაცვლილი ვ. გელოვანის ნაცვლად) [იხ. პ. ქ-ბულაძე, 2005:12].

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით, საერობო თვითმმართველობის შემოღებამდე, გუბერნიებსა და მაზრებში ხელისუფლებას რწმუნებულების სახით ახორციელებდნენ კომისრები, ხოლო სოფლებში – არჩეული აღმასრულებელი კომიტეტები. კომისრების ინსტიტუტი არჩევითი იყო. „ოზაკომი“ ნიშანავდა თავის რწმუნებულებს. 1917 წლის 4 სექტემბერს მოწვეულ გუბერნიის რწმუნებულთა ყრილობაზე მოითხოვეს კომისრების დანიშვნაც.

კომისართა ინსტიტუტი არ იყო ერთადერთი ხელისუფლება. პარალელურად შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭოები. რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობდნენ ძველი ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც. მათ სურდათ, შეგუებოდნენ სიახლეებს და ზოგიერთი

გარეგნული ცვლილების მოხდენით კვლავ დარჩენილიყვნენ განმკარგულებლად. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, ცნობა ხელისუფლების დამხობის შესახებ სწრაფად გავრცელდა, რასაც ადგილებზე საზოგადოების დიდი აქტიურობა მოყვა. ამიტომ ხელისუფლების ძველი სტრუქტურების შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა [უფრო ვრცლად იხ: ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013: 423].

ამ პოლიტიკური ძალების გავლენით, „ოზაკომის“ ადგილობრივი ხელისუფლების საკუთარი სტრუქტურების შექმნამდე, დაიწყო ჩამოყალიბება მუშათა საბჭოებმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორი [იხ. პ. ვაჭრიძე, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10]. მაგრამ, ქუთაისში, რადგან სამრეწველო პროლეტარიატი ძლიერ სუსტი იყო, მუშათა საბჭოს შექმნამდე, 3 მარტს ჩამოყალიბდა დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, ქალაქის თავის ი. ჩიქოვანის თავმჯდომარეობით. დროებით აღმასრულებელ კომიტეტში წევრებად ირიცხებოდნენ: კ. აბაშიძე, ალ. გარსევანიშვილი, ე. გეგეჭკორი, გ. გველესიანი, გ. გიორგაძე, ი. გობეჩია, ა. თორაძე, ვ. კასრაძე, გ. ლალიძე, ნ. ლორთქიფანიძე, გრ. ურატაძე, ლ. შენგელია, მდივანი კი გახდა დავით ავალიანი.

მოგვიანებით დროებით აღმასრულებელო კომიტეტში დამატებით შეიყვანეს – 3 მუშა, 5 ჯარის ნარმომადგენელი და 5 საბჭოს ხმოსანი [გ. მჭედლიძე, 1993: 325].

4 მარტს ქალაქის ცენტრალურ ბალში ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა. იგი გახსნა ქალაქის თავმა და დროებითი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ჩიქოვანმა. სიტყვები ნარმოსთქვეს, სოციალ-დემოკრატმა ე. გეგეჭკორმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა ა. წერეთელმა და გ. ლალიძემ, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – ი. გობეჩიამ და ი. კავაბაძემ, მუშა სალიამ. შეკრებას მოგვიანებით შემოუერთდნენ რუსი ჯარისკაცები და ჩინოვნიკები, ამიტომ მიტინგს რუსულ ენაზე მიმართეს ა. ფირცხალიშვილმა და ა. ფალავამ [იხ. გაზ. „სამშობლო“, 1917, №661].

ყველა პარტიისა თუ სოციალური ჯგუფის ნარმომადგენლები ერთსულოვნად აღიარებდნენ ხალხისთვის თვითმმართველობისა და საქართველოსათვის ავტონომიის მინიჭების აუცილებლობას [იქვე, №668].

მიტინგზე გამოიკვეთა ქალაქში განლაგებული არმიის ნაწილების ჯარისკაცებისა და უმცროსი ოფიცრების სოლიდარობა ხალხისა და მისი დემოკრატიული მოთხოვნებისადმი, ეს კი ჯარისკაცთა საერთო მასის სულისკვეთებას გამოხატავდა [ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013: 412].

7 მარტს საკრებულო ტაძრის მოედანზე კვლავ შედგა მოქალაქეთა და ჯარისკაცთა ხალხმრავალი მიტინგი, სადაც სიტყვით გამოვიდნენ: ი. ჩიქოვანი, ე. გეგეჭკორი, მღვდელი კაპანაძე, ოფიცერი ბალაშვილი და ერთი ჯარისკაცი. ე. გეგეჭკორმა ჯარისკაცებს მოუწოდებდა დახმარებოდა ხალხს კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში [გაზ. „სამშობლო“, №667].

იმავე დღეს გუბერნატორის რეზიდენციაში შეიკრიბნენ აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, ჯარის ნაწილების მეთაურები, სახაზინო პალატის უფროსი, საოლქო სასამართლოს უფროსი და თვით გუბერნატორი. შეკრებილებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს დროებით მთავრობას [იქვე, №568].

ძველი სტრუქტურების შენარჩუნების ცდა ამაო გამოდგა. 10 მარტს უანდარმთა სასამართლომ თავისი ნებით გამოაცხადა თავი ახალი ხელისუფლებაზე დაქვემდებარებულად და მთელი ქონება გადასცა აღმასრულებელ კომიტეტს. ამ უკანასკნელის გადაწყვეტილებით კი ფულისა და იარაღის გარდა ეს ქონება საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას გადაეცა [იქვე, №573].

უანდარმთა სამმართველოს არქივის შესწავლისას აღმოაჩინეს საიდუმლო მიმოწერები და მასა-ლები ცნობილ ქართველ მოღვაწეთა პოლიტიკურად არასანდობის შესახებ. ბოლშევიკების შეფასებით აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით ინერტულად მოქმედებდა პოლიტიკური პატიმ-რების განთავსუფლების საქმეში [მსჯელობისათვის იხ. პ. ვაჭრიძე, გაზ. „ქუთაისი“, 1917, №10].

14 მარტს გადადგა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გრაფი ა. ვ. გუდოვიჩი. 1917 წლის ივლის დასასრულს გუბერნიის სამმართველოს საკრებულოები გაუქმებულად გამოცხადდა. გუბერნატორის გადადგომის წინა დღებში ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტმა ქუთაისის გუბერნიის კომისრად დანიშნა ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი (1881-1954), მესამე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან, ხოლო ქალაქის კომისრად კი დანიშნეს დ. ვ. მდივანი [გაზ. „სამშობლო“, 1917, №575].

30 აპრილიდან დროებით აღმასრულებელმა კომიტეტმა (სადაც ასევე შედიოდა ჯარისკაცთა კომიტეტი, რომელიც 7 მარტს შეიქმნა) და მუშათა საბჭომ გაერთიანებულად დაიწყეს საქმიანობა. მათ შეადგინეს დროებითი კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მუშათა საბჭოდან – გ. ურატაძე და ნ. ჭუმბურიძე, ჯარისკაცების – პრაპორშიკი ნ. სტარცევი, ი. გოლდმანი (მის შესახებ ვრცლად იხ. გ. შარაძე, ქართველ ებრაელთა წვლილი, გაზ. „ერი“, 1991, №3(4265), 17 იანვ., გვ. 8-9) და სამუსოვი [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №19].

იყო ცდა უფრო წვრილი ერთეულების – საუბნო კომიტეტების არჩევნების მოწყობისა, მაგრამ იგი არ ჩატარებულა, რის შესახებ გადაწყვეტილება 20 მარტს ქუთაისის დროებითმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო. ასევე გადაწყდა მოეწყოთ მხოლოდ ერთი საქალაქო არჩევნები, სადაც ყველა პოლიტიკურ ძალას მიეცემოდა თანაბარი მონაწილეობის უფლება [გაზ. „სამშობლო“, 1917, №577].

მსოფლიო ომის გამო წარმოშობილი საზოგადოებრივი აქტივობის შედეგად საქართველოში თან-დათან ჩამოყალიბდა ხუთი პოლიტიკური მიმდინარეობა: სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური და ბოლშევიკური ცალ-ცალკე), სოციალ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური და ეროვნულ-დემოკრატიული. პირველი სამი გაფორმებული იყო პარტიებად, ხოლო ესერები და ეროვნულ-დე-მოკრატები პარტიებად ჩამოყალიბდნენ თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

ხუთივე ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას ქუთაისში ჰქონდა საკმაოდ ძლიერი ორგანიზაციები, ზოგიერთისა კი უფრო მნიშვნელოვანიც იყო, ვიდრე მთავარი, ე. ი. თბილისის ორგანიზაცია. ამ პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა 1917 წლის მარტის პირველ რიცხვებში საგრძნობლად გააქტიურეს თავიანთი მუშაობა. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატებოდა სხვადასხვა სოციალურ – ჯგუფებზე გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლის გაჩაღებაში. ამან მათ შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გაზარდა, ამასთან საჭირო გახდა ორგანიზაციული მოწყობის გზით რევოლუციური მასის მართვის ახალი სტრუქტურებში ჩართვაც.

პარტიებმა დაიწყეს საკუთარი მუშათა საბჭოების შექმნა. მარტის პირველ რიცხვებში ქუთაისში ჩამოყალიბდა მუშათა საბჭო, სადაც უმრავლესობა მენშევიკი სოციალ-დემოკრატები იყვნენ. საბჭოს პირველი თავმჯდომარე, როგორც უკვე აღინიშნა, ევგენი გეგეჭკორი იყო.

სოციალ-ფედერალისტების საბჭო შედარებით მცირერიცხვიანი იყო და ფაქტობრივად მისი მუშაობა სოციალ-ფედერალისტთა კლუბის ფარგლებს ვერ სცილდებოდა.

რაც შეეხება ესერებს, ისინი ძირითადად იმედს ჯარის ნაწილებზე ამყარებდნენ და მათ კომიტეტ-თან ერთად მოქმედებდნენ.

ბოლშევიკების ორგანიზაცია ქუთაისში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, შედარებით სუსტი იყო. ისინი ამჯობინებდნენ, უკვე ჩამოყალიბებულ მუშათა საბჭოში მოეპოვებინათ გავლენა, გადმოებირებინათ მათი წევრები თავიანთ მხარეზე, მაგრამ ამ ცდას რაიმე ხელშესახები შედეგები არ მოჰყოლია და ამიტომ ბოლშევიკები არ ერიდებოდნენ აშკარა კონფრონტაციას, რაც ზოგჯერ დანაშაულამდე მიდიოდა და მათი დაპატიმრებით მთავრდებოდა ხოლმე [მსჯელობისათვის იხ. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20—იან წლებამდე, 2013: 427].

1917 წლის აპრილ-მაისში შეიქმნა ქალაქის სახალხო მილიცია. იგი შეადგინეს პარტიული პრინციპის მიხედვით. თითოეული პარტია აგზავნიდა თავის 10 წარმომადგენელს. ჯარის ნაწილებიდან თითოეულ

უბანში იყო 5-5 წარმომადგენელი. ამათ გარდა მილიციის უფროსს უშუალოდ ექვემდებარებოდა 15 ჯარისკაცი, თადარიგში მორიგეობდა 20. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლებოდა ასეულის გამოწვევაც. მილიციის უფროსად დაინიშნა პრაპორშჩიკი ივანე (ვანიჩკა) ულენტი, ხოლო ჯარისკაცთა საბჭომ მილიციაში კომისრად გაგზავნა კაპიტანი გოლტმანოვსკი [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №43].

მილიციის ახალმა შემადგენლობამ ფიცი 10 ივნისს მიიღო. სახალხო მილიციის დანიშნულება არ იყო ქალაქში მარტო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მას იყენებდნენ გუბერნიაში დეზერტირობასთან, ყაჩალობასთან და კონტრრევოლუციასთან საბრძოლველადაც, ხოლო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ სახალხო მილიცია საბრძოლო ოპერაციებშიაც მონაწილეობდა [ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013: 426].

ივნისის დასაწყისში დაინიშნა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ახალი შემადგენლობის არჩევნები. 66 ხმოსანი მოსახლეობას წელიწადნახევრის ვადით უნდა აერჩიათ. ქალაქი დაიყო 3 საარჩევნო რაიონად. ყოველ 1000 ამომრჩეველზე დაიდგმებოდა ერთი ყუთი, მთლიანად ქალაქში არჩევნები ეწყობოდა 15 უბანში [გ. მჭედლიძე, 1993:326-327].

არჩევნები პირველად ტარდებოდა დემოკრატიული პრინციპების დაცვით. მოიხსნა ცენზი და შეზღუდვები, რაც მანამდე არსებობდა. 11 ივნისს ამომრჩეველთა სიების შედგენის მიზნით ჩატარდა ერთდღიანი აღწერა, აღირიცხა 22 ათასი ამომრჩეველი [გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №70].

წინასაარჩევნო პერიოდში ფართოდ გაიშალა ბრძოლა პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის. ქუთაისში იმ დროისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა, 4 პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური და ეროვნულ-დემოკრატიული. ვარაუდობდნენ, რომ ამათაგან სოციალისტ-რევოლუციონერებს (იგივე ესერებს) მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონდათ საზოგადოებაში და არჩევნებში ნაკლები მხარდაჭერა ექნებოდათ [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №88].

არჩევნების შემდეგ კი ეროვნულ-დემოკრატები იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ: „შიშით თუ საკუთარი შეგნებით სოციალისტური პარტიების დროშის გარშემო დიდალი ხალხი შეიკრიბა“ [იქვე, №97]. ისინი არ გამორიცხავდნენ, რომ ზოგიერთმა პარტიამ არაკეთილსინდისიერ ხრიკებსაც მიმართა. მაგალითად, ერთ-ერთ სკოლაში დადგმულ ყუთში არჩევნების დაწყებამდე აღმოაჩინეს 60 ბიულეტენი [იქვე].

ქალაქის სათათბიროს არჩევნები ჩატარდა 1917 წლის 6 აგვისტოს. მასში დიდი უპირატესობა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატებმა (საარჩევნო სია №1). მათ მიიღეს 11 527 ხმა და მიიღეს 39 მანდატი, სოციალისტ-რევოლუციონერებმა (№2) მიიღეს 4 083 ხმა, გაიყვანეს 14 ხმოსანი, №3 პარტიული სია იყო სოციალისტ-ფედერალისტებისა. მათ ხმა მისცა 2 606 ამომრჩეველმა, რითაც მიიღეს 9 მანდატი. ეროვნულ-დემოკრატების სიაში №4 ხმა მისცა 888 ამომრჩეველმა და გაიყვანეს სამი ხმოსანი, უპარტიოთა ბლოკმა №5 შეაგროვა 253 ხმა და შესაბამისად სათათბიროში ჰქონდათ ერთი მანდატი [იქვე, №98].

ახლადარჩეულ თვითმმართველობაში სოციალ-დემოკრატებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. მათ ქალაქის საბჭოში ჩამოაყალიბეს თავიანთი ბიურო: გ. ურატაძის, ს. გეგელაშვილის, ნ. სოკოლოვსკის, დავიდოვიჩის (სასამართლოს თავ-რე), ს. კილაძის, ა. ჯაფარიძისა და ვ. კოსტავას შემადგენლობით [გ. მჭედლიძე, 1993: 327-328].

სათათბიროს პირველი სხდომა ჩატარდა 1917 წლის 1 სექტემბერს, რადგან მას ორი რუსი ხმოსანი ესწრებოდა ამიტომ ქალაქის თავმა ი. ჩიქოვანმა იგი გახსნა რუსულ ენაზე. ხმოსნების უმრავლესობამ საჭიროდ მიიჩნია სხდომის ქართულ ენაზე წარმართვა. ეს იყო პირველი შემთხვევა ქუთაისის თვითმმართველობის არსებობის ისტორიაში, როცა სხდომა მშობლიურ ენაზე ჩატარდა [ქუთაისი სახელმწიფო, ცენტრალური არქივი, (შემოკლებით ქცსა), ფ. 155, აღწერა 1, საქმე 7, გვ. 2]. ფრაქცია-

თა სახელით სხდომაზე დეკლარაციები წაიკითხეს: სოციალ-დემოკრატებიდან გ. გიორგაძემ, სოციალ-ფედერალისტებიდან – დ. უზნაძემ, სოციალისტ-რევოლუციონერებიდან – ი. თევზაძემ და ეროვნულ-დემოკრატებიდან – ტ. ჯაფარიძემ. ამ სხდომაზე გადაწყდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარისა და ქალაქის მოურავის თანამდებობები ერთმანეთისაგან გაემიჯნათ [გ. მჭედლიძე, 1993: 328].

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ალექსანდრე ივანეს ძე ჯაფარიძე, ქალაქის მოურავად – სოციალ-დემოკრატი დიმიტრი კალანდარიშვილი, გამგეობის წევრად – ა. მეფისაშვილი, ქალაქის მდივნად – დ. ავალიანი [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №119].

9 სექტემბრის სხდომაზე ქალაქის თავის ამხანაგად (მოადგილედ) აირჩიეს სოციალისტ-რევოლუციონერი მ. ბასილაია, გამგეობის წევრად – შ. სანებლიძე, საბჭოს მდივნად – სოციალ-დემოკრატი თ. ჭუმბურიძე, რომელიც მანამდე ხაშურის გიმნაზიის მასწავლებელი მუშაობდა [გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №128; ქცსა, ფ. 155, აღწერა 1, საქმე 7, გვ. 8].

სექტემბრის ბოლოს ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგებად აირჩიეს – ს. გეგელაშვილი და ი. გობეჩა [გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №138].

ნოემბრის დასასარულს ქალაქის ხელმძღვანელობაში ნაწილობრივი ცვლილებები მოხდა – ნაცვლად მ. ბასილაიასი, რომელიც მოურავი მოადგილე იყო, აირჩიეს ი. თევზაძე, გამგეობის წევრად – პ. მოსიძე, საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად ნაცვლად ს. გეგელაშვილისა – გ. ურატაძე [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №187].

13 სექტემბრის სხდომაზე ქალაქის საბჭოს დაადგინა: ამიერიდან თვითმმართველობაში საქმეები მხოლოდ ქართულ ენაზე ენარმოებინათ [გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №129].

ქალაქის თვითმმართველის ამ შემადგენლობას რწმუნებები გაუვიდა 1919 წლის თებერვალში. ახალი მოწვევის საბჭოს არჩევნები უნდა ჩატარებულიყო 19 თებერვალს, მაგრამ რადგანაც საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყო 14 თებერვალს, ამიტომ ადგილობრივი ორგანოს არჩევნები მარტის პირველი რიცხვებისათვის გადაიდო [გ. მჭედლიძე, 1993: 329].

ქალაქში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარისკაცთა თავაშვებული ძალადობრივი მოქმედება. ასეთ სტიქიურ გამოსვლათა შორის ყველაზე ტიპიური იყო 1917 წლის 29 აპრილს მომხდარი ამბები. ამ დღეს ჯარისკაცთა აღგზნებული მასა თავს დაესხა ფედერალისტთა კლუბს. შემდეგ გაემართნენ კლასიკური გიმნაზიის შენობისაკენ, სადაც ეგულებოდათ ფედერალისტების ბიურო. მოძალადე ჯარისკაცებმა გამოიტანეს მათი დროშა და შეურაცხვეს. ბოლოს მივიღნენ სოციალ-დემოკრატებისა და ესერების საბჭოში, მათგან მხარდაჭერის მისაღებად. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა თავაშვებული ბრძოს განუმარტეს, რომ ასეთი ძალადობა გაუმართლებელი იყო და იგი საფრთხეს უქმნიდა მოქალაქეებსა და დემოკრატიას [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №23; გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №32].

იმავე დღესვე ჩატარდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე ჯარისკაცთა ქმედება შეუწყნარებელ მოვლენად ჩაითვალა. სხდომაზე გამოსულმა ესერმა ი. გობეჩიამ და სოციალ-დემოკრატმა გ. ურატაძემ განმარტეს, რომ სოციალ-ფედერალისტები არ იყვნენ კონტრრევოლუციონერები და მათ პროვოკატორები აბრალებდნენ სეპარატისტობას. როგორც მოგვიანებით გაირკვა, რუს ჯარისკაცთა უკმაყოფილების მიზეზი საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის მოთხოვნის ფედერალისტებზე გადაპრალება იყო [იქვე].

აღნიშნული ძალადობრივი ქმედება არ იყო ერთადერთი, რასაც ადგილი ქონდა ქუთაისში 1917 წელს. ანალოგიურ უნესრიგობას ქალაქში ადგილი ქონდა 22-24 ივლისს, როდესაც კიდევ ერთხელ დაარბიეს პოლიტიკური კლუბები, შემდეგ კი გათავედებული ბრძო აპირებდა მთელი ქალაქის აკლებას.

საქმე იქამდე მივიდა, რომ 22 ივლისს მთვრალი ჯარისკაცები თავს დაესხნენ გუბერნიის კომისარს გ. გიორგაძეს და მის მოადგილეს ნ. ქიქოძეს და მოინდომეს მათი გაძარცვა და ცემა. მუშებისა

და ჯარისკაცების წარმომადგენლებმა ძლივს იხსნეს კომისარი და მის მოადგილე ძალადობრივი შეურაცხყოფისაგან [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №88].

სწორედ ამ უწესრიგობის აღკვეთის მიზნით 27 ივლისს ქუთაისში ჩატარდა ჩხრეკა და დაპატიმ-რებები. შემოწმების შედეგად რამდენიმე ათეული პირი დააპატიმრეს კიდეც [იქვე, №91].

უფრო დრამატულად განვითარდა მოვლენები ოქტომბრის დასაწყისში.

გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი ნ. ასათიანი იუწყებოდა, რომ 2 და 3 ოქტომბერს რუს ჯარისკაცებს ქალაქში დიდ დარბევა მოუწყვიათ. დარბევის შედეგად მაღაზიების დიდი ნაწილი განადგურებულა. მთვრალი ჯარისკაცები ჯგუფურად ესხმოდნენ თავს სავაჭროებსა და კერძო სახ-ლებს, ძარცვავდნენ, ამტვრევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მათ. ეს იყო დასავლეთის ფრონტიდან ქალაქ ცარიცინში გადმოგზავნილი პოლკი, რომელიც ქუთაისში იყო გადმოყვანილი. ჯარისკაცთა ასეთი მოქმედების მიზეზად კორესპონდენტი სოციალისტურ აგიტაციას ასახელებს, რომელმაც მისი აზრით, გონება მოუწამლა მათ და განაწყო ბურჟუაზიისა და ვაჭრების წინააღმდეგ [გაზ. „საქართველო“, 1917, №218].

მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც, ქალაქში მდგომმა სხვა სამხედრო ნაწილებმა მათ დაწყნარებაზე უარი თქვეს. ამას ემატებოდა ისიც, რომ დამრბევთა რიცხვი თან-დათან იზრდებოდა, ხოლო ნასროლი ქვით ქუთაისის მილიციის უფროსი ვ. ულენტი დაშავდა.

3 ოქტომბერს ქუთაისში დაპრუნდა ე. გეგეჭკორი და მისი მოადგილე ი. მაჭავარიანი. მოალ-წია ბათუმიდან გამოგზავნილმა ჯარის ნაწილმაც 300 კაცის შემადგენლობით. მათ ასევე დაე-მატათ თბილისიდან ჩამოყვანილი 1500 შეიარაღებული იუნკერი [გაზ. „საქართველო“, 1917, №218]. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. დარბევები აღიკვეთა, მაგრამ შემდგომ დღეებში მღელვარება მაინც იგრძნობოდა. ქუჩები ხალხით იყო სავსე და ითხოვდნენ იუნკრების ქალაქი-დან გასვლას. მართალია, დარბევები აღიკვეთა, მაგრამ 4 და 5 ოქტომბერს ქალაქში მღელვა-რება მაინც იგრძნობოდა. დარბევის შედეგების გამოკვლევა ქალაქის საბჭო გადაწყვეტილე-ბით დაევალა საგამომძიებლო და ქალაქის დაცვის კომისრებს. 5 ოქტომბერს „ოზაკომის“ გადაწყვეტილებით და კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის განკარგულებით გარნიზონი დაე-მორჩილა პოლკოვნიკ გროზინსკის, ხოლო გუბერნიაში მთელი ძალაუფლება გადავიდა გენერალ-გუბერნატორის უფლებების მქონე გუბერნიის კომისრის გ. გიორგაძის კომპეტენციაში [გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №155].

მომხდარმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ თვალნათლივ ცხადყო ეროვნული სამხედრო ნაწილების შექმნის აუცილებლობა. სწორედ, აღნიშნულის გამოვლინება იყო 1917 წლის 10 აგვისტოს შეკრება ქუთაისში. მასში მონაწილეობდნენ ქართველი ჯარისკაცები და ოფიცირები. ისინი ითხოვდნენ ქართული პოლკების შექმნას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობდა თავდაცვის უზრუნველყოფას და მნიშვნელოვნად შეამცირებდა დეზერტირობას. კავკასიის საგანგებო კომიტეტში, ამ საკითხის მოსაგვარებლად, თბილისში გაგზავნეს დელეგაცია პოდპოლკოვნიკ ა. ლექვინაძის, პრაპორშჩიკ – ი. აბაშიძის, პრაპორშჩიკ – გ. გაჩეჩილაძისა და ჯარისკაცების – დგებუაძის, შუბლაძის და მალალ-აშვილის შემადგენლობით [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №185].

როგორც ცნობილია, აღნიშნულ ინიციატივას რაიმე პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

ჯარისკაცთა და ოფიცირთა მოთხოვნით, ქუთაისის გარნიზონის უფროსმა გროზინსკიმ პოლკების უფროსებს უბრძანა ქართველი ჯარისკაცებისაგან შეედგინათ ასეული, რომელიც დაე-მორჩილებოდა გუბერნიის კომისარს გ. გიორგაძეს და დახმარებოდა მას ქალაქში წესრიგის დაც-ვის საქმეში [იქვე, №147].

ქალაქის ინტელიგენციის, სტუდენტებისა და მოსწავლეთა წრეებში დიდი აღფრთოვანება გამოი-წვია, 26 ოქტომბერს, სპარსეთიდან ქართული მსროლელი პოლკის ქუთაისში ჩამოსვლას [იქვე, 160].

ეს ემოცია გასაგები იქნება თუ გავითვალისწინებთ, რომ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ აქ მხოლოდ საოკუპაციო რუსული ნაწილები იდგნენ და ქართული პოლკის დისლოკაცია პირველი შემთხვევა იყო [მსჯელობისათვის იხ. გ. მჭედლიძე, 1993: 254].

ქუთაისში საფუძვლიანი სამზადისი მიმდინარეობდა დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. ამ მიზნით გამოიყო 5850 მანეთი. საგუბერნიო კომისიას თავმჯდომარეობდა სოციალ-დემოკრატი გ. ურატაძე. ქალაქი გაყოფილი იყო სამ საარჩევნო უბნად. არჩევნები ჩატარდა პარტიული სიების მიხედვით [ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, 2013:426].

ქუთაისში არჩევნები ჩატარდა 12-13 და 14 ნოემბერს, მაგრამ მოსახლეობის პასიურობის გამო, მისი ვადა 16 ნოემბრამდე გაგრძელდა [გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №172].

რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ქუთაისში მონაწილეობა მიიღო 18 105-მა ამომ-რჩეველმა. შედეგები პარტიების მიხედვით ასეთი იყო: №1 სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკები) მიიღეს 9000 ხმა; №2 კადეტებმა – №213; №3 ესერებმა – 3524; №4 დაშნაკებმა – 255; №5 ბოლშე-ვიკებმა – 1243; №6 სოციალ-ფედერალისტებმა – 2366; №8 ეროვნულ-დემოკრატებმა – 1467; №15 სოციალისტებმა – 63 [გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №692].

დამფუძნებელთა კრების საბოლოო ბედი ცნობილია: იგი შეიკრიბა ბოლშევიკების დიქტატურის დამყარების შემდეგ. არჩევნების პირობებში მათ იმედი ჰქონდათ, რომ ხმების უმრავლესობას მიიღებდნენ, მაგრამ მხოლოდ 25 პროცენტი შეაგროვეს, მაშინ როცა მენშევიკებმა 62 პროცენტი მიიღეს, ხოლო კადეტებმა და სხვა პარტიებმა 13 პროცენტი. დამფუძნებელი კრება შეიკრიბა 1918 წლის 5 იანვარს. მან უარი თქვა, განეხილა და დაემტკიცებინა სრულიად რუსეთის ცეკას მიერ წარმოდგენილი რეზოლუციები. 6 იანვარს, ვ. ლენინის მოხსენების მიხედვით, ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დამფუძნებელი კრება დათხოვნილად გამოაცხადდა, ე. ი. როგორც მაშინ აფასებდნენ – ბოლშევიკებმა ხალხის მიერ საყოველთაო კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო გარეკეს [გ. მჭედლიძე, 1993:503].

ქართული ეროვნული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის გამოვლინება იყო 1917 წლის ზაფხულში ინტერპარტიული საბჭოს შექმნა. მასში შედიოდნენ საქართველოში მაშინ არსებული ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარე იყო სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხერიძე. საბჭოსთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი, კ. მაყაშვილი, პ. ინგოროვა და დ. შევარდნაძე.

ინტერპარტიულმა საბჭომ მომზადა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელიც მიმდინარეობდა 19 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის დავალებით ყრილობაზე გამოვიდა კ. აფხაზი, ხოლო ქუთაისის გუბერნიიდან – დ. ნიუარაძე. მათ ქართველი თავადაზნაურობის ქონება ქართველი ერის საკუთრებად გამოაცხადეს. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია 60 წევრისაგან შემდგარი ეროვნული საბჭო, რომლის რაოდენობა რამდენჯერმე შეიცვალა. შემდგომში ეროვნული საბჭო ფაქტობრივად ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა და მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა.

ასეთი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ქუთაისში ასი წლის წინათ – ანუ 1917 წელს. ახლოს იყო დიდი გამარჯვება – 1918 წლის 26 მაისი.

#### ლიტერატურა:

1. გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10, 15
2. გაზ. „სამშობლო“, 1917, №568, №573, №575, №577, №661, №667, №668,
3. გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №19, №43, №88, №97, №98, №119, №23, №91, №185, №147, №172

4. გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, №70, №32, №155, №692
5. გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, №128,
6. გაზ. „საქართველო“, 1917, №218
7. გერსამია ს., მოგონებები ქართველ მწერლებზე. კრ. „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 1982. N7-8
8. ვაჭრიძე პ., საბჭოთა ხელისულების დამყარება ქუთაისში, გაზ. „ქუთაისი“, 1971, №10
9. მჭედლიძე გ., ქუთაისის ახალი ისტორიის ნარკვევები, ქუთ; 1993
10. ქებულაძე კ., კიტა აბაშიძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, ქუთ., 2005
11. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, შემდგენელი და რედაქტორი გ. მჭედლიძე, ქუთ., 2013
12. ქუთაისი სახელმწიფო, ცენტრალური არქივი, (შემოკლებით ქცსა), ფ. 155, აღწერა 1, საქმე 7, 129, 138, 187.
13. ჩიქოვანი ი., მოგონებები, თბ., 1959

KAKHABER KEBULADZE  
*Ak. Tsereteli State University, Assoc. Professor*

## ONE HUNDRED YEARS AGO 1917 YEAR IN KUTAISI

In February 1917, Russia won the bourgeois-democratic revolution. Emperor Nikoloz II Romanov resigned from the throne. Lvov created a temporary government. On March 3rd, Ilia Chikovani, head of Kutaisi city (writer - Pontel) From the temporary government received a telegram: "The king's government fell, Please liquidate the old state institutions and make new ones, include all your political parties".

This unexpected and good news soon spread among the people and the demonstration was held on the main street, citizens went to Geguti Street (now G. Tabidze Street). The citizens congratulated the good news George Maiashvili (Zdanovich). At that time George was ill, when he saw the people who had flags, he cried like a baby, then demonstrators came to the Black Stone Industrial Council building, where Kita Abashidze congratulated the people on victory.

The temporary government ordered the management of the region to the Transcaucasian Emergency Committee ("Ozakom"). It was created on March 8, 1917. Its members were from the Trans Caucasus: B. Kharlamov (TAV), G. Papajanov, M. Japarov, A. Chkhenkeli and K. Abashidze (instead of late V. Gelovani).

Before the introduction of self-governance were Commissioners and Executive Committees, workers' councils were also created. As already mentioned, the news about the overthrow of the government was spread quickly, Therefore, preservation of the old structures of the government have been practically impossible. Under the influence of these political forces, the work councils were formed, which was chaired by the well-known Social Democrat Evgeni Gegechkori.

In Kutaisi, on March 3, a temporary executive committee was established, the chairman of which was Chikovani. On March 4, meeting was held in the city. There were Chikovani, Social Democrat E. Gegechkori, Socialist-Federalists Al. Tsereteli and Gr. Lagidze, Socialist Revolutionaries - I. Gobechia and I. Kakabadze, a worker – Salia.

Everyone admitted that it was necessary to grant self-government to people and autonomy to Georgia.

The demonstration was held on March 7, where were: Chikovani, e. Gegechkori, priest Kapanadze, officer Baghashvili and one soldier. E. Gegechkori called on the soldiers to help people fight the counter-revolution. On

the same day, the members of the Executive Committee gathered at the governor's residence, the Heads of the Army, the Head of the Treasury Chamber, the Head of the District Court and the Governor himself. All of them have expressed full support to the temporary government.

The preservation of old structures was not justified. On March 10, the Gendarmerie Court declared, that it was subordinated to the new government and Except for money and weapons, property was transferred to the Society.

On March 14, Kutaisi General Governor- Governor A. A. F. Gudovic resigned. By the end of July 1917, the Board of Governors of the provincial Councils were annulled. In the first days of March, the working council was formed in Kutaisi, where the Menshevik majority were social democrats. In the days before the governor's resignation, the Emergency Committee of Transcaucasus appointed Kutaisi governor's commissioner Yevgeny Peter Gegechkori (1881-1954). D.F. Mdivani was appointed as the city commissar.

As a result of the global activity that arose due to World War II, five political developments were established in Georgia: Social-Democratic (Menshevik and Bolshevik separately), social-federal, socialist-revolutionary and national-democratic. These political groups were very active in the first days of March 1917.

The first chairman of the board was Evgeny Gegechkori. The Social-Federalist Council was relatively small.

As for the socialist-revolutionist, they were mainly hoping for the army and they worked together with the committee. The Bolshevik organization in Kutaisi was just as weak as in whole Georgia. In April-May 1917, the city's public police was created. 10 representatives from each party were sent. There were 5-5 representatives in each district. Ivan (Vanichka) Zhghenti was appointed as the head of the militia, captain Goltmanovski was sent to the Commissioner.

The new members of the militia received the oath on June 10. The purpose of the People's Militia was not only the protection of public order in the city; It was also used against desertion, robbery and counter-revolution.

At the beginning of June elections were appointed, the city was divided into three electoral districts. Elections were held in 15 districts in the city. At that time, Kutaisi was preparing to take part in the elections, 4 political parties: Social-Democratic, Socialist-Federalist, Socialist-Revolutionary and National-Democratic. They supposed that socialist-revolutionaries did not have a significant influence on the society and would have less support in the elections. After the elections, the National Democrats were forced to admit that: "Many people gathered around socialist parties."

The city council elections were held on August 6, 1917. Social Democrats (Election List N1) have gained a great advantage in it. They received 11527 votes and 39 mandates, the Socialist-Revolutionaries (N2) received 4083 votes, 14 components and N3 party list were Socialist Federators. They received 2606 votes, which meant 9 mandates. In the National-Democrats list N4 888 voters voted and received three sits. Non-party blocks N5 collected 253 votes and accordingly they had one mandate in the draft. Social-Democrats set up their bureau in the city council including the following members: Urathadze, S. Gegelashvili, N. Sokolovsky, Davidovich, S. Kiladze, a. Japaridze and V. Kostava.

The first meeting of the council was held on September 1, 1917 in their native language, this was the first case in the history of Kutaisi self-government when the session was held in the native language. Declarations were delivered at the session on behalf of the factions: from Social Democrats Giorgadze, from Social-Federalists - D. Uznadze, from Socialist Revolutionaries Tevzadze and National Democrats - T. Japaridze. At this meeting the decision was made that the Chairperson of the city council and the head of the city would have separate power and authority. Alexander Ivan Japaridze was elected as the Chairperson of the city council, a social-democrat Dimitri Kalandarishvili was elected as the Head of the city, Mepisashvili was eleced as a member of the board and D. Avaliani was elected as secretary of the City. On September 9th, the Socialist-Revolutionary Mirian Basilaia was elected as the deputy of the city, Sh. Sanbeidze - as a member of the board, Social Democrat Chumburidze – as a Council Secretary. He previously worked as a teacher at Khashuri gymnasium. At the end of September the com-

rades Gegelashvili and I. Gobechava were elected as assistants of the Chairman of the City Council. At the session of September 13, the city council made a decision that from now on all cases would be conducted in Georgian.

This composition of the city self-governance came to an end in February 1919. The election of the new convocation council was to be held on February 19, but since the election of the Constituent Assembly of the Republic of Georgia started on February 14, the local election was postponed to the first of March.

One of the main problems in the city was the violent action of soldiers returning from the front. On April 29, 1917, soldiers attacked the Federalist Club. Then they went to the classical gymnasium, there was the federal bureau, the soldiers took the flag of federations and insulted them. Finally they came to the Council of Social Democrats and socialist-revolutionists, where the crowd explained that such violence was unacceptable and would threaten citizens and democracy. This violent action was not the only thing that took place in 1917 in Kutaisi. Similar disorders were held in the city on July 22-24, when the political clubs were dispersed once again, and then the same crowd was going to insult the city.

On July 22, drunken soldiers attacked the governor's commissioner Gr. Giorgadze and his deputy N. Kikodze and wanted to rob them and beat them, workers and soldiers hardly rescued the commissioner and his deputy. On July 27 several dozen persons were arrested in Kutaisi.

On October 2 and 3, Russian soldiers set up a large raid in the city, as a result, shops were destroyed, drunken soldiers attacked trade and private houses, they broke down and burned them. The number of raids was gradually rising, the head of Kutaisi militia Zhgenti, was injured. E. Gegechkori and I. Machavariani returned to Kutaisi on October 3. 300 soldiers arrived from Batumi and 1500 cadets arrived from Tbilisi, but in the days that followed, the city was still feeling tense. The streets were filled with people and demanded to leave the city of cadets, the streets were filled with people and demanded to leave the city of cadets. On October 5, the whole power was transferred to Gr. Giorgadze's competence. The events that took place once again show the necessity of creating national military units. On August 10, 1917, a meeting was held in Kutaisi where Georgian soldiers and officers took part, they demanded to create Georgian regiments, but the initiative had no practical results. At the request of the soldiers and officers, Gorzinski ordered to create a hundred-soldier division that would obey the commissioner of the province. Giorgadze helped him to keep the order. In Kutaisi there was a preparation for the election of the constituent assembly, for this purpose 5850 rubles were allocated. The chairman of the commission was the Social Democrat Gr. Uratadze. The city was split into three polling stations. Elections were conducted by party lists. Elections were held in Kutaisi on 12-13 and 14 November, but due to the passivity of the population, its term was extended until November 16. The founders' assembly hoped to receive a majority of votes, but only 25 percent were collected, while Mensheviks received 13 votes, while cadets and other parties - 13 percent. The founders' assembly gathered on January 5, 1918. He refused to prove the resolutions presented by the Russian CC. On January 6, according to Lenin's report, the Central Executive Committee The founding congregation was declared dismissive. In the summer of 1917, the Inter-Party Council was established, the chairperson of the Inter-Party Council was social-democrat Akaki Chkhenkeli. The representatives of the Council were: Takaishvili, I. Javakhishvili, K. Makashvili, p. Ingorkva, D. Shevardnadze.

From November 19 to November 22, the National Congress of Georgia was held, At the congress k. Abkhazi and Kutaisi governor - D. Nizharadze, declared the property of Georgian nobility as the property of the Georgian nation. The National Congress of the National Council elected the National Council, consisted of 60 members. Then the National Council then exercised the functions of the government.

We tried to keep the archive documents and periodic press based on the most important events of the year. Such socio-political situation was in Kutaisi a hundred years ago - in 1917.

The big victory was closer - May 26, 1918.

თეონა მურადია  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## ქართველთა საგანმანათლებლო კერა სტამბოლში

ნებისმიერმა ქართველმა, რა მიზნითაც არ უნდა იმყოფებოდეს სტამბოლში, წარმოუდგენელია არ მოინახულოს ამ უმშვენიერესი ქალაქის უძველესი უბანი ფერიქო, სადაც დგას „ქართველთა სავანედ“ წოდებული კათოლიკური ეკლესია. მეტად შთამბეჭდავია ისტორია ამ ტაძრისა, რომელიც სამშობლოდან დევნილ ცნობილ ქართველთა თავშესაფრად იქცა ძნელბედობის უამს.

წილად მხვდა ბედნიერება მეც, 2006 წელს სტამბოლში სასწავლებლად ყოფნის დროს, არაერთგზის მომენახულებინა ქართველთა წმინდა სავანე, გავცნობოდი მის მდიდარ საბიბლიოთეკო და საარქივო ფონდების ინვენტარიზაციაზე მომუშავე ქართველ მეცნიერს, შუმანა ფუტკარაძეს, რომელმაც 2012 წელს გამოსცა წიგნი „სტამბოლის ქართული სავანე“. ნაშრომში გადმოცემულია საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის – სტამბოლის ქართული ეკლესიის ისტორია. ავტორი კარგად იცნობს მის დღევანდელ მდგომარეობასაც. წიგნი ძირითადად ეძღვნება სავანის დიდ ქომაგს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და ცნობილ ქველმოქმედს, სტამბოლელ მილიონერს – სიმონ ზაზაძეს. ასევე წარმოჩენილია ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევა-შენახვის საქმეში სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის დამსახურება. სწორედ მათი დიდი ძალისხმევის შედეგია სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული საგანძურის (ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა, ძვირფასი არქივი, საინტერესო სამუზეუმო ექსპონატები) დაცვა და დღემდე მოტანა.

პირველი ქართული კოლონიები სტამბოლში საუკუნეების წინ დამკვიდრებულა. 1899 წელს **მიხეილ თამარაშვილის** მიერ შედგენილ საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ 33 ქართულ სავანეთა შორის სულ ბოლოს მოიხსენიება IX საუკუნის „წმიდათა მოციქულთა“ სახელზე აგებული სტამბოლის უძველესი ქართული სავანე.

ქალაქში ორი სავანე უნდა ყოფილიყო: ერთი სოსტენისა კონსტანტინოპოლის გარე მიდამოებში და მეორე ანასტაზიასი თვით შიგ ქალაქში. ამასთან, ქალაქში ოდითგანვე არსებობდა ქართული საცხოვრებელი უბნებიც, რომელთაგან ყველაზე ძველი ყოფილა „გურჯი-კაპუ“ გალათის რაიონში, ხოლო XVII საუკუნიდან, ოსმალთა პერიოდში – „ვეზირ-ხანი“. გალათის მიდამოებშივე არსებული იტალიური წმიდა პეტრეს ეკლესიაც ქართველთა სამრევლოდ ითვლებოდა, ხოლო I მსოფლიო ომამდე ქართველ მღვდლებს „პერის უბანში ჰქონდათ პატარა სასწავლებელი და ეკლესია. მეტიც, 1860 წლამდე სტამბოლის ქრისტიანულ სასაფლაოზე მიცვალებულთა საფლავებს ქართული წარწერები ჰქონდა, რომელთა ნაწილი XX საუკუნემდეც შემორჩენილა“ ([1,30]).

XVII საუკუნეში, ინგლისის საელჩოს მაშინდელი დიპლომატი, რიკოტი შენიშნავდა, რომ თურქეთის სამეფო კარზე ხშირად ჩნდებოდნენ ქართული წარმოშობის მოხელეები: ფაშები, ვეზირები თუ დიდვეზირეები. სტამბოლში თანდათან ფეხს იკიდებდნენ ქართველი ვაჭრებიც და ხელოსნებიც.

XVIII საუკუნეში ქართველთა ძირითადი თავშესაყარი იყო ეინი ჯამეს უბანი. „ეინი ჯამე – წერდა სტამბოლელი კორესპონდენტი, – საცა ახლა ვაჭრობენ, ქართველთა ბუდეა ძველი ძველთავე“. აქ ქართველებს შეძენილი ჰქონდათ სასტუმრო სახლები, ე.წ. „ოდები“, რომლებიც ქარვასლებისა და სავაჭრო ფუნქციებსაც ასრულებდნენ. 1859 წლისათვის სტამბოლში 21 ასეთი „ოდა“ ყოფილა, რომელთა საქმეს წარმართავდნენ ეკლესიის მიერ არჩეული ე.წ. „სინდიკები“: ივ. მეფისაშვილი, პ. და ი. ბეჟანიშვილები, ი. ხითარიშვილი, ი. თუმანიშვილი ი[3,48].

XIX ს-ის მეორე ნახევარში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ახალციხელი პეტრე ხარისჭირაშვილი. ევროპიდან დაბრუნების შემდეგ 1842 წელს

ის ახალციხეში აკურთხეს მღვდლად, 50-იანი წლებიდან ხიზაბავრაში გადაიყვანეს, ხოლო 1856 წელს საზღვარგარეთ წავიდა. 1858 წლიდან მან ვენეციაში ქართულ ენაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი ისტორიული და თეოლოგიური წიგნი გამოსცა. იმხანად კათოლიკურ ეკლესიებში ქართულ ენაზე მღვდელმსახურების ნება დამტკიცებული არ იყო. მალე პეტრე ხარისჭირაშვილმა თავისი საქმიანობით ვატიკანის უურადღებაც დაიმსახურა და 1859 წელს სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება მიიღო – ქართული ენითა და ტიპიკონით. 1861 წელს მან დააფუძნა სტამბოლის ღმრთისმშობლის ეკლესია, **ნოტრდამ დე ლურდი;** 1870 წელს – ქართული სტამბა, მამათა და დედათა მონასტრები, ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები.

კონგრეგაცია მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა. დაარსებიდან ერთი წლის შემდეგ შეიქმნა სასულიერო სასწავლებელი. საღვთისმეტყველო საგნების გარდა ისწავლებოდა ქართული ენის გრამატიკა, ლიტერატურა და ისტორია. მოსწავლეებმა ზეპირად იცოდნენ ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. იმდენად საფუძვლიანად ასწავლიდნენ ლათინურ და ფრანგულ ენებს, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეს ამ ენებზე წირვის აღსრულება, ანდა ფრანგულ სემინარიებში სწავლის გაგრძელება შეეძლო. წარმატებულ ახალგაზრდებს მონასტრის ხარჯით ევროპაში გზავნიდნენ სწავლის გასაგრძელებლად. „პეტრესგან განკაცებული მამებით მოფენილია მთელი ევროპა“ – წერდა იმდროინდელი პრესა.

პეტრე ხარისჭირაშვილი რვა ენას ფლობდა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას ქართულის სწავლებას აქცევდა. 1870 წლისათვის ხარისჭირაშვილის დაუზოგავი შრომის შედეგად მონასტერში უკვე მუშაობდა ქართული სტამბა. მარტო 1877–1881 წლებში ამ სტამბაში დაიბეჭდა და საქართველოში გავრცელდა 25-მდე სხვადასხვა წიგნი. პეტრე ქართული ენის სინმინდის დასაცავად მრავალ ლონეს მიმართავდა, გრამატიკის შედგენაც დაიწყო. მაშინ, როდესაც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ჩამორთმეული ჰქონდა და ქართული ენისა თუ მწერლობის განვითარებაში მონაწილეობას აღარ იღებდა, სტამბოლის მონასტერი გრიგოლ ხანძთელის დაწყებულ საქმეს აგრძელებდა.

1894 წელს აშენებული მონასტრის ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე გახსნეს სასტუმრო სტამბოლში ჩასული უბინაო, ხელმოკლე ქართველებისათვის. ისინი პირველი მსოფლიო ომის დროს მესხეთ-ჯავახეთიდან, აჭარასა და ტაო-კლარჯეთიდან იყვნენ ლტოლვილები. [3,152–153].

1900 წლისათვის სტამბისა და სკოლის შესანახად ქართულ საქმოს ჰქონდა **5 დუქანი**, საქონლის ფერმა და სხვა **სავაჭრო ობიექტები**, რომლის წლიური შემოსავალი 4 000 მანეთზე მეტი იყო. ძმობას ბანქში დაბანდებული ჰქონია 45 000 მანეთი. ქართული მონასტერი შენირულობებს საქართველოდანაც ღებულობდა: 1916 წლის 22 ივნისს, როცა ახალციხეში გარდაიცვალა მღვდელი პავლე ყალაიჯიშვილი, მან 10 000 მანეთი ანდერძით დაუტოვა სავანეს. ცნობილია ისიც, რომ ქართველი ქველმოქმედი სტამბანე ზუბალაშვილი ყველაზე მეტად ეხმარებოდა მიხეილ თამარაშვილს, რომლის მოღვაწეობაც ასევე დიდად იყო დაკავშირებული სტამბოლის ქართულ მონასტერთან. ნოტრდამ დე ლურდის მნიშვნელობა იმდენად გაზრდილა, რომ მას თვით სულთანი აბდულ ჰამიდი პატრიონობდა. გაზეთი „ჯვარი ვაზისა“ და მაშინდელი სტამბოლის პრესა აღნიშნავდა, რომ 1893 წელს სულთანმა ქართული სკოლა უხვად დაასაჩუქრა, ხოლო სკოლის დირექტორს, **ანდრია წინამძღვრიშვილს** 150 ოქრო და ორდენის მეოთხე ჯვარი უბოძა. ცერემონიაზე თურქეთის სახალხო სკოლების ზედამხედველმა ისმაილ-ფაშამ ქართულ ენაზე მიმართა სტუმრებს [2.18].

ყოველი ეკლესია-მონასტერი, როგორც ცნობილია, კულტურისა და განათლების კერა იყო ოდითგანვე. ქართველ მოძღვართა ძალებით სტამბოლში ფაქტიურად 3 სკოლა მუშაობდა: „ფერიქვევის, იენიშარისა და უსკუდრის“ [3,190]. სწავლება მიმდინარეობდა ქართულ-ფრანგულად, თურქულ-ფრანგულად და ბერძნულ-ფრანგულად. საღვთისმეტყველო საგნების გარდა, ქართულ სკოლაში ისწავლებოდა: ქართული ენის გრამატიკა, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მათემა-

ტიკა, ფიზიკა, ასტრონომია, სამედიცინო საქმე, ფრანგული და ლათინური ენები. დიდი რუდუნებით ასწავლიდნენ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“, შოთა რუსთაველს, დავით გურამიშვილს, სულხან-საბას, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილიას ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელსა და ვაჟა ფშაველას! საკმარისია ითქვას, რომ დიდი ქართველი მეცნიერი, მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც ილია ჭავჭავაძე „მეორე ქართლის ცხოვრების შემქმნელს“ უწოდებდა, ქართულ სკოლაში 1895-97 წლებში ფილოსოფიასა და თეოლოგიას ასწავლიდა. ქართული კოლონიის პოპულარობას საძმოს წევრების ავტორიტეტან, პრესტიულ სკოლებთან, ბიბლიოთეკასთან, სტამბასთან თუ ორკესტრთან ერთად, მარიამ ღმრთისმშობლის ქანდაკების სასწაულმოქმედი ძალაც განაპირობებდა, რომელიც პეტრე ხარისჭირაშვილმა სხვა ჯვარ-ხატებთან ერთად სპეციალურად პარიზიდან ჩამოიტანა 1861 წელს.

1908 წლის 26 აპრილს, მონასტერში გადაიხადეს აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო და ბიბლიოთეკასაც მისი სახელი მიანიჭეს: „აქ სამი რიგის ქართველები არიან – წერდა სასწავლებლის მოძღვარი სტეფანე გიორგაძე 1909 წელს – კათოლიკენი, არა კათოლიკენი და მაპმადიანი“. ამით აღფრთოვანებული დომინიკე მულაშაშვილი, რომელიც რედაქტორობდა „ჯვარი ვაზისას“, წერდა: „მე ამაში ზეგარდმო მადლს ვეხდავ და ვრწმუნდები, რომ სამი სარწმუნოების სამი შეიძლება ქართველთ გვაროვნებისა ისევ ერთს ხეზე ყოფილა დამყნილი და თავის ფესვებს არ მოშორებია“ [2,7]. ტამბოლში მცხოვრები მუსლიმი ქართველების რიცხვი კი, 1870-1880 წლებისათვის, შ. ლომსაძის ცნობით, შეადგენდა დაახლოებით 30-ათას კაცს [2,14]. ამიტომ არ არის გასაკვირი, რასაც 1911 წელ „სახალხო ვაზეთი“ წერდა: „1880–90-იან წლებში სტამბოლის არც ერთ სამლოცველოს იმდენი მრევლი არ ესწრებოდა, რამდენიც ქართულ მონასტერს“ [4, 232]. „Les fon les de Leude Paris-ში“ (1906) ჰუსმანი აღნიშნავდა: „ქართველთა მონასტერი გადაიქცეოდა მეორე Massabi elle-დ, სადაც მლოცველები ისე უხვად არიან, როგორც გავის სანაპიროზე“ [2,18].

უკანასკნელად ქართული წირვა ეკლესიაში ანდრია წინამძღვრიშვილმა 1911 წლის ნინოობაზე აღავლინა. „სახალხო ვაზეთის“ კორესპონდენტი წერდა: „ამ დღეს ეკლესის ტრაპეზის თავზე აღმართული იყო წმინდა ნინოს დიდი ხატი... ქართული სიმღერები საოცრად იგალობა საეკლესიო გუნდმა, რომელსაც ლოტბარობდა იტალიიდან ახლად დაბრუნებული კონსტანტინე საფარაშვილი. გუნდი მღეროდა „ოთხ ხმაზე“... ქართველები შორეულ კონსანტინოპოლში თავიანთ მშობლიურ ენაზე სწირავდნენ და სიხარულით ტიროდნენ“ [4,232].

ქართველ კათოლიკე მოძღვანებებს რუსეთის იმპერიის მიერ იმთავითვე აკრძალული ჰქონდათ საქართველოში ჩამოსვლა, რადგანაც ამ სავანის მე-4 წინამძღვრის, პიო ბალიძის განცხადებით, „ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებობით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“ [1,29].

სტამბოლელ ქართველთა ქრისტიან ცალკე ფურცელია 1921–1924 წლები, როდესაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდგომ, ბათუმიდან სტამბოლში დაიწყო ქართველთა რამდენიმეწლიანი მიგრაცია.

ნიკოლო მიწიშვილი, რომელიც თვითმხილველია ამ ამბებისა, თავის წიგნში „ქართული ქრისტიანოლუციის დროიდან“ წერს: „ქართველ კათოლიკეთა მონასტერი აშენებულია სტამბოლის განაპირა უბანში. მონასტერი წარმოადგენს მაღალი ქვის კედლით გარშემორტყმულ სამსართულიან შენობას, რომელსაც უკან მოდგმული აქვს სამლოცველო, ხოლო შემდეგ პატარა ბალი, სადაც ბერები უვლიან ბოსტანსა და ხეხილს. ბერებმა ქართველ ემიგრანტებს დიდი დახმარება გაუწიეს იმით, რომ ბინა მისცეს ლტოლვილებს და საკვებით ეხმარებოდნენ“ [4, 29–30].

1924 წელს რუსეთთან სამწლიანი ბრძოლის შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირიც, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც მის „შეფიცულებთან“ ერთად სტამბოლს შეეხიზნა... ამგვარად, 1920-იან წლებში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სხვადასხვა ქართველებით თავმოყრილ „სტამბოლის ზღაპარში“

სხვებთან ერთად ირეოდნენ ყოველდღიურ საშოვარზე წამოსული ქართველი „შოფრები“ თუ ვაჭრები, ხელოსნები თუ მუშები, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე უორდანია თუ მისი დევნილი მთავრობის წევრები სრული შემადგენლობით, მწერლები და მსახიობები...

დამოუკიდებლობის პერიოდში დიდი გასაღება ჰქონია აქ ქართულ ნახშირს, მარგანეცს, ხე-ტყეს, ლვინოს, რომელიც მეტოქეობდა ფრანგულ, იტალიურ თუ ადგილობრივ ლვინოებთან, ხილს, შაქარს... პერისა და გალათის უბნებში გაიხსნა ახალი რესტორნები და სასტუმროები; სტამბოლის გავლით იტალიის, ინგლისის, ჰოლანდიისა და საბერძნეთის მიმართულებით ბათუმიდან და ფოთიდან კვირაში სამჯერ მოძრაობდა გემები; ყველა ამ საქმეში ქართველ ბიზნესმენებს აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს კონსული სტამბოლში, **იოსებ გოგოლაშვილი** [1, 40–46]. საქართველოს მთავრობა ფიქრობდა ბანკის გახსნაზეც, თუმცა, ბედის ირონით, ბანკის ნაცვლად თვითონ აღმოჩნდა სტამბოლში.

1956-1959 წლებში ქართველთა სავანეს მძიმე დრო დაუდგა, თურქეთში ატენილმა ქარიშხალმა მასაც გადაუარა. მონასტრის არსებობას საფრთხე დაემუქრა, ამიტომ მრევლმა გადაწყვიტა კათოლიკეთა საზოგადოების ფონდის შექმნა, რომლის თავმჯდომარედ 1966 წელს პავლე ზაზაძე აირჩიეს.

მონასტრის ვრცელ მიწებზე ბევრს ეჭირა თვალი, კანონიც ხშირად იცვლებოდა და საკუთრების დაცვაც ძნელდებოდა, მაგრამ ზაზაძეთა ოჯახის ძალისხმევით ყველაფერი ხელუხლებლად შენარჩუნდა.

დღეს წირვაზე იშვიათად ნახავთ აქ ქართველ მორწმუნებს, წირვაც უმეტესად თურქულად აღევლინება, თუმცა ახლაც, როგორც გასული საუკუნის ცნობილი კათოლიკე მისიონერი ეჯენ დალეჯო დ'ალესიო 1921 წელს წერდა:

„ამ სავანეში ყოველიფერი საქართველოს მოგაგონებს... უცხოეთში გადმოტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისა გინდა იყო, მოდი ამ სავანეში... სულით განახლებული წადი, ქართველო, და ჩაები ცხოვრების ტალღებში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილის-შვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას“.

სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულია უნიკალური დოკუმენტები და წიგნები, რომლებიც ახლა თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ საცავშია განთავსებული. აღნიშნული მასალები წლების განმავლობაში ყუთებში ინახებოდა და მისი დაზიანების საფრთხე არსებობდა. წიგნთსაცავში ინახება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ქართველი ისტორიკოსების მხრიდან ყურადღებას და შესწავლას საჭიროებს.

TEONA MURGHULIA  
Kutaisi State Historical Museum

## GEORGIAN EDUCATIONAL CENTER IN ISTANBUL

Every church and monastery as it is known from immemorial time was the cultural and education center. Istanbul, in the most beautiful an ancient city stands the Catholic Church which is called “Georgian Savane(haven)”. The story is very impressive about this Savane, which became the shelter of famous Georgian refugees from their homeland in difficult times.

In 1899, among the 33 Georgian saints outside of Georgia, drawn up by Mikheil Tamarashvili, in the last Georgian monastery of Istanbul, built on the name of the “Holly Apostles”. In the second half of XIX, Petre Bakhtirashvili from Akhaltsikhe was especially famous for cultural and educational activities. In 1861 he founded in Istanbul the Virgin Church, Notre Dame Blue, in 1970- Georgian Stamps, Fathers and Mothers Monasteries, Georgian-french and Georgian-Greek Women and Children Schools. The chronicle of the.

Istanbul Georgians is 1921-24, when Georgia lost independence and from Batumi to Istanbul started sev-

eral years of migrations. Georgian scientist Shushana Putkaradze published a book in 2012 "The Georgian Savane(haven) in Istanbul". The work presents one of the most important Georgian culture abroad. It is also shown the merit of Istanbul Zazadze family in the study and storage of Georgian cultural heritage. The family of Zazadze went on to protect and preserve the treasure (church-monastery, rich library, valuable archive, interesting museum exhibits) in the Georgian Savane area.

In the Georgian basement of Istanbul, there are unique documents and books which are now located in the store with modern standards. Those materials were kept in boxes for years and there was a danger of damage. The books and materials of the new and recent history of Georgia are kept in the bookstores which require attention and study from Georgian historians.

#### ლიტერატურა:

1. ევგენი დალეჯო დ'ალესიო. „ქართველები კონსტანტინოპოლში“ პ. შალვა ვარდიძის თარგ-მანი. სტამბოლი. „ქართული სავანე“. 1921. გვ. 30–32, 39–40.
2. გაზ. „ჯვარი ვაზისა“ 1906, №18.
3. შოთა ლომსაძე, „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“ თბ. 1984. გვ. 82–83.
4. ნიკოლო მიწიშვილი, „ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“ თბ. 2006. გვ. 29–30.
5. „სახალხო გაზეთი“. 1911, 232.



ნები უგრიესებიდა  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ასოც. პროფესორი

## სასანური მონეთა – სპარსული კულტურის ძეგლი

ირანი მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურის ქვეყანაა ეს კულტურა ათასწლეულების გან-  
მავლობაში იქმნებოდა და მასში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო ირანელები, არამედ მის ტერი-  
ტორიაზე მცხოვრები სხვა ხალხებიც – ტაჯიკები, ბელუჯები, თალიშები, სოლდელები, ხორეზმელები,  
ავღანელები და სხვა. მაგრამ ირანულმა უნიკალურმა კულტურულმა მონაპოვრებმა ლიტერატურაში  
და ხელოვნების სხვადასხვა დარგებში ყველაზე მაღალ მნვერვალებს მიაღწია სასანური ირანის (III-VII  
ს.ს.) მმართველობის პერიოდში. სასანელებმა უდიდესი როლი შეასრულეს როგორც თვით ირანის,  
ასევე მთელი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. სა-  
სანიანთა სამეფო დინასტია წარმოშობით ფარსიდან იყო. დინასტიის სახელწოდება მოდის სასანისაგან,  
რომელიც ქალღმერთ ანაპიტას ტაძრის ქურუმი იყო და ფარსის სამეფო საგვარეულოს ეკუთვნოდა.  
მისი შვილი პაპაკი ისთახრის (პერსეპოლისის) მმართველი იყო და მას მეფის ტიტული ჰქონდა. პაპაკის  
შვილი არდაშირი კი ციხე დარაბგერდის მმართველი იყო. (1, 21). არდაშირმა 224 წელს დაამარცხა  
უკანასკნელი პართელი მეფე არტაბან V და თავისი ძალაუფლება გაავრცელა მთელ რიგ ოლქებზე,  
რომლებიც პართიის სახელმწიფოში შედიოდა. ამ დინასტიამ დიდი როლი შეასრულა როგორც თვითონ  
ირანის, ასევე მთელი მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მიუხედა-  
ვად იმისა, რომ სასანიანთა დროის ირანული კულტურა მჭიდროდა დაკავშირებული როგორც ინდურ,  
ისე ბიზანტიურ კულტურასთან და მათ საგრძნობ გავლენასაც განიცდის, იგი მაინც დიდ კვალს ტოვებს  
მთელი აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის ისტორიაში. (2, 9). სასანელები თავიანთ თავს ძველი აქე-  
მენიდური ირანის ნამდვილ მემკვიდრეებად თვლიდნენ და ცდილობდნენ დიდი წარსულის მქონე კულ-  
ტურული მემკვიდრეობის ახალ დროში გადმოტანას. ამის გამო ისინი თავისებურად აქემენიდების  
დროის ძველი ირანული კულტურული მემკვიდრეობის განმგრძელებლის როლში გამოვიდნენ. მათ მოი-  
სურვეს ყველა იმის აღდგენა, რაც აქემენიდთა დროის ირანს ახასიათებდა. პირველ რიგში, აღადგინეს  
ძველი ირანის რელიგია – ზოროასტრიზმი და ის სასანურ ირანში გაბატონებულ რელიგიად აქციეს.  
რელიგიის სახელწოდება მოდის წინასწარმეტყველ ზარათუშტრასაგან. ზარათუშტრა ცხოვრობდა და  
მოღვაწეობდა ძვ. წ. VII VI საუკუნეებში. ის ისტორიული პირია, მაგრამ მისი ცხოვრების ბევრი დეტალი  
ბურუსითაა მოცული. ზარათუშტრას მიერ ქადაგებული რელიგია დუალისტურ პრინციპზეა აგებული.  
სამყაროში ერთმანეთს გამუდმებით ეპრძვის ორი საწყისი. კეთილი საწყისი წარმოდგენილია ღმერთ  
აპურამაზდათი, ბოროტი, ბნელი საწყისი კი ბოროტი სულით – ანპრა მანიუთი (აპრიმანი). აპურამაზ-  
და ყოველგვარი სიკეთის შემემნელია. მან შექმნა ცა, წყალი, მინა, მცენარეები, ცხოველები, ადამიანი,  
ვარსკვლავები, მზე, მთვარე, ცეცხლი. მისი თვისებებია ყველაფრის ცოდნა, მართვა, შემოქმედებითობა.  
იგი მომთმენი და უვნებელი ღვთაებაა. (2, 21). ბოროტების მეუფე აპრიმანი აპურამაზდას მეტოქეა.  
მისი ეპითეტებია: დაწყევლილი, ბოროტების მსურველი, სიკვდილით ალვსილი, დამანგრეველი. მისი  
თვისებებია – უვიცობა, დაბნეულობა, შიში მართალთა წინაშე. მკვიდრობს სიბნელეში. აპურამაზდას-  
თან ბრძოლაში დასახმარებლად აპრიმანმა დევები შექმნა. მათი მეშვეობით ის ზიანს აყენებს სინათლის  
სამეფოს მესვეურთ. აპურამაზდას ემორჩილება კეთილი ღმერთების ჯარი – მზე, მთვარე, ვარსკვლავე-  
ბი, ხოლო აპრიმანს ბოროტი სულების სამეფო. საბოლოოდ იმარჯვებს კეთილი საწყისი. მანვე მიანიშნა  
ადამიანის უმაღლეს დანიშნულებაზე – გაეკეთებინა არჩევანი ამ ორ საწყისს შორის. ორივე საწყისს  
ჰყავს დამხმარე ძალები, რომელთა სახელებშიც ინდოირანელთა უძველესი პანთეონის კვალი იყოთხება  
(2,21). აპურამზდას სიმბოლოა ცეცხლი. იგი ასახიერებს ღვთის სამართალს და ზეციურ სამსჯავროს  
(3, 39). ამიტომ ცეცხლს უმთავრესი რიტუალური ფუნქცია ენიჭებოდა. იგი, როგორც გამწმენდი საშუ-

ალება, სამყაროს მცველია. იმ ადგილების მოვლა, სადაც ცეცხლი იყო, ითვლებოდა ზოროასტრელთა მოვალეობად. ზოროასტრული სწავლებით, ის, ვინც ცეცხლს ჩააქრობდა, ჯოჯოხეთში დაისჯებოდა. მაზდეანურ ტაძრებში იყო ცეცხლის საკურთხეველი. ამ საკურთხევლის წინ ჩაუქრობლად ენთო კოცონი. იკრძალებოდა ცეცხლში ნაგვის დაწვა. საჭმლის მომზადებისას არც ერთი წვეთი წყალი არ უნდა ჩავარდნილიყო ცეცხლის ალში. (4, 8).

რადგან ზოროასტრული რელიგია უძველესი რელიგიაა, მან პირდაპირ თუ ირიბად გავლენა მოახდინა როგორც კაცობრიობის ისტორიაზე, ისე მთელი მახლობელი აღმოსავლეთის კულტურაზე. განსაკუთრებით კი დიდი გავლენა მოახდინა ამ რეგიონში წარმოშობილ რელიგიებზე – იუდაიზმზე, ქრისტიანობასა და ისლამზე. მისი მრავალი დებულება კეთილშობილური და მაღალი მორალური ღირებულების მატარებელია. ამიტომ გვიანდელმა რელიგიებმა ბევრი რამ ისესხეს მისგან, როგორიცაა მონოთეისტური სისტემა, რწმენა მოციქულთა არსებობისა, მესიის (მხსნელის) მოვლინებისა. ამავე დროს, ადვილი შესაძლებელია, მსოფლიო რელიგიებში ზოროასტრიზმიდან იყოს ნასესხები ჯოჯოხეთისა და სამოთხის, სულის უკვდავების, მიცვალებულთა აღდგომის და განკითხვის დღის შესახებ. (2, 16).

საქართველოსა და ირანს შორის უძველესი დროიდან არსებობდა ისტორიული, კულტურული და სავაჭრო-ეკონომოკური ურთიერთობა, რაც დაკავშირებული იყო საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან. როგორც ცნობილია, საქართველოზე გადიოდა დიდი სავაჭო-სატრანზიტო გზა, ამიტომ ირანი დაინტერესებული იყო საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებით და გაფართოებით. ამის გამო საქართველოში დიდი რაოდენობით შემოვიდა და გავრცელდა სასანური მონეტები, სასანელები ჭრიდნენ ვერცხლის მონეტას – სასანურ დრაქ-მას, რომელიც, მასზე არსებული პორტრეტული გამოსახულების გამო, შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად. საერთოდ, პორტრეტული გამოსახულება სასანური ირანის ხელოვნებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული თემა არის. (5, 62). მაგრამ პორტრეტული ხელოვნებისადმი ინტერესი ირანის ხელოვნებაში უფრო ადრეულ ხანაშიც, აქემენიდების ეპოქიდან მოყოლებული, სელვაკიდური და პართული პერიოდის ხელოვნებაშიც კარგად არის ცნობილი. მაგრამ განსაკუთრებით ფართო გავრცელებას იგი პოულობს სწორედ სასანიდების დინასტიის ბატონობის პერიოდში. საერთოდ, ოფიციალური პორტრეტის კვლევა სასანური ირანის ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. როგორც ცნობილია, პორტრეტები გეხდება ხელოვნების სხვადასხვა ძეგლებზე – კლდის რელიეფებზე, გლიპტიკურ ძეგლებზე და, რაც ჩვენთვის ყველაზე მთავარია, ნუმიზმატიკურ მასალაზე. ამ პერიოდის ხელოვნების მთავარი მიზანი იყო კარგად და გამოკვეთილად წარმოჩენილიყო მეფეთა ღვთაებრივი წარმომავლობა. ამიტომაა, რომ სასანური პერიოდის მეფეების და მათი ოჯახის წევრების პორტრეტების შესწავლა მეცნიერთა კვლევის ობიექტს წარმოადგენს (5, 62). მაგრამ, სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ნუმიზმატიკური მასალის მიმართ, რადგან ამ მიმართულებით დღემდე არც ერთ მეცნიერს არ გაუმახვილებია ყურადღება. არადა, სასანური პერიოდის მონეტების ამ კუთხით შესწავლა საინტერესო და აუცილებელიცაა როგორც თვითონ ირანის პოლიტიკური ცხოვრების, ისე ირან-საქართველოს ურთიერთობისათვის III-VII საუკუნეებში. როგორც ცნობილია, სასანურ პერიოდში ხელოვნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან, მის იდეოლოგიასთან. მისი ძირითადი მიზანი სწორედ ის იყო, რომ წინა პლანზე წარმოჩენილიყო მეფეთა და მათი ახლობელთა ძლიერება, მათი ღვთაებრივი წარმომავლობა. ყველაფერი ეს კი ემსახურებოდა მათ მიმართ მორჩილების გამოხატულებას. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ეს მონეტების მოჭრის ხელოვნებაშიც კარგად, გამოიხატა. სასანელების მიერ მოჭრილ მონეტის შუბლზე (ავერსი) მოთავსებულია მეფის პორტრეტი თავით პროფილში მარჯვნივ მიმართული. მას თავზე ფრთებიანი, მაღალი თავსაბურავი, სასანური ყულახი ხურავს. თავსაბურავს ქვემოთ, შუბლის არეში

დიადემა აქვს შემოკრული, რომელზეც მარგალიტების ორი რიგია მოთავსებული. ყურზე მსხვილი მარგალიტის საყურე ჰკიდია, რომელიც ერთი წვრილი და ერთი მსხვილი მარგალიტისგან შედგება. ყელს მარგალიტის ყელსაბამი უმშვენებს, რომელსაც შუაში სამი მსხვილი მარგალიტი. ამკობს. მეფის სახის ნაკვთები მკაფიოდ, საკმაოდ დახვეწილად არის გამოყვანილი. მას მომსხო, სწორი ცხვირი და თხელი ტუჩები აქვს. ნიკაპზე მოკლე წვერი ჩანს. გამოსახულების მარჯვნივ და მარცხნივ ფალაური ზედნერილია მოთავსებული. ეს ყველაფერი მოქცეულია ორმაგ წერტილოვან რკალში, რომლის გარეთ ოთხი ნახევარმთვარეა შიგ ჩასმული ვარსკვლავებითურთ. საინტერესოა მონეტის ზურგიც (რევერსი). მასზე გამოსახულია საკურთხეველი და ზედ ანთებული წმინდა ცეცხლი, რომელსაც მახვილზე დაყრდნობილი ორი მცველი დარაჯობს. კიდეებზე ფალაური წარწერაა. გამოსახულება ჩასმულია სამმაგ წერტილოვან და ხაზოვან წრეში. წრის გარეთა არეზე ოთხი ნახევარმთვარეა ვარსკვლავებითურთ. დ. კაპანაძემ ყურადღება მიაქცია მცველების მდგომარეობას საკურთხებლის და მასზე დანთებული ცეცხლის მიმართ. მისი დაკვირვებით, მცველები მონეტაზე პირველად გამოჩნდა შაბურ I-ის (238-260 წ.წ.) მეფობის დროს. ამ მონეტებზე ისინი მაყურებლის მიმართ ყოველთვის პროფილით დგანან, უმთავრესად პირით ცეცხლისკენ. მცველების ასეთი მდგომარეობა გრძელდება ხოსრო I-მდე (531-579წ.წ.). მისი მეფობის ბოლოს მცველებს მდგომარეობა შეუცვალეს და ცეცხლის მიმართ გვერდით, ხოლო მაყურებლისათვის პირდაპირ დააყენეს. მცველების ასეთი მდგომარეობა სასანურ მონეტებს ბოლომდე შერჩა (1, 52). რაც შეეხება მცველების შეიარაღებას, პეროზამდე (458-488წ.წ) ხან შუბები, ხან კი მახვილებიაგამოყენებული. ისინი მცველებს ყოველთვის საპატიო, შეიძლება ითქვას, საყარაულო მდგომარეობაში უკავიათ. პეროზის შემდეგ მდგომარეობა ძირითადად იცვლება. მცველებს იარაღი სულ ალარ აქვთ და მათი თავისუფალი ხელები ლოცვისთვის ცეცხლისკენ არის მიპყრობილი, მაგრამ ხოსრი I-ის უკანასკნელ მონეტებზე ეს იარაღი ისევ ჩნდება მახვილის სახით, რომლებიც მცველებს სულ სხვა მდგომარეობაში – ფეხებს შორის დაშვებულ მდგომარეობაში უკავიათ და ორივე ხელით ზედ ეყრდნობიან (1,52). ასეთი იარაღით და ასეთ მდგომარეობაში იცავენ მცველები წმინდა ცეცხლს. სასანელების ეს სახელმწიფოებრივ – რელიგიური ემბლემა მონეტებზე ბოლომდე, სასანელთა სახელმწიფოს დაცემამდე იყო შერჩენილი.

#### **ლიტერატურა:**

1. კაპანაძე დ. 1969, ქართული ნუმიზმატიკა, თბ.
2. თათარაშვილი თ. 2015, ირანული რელიგიები საქართველოში III-XII საუკუნეებში, თბ.
3. კაციტაძე დ. 2009, ირანის ისტორია, თბ.
4. ბრაგვაძე ზ. 2010, ქრისტიანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა და ისლამი ადრეულ შუა საუკუნეების ქართლის სამეფოში, უურნალი „კალამი“, № 6. თბ.
5. რამიშვილი ქ. 2003, სასანური პორტრეტი სართიჭალის საბეჭდავ-ბეჭდზე, იბერია-კოლხეთი №1, ძირის დამატებანი IX, თბ.

NELI UGREKHELIDZE  
Kutaisi State Historical Museum, Assoc. Professor

## **SASANIAN COIN - MONUMENT OF PERSIAN CULTURE**

Iran is one of the oldest cultures in the world. This culture has been created for millennia, but Iranian unique cultural achievements have reached the highest peak in literature and in various fields of art during the govern of Sasanian Iran (III-VII cc). The Sasanians played a major role in the political, economic and cultural life of Iran as well as the entire Near East. The Sasanians considered themselves to be the true hereders of the old

Achaemenid Iran and attempted to move the past great cultural heritage into the new time. Because of this, they came up with the role of the extenders of the old Iranian cultural heritage of Achaemenid's time. First of all, they restored the old Iranian religion - Zoroastrianism, and it became a major religion of Iran. The religion preached by Zarathushtra is based on a dualistic principle. In the world, the evil and the kindness are constantly fighting against each other. Kindness is represented as God Ahuramazda, the evil, dark - as the evil spirit - Anhra Maniut (Ahriman). Ahuramazda's symbol is the fire. He expresses God's justice and the heavenly judgment. So the fire was attributed the most important ritual function. As a purifier, it is the defender of the world., the care of those places where was a fire, was considered to be the Zoroastrians' duty. In the Zoroastrian temple there was a fire altar. Where the permanent fire was burning.

Since ancient times between Georgia and Iran there existed historic, cultural and trade-economic relations that were associated with Georgia's geographical location. As it is known, Georgia was a big trade transit route, so Iran was interested in deepening and expanding trade-economic relations with Georgia. Because of this, a large quantity of Sasanian coins entered and spread in Georgia. Sasanians minted silver coins - Sasanian drachma, which, in some sense, could be considered as a monument of art. The obverse of the coin shows the king's portrait directed to the right side of the profile. He wears winged, high Sasanian headgear. Below the headgear, around the forehead he has a diadem with two rows of pearls. The king has a large pearl earring, which consists of one small and one large pearls. The pearl pendant is decorated with three large pearls in the middle. The king's features are rather refined. He has a straight nose and thin lips. A short beard is shown on the chin. On the right and left of the image are placed in the palace This image is inscribed in a dual circle, outside of which are expressed three crescents with stars inside. On the reverse, in the center is placed the emblem of Sassanian fire-worshippers, holy fire protected by two armed guardians. The image is inserted in a triple, spotted rim, outside of which inscriptions and astral symbols are inserted.

It should be noted that the portrait image is one of the most important and widespread theme in the art of Sasanid Iran. The research of official portrait is one of the most important phenomena of Sassan-Iran art. Portraits are represented on different monuments of art - rock reliefs, gliptical monuments and what is the most important for us - on numismatic material. The main purpose of the art of this period was to reveal the divine origin of the kings. Therefore, the research of Sasan period coins are interesting and necessary both for the political life of Iran and the Iran-Georgia relationship in the III-VII centuries.



მაია ქეგულაძე  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

## აკაკი ცერეთლის უცნობი რუსულენოვანი ავტოგრაფი

2009-2010 წლებში ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით ფართოდ გაშლილი სამეცნიერო მუშაობის პირობებში კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურულ არქივში (აღნერილობა XX საუკუნის 40-იან წლებში შეადგინა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ქ. სანიკიძემ) მივაკვლიერ აკაკის რუსულენოვან ავტოგრაფს, სათაურით „საჩხერიდან“ (ქიმ 2173/938)<sup>2</sup>, რომელიც ფელეტონია. ჩვენ მაშინ მგოსნის ეპისტოლურ მემკვიდრეობას ვუღრმავდებოდით და რახან ხელნაწერის ტექსტი ამ უანრს არ მიეკუთვნებოდა, დროებით გვერდზე გადავდეთ. ეს, რა თქმა უნდა, შეცდომა იყო და აი, ხუთი წლის შემდეგ, კვლავ აკაკის დიდმა სახელმა, მისი დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავმა შეგვახსენა ამ უცნობი სტატიის საარქივო საქაღალდიდან ამოღების აუცილებლობა. მ. ხარბედია აკაკის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესახებ აღნიშნავს: „რა თქმა უნდა, აკაკი ქართველი მკითხველისთვის პირველ რიგში პოეტია და მხოლოდ შემდეგაა იგი პროზაიკოსი. მის შემოქმედებაში პუბლიცისტიკასაც მოზრდილი ადგილი უკავია, თუმცა აკაკის ხსენებაზე არავის აგონდება მისი ბასრი სტატიები, ისე, როგორც ეს ილიას შემთხვევაში ხდება ხოლმე. სწორედ ამიტომ ჩვენთვის აკაკის პუბლიცისტიკა ახლიდან აღმოსაჩენია, განსაკუთრებით კი ახლად გამოვლენილი ტექსტები.“

**[ხარბედია მ., 2011]**

კირილე ლორთქიფანიძის არქივში სულ ოთხი რუსულენოვანი დოკუმენტია, რომლებიც აკაკი წერეთელს უკავშირდება: 1) აკაკის მიერ კირილე ლორთქიფანიძისადმი მიცემული რწმუნების საბუთი ბანკიდან ფულის მიღების თაობაზე (ქიმ 2173/938); 2) მიხაილოვის ბანკის მმართველის სახელზე დაწერილი მგოსნის განცხადება კუთვნილ პენსიასთან დაკავშირებით (ქიმ 2173/950); 3) ივანე ტხორუევსკის მიერ რუსულად ნათარგმნი აკაკის ლექსი „ავადმყოფი“ (ქიმ 2173/1115) და 4) ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენები ფელეტონი „საჩხერიდან“.

მგოსნის თხზულებათა მეთხუთმეტე ტომში, სადაც შესულია აკაკის ყველა რუსულენოვანი სტატია, გამოქვეყნებულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ერთი წერილი (№ 255 (R -228)) ზუსტად ამავე სათაურით, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსით. აქ მოთხოვთ იმდროინდელი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მანკიერებების თაობაზე, ყაჩაღ ალი-მუსტაფას ნაცვლად სრულიად პატიოსანი მუსტაფა-ალის დაპატიმრების, კაზაკების მიერ სოფლების და ქალაქების უგანაჩენო ანიოკებისა და მსგავსი საკითხების შესახებ. [წერეთელი ა., 1963, გვ.: 569, 699] ანუ, ქუთაისური ხელნაწერი აქამდე არსებულ აკაკის თხზულებათა სრულ კრებულში შესული არ არის. იგი არ გვხდება, აგრეთვე, 2001წელს იუზა ევგენიძისა და ნანა ფრუიძის მიერ შედგენილ წიგნში „უცნობი აკაკი“ [ევგენიძე ა., ფრუიძე 6., 2001] და არც 2010 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ აკაკის თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის პირველი ტომის პარალელურად ნანა ფრუიძის, ჯულიეტა გაბოძისა და ელისაბედ ზარდიაშვილის მიერ გამოცემულ კრებულში „უცნობი პუბლიცისტიკა“ [წერეთელი ა., 2010], სადაც შესულია ფართო მკითხველისთვის აქამდე გამოუქვეყნებელი, ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოვლენილი აკაკის ორმოცდაჩვიდმეტი წერილი.

1წინამდებარე სტატია ავტორის მიერ წაკითხულ იქნა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციაზე (2015წლის 22-23 ოქტომბერი), რომელიც აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავს მიეძღვნა

2 ქიმ 938 /2173 - ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, კირილე ლორთქიფანიძის ლიტერატურული არქივი №2173, საბუთი №939.

კლასიკოსის უმნიშვნელო ავტოგრაფიც კი ყველა ცივილიზაციული ერისათვის დიდი განძია. მით უმეტეს, ძვირფასია ის ხელნაწერი, რომელიც ხელოვანის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გამოქვეყნებელი და ამავე დროს მეტად საყურადღებო ნაწილია. „საჩხერიდან“ აკაკის ბასრი კალმით შექმნილი ერთ-ერთი საუკეთესო, აქამდე უცნობი პუბლიცისტური ნაწარმოებია. ის დღემდე არ გვხდება მწერლის თხზულებათა გამოცემებში და მკვლევართა შესწავლის საგანიც არასოდეს გამხდარა.

როგორც ვნახეთ, ერთნაირი სათაურის მქონე ორი სხვადსხვა შინაარსის სტატია არსებობს. შესაძლოა, მგოსანს ჩაფიქრებული ჰქონდა გარკვეული ციკლი წერილებისა, საერთო სახელწოდებით „საჩხერიდან“. ასე მაგალითად, მას ეკუთვნის 1878 წელს ნევისპირა ქალაქიდან გამოგზავნილი სტატიები, სათაურით „Из Петербурга“, რომლებიც გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის მიერ იმავე წელს დაარსებულ გაზეთ „Обзор“-ში. [წერეთელი აკ., 1963, გვ.: 377, 678; 381,679; 385,679]. საერთოდ, აკაკი წერილებს რუსულ ენაზე აქვეყნებდა რამდენიმე გაზეთში: „Тифлисские вести“, „Кавказ“, „Обзор“. ალბათ, მომავალი კვლევებით დადგინდება, ამათგან რომელისათვის დაინერა ეს ფელეტონი.

აკაკი პოლიგლოტი იყო და, რა თქმა უნდა, ამ დიდი შემოქმედის ნიჭის გამობრწყინება რუსულენოვან სტატიაში მოულოდნელი არ არის. ფელეტონი „საჩხერიდან“ დაწერილია გენიალურად სადად, მოქნილი ენით, სხარტი სარკაზმითა და სტრიქონებს უკან დაფარული დიდი ტკივილით. მიუხედავად ამისა, მაინც გვრჩება შთაბეჭდილება, რომ მწერალს ამ ხელნაწერში სტატიისათვის საბოლოო სახე ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიცემული.

შავი ფერის მელნით, დაუდევარი კალიგრაფიით დაწერილი ტექსტი შედგება 4 გვერდისაგან და ბოლოში ხელმოწერილია აკაკი წერეთლის მიერ. თარიღი მითითებული არ არის, მაგრამ, უდავოდ, 1877-1878 წლებშია დაწერილი, რადგანაც ფელეტონის დასაწყისში ავტორი აღნიშნავს, რომ სურდა, მონაწილეობა მიეღო ომში, ამის ნაცვლად კი აღმოჩნდა საჩხერეში. ამ ომთან დაკავშირებით ხელნაწერში ნახსენებია რუსეთის არმიის გენერალი, წარმოშობით თბილისელი სომეხი – არზას ტერ-გუკასოვი, რომელიც გახლდათ 1877-1878 წლებში გაჩაღებული რუსეთ-თურქეთის ომის გმირი. 1877-1878 წლებში მგოსანი პეტერბურგში იმყოფებოდა პირადს საკითხებზე, თუმცა დროდადრო საქართველოშიც ახერხებდა ჩამოსვლას. მაგალითად, 1878 წელს იგი სიძის (დის – მატას მეუღლის) – ალექსანდრე დადიანის დაკრძალვაზე ჩამოვიდა, რომელიც სწორედ რუსეთ-თურქეთის ომში დაიღუპა. [ასათიანი ლ., 1965, გვ.: 294-296] აკაკი, თავის ძმას – დავითს არ უწონებდა სამხედრო სამსახურის არჩევას [შარაძე გ., 2006, გვ.:122-124], მაგრამ იყო დრო, როცა სიყმაწვილეში, როზდევიჩის გავლენით, კორნად ვალენ როდის დარ ეროვნულ გმირობაზე ოცნებობდა. სამხედრო კარიერასთან დაკავშირებით მას პეტრე ბაგრატიონთან და თავის უფროს ძმასთნ – ილიკოსთანაც ჰქონდა საუბარი. [წერეთელი ა., 1986, გვ.: 64, 73-76] საბოლოოდ ეს გზა არ აირჩია, მაგრამ, როგორც ყველა კავკასიელს, ძარღვებში მეომრის სისხლი უჩქეფდა. თუმცა მთავარი და გადამწყვეტი მიზეზი ორ დამპყრობელ ქვეყნას შორის გაჩაღებული ომისადმი გამოჩენილი ინტერესისა იყო ის, რომ ამ ომს უკავშირდებოდა დაკარგული ტერიტორიების, დედასამშობლოს მოწყვეტილი სისხლის და ხორცის დაბრუნება. ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა, როცა აკაკი და ყველა ღირსეული ქართველი მამულიშვილი რუსეთის გამარჯვებაზე ოცნებობდა. ზემოთ ნახსენები აკაკის ძმა – დავითი, რომელმაც 1869 წლიდან ოფიცრის მუნდირის გარეშე ცხოვრება არჩია, 1877-1878 წლებში გმირულად იპრძოდა აქარისათვის. ბათუმის ალების შემდეგ ის მაჭახელას სამხედრო უბნის უფროსად იყო დანიშნული. [შარაძე გ., 2006, გვ.: 109].

თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ ქვეყანა ვერ გადარჩებოდა მანკიერებების მხილების გარეშე. მართლის თქმის პრინციპი აკაკისათვის იყო უმთავრესი. ფელეტონი „საჩხერიდან“ ორმაგად აკონტურებს იმ ფაქტს, რომ მგოსნის სარკედქცეული გული მხოლოდ მის სახეს გვიჩვენებდა, რასაც

შიგ ჩაუხედნია. ამ შემზარავ სტატიაში „ღორების კონცერტის“ ფონზე სტრიქონებს მიღმა გაისმის პოეტის სასტიკი სიტყვები ლექსიდან „ვედრება“: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ საქართველო!“... როდესაც საქართველოს ულამაზესი კუთხის, საუკუნეების განმავლობაში სვეგამნარებული აჭარის ბედი წყდებოდა და რუსეთის იმპერიის ჯარში მრავალი ჩვენი თანამემამულე თავგანწირვით იბრძოდა, ქართველთა ერთი ნაწილის ცხოვრება დამყაყებული ჭაბის ფსკერზე „ჩქეფდა“. ეკონომიკურად ჩამორჩენილ, განათლების კერებს მოკლებულ, კანონთან და სამართალთან მწყრალად მყოფ, რუსეთის დამპურობლური პოლიტიკის შედეგად გადაგვარების პირას მისულ, დაცემულ, ტყლაპოში ჩაფლულ, კისერზე ღორებშემომჯდარ ერს არცხვენდა დიდი მგოსანი. მან თავის თანამოაზრებთან ერთად საკუთარ მხრებზე იტვირთა დაავადმყოფებული, დასალუპად განნირული სამშობლოს გადარჩენა. სამწუხაროდ, იმდროინდელ და დღევანდელ საქართველოს შორის გარკვეული პარალელები ივლება. ჩვენი რეალობა კვლავ უხმობს აკაკის. სამარცხვინო პარალელების გასაქრობად, ფეხზე ღირსეულად წამოდგომის აუცილებლობის გასააზრებლად არის საჭირო დაუსრულებელი ინტერესის გამოვლენა აკაკის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ. მართლაც, ხელახლა აღმოსაჩენია მისი ცნობილი თუ უცნობი პუბლიცისტური სტატიები. ყოველი შეხვედრა აკაკის სტრიქონებთან არის სამშობლოს საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯის სანინდარი. აკაკი იგივე საქართველოა... ვიდრე საქართველო ცოცხალია, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

ვაქვეყნებთ აკაკის ფელეტონს დედნის მიხედვით და თან ვურთავთ ჩვენ მიერ ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს. აკაკი, საერთოდ, არ გამოირჩეოდა კარგი კალიგრაფიით. მისი ქართული ავტოგრაფებიც კი ადვილად არ იკითხება. დიდ მადლობას ვუხდით ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული არქივის თანამშრომელს – ი. ელიავას, რომელმაც აკაკის რუსულენოვან ფელეტონზე მუშაობისას ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანი დახმარება გაგვინია. მიუხედავად ყოველივე ამისა, რამდენიმე წინადადების ბოლომდე ამოკითხვა მაინც ვერ მოხერხდა და ასეთ ადგილებზე ჩავსვით მრავალი წერტილი.

## ИЗ САЧХЕРИ

Не даром говорят, что человек полагает, а Бог располагает, думал быть при действующем отряде, а попал в местечко Сачхери, в такую глушь, куда вести с театра войны едва доходят через три-четыре недели и тоже не в правдоподобном, фантастическом виде. Так, например, недавно разнеслась у нас молва, что турецкий сераскирь (главнокомандующий) Баязать-паша взят в плен нашим генералом Терцугаковым. Один из местных интеллигентов серьезно уверял всех и каждого, что Дунай горит, так как наши войска успели уже передать его огню и пламени, и большинство слушателей верило ему, принимая Дунай за вражий город. Все это покажется весьма естественным, если разберем... житье-бытье здешнего населения. В местечке Сачхери не в далеких друг от друга расстояниях живут пятнадцать дворов помещиков из выдающейся в нашей губернии фамилии. Природа одарила их здоровеннейшими желудками, судьба — богатым кормом и они, надо признаться, с честью пользуются этими дарами, по очереди задают пиршества. Серебренные кубки и азарфеси быстро переходят из рук в руки, при общем крике и пожелании здравья тому или другому лицу. Если собрать то количество вина, которое даром проливается у них во время пиршества в продолжении целого года, и продать его, то составится сумма, на которую свободно можно будет открыть пятьдесят бесплатных школ, между тем, как теперь нет не одной. — от того —ли, что у них не хватает времени, или по другим причинам, не знаю, но что у них ни в одном доме не найдете какой-либо газеты или книги, это факт... Да, они все счастливы по своему, лучше жизни не ищут да и не представляют и не могут, а потому для них решительно все

равно, горит ли Дунай, или Константинополь разливается. Кроме этих первоклассных помещиков в окрестностях Сачхери, живут еще бесчисленное множество малопоместных дворян, заслуживающих своею жизнью особенное внимание.

После благодатной крестьянской реформы, мелкопоместные князя и дворяне со своими клочками земель, неминуемо сделались пролетариями. Не умея сами работать и не имея средств других, они не знали, что им делать. Оставалось одно. Продать эти земли или заложить --- что и сделали — На эти выручки они просуществовали еще несколько времени, но затем они впали в ----- положение, которое доводит их до состояния невменяемости- Им остается одно, или умереть голодною смертью, или же ради куска хлеба прибегнуть ко всем действиям, запрещенным законом, что они и делают и не какие меры судов и администрации не могут остановить их. Зачем они не работают? Может спросят нас некоторые Они рады, но не умеют! Их не учили! Разве нет у них земледельческой школы? Где у нас ремесленные училища? Мы имеем только Духовные училища, где наши дети обязаны изучать Степана Яварского Феофана Прокоповича, которые если только не чудом, не могут дать им хлеба, да несколько гимназий, но разве легко туда попасть нашим детям. Одна Кутаисская Гимназия ежегодно сотнями бракует на приемных экзаменах желающих поступить туда, на том только основании, что те не знают русского языка, требующего уставом, так как предметы проходят на том языке, но почему же не сделать исключения для них и не учредить специального класса для обучения только русскому языку в начале? Даже из тех, которым и удается попасть в гимназии, не многие продолжают учиться за невозможности усилить разом по программе несколько иностранных языков, Латинский, Греческий, да еще и русский --- специальный. И так, спрашивается, какое будущее у этих детей, лишенных не только материальных и нравственных средств? И что тут удивительного, что у нас число всевозможных преступлений не смотря на строгие меры со стороны суда и администрации, ежегодно увеличиваются с неумоверной быстроты и не предвидится конец?

Мимоходом будь сказано, теперь представляется удобный случай сделать их полезными для дела. Это – составить из них дружины и отправить на театр войны. Чему они и сами будут очень рады, но крайняя бедность мешает им, а потому желательно было бы что те временные полки, которые формируются из крестьян, земледельцев, заменить бы ради общей пользы этими последними, не имеющими никакого определенного занятия, но мы уклонились от первоначального своего рассказа! Пора вернутся! Выше мы говорили, что местечко Сачхери изобилует подобными —...ми—поместьями и безземельными помещиками и потому не удивительно, что этот участок составляющий отдельный мировой отдел, богат всевозможными преступлениями. Преступники пользуясь покровительствами местных тузов, без наказания гуляют большей частью и местная власть, помня поговорку “с волками жить по волчьи выть” - смотрели на все это сквозь пальцы.

Принимая все близко к сердцу, они вооружили против себя весьма многих. например, пристав полиции, требуя выдачи преступника от одного влиятельного лица, укрывавшего его в своем доме, когда сей последний добровольно не согласился, приказал солдатам и силою вывел преступника. Эта беспримерная дерзость со стороны полицейского офицера, произвело, конечно, большую суматоху, и заставило смотреть на пристава не доброжелательными глазами. Еще печальнее положение молодого следователя, успевшего нажить себе врагов именно потому, что он стал странно себя вести, как говорят здешние, т. е. он в грош не ставил ходатайства сильных и бесцеремонно хватал преступников. – пока это ему сходит, но едва ль за все это не поплатится когда-нибудь. Зачем он обратил внимание, говорят, на то обстоятельство, что одно дело целиком пропало из канцелярии суда, тогда как это не первый пример и на это никогда внимания не обращали другие? Для чего он выкапывает старые, давно прикрытие дела,

и производит следствия.

Да что он! Напугать что ли он нас хочет?... не смотря на все это его всё таки боятся и все желают, что бы не он производил следствия. Так например, недавно, один из подсудимых подал на него фиктивную жалобу, чтоб потом иметь право отвести его.

Да печальна здесь участь подобных личностей, не могущих ладить с местными, и лишенных возможности получить верные сведения, ну хоть с театра войны! Им приходится довольствоватьсь такими концертами, примером которого может служить увиденный здесь мною на днях свинский “концерт”. Была темная, претемная ночь. Дождь лил ливнем. Мы сидели в теплой комнате и разговаривали о том-о сем. Между прочим и о недавно высадившихся в Анаклии десантах. Вдруг на улице раздался шум и крик! Мы все вскочили со своих мест. Пристав начал искать свою шпагу, годную только для того, чтоб сжарить на ней шашлык. Следователь снял со стены револьвер, а один из беседующих от испуга выворотил себе белки глаз и со страхом начал смотреть на печку, как на свою спасительницу. Мы все выскочили на улицу, где толпа бушевала. Громадная процессия направлялась куда-то в ту темную ночь при всеобщем крике и шуме. – после принятия энергических мер, полиции удалось узнать в чем дело. Один из местных атлетов похвастался, что он в состоянии взволочь себе на плечи двух огромных живых свиней, донести их до определенного пункта на протяжении одной версты. Пошли пары и за и против. Силач не долго думая взвалил себе на спину несчастных выезжающих животных и пошел маршировать под гору по грязи. Несколько саженей оставалось до назначенного пункта, герой подпрыгнул от радости, а в это время расшевелились свиньи и несчастный герой растянулся в грязи вместе с свиньями при всеобщем хохоте толпы. Раздалась “ура” но тут на две партии столкнулись и пошла драка между державшими пари сторонами, об этом жарком деле теперь рассказывает вся Сачхера и долго долго это происшествие не забудется в летописях нашего mestechka.

## АКАКИ ЦЕРЕТЕЛИ

### საჩხერიდან

ტყუილად არ ამბობენ: კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. მოქმედ საბრძოლო რაზმში ჩარიცხვა მსურდა, მაგრამ ამის ნაცვლად მიყრუებულ საჩხერეში ამოვყავი თავი, სადაც ამბები ომის თეატრის სცენიდან ძლივძლივობით აღწევს სამი-ოთხი კვირის დაგვიანებით, თანაც დამახინჯებულად და ერთობ ფანტასტიკურად. ასე მაგალითად, ამასნინათ აქ გავრცელდა ჭორი, რომ თურქეთის მთავარსარდალი ბაიაზეთ-ფაშა დატყვევებული იქნა გენერალ ტერ-გუკასოვის მიერ. ადგილობრივი ინტელიგენტი სერიოზულად არწმუნებდა ყველას, რომ ჩვენმა ჯარებმა დუნაი ცეცხლს მისცეს და ფერფლად აქციეს. მსმენელთა უმრავლესობას სჯეროდა ამ ინტელიგენტის. დუნაი, აქაურების აზრით, მტრის ერთ-ერთი ქალაქია. მოსახლეობის ასეთი სიბნელე, მათი ყოფა-ცხოვრების წესის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არაა. საჩხერის ახლო-მახლო, ერთმანეთისაგან არცთუ ისე დიდი დაშორებით ჩვენი გუბერნიის ნარჩინებულ გვართა თხუთმეტამდე მამულია. ამ თავადებს ბუნებამ უბოძა უზარმაზარი კუჭები, ბედმა კი – ნაირ-ნაირი საკვები. უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი დიდი ნარმატებით სარგებლობენ ამ ნაწყალობევით და რიგ-რიგობით აწყობენ ნადიმებს... სადლეგრძელოებისა და საყოველთაო ღრიანცელის ფონზე ვერცხლის თასები და აზარფეშები სწრაფად გადადის ხელიდან ხელში. ასეთ ქეიფებზე მთელი წლის განმავლობაში მუქთად დაღვრილი ღვინის რაოდენობა ერთად აღებული რომ გაგვეყიდა, მიღებული თანხა თავისუფლად გვეყოფოდა ორმოცდაათი უფასო სკოლის გასახსნელად. არ ვიცი, რით აიხსნება, მაგრამ ფაქტია, რომ დიდგვაროვნთა ოჯახებში ერთ გაზეთსაც ვერ იპოვით... ისინი თავისებურად ბედნიერები არიან,

უკეთესი ცხოვრება ვერც წარმოუდგენიათ და არც შეუძლიათ. ამიტომაც მათთვის სულერთია, დუნაი იწვის, თუ ადიდებული კონსტანტინოპოლი გადმოდის ნაპირებიდან.

ამ დიდგვაროვანთა გარდა, ჩვენი საჩერის მიდამოებში ცხოვრობენ მცირემამულიანი აზნაურები, რომლებიც, აგრეთვე, იმსახურებენ განსაკუთრებულ ყურადღებას. საგლეხო რეფორმის შედეგად... ისინი უმაღ გადაიქცნენ პროლეტარებად. შრომას მიუჩვევლებს არ გააჩნდათ რა სხვა სახსარი, ისლა დარჩენოდათ, მიწები ან გაეყიდათ, ან დაეგირავებინათ... ამ გზით მიღებული თანხის ხარჯზე მათ გარკვეული დროის განმავლობაში გაიტანეს თავი, მაგრამ შემდეგ ისეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნენ, რომ ან უნდა მომკვდარიყვნენ შიმშილით, ან ლუკმა-პურის მოსაპოვებლად კანონისაწინააღმდეგო ქმედება უნდა დაეწყოთ. მათ, რა თქმა უნდა, სულის გაძრომას აკრძალული წესებით ცხოვრება არჩიეს და ამ გზაზე ვეღარ ელობებათ ვერანაირი სასამართლო და ადმინისტრაციული ზომები...

შეიძლება, ზოგიერთმა იკითხოს: რატომ არ შრომობენ ისინი? – საქმე იმაშია, რომ არ შეუძლიათ! მათ არ ასწავლიდნენ! აქ არ არსებობს სახელოსნო სასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო სკოლები. ჩვენ გვაქვს მხოლოდ სასულიერო სასწავლებლები, სადაც ქართველი ბავშვები ვალდებული არიან შეისწავლონ სტეფანე იავორსკი<sup>3</sup> და თეოფანე პროკოპოვიჩი<sup>4</sup>. ასეთი განათლებით, სასწავლი თუ არ მოხდა, ლუკმა-პურს ვერ მოიპოვებენ. ჩვენში კიდევ რამდენიმე გიმნაზია, მაგრამ სულაც არ არის ადვილი იქ მოხვედრა. მარტო ქუთაისის გიმნაზია ყოველწლიურად მისაღებ გამოცდებზე იწუნებს ასეულობით ბავშვს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ იციან რუსული ენა, გიმნაზიაში ხომ წესდების თანახმად ყველა საგანი ამ ენაზე ისწავლება. რატომ არ შეიძლება საწყის ეტაპზე დაარსდეს სპეციალური კლასი რუსული ენის შესასწავლად? გიმნაზიაში ჩარიცხული ბავშვების უმრავლესობაც ვერ ამთავრებს სწავლას ბოლომდე, რადგანაც არ შეუძლიათ ერთბაშად დაძლიონ პროგრამით გათვალისწინებული რამდენიმე უცხო ენა: ლათინური, ბერძნული და, რაღა თქმა უნდა, რუსული, როგორც ძირითადი ენა... ისმის კითხვა, როგორი მომავალი ელოდება ამ ბავშვებს, რომლებსაც წართმეული აქვთ ცხოვრების არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ზნეობრივი სახსარი? რაღა გასაკვირია, რომ სასამართლოსა და ადმინისტრაციის მხრიდან გატარებული მკაცრი ზომების მიუხედავად, ყველა სახის დანაშაულის რიცხვი ყოველწლიურად წარმოუდგენელი სისწრაფით იზრდება და ამას დასასრული არ უჩანს.

სხვათა შორის, ახლა არის შესაფერისი ვითარება საიმისოდ, რომ უმინანყლოდ დარჩენილმა აზნაურებმა დიდი სამსახური გაუწიონ ქვეყანას. მათ უნდა აერთიანებდნენ საპრძოლო რაზმებში და აგზავნიდნენ ომის თეატრში. ეს ხალხი მოხარულიც იქნებოდა, მაგრამ უკიდურესი სილარიბე უშლით ხელს. სასოფლო-სამეურნეო მუშაკებისა და გლეხებისაგან ფორმირებულ პოლკებს უნდა ჩაანაცვლონ აზნაურთა რაზმები, ისინი ხომ უსაქმოდ არიან დარჩენილი. სამწუხაროდ, ასე არ ხდება და ჩვენც მივუბრუნდეთ ზემოთ დაწყებულ თხრობას.

დაბა საჩერებში უსახსროდ დარჩენილი აზნაურები... ხშირად ჩადიან სხვადასხვა ტიპის დანაშაულს. ისინი სარგებლობენ რა ადგილობრივი ბობოლების მფარველობით, მეტწილად დაუსჯელად პარპაშობენ. აქ ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს ანდაზით – „მგლების ხროვაში თუ მოხვდი, მგელივით ღმული უნდა დაინწყო“ და ბევრ რამეზე თვალს ხუჭავს. იმ მოხელებმა კი, რომლებიც დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით ეკიდებიან, ბევრი ვინმე გადაიმტერეს, მაგალითად, ახლახან დანიშნულმა პრისტავმა და გამომძიებელმა.

<sup>3</sup> სტეფანე იავორსკი( 1722-1658) - ლოვის, პოზნანის, ვილნიუსის კათოლიკურ სკოლებში განათლება მიღებული ცნობილი რუსი მართლმადიდებლი საკლესიო მოღვაწე, მიტორპოლიტი, სინოდის პრეზიდენტი, ავტორი წიგნის „კლდე სარწმუნოებისა“. მას თავდაპირველად რეფორმატორი მეფის - პეტრე პირველის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა, მაგრამ ვერ შეინარჩუნა, რადგანაც იყო კონსერვატორი, ყოველგვარი დასავლურის მოწინააღმდეგე, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სასულიერო პირი.

<sup>4</sup> თეოფანე პროკოპოვიჩი (1736-1681წ.წ.) - ევროპული განთლების მქონე ცნობილი რუსი საეკლესიო მოღვაწე, არქიეპისკოპოსი, სინოდის პირველი ვიცე-პრეზიდენტი. ბოლომდე ერთგული იყო პეტრე პირველის რეფორმების. სტეფანე იავორსკი და სხვა ოპონენტები მას კათოლიციზმში დებდნენ ბრალს.

პრისტავს ერთმა გავლენიანმა პირმა უარი განუცხადა საკუთარ სახლში შეფარებული დამნაშავის გადაცემაზე. მაშინ მან გასცა ბრძანება და ჯარისკაცებმა ძალის გამოყენებით გამოიყვანეს ძებნილი... პოლიციის ოფიცერს ეს საქციელი თავხედობად და კადნიერებად ჩაუთვალეს. ატყდა დიდი აურზაური. ამ ამბის შემდეგ პრისტავს კარგი თვალით არ უცქერენ.

კიდევ უფრო სავალალოა ახალგაზრდა გამომძიებლის მდგომარეობა. მან მოკლე დროში მოასწორო მტრების გაჩენა სწორედ იმიტომ, რომ, როგორც ადგილობრივები ამბობენ, საეჭვოდ იქცევა, ანუ არაფრად აგდებს ძლიერთა ამა ქვეყნისა შუამდგომლობებს და უცერემონიოდ აკავებს დამნაშავეებს; ცდილობს ძველი, დიდი ხნის ნინ დახურული საქმეების ამოქექვას; ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მასალები სასამართლოს კანცელარიიდან უკვალოდ ქრება. მოსახლეობის აზრით, ასე დიდხანს არ გასტანს და ახალგაზრდა გამომძიებელს ადრე თუ გვიან თავის ადგილის მიუჩენენ. ადგილობრივები ბრაზობენ – რას წარმოადგენს ეს გამომძიებელი?! ჩვენი დაშინება უნდა?! ადრე მის ადგილზე ვინც მუშაობდა, ის ხომ ასე არ იქცეოდა?!.. თითქოს არაფრად აგდებენ, მაგრამ მისი ნამდვილად ეშინიათ და ცდილობენ გამოსაძიებელი საქმე ხელში სხვას ჩაუვარდეს. ამასწინათ ერთ-ერთმა განსასჯელმა მის წინააღმდეგ შეიტანა ფიქტიური საჩივარი, რომ შემდგომში ჰქონოდა ამ გამომძიებლის აცილების უფლება.

დიახ, სავალალოა იმ მოხელეების ხვედრი, რომლებიც მიყრუებულ დაბაში მსახურობენ. აქ ფრონტიდანაც კი ვერ ღებულობენ სარწმუნო ინფორმაციებს და იძულებული არიან, დატკბნენ ლორების ისეთი „კონცერტებით“, როგორსაც ამ დღეებში მე შევესწარი.

საშინლად ბნელი დამე იყო. კოკისპირულად წვიმდა. ჩვენ ვისხდით თბილ ოთახში და ვსაუბრობდით სხვადასხვა საკითხებზე, სხვათა შორის, ანაკლიაში ახლახან გადმოსხმულ დესანტზეც. უეცრად, ქუჩიდან ყვირილი შემოგვესმა. ყველანი ფეხზე წამოვხტით. პრისტავი ეძებდა თავის დაშნას, რომელიც, ალბათ, მხოლოდ მწვადის შესაწვავად თუ გამოდგება. გამომძიებელმა კედლიდან ჩამოხსნა რევოლუციო, ხოლო ერთ-ერთმა მოსაუბრებ შიშისაგან თვალები გადმოკარკლა და ღუმელს, როგორც მშველელს, ისე მიაშტერდა. ჩვენ ყველანი ქუჩაში გამოვვარდით. ხალხი ბობოქრობდა. იმ უკუნ სიბნელეში ხმაურითა და ღრიანცელით სადღაც მიემართებოდა უზარმაზარი პროცესია. დიდი ძალისხმევის შემდეგ პოლიციამ გაარკვია, თუ რაში იყო საქმე. თურმე, ერთ-ერთმა ადგილობრივმა ათლეტურმა „ვაჟკაცმა“ წაიტრაბახა, რომ შეუძლია ბეჭებზე ორი უზარმაზარი ცოცხალი ღორის შემოგდება და მათი მიტანა ერთი ვერსის მანძილით დაშორებულ პუნქტამდე. ზოგს ჯეროდა მისი, ზოგს – არა. დაიდო სანაძლეოები. ღონიერ „რაინდს“ დიდხანს არ უფიქრია, საცოდავად აჭყვიტინებული ღორები ზურგზე გადაიკიდა და დაიწყო ტალახში მსვლელობა მთის მიმართულებით. სულ რამდენიმე საჟენი რჩებოდა ფინიშამდე, როცა ჩვენი ძალოსანი სიხარულით შეხტა. ამ დროს ღორები ახვანცალდნენ და ეს უიღბლო გმირი საყოველთაო ხარხარის ფონზე ღორებთან ერთად ტყლაპოში გაიშხლართა. ზოგმა შესძახა „ვაშა“, ზოგმა – არა. ბრძო ორად გაიყო... ერთმანეთს დაერივნენ სანაძლეოში მონაწილე მხარეები. საჩხერის ცხელ-ცხელ ამბებს შეემატა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ისტორია. სხვა სალაპარაკო თემა ახლა აქ არ გააჩინათ. ამ დიდ მოვლენას ჩვენი დაბის მატიანეები თაობებს შემოუნახავენ.

### **ლიტერატურა:**

1. ასათიანი ლ., 1965: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, თბილისი
2. ევგენიძე ა., ფრუიძე ნ., 2001: „უცნობი აკაკი“, ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები, თბილისი
3. წერეთელი ა., 1963: თხზულებათა სრული კრებული თხუტმეტ ტომად, XV ტომი, თბილისი
4. წერეთელი ა., 1986: „ჩემი თავგადასავალი“, ბათუმი
5. წერეთლი ა., 2010: უცნობი პუბლიცისტიკა, შემდგენლები: ნანა ფრუიძე, ჯულიეტა გაბოძე, ელისაბედ ზარდიაშვილი, თბილისი
6. შარაძე გ., 2006: აკაკი წერეთლი, 1840-1915 (ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება), წიგნი I, თბილისი
7. ხარბელია გ., 2011: „აკაკი წერეთლის უცნობი პუბლიცისტიკა“ 30.01. [ელ.რესურსი] – URL: [http://www.radiotavisupleba.ge/content/akaki\\_tsereteli/2291952.html](http://www.radiotavisupleba.ge/content/akaki_tsereteli/2291952.html)

MAIA KEBULADZE  
*Kutaisi State Historical Museum*

## **UNKNOWN RUSSIAN AUTOGRAPH OF AKAKI TSERETELI**

In Kutaisi State Historical Museum, in manuscript fund, privately in the literary archive of Kirile Lortkipanidze, there is a Russian language autograph by Akaki Tsereteli, named “From Sachkhere”, which looks like real feuilleton. This article wasn’t published previously and none scientists have never been interested in it.

Akaki was a polyglot and illuminate a talent of great creator in Russian article would not be a surprise. Feuilleton “From Sachkhere” is written genially simply, with flexible language, laconic sarcasm and with big pain, hidden behind the lines. Despite of this, we have an impression, that the author did not give the final surface of this article yet.

An article is written with sloppy calligraphy, with black ink and contains only four pages. At the end there is a sign of Akaki Tsereteli. There is not a date of creating of this feuilleton, but according to the beginning of the article, it was written in 1877-1878 years.

This previously unknown publicist letter “From Sachkhere” is very interesting for researchers, as well as for the big audience of the readers too.

ნატო ნიქაბაძე

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორი

## ილია ჭავჭავაძე – პოლიტიკური მოაზროვნე

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე მოჩანს, როგორც ცენტრალური ფიგურა, რომელმაც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში უნინამძღვრა ჩვენს ცხოვრებას და ყოველ მოვლენაზე სთქვა თავისი სიტყვა.

ილია იყო არა მარტო მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, არამედ დიდი მოაზროვნეც, პოლიტიკოსიც. მისი შემოქმედების მრავალფეროვნება და გონიერობის ინტერესთა სიფართოვე ატარებს ნამდვილ ენციკლოპედიურ ხასიათს.

XIX საუკუნეს ილია ჭავჭავაძე „ძლევამოსილ“ უწოდებდა და მას მსოფლიო მასშტაბით ძირეულ გარდაქმნებს უკავშირებდა. უნივერსალურია ამ თვალსაზრისით იდეა ადამიანის გონიერების უძლეველობისა და რწმენა მარადიული პროგრესისა. საყურადღებოა ისიც, რომ იმ დროისათვის ეს იდეები ულტრათანამედროვე იყო, ხოლო მათი ავტორი მთლიანად ითვალისწინებდა როგორც მსოფლიო, ისე რუსეთის მოაზროვნეთა უკეთეს მონაპოვართ. ილია ამ დიადი მოძრაობის მიღმა სრულიად ნათლად ხედავდა საკუთარი ხალხის სპეციფიკურ გასაჭიროს და საპრძოლო ამოცანებს. „ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს, სულ სხვა ფათერაკი სდევს... – წერდა ილია, ერთ-ერთ საპროგრამო წერილში – ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს, სულ სხვასა ჰდალადებს... ის „სხვა რამე“ იყო – ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან... სხვა საგანი ამაზე უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელ საქართველოს შვილს...“ (ჭავჭავაძე ი., 1985: 10).

მეტად ორიგინალურად წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძეს აკაკი სურგულაძე, როცა წერს: „...ჩვენს წინაშე ტიტანური ფიგურა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურისა, ერის მამისა და მოღვანისა, რომელიც თავის მშობლიურ ხალხს გზას უნათებს პროგრესის ჩახერგილ გზაზე, იცავს მის მეობას და ტრადიციებს ფარული და აშკარა მტრებისაგან“ (სურგულაძე აკ., 1973: 320).

ილიამ, როგორც მოაზროვნემ, თავისი მოღვანეობის ძირითადი აზრი ერის სამსახურში, მის წინამდლოლობაში დაინახა. მან ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია, ახალი შინაარსი მისცა მას და გარკვეული პოლიტიკური პროგრამის სახით ჩამოაყალიბდა იგი. ნაცვლად რომანტიკული მოთქმისა საქართველოს წარსულზე, ილიას ხედვა თავიდანვე მომავლისაკენ არის მიმართული.

სწორედ, ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში – ილიასავე სიტყვით, რომ ვთქვათ, – კვლავ გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“. „მამულის“ ცნებამ კვლავ აღიდგინა ბინა ქართველთა გულში, ხოლო „აღდგენილმა მამულმა დაპბადა მამულის სიყვარული, მამულისშვილობა და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა.“ „ვინა ვართ და რანი ვართ“. (ჭავჭავაძე ი., 1987:9).

თერგდალეულებმა ნათლად დაინახეს ბატონყმური წყობილების დრომოჭმულობა. ამიტომ ისინი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების პირველ პირობად ბატონყმური რეზიმის ლიკვიდაციას მიიჩნევდნენ. სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ თერგდალეულებმა 60-იან წლებში ბატონყმობას ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეს. მაგალითისათვის მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩალი“, „კაცია ადამიანი?!“, „გლახის ნამბობი“. ამავე მიზანს ისახავდა აკაკის

მახვილი სატირა. ეს საკითხი გაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე ნიკო ნიკოლაძემ, როცა მან „კოლოკოლში“ დაბეჭდა თავისი სახელგანთქმული სტატია და სხვა.

60-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პროგრამა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „მამულიშვილობის ცნების აღდგენა, ბატონყმური რეჟიმის ლიკვიდაციის საფუძველზე საქართველოს ყველა კლასების ინტერესთა შერიგება და საერთო ეროვნულ ნიადაგზე დაყენება, ეროვნული კონსოლიდაცია და ცარიზმის კოლონიური უდლისაგან განთავისუფლებისათვის ხალხის შემართება, ეროვნულად თავისუფალი დემოკრატიული საქართველო“. (სურგულაძე აკ., 1973: 141).

ილიას პოლიტიკურ პროგრამაზე, რომ ვსაუბრობთ, საჭიროა ითქვას, რომ მას ეს პროგრამა წერილობითი სახით არ მიუწოდებია მაშინდელი საზოგადოებისათვის. ცარიზმის ცენზურის პირობებში, რაკი პოლიტიკური ხასიათის ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იყო, ილიამ ამ პროგრამის ძირითადი საკითხები მხატვრულ შემოქმედებაში გადაიტანა. ამ გზით მოხერხებულად მიიჩნია ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდა.

ილიამ თავისი დამოკიდებულება ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მიმართ ნათლად გამოხატალერმონტოვის „მწირის“ თარგმანში, როცა მოულოდნელი რამ ჩაიდინა და ფინალი შეცვალა.

მას აქეთ, რაც კურთხევა დვთისა  
მოეცა ტანჯულს ივერიის ერს,  
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,  
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“. (ილია)

ეს იყო ქართული სამეფო კარის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის უარყოფაც, რუსეთის იმედის გაცრუების აღიარებაც და XIX საუკუნეში შექმნილი ვითარების შეფასებაც. ეს უარყოფა იმ ნიპილიზმის უარყოფასაც ნიშნავდა, რომელიც ეროვნული ენერგიის მიმართ არსებობდა. თერგდალეულებმა ქართველი ხალხის საბრძოლო პროგრამის ნომერ პირველ საკითხად დაცემული ვინაობის აღდგენა, ნამდვილი მამულიშვილობა გამოაცხადეს.

ილია ჭავჭავაძე, თავის „მგზავრის ნერილებში“ (1861), რომელიც მთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავს და ბრძოლის წყურვილით და მოწოდებით არის გამსჭვალული, იმ ცნობილი სიტყვებით, რომელსაც ლელთ ღუნია წარმოთქვამს: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“, „მკაფიოდ არის გაცხადებული ეროვნული თავისუფლების დიადი იდეა, – ილიას ეროვნული მრამსი, რომელიც მთელი ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ორიენტირად და საბრძოლო ლოზუნგად იქცა. (ჭავჭავაძე ი., 1987: 16).

ამ ლოზუნგის გაგებაში არის განსხვავებულული შეხედულებები. ერთნი ამტკიცებენ, რომ ეს ლოზუნგი თავიდანვე ითვალისწინებდა რუსეთისაგან საქართველოს სრულ გამოყოფას და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. (რატიანი პრ., 1965: 137).

მეორენი ფიქრობენ, რომ აღნიშნული ლოზუნგი არც თავიდან და არც შემდგომში არ ნიშნავდა რუსეთისაგან გამოყოფას (სეპარატიზმს), რომ იგი თავიდანვე რუსეთის შემადგენლობაში თვითმართველობის მოპოვებას გულისხმობდა. (სურგულაძე აკ., 1973: 144-145).

ძნელი სათქმელია, თუ რა ხარისხის დამოუკიდებლობა იყო ჩადებული ლოზუნგში „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“. არც ილიას, არც მის თანამედროვეებს, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ამ ლოზუნგის შინაარსზე და ხარისხზე არ უმსჯელიათ, რაც შექება საქართველოს ეტაპობრივ განვითარებას, ილიას არც ერთ ნაწარმოებში, თუ კერძო ნერილში, საკითხის ამგვარად დაყენება არა აქვს მოცემული.

ლოზუნგი „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, იყო ორიენტირი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შორეული, საბოლოო მიზანი, რომელიც ვითარების შესაბამისად, კონკრეტულ შინაარსს

შეიძენდა. ასეც მოხდა, XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ილიამ სრულიად გარკვევით, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა, საბოლოოდ კი ამას ქვეყნის სრული დამოუკიდებლობა უნდა მოჰყოლოდა.

ილიას კარგად ესმოდა, რომ ხალხის შეგნებამდე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მიტანისათვის, საჭირო იყო ახალი ორგანოს დაარსება. 1863 წლის 7 თებერვალს გამოვიდა უურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი. უურნალის მიმართულებას ნათლად ასასხავს ილიას შესავალი წერილი. „საქართველოს მოამბე“, მისი არსებობის მთელ მანძილზე მამულიშვილობის ცნების აღდგენისათვის, ბატონყმობის მოსპობისა და შრომის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. (ჭავჭავაძე ი., 1953: 67).

70-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ, კიდევ უფრო გამოკვეთა თავისი პოლიტიკური რადიკალიზმი, როცა სულ უფრო შესამჩნევი გახდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის გამკაცრება. მეფის მთავრობა აშკარად დაადგა ქვეყნის სრული რუსიფიკაციის გზას. ამ მიზნის მისაღწევად ცარიზმი განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა სკოლას, რომ ქართველი ხალხისათვის მშობლიური ენა დაევინებინა.

ილიას ღრმად სწამდა, რომ ბურჯი ერის ვინაობისა ენაა, მისი სიწმინდისათვის ბრძოლა ეროვნულობისათვის ბრძოლა. „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა, – წერდა ილია, – ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქენებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცით ჩვენვი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენი მშობლიური ენის მინასთან გასწორებას. ენა საღვრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. (ჭავჭავაძე ი., 1953: 26-27).

რაკი ერის არსებობას საფრთხე დაემუქრა, შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში, ილიამ და თერგდალეულებმა წინა პლაზე ეროვნული საკითხი წამოსწიეს და ბრძოლა გაშალეს დევიზით: „მამული, ენა, სარწმუნოება“. ილიასთან ერთად ამ ბრძოლაში თავი გამოიჩინეს ერის საამაყო შვილებმა: აკ. წერეთელმა, ნ. ნიკოლაძემ, გ.წერეთელმა, ს. მესხმა და სხვებმა.

ილიასეულმა „საერთო ნიადაგის თეორიამ“, მეტი მნიშვნელობა XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე შეიძინა, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია, ერთმანეთთან მკეთრად დაპირისპირებული. ილიამ სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) ნოე უორდანია „ივერიაში“ მიიწვია და თანამშრომლობა შესთავაზა. ნოე უორდანისათვის, რომელიც კლასთა ბრძოლის თეორიას იზიარებდა შეუძლებელი იყო ილიასთან თანამშრომლობა და შეთავაზებაც არ მიიღო.

წოდებათა შერიგების საკითხს ილია პოლიტიკურად უდგებოდა და იგი მას სჭირდებოდა როგორც პოლიტიკოსს. ილიას აზრით, რაკი ყველა წოდება განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას, ამიტომ ამით გამოწვეული უკმაყოფილება შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

წოდებათა შერიგება, ილიას აზრით, შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გლეხი უზრუნველყოფილი იქნებოდა მიწით, საზოგადოების ყველა წევრი გათანასწორდებოდა კანონის წინაშე, ერთნაირი იქნებოდა თითოეული მათგანის როგორც უფლება, ისე მოვალეობა, სახელმწიფო ერთნაირად მიუდგებოდა საზოგადოების ყველა წევრს და ამრიგად, მთელი საზოგადოება დაფუძნებული იქნებოდა ფართო დემოკრატიზმის პრინციპებზე.

ასეთი იყო წოდებათა შერიგების ილიას თვალსაზრისი, რომელიც ცხადია უტობიური იყო, მაგრამ არაფერს რეაქციულს არ შეიცავდა.

ილიას ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, ბატონყმობა გაუქმდა, მეფის რუსეთთან დამოკიდებულების საკითხები უფრო დაიხვენა. ამასთან იმპერიის ხალხები, რუს ხალხთან ერთად, აღდგნენ ცარიზმის წინააღმდეგ, დაიწყო რევოლუცია (1905-1907) და ილიამაც, ამ გადამწყვეტ მომენტში საქართველოსათვის ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა, ფართო ად-

გილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლების მოთხოვნა წამოაყენა. ეს ნიშნავს, რომ რევოლუციის წლებში ილიამ ავტონომიის მოთხოვნა ხელახლა წამოაყენა.

საქართველოს ავტონომიის იდეა, ილიას, რომ ეკუთვნოდა, ამას კიტა აბაშიძეც მოწმობს: ილიამ პირველმა წამოაყენა „საქართველის ავტონომია“, როგორც პოლიტიკური მოთხოვნილება. აქვე უნდა ითქვას, რომ ილიამ ავტონომიის მოთხოვნა პრესაში პირველად დააფიქსირა მხოლოდ 1905 წელს (9მარტი). ილია წერს: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს, ჩვენი ქვეყნის მიერ არჩეულ წარმომადგენელთა კრებულისაგან“. ასევე 1905 წლის აპრილში, როცა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებას თითქმის ერთხმად მიაღებინა ავტონომიის მოთხოვნა და პეტერბურგში გაგზავნა პეტიციაში ჩანაწერინა: სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებენ თავადაზნაურობას გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს მიენიჭება უფლება იქონიოს საკუთარი მართვა-გამგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებისაგან შემუშავებული, გამოცემული და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის საიდუმლო და ყველა-სათვის თანასწორი კენჭისყრით თუ იქნებიან ამორჩეულნი. ეს მოთხოვნა არსებითად ის იყო, რასაც საქართველოს ეროვნული ავტონომიის იდეა ითვალისწინებდა.

საქართველოს ავტონომიაზე ფიქრი ილია ჭავჭავაძემ, – წერს გ. ლობჟანიძე, – ჯერ კიდევ ადრე დაიწყო. ეს იდეა, რომ მას ეკუთვნოდა, ამის შესახებ ოფიციალურ ცნობებს იძლევიან კიტა აბაშიძე, სამსონ ფირცხალავა, გოგი რცხილაძე, გიორგი ლასხიშვილი დასხვანი. (ლობჟანიძე გ., 1998 ; 283).

ცნობილია, რომ ილიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნაში, რომლის პროგრამაში ნათქვამი იყო: „ვერც ერთი საქართველოს შესახებ რუსეთის სახელმწიფოს აქტი ვერ გამოცხადდება, თუ რომ რუსეთის მთავრობასთან გაგზავნილი ქართველი წარმომადგენელი, საქართველოს პარლამენტის ნდობით აღჭურვილი, ამ აქტის თანახმა არ იქნება და ზედ ხელს არ მოაწერს“. (შველიძე დ., 1993: 201).

ეს სიტყვები „ცნობის ფურცელში“, 1906 წლის იანვარში დაიბეჭდა. ეს ნიშნავს, რომ ილია სახელმწიფო საბჭოში გამგზავრებამდე აყენებს ავტონომიის მოთხოვნას და არა საბჭოში, როგორც ამას არჩ. ჯორჯაძე აღნიშნავდა.

სწორედ მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის გამო მოკლეს ილია საქართველოს მფრებმა (1907, 30 აგვისტო).

წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ილიას ნეშტის წინაშე აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღალადებენ. თუ საქართველოს სიკვდილი არ უნერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები“.

XIX საუკუნეში საქართველოს არ ჰყოლია ისეთი დიდი მოაზროვნე, მხატვარი, როგორიც ილია ჭავჭავაძე. არა გვყოლია ისეთი ღრმა ყურადღების ადამიანი, ისეთი ბრაზდაგუბებული და მრისხანე ნიჭის პოეტი, როგორც იგი, და არავის არ დაუმჩნევია მისებრ ღრმა კვალი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

### ლიტერატურა:

1. ლობჟანიძე გ. 1998: ნარკევები ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბილისი.
2. რატიანი პრ. 1965: ი. ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება. თბილისი.
3. სურგულაძე აკ. 1973: ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მე-2 ნახევარში. თბილისი.

4. შველიძე დ. 1993: პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები. თბილისი.
5. ჭავჭავაძე ი. 1987: თხ.ს.რ. კრებული ოც ტომად, ტომი I, პოეზია. თბილისი.
6. ჭავჭავაძე ი. 1987: თხ.(ოცტომეული) ტ. I. შესავალი, წერილი რედაქციისაგან. თბილისი.
7. ჭავჭავაძე ი. 1953: თხ. ტ. III. თბილისი.

NATO NIKABADZE  
*Ak. Tsereteli State University, Doctor of History*

## **ILIA CHAVCHAVADZE – POLITICAL THINKER**

Ilia Chavchavadze led Georgian nation during half century and said word about each fact.

Ilia was not only a writer, publicist, historian, philosopher, economist, but also a great thinker and political worker. The multiplicity of his creations has encyclopedically nature.

Ilia Chavchavadze developed the ideology of national movement, gave a new meaning to it and formulated it as a certain political program. Due to Ilia's force the word "Fatherland" reestablished its place in Georgian people's hearts and arouse land's love.

Ilia Chavchavadze distinctly announced his national faith in "Traveler's Letters" (1861) with his motto: "We should possess ourselves", which became a battle-motto of a national movement. In the beginning of 80 s of XIX century, Ilia demanded the political autonomy of Georgia.

When the existence of nation was in danger, Ilia promoted the quotation of nationality and started a battle with a motto: "Fatherland, language, belief".

In the beginning of 1905 Ilia redheaded autonomy. This claim was sounded in press in March 9, 1905.

In April, 1906 Ilia was elected by nobility as a member of Russian state Council.

ლევან ტყეველაშვილი  
გელათის სასულიერო აკადემია, ისტორიის დოქტორი

## აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) პათალიკოსი ევდემონ ჩერტიძე 1557–1578 წ.

XVI საუკუნიდან გელათის მონასტერში ახალი ეტაპი იწყება. გელათის აკადემიის უკანასკნელი მოძღვართმოძღვრის გარდაცვალებით დასრულდა ერთი დიდი ეპოქა, რომელსაც წმინდა მეფე დავით აღმაშენებელმა ჩაუყარა საფუძველი. თითქოს ამის შემდეგ გელათის მნიშვნელობა ოდნავ დაეცა, რადგან გელათში აღარ იკრძალებოდნენ ერთიანი საქართველოს მეფები და დავითის მიერ დაარსებულმა აკადემიამ კი არსებობა შეწყვიტა. იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565) გელათში 1529 წლიდან ეპისკოპოსი, ხოლო 1564-1565 წლებიდან კათალიკოსი დასვა. გელათში კათალიკისის გადმოსვლამ ახალ სიმაღლეზე აიყვანა სამეფო მონასტერი, მოძღვართმოძღვრის თანამდებობის გაუქმების შემდგომ გელათში კვლავ უმაღლესი საეკლესიო იერარქი მკვიდრდება, რამაც მონასტრის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა. კათალიკოსთან ერთად ბიჭვინთიდან გელათში არაერთმა საეკლესიო სიწმინდემ პოვა ნავთსაყუდელი. ამ ქმედებით ბაგრატ მეფემ გადაარჩინა საკათალიკოსო და აფხაზეთის კათალიკოსს ახალი შესაძლებლობები მისცა. ბაგრატ მეფემ გელათს არა მარტო დაუბრუნა თავისი ძველი დიდება, არამედ მას ახალი ლირსებებიც შემატა და თავისი მნიშვნელობით საქრისტიანოში კვლავ გამორჩეულ სამეფო მონასტრად აქცია (ტყეშელაშვილი. 2007:70). 1519 წელს გარდაიცვალა გელათის აკადემიის ბოლო მოძღვართმოძღვარი ილარიონი, რომელიც გელათში დაკრძალეს. იმერეთის მეფე ბაგრატ – III-ის თხოვნის საფუძველზე, აფხაზეთის კათალიკოსმა მალაქია აბაშიძემ ქუთაისის ეპარქია სამად გაყო. ბაგრატ მეფის ინიციატივით, 1529 წელს გელათში ეპისკოპოსი დგინდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ნაბიჯი ბაგრატ მეფემ მიზან-მიმართულად გადადგა, რათა სამეფო მონასტერს უკეთეს პირობებში გაეგრძელებინა არსებობა.

პირველი გაენათელი ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე იყო 1529-1543 წლებში. ჩვენთვის უცნობია მელქისედეკის გარდაცვალების ზუსტი თარიღი, მისი მომდევნო ეპისკოპოსი ევდემონ ჩხეტიძე იყო, თუმცა შევნიშნავთ, რომ პირდაპირი ცნობა ევდემონის ეპისკოპოსად ან კათალიკოსად კურთხევის შესახებ არ გვაქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არ არის ერთი აზრი ვინ უნდა ყოფილიყო მეორე გაენათელი ეპისკოპოსი, რადგან წყაროები ამის აშუალებას არ იძლევა. თ. ქორიძის აზრით ევდემონს გაენათელი მღვდელმთავრის კათედრა მელქისედეკის შემდეგ 1543-1557 წლებში ეჭირა (ქორიძე. 2000: 139). ისტორიკოსმა პ. გაფრინდაშვილმა თავის სადოქტორო ნაშრომში მეორე გაენათელ მღვდელმთავრად ანტონ მაწყვერელი წარმოგვიდგინა: „მელქისედეკ საყვარელიძის შემდეგ გაენათელი ეპისკოპოსის პატივი მართლაც ყოფილ მაწყვერელ ეპისკოპოს ანტონს უნდა მიეღო, მაგრამ არა 1565 წელს, არამედ უფრო ადრე“ (გაფრინდაშვილი. 2015: 95). რაც ჩვენი აზრით ნაკლებსარწმუნოა, რადგან ანტონი გიორგი II-ის (1565-1585) თანამედროვე იყო და საეჭვოა, რომ მას ამდენი ხანი სჭეროდა მღვდელმთავრის ტახტი. საკითხავია მაშინ ევდემონს როდის უნდა დაეკავებინა ტახტი? თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხში გარკვეული ბუნდოვანება შეაქვს ევდემონის დაკვეთით გადაწერილ გულანს. რომლის გადაწერა 1541 წელით თარიღდება და მასში ევდემონი კათოლიკოს პატრიარქის ტიტულით იხსენიება: „სრულ იქმნა რვანი ხმანი პარაკლიტონი მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღთისმშობლისათა, პრძანებითა ქრისტეს მიერ კურთხეულისა აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქისა ევდემონისა“ (ქუთ.მუზ.ხელ. 1964:225). თუკი აღნიშნული დათარიღება სწორია, გამოდის, რომ 1541 წლამდე ევდემონს კათალიკოსის ტახტი ეკავა, შემდეგ

კი იგი დაკარგა. ვის ეკავა 1541-1557 წლებში საკათალიკოსო ტახტი, წყაროებიდან არ ჩანს, ან შესაძლოა, მთიელთა მოწოდის გამო ამ წლებში კათალიკოსს ბიჭვინთის დატოვება მოუხდა, თუმცა ფაქტია, რომ 1557 წლიდან ევდემონი ისევ იკავებს კათალიკოსის ტახტს (ტყეშელაშვილი. 2014:211). რამდენიმე წლის წინ ჩვენ ეს მოსაზრება გამოვთქვით, უფრო ადრე ტახტის დაკარგვის თაობაზე აზრი გამოთქვა ისტორიკოსმა თ. ქორიძემ. მაგრამ ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ 1541 წლის ახლო ხანებში თუკი ევდემონმა კათალიკოსობა დაკარგა და 1543- 1557 წლებში გაენათელი მღვდელმ- თავრის კათედრა ეკავა, ე.ი. კათალიკოსი ჩამოაქვეითეს და 16 წლის შემდეგ იგი კვლავ ბიჭვინთაში ბრუნდება კათალიკოსის რანგში.

ფაქტია, რომ ევდემონ კათალიკოსი ერის სულიერ-ზნეობრივი ამაღლებისთვისაც იღვწოდა და ამისათვის საეკლესიო კრებაც კი მოიწვია, რომელსაც მცხეთის კათალიკოსი და დასავ- ლეთ საქართველოს ყველა ეპისკოპოსი დაესწრო. საეკლესიო კრება XVI საუკუნის შუახანებში უნდა გამართულიყო, ზუსტი თარიღი დღემდე არ არის დადგენილი.

განსაკუთრებით მნშვნელოვანია 1565 წლით დათარიღებული შენირულობის წიგნი, საიდანაც ვგებულობთ, რომ ევდემონ კათალიკოსი უკვე გელათშია: „ადიდენ ღ-ნ ორთავე შ-ა ცხოვრე- ბასათა ქრისტეს მიერ კურთხევით კურთხეული საქრსტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი, ტომ ნათესაობით ჩხეტიძე დიდი მამამთავარი, აბხაზეთის კათალიკოზი ევდემონ, რამეთუ სათნო იჩინა (აღნერად) წ-თა ამ-თ, რომლისა ბრძანებითა გათავდა წ-ა ეს თვე ოქტომბერი, ყოვ- ლითურთ სრული დიდებულსა საყდარსა გელათს იდიქტიონსა მეფობასა ჩვენისასა მეფეთ- მეფისა, ქვს. სწგ. გ... ადიდენ ღ-ნ პატრონი კ-ზი ევდემონ“. (ჟორდანია,1897:405).

ამ შენირულობის წიგნზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 1565 წლის მაისის თვეში კათალიკოსი უკვე გელათშია და მისი კურთხევით მთარგმნელობითი საქმიანობა მიმ- დინარეობს. ამ დროისათვის იმერეთის სახელოვანი მეფე ბაგრატ III უკვე გარდაცვლილა. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა შენირულობის სიგელის შინაარსი. კათალიკოსი ევდე- მონი მრავალი ეპითეტითა შემკული: „საქრისტიანოს ზღუდე“, „დიდი მამამთავარი“, „პა- ტრონი“. ხაზგასმით უნდა შევნიშნოთ, რომ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად გელათში ამ დროს მიმდინარეობდა მთავარი ტაძრის მოხატვა. ევდემონ კათალიკოსის კურთხევით იქნა მოხატული გელათის მთავარი და წმიდა გიორგის ტაძრები, ევდემონის მხარდამჭერები იყვნენ იმერეთის ორი მეფე ბაგრატ III და გიორგი II. თუმცა, უნდა ითქვას, ხელოვნებათმცოდნე ირინე მამაიაშვილი 2007 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ტაძრის ცენტრალური სივრცის XVI საუკუნის ფერწერის სამ ეტაპს გამოყოფს: XVI საუკუნის 20-იანი წლები, 1557-1565, 1565-1578, (მამაიაშვილი, 2007:9-10). 1568 წელს ევდემონ კათალიკოსის სახელი უკავშირდება ბიჭვინ- თის ღვთსმშობლის ხატის შემკობას. „ ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოსმან ევდემონ ჩხეტიძემ მოვაჭედინე და შევამკევ ხატი ეს ღ-თის მშობელსა. თავი ხატი იქროთა და თვალთა მიერ მარგალიტითა ბრწყინვალედ განშვენებული... და კარნი ვერცხლითა და დავასკვნე ტაძარსა წ-ისა ღ-თს მშობლის ბიჭვინტისასა“ (ჟორდანია,1897:411).

ისტორიკოსი გივი ტყეშელაშვილი მიიჩნევდა, რომ ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი გელათ- ში მოიჭედა. კათალიკოს ევდემონს ბიჭვინთიდან გელათში საკათალიკოსო რეზიდენციის გადმო- ტანისას გელათში გადმოაქვს მრავალი საეკლესიო სიწმინდე და ინვენტარი. ბიჭვინთიდან კათა- ლიკოსის გელათში გადმოსვლა განსაკუთრებული ფაქტი იყო, რომელიც მეფის უშუალო ნე- ბართვით განხორციელდა. ამასთანავე, პირველი კათალიკოსი, ვინც გელათში დამკვიდრდა, სწორედ ევდემონი იყო. ალბათ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კათალიკოსი ევდემონი გელათის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებლის, საქართველოს უდიდესი მეფის დავით აღმაშენებლის გვერდით არის გამოსახული.

გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის მთავარ ტაძარში, ჩრდილოეთის კედელზე, საკურთხევლის გვერდით, წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის ფრესკის გვერდით გამოსახულია აფხაზეთის კათალიკოსის – ევდემონ ჩხეტიძის ფრესკა, რომელიც დავით აღმაშენებლის ფრესკაზე უფრო პატარაა და იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის ფრესკაზე ოდნავ მეტია სიგრძეში.

ფრესკის შარავანდედის გასწვრივ შემდეგი წარწერაა: „აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონ“. კათალიკოსს აცვია თეთრი ფერის ბისონი, რომელიც განყობილია კვადრატში ჩასმული ლურჯი ფერის ჯვრებით. ოთხუთხედში ჩასმული ჯვარი თეთრ ფონზეა გამოსახული. ბისონზე ძირითადად თეთრი და ლურჯ ფერი ჭარბობს, ბისონს კი შესაკრავებთან ორივე მხარეს ოქროსფერი კანტი გასდევს მთელ სიგრძეზე. ბისონზე რამდენიმე ადგილას შეინიშნება ღია ყვითელი ფერის კვადრატები, ტანის შუა ნაწილში ჯვარიც ღია ყვითელი ფერისაა. ბისონის ქვედა ნაწილს ამშვენებს ყვითელი ფერის საკმაოდ ფართე არშია, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ ოთხი წითელი ფერის ვიწრო კანტი აკრავს. არშიაზე ოთხი ჯვარია გამოსახული, რომელთაგან ორი დაზიანებულია. ორი ჯვარი შემდეგნაირადაა გამოსახული: ჯვრის შიგნით მწვანე ფერის წრეა, რომელიც ოთხივე კუთხით ბოლოვდება – თეთრი, ლურჯი და ყვითელი ფერის სამკუთხედებით. სამკუთხედის მახვილი კუთხე წრეზეა მიბჯენილი. ორ ჯვარში კი მრგვალი ფორმის ნაცვლად კვადრატებია გამოყენებული, რომლებზეც ჯვრის სახისვე სამკუთხედებია გამოსახული. სამკუთხედის მახვილი კუთხე მიბჯენილია მთავარ ფიგურაზე. ბისონის ქვედა ბოლო შემკობილია მარგალიტებით.

ბისონის ქვემოთ ჩანს თეთრი ფერის კვართი, რომელიც წითელი და ლურჯი ფერის კანტებით არის განყობილი. კვართის შუა ნაწილში შეინიშნება ასევე ოლარი, რომელიც ოქროსფერია და შემკობილია მარგალიტებით. კათალიკოსს აცვია მუქი ფერის ქოშები, რომელთაგან ერთი წაშლილია. კათალიკოსის ბისონს ამშვენებს თეთრი ფერის ომოფორი, რომელზეც ოთხი ოქროსფერი ჯვარია გამოსახული. კათალიკოსს თავზე მიტრა არ ახურავს. მის სახეს ამშვენებს სწორი ცხვირი, ზემოთ ანეული წარბები და ღია ფერის თვალები. თმები საფეთქლებთან ძლიერ შეთხელებული და გაჭალარავებულია. ევდემონს ამშვენებს ასევე ჭალარა გრძელი წვერი. აშკარაა, რომ კათალიკოსი ამ დროს ხანშიშესულია და ფრესკა ჯერ კიდევ ევდემონის სიცოცხლეშია შესრულებული, მაშინ როცა ბაგრატ III იმერეთის მეფე ახალგაზრდულად გამოიყურება თავის მეუღლესთან ერთად. ფრესკაზე ევდემონ კათალიკოსი გამოსახულია მაკურთხეველი მარჯვენით, ხოლო მარცხენა ხელი კვერთხზე აქვს დაყრდნობილი. კვერთხი არის შავი ფერის საშუალო ზომის, რომელსაც ზემო, ქვემო და შუა ნაწილში ამშვენებს ოქროსფერი სფეროები. კათალიკოსს უკეთია ოქროსფერი საბუხრეები, რომელიც შემკობილია ჯვრებითა და ძვირფასი თვლებით. თუკი შევადარებთ გელათში არსებულ ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის ტაძრებში არსებულ ევდემონის ორ ფრესკას დავრწმუნდებით, რომ ისინი ერთი მხატვრის მიერ არის შესრულებული სხადასხვა დროს. მხატვარს კათალიკოსი უკვე ასაკოვანი დაუხატავს, ე.ი. მისი მოღავწეობის ბოლო პერიოდში უნდა იყოს დახატული. ორივე ფრესკაზე კათალიკოსს ერთნაირი სამოსელი აცვია, ასევე ორივეგან მარცხენა ხელი კვერთხზე აქვს დადებული. ღვთსმშობლის სახელობის ტაძარში ფრესკა უფრო შენახულია, წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში კი ფრესკის ნაწილი და ფონი ჩამოშლილია მარცხენა მხარეს. შევნიშნავთ, რომ გელათის ღვთისმშობლის ტაძარში არსებული ევდემონ კათალიკოსის ფრესკა ერთ-ერთი უძველესია აფხაზეთის კათალიკოსთა ფრესკებს შორის და, საერთოდაც, ასე კარგად შემონახული კათალიკოსის ფრესკა ძალზე იშვიათია საქართველოში. ამასთანავე, ევდემონ კათალიკოსი ერთადერთი კათალიკოსია, რომლის ფრესკაც მეორდება გელათის წმინდა გიორგის ტაძარში. მაშინ როცა ქართველ კათალიკოსთა ფრესკების უმრავლესობას, საერთოდ, არ მოუღწევია ჩვენამდე, ევდემონი ნამდვილად გან-

სხავებული პიროვნებაა ქართულ ეკლესიაში, რომლის ორი ფრესკაც ჩვენამდე შემორჩა და, უფრო მეტიც, იგი, ერთ შემთხვევაში, გამოსახულია ერთიანი საქართველოს უძლიერესი და გამორჩეული მეფის დავით აღმაშენებლისა და, მეორე შემთხვევაში, იმერეთის ყველაზე ძლიერის მეფის ბაგრატ III-ის გვერდით.

კათოლიკოს ევდემონის ფრესკა წარმოდგენილია გელათის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთ კედელზე, საკურთხეველთან ახლოს. ეს ფრესკა უფრო გვიანდელი უნდა იყოს, აქაც ევდემონი იმერეთის მეფე ბაგრატ III-ისა და მისი მეუღლის გვერდითაა გამოსახული. ფრესკა გრანდიოზულია და რაღაც განსაკუთრებული ხიბლი აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ფრესკის ნაწილს უკვე დაწყებული აქვს დაზიანება შარავანდედის მარცხენა ქვედა მხარეს და გადაშლილია ასევე მარცხენა ხელის იდაყვი და მკლავი.

კათალიკოსს აცვია იგივე თეთრი ბისონი, რომელიც შემკობილია კვადრატში ჩასმული ლურჯი ფერის ჯვრებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბისონის ქვედა ნაწილი, რომელიც ოქროსფერი არშიით ბოლოვდება, განსხვავდება ღვთისმშობლის ტაძარში არსებული ფრესკისაგან. არშია შემკობილია მარგალიტის თვლებით, თუმცა განსხვავებულია მასზე გამოსახული ჯვრები. არშიის ქვედა მარცხენა მხარეს ოქროსფერი მთლიანად გადასულია. ასევე გაცრეცილია ოლარის მარცხენა ნაწილი და არ ამშვენებს ფოჩვები, როგორც ღვთისმშობლის ტაძარში. ბისონს ქვემოთ ვხედავთ ასევე კვართის ნაწილს, რომელიც შემკობილია მუქი შინდისფერი, ღია მწვანე კანტებით, კათალიკოსს აცვია შავი ფერის ქოშები. კათალიკოსის სამოსს ამშვენებს თეთრი ფერის ომოფორი, რომელსაც აქვს სამი ჯვარი, ჯვრები შემკობილია ძვირფასი თვლებით, ომოფორზე გამოსახული ქვედა ჯვარი ძალზე გაცრეცილია.

ფრესკაზე კათალიკოსის ხელები ზუსტად იგივე მდგომარეობაში აქვს, როგორც ღვთისმშობლის ტაძრის ფრესკაზე, მარჯვენა ხელით იგი აკურთხებს, მარცხენა ხელი კი კვერთხზე აქვს დაყრდნობილი. კვერთხიც იგივეა, თუმცა მისი ზედა ნაწილი თითქმის გადაშლილია. კვერთხი შემკობილია ოქროსფერი სფეროებით. კათალიკოსს უკეთია ოქროსფერი საბუხრეები, რომლებიც შემკობილია ძვირფასი თვლებით, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ საბუხარე მარცხენა მკლავზე საკმაოდ დაზიანებულია. კათალიკოსის სახე თითქმის იმავენაირადაა წარმოდგენილი და ოდნავ მუქია.

გელათის წმიდა გიორგის სახელობის საკათალიკოსო ტაძარში ოთხ დიდ წიგნად შესრულებულ დეკემბრის თვის მეტაფრასს შემდეგი წარწერა ჰქონდა: „აღმანერინებელი წიგნისა ამის ღირსი ღვთის მცნებისა და მუშაკი საღვთო სჯულისა, სიმდაბლითა და სიმშინდითა ღმერთშემოსილქმნილი... სიბრძნითა სულიერთა და ხოლციელთა ზესთა ამაღლებული მნათობი ქართველთა, სახე და კანონი მონაზონობისა, მწყემსი მწყემსთა... ლამპარი... მნე... გმირი კათალიკოსი აბხაზთა ნეტარი ევდემონ ...აზეგრძელობლე ამინ“ (ტყეშელაშვილი, 2007:121).

ვფიქრობთ, რომ თუ არა უდიდესი დამსახურება ევდემონ კათალიკოსისა, ასეთ მაღალ შეფასებას იგი ვერ მიიღებდა თანამედროვეთაგან, ამ სიტყვების დაწერის დროს კათალიკოსი ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა, მის მოღვაწეობას კი გმირობას უტოლებენ, ვფიქრობთ, სწორედ განსაკუთრებული ღვანლის გამო გამოსახეს გელათში მისი ორი ფრესკა. ამასთანავე გელათში სხვაგან ვერსად ვხვდებით მსგავს შემთხვევას, სადაც კათალიკოსი სამეფო ოჯახის ფრესკების გვერდით იყოს დახატული, XVI საუკუნეში კი ტაძრის ხელახლა მოხატვის დროს ევდემონი გამოსახეს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის – ტაძრის დამაარსებლის გვერდით.

ღვანლმოსილი კათალიკოსი ევდემონი გარდაიცვალა 1578 წელს და დაკრძალეს გელათის წმიდა გიორგის სახელობის საკათალიკოსო ტაძარში. მისი საფლავის ქვაზე შემდეგი ეპიტაფია იკითხებოდა: „მე დამარხულმან საფლავთა შინა მეფეთასა დავახატვინე საყდარი ესე და

შევამკვე ხატი ბიჭვინთისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა“. (ლომინაძე, 1966:184).

როგორც ისტორიკოსი ბაბილინა ლომინაძე შენიშნავდა: საფლავის ეპიტაფიების ავტორები თვითონ იყვნენ და ეპიტაფიის ტექსტს თავად ადგენდნენ ხოლმე. კათალიკოსი ევდემონი დასაფლავებული ყოფილა წმიდა გიორგის ტაძარში მარჯვენა მხარეს, შესაძლოა მის ფრესკასთან ახლოს, ამის შესახებ ცნობას გვაწვდის რუსი ელჩი ნ. ტოლოჩინოვი, რომელიც 1652 წლის 13 ივნისს იმყოფებოდა გელათში. მართალია, ტოლოჩინოვი შეცდომით ასახელებს კათალიკოსის სახელს, თუმცა ამ ცნობას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს: „მარჯვენა მხარეს მგალობელთა გუნდის დასადგომთან არტიმონ კათალიკოსია დასაფლავებული“. მე-17 საუკუნის შუახანებში, როდესაც რუსი ელჩი იმყოფებოდა გელათში, მან დააფიქსირა კათალიკოსის საფლავი და მიუთითა მისი ზუსტი ადგილსამყოფელი, თუმცა კათალიკოსის სახელი შეცდომით ჩაიწერა.

ევდემონ კათალიკოსის საფლავის ქვა გადაფარა გვიანი პერიოდის გელათის მონასტრის ქვის იატაკმა, რის გამოც დღეს საფლავის დაფიქსირება ვერ ხერხდება.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსისადმი ამგვარი დამოკიდებულება, ჩვენი აზრით, შემთხვევითი არ იყო. ამ კუთხით, შეიძლება რამდენიმე თვალსაზრისი გამოვყოთ:

1. ევდემონი აფხაზეთის პირველი კათალიკოსია, რომელიც გელათში მკვიდრდება, ამიტომ მისადმი განსაკუთრებული პატივისცემა ამ კუთხითაც უნდა იყოს გამოწვეული.

2. კათალიკოსის უშუალო მხარდაჭერითა და მეთვალყურეობით გელათში მიმდინარეობს მტრი-საგან დაზიანებული მონასტრის აღდგენა-მოხატვა და შესაძლოა, როგორც ერთ-ერთი ქტიორი, ევდემონი ამიტომაც გამოსახეს ორივე ტაძარში.

3. კათალიკოსი ევდემონი იყო იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის უშუალო მხარდამჭერი და მისი პოლოტიკის გამზიარებელი, ამიტომაც იგი ბაგრატ მეფის გვერდით იკრძალება.

4. კათალიკოსი ევდემონი გელათში იწყებს სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას, აღორძინებას, რომელიც აკადემიის გაუქმების შედეგ შეჩერებული იყო.

5. წმიდა გიორგის ტაძარში კათალიკოსის ფრესკის ხელმეორედ დახატვა იმითაც აიხსნება, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ სწორედ აღნიშნულ ტაძარში მოხდა მისი დაკრძალვა. ამავდროულად წმიდა გიორგის ტაძარი ხომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსთა რეზიდენცია იყო და გელათში მოღვაწე პირველი კათალიკოსი სწორედ აქ დაკრძალეს.

და ბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ ევდემონ კათალიკოსის ორივე ფრესკა გამოირჩევა შეს-რულების მაღალი დონით. ერთობ თვალშისაცემია XVI საუკუნის ფრესკების უპირატესობა XVII-XVIII საუკუნეებში შესრულებულ ფრესკებთან მიმართებაში თითქმის ყველა კუთხით: შესრულების სტილი, სახის მკვეთრი ნაკვთები, ფიგურათა მოხაზულობა, ფერთა სიმკვეთრე, სინატიფე, სახის მიმიკა და ა.შ.

#### **ლიტერატურა:**

1. გაფრინდაშვილი ბ. რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები. თბ. 2015.
2. მამაიაშვილი ი. გელათის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მხატვრობა. სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ.2007.
3. ლომინაძე ბ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან I. თბ.1966
4. ტყეშელაშვილი ლ. გელათი, მეორე იერუსალიმი სხვა ათინა. ქუთ. 2007.
5. ტყეშელაშვილი ლ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები. ქუთ. 2014.

6. ქორიძე თ. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები. წგ. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები. ნეკერი. 2000.
7. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი 1964.
8. უორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა II.ტფ.1897.

LEVAN TKESHELASHVILI

*Gelati Spiritual Academy, Doctor of History*

## CATHOLICOS OF APKHAZIA (WEST GEORGIA)

### EVDEMON CHKHETIDZE 1557-1578 YEARS


In 1557-1578 years, catholicos of Apkhazia(west Georgia) was ruled by Evdemon Chkhetidze. His name is connected with move of catholicos residence from Bitchvinta to Gelati. Before the catholic period he was ruling the highest priest chair. Evdemon Chkhetidze was the second clear up bishop after Melkisedek Sakhvarelidze in 1543-1557. Nowdays,in Geleati there are two frescoes of Evdemon Chkhetidze. Probably, they would be performed by the same painter,at the end period of his activity.On both prescos, he wears same clothes and holds the wand with the left hand.

The existence of Evdemoni frescos in saint Goergi end Holy Virgin churches , was not by accident. We can connect with fact that, in Gelati was conducting recovering-painting processing in damadged monastery ,with support and surveillance of Evdemoni. That's why, maybe his frescos are presented in both church as one of the builder.Catholic Evdemoni was the supporter of king of Imereti Bagrat III (1510-1565).He was sharing his policy,that's why his fresco first was painted next to father-Bagrat and later – next to the heir George II.Catholicos Evdemoni starting the scientific educational activities in Gelati,which had been stopped since the cancelation of academy.The fact that his fresco was painted for second time in saint George church, can be explained that exactly this church was the place where he buried after his death.At same time,we know that the saint Goerge church was the residence catholicos of Apkhazeti (west Georgia) and the first worker catholicos in Gelati was buried here.

ლია გაბუნია  
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ასოც. პროფესორი

## პეტრე ჭაპუკიანი

(ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებიდან)



„მარტოოდენ დედა ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვის ბუნებას დალოცვილი გუთნის სამსახური, მხოლოდ მას ძალუძს ღრმად შესძრას იგი, მოხნას, შეამუშაოს და ავარჯიშოს ძირ-ფესვიანად...“ იაკობ გოგებაშვილი.

ჩემს მიერ მონოგრაფიულადაა გამოკვლეული რამოდენიმე სკოლის ისტორია წიგნში – „ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი“ [ლ. გაბუნია, ქუთაისი 2006 გვ.28-29]. სადაც მეტ-

ნაკლებადაა მოცემული მათი განვითარების სრული სურათი. ასეთივე გულმოდგინეობით შეუდექი იმ პედაგოგთა ცხოვრების შესწავლას – საარქივო მასალების მიხედვით რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ამ სკოლებში მოღვაწეობდნენ და რომელთა მონაცემები ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ფონდებშია დაცული: განათლების ფონდში, ხელნაწერთა, ძველნაბეჭ, საბიბლიოთეკო, ფოტო-ფონო ფონდში. აქ უხვი მასალა აღმოჩნდა მარიამ ყაუხჩიშვილის, ანტონ სულამანიძის, ტარასი აბზიანიძის, მელიტონ კელენჯერიძის, ლაზარე ხმალაძის და სხვათა ბიოგრაფიული მოღვაწეობის შესახებ. სტატიები დასტამბულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კრებულებში.

ამჯერად ჩემი ყურადღება მიიპყრო პეტრე ჭაბუკიანის როგორც პედაგოგმა, მაგრამ არამარტო მისი პედაგოგიური ცხოვრება აღმოჩნდა საინტერესო არამედ მთლიანად მისი სამოღვაწეო ასპარეზი, ვინემ ეს საგაზეთო, საუკუნეალო სტატიები, წიგნები, თუნდაც ფილმები და ინტერნეტ საიტები, ჩემის აზრით ყველაზე მართალი, მაინც ეს ცინცხალი ცხოვრების უშუალო დეტალებით დატვირთული საარქივო მასალებია. აქ შეულამაზებელი სინამდვილე და სიმართლეა. სწორედ ამ არქივის საფუძველზე შევეცადე პეტრე ჭაბუკიანის მოღვაწეობის გაშუქებას

განუზომელია პეტრე ჭაბუკიანის როლი ქუთაისის პედაგოგიურ ცხოვრებაში, მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისა და მათი კულტურული გათვითცნობიერების საქმეში, რომლის აღმზრდელობითი სწავლების იდეა და სწავლების პრინციპები – შეგნებულობა და აქტიურობა, სისტემატურობა და თანამიმდევრობა, მისაწვდომობა და თვალსაჩინოება გახლდათ. მან მოსვლისთანვე მოიტანა, ფართო განათლება, დაუშრეტელი ენერგია და სიყვარული ახალი თაობის სამსახურისა, ყოველივე ამან დიდად შეუწყო ხელი მისი მეშვეობით წარმატებით შესწავლას.

1921 წლის პირველი სექტემბრიდან, ქუთაისის უძველეს უბანში და ასევე უძველეს სკოლაში, ბაგრატის ტაძრის მახლობლად დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ის დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ახალგაზრდებს რომლებიც მას ინტერესით, სიყვარულითა და მორჩილებით შესციცინებდნენ თვალებში, ცდილობდნენ რაც შეიძლება ბევრი ესწავლათ ასეთი განვითარებული და განსწავლული პედაგოგისაგან: რუსული ენა, ბუნებისმეტყველება, ბავშვთა ფსიქოლოგია, მათი როგორც პიროვნების დანახვა და ანგარიშის გაწევა იყო ბატონი პეტრეს ყოველდღიური საფიქრალი. მას წამდა რომ ბუნების ენის შესწავლა, მისი დაუწერელი კანონები, ეკონომიკასთან კავშირში და მისი მნიშვნელობა ადამიანისათვის ცხოვრების მთავარ საზრუნავად უნდა გადაექცია. ბუნების საყოველთაო მნიშვნელობას ადამიანისათვის ყოველთვის წინა პლანზე აყენებდა: „დიახ მისი ყოველდღიური საზრუნავი იყო რომ შეესწავლა მცენარეებისა და ცხოველების ცოცხალი მექანიზმების

ზუსტი მოქმედებანი, ბუნება მარტო მარჩენალი კი არა არამედ ჩვენი დიდი მასწავლებელიც არის და უნდა ვისწავლოთ კიდეც მისგანო, დღემუდამ ჩასძახოდა მონაფებს. „თითოეულ ოჯახსა და სკოლაში უნდა თბებოდეს ჩვენი ყმაწვილის გული ბუნების სიყვარულით, იზრდებოდეს მასში ნატიფი გრძნობა სინდისისა რომლითაც უნდა ვმწყემსავდეთ ჩვენს ბუნებას. **ის ყოველთვის სკოლის მოწინავე მასწავლებელი და ბავშვების საყვარელი და საინტერესო პედაგოგი იყო.** არასოდეს დაკმაყოფლებულა საკლასო ოთახში ჩაკეტილი საუბრით, არამედ აღსაზრდელები დღემუდამ ძეგლებზე, ბუნებაში, ლაშქრობებზე და ექსკურსიებზე დაჰყავდა. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ მოსწავლეთა ყოველკვირეულმა საწრეო რეფერატებმა, მოხსენებებმა და მათ გარშემო გამართულმა დისპუტებმა მოსწავლეებში საერთო აღიარება ჰპოვეს. პედაგოგის პრაქტიკა მან ჯერ კიდევ ბათუმში მოღვაწეობისას მიიღო. მაგრამ სულ სხვა იყო ქუთაისი, მის მშობლიურ მიწაზე გაზრდილი თაობა, ისინი მისი მეზობლები, მისი ნათესავები და ახლობლები იყვნენ. მათვის პეტრე მასწავლებელი იყო მისაპაპი მეგობარი და აღმაფრთვანებელი კაცი. ყველა მისი მოწაფე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ხემცენარე დაერგო, მოეარა მისთვის და ცოდნოდა კიდეც ამით რა სარგებლობა შეიძლება მოეტანა საზოგადოებისათვის. დროდადრო ბავშვებს უწყობდა რეფერატული ხასიათის მოხსენებებს, ხშირად მათი განხილვა ბუნებაში ხდებოდა. ყოველივე ეს მათ სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულს შთააგონებდა, ასევე ღარიბ მოსწავლეებს შესაძლებლობის ფარგლებში მატერიალურადაც ეხმარებოდა. მისი პროგრესული პედაგოგიური მოღვაწეობა და ბავშვებთან „ზედმეტი“ სიახლოვე რუსეთის მთავრობას შეუმჩნეველი არ დარჩენია და ერთ პერიოდში, აღშფოთებულებმა, არაკეთილსამედო პედაგოგადაც კი მიიჩნიეს. მოწაფეთა მშობლები აუჯანყეს. ზოგიერთმა მშობელმა აქეთ-იქეთ ხეტიალი და გაკვეთილების გაცდენები დადო ბრალად. მაგრამ პეტრე ჭაბუკიანი არ შედრკა და ვისაც ქართული მწიგნობრობისა და ბუნების ღალატს შეამჩნევდა მეხივით დაატყდებოდა ხოლმე თავს. საოცარი გაშემავლებით ებრძოდა განათლებისა და პრაქტიკული მუშაობის ეთმანეთისაგან გამიჯვნის წესს. [E ,198/139].

„ახლა ბუნებათმცოდნეობის საუკუნეა და ყველა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ეს თავის პრაქტიკული საქმიანობით უნდა გამოხატოს; მაში მოდით გვერდზე გადავდოთ თოფი, ცოდვიანი ლულა შეეცვალოთ მშვიდობიანი ფოტოაპარატით... „მარტო შემოღებული „წითელი წიგნი“ ვერ დაიცავს გადაშენების გზაზე დამდგარ, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს [ამირანაშვილი, 1980:4]. წერდა ცნობილი მეცნიერი.

სწორედ ასეთ შეხედულებებსა და აზრებს უნერგავდა ბატონი პეტრე თავის აღსაზრდელებს. გარდა ამისა, მრავალმხრივად დატვირთული იყო ბუნების სიყვარულით დიდი ადამიანი და მუხლჩაუხრელი პიროვნება. დინოზავრის ნაკვალევის, არქეოლოგიური ნამოსახლარების, სათაფლიის აღმოჩენისა და ტყის დაცვის საქმეში მისი წვლილი შეუფასებელია.

**საბჭოთა პერიოდში ჩვენი მშობლიური ქუთაისი დიდხანს რჩებოდა ჩვეულებრივ, უპრეტენზიო ქალაქად.** მიჩქმალული იყო ისიც, თუ რაიმე ნაცნობი, საყურადღებო რამ გააჩნდა მას. მაგრამ გამოვლინდა და დაფასდა არა მარტო ის, რაც მის ლირსებას შეადგენდა ადრევე, არამედ მას შეემატა ისეთი ობიექტები, რომლებმაც ქუთაისს, როგორც ქალაქს ზოგადსაკაცბრიო მნიშვნელობა მიანიჭა. 1925 წელს ქუთაისს შეემატა ობიექტი, რომლის აღმოჩენას მანამდე არავინ მოელოდა. მოულოდნელი იყო ქვის ხანის კულტურის აღმოჩენა. ეს გახლავთ სათაფლიის ბუნებრივი ძეგლები – განლაგებული ქუთაისის განაპირას. სათაფლიის მაღლობზე ამ პერიოდში აღმოაჩინეს ოთხი უზარმაზარი გვირაბი, რომელთა საერთო სიგრძე 5 კილომეტრს აღწევდა..

სათაფლიის ნაკრძალი მდებარეობს წყალტუბოს რაიონში მთა სათაფლიაზე. „ნაკრძალი საქართველოს მრავალფეროვანი და საინტერესო ბუნების იშვიათი ძეგლია. იგი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ხასიათის

ძეგლებს. „აღნიშნავს კირილე მამისეიშვილი წიგნში – „საქართველოს ნაკრძალები [მამისაშვილი, 1967:34.]

**საქართველოს ნაკრძალები სათაფლის მთა, ცნობილია მთელ მსოფლიოში,** მან ბევრი რამით გაითქვა სახელი. იყო დრო როცა მის შესახებ თვით წყალტუბოს რაიონშიც არავინ არაფერი იცოდა, ამ ადგილებს მოსახლეობა წკვარამებს ეძახდა და ერიდებოდა, როგორც ჭინკებისა და ეშმაკების საბუდარს. სათაფლია არ იყო დაფასებული ისე როგორც მასა და მის ლირშესანიშნაობას ეკადრებოდა. როგორც იშვიათ ძეგლსა და დინოზავრის ნაკვალევის იშვიათ ადგილ-სამყოფელს რითაც შეიძლებოდა უფრო მეტი ხნის უკან გვეამაყა. სათაფლის მთამ სახელი გაითქვა, მაშინ როდესაც რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის კურსდამთავრებული უკვე ქუთაისის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი – ბატონი პეტრე ჭაბუკიანი. ეს იყო 1920-21 წლები. ხელში მუდმივად ძლიერი ჯოხით აღჭურვილი, გლეხის ტანსაც-მელში გადაცმული, თეთრი სპეტაკი თმით, ნამდვილი ბუნების შვილი.

მე თითონ მიხილავს მისი პიროვნება სათაფლის ნაკრძალში და მომისმენია მისი საინტერესო ლექციები, გამოქვაბულის, ტყის ნაირფეროვნების, მოძალადე ტყისმჭრელებისა და დინოზავრის ნაკვალევის იშვიათობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. მაშინ სკოლის დაბალი ჯგუფის მოწაფე ვიყავი, მამაჩემი ვაჟა ზარნაძე თერჯოლის რაიონის ეწრის კოლმეურნების თავმჯდომარე იყო, ის ხშირად აწყობდა ექსკურსიებს მშრომელებისათვის, აცნობდა ახლომახლო გარემოს იშვიათ ძეგლებს და თითონვე აფინანსებდა კიდეც. ის უკიდეგანოდ განათლებული და ნაკითხი კაცი იყო, მახსოვს მისი ინტერესი ამ იშვიათი ძეგლის მიმართ, მიუხედავად იმისა რომ არაერთჯერ პეტონდა ნანახი, მას ძალიან მოეწონა ბატონი პეტრეს საუბარი და როცა ყველაფრის შესახებ ლექცია დასრულდა აღ-ფრთოვანებულმა, არაჩვეულებრივ იმერულ სუფრაზე მიინვია უბადლო ექსკურსმძღოლი, მეცნიერი თუ ამ განსაკვიფრებელი ძეგლის აღმომჩენი. იქ ბუნების წიაღშიც იმერული კამკამა ციცქა-ცოლიკაურის წვენმა კიდევ უფრო დაახლოვა ისინი ერთმანეთს და ბევრი ახალი რამ ათქმევინა ბატონ პეტრეს უცნაური და საინტერესო. ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი, მხოლოდ ჩიტების გასაცარი დამატებობელი ჭიკჭიკი ისმოდა ირგვლივ. მიუხედავად ჩემი მცირე ასაკისა სწორედ ასე აღვიქვი ყველაფერი ის რასაც ასეთი ინტერესით უსმინე დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში. ბატონ პეტრეს ძალიან მოეწონა ჩვენი ექსკურსანტების ინტერესი და მთლიანად გადაეშვა რეალობასა თუ მოგონებებში. იცოდა მან ასეთი გადახვევები და თავისი თავისი წარმოჩენაც ძალიან უყვარდა. მისი საარქივო მასალებიც სწორედ ამის მაუნიშებელია. ეს საინტერესო და იშვიათი მასალა დაბინავებულია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, რომლით სარგებლობაში დიდი დახმარება გამინია ხელნაწერთა განყოფილების გამგემ, ქალბატონებმა ციცინო მუმლაძემ და ეკატერინე ყელაურაძემ, აქ მადლობის გრძნობითა და დიდი პატივისცემით მინდა მოვისენიო, მუზეუმის დირექტორი ბატონი ომარ ლანჩავა რომელიც საშუალებას გვაძლევს, ყოველნაირად ხელს გვიწყობს და მხარს გვიჭრს უანგაროდ საარქივო მასალებით სარგებლობის საქმეში. და ყველაფერი ეს ძალიან გვეხმარება სამეცნიერო სამუშაოების უკეთ წარმართვაში.

პეტრე ჭაბუკიანის არქივი ერთ-ერთი საინტერესო არქივია, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. აქ დავანებული ცხოვრების ყოველდღიური ნიუანსები, სიხარული თუ წყენა, ბედნიერება თუ ტანჯვა, აღფრთოვანება თუ გულგატეხილობა ყველაფერი ეს ამ არქივშია დაბინავებული, ეს მასალები უფრო ცხადად აღწერს ყველაფერ იმას რასაც პეტრე ჭაბუკიანის ღვაწლი და ცხოვრება ქვია.

**1925 წელს ბატონმა პეტრემ მიაკვლია სრულყოფილი და კლასიკური მნიშვნელობის კარსტულ გამოქვაბულებს.** მან ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით შეძლო ამ ძვირფასი ძეგლის დაცვა მაგრამ როგორც თითონ აღნიშნავს ძეგლი დიდხანს იყო მიუხედავი მოწესრიგების თვალსაზრისით.

მას არამარტო დაცვა, არამედ კომიტეტული მოწყობა ჭირდებოდა ეს თითქმის ვერ მოხერხდა საპჭოთა პერიოდში. რაც გაკეთდა ეს იყო პრიმიტიულ დონეზე, რასაც დღევანდეობაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. **ამ ექვსიოდე წლის წინ უზარმაზარი რეკონსტრუქცია განიცადა სათაფლის გამოქვაბულმა.** აქ სამუშაოები ამჯერადაც სისტემატურად მიმდინარეობს. ამაღლდა მისი როგორც ძეგლის მნიშვნელობა. რაოდენ საამაყოა დღეს მისი სტატუსიც, პირობებიც, წარმოშობის ისტორიაც, რაოდენ საამაყოა მისი დღევანდელი მდგომარეობა. ის არა მარტო ჩვენ – ქართველ დამთვალიერებელს ანცვიფრებს თავისი უნიკალურობით, გრანდიოზულობითა და კომიტეტულობით, არამედ უამრავი უცხოელი განცვიფრებაში მოჰყავს.

**1935 წელს მთა სათაფლია, ფართობით 341 ჰექტარით, გამოცხადდა ნაკრძალად.** არ იყო ადვილი ამ მდგომარეობამდე მოლწევა, თუ პეტრე ჭაბუკიანის საარქივო მასალებს გავითვალისწინებთ აქ დიდზე დიდი წილი ბატონ პეტრეს მიუძღვის. **სწორედ ქუთაისიდან მიეცა ძლიერი ბიძგი კულტურის ძეგლების და ტყეების მოვლა პატრონობის დიდ ეროვნულ საქმეს.** ქუთაისიდან განვითარდა და გალრმავდა საქართველოში მეცნიერების სამი დარგი: ქვის ხანის არქეოლოგია, სპელოლოგია და პალეონტოლოგია. ქუთაისი თავისი მიდამოებით წარმოადგენს ქალაქს, ერთი რუსი პოეტის მოხდენილი გამოთქმით, სადაც სამყაროს თავისი დღიური უწარმოებია მეზოზოური ერიდან ჩვენს დრომდე. შემუშავდა მოარული გამოთქმა „გელათი საქართველოს ისტორიული კულტურის გვირგვინია, სათაფლია დიდებული ბუნების გვირგვინიო“ გელათი და სათაფლია გადაიქცნენ თავისებურ მექად და მედინად. მათი ნახვა და გაცნობა სავალდებულოდ, სულიერ მოთხოვნილებად გადაიქცა [„საინტერესო წარსულის ქალაქი“ გაზ. ქუთაისი, 1964 წელი, 5 იანვარი, №4, გვ. 3]. მეცნიერული შესწავლის შემდეგ აგრეთვე სათაფლიას და მთელ კომპლექსს მსოფლიოს მეცნიერების დაკვირვების შედეგად სტატუსი კიდევ უფრო გაეზარდა. თუ ტყესთან დაკავშირებულ ამბებს გავიხსენებთ ბევრ ლიმილისმომგვრელ ფაქტებს წავანყდებით, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის არქივში ერთ-ერთ ხელნაწერში ვკითხულობთ: „როცა პეტრე ჭაბუკიანს საზოგადოება ტყის მეგობრის მოწმობა გადასცეს, მან წიგნაკი გადაათვალიერა და სიცილი აუტყდა აქ ენერა წელინადში 1-2 ხე მაინც უნდა დარგონ, ალბათ წარმოიდგინა რამდენი ხე-მცენარე გადარგო და რამდენი განადგურების პირას მისულ ჯიშს მისცა მომრავლების საშუალება. ასეთ პირობებში რა თქმა უნდა ნაკრძალში უშლიდა მცხოვრებლებს მსხვილფეხა და წვრილფეხა შინაური ცხოველების გაშვებას, ეს ფაქტი წინააღმდეგობას უქმნიდა მეზობლებთან. პეტრე ჭაბუკიანმა ბუნების დაცვა ისტორიულ ძეგლებთან არსებული ხეივნებით დაიწყო, გაჩეხვას გადაარჩინა რამდენიმე ათეული ძვირფასი ხეივანი (ჯიმასტარო, ქვიტირი, სორმონი, ზარათი, რიონი ოფურჩხეთი, ბანოვა და სხვა) შემდგომ მისი გეგმით და იშვიათი მონდომებით ჩამოყალიბდა და დაარსდა ქვეყანაზე ერთადერთი თავისებური დაწესებულება: „სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი“. სათაფლიაში მან უზარმაზარი თანხის ღირებულების საშეშო მასალა და მწვანე იშვიათი ჯიშის ხეები მოამრავლა, ესთეტიური და მეცნიერული თვალსაზრისით მათი ღირებულება განუზომელია. არქივში მაშინდელი მთავრობის მიერ ასეა შეფასებული პეტრე ჭაბუკიანის როლი ტყის დაცვასა და მისი მოშენების საკითხში: „ამ უამად როცა ყველამ გაიგო თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს ქვეყნის კულტურული და ეკონომიკური აყვავებისათვის მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, განსაკუთრებით მომავალი თაობებისათვის, როდესაც დღევანდელი მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ატარებს ტყეების მოშენების ხაზით, ჭაბუკიანისთანა ადამიანები დაფასებული უნდა იქნენ, რადგან მათი როლი შეუფასებელია, ამას ზემოჩამოთვლილ სხვადასხვა ღირებულებებთან ერთად დიდი პოლიტიკური და ესთეტიური მნიშვნელობაც აქვს.“ [ქიმ: E, 198/1399] ერთ-ერთ წერილში პეტრე ჭაბუკიანი წერს: „ტყეს უდიდესი სამეურნეო და კულტურული მნიშვნელობა ყველასათვის ცხადია. მას ჩვენი წინაპრებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მიუხედავად უცხოელ დამპყრობთა ხშირი შემოსევისა და ომებისა, ქართველი ხალხი ტყის დაცვი-

სათვის ენერგიულად ზრუნავდა და ინახავდა როგორც კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთ ნიმუშს.

„ტყის გაჩეხვა პირველი მსოფლიო ომის დროს გახშირდა. ასე მაგალითად, ქუთაისიდან სა-თაფლის კიდემდე გადაჭიმული ტყე განადგურდა 1914 წლის შემდეგ. დღეს ამ 8 კვადრატულ კი-ლომეტრზე ერთ ხესაც ვერ შეხვდებით, აյ მხოლოდ კურკანტელას ბუჩქებია და ველური ჩირგვები. ქვატაფის მაღლობიც მშვენიერი წინვნარით იყო დაფარული, ამჟამად ისიც განადგურებულია და ეს მშვენიერი, სილამაზით განთქმული მიდამო ტრამალს წარმოადგენსო წერდა პეტრე ჭაბუკიანი მოგონებებში.

უსათუოდ ბევრს მოიგებდა ჩვენი ქალაქი თავისი ბუნებრივი სილამაზით, რომ ეს უბნები ახლაც ტყითა და მცენარეებით იყოს გამშვენებული. კარგა ხანია მიღებულია მთელი რიგი ლონისძიებანი გაჩეხილი ტყეების აღსადგენად.

ამჟამად ჩვენი ქალაქის მახლობლად მდებარე რაიონებში ენერგიულად ზრუნავენ ტყის დაცვასა და გაჯანსაღებაზე, მინიმუმამდეა დაყვანილი ხეების მოჭრა. განთქმული სათაფლის ტყე, რო-მელიც შეიცავს 209 ჰექტარს, მთლიანად დაცულია. „სათაფლის ნაკრძალი“, როგორც ცნობილია, მდიდარია ბუნების იშვიათი ძეგლებითა და მრავალფეროვანი მცენარეებით, გამოირჩევა რომელთა ღირებულება რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს აღწევს. ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდე, რათა შეიქმნას ტყეების აღდგენისათვის საჭირო ყველა პირობა და ჩვენი ლამაზი ქალაქის მახლობელი უბნები ისევ დამშვენდეს მრავალფეროვანი მცენარეებით“ [ქიმ: E:198/2399].

კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქალაქიდან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზე მდებარე ე.წ. „ეპისკოპოსის ტყე“, რომელიც სიგრძით 30 ჰექტარს უდრის. ეს ტყე 1902 წლამდე კარგად იყო შენახული. ამ წლიდან კი იგი სამჯერ მოიჭრა, მაგრამ ისევ მაღე წამოიზარდა ამჟამად საკმაოდ მომძლავრებულია და კარგადაც არის დაცული მოხუცი კოლმეურნის ილიკო ფურცხვანიდის მეშ-ვეობით. იგი და მასთან ერთად მთელი ოჯახი ამ ტყეს საუკეთესოდ უვლიან და ინახავენ. ხსენებულ ტყეები მრავლად შეხვდებით წაბლს, ღელის პირას თხმელასა და აკაციას და მაინც იგი განსა-კუთრებული ყურადღების ღირსია, როგორც წაბლნარი. ერთი სიტყვით მას უნდა ეწოდოს „ჯიმას-ტაროს ნაკრძალი“ და ყოველმხრივ დავიცვათ იგი. [გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, №73, 1945].

პეტრე ჭაბუკიანს ყოველთვის აწუხებდა ხალხის ბედი, ცდილობდა მათთვის ადვილი ცხოვრები-სა და დასვენების პირობები შეეთავაზებინა, მას დიდი სურვილი ჰქონდა ქუთაისშივე ჰქონოდა მშ-რომელ ხალხს დასასვენებელი ადგილები და შეარჩია კიდეც მათთვის ასეთი გარემო. მისი წერილი „ქუთაისი-საუკეთესო საგარეუბნო აგარაკებისადმი“ სწორედ ამ საკითხს ეძღვნება რატომ რჩე-ბოდა აქამდე ქუთაისი საგარეუნო აგარაკების გარეშე? სვამს კითხვას და თვითონვე სცემს პასუხს. ბევრ ადამიანს რომელსაც რამედ ულირს ქალაქის მცხოვრებთა გასაჭირი აწუხებს ეს კითხვა, მე კი რეალურად მინდა ვიმსჯელო. საგარეუბნო აგარაკების საკითხი ქუთაისის სინამდვილეში ძალზე აქტუალურია, „ქუთაისის მახლობელ რაიონებში „ნაკრძალის რელიეფი მთაგორიანია, ფართობის დიდი ნაწილი დაფარულია მეტად ლამაზი და მრავალი მერქნიანი ჯიშის კოლხეთის ტიპის შერეული ტყით; ტყის ამ ჯიშებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს: უთხოვარი, ძელქვა, ბზა, ჯორი, წყავი, მქერი, ნეკერჩალი, ჯონჯოლი, უცვეთელა, წიფელი, რცხილა, ქართული მუხა და სხვა. [ქიმ :E ,198/10482].

ნაკრძალის ტყეები კოლხური ტიპისაა. გვხვდება წიფლის ტყეები მარად მწვანე ქვეტყით, წიფლ-ნარ-ცხილნარი, ბზის ქვეტყით, წაბლის ტყეები ილისა და კავკასიური მოცვის ქვეტყით, მურყნის ხეები მაყვლის ქვეტყით და სხვა. ნაკრძალის ზოგიერთ ადგილას ბზისა და ჭყორის მარადმწვანე ქვეტყე ქმნის გაუვალ რაყას. ტყის ჯიშების უმეტესობა ეკუთვნის მესამეული ხანის რელიეფებს, მეტწილ შემთხვევებში მათ ახასიათებთ მარადმწვანე ხეტყის იარუსი და ლიანების სიჭარბე, სადაც

კოლხური სურო მოსავს მურყნის მაღალტანოვან ხეებს, საიდანაც იგი ჩამოკიდებულია გირლი-ანდებად ან მიწის ზედაპირზეა მოფენილ ხალიჩასავით. ყველაფერი ეს ნაკრძალს მიმზიდველ და ლამაზ იერს აძლევს. წარსულში ადამიანის არასწორი სამეურნეო ჩარევის შედეგად, ნაკრძალის ტყეს მნიშვნელოვნად ჰქონდა შეცვლილი პირვანდელი სახე და თითქმის განადგურებამდე იყო მიყვანილი. მაგრამ სანაკრძალო წესების გატარებამ გადაარჩინა იგი“ [„საქართველოს ნაკრძალები“ კ. მამისაშვილი, თბილისი, 1967 წელი. გამომ. მეცნიერება. გვ. 34-35].

როცა მეორედ მომიწია სათაფლიაზე ექსკურსიაზე ყოფნამ ახლა უკვე სტუდენტი ვიყავი. ჩემი მეუღლე გურამ გაბუნია ამ დროს დეკანის მოადგილე იყო და იმჯერად დეკანის მოვალეობასაც ასრულებდა. ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტის დღის სწავლების სტუდენტებისათვის ექსკურსია სათაფლიაზე მან დაგეგმა. აქ კიდევ ერთხელ შევხვდი აღლვებულსა და გამწყრალ პეტრე ჭაბუკიანს. როცა გურამ გაბუნია დაინახა ყველა საქმე მიატოვა და ჩვენი ექსკურსმდლოლობა თითონ იკისრა. სანამ გამოქვაბულში შეგვივანდა ტყე დაგვათვალიერებინა და თან გულისწყრომის მიზეზი აგვისხსნა. ვერა და ვერ გავაგებინე ამ ხალხს რომ აქ შინაური პირუტყვების გამოშვება აღარ შეიძლება, აქ სახელმწიფო ნაკრძალიაო. უნდა აღდგეს უკვე გადაშენების პირას მისული ბევრი იშვიათი ჯიშიო. შემდეგ ყურადღება მიგვაქცევინა საქონლის მიერ მოკვენეტილ კვირტებზე და ერთხელ კიდევ აბობოქრდა! მაშინ კიდევ ერთხელ ვიხილე ბატონი პეტრე ჭაბუკიანი და მისი იშვიათი ლექცია რომელიც მჭერმეტყველების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ჩვენ ამ დროს ჩავიწერეთ პატონი პეტრე საბჭოთა პერიოდის მაგნიტოფონზე, მაგრამ კაბინეტის რემონტის დროს ყველაფერი ეს დაზიანდა და გადასაყრელი გახდა!

როგორც ამ შეხვედრიდან დავრწმუნდი და ამჯერად საარქივო მასალებიდანაც ჩანს პოეზიაც მისი პობი ყოფილა, მასაც გადაუხდია მუზისათვის ხარკი. ამ შეხვედრის დროს ერთი თავისი და ერთი გალაკტიონის ცნობილი არაჩვეულებრივი ლექსი – „მესაფლავე“ წაგვიკითხა. **არქივში ასეთი ნიმუშები მრავლადა, სამაგალითოდ მკითხველს ერთ ასეთ ნიმუშს ვთავაზობთ:**

„კიდევ მეწვია ამ ქვეყანაზე,  
მეტად საამო გულისტკევილი,  
ქალის სიკეთე და სილამაზე  
და საბოლოო გედის ყივილი.  
ქვეყანა ისევ კარგი მგონია,  
მეხვევა ნისლი ბედნიერების.  
ეგ საუკუნე მოუსვენარი  
ბრძოლით და შრომით გამოვიარე,  
შენ გამიცოცხლე ფიქრი ზენარი  
და არ მოვკვდები ვით მგლოვიარე“. [ქიმ :.E, 198/2205]

„ტყისა და ნაკრძალის რელიეფის ხასიათმა განაპირობა ცხოველთა მრავალფეროვნება და მათი მორჩავლების სრული შესაძლებლობა. ამჟამად ნაკრძალი მნახველს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს, მრავალფეროვანი მგალობელი და მტაცებელი სახის ფრინველებით; ძუძუმწოვრებიდან გვხვდება შველი, კურდღელი, მელა, მაჩვი, ტურა, კვერნა ციყვი და სხვა. ნაკრძალი ისტორიული მნიშვნელობის ბუნების სხვა ძეგლებთან ერთად სათაფლიის მთის ფლორისა და ფაუნის დაცვასაც ემსახურება. ამ საქმეში ნაკრძალმა მეტად კარგსა და თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. ნაკრძალში დამთვალიერებლებისათვის გაყვანილია საცალფეხო ბილიკები და წვიმისაგან თავშესაფრები. ნაკრძალს ამშვენებს მეტად ლამაზი ალაყაფის კარები და ასფალტირებული გზები, ორსართულიანი ლამაზი შენობა, სადაც მოთავსებულია დირექცია და მუზეუმი. საიდანაც მიიმართება მშვენიერი გზა მღვიმეებისაკენ“ [მამისაშვილი, 1967: 35-36].

სათაფლის ნაკრძალის ბუნების ძეგლებიდან მეტად გაითქვეს სახელი კარსტულმა გამოქვაბულებმა, რომელთაც თავისი სილამაზით, სიდიდითა და მეცნიერული მნიშვნელობით მკვლევართა დიდი ყურადღება მიიყრეს, ერთ- ერთ ასეთი კარსტული გამოქვაბულის მღვიმის აღმართული სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების სიგრძე უდრის 600 მეტრს. ამ მღვიმის მშვენებაა შესასვლელიდან 10 მეტრით დაშორებული გუმბათოვანი დარბაზი, რომლის ცენტრში, აღმართულ სტალაქტიდებისა და სტალაგმიტების სიდიდესა და ძნელად აღსაწერ სილამაზეს, განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. მღვიმეს ბოლოში ჩამოუდი გამდინარე ნაკადი, რომლიც ჩაედინება ჭაში, რის შემდეგ წყალი გზას განაგრძობს ვიწრო გაუვალ ნაპრალებში და გამოსავალს პოულობს სათაფლის მთის სამხრეთ ფერდობზე მდინარე ოღასკურას სახით. ასეთი მღვიმე ნაკრძალის ტერიტორიაზე რამდენიმეა. მათში წარმოდგენილია სტალაქტიდების უშესანიშნავესი დარბაზები, რომლებიც უხვად არიან მოჩუქურთმებულნი მბრნებინავი სტალაგმიტებით, სვეტებითა და ფარდებით. ყველა ეს ზღაპრული სანახაობა და სილამაზე, გარდა დიდი მეცნიერული ინტერესისა, მნახველში დაუვიზუარ შთაბეჭდილებას ტოვებს. სათაფლის მთის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნაკრძალში არსებული ვულკანის კრატერს, რომელიც ბაზალტის ლავისა და ლავდებიდან 300 მეტრი დაშორებით მდებარეობს.

„სათაფლის მთის ბუნების ასევე ღირსშესანიშნავი ძეგლია დინოზავრთა იშვიათი ნაკვალევი, რომელსაც აგრეთვე დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. მეცნიერთა დასკვნით დინოზავრები ცხოვრობდნენ 150 მილიონი წლის წინათ, ჩვენს ერამდე; ხოლო სათაფლის ნაკრძალის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ასაკის დინოზავრების ნაკვალევის თარიღი დაახლოებით განსაზღვრულია 60-70 მილიონი წლის წინ ჩვენს ერამდე; დინოზავრების ნაკვალევი აქ აღმოჩენილია ორ შეზე: ქვედა და ზედა ნაკვალევები; მეცნიერთა აზრით ნატერფალის ფორმისა და აგებულების მიხედვით ქვედა შრეზე წარმოდგენილი დინოზავრთა ნაკვალევი მტაცებელი ბუნების პატარა ზომის (ტანის სიგრძე დაახლოებით 2 მეტრს აღწევდა) ცხოველებს ეკუთვნოდნენ. წინა კიდურების კვალი აქ არ ჩანს და ამიტომ ფიქრობენ, რომ მათ ისინი განუვითარებელი ჰქონდათ.

ზედა შრეზე აღბეჭდილ ნაკვალევს დიდი ზომის (სხეულის სიგრძე 5-6 მეტრი) ბალაზისმჭამელ ცხოველთა ჯგუფს აკუთვნებენ, რომლებიც აგრეთვე ორ უკანა ფეხს ეყრდნობოდნენ და ნელი ადგილმონაცვლების უნარი უნდა ჰქონოდათ; დინოზავრების საცხოვრებელ გარემოდ მეცნიერები ზღვის უბეს ვარაუდობენ .

ასეთი ნაკვალევის პოვნა საქართველოში პირველი შემთხვევაა. რის გამოც სათაფლის მთა კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევს და მისი ბუნების მთელი კომპლექსის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის.

**ნაკრძალი ყოველდღიურად მრავალ ადგილობრივ და უცხოელ ტურისტს იზიდავს [მამისაშვილი, 1967:36-37].**

საინტერესოა მისი ბიოგრაფიული მონაცემები – პეტრე ივანეს ძე ჭაბუკიანი დაიბადა ქუთაისში 1885 წლის 7 აგვისტოს მუშის ოჯახში. 7-დან 11 წლამდე სწავლობდა ქუთაისში. 11-იდან 18 წლამდე სწავლასთან ერთად მუშაობდა ბათუმში წარმოებაში, 18-22 წლისა სწავლობდა ქუთასში და გიმნაზიის კურსი დაამთავრა ექსტერნად რუსეთში. უმაღლესი განათლება მიიღო ტარტუს უნივერსიტეტში, დაამთავრა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. იქვე 1912-16 წლებში მოისმინა საყოველთაო ისტორიის კურსი. 1917-18 წლებში მსახურობდა ჩრდილოეთის არმიის საინჟინრო ნაწილში პოზიციების მშენებლობაზე. რის შემდეგაც მთელი ცხოვრება დასავლეთ საქართველოს ბუნებისა და კულტურის ძეგლების დაცვას მიუძღვნა. იყო ქუთაისის ისტორიული მუზეუმის განსაკუთრებული თანამშრომელი და შემდეგ ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მეთვალყურე. [ქიმ : E, 198/2435].

**ალბად ერთ-ერთი „განუმეორებელი კოლორიტული პიროვნება და რაც მთავარია იყო ცნობილი პედ-**

აგოგი პეტრე ჭაბუკიანი იყო, რომელსაც მიხეილ ქვლივიძის ცნობილი სტრიქონები, ისე მიესადაგება როგორც მარად დაუვიწყარ გიორგი შავგულიძეს:

რამდენი ჩვენგან წასული კაცის  
ვერ გადავიხდით ვერასდროს ამაგს  
მაგრამ ის ერთი სხვა იყო მაინც  
კაცი რომელიც დააკადა ქალაქს..“ [გაზ. ქუთაისი, N 187, 1983: 4].

პედაგოგი, ნატურალისტი მხარეთმცოდნე, ისტორიული ძეგლების თავდადებული მცველი, კარსტული მღვიმეების მუხლჩაუხრელი ქომაგი... 1982 წელს ქუთათურებმა მის ნაამაგარ მინას მიაპარეს და მას აუსრულეს თხოვნა რომ სამუდამო განსასვენებლად სათაფლის მინა მიეჩინათ. სწორედ ის ადგილი, სადაც იგი ნახევარსაუკუნეზე მეტი წელის მანძილზე დარსა თუ ავდარში, ყოველ-დღიურად დააბიჯებდა თავისი განუყრელი ხელჯოხით, რომელსაც საყრდენად კი არა ადგილების მოსასინჯად იყენებდა მხოლოდ. ამით პეტრე ჭაბუკიანი და სათაფლის მინა სამუდამოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. იგი გარდაცვალების შემდეგაც პირველ მეგზურად ევლინება სათაფლის ნაკრძალში მოსულ სტუმრებს. მას ძეგლიც დაუდგეს მაგრამ ყველაზე დიდი ძეგლი მან თავის თავს თითონვე მიუძღვნა. მისი ძეგლია ის ახალგაზრდები რომლებიც პატარაობიდანვე სკოლის მერხიდანვე აზიარა საქართველოსა და მისი ფლორისა და ფაუნის უსაზღვრო სიყვარულს. ასწავლა სიამაყე თავისი, ქალაქისა, რომ ისინი უძველეს საქართველოს 3500 წლოვან ქალაქში, აიეტის ქალაქში ცხოვრობენ. ეს ძეგლია მსოფლიოს პალეონტოლოგიურ ანალებში შესული დინოზავრების ნაკვალევი; ეს ძეგლია ქვეყნის „მწვანე აბჯარი“ რომელიც დიდხანს საამოდ შრიალებდა ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ეს ძეგლია ხალხის სიყვარული რომელიც მან დაიმსახურა.

როცა პეტრე ჭაბუკიანს 80 წელი შეუსრულდა მას ლადო მესხიშვილის დიდ თეატრში ქართველმა ხალხმა იუბილე გადაუხადეს: „ბოლო არ უჩანდა მისალმებებს. მას ეს შრომითა და გარჯით დატვირთული წლები ლილი ნუცუბიძემ არაჩვეულებრივი სტრიქონებით მიულოცა:

„შენ საქართველო სულ მისხალ-მისხალ  
სულ ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარე.  
ეს ლექსიც ჩემი სულის კვამლია,  
რომ წლებს არ მისცე ნება განცხრომის,  
სათაფლიაზე ორი კვალია,  
დინოზავრის და შენი კაცობის“.

1965 წელს 125 წლის იუბილესთან დაკავშირებით კი მისი მოლვანეობის ამსახველი ფოტოსურათები-სა და ხელნაწერების გამოფენა გაიმართა, რომელიც ნამდვილად ასახავდა ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოლვანის სიამაყით განვლილ ცხოვრებას. მას მიანიჭეს ქართველი მხარედმცოდნის კატეგორია.

სათაფლია ზღვის დონიდან 380-500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. სათაფლიაში მოგზაურობი-სას ვიზიტორებს სამუალება აქვთ მოინახულონ დინოზავრის ნაკვალევის საკონსერვაციო ნაგებობა, ველური ფუტკრის საბინადრო გარემო, კარსტული მღვიმე, კულხური ტყე, საგამოფენო დარბაზი, შუშის პანორამული გადასახედი, ასევე, სტალაქტიტების და სტალაქტიტების მრავალსახეობა.

**ნაკრძალში წარმოებს, აგრეთვე, სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, ფლორის ინვენტარიზაცია, ფენოლოგიური დაკვირვებები, ფლორისა და ფაუნის აღდგენისა და მომრავ-ლების მიზნით საჭირო ბიოტექნიკური ღონისძიებანი. ნაკრძალი ყოველდღიურად მრავალ ადგილო-ბრივ და უცხოელ ტურისტს იზიდავს და ანცვიფრებს, მას მსოფლიო მასშტაბით უაღრესად დიდ პატივს ცემენ.**

### **ლიტერატურა:**

1. ლ. გაბუნია, „ქუთაისი დიდი საგანმანათლებლო ცენტრი“, ქუთაისი 2006 გვ.28-29].
2. ამირანაშვილი, გაზ. „კომუნისტი“, 1980 წელი 7 აგვისტო, №182
3. კ. მამისაშვილი, „საქართველოს ნაკრძალები“, გამომ. მეცნიერება, თბ., 1967
4. „საინტერესო ნარსულის ქალაქი“ გაზ. ქუთაისი, 1964 წელი, 5 იანვარი, №4, გვ. 3
5. კ. მამისაშვილი, თბილისი, 1967 წელი. გამომ. მეცნიერება. გვ.34
6. საარქივო მასალები: ქიმ.: E, 198/139, E, 198./2399, E,198/1482, E,198/2435, E,198/2435, E,198/2205
7. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1945 წ.13 აპრილი, №73
8. გაზ. „ქუთაისი“, №187 , 29 სექტემბერი, 1983
9. კ. მამისაშვილი, „საქართველოს ნაკრძალები“, გამომ. მეცნიერება, თბ., 1967, გვ.34-35

### **ელექტრონული ვერსიები**

1. [https://ka.wikipedia.org/wiki/petre\\_Wabukiani](https://ka.wikipedia.org/wiki/petre_Wabukiani)
2. dspace.nplg.gov.ge > ... > quTasisi sajaro biblioTeka
3. [www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=6389](http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=6389)

LIA GABUNIA  
*Kutaisi State Historical Museum, Assoc. Professor*

## **PETRE CHABUKIANI**

**Petre Chabukiani was born in Kutaisi on August 7, 1885.** He studied in Kutaisi between the ages of 18-22 and completed an externship at a Gymnasium in Russia. He got higher education in the University of Tartu, where he studied science. Afterwards, he returned to Georgia - to his home town Kutaisi and dedicated his life to the protection of the environment and cultural monuments of Western Georgia. He was a special worker of Kutaisi Historical Museum and, subsequently, started working as an observer of the protection of the environment and cultural monuments.

**In 1933 Petre Chabukiani discovered the door of the bell tower of Bagrati Cathedral covered with earth and assumed that the main part of the cathedral was also under the ground. His assumption proved to be true. As soon as the area was cleaned, major part of Bagrati Cathedral was uncovered, which made it possible to start the profound study of the cathedral and restore its plan.**

**Several decades later the young scientist of Kutaisi State University – Omar Lanchava became the supervisor of the excavations around the cathedral.** As a result of his hard work O. Lanchava devoted both of his dissertations to these issues. On the basis of the materials discovered during the excavations he

wrote an excellent book: “**Kutaisi Archaeology**” (**edition I and II**) and dedicated it to our 3500-year-old town (the age of the town is confirmed in this book).





**On August 2, 1925**, while searching for dwellings of early humans in Sataplia reserve, Petre Chabukiani and six of his friends discovered caves which became excellent natural monuments on P. Chabukiani’s initiative. 400 hectares of the forest of Colchian type in the surroundings of Sataplia Cave was declared a reserve. **In 1933 Petre Chabukiani** found dinosaur footprints on limestone layers of lower Cretaceous Period near Sataplia Cave.

Petre Chabukiani made immensely considerable contribution to the pedagogical life of Kutaisi. His relation with young people was inspired by deep love. He was an educator, naturalist, area expert and defender of historical monuments and karstic caves... In 1982 the citizens of Kutaisi fulfilled his dream and buried him in his cherished Sataplia – in the place where he walked every day both in good and inclement weather with his walking stick which he used for examining the sites. Petre Chabukiani and the land of Sataplia were united forever. Even after his death Petre Chabukiani remains the first guide to the visitors of Sataplia Cave. Petre Chabukiani’s name has been made immortal by the young people with whom he shared his boundless love for flora and fauna of Georgia from the period when they were first graders. His students brought up a number of new generations. P. Chabukiani taught them to be proud of their 3500-year-old town – the town of Ayetes. His name has been made immortal by dinosaur footprints included in the paleontological annals of the world; His name has been made immortal by the “green armour” rustling in a graceful manner for such a long time for the prosperity of the Georgian nation; His name has been made immortal by the love he deserved. **His 80th jubilee was celebrated by the Georgian people in Lado Meskhishvili Theatre.**

**In 1965 an exhibition of P. Chabukiani’s photographs and manuscripts was held, reflecting the life and work of the prominent educator and public figure. He was granted the category of the Georgian area expert.**

**Sataplia is located at 380-500 metres above the sea level.** Visitors of Sataplia have an opportunity to see the conservation construction of the dinosaur footprint, habitat of a wild bee, karstic cave, Colchian forest, exhibition hall, glass panoramic area, and varieties of stalagmites and stalactites.

**In the reserve** the scientific-research activities of various kinds, flora inventory, phenological observations, biotechnical activities for the restoration and reproduction of flora and fauna are carried out. The reserve attracts a number of local and foreign tourists and amazes them. It has gained international recognition.



მარიამ მარჯანიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი, ფილოლოგის დოქტორი

## პირა ჩხენკელი – ეროვნული მეობის სამსახურში

ქუთაისში გამორჩეულ ოჯახთა შორის თვალსაჩინო ადგილი ეკავა ივანე ჩხენკელისა და ირინე გიორგაძის ოჯახს, რომლების ცხრა ქალ-ვაჟს უზრდიდნენ სამშობლოს. ერთი ამათაგანი გახლ-დათ პეტრე (კიტა) ჩხენკელი, რომელიც 1895 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა. სასულიერო პირს ივანე ჩხენკელს სურდა თავისი ვაჟებიდან, რომელიმე ეკლესიის მსახურად აღეზარდა, მაგრამ ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს აკაკი ჩხენკელსა და მის მომდევნო ძმას კიტასაც სულ სხვა ას-პარეზზე მოუხდათ მოღვაწეობა.

1912 წელს კიტა ჩხენკელმა წარმატებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო, სადაც 1913-17 წლებში სამართალსა და მსოფლიო ლიტერატურას ეუ-ფლებოდა.

1918 წელს კიტა ჩხენკელი საქართველოში დაბრუნდა და აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1920 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ 70 ახალგაზრდასთან ერთად კიტა ჩხენ-კელიც უმაღლესი განათლების დასასრულებლად სახელმწიფო ხარჯზე ევროპაში გაგზავნა.

კიტა ჩხენკელმა სწავლა ჰალესა და ჰამბურგის უნივერსიტეტებში განაგრძო, სადაც ფილოსოფიას, პოლიტიკურ ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობის განვითარების მეცნიერულ შესწავლას დაეუფლა.

1936 წელს მას პოლიტიკურ ეკონომიკში სადისერტაციო თემაზე „**Grundzuge der Agrarenwicklung in Georgien**“ მიენიჭა დოქტორის ხარისხი და მოღვაწეობას ჰამბურგის უნივერსიტეტში შეუდგა.

ამავე დროს დაავალეს უნივერსიტეტში რუსული ენის კურსის წაკითხვა და ასევე დააკისრეს ქართული ენის ლექტორობაც. ეს აძლევდა კიტა ჩხენკელს იმის შესაძლებლობას, რომ ამაღლებული სამსახური გაეწია თავისი სამშობლოსათვის.

ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: „რა პოლიტიკაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ ერს არ იცნობენ, და ერის გაცნობა კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მისი ენით და მისი კულტურული ავლადიდებით.

მხოლოდ ამრიგად შეგვიძლია ჩვენ მოუაროდ იმ კითხვას, რასაც ჩვენ „პოლიტიკურ საქმიანობას“ ვეძახით და რისთვისაც აქ ვართ ამდენი ხანი გაკვეთული“ [„**სამშობლო**“, 2009, გვ.118].

მართლაც, დიდი სიბრძნეა გარდაუვალთან შერიგება და დიდი გონიერებაა მიზნის მისაღწევად არსებული პოლიტიკური რეალობის გამოყენება, თითოეულის ბრძოლა იმის გარდასაქმნელად, რისი გარდაქმნაც მას თავად შეუძლია. აქედან გამომდინარე მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქართულმა შემოქმედებითმა ელიტამ ერთბაშად გააჩაღა მუშაობა ეროვნული სულით, – მისი ენის, ლიტერატურის, ისტორიის, მისი კულტურული შემოქმედების წარმოსაჩენად.

ამ შეხედულების უპირველესი მატარებელი და გამტარებელი გახლდათ კიტა ჩხენკელი, რომელიც ციურისში მოღვაწეობდა, როგორც თავად აცხადებდა: „დაყუდებული ბერივით“.

კიტა ჩხენკელის მიზნი იყო „მისაწვდომი გაქადა დასავლეთ ევროპიელთათვის ქართული ენა, რომლის ორიგინალური აღნაგობა უკვე დიდი ხანია ინტერესს ინვევდა ზოგად ლინგვისტიკაში და ამით გაეხსნა კარი მდიდარ მწერლობასთან მისასვლელად, რომელიც შორეულ წარსულამდე მიდის“ **[ერნსტ რიში, 1964, გვ.159]**.

1938 წლიდან დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მასალების შეგროვებას ქართულ-გერმანული ლექსიკონისა და ქართული ენის სახელმძღვანელოსათვის. მან ნაყოფიერ შედეგსაც მიაღწია, მაგრამ

1943 წელს ჰამბურგის დაბომბვის დროს, მთელი ეს მასალა მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად დაიღუპა და იგი თურმე, რაც ეცვა, მხოლოდ იმის ამარა ჩავიდა ბერლინში...

სრულიად უსახსროდ დარჩენილი მეცნიერი ომის დამთავრებამდე საცხოვრებლად შვეიცარიაში გადავიდა და საბოლოოდ ციურიხში დასახლდა. აქ მან 50 წლის ასაკში, ყველაფერი თავიდან დაიწყო.

კიტა ჩხენკელმა ციურიხში დაარსა გამომცემლობა „ამირანი“, სადაც მან ორ ტომად გამოსცა „ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანელთათვის“, რომლის შედეგნას მისი სიტყვებით რომ ვთქვათ: „უსაზღვრო შრომა და ძალა დავალიე ამ ჩემს შრომას; წლების განმავლობაში 15-16 საათი საშუალოდ დღიური მუშაობა; მხოლოდ ორჯერ კვირაში გავდიოდი ქუჩაზე ჩემი მეოთხე სართულიდან; არც კვირა და არც შაბათი არ ვიცი რა იყო. ათ თანამშრომელთან ერთად თავიდან ბოლომდის ჩვენ შეგვიხვდა მისი აწყობა; ახლა ხომ კიდევ გამომცემლობის მოწყობა... ერთი სიტყვით, შეუძლებელი შესაძლებელი გავხადეთ და მე თვითონ უკვე არ მჯერა, რომ ასეთი ტვირთი ავიტანე და კიდევ ცოცხალი ვარ“ [„სამშობლო“, 2009, გვ.118].

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა გერმანელი ქართველოლოგისა და კიტა ჩხენკელის თანამოაზრის ლეა ფლურის შთაბეჭდილება: „დოქტორ ჩხენკელს ფილოსოფიის ფაკულტეტმა მიანიჭა ჰონორის კაუზა შემდეგი დასაბუთებით: ქართული ენის აღიარების მიზნით განეული დაუღალავი საქმიანობისათვის, რის შედეგადაც მან მოახერხა თავისი კავკასიური სამშობლოს დედაქანა მისი მდიდარი, ადრექტინული დროის ლიტერატურით, მსოფლიოსათვის გასაგები გაეხადა და ამით მოგვცა წლების მანძილზე მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად შესრულებული მეცნიერული ნაშრომის ნათელი მაგალითი...

ყველა ეს წლები, შეიძლება ითქვას იგი იბრძოდა შეუდრეველი და დავიწყებას მიცემული პატარა ერის სულისათვის, რაც ნიშნავს, რომ იბრძოდა თავისი ენის, ლიტერატურის, მოკლედ თავისი ეროვნული და კულტურული თვითმყობადობის შენარჩუნებისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს ბრძოლა, დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ისეთივე სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს, როგორც საერთოდ ბრძოლა პატარა ერის ეროვნული თვითმყობადობის გადარჩენისათვის. ამ პერსპექტივის ჭრილში დოქტორ ჩხენკელის მოღვაწეობას აღბათ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომელიც ლამაზი აღიარების სიმბოლოს ნარმოადგენს“ [„სამშობლო“, 2009, გვ.129].

1960 წლიდან დაიწყო კიტა ჩხენკელმა მეორე დიდი შრომის „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ ნაკვეთებად ბეჭდვა. პირველი 6 წიგნი ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნდა.

ჯერ კიდევ „ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანელთათვის“ გამოცემასთან დაკავშირებით თავის ქუთაისელ მეგობრებს თამარ და აკაკი პაპავებს არგენტინაში წერდა: „აუარებელი მოლოცვების წერილები მომივიდა... მე კი არ მიღოცავენ იმდენად, არამედ ულოცავენ საქართველოს, მის ნორჩ მეცნიერებას, ულოცავენ შვეიცარიას ან ციურიხის უნივერსიტეტს, რომელმაც ასე აშკარად აღიარა: ქართული ენისა და ლიტერატურის, ერთი სიტყვით მისი კულტურული ავლადიდების შესწავლის საჭიროება... 28 აპრილი გადაიქცა საქართველოს საზეიმო დღეთ. მე და ჩემს თანამშრომლებს ოცნებაშიდაც არ მოგვსვლია ასეთი ბრწყინვალე გამარჯვება! მივაღწიეთ იმას, რაც მიზნად დავისახეთ: გზა გაუხსნათ ქართულ ენას, რასაც შედეგად მოჰყვება სურვილი, გაეცნონ ქართულ ლიტერატურას, საქართველოს ნარსულს და მომავალს, ერთი სიტყვით ჩვენს ეროვნულ მეობას. რა უსამართლოდ ვემდურით უცხოელებს, სულ არ გვიცნობენ. ღმერთო ჩემო როგორ უნდა გაგეცნოს უცხოელი, როცა მას არავითარი საშვალება არ გააჩნია. გაეცნოს ჩვენს ეროვნულ სულს, ე.ი მის ენას, ლიტერატურას, ისტორიას, ერთი სიტყვით მთელ მის კულტურულ შემოქმედებას?! მხოლოდ ამრიგად შეიძლება ერის გაცნობა და დაფასება!..

აქვე კიტა ჩხენკელი იმასაც დასძენდა: „საქართველოდანაც მოისმის აღტაცებული ამოკვნესა; რა

ქნან, პირი წყლით აქვთ სავსე“ [„სამშობლო“, 2009, გვ.122-23].

კიტა ჩხენკელის თავდაუზოგავი შრომის გამოძახილი იყო ის, რომ იგი ციურიხის უნივერსიტეტში მიიწვიეს ქართული ენის ლექციების ჩასატარებლად. მისივე თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი ამავე უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრას. იგი მიწვეული იყო ლინგვისტების ინტერნაციონალურ კონგრესზე ლუვენსა და ბრიუსელში.

ამ წარმატებებში კიტა ჩხენკელისათვის, როგორც თავად აღნიშნავდა ყველაზე საამაყო იყო: „ესეც არის საქართველოს მეცნიერების აკადემიიდან მოუვიდა გამომცემლობას წერილი. მათი ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა გვთხოვს გამოვუგზავნოთ შრომა. და ხელს აწერს, აბა, მიხვდით ვინ? უზნაძე!!! იცოცხლე გავიხარე. თუ არ ვცდები, ეს არის პირველი შემთხვევა, რომ ჩვენი აკადემია უშუალოდ იწერს ემიგრანტის წიგნს!“ [„სამშობლო“, 2009, გვ.122-23].

მეცნიერებათა აკადემიის გამოხმაურება 1958 წლით თარიღდება. ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ემიგრანტთა ცხოვრება-მოღვაწეობა ტაბუდადებული თემა იყო.

უცხოეთში ქართული მეცნიერებისა და კულტურის პოპულარიზაცია კიტა ჩხენკელის უპირველესი მიზანი იყო. იგი ამერიკაში ყოფნისას ცდილობდა იქაურ უნივერსიტეტებში გაეხსნათ ქართული ენის კათედრა და შექმნილიყო საქართველოს კვლევა-მიების ცენტრი, რომელსაც მოყვებოდა „ერთგვარი პოლიტიკური საქმიანობის გადაშლა... საერთოდ, არც კი აქვთ წარმოდგენა, თუ რა პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს არა რუსების ამოქმედებას რუსეთის კომუნიზმთან ბრძოლაში [„სამშობლო“, 2009, გვ.116].

ვაშინგტონში კიტა ჩხენკელი მიიწვიეს კონგრესის ბიბლიოთეკაში თანამშრომლად, მაგრამ მეცნიერს უფრო დიდი მიზანი ჰქონდა დასახული.

თავისი ორტომეული ნაშრომის „ქართული ენის სახელმძღვანელო გერმანელთათვის“ გამოცემის შემდეგ კიტა ჩხენკელი თავის თანამოაზრებთან შევიცარიელ ქართველობოგებთან: ლეა ფლურთან, იოლანდა მარშევთან და რუთ ნოიკომთან ერთად შეუდგა ქართულ-გერმანული ლექსიკონის გამოცემას.

და, როგორც თავად აღნიშნავდა: „ქართულ-გერმანული სიტყვანი იქნება ისეთივე დიდი, როგორც მაგ ორი ტომი ჩემი შრომისა... გადავწყვიტე იგი ცალ-ცალკე რვეულებად გამოვუშვა. წელიწადში გამოვა 2 რვეული, თითო 96 გვერდს შეიცავდეს იქნება; ამრიგად მთელი სიტყვარის გამოშვებას დასჭირდება 5-6 წელიწადი ასეთი წესი გავრცელებულია ამჟამად: გამომცემლობა იოლად იტანს ხარჯებს და მყიდველიც ადვილად ყიდულობს.“

თვითეული რვეულის შედეგნას, აწყობას და გამოქვეყნებას სჭირდებოდა ექვსი თვე, ათი-თორმეტი საათის განუწყვეტელი მუშაობა. კიტა ჩხენკელი ლექსიკონზე მუშაობისას აცხადებდა: „მე ცოდვით ვდგავარ ფეხებზე, ვქანაობ როგორც შემოდგომის ობოლი ფოთოლი“... [„სამშობლო“, 2009, გვ.116].

ქართველი მეცნიერის თავდადებული შრომა დიდად შეაფასა შვეიცარიის პრეზიდენტმა, რომელიც წერილში აღნიშნავდა: „აუცილებლად უნდა გაეწიოს დახმარება კიტა ჩხენკელსა და მის გამომცემლობას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქართულ-გერმანული ლექსიკონის დამთავრება და გამოქვეყნება“. ყოველივე ეს იყო არა მარტო უდიდესი პატივისცემა და ჯილდო ქართველი მეცნიერისადმი, არამედ საერთოდ საქართველოს კულტურული ავლა-დიდების აღიარებაც.

კიტა ჩხენკელის იმედი – „მხოლოდ ის ერი, რომელიც დაანახებს სხვა ერებს თავის მეობას, თავის ეროვნულ სულს, – მხოლოდ ისეთ ერს გააჩნია მომავალი და უკვდავება“ – გამართლდა... [„სამშობლო“, 2009, გვ.126].

მან შეძლო თავისი ბუმბერაზი შრომით, ერთმა კაცმა, ერთ მუჭა თანამშრომლებთან ერთად ასეთი ლელო გაეტანა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კიტა ჩხენკელის ღრმა მეცნიერულ მოღვაწეობას აღიარებდნენ ქართველი მეცნიერებიც, ამ მხრივ

აღსანიშნავია აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას წერილი: „თქვენი ლექსიკონი კარგი წამოწყებაა. ზმინის დაჯგუფება ბუდეებად თქვენს ლექსიკონში სპეციალისტ-ფილოლოგს გამოადგება. გისურვებთ წარმატებით დამთავროთ“ [„სამშობლო“, 2009, გვ.126].

არნ. ჩიქობავას ამ გამოხმაურებაზე კიტა ჩხენკელი წერდა: „შესაძლებელია, როცა დაინახა „ამირანის“ გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ ბროშურაში თითქმის ყველა უცხოელ სპეციალისტების ასეთი დადებითი მოწონება ჩემი საქმიანობისა, მანაც სხვა ქართველ სპეციალისტებმა საჭიროდ დაინახეს თავიანთი აზრიც გამოამჟღავნონ. საქმე იმაშია, რომ ის წერს, როგორც თავმჯდომარე ენათმეცნიერების ინსტიტუტისა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან; ეს ინსტიტუტი კი ხომ უმაღლესი ინსტანციაა ჩვენი ენის კვლევა-ძიების საქმეში, რომლის ირგვლივ თავმოყრილია ყველა ქართველი ენათმეცნიერი... მადლობა ღმერთს დამშვიდდა ამ მხრივ ჩემი გული, როცა ვიცი საქართველოს ბუმბერაზი მეცნიერების აზრი ამ ჩემ შრომებზე“ [„სამშობლო“, 2009, გვ.127].

მძიმე ავადმყოფობის გამო კიტა ჩხენკელმა ვეღარ შეძლო „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ საბოლოოდ დამთავრება. მეშვიდეზე მუშაობის დროს, 1963 წლის 22 ოქტომბერს 68 წლის ასაკში ციურიხში ბრონქოპნევმონიის სხეულებით გარდაიცვალა. დაკრძალულია ციურიხში.

კიტა ჩხენკელის მიერ წამოწყებული ეს დიდი საქმე გააგრძელეს მისმა მოწაფეებმა პროფესორმა იოლანდა მარშევმა, ლეა ფლურიმ და რუთ ნოიკომმა. თავისი მდიდარი და საფუძვლიანი ცოდნით მათ დიდ დახმარებას უწევდა ვიკტორ ნოზაძე, რომელიც ხშირად ჩადიოდა პარიზიდან ციურიხში, რათა დამზადებული მასალა გადაესინჯა და საბეჭვდათ გადაეცა.

ასევე ხელნაწერში კითხულობდა ლექსიკონს გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი რენე ლაფონი. კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანული ლექსიკონის“ გამოცემა 26 ნაკვეთად პროფესორ იოლანდა მარშევის რედაქტორობით და მეცნიერული პასუხისმგებლობით 1974 წელს დასრულდა: „დაე ამ ნაშრომის დასრულება საძირკველი ყოფილიყოს შემდეგი კვლევა-ძიებისა ქართულ სფეროში და ამგვარად ასრულებულიყოს მთავარი საზრუნავი ამ შრომის წამოწყებისა: რომ ენა ქართველი ხალხისა და მისი მრავალ საუკუნოვანი ლიტერატურა, მის ორიგინალურ კულტურასთან ერთად შეძლებისამებრ ფართო წრეთათვის გამხდარიყოს ხელმისაწვდომი“, – წერდა ლექსიკონის უკანასკნელი წიგნაკისტვის დართულ ბოლოსიტყვაობაში პროფესორი ერნსსფ რიში.

ლექსიკონის ღირსებას წარმოადგენს ის, რომ მასში თანამედროვე ქართული ენის ლექსიკის ძირითად მარაგთან ერთად შესულია აგრეთვე მოძველებული დიალექტური და სასაუბრო სიტყვები. ლექსიკონში თავთავის ადგილას ანბანთ რიგზეა შეტანილი აგრეთვე ტოპონიმიკური, ეთნონიმური და ონომასტიკური ერთეულები. მცენარეებისა და ცხოველების სახელწოდებათა გერმანულ თარგმანს დართული აქვს მათი ლათინური სახელწოდებები.

სალექსიკონო ერთეულებებს ხშირად ახლავს საილუსტრაციო გამოთქმები, აღებული ჩვეულებრივი სიტყვა სმარებიდან. ლექსიკონში შესულია აგრეთვე საილუსტრაციო ფრაზეოლოგიური გამოთქმები.

ლექსიკონის წყაროებში გამოყენებულია თითქმის ყველა ძირითადი ლექსიკონგრაფიული შრომა: სულხან-საბა ორბელიანის, დავით ჩუბინაშვილის, რ. მეკელაინის და სხვათა შრომები. და, რაც მთავარია, „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული.

მარტო ამით არ ამოიწურება კიტა ჩხენკელის დამსახურება, მან თავის მოწაფესთან პროფესორ რუთ ნოიკომთან ერთად გერმანულ ენაზე თარგმნა და 1957 წელს თავის გამომცემლობა „ამირანში“ დაბეჭდა „ვისრამიანის“ ქართული ვერსია, რომელსაც ბოლოსიტყვაობაც დაურთო. წიგნი გაფორმებულია ძველი ქართული მინიატურათა მოტივებზე შექმნილი ილუსტრაციებით რუთ ნოიკომის მიერ. თარგმანს მაღალი შეფასება მისცა ერის ბრიკმა „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში „სამიჯნურო რომანი კავკასიიდან“.

ანალოგიური სამეცნიერო და კულტურული საქმიანობა იყო გაჩაღებული ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, რომში, ამერიკაში, არგენტინასა და ჩილეში, სადაც კიტა ჩხენკელის მსგავსად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიდმა ნაწილმა ნოსტალგიით გამოწვეული მძიმე ტკივილების დასაცხრომად თავიანთი დიდი პოტენცია ქართული მეცნიერებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის განვითარებასა და ამაღლებას მოახმარა, რაც თავისთავად იყო ერთიანობის ერთგვარი აქცია და საქართველოსადმი საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა.

#### **ლიტერატურა:**

1. პაპავა თ., „ჩემი კრიალოსანი“. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, №1, 2013, თბილისი.
2. „პრძნული აზრების სამყაროში“, 1967, თბილისი.
3. ჩხენკელი კ., „წერილები თამარ და აკაკი პაპავებს.“ ჟურნალი „სამშობლო“, №1, 2009, თბილისი.
4. ფლური ლ., „წერილები აკაკი პაპავას.“ ჟურნალი „სამშობლო“, №1, 2009, თბილისი.

MARIAM MARJANISHVILI

*Kutaisi State Historical Museum, Doctor of Philology*

## **KITA CHKHENKELI IN THE NATIONAL SERVICE**

Disappointed by the idea of regaining independence through international justice, Georgian political emigration started developing Georgian science and culture to promote national spirit and character. After the World War II, Professor Kita Chkhenkeli called for intellectual elite scattered all over the world: “How can they talk about politics if they don’t know the nation, and to get to know the nation, we must start with praising its language and culture... Only this way, we can deal with the issue we call “political activity”, because of which we have been stuck here for so long”.

The carrier and distributor of these ideas was Kita Chkhenkeli, who lived and worked in Zurich. According to his own words, he led a monkish life there carrying out his scientific work.

In Zurich, he established a publishing house “Amirani”, where he first published his great work in two volumes “A textbook on the Georgian language for the Germans”.

Following the publication of the work, a German Kartvelologist Leah Flurr remarked: “The faculty of Philosophy honoured Professor Chkhenkeli for his hard work to popularise the Georgian language; as a result, he managed to show the whole world the language of his Caucasian home-country...”

Kita Chkhenkeli dedicated the last years of his life to working on Georgian-German dictionary. He established the department of Georgian language in Zurich University where he delivered lectures.

Kita Chkhenkeli’s scientific activity was also recognised by Georgian scientists. We should mention Academician Arnold Chikobava’s letter: “Your dictionary is a good beginning. The division of verbs into parts in your dictionary will be useful for philologists. Wish you to complete it successfully”.

Like Kita Chkhenkeli, a great part of Georgian political emigration, wishing to soothe the great pain caused by nostalgia, directed their big potential to develop Georgian science and culture. At the same time, this was an attempt to draw international attention to Georgia.

ირაცლი ლორთქიშვანიძე  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის  
ქართული უნივერსიტეტის ისტორიის დოქტორანტი

## მკვლელობა, თუ გარდაცვალება?!

### აცტონ ქუთათელი



ტრაგიკული გამოდგა საქართველოს სამოციქულო მართლ-მადიდებელი ეკლესიისთვის 1918 წელი. მოულოდნელად ეკლე-სიამ დაკარგა ორი მაღალიერარქი: კათოლიკოს-პატრიარქ კირი-ონისა და მიტროპოლიტი ანტონის სახით...

ძალზე მოკლე, თუმცა მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გახ-ლდათ მიტროპოლიტ ანტონის მღვდელმთავრობა 1917-1918 წლებში ქუთაისის კათედრაზე. მიტროპოლიტი ანტონი ემსხვერ-პლა ეკლესიის შინაურ თუ გარეულ მტერთა ბოროტ განზრახ-ვას... კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის გარდაცვალების გამო არაერთი სამგლოვიარო წერილი თუ დეპეშა გამოქვეყნდა. ქუთაისიდან გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „მრავალტან-ჯულ საქართველოს ეკლესიას, რომელმაც თავგანწირვით გამო-გლიჯა თავისუფლება ორთავიან არწივს, უცნაურმა ბოროტებამ მოსტაცა მისი სიამაყე უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკო-სი კირიონ მეორე. მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, სამიტ-როპოლიტო საბჭო და სასამართლო, გულმოკლული დასტირიან

ქართველთა ეკლესიის და ერის მოქირნახულის ნეშტს და იმედოვნებენ, რომ თავისუფალი ერი საქართველოსი განწმენდს თავის მიწაწყალს, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის მტერთა და მოღალატეთაგან. მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი“ (საქართველო, 1918 №129 გვ.3). შემდეგ მოკლეს მირიან ბერი,<sup>1</sup> კირიონ კათალიკოსის თანამოაზრე მღვდელი ტიმოთე ბაკურაძე (ვარდოსან-იძე, 2014 გვ.117).

ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი მოულოდნელად გარდაიცვალა 1918 წლის 18 სექტემბერს, ნაშუადღევს, 1 საათზე, ქუთაისის საარქიელო სახლში, რომელიც მდებარეობდა ბაგრატის ტაძრის გალავანში და დაანგრიეს გასული საუკუნის 80-იან წლებში. იქვე გაიმართა განსვენებული მიტ-როპოლიტის პანაშვიდები...

1918 წლის სექტემბერში, ქუთაისის საეპარქიო საბჭო, მოწამეთის მამათა მონასტრის წინამძღ-ვარს, არქიმანდრიტ ნესტორს (ყუპანეიშვილი, შემდგომ ეპისკოპოსი), სამწუხარო ამბავს ატყობინებ-და: „ქუთაისის საეპარქიო საბჭო და სასამართლო მწუხარებით გაუწყებთ, რომ 18 ამა სეკტემბერს, უცრად, თავის ბინაზე გარდაიცვალა მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი...“ (ქ.ი.მ. ფ.1183/732 გვ.2.).

„ვერაგულად მოკლულ კირიონ კათალიკოსის ცხედარი ჯერაც არ გაციებულა და მოწმუნე ქართველობას გული ჯერაც ვერ მოუხებია, რომ ანტონ ქუთათელიც მოულოდნელად ხელიდან გამოვეცალა. კაცი ჯან-ლონით სავსე..... რა მიზეზია? საქართველოს ეკლესიის სხეული დაავადებულია, სული დასნეულებული, ქართველი სამღვდელოების ბანაკი, ძლიერ მცირე გამონაკლისის გარ-და, მოშხამული. ამ მოშხამულ ბანაკის მსხვერპლია უნეტარესი კირიონი და ჩვენი დროის ოქროპირი ანტონ ქუთათელი... მკურნალია საჭირო, კირიონისა და ანტონის აჩრდილნი ამას მოითხოვენ!“

<sup>1</sup> დავით ბერი – მცხვეთის ჯვრის მონასტრის მღვდელმონაზონი, შემდგომში არქიმანდრიტი

**(თეატრი და ცხოვრება, 1918 №14. გვ.4.).**

მიტროპოლიტი ანტონის გარდაცვალების დღეს, სასულიერო პირთა და საერო ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით ქუთაისში გაიმართა ადგილობრივი საეკლესიო კრება, რომელზეც დაადგინეს: „1. ეცნობოს მოულოდნელი გარდაცვალება მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის სრულიად საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს თავჯდომარეს კათალიკოზის მოსაყდრეს, აგრეთვე საქართველოს მღვდელმთავრებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საერო საბჭოს თავჯდომარეებს დეპეშის საშუალებით. 2. დაინიშნოს განსაკუთრებითი ცალკე კომიტეტი საწარმოებლად და მოსაწესრიგებლად მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის გასვენების საქმის, რომელიც შედგეს: ა) სამი სამღვდელო პირთაგან დეკ. ზაქარია მჭედლიძის, მღვდლის იეროთეოზ ნიკოლაძისა და მღვდლის ზოსიმე ნემსინვერიძისაგან, ბ) საბჭოს მხრით დეკ. ივლ. აბესაძისა, სიმონ ამირეჯვიბისა, ხოლო სასამართლოს მხრით დეკ. მელიტონ კელენჯერიძისა და იაკობ ცინცაძისა, რომელთაც დაემატება წარმომადგენელი ქალაქის სამართველოს გუბერნიისა და სხვადასხვა კულტურულ დაწსებულებათაგან. კომიტეტმა უნდა მოიწვიოს ქალაქის ექიმი, განსვენებული მიტროპოლიტის გვამის შესანახავად დაკრძალვის დღემდი. 3. ეთხოვოს ადგილობით სასამართლო ბრალმდებლებს მოახდინონ განკარგულება განსვენებული მიტროპოლიტის ანტონის გვამის გასინჯვა-შემოწმების შესახებ, გასარკვევად იმისა, თუ რა მიზეზით გარდაიცვალა. 11 ამა სეკტემბერს საეკლესიო საბჭოს საოლქო საეკლესიო საბჭომ მოახდინოს სათანადო განკარგულება მათ ოლქში წირვა-პანაშვიდების, აგრეთვე გასვენების დღეს აქ ჩამოსვლის შესახებ. დაევალოს დეკანზის ზაქარია მჭედლიძეს და ივანე პურადაშვილს ხვალ 19 ამა სეკტემბერს წარუდგნენ გუბერნიის კომისარს, რომელსაც თხოვონ დაელაპარაკოს გრიგოლ გიორგაძეს დამარხვის საშუალების შესახებ და თფილისელების წამომყვან მატარებელზე აგრეთვე სესხის შესახებ ადგილობით საშუალებითგან არა უმცირეს თერთმეტი ათასი მანეთისა და შედეგი ყოველი ამებისა მოახსენონ იმავე დღეს საბჭო-სასამართლოს სხდომას. თავჯდომარე დეკ. მ. კელენჯერიძე, ი. ცინცაძე, დეკ. თ. დუგლაძე, დეკ. მჭედლიძე, ნოე რაზმაძე, მღ. ზ. ნემსინვერიძე, მღ. იერ. ნიკოლაძე (ქ.ც.ა.21ფ. საქმე 27215. ფ.1.გვ.2).

მიწერილობები გაეგზავნათ საერო და საეკლესიო პირებს, მათ შორის საქართველოს კათალიკოზის მოსაყდრეს, მიტროპოლიტ ლეონიდეს, მღვდელმთავრებს, ქუთაისის კომისარს, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებსა და სხვებს.

**თფილისში**

**საქართველოს ეკლესიის კათალიკოზის მოსაყდრეს მიტროპოლიტს ლეონიდეს**

გუშინ 18 სეკტემბერს 1 საათზე გარდაიცვალა მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი, დაკრძალვა გადაწყვეტილია საკათედრო ტაძარში სამშაბათს 24 სეკტემბერს.

საბჭოს თავჯდომარე დეკანზი კელენჯერიძე (ქ.ც.ა. 21ფ. საქმე 27215. ფ.7.გვ.1)

კათალიკოსის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ლეონიდემ, ქუთაისში მოკლე საპასუხო ტელეგრამა გამოგზავნა

**ტელეგრამა 22 სეკტ. 1918 წ. დეკანზი კელენჯერიძეს**

**თფილისიდგან**

ორშაბათს ქუთაისში ვიქებით და ყველაფერს გაიგებთ. მიტროპოლიტი ლეონიდი (ქ.ც.ა. 21ფ. საქმე 27215. ფ.23.გვ.1)

**ბატონის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარეს**

საკათალიკოზო საბჭოს მოუვიდა სამწუხარო ცნობა, ქუთაისში უეცრად გარდაიცვალა მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი.

საკათალიკოსო საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ქუთაისის გუბერნიის კომისიის და ბ. სამხედრო მინისტრის მიერ დადასტურებული განსვენებულის მიტროპოლიტის უკიდურესი სილარიბე, საზოგადოებრივი მოღვაწეობა და სამართლიანი სიყვარული ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით სამღვდელოების შეუძლებლობა, პატივისცემით სთხოვს რესპუბლიკის მთავრობას გაიღოს ღვთივ განსვენებულის ქუთათელ მიტროპოლიტის ანტონის დასაკრძალავად საჭირო ხარჯი სახელმწოფოს თანხიდან და გადმოსცეს საკათალიკოზო საბჭოს 10.000 მანეთი.

### სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრე (ს.ს.ა. საქმე 886)

1918 წელს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენები ძალზედ საინტერესოდ აქვს აღნერილი დეკანოზ ნიკიტა თალაქვაძეს. წერილები მნიშვნელოვანია იქედან გამომდინარე, რომ მოგონებებში არსებული ზოგიერთი ფაქტი საარქივო მასალითაც დასტურდება. ჩანაწერებში არსებული ერთ-ერთი თავი, შემდეგი სათაურითაა მოცემული: კირიონის სიკვდილი; ქუთათელის დაღუპვა – ანუ, დეკანოზი ერთად განიხილავს, ორი მაღალი იერარქის გარდაცვალების ამბავს.

ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) დაღუპვასთან დაკავშირებით ის მოგვითხოვობს: „1918 წლის ენკენისთვეს დაიღუპა ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი. ეს მოაწამლვინეს მისსავე სიძეს, ტომით ფანლიანდიელს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ანტონის ქალი;“<sup>2</sup> იმავ წლის 17 აგვისტოს (ძვ. სტილით) გელათიდან შევიარე ქუთაისში, ანტონისთან. დავსხედით სადილად: მიტროპოლიტი, მე და მისი სიძე. ჩვენს გარდა არავინ იყო. მზარეულმა ბერმა რომ სუპი შემოგვიტანა და ჭამას უნდა შევსდგომოდით, მიტროპოლიტი რაღაცას საყვედურებს მეუბნებოდა „ახალი სიტყვის<sup>3</sup>“ პუბლიცისტებზე... უცპად ამ პირთა საყვედურებიდან, აი რაზე გადავიდა: „მამაო ნიკიტა! იცით, ჩემი მოწამვლა რო უნდათ“?! – მე გავიკვირვე და ერთნაირი საყვედურიც მოვახსენე: „აბა რასა ბრძანებთ, ვის უნდა უნდოდეს თქვენი მოწამვლა, რატომ ხართ ბერები ასეთი იჭვიანი ხალხი თქმ?“ ამაზე ისევ სერიოზულად მომიგო: „მე მართლა გეუბნები, ჩემი მოწამვლა განუზრახავთ!“ მიუბრუნდა სიძეს და ჰქითხა: „აბა, ამ ჩემს ერთგულ კაცთან სთქვი: რამდენი გაძლიერ ტფილისში, ერთ ოჯახში, ჩემი მოწამვლის სასყიდლად?“ სიძემ წარბშეუხრელად განაცხადა: „ათასი თუმანი“, დეсяთი თეისა-ო... მაშინ ეს ფული იყო. მე საყვედური უთხარი ანტონის სიძეს: „როგორ გაიძედეს, თქვენ, ასეთი საზიზღარი და საშინელი წინადაღების მოცემა და თუ გაგიბედეს, თქვენ რატომ იკადრეთ და რად უთხარით მიტროპოლიტს, ხომ ჰქედავთ, ეს კაცი თქვენ მოგინამლავთ კიდეც-თქო!“ აი, ასეთ ლაპარაქს ჰქინდა ადგილი იმ დღეს ჩვენს შორის. ის აღარ თქმულა, თუ ვის ოჯახში იყო ეს ნათქვამი ანუ ვისგნით; ამის შემდეგ კი არ გასულა ერთი თვეც, რომ ანტონი მოულოდნელად დაიღუპა 18 ენკენისთვეს, ხოლო 21<sup>4</sup> დავასაფლავეთ... დაიღუპა ერთი რიგიანად მომზადებული ეპისკოპოზთაგანი, ასე უდროოდ, ასე საშინლად! გასჭრეს მიცვალებული, სისხლი ავარდნია თავშიო! ნაწლავები ტფილისში გამოგზავნეს გამოსარკვევად. აქ, ექიმმა ლომოურმა ქიმიურად გამოიკვლია და აღმოჩნდა შიგ ვერცხლის წყალი და თაგვის შაქარი-მიშიაკი! ეს საქმეც მიაფურჩეს; ანტონის სიძე<sup>5</sup> და ქალი, არც ვიცი, სად მიმალნენ (თალაკვაძე, 2013გვ.100).

რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის მკვლელობისა?! მეუფე ანტონი ენინალმდეგებოდა რუსი ეგზარქოსის ანტიქართულ ქმედებებს... ცნობილი იყო, როგორც ავტოკეფალიის აღდგენისათვის მებრძოლი მღვდელმთავარი... მან სხვებთან ერთად შეადგინა ავტოკეფალიის აღდგენის აქტი, მისი რჩევით ეპისკოპოსმა კირიონმა კენჭი იყარა კათალიკოსობაზე

<sup>2</sup> მიტროპოლიტის ასელი, ალექსანდრა გიორგაძე-რედიგერისა

<sup>3</sup> ორკვირეული ქურნალი, გამომცემელი... მღვდელი ქრისტეფორე ციცქაშვილი

<sup>4</sup> მიტროპოლიტი ანტონი დასასულავეს არა 21 სექტემბერს, არამედ 24-ში.

<sup>5</sup> ანატოლი ნიკოლოზის ძე რიდიგერი

და გაიმარჯვა. მიტროპოლიტი ანტონი მიუღებელი გახლდათ კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ მეორის მოწინააღმდეგეთათვის. აქედან გამომდინარე, მიუღებელი იყო მისი არსებობა ბევრისთვის... ჩვენთვის ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ მიტროპოლიტი ანტონი მოწამვლის შედეგად მოკლეს...

დეკანოზი ნიკიტა აღნიშნავდა: „არც კირიონისა და არც ანტონის დაღუპვას მენშევიკურმა მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია; ამათ საზოგადოების აღშფოთება არ უნდოდათ, რომ თავიანთი გაბატონებისა და ეკლესის დაცემის პროცესი უფრო მარჯვეთ ენარმოებინათ...“ (თალაკვაძე, 2013 გვ.82).

### ანტირელიგიურ კამპანიას შეწირული ქუთაისის საკათედრო ტაძარი და მიტროპოლიტის დაკარგული საფლავის ხვედრი

„თქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი.  
განირყვნეს და ბილნ იქმნეს იგინი უსჯულოებითა“ (ფსალმუნი 13.1).

ქუთათელი მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძე) დამკრძალავი კომისია შედგებოდა სასულიერო და საერო პირებისაგან; ცერემონიალური ნაწილი შეადგინა დეკანოზმა ვასილ დოლაბერიძემ, რომელსაც ეხმარებოდნენ: დეკანოზი ალექსი გერსამია (შემდგომ ეპისკოპოსი)<sup>6</sup> და მღვდელი ამბროსი ფოფხაძე. შეიქმნა ჯგუფი, დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძის თავჯდომარეობით, რომელსაც უნდა ჩაეწერა დაკრძალვის დღეს წარმოთქმული სიტყვები, მღვდელმთავრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

განსვენებული მიტროპოლიტის სხეული, სამღვდელმთავრო შესამოსლით შემოსეს ორშაბათს, 23 სექტემბერს, საარქეილო სახლში.

1918 წლის 22 სექტემბრის ქუთაისის საეპარქიო საბჭოს დადგენილებით, ქალაქის სამღვდელოება შემოსილი შეიკრიბა საარქეილო სახლთან 24 სექტემბერს, დილის 7 საათზე, მიტროპოლიტ ანტონ ქუთათელის ცხედრის ქუთაისის საკათედრო ტაძარში წასასვენელად. ცხედარი საეპისკოპოსო სახლიდან წამოასვენეს სობოროში, სამშაბათს დილით, 8 საათზე. პროცესია წარიმართა შემდეგ ქუჩებზე: გაბრიელის ქუჩა, ფერმის ქუჩა, ჯაჭვის ხიდი, ვორონცოვის ქუჩა, გიმნაზიასთან, ბაღის კიდესთან, ხოლო წმიდა მთავარანგელოზის სახელობის ტაძართან ლიტია შესრულდა.

საარქივო მასალიდან ირკვევა, რომ მეუფე ანტონის (გიორგაძე) დაკრძალვა, მისი სურვილისამებრ, თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო გელათის მონასტერში. „განსვენებული მიტროპოლიტი ანტონის გვამი დაიკრძალოს გაენათის მონასტერში — შიგნით, წმ. გიორგის ტაძარში“ (ქ.ც.ა. 21ფ. საქმე 27215.ფ.1.გვ.1.) ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, მოგვიანებით გადაწყვეტილება შეიცვალა და დაკრძალვა გადაწყდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში.

XVII საუკუნეში ქუთაისის (ბაგრატ მეფის მიერ აგებული) ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საკათედრო ტაძარი საბოლოოდ დაანგრიეს. „გარნა იქმნა საგლოველი, რამეთუ გამოვიდნენ ციხიდან ოსმალნი და შემუსრეს ქუთაისის ეკლესია ყოვლადწმიდისა. დიდ შვენიერად გებული“ (განთიადი, 1989 №3.გვ.217). საქართველოს ისტორიულად, პოლიტიკურად და სარწმუნოებრივად ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქი ქუთაისი საკათედრო ტაძრის გარეშე დარჩა, რამაც განაპირობა ქუთაისის ახალი კათედრალის „სობოროს“ მშენებლობა, რომელიც 1871-1917 წლებში იმერეთის, ხოლო 1917-1923 წლებში ქუთაისის ეპარქიის საკათედრო ტაძარი იყო. აღნიშნულ ტაძარში მოღვაწეობდნენ და ერს ლოცავდნენ: იმერეთის ეპისკოპოსები: წმიდა გაბრიელი (ქიქძე), ბესარიონი (დადიანი), ლეონიდე (ოქროპირიძე, შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), გიორგი (ალადაშვილი, შემდგომ ჭყონდიდელი მიტროპოლიტი) და ქუთათელი

<sup>6</sup> შემდგომში წილქნელი ეპისკოპოსი

მიტროპოლიტები: ანგონი (გიორგაძე) და წმიდა ნაზარი (ლეუავა).

XX საუკუნის 20-იან წლებში, ათეისტური, ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებით, საქართველოში დახურეს ასობით ეკლესია, სამეფო მონასტრები და კაცთაგან მივიწყებულად აქციეს ისინი... საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებული ანტირელიგიური კამპანია მტკიცნებულად შეეხო ისტორიულად მნიშვნელოვან უძველეს ქუთაის-გაენათის ეპარქიასაც. დაინგრა და განადგურდა არაერთი ტაძარი, იდევნებოდა სასულიერო იერარქია, ზოგიერთ მათგანს მოწამეობრივი აღსასრული ხვდა...

1923 წელს ქუთაისის საკათედრო ტაძარი კომკავშირს გადაეცა... მისი ხვედრი ავად წყდებოდა, რასაც საბოლოო განაჩენი საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმმა 1924 წლის 30 იანვარს გამოუტანა, რომელშიც ჩაიწერა: „დაირღვეს საკათედრო ტაძარი (სობორო). მასალა გამოყენებული იქნეს ძმათა სასაფლაოს<sup>7</sup> შემოსალობად. იმ ადგილზე გაფართოვდეს მოედანი და ტაძრის ადგილზე დაიდგეს ამხ. ლენინის ძეგლი.“<sup>8</sup>

პრესაში სიხარულით აღნიშნავდნენ: „საბოროდან“ 1923 წლის შემოდგომაზე გამოვიტანეთ ხატები და დავყარეთ ბალისკიდის წინ. ფეხებით დავდიოდით ზედ კომკავშირლები. ხატებს ბევრი მტვერი ჰქონდა და იმხელა ბლვერი დადგა, რომ მთლიანად დაიბურა იქაურობა. ამ საქმეს ხელმძღვანელობდა ვალია ბახტაძე, ქუთაისის სამაზრო რევკომის პირველი მდივანი და ვანო სტურუა, რომელიც სამრეკლოზე იდგა და ძირს შეერებილ ხალხს უყვიროდა: აქაურობას ნაცრად ვაქცევთ, თუ არსებობს ლერთი, მოვიდეს და გვეჩვენოს თუ რამე შეუძლიაო“ (მუშა და გლეხი, 1923 წ).

31 იანვრის დადგენილება ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავჯდომარეს გაეგზავნა. ქალაქისათვის კი, ის საიდუმლოდ დარჩა... ამის შესახებ მოსახლეობამ მხოლოდ მაისში გაიგო და აღშფოთდა, აღდგა ტაძრის დასაცავად. განსაკუთრებით ტაძრის დანგრევის წინააღმდეგი იყო პატიმრობიდან ახლად განთავისუფლებული ქუთათელი მიტროპოლიტი ნაზარი. 1924 წლის 22 მაისს, მიტროპოლიტმა ნაზარმა შემდეგი განცხადებით მიმართა“ საქართველოს რესპუბლიკის უმაღლეს მთავრობას“. მიმართვაში ვკითხულობთ: „ეს სამი დღეა ქუთაისში მორწმუნეთათვის თავზარდამცემი ხმა გავრცელდა: ადგილობრივი ხელისუფლების შუამდგომლობით და ცენტრალური მთავრობის დადასტურებით გადაწყვეტილია ქუთაისის საკათედრო ტაძრის დანგრევა და მიწასთან გასწორება. ამის გამო მაქვს პატივი მოგახსენოთ შემდეგი: საერთოდ ყოველი საკათედრო ტაძარი და კერძოთ ქუთაისის, ემსახურება არა მარტო რომელიმე რელიგიოზურ საზოგადოებას, არამედ მთელი ეპარქიის მორწმუნებებს, რადგან იმერეთის ეპარქიაში მხოლოდ აქ სრულდება სამაგალითო და საზეიმო სამღვდელმთავრო ღვთისმსახურება... ქუთაისის საკათედრო ტაძარის დაკეტვამ ძაძებით შემოსა მორწმუნებები, ხოლო მისი დანგრევა უეჭველად სასოწარკვეთილებაში ჩააგდებს და სარწმუნოებრივ აღშფოთებას გამოიწვევს, არა თუ ქუთაისის მორწმუნეთა შორის, არამედ იმერეთის ნახევარ მილიონ მორწმუნეთა შორის... ასეთი სარწმუნოებრივი გრძნობის შელახვა არ მომხდარა არა თუ ჩვენს მეზობელ სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში, არამედ არც რუსეთში, სადაც დღეს სარწმუნოებრივი ცხოვრება დუღს და გადადუღს. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამართლიანობის საფუძველზე არ უნდა მოხდეს არც საქართველოში... ეს ტაძარი დიდი ისტორიული ძეგლია იმერეთის ნახევარ მილიონ ქართველ მორწმუნეთა. ის აგებულია იმერეთის გლეხების მიერ, ბატონიშვილისაგან განთავისუფლების სახსოვრად... გაუგებარია, რა უნდა შესძინოს ვინმეს ამ მორწმუნე ხალხის ოფლით და სისხლით

7 ძმათა სასაფლაო-ამჟამად ქუთაისის ნინოშვილის ქუჩაზე არსებული ბაღი.

8 დანგრევები სობოროს ნაცვლად მის ადგილზე 1927 წელს დაგნინის ძეგლი დადგეს, რომელიც შემდეგ გადატანილ იქნა ქალაქის ცენტრალურ ბაღში. ხელით 1948 წელს კი დაგნინის ძეგლის

ადგილზე, სტალინის ძეგლი ტრიბუნით, სადაც ტარდებოდა კომუნისტური დღესასწაულების აღნიშვნის პარადები და სხვადასხვა კომუნისტური დღინისძებები. მოვგაინანით, დანგრევები იქნა სტალინის ძეგლი და ტრიბუნაც. შემდეგ ქალაქის ცენტრალური მოედნის ცენტრში მოეწყო ყვავილოვანი-დეკურატიული გაზონი. 1995 წელს, დანგრევები ტაძრის ადგილზე, აღიმართა წმინდა კეთილმსახური მეფის დაგოთ აღმაშენებლის ძეგლი, რომელსაც 2011 წელს ადგილზე, აღიმართა წმინდა მეფის დაგოდებული მეფის დაგლიცერინის „შემერქინებლის“ შემერქინებლიბა.

2011 წელს მის ადგილზე დაიწყო კწ. „კოლხური შადრევნის“ შემერქინებლიბა.

აშენებულ ძეგლის და სალოცავის დანგრევამ?!“ (განთიადი, 1989 №3. გვ.217-218).

1900 წელს ქუთაისის სობოროში დაკრძალეს იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი (დადიანი),<sup>9</sup> ხოლო 1918 წელს ქუთათელი მიტროპოლიტი ანტონი საკათედრო ტაძარის ინტერიერში დაკრძალა. აღნიშნული ტაძარი საბოლოოდ დაანგრიეს 1924 წელს და დიდი მღვდელმთავრების განსასვენებელიც დაიკარგა.

მართლაც, ტრაგიკული გამოდგა ქუთაისისათვის 1918 წლის 18 სექტემბერი. მოულოდნელი იყო მიტროპოლიტ ანტონის ამგვარი გარდაცვალება. ტრაგიკული გამოდგა მომავალში მისი საფლავის ხვედრიც, რომელიც დაიკარგა ქუთაისის საკათედრო ტაძრის (სობოროს) დანგრევის შემდეგ. თუმცა, მისი პატივგება და ხსოვნა, მარად იქნება მათ გულებში, ვისაც სმენია მის შესახებ. ჩვენი ვალია ვიცოდეთ, პატივს მივაგებდეთ და შენდობას ვთხოვდეთ ქუთათელს, რომ შესაბამისად ვერ დავაფასეთ მისი სახელი... მღვდელმთავრისა, რომელსაც არ აპატიეს წმიდა ეკლესიისა და დედა სამშობლოს სიყვარული... არ აპატიეს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი, უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა...

ღმრთისადმი სასახლით ვიმედოვნებთ, რომ დადგება ის ღმრთივურთხეული დღე, როდესაც შარავანდედით შემოსილ მრავალრიცხოვან ქართველ წმიდათა დასს შეუერთდება უსამართლოდ აღსრულებული (ჟრთ-ერთი ვერსიით, საკუთარი სიძის მიერ მოკლული) მიტროპოლიტის ანტონ ქუთათელის სახელიც.

„ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მიგელის შენ.“

მეუფე ანტონის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოსთქვეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, მიტროპოლიტმა ლეონიდემ (ოქროპირიძე), დეკანოზმა კალისტრატე ცინცაძემ (შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ან წმიდანად კანონიზირებული) და სხვებმა... წაიკითხეს უამრავი დეპეშა... მათ შორის განსვენებულის ძმის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძისა, რომელიც თურქეთთან საომარ მოქმედებებში მონაწილეობის გამო ვერ დაესწრო დაკრძალვას.

ზემოთ აღნიშნულ პირთაგან, მეტად მგრძნობიარე სიტყვა წარმოუთქვამს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძეს. მოვიტან ამონარიდა:

„მაღალყოვლადუსამღვდელოესო მწყემსთავარო! შენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ გლოვის ზენარი გადააფარა ამერ-იმერთს და, ამ მოზღვავებულ მორწმუნე ერთან ერთად, მრავალ შენს პატივისმცემელს მიაყენა უღრმესი მწუხარება, უგზოობის გამო რომ ვერ მოსულან ამ ცხედრის თაყვანისსაცემად და შენგან უკანასკნელის ლოცვა-კურთხევის მისაღებად! რით დაიმსახურე, მეუფეო, ესეთი სიყვარული?! ნუთუ მით, რომ იყავ მაღალხარისხოვანი სამღვდელო პირი?! მეუფეო წმიდაო! მღვდელმთავრები წინადაც გარდაცვალია, მაგრამ ასეთი გულწრფელი მწუხარება იშვიათად განგვიცდია... ნუთუ მით მიიქციე ქართველთა ყურადღება, რომ იყავ მჭევრმეტყველი მქადაგებელი?.. სიყრმის მეგობარო!..“ (ქადაგებებისა და სიტყვების ყვავილთკრებული, 2014. გვ.166-167).

ქუთაისში, აღავერდის ეპარქიიდანაც მოვიდა დეპეშა: „აღავერდის ეპარქიის საბჭომ 20 ამ თვეს მოისმინა ქუთაისიდან მიღებული ტელეგრამა შემდეგი შინაარსისა: გუშინ 18 სექტემბერს პირველ საათზე უეცრად გარდაიცვალა მიტროპოლიტი ანტონ ქუთათელი. დაკრძალვა გადაწყვეტილია საკათედრო ტაძარში, სამშაბათს, 24 სექტემბერს ახალი დროით.“ საეპარქიო საბჭოს თავჯდომარე, დეკანოზი კელენჯერიძე, მდივანი ესტატი თუთბერიძე.

<sup>9</sup> იმერეთის ეპისკოპოსი 1896-1900 წლებში. გარდაიცვალა 1900 წლის აგვისტოში და დაკრძალულ იქნა ქუთაისის სობოროში, ვინაიდგამ ამ დღეს ვერ მოასწრეს საფლავის გაჭრა დაკრძალულ იქნა ტაძარში მესამე დღეს. ეპისკოპოსი ბესარიონის საფლავი დაკარგულად ითვლება, რადგანაც 1924 წელს საბოლოოდ დაანგრიეს ქუთაისის საქათვედრო ტაძარი.

მოისმინა რა სამწუხარო ტელეგრამა, ალავერდის ეპარქიის საბჭომ გაითვალისწინა რა ლვანლი განსვენებულის მიტროპოლიტის ანტონისა, ფეხზე ადგომით სცა პატივი მისი მეუფების ხსოვნას. გარდა ამისა, კრებამ განაჩინა: გარდახდილ იქნას პანაშვიდი მოსახსენებელად ანტონ მიტროპოლიტის სულისა, თელავის საკრებულო ტაძარში. მიერეროს ეპარქიის სამრევლო სამღვდელოებას საეპარქიო საბჭოების საშუალებით და მონასტრების წინამდღვრებს გადაიხადონ წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის მიტროპოლიტის დასაფლავების დღეს ე.ი. 24 ენკუნისთვეს, სამშაბათს, ხოლო იმ ეკლესიებში, სადაც ეს მიწერილობა ვერ მიუვათ ოცდაოთხამდე, პირველ კვირა დღეს შემდეგ მიწერილობის მიღებისა; გარდაცვალების მეცხრე, მეორმოცე, ნახევარი წლისა და წლისთავზე დღეებში გარდახდილ იქმნას წირვა და პანაშვიდი. ხოლო ერთი წლის განმავლობაში ყოველთვის წირვაზე „შეგვინყალენზე“ იხსენიებოდეს განსვენებულის სახელი. იმერეთის ეპარქიის საბჭოს თავჯდომარის დეკ. მ. ეკლესიერიძის სახელზე გაგზავნილ იქმნას სამძიმრის ტელეგრამა.“ ეპისკოპოსი პიროსი (ქ.ც.ა.21ფ.საქმე 27215. ფ.32 გვ.1-2).

ქუთათელი მიტროპოლიტის გარდაცვალებას გამოეხმაურა ქართველი საზოგადო მოღვაწე და ფოლკლორისტი სოსიკო მერკვილაძე:

„ტელეგრამა ქუთაისის საეპარქიო საბჭოს თბილისიდან“

„ძაძით მოსილი ცხარე ცრემლს ვაფრქვევთ უძვირფასესი ქართველის მიტროპოლიტი ანტონის უდროვოთ დაკარგვის გამო. მიტროპოლიტი ანტონის დაკარგვით ჩვენმა სამშობლომ დაკარგა ერთი საუკეთესო, მხნე, გამჭრიახი, ჩემი დაუღალავი, მედგარი მუშაკი და უნიჭიერესი ერთგული მამულიშვილი. ჭირისუფლებს და მამულიშვილებს უცხადებთ ჩვენს ულრმეს მწუხარებას და გულისტკივილს.“ სოსიკო მერკვილაძე“ (ქ.ც.ა. 21ფ.საქმე 27215. ფ.26.გვ.1.).

### გამოყენებული ცყაროები და ლიტერატურა:

ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბილისი, 2013 წ. გვ.100

ნიკიტა თალაკვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბილისი, 2013 წ. გვ82

ს. ვარდოსანიძე, უნიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კირიონ II (1917-1918 წ.წ.) თბილისი, 2014 წ. გვ.117

უნიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინ-ცაძის, ქადაგებებისა და სიტყვების ყვავილთკრებული, 2014 წ. გვ.166-167

უურნალი „განთიადი“, 1989წ. №3, გვ.217.

უურნალი „განთიადი“, 1989წ. №3, გვ.217-218.

უურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918.14.გვ.4.

გაზეთი „მუშა და გლეხი“ 1923

გაზ. „საქართველო“, 1918წ. №129, გვ.3

### საარქივო და სამუზეუმო მასალა:

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ფ.1183/732გვ.2.

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ.საქმე 27215. ფ.1.გვ.1.

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ. საქმე 27215.ფ.1.გვ.2

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ. საქმე 27215. ფ.7.გვ.1

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ. საქმე 27215.ფ.23.გვ.1

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ.საქმე 27215. ფ.26.გვ.1.

ქუთაისის ცენტრალური არქივი, 21ფ.საქმე 27215. ფ.32 გვ.1-2

საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 886 (309)

მიტროპოლიტი ანტონი (ანტონის) ფოტო პ. ქურდოვანიძის ალბომიდან

IRAKLI LORTKIPANIDZE

Historical doctoral student of St. Andrew apostole  
Georgian university of Georgian Patriarchate

## MURDER OR DEATH

It was tragical for Georgian apostolic orthodox church 1918 year... Unexpectedly the church has last two hrg hierach: Catholicos-patriarch Kirioni and Metropolitan Anton.

It was important and fertile metropolitan Anton's Senior church hierarchy.

Metropolitan Anton was sacrifices of member of households and wild enemy's wicked purpose.

Metropolitan of Kutaisi Anton suddenly passed away in 1918, 18 seftember in ofternoon at 1 pm at episcopacy house of Kutaisi.

In the Aiticle there are two version of his death and it has its own title " Murder or Death".

If it is a Murder what was the reason?!

The Lord God was against Russian exarch anti-Georgian actions..

He was warring bishop autocephaly's restoration

He wrote autocephaly's restoration act in 1918 year Metropolitan Anton was buried in Kutaisi Cathedral, named by Soboro. The noted church finally was collapsed in 1924 and the grave of great Metropolitan lost.

## სარჩევი

<b>ნონა ქარციძე, ავთანდილ მიქაცაძე</b>	
კულტურული მემკვიდრეობის პალიაკვალ	5
<b>Nona Kartsidze, Avtandil Mikatsadze</b>	
CULTURAL HERITAGE .....	9
<b>Orhan Yavuz “Tevtidze”, Matchakhela-Artvin, Turkey</b>	
MAKING HISTORY WORKING FOR THE FUTURE .....	18
<b>Harun Çimke</b>	
TÜRKÇEDEKİ BULUNMA VE YÖNELME HÂL KATEGORİLERİİNİN GÜRCÜCEDEKİ	
YANSIMALARI (KARŞILAŞTIRMALI ANALİZ) .....	20
<b>დავით სულაბერიძე</b>	
გოდოგანის ეკლესიის საწინამდვრო ჯვარი .....	26
<b>Davit Sulaberidze</b>	
PROCESSIONAL CROSS OF GODOGANI CHURCH .....	35
<b>ირინა უგრეხელიძე, ელისო ჩუბინიძე, ნონა ქარციძე, ანა დოღონაძე, მარგალიტა მსხილაძე</b>	
ოძოვანი ილარი - „მე ვარ ვენახი“ ქათაისის ისფორიული მუზეუმიდან .....	37
<b>Irina Ugrekhelidze, Eliso Chubinidze, Nona Kartcidze, Ana Doghonadze, Margalita Mskhiladze</b>	
GOLDEN STOLE FROM THE KUTAISI HISTORICAL MUSEUM .....	44
<b>ელისო ჩუბინიძე, ანა დოღონაძე</b>	
ოდივები პრიუშის მონასტრიდან .....	45
<b>Eliso Chubinidze, Ana Doghonadze</b>	
THE TWO ANTIMINSES FROM JRYCHI MONASTERY .....	49
<b>ხათუნა დარსაველიძე, ნინო დოლიძე</b>	
ეთნოკოლექციის შექმნის ეფექტები და ძირითადი პრიცეპები .....	51
<b>Khatuna Darsavelidze, Nino Dolidze</b>	
STAGES AND BASIC PRINCIPLES OF CREATING ETHNO COLLECTION .....	52

**ციცინო მუმლაძე, ეკატერინე ყელაურაძე, ნინო კუხიანიძე**

ქუთაისის მუზეუმის დაცული სოლომონ I სიგალები (აღნიშვნება - პაცალობი) ..... 54

**Tsitsino Mumladze, Ekaterine Kelauradze, Nino Kukhianidze**

SOLOMON I'S DEEDS PRESERVED IN KUTAISI MUSEUM (DESCRIPTION-CATALOGUE) ..... 64

**დავით იობიძე**

აღნიშვნება K-14 ..... 66

**David Iobidze**

DESCRIPTION K-14 ..... 77

**მაია საჩქოვი**

ოძროს დაცვილებანების მეთოდები ვახტანგ VI-ის „ქიმიაში“ ..... 79

**Maia Sachkovi**

METHODS OF GOLD FRAGMENTATION IN VAKHTANG VI'S "CHEMISTRY" ..... 81

**მზია ზარნაძე**

საუკუნის ფოტოსურათის თავგადასავალი (ნაწილი I) ..... 82

**Mzia Zarnadze**

ADVENTURE OF THE CENTURY PHOTOGRAPH ..... 89

**გურამ გაბუნია, ლია გაბუნია**ისფორიული აზხაზეთის მოსახლეობა მისი ეთნოგრაფიული შემადგენლობა,  
ნარმარავლობა და კუთვნილება ..... 91**Guram Gabunia, Lia Gabunia**THE POPULATION OF HISTORIC ABKHAZIA. ITS ETHNIC COMPOSITION,  
ORIGIN AND BACKGROUND ..... 98**სალომე შალიკიანი**ქუთაისის ისფორიულ მუზეუმი დაცული იან პაევსკის ზოგიერთი  
ნამუშევრის განხილვა ..... 100**Salome Shalikiani**

SOME OF JAN PAEVSKY'S WORKS PRESERVED IN KUTAISI STATE MUSEUM ..... 102

**რაულ ჩაგუნავა**

რას გულისხმობს „ზედადაბურვა“ მიღებისადაც კათალიკოსის „დაცერილები“ ..... 104

**Raul Chagunava**

THE MEANING OF “COVERING UP” “IN THE WRITTEN DOCUMENT”

BY CATHOLICO S MELCHIZEDEC ..... 109

**Resul TURAN**

OSMANLI DEVLETI’NDE GAYRİMÜSLIMLERI HIMAYE (PROTEGE) BELGELERİ ..... 110

**დავით დვალიშვილი**

რაჭის ეფიმოლოგიისათვის ..... 123

**Davit Dvalishvili**

FOR RACHA ETYMOLOGY ..... 124

**ოთარ გოგოლიშვილი**

ფრანგი მოგზაურები აჭარის შესახებ ..... 125

**Otar Gogolishvili**

FRENCH TRAVELERS ABOUT ADJARA ..... 129

**ნანა ქორიძე**

ქართული საღვივე ჭურჭელი ..... 130

**Nana Koridze**

GEORGIAN WINE DISH ..... 133

**ლამარა გულორდავა**

აჭარის ხარისხო ახვლებიანის სახელობის მუზეუმში დაცული ზოგიერთი

რუპის შესახებ ..... 135

**Lamara Gulordava**

HEAD OF NATURE DEPARTMENT AT KHARITON AKHVLEDIANI ADJARA

STATE MUSEUM GEORGIA ON SOME KEPT MAPS ..... 139

**ნათელა შერვაშიძე**

თამაბაქოს ნარმოების განვითარების ისფორმიდან ბათუმში (ლაზარე ბინიათ-ოლიმპი) . 141

**Natela Shervashidze**

FROM THE HISTORY OF TOBACCO PRODUCTION DEVELOPMENT IN BATUMI - LAZARE BINIAT-OGLI .....	143
--	-----

**ნატო ცეცხლაძე**

მუზეუმის ფონდებში დაცული პოლაკციები (უთოები, სასერვაცი, ჯაჭვები) .....	144
--	-----

**Nato Tsetskhladze**

MUSEUM COLLECTIONS: (IRONS, SCALES, CHAINS) .....	146
---	-----

**რუსუდან კობრავა**

ძველი ბათუმის სასფუძვლები .....	148
---------------------------------	-----

**Rusudan Kobrava**

HOTELS OLD BATUMI .....	153
-------------------------	-----

**თამილა კოშორიძე**

„ქადაგის“ სოციალური ფუნქციების საკითხებისთვის შიდა ძართლის ხალხურ დღესასწაულები .....	155
--	-----

**Tamila Koshoridze**

“QADAGI’S” SOCIAL FUNCTION MATTER IN SHIDA QARTLI’S FOLK HOLIDAYS .....	158
---	-----

**რუსუდან მიქაუტაძე**

ძართული ძომინაცეური კულტურის და ქართველ ებრაელთა სუბკულტურის ურთიერთობისართების საკითხებისათვის მე-20 ს-ის 10-იანების /ქუთაისის პრესის მასალების მიხედვით/ .....	160
--	-----

**Rusudan Mikautadze**

FOR THE ISSUE OF INTERACTION BETWEEN GEORGIAN DOMINANT CULTURE AND SUB-CULTURE OF GEORGIAN JEWS IN THE FIRST DECADE OF THE 20 TH CENTURY / ACCORDING TO KUTAISI PRESS MATERIALS/ .....	166
--	-----

**ვლადიმერ წვერავა**

ციონისტ ხიდის ისტორიია .....	169
------------------------------	-----

**Vladimer Tsverava**

FROM THE HISTORY OF “RED BRIDGE” .....	172
--	-----

**ელდარ თავბერიძე**

ეროვნული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხები გაზით „იმერეთის“ ფურცლებზე .....	174
--	-----

**Eldar Tavberidze**

NATIONAL AND SOCIAL-POLITICAL ISSUES ON THE PAGES O THE “IMERETI” NEWSPAPER .....	180
--	-----

**კახაბერ ქებულაძე**

ასი წლის წილი 1917 წელი ქუთაისში .....	181
--	-----

**Kakhaber Kebuladze**

ONE HUNDRED YEARS AGO 1917 YEAR IN KUTAISI .....	188
--	-----

**თეონა მურგულია**

ეპოთველთა საგანეაცოლებლო პერა სფეროებში .....	191
---	-----

**Teona Murghulia**

GEORGIAN EDUCATIONAL CENTER IN ISTANBUL .....	194
---	-----

**ნელი უგრეხელიძე**

სასახლი მოცეფა - სპარსული კულტურის ძეგლი .....	196
--	-----

**Neli Ugrekhelidze**

SASANIAN COIN - MONUMENT OF PERSIAN CULTURE .....	198
---	-----

**მაია ქებულაძე**

აკაკი ცერეთლის უპირველი რასულებობაზე ავტოგრაფი .....	200
--	-----

**Maia Kebuladze**

UNKNOWN RUSSIAN AUTOGRAPH OF AKAKI TSERETELI .....	207
--	-----

**ნატო ნიქაბაძე**

ილია ჭავჭავაძე - პოლიტიკური მოაზროვნე .....	208
---	-----

**Nato Nikabadze**

ILIA CHAVCHAVADZE – POLITICAL THINKER .....	212
---	-----

**ლევან ტყეშელაშვილი**

აზხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) პატალიკოსი ევლემონ ჩხეციძე 1557-1578 წე. . 213

**Levan Tkeshelashvili**

CATHOLICOS OF APKHAZIA (WEST GEORGIA) EVDEMON CHKHETIDZE

1557-1578 YEARS ..... 218

**ლია გაბუნია**

პეტრე ჭაბუკიანი (ქათაისის ისტორიული მუზეუმის საარქივო მასალებიდან) ..... 219

**Lia Gabunia**

PETRE CHABUKIANI ..... 227

**მარიამ მარჯანიშვილი**

კიტა ჩხენელი - ეროვნული მეობის სამსახურში ..... 230

**Mariam Marjanishvili**

KITA CHKHENKELIIN THE NATIONAL SERVICE ..... 234

**ირაკლი ლორთქიფანიძე**

მკვლელება, თუ გარდაცვალება?! ანტონ ქუთათელი ..... 235

**Irakli lortkipanidze**

MURDER OR DEATH ..... 242

კრებული დაარსებულია 1968 წელს

---

4600. ქ. ქუთაისი. თბილისი ქ. №1. ტელ: (+995) 431 244972, 245691 ფაქსი: (+995) 431 245691  
1 Tbilisi str. 4600. Georgia. Phone: (+995) 431 244972, 245691 FAX: (+995) 431 245691  
www.hstmuseum.ge      E-mail: omarilanchava@gmail.com



კრებული დაკაბადონდა და დაიბეჭდა  
ი/მ „მამუკა ფოჭხაძის“ მიერ  
ქ. ქუთაისი, ნერეთლის ქ. 186  
ტელ.: 0 431 23 45 54

ISBN 978-9941-471-11-7



9 789941 471117